



სათევბელსათევლო გიგლიოსთეკა



საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 63

ი. ო მ ნ ე ნ მ ვ ი

შუბუბი
„ს ე ს ე ს“

წიგნი პირველი

თბილისი
1963

თარგმნა

ამირან გაბესკირიძე

I

კრონშტადტიდან ლიზარდის კონცხამდე

სამზადისი, დამშვიდობება და კრონშტადტს გამგზავრება. — ფრეგატი „პალადა“. — ზღვა და მეზღვაურები. — კაიუტ-კამპანია. — ფინეთის ყურე. — ბორიო. — ზღვის ავადმყოფობა. — გოტლანდი. — ხოლერა ფრეგატზე. — კაცი ზღვაში გადავარდა. — ზუნდი. — კატეგატი და სკავერაკი. — გერმანიის ზღვა. — დოგერის მეჩერი და ქალოპერის შუქურა. — მიტოვებული ხომალდი. — მეთევზეები. — ბრიტანეთის არხი და სპიდგედის რეიდი. — ლონდონი. — ველინგტონის დასაფლავება. — შენიშვნები ინგლისელ ქალებსა და კაცებზე. — პორტსმუტში დაბრუნება. — „კემპერდოუნზე“ ყოფნა. — პორტსმუტში, საუტსისში, პორტსიში და ჰოსპორტში გასეირნება. — სპიტგედის რეიდზე ზურგქარის მოლოდინში. — შობის წინა ღამე. — ინგლისელისა და რუსის სილუეტი. — გამგზავრება.

მიკვირს პირდაპირ, როგორ ვერ მიიღეთ ჩემი პირველი წერილები, ერთი ინგლისიდან 1852 წლის 2/14 ნოემბერს გამოგზავნილი, მეორე კი გონ-კონგიდან. ეს სწორედ ის ადგილები გახლავთ, სადაც წერილს ქორფა ბავშვივით დაჰკანკალებენ და უვლიან. ინგლისსა და მის კოლონიებში წერილი სანუკვარი ნივთია, რომელიც ათასობით ადამიანის ხელში გაივლის; რკინიგზით თუ სხვა საშუალებით ერთი ნახევარსფეროდან მეორეში მიდის, ოკეანეებს გადასცურავს და თუკი ცოცხალია, უთუოდ მონახავს იმას, ვისაც გაუგზავნეს, ხოლო თუ მკვდარია ან ისიც იმ ადგილებში წასული, უთუოდ გამგზავნის მოუბ-

რუნდება. ხმელეთზე, დანიისა თუ პრუსიის მიწა-წყალზე ზომ არ დაიკარგა? მაგრამ ახლა გვიანაა ასეთი წვრილმანის გამოძიება: ისა სჯობს, თავიდან მოგწეროთ, თუკი საჭიროა...

მეკითხებით, როგორ გავეცანი ზღვას, მეზღვაურებს, დანიისა და შვეციის ნაპირებს, ინგლისს. აგრეთვე ვიამბოთ — ასე მოულოდნელად როგორ დავტოვე ჩემი მყუდრო ოთახი, რომელსაც მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის დროს თუ ვტოვებდი, ისიც მუდამ დიდი გულსტკივილით, და მერყევ ზღვის წიაღს მივეცი თავი. გიკვირთ, ქალაქური ცხოვრებით, დღის ორომტრიალით თუ ღამის სიმშვიდითა და სიმყუდროვით თქვენში ყველაზე განებივრებულმა ასე ერთბაშად, ერთ ღღეში, ერთ საათში ყირაზე რომ დავაყენე ეს წესიერი ცხოვრება და მეზღვაურის აფორიაქებული ცხოვრების უღელს შევები? დიდი ბუზი თუ შემოფრინდებოდა ოთახში და ზუზუნით მიაწყდებოდა ხან ქერსა და ფანჯარას, ან კუთხეში თავი გაფხაკუნდებოდა, ძილს მიფრთხობდა. ფანჯარას მოვეცლებოდი, თუ იქიდან ნიავი დამიბერავდა, ოღროჩოღრო გზას წყევლით ვიხსენებდი, ქალაქის ბოლოს სტუმრად არ მივდიოდი საღამოთი იმ მიზეზით „შორსაა-მეთქი“, მეშინოდა დაჩვეულ დროისათვის არ გადამეცდინა და ლოგინში ჩაწოლა არ დამგვიანებოდა; ვწუწუნებდი, თუკი წვნიანს კვამლის სუნე დაკრავდა, ან შემწვარი ზედმეტად მოიხრაკებოდა, ან წყალი სარკესავით არ კამკამებდა... და უცბად ასეთმა კაცმა ზღვაში ამოჰყო თავი! — „ან როგორ იმოგზაურებთ, არ დაგარწევთ?“ — მეკითხებოდა ის ხალხი, ვისაც ეგონა, მავან და მავან ეტლის ხელოსანს თუ არ შეუკვეთე ეტლი, უთუოდ ჯანჯღარა გამოვო. „რაზე დაწვებით, რას შექამთ, უცნობ ხალხს როგორ შეეთვისებთ?“ — მაყრიდნენ აქეთ-იქიდან კითხვებს და ისეთი გაკვირვებული თვალებით მიყურებდნენ, თითქო საწამებლად განწირული მსხვერპლი ვყოფილიყავი. ეტყობა, ზღვაზე ვინც არ იყო ნამყოფი, ზღვა და მეზღვაურები კუბერის ძველი რომანებისა თუ მარიეტის მოთხრობების მიხედვით წარმოედგინათ. იმათი აღწერილი გემების დაღუპვა და მიწისძვრები ახსოვდათ და ეგონათ, კაპიტნები მგზავრებს მართლაც ღამით ჯაჭვით აბამდნენ და შეეძლოთ ხელქვეითების დაწვა ან ჩამოხრჩობა. „კაპიტანი ანძაზე წამოგასგუ-

პებთ, — მეუბნებოდნენ მეგობრები და ნაცნობები. თუ გახსოვთ თქვენც ასევე მეუბნებოდით! — შიმშილით მოგკლავენ, უდაბურ კუნძულზე გადაგსვამენ“. — „რატომ?“ — ვეკითხებოდნი მე. „რატომ და თუ მათ მოსაწონად არ დაჯექი, წესიერად არ გაიარე, ან პაპიროსი მოსწიე, სადაც აკრძალულია“. „მეც ისე მოვიქცევი, როგორც სხვები“, — მშვიდად ვამბობდი მე. „თქვენ ხომ მიჩვეული ხართ დამლაშობით მუშაობას, იქ კი მზე როგორც ჩავა, სინათლეს ყველგან აქრობენ, — მეუბნებოდნენ სხვები, — მერე რა ხმაური იქნება, კაკუნი, რა სუნი და ღრიანცელი!“ — „გაგალოთებენ ალბათ! — შემაშინეს ზოგიერთებმა, — მტკნარი წყალი სანთლით საძებარია. მეტწილად რომს სვამენ“. — „ჩემი თვალთ მინახავს, პირდაპირ ჩამჩებით ყლურწავენ, გემზე მეც ვიყავი“, — დასძინა ვილაცამ. ერთი მოხუცი ქალი ჩემი შემყურე ნაღვლიანად იქნევდა თავს და მეხვეწებოდა: „სჯობია ხმელეთის გზით შემოიაროთ დედამიწაო“. როცა ერთ ჰკვიან, სათნო მანდილოსანს ვეახლე გამოსამშვიდობებლად, ტირილი დაიწყო. გამოიკვირდა: მე ამ ქალს წელიწადში სამჯერ თუ ვხვდებოდნი და შეიძლება სამ წელიწადს არც მენახა, ე. ი. ზუსტად იმდენ ხანს, რაც დედამიწის გარშემო შემოვლას მოვუნდებოდი, და ის ამას ვერც შეამჩნევდა. „რა გატირებთ-მეთქი?“ — ვკითხე. „მებრალეებითო“, — მითხრა და ცრემლები მოიწმინდა. „იმიტომ ხომ არა, რომ ზედმეტი კაცი მაინც გართობდათ?“ — შევნიშნე მე. „განა ეგრე იკლავდით თავს ჩემს გართობაზე?“ — მითხრა მან. მაშინ საგონებელში ჩავვარდი: აბა რა ატირებს-მეთქი? „უბრალოდ მეცოდებით, რომ დმერთმა უწყის, სად მიემგზავრებითო“. ახლა კი მომივიდა გული. აი, რა თვალთ უყურებენ თურმე ჩვენში მოგზაურის სახარბიელო ხვედრს! „ეს რომ შურის ცრემლები იყოს, მაშინ ჩემთვის გასაგები იქნებოდა, ვიფიქრებდი, გული წყდება, რომ მას კი არა, მე მერგო ბედნიერება მოვინახულო ის ადგილები, სადაც არც ერთი ჩვენთაგანი არა ყოფილა, ვნახო ის სასწაულები, რაზე ოცნებაც კი ძნელია, ჩემს წინ გადაიშლება. დიდებული წიგნი, რომლის პირველი ფურცლის წაკითხვა ბევრს არ რგებია წილად...“ ერთი სიტყვით, კარგა ლამაზი სიტყვები დავხარჯე. „კარგია ერთი, ეგ ყველაფერი მეც ვიცი, — მითხრა

მან დალონებით. — ოღონდ რა ფასად დაგიჯდებათ მაგ წიგნის წაკითხვა? დაფიქრდით, რა მოგელით, რას გადაიტანთ, ხომ შეიძლება ველარც მობრუნდეთ!.. ვტირი, რახან მებრალე-ბით და ვიცი, რა დღეშიც ჩაეარდებით. თუმცა, — დაუმატა მან, — ჩემი ცრემლებისა თქვენ არა გჯერათ, მაგრამ მე ხომ საამისოდ არ ვტირი: უბრალოდ მეტირება ღა იმიტომ“.

მაგრამ მოგზაურობაზე ფიქრი სიხარულით მათრობდა. უდარდელად, ხუმრობით ვპასუხობდი, როცა მაფრთხილებდნენ ან ავ რასმე მიწინასწარმეტყველებდნენ, გამგზავრების დღე ხომ ჯერ შორს იყო. დიდი ხანია ოცნებად მქონდა გადაქცეული ეს ამბავი. ვინ იცის, იქნებ სულაც მაშინ აღმეძრა იგი, როდესაც მასწავლებელმა გვითხრა, თუ რომელიმე წერტილიდან შეუჩერებლივ ივლით, ამავე წერტილს მეორე მხრიდან კვლავ მოადგებითო: ჰოდა, მეც მომესურვა, ვოლგის მარჯვენა ნაპირიდან გამგზავრებულიყავ, საცა დავიბადე. და მარცხენა მხრიდან დავბრუნებულიყავ; მომესურვა იქ წავსულიყავ, სადაც მასწავლებლის თითის დადებით ეკვატორი, პოლუსები და ტროპიკები ჩნდებოდა. მაგრამ როცა მერე, რუკებისა და მასწავლებლის ჯოხიდან კუკების, ვანკუვერების გმირობასა და თავგადასავლებზე გადავედი, დავლონდი: სად შეედრებოდნენ მათ ჰომეროსის გმირები, აიაქსები, აქილევსები და თუნდაც ჰერკულესი? მართლაც რომ ბალღებად ჩანდნენ! ხმელეთზე დაბადებული პატარა ბიჭის მფრთხალი გონება, ვისაც ზღვა არასოდეს ენახა, გაოგნებული იყო, რა საშინელებების, რა ხიფათისა და გაკირვების გადატანა უხდებოდათ მეზღვაურებს. მაგრამ ყამთა წითარებამ საშინელებანი და ხიფათი დაჩრდილა და დამავიწყა, წარმოდგენაში ჩამრჩა მხოლოდ ტროპიკული ტყეების, ლურჯი ზღვის, ოქროსფერი, წარმტაცი ცის სურათები.

„არა, პარიზში არ მიმიწევს გული, — გახსოვთ, გავიძახო-ლი მე, — არც ლონდონსა და არც იტალიაში, როგორც არ უნდა შეამკოთ იგი, პოეტო“, — მინდა ბრაზილიის, ინდოეთის ნახვა, მინდა იქ წავიდე, სადაც მზე ქვასაც კი აცოცხლებს და იქვე, გვერდით: ქვად აქცევს ყველაფერს, რასაც კი მიპაი ცე-

¹ ა. ნ. მაიკოვი

ცხლი მოხვდება; სადაც ადამიანი, ჩვენი წინაპარივით, თავის ხელით დაუთესავ ნაყოფს კრეფს, სადაც ლომი დაძრწის, სადაც გველი დაიკლავნება, სადაც მუდამ ზაფხული მეფობს, — იქ, იმ დალოცვილი ქვეყნის ნათელ სრა-სასახლეებში, სადაც ბუნებას ვნების ცეცხლი წაჰკიდებია, სადაც კაცს სუნთქვა ეკვრის, სადაც ცხოვრება საშინელი და მომხიზვლელია, სადაც დაუძღურებული ფანტაზია მუნჯდება მზა ქმნილებათა წინაშე, სადაც თვალი არასოდეს დაიღლება ცქერით და გული ძვრით.

ყოველივე იღუმალებით მოსილი, ფანტასტიურად მშვენიერი იყო იმ ჯადოქრულ შორეთში: ბედნიერები მიემგზავრებოდნენ და ბრუნდებოდნენ, მომხიზლავად, მაგრამ კანტიკუნტად ყვებოდნენ სასწაულებზე, ბალღურად მაჯელობდნენ მსოფლიო საიდუმლოებებზე. მაგრამ აი, გამოჩნდა კაცი, კაცი ბრძენი და პოეტი და გააშუქა საიდუმლო კუთხეები. ის გაემგზავრა იქ კომპასით, წერაქვით, ფარგლითა და ფუნჯით, გაემგზავრა შემოქმედის და გამჩენის რწმენით, მისი შექმნილი ქვეყნის სიყვარულით სავსე გულით. მან შეიტანა სიცოცხლე, აზრი და გამოცდილება ქვის უდაბნოებში, უკაცურ ტყეებში და ნათელი გონების ძალით სხვა ათასებს გზა გაუკვალა. „კოსმოსი!“ მეტის სიმწვავეით მომწყურდა ცოცხალი თვალთ მენახა ცოცხალი კოსმოსი. ვფიქრობდი: „აი, რომ ნდობით ჩამეკიდებინა ხელი ამ ბრძენისათვის, ვითარცა ბალღა ჩაჰკიდებს უფროსს, ყურადღებით მომესმინა და იმდენი მაინც გამეგო, რამდენსაც ბალღი გაიგებს გამზრდელის მსჯელობიდან, ამ მცირეოდენი ჰკუთის სწავლითაც გავმდიდრდებოდი“. მაგრამ ეს ოცნებაც სხვა ბევრთან ერთად წარმოდგენია ფსკერზე დაილექა. დღე დღეს მისდევდა, ცხოვრება სხვას არას მიქადდა, სიცარიელის, ბინდისა და ერთფეროვანი დღეების მეტს: თითქო ცალ-ცალკე განსხვავებული დღეები წლების ერთ დამღლეულ-ერთფეროვან მასაში ითქვიფებოდა. ვამთქნარებდი მუშაობის უამს, ვამთქნარებდი წიგნზე, ვამთქნარებდი წარმოდგენაზე, და ასევე პირი მეხეოდა მთქნარებით ხმაურიანი ყრილობა იქნებოდა ის ხალხისა თუ მეგობართან საუბარი.

და აი, სრულიად მოულოდნელად მკვდრეთით აღმიდგა

ჩემი ოცნებანი, გამოიღვიძა მოგონებებმა, გამახსენდა რა ხანია მივიწყებული დედამიწის ირგვლივ მოგზაური გმირება. მოულოდნელად მეც იმათ ნაკვალევს უნდა მივსდიო დედამიწის შემოსავლელად! სიხარულით გამაჟრჟოლა, როცა ვიფიქრე, რომ ჩინეთში, ინდოეთში ამოვყოფდი თავს, გადავცურავდი ოკეანეებს, ფეხს დავადგამდი იმ კუნძულებზე, სადაც პირველყოფილი უბრალოებით დასეირნობს ველური, ვნახავდი სასწაულებს — და ჩემი ცხოვრება აღარ იქნებოდა წვრილმან, თავმოკაბეზრებელ მოვლენათა უქმი ანარეკლი. თითქო ახალი სული ჩამედგა; სიყმაწვილის ყველა ოცნება და იმედი, თვით სიყმაწვილე ხელახლა დამიბრუნდა. ჩქარა, ჩქარა უნდა გავუდგე გზას!

მაგრამ როცა ჩემი წასვლა გადაწყდა, უცნაურმა გრძნობამ ამიტანა: მხოლოდ მაშინ შევიგრძენ ნათლად და მთლიანად, რა მძიმე უღელში გავყავი თავი. წარმტაცი ოცნებები კარგა ხნით გაფერმკრთალდნენ, აქეთმა საგმირო გადაწყვეტილებამ წარმოდგენა ლამის ჩამიხშო, ძალა დღითი დღე მელეოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავრების დღე, ნერვებმა თანდათან მიმტყუნა. უკვე მშურდა დარჩენილთა ბედი. მიხაროდა, როცა რაიმე დაბრკოლება მელობებოდა და ვაზვიადებდი სიძნელებს, რომ დარჩენის საბაბი მომენახა. მაგრამ ბედი თუ სხვა დროს ჩვენს გადაწყვეტილებებს მეტწილად ხელს უშლის, ახლა თითქო მიზნად დაესახა ხელი შეეწყო. აღამიანებსაც კი, სულ უცნობებს, ზოგჯერ ზედზე უფრო მიუდგომლებს, თითქო პირი შეეკრათ საქმის მოსაგვარებლად. შინაგანმა ქიდილმა, მღელვარებამ დამიმორჩილა, თითქმის ილაჯი გამიწყვიტა. „სად მივდივარ? ეს რა განვიზრახე?“ შიშის ზარს მცემდა, როცა სხვების სახეზეც ამ კითხვებს ვკითხულობდი. თანაგრძნობა მათრთობდა. გულჩათუთქული ვუყურებდი, რარიც ცარიელდებოდა ჩემი ბინა, როგორ გაჰქონდათ ავეჯი, საწერი მაგიდა, მყუდრო სავარძელი, დივანი. დავტოვო ყოველივე ეს, მერე რისი გულისათვის, რაზე გავცვალ?

ჩემი ცხოვრება თითქოს გაორდა, ან თითქოს მომცეს ორი ცხოვრება, ორ სამყაროში დამაბინავეს. ერთში — უბრალო მოხელე ვიყავ, ფორმის სერთუჟი მეცვა, უფროსის გამოხედ-

ვა გამბედაობას მიკარგავდა, გაცივება მაფრთხობდა, რამდენიმე ათეულ, ერთიმეორის მსგავს ადამიანებთან ერთად ოთხ კედელში გამომწყვდეული. მეორეში ახალი არგონავტი ვიყავ, ჭილის ქუდი მეხურა, მეცვა თეთრი სელის ქურთუკი, იქნებ, საღეჭი თამბაქოც მქონდა პირში, ზღვების უფსკრულებზე ოქროს ვერძის მოსატაცებლად მიუწვდომელ კოლხიდაში მავისწრაფოდი, ყოველ თვე კლიმატს, ცას, ზღვებსა და სახელმწიფოებს ვიცვლიდი. აქ მე მოხსენებათა, მიმართვათა და განკარგულებათა რედაქტორი გახლდით; იქ — ლაშქრობის პოეტი, თუმცა *ex officio*¹. როგორ გადავიტანო ეს მეორე ყოფა, როგორ გავხდე სხვა სამყაროს მოქალაქე? რა გზით შევეცვალო მოხელის სიფრთხილე და რუსი ლიტერატორის აპათია მეზღვაურის ენერგიით, ქალაქელის გააზიზებული ბუნება — მატროსის სიტლანქით? ბედს არ ურგუნებია ჩემთვის არც სხვა სული და არც სხვა ნერვები. მოდი და პეტერგოფსა და პარგოლოვოში სეირნობას ჩვეულმა კაცმა პირდაპირ ეკვატორზე გადააბიჯე, იქიდან სამხრეთ პოლუსის საზღვრებამდე გაემგზავრე, სამხრეთ პოლუსიდან ჩრდილოეთამდე, გადასცურე ოთხი ოკეანე, წრე შემოარტყი ოთხ კონტინენტს და ამასთან დაბრუნების იმელი იქონიე... სინამდვილე საადრო ღრუბელივით მიახლოვდებოდა; როცა მომავალი მგზავრობის დაწვრილებით ანალიზს ვიწყებდი, სულში წვრილმანი შიში იბუდებდა. თვალწინ დამიდგებოდა ზღვის ავადმყოფობა, კლიმატის შეცვლა, ტროპიკული პაპანაქება, ავთვისებიანი ციებციხელება, ნადირნი, ველურები, ქარიშხლები, განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი. მართალია, ჩემი მეგობრების ხან გულისამაჩუყებელ, ხან სასაცილო გაფრთხილებებს უდარდელად ვპასუხობდი, მაგრამ შიში ხშირად მიხატავდა დღისით თუ ღამით უბედურების და ხიფათის ლანდებს. ხან თვალწინ დამიდგებოდა კლდე, რომლის ძირშიც ჩვენი დამსხვრეული ხომალდა გდია, დასახრჩობად განწირულები ამოდ ვეპოტინებით დაღლილი ხელებით სიპ ქვებს; ხან მესიზმრებოდა, რომ გემის ნამსხვრევებით უდაბურ კუნძულზე გამორიყული შიმშილით

¹ მოვალეობით (ლათ.)

ვკვდები... და მეც მელვიძებოდა აცახცახებულს, შუბლზე
ოფლს მასხამდა.

რაც არ უნდა გამძლე, რაც არ უნდა მოხერხებული იყოს
გემი, მაინც რას წარმოადგენს? ნაფოტს, კალათას, ადამიანის
ძალისა და შეძლების ეპიგრამას; ვშიშობდი, გაუძლებს კი
მიუჩვეველი ორგანიზმი ათას მკაცრ, სასტიკ გარემოებას,
მშვიდობიანი ცხოვრებიდან მოხეტიალე ყოფის ახალ მკვეთრ
მოვლენებთან კიდილზე ასე ერთბაშად გადასვლას? და ბო-
ლოს, ეყოფა კი სულს ძალა ჩაიტიოს ამა ქვეყნის უცაბედად,
მოულოდნელად გადაშლილი სურათები? განა ეს თითქმის ტი-
ტანური კადნიერება არ გახლავთ! რა მომცემს ძალას, რომ
აღვიქვა აუარება დიდებული შთაბეჭდილებანი? და როცა
სულში ეს დიდებული სტუმრები შემოიჭრება, ხომ არ დაიბ-
ნევა მასპინძელი ამ ნადიმობის უამა?

როგორც შემეძლო ვუმკლავდებოდი ამ ჩემს ექვებს: ზო-
გი დავძლიე, ზოგი მანამდე გადავდე გადასაწყვეტად, ვიდრე
შათი ჯერი დადგებოდა, ჰოდა, ნელ-ნელა სიმხნევეც მოვიპო-
ვე. გავიხსენე, რომ ეს ხომ უკვე მაგელანის გზა აღარ იყო,
რომ გამოცანები და შიში უკვე დასძლიეს ადამიანებმა. კო-
ლუმბისა და ვასკო დე გამას დიდებული სახე კი არ უქვრეტს
გემბანიდან შორეთს იმის გამოსაცნობად, თუ რა ელის წინ:
სახეჭარხალა ინგლისელი ლოცმანი, ლურჯ ქურთუქში, ტყა-
ვის შარვალში გამოწყობილი და რუსი შტურმანი, უმწიკვლო
სამსახურისათვის წარჩინების ნიშნით დაჯილდოებული, თი-
თით აჩვენებენ გემს გზას და არასოდეს ცდებიან გემის მის-
ვლის დღესა და საათის დანიშვნაში. მეზღვაურთა შორის
დგას ლიტერატორი, გულგრილად ამთქნარებს და ზანტად გას-
ცქერის ოკეანის „თვალუწვდენ სივრცეს“, ისღა ადარდება
არის თუ არა ბრაზილიაში კარგი სასტუმროები, ან იშოვია
კი შრეცხავს სანდვიჩის კუნძულებზე, ან რითი დადიან ავს-
ტრალიაში? „სასტუმროები ჩინებულია, — ამშვიდებენ მას, —
სანდვიჩის კუნძულებზე ყველაფერი დაგზვდებათ: გერმანუ-
ლი კოლონია, ფრანგული ოტელები, ინგლისური პორტერა,
ყველაფერი, გარდა ველურებისა“. ავსტრალიაში კარეტებიც
არის და კალიასკებიც; ჩინელებს ახლა ირლანდიური ტილო
აცვიათ; ოსტ-ინდოეთში ყველანი ინგლისურად ლაპარაკობენ:

ამერიკელი ველურები ტყეებიდან პარიზა და ლონდონში მობიან, უნივერსიტეტებში შესვლას თხოულობენ; 'მავკანიანებს უკვე რცხვენიათ თავიანთი კანისა და თანდათანობით ეჩვევიან თეთრი ხელთათმანების ტარებას. დიდი დავიდარაბა და ფულია საჭირო, რომ მახრჩობელას რგოლებში ან ვეფხვისა და ლომის კლანჭებში მოხედე. ჩინეთი დიდხანს იმაგრებდა თავს. მაგრამ ეს ძველმანებით სავსე სკივრიც გაიხსნა — თოფისწამალმა ახადა სახურავი. ევროპელი იქექება ამ სიძველეში. რაც მოერგება, ამოაქვს, აახლებს, ერთი სიტყვით, თავის ნებაზე ფარფაშებს... კიდეც ცოტა ხანი და აღარ დარჩება არც ერთი სასწაული, არც ერთი საიდუმლოება, არც ხიფათი და ფათერაკი. ახლა ზღვის წყალსაც მტკნარად ხდიან, ნაპირიდან ხუთი ათას ვერსზე ქორფა მწვანილს და ნანადირევს მოგართმევენ; ეკვატორთან რუსულ კომბოსტოსა და შჩის მიირთმევენ. მსოფლიოს ნაწილები სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს: ევროპიდან ამერიკა უკვე ერთ ნაბიჯზეა; ამბობენ, მალე მხოლოდ ორმოცდარვა საათი მოუნდება გზასო, — ზღაპარია, ხუმრობაა? მართალია, მაგრამ თანამედროვე ზღაპარია, რომელიც ზღვაოსნობის მომავალ გიგანტურ წარმატებებზე ნართაულად ჩაგვიკრავს.

მაშ ჩქარა, ჩქარა გავუდგეთ გზას! შორეულ მგზავრობის პოეზია დღითი დღე კი არა, საათობით ქრება. ჩვენ იქნებ უკანასკნელი მგზავრები ვიყოთ, არგონავტების მნიშვნელობით: დაბრუნებისას კიდეც შეიძლება ვისიმე თანაგრძნობა და შური დავიმსახუროთ.

ოცნებებივით თითქოს შიშიც დაწდა და დაილექა: მხოლოდ უსაზღვრო სივრცე და განუცდელ სიამოვნებათა რიგი მიტყუებდა და მიწვევდა თავისკენ. მკერდი ლალად სუნთქავდა, უკვე სამხრეთის სიომ დაჰბერა, ლურჯი ცა და წყალი მხიბლავდა. მაგრამ ერთბაშად ამ პერსპექტივის უკან ისევ მრიახანე მოჩვენება აიმართებოდა და რაც უფრო ვიჭრებოდი მგზავრობის ფიქრებში, მით უფრო იზრდებოდა. ეს მოჩვენება ის ფიქრი გახლდათ, თუ რა აკისრია მწიგნობარ მოგზაურს თავის თანამემამულეთა წინაშე, საზოგადოების წინაშე, რომელიც თვალს ადევნებს ზღვაოსნებს? იაპონიაში წასული ექსპედიცია ნემსი ხომ არ არის, რომ დაიმალოს ან დაიკარგოს. ახლა

იტალიაშიც კი ვერ წავა კაცი, ვისაც ერთხელ მაინც აუღია კალამი, რომ საზოგადოებამ არ შეიტყოს. აქ კი მთელი ქვეყანა უნდა შემოიარო და ეს ამბავი ისე მოუთხრო, რომ არავის მოსწყინდეს, ან არავინ აიტანოს მოუთმენლობამ. მაგრამ როგორ, ან რა უნდა მოჰყვე და ასწერო? ეს იგივეს - ნიშნავს, კაცმა იკითხო, რა სახით წარვდგე საზოგადოებაში?

არავითარი მეცნიერება არ არსებობს მოგზაურობებზე: ავტორიტეტები, დაწყებული არისტოტელიდან ლომონოსოვის ჩათვლით, სდუმან; მოგზაურობანი არ მოხვედრილან რატორიკის ხელქვეითობაში, ასე რომ, მწერლის ნებასურვილზეა მიგდებული, თუ უნდა მეცნიერული ცნობისმოყვარეობით გაიკვლიოს გზა მთებზე წიალში ან ოკეანეების სიღრმეში ჩაეშვას, არადა შთაგონებით ფრთაშესხმულმა სწრაფად გადასცუროს ისინი და გაკვრით ასახოს ქალღმერთზე; უნდა ისტორიულად, სტატისტიკურად აღწეროს ქვეყნები და ხალხები, უნდა მხოლოდ დუქნების სიკარგეზე და სიავეზე მოუთხროს. ერთი სიტყვით, არავის აქვს ამდენი თავისუფლება და არავის არ უჭირს ამიტომ ესოდენ წერა, როგორც მოგზაურს. როგორ მოიქცეს, ილაპარაკოს ქარების თეორიაზე, გემის მიმართულებაზე და გემზე, განედებზე და სიგრძედებზე, თუ მოახსენოს, რომ ესა და ეს ქვეყანა ოდესღაც წყალქვეით იყო, რომ ეს და ეს ფსკერი ოდესღაც ხმელეთს წარმოადგენდა, ეს კუნძული ცეცხლმა წარმოშვა, ის კი ნესტმა; ამ ქვეყნის ისტორია ამა და ამ დროიდან იწყება, ხალხი აქედან წარმოიშვა, თანაც ბეჯითად ამოიწერო ავტორიტეტულ მეცნიერთა წიგნებიდან, საიდან და რა გზით. მაგრამ თქვენ უფრო მეტს მოითხოვთ. რასაც მე ვამბობ, ძალიან მნიშვნელოვანია; მოგზაურისათვის დიდი სირცხვილია ყოველდღიურ საქმეებში ჩაფლობა; მან უნდა თავი გამოიღოს მეტწილად იმაზე, რაც დიდი ხანია აღარ არსებობს, ან რაც იქნებ იყო, ან იქნებ არ იყო. „ეგ მეცნიერულ საზოგადოებას, აკადემიას გაუგზავნეთ, — მეუბნებით თქვენ, — სხვადასხვა განათლების ხალხთან საუბრისას კი სხვანაირად დასწერეთ. გვაჩვენეთ სასწაულები, პოეზია, ცეცხლი, სიცოცხლე და ფერები!“

სასწაულები, პოეზია! აკი მოგახსენეთ, სასწაულები აღარ არსებობს-მეთქი: მოგზაურობამ დაჰკარგა სასწაულებრივი ხა-

სიათი. მე არ შევბმივარ ლომებსა და ვეფხვებს, არ მიგემია ადამიანის ხორცი. ყველაფერი უფრო პროზაულად მოხდა. კოლონისტები მონებს აღარ აწამებენ, ზანგების მყიდველებსა და გამყიდველებს ვაჭრებს აღარავენ ეძახის, მათ უკვე ყაჩაღებად თვლიან; უდაბნოებში სადგურებსა და ოტელებს აწყობენ; უძირო უფსკრულებზე ხიდებს კიდებენ. მე კომფორტულად, უსაფრთხოდ გავიარე პორტუგალიელებითა და ინგლისელებით საესე მადერასა და მწვანე კონცხის კუნძულები. კეთილი იმედის კონცხზე პოლანდიელები, ზანგები, პოტენტოტები და კვლავ ინგლისელები დამხვდნენ; მალაის არქიპელაგსა და ჩინეთში მალაელები, ინდუსები და ისევ ინგლისელები ვიხილე. ან რა სასწაულია ახლა პალმა და ბანანი სურათზე კი არა, სინამდვილეში, იმათ მშობლიურ ნიადაგზე ნახო, რომაული კიტრისოდენა ჰუავი, მანგუ და ანანასი პირდაპირ ხიდან მოწყვიტო, და არა სათბურებში მოწეული, გაღეული და გამომზმარი ჭამო? რა საკვირველებაა ქოქოსების უსიერ ტყეში გზა აგერიოს, კომკივით მაღალ ხეებს შუა დაკლაკნილ ლიანებში გაიხლართო და ჩვენ ფერადკანიან უცნაურ ძმებს შეხვდეს? ან რა ვთქვა ზღვაზე? ისიც ჩვეულებრივი გახლავთ ყოველ დროს, აღელვებული თუ წყნარი, ცაზეც იგივე ითქმის, შუადღისას იქნება, საღამოს თუ ღამით, ვარსკვლავებით მოკენჭილი. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი რამაა და ასეც უნდა იყოს. პირიქით, მე თურმე სასწაულები მანდ დამიტოვებია: ტროპიკებში იმათ ვერ ნახავ. აქ ყველაფერი ერთნაირია, ყველაფერი უბრალოა. აქ წლის ორი დროა, ისიც ასე ამბობენ, თორემ არც ერთიც არაა: ზამთარში ცხელა, ზაფხულში პაპანაქებაა; თქვენ კი მანდ, „შორეულ ჩრდილოეთში“, ოთხი სეზონი გაქვთ, ისიც კალენდრით დაწესებული, სინამდვილეში კი შვიდი თუ რვა გამოდის. დაწესებულის წინააღმდეგ, მანდ აპრილში მოულოდნელად ზაფხული დგება, სიცხით ითანგები, ივნისში კი დაუპატყებელი ზამთარი გეწვევა, ხანდახან თოვლიც კი წაფიფქავს მიწას, მერე უცბად ისეთი სიცხე დააჭერს. ტროპიკებსაც კი შეშურდება, ხუთი წუთით ყველაფერი აყვავდება და სურნელს აფრქვევს ამ საშინელ სიცხეში. წელიწადში სამჯერ ფინეთის ყურე და მისი ლეგა ცა ცისფრად იფერება, ერთმანეთის ცქერით ველარ ძლებიან, პეტერბურ-

გიდან პეტერგოფში მიმავალი ჩრდილოელი კაცი კი ვერა და ვერ დამტკბარა ამ იშვიათი „სასწაულით“, ხარობს უჩვეულო სიციხეში, და მის ირგვლივაც ყველაფერი გახარებულა: ხე, ყვავილი, პირუტყვი. ტროპიკები კი მუდმივი ზეფირის ქვეყანაა, მუდმივი სიციხის, სიმშვიდის, ცისა და ზღვის სილურჯის. ყველაფერი ერთფეროვანია!

პოეზიამაც უღალატა თავის წმიდა სილამაზეს. თქვენი მუზები, ძვირფასო პოეტებო¹, პარნასის კანონიერი ასულები ველარ მოგაწვდიდათ მორჩილ ჩანგს, არ გიჩვენებდათ იმ პოეტურ სახეს, რომელიც ახალ მოგზაურს თვალში ეცემა! მერე რა სახეს! არც სილამაზის შარავანდედით მოსილს, არც ძლიერების ატრიბუტებით შემკულს, დემონიური ძალა იმას თვალეში არ უკრთის, მახვილი არ უჭირავს, გვირგვინი არ ადგას, უბრალოდ, შავი ფრაკი აცვია, მრგვალი ქუდი ხურავს, თეთრი ყილეტი მოუჩანს, ხელში ქოლგა უჭირავს. მაგრამ ეს სახე ბატონობს ახლა მსოფლიოში გონებასა და ვნებათაღელვაზე. ის ყველგანაა: მე შეეხვდი მას ინგლისში — ქუჩაზე, მაღაზიის დახლთან, საკანონმდებლო პალატაში, ბირჟაზე. ამ ლურჯთვალეზა ტიპის მთელი მოხდენილობა მარმაშა, ქათქათა პერანგის, სუფთად გაპარსული ნიკაპის, ლამაზად დავარცხნილ ქერა თუ წითურა ქილვაშების სილამაზეა. მე მოგწერეთ, როგორ მიგვერეკებოდა ძლიერი ქარი, ძვალ-რბილს გვიყინავდა სიცივე, როგორ ჩავიარეთ სწრაფად ევროპის ნაპირები და მადერას მთის ძირში პირველად გვეფრქვია მზის ტკბილი სხივი. კუშტი, ყომრალი ცისა და ისეთივე ზღვის შემდეგ ცისფრად ატორტმანდა ტალღები, გამოჩნდა კაშკაშა ლურჯი ცა. რა თავდავიწყებით გავექანეთ ნაპირისაკენ, რა არის მიწის ცხელი სუნთქვით გავმთბარეყავით, რა ნეტარებით ვისუნთქავდით ნაპირიდან ერთ ვერსზე მობერილ ყვავილების სურნელებას. აღტაცებით გადმოვხტი აყვავებულ ნაპირზე, ოლეანდრების ძირში. გადავდგი ნაბიჯი და შეცბუნებული, შეწუხებული გავქვავდი: როგორ, ამ ცის ქვეშაც, ზღვისა და მცენარეებისათასფრად ბრწყინავ სამეფოშიც... იდგა ეს სამი ნაცნობი სახე, შავ სამოსში გამოწყობილი, მრგვალი ქუდებით თავზე! ქოლ-

¹ ვ. გ. ბენედიქტოვი და ა. ნ. მაიკოვი.

გებზე დაყრდნობილები ზვიადად გაჰყურებდნენ ლურჯი თვალებით ზღვას, გემებს, მათ თავზე წამოყუდებულ ვენახებით დაფარულ მთას. მთაზე აედოოდი; ტალღების ქვეშ, ვაზი ჩაფრასტებს შუა, იგივე სახე დამიდგა თვალწინ. ცივად, მკაცრად უთვალთვალედა იგი, სამხრეთის შავგვრემანი მცხოვრებლები რა ოფლს აწურავდნენ თავიანთი მიწა-წყლის ძვირფას წვენს; კასრებს ნაპირიანკენ მოაგორებდნენ შორს გასაგზავნად, რამეთუ მბრძანებლისაგან თავიანთი მიწა-წყლის პურის ჰამის უფლება მოეპოვებინათ. ოკეანეში სხვა გემებს რომ გადაეყრებოდით, იგივე ტიპები ჩანდა გემბანებზე და პირმოკუმული სტვენდნენ: „Rule, Britannia“¹. მე ვხვდებოდი მუთ აფრიკის უდაბნოებში, ზანგების მოთვალთვალის როლში, ინდოეთსა და ჩინეთში, ჩაის საპალნეებთან, თვალთ თუ სიტყვით თავის მშობლიურ ენაზე მბრძანებლობდნენ ხალხებს, გემებს, ზარბაზნებს, თავის ნებაზე ამოძრავებდნენ ბუნების უსაზღვრო ძალას... ყველგან, ყოველ კიდეში დაძრწის ინგლისელი ვაჭრის ეს ტიპი, დაბატონებია სტიქიასა და ადამიანის შრომას, დაუძლევია ბუნება!

მაგრამ კმარა, მგონი, pas de géants:² მოდი, ვიმოგზაუროთ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. მე უკვე მოვასწარი თქვენთან ერთად მომეველო პალმების ტყეები, ოკეანეთა სივრცენი, თუმცა კრონშტადტიდან ფეხი არ გამიდგამს. ეს თურმე არც ისე იოლი ყოფილა: როცა სადმე სალოცავად, ვთქვათ, კიევში აპირებთ კაცი წასვლას, ან სოფლიდან მოსკოვისაკენ დაძვრას განიზრახავს, ერთ დავიდარებაშია, ათჯერ მაინც ჩაებვევა გამოსათხოვრად ნათესავ-მეგობრებს, ისაუზმებს, ჩამოჯდება და ა. შ. მაშ წარმოიდგინეთ, რა დრო უნდა მოუხდეს, რომ ოთხასიოდე კაცი იაპონიაში გაემგზავროს. სამჯერ გავემგზავრე კრონშტადტში, სამჯერვე რაღაც არ იყო მზად. გაგზავრებას ერთი დღით გადასდებდნენ, მეც უკან გამოვბრუნდებოდი, რა არის ერთი დღე კიდე გამეთია იქ, სადაც ჩვიდმეტი წელი გავატარე და სადაც ცხოვრება მომბეზრებოდა. „ნეტავ თუ კიდე ვიხილავ ამ გუმბათებსა და ჯვრებს

¹ „იმეფე, ბრიტანია...“ (ინგლისური ჰიმნის პირველი სტრიქონი).

² გიგანტური ნახტომები. (ფრანგ...)

ისევ?“ — ვფიქრობდი მე, როცა მეოთხედ და უკანასკნელად დავემშვიდობე პეტერბურგის ინგლისის სანაპიროს.

ბოლოს, 7 ოქტომბერს, ფრეგატმა „პალადამ“ ლუზა აუშვა. იმ დღიდან დაიწყო ჩემთვის ახალი ცხოვრება, სადაც ყოველი მოძრაობა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი შთაბეჭდილება ასე არ ჰგავდა წინანდელს.

მალე აქამდე უძრავ ფრეგატზე ყველაფერი და ყველა შეწყობით აფუსფუსდა. მთელმა ოთხასი კაცისაგან შემდგარმა ეკიპაჟმა გემბანზე მოიყარა თავი, გაისმა ბრძანება, მეზღვაურებიდან ბევრი ზემოთ აცოცდა ვანტებზე, ბუზებივით მოედნენ ქანდარებს და ხომალდს აფრების ფრთები გამოასხეს. მაგრამ ზურგქარი არ ქროდა, ამიტომ ყურეში ღონიერმა გემმა გავვიყვანა და განთიადისას მობრუნდა უკან. ჩვენ კი საკმაოდ ძლიერ, ანუ როგორც მეზღვაურები ეძახიან, „გრილ“ ქარს შევებით. ხომალდი ძლიერად დაირწა. მაგრამ ამ პირველმა ქარიშხალმა ჩემზე ნაკლებად იმოქმედა: ზღვაზე არასდროს ვყოფილვარ და მეგონა, ასე უნდა იყოს, სხვანაირად არც შეიძლება-მეთქი ვიფიქრე, ხომალდს მუდამ ასე უნდა აქანებდეს ორივე მხარეს, გემბანი ფეხიდან გეცლებოდეს და ზღვა თითქო თავზე გემხოვოდეს.

მე კაიუტ-კამპანიაში ვიჯექი, გაოცებული ვუგდებდი ყურს, როგორ ზუზუნებდა ქარი გემსართავებში და როგორ ეტყლაშუნებოდა ტალღები ხომალდის გვერდებს. ზევით ციოდა; სუსხიანი წვიმა სახეში ირიბად გეცემდა. ოფიცრები უღარდელად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, თითქო ნაპირზე, ოთახში არიან მიყუყულნიო. ზოგი კითხულობდა. უეცრივ შემზარავი სტვენა გაისმა, მაგრამ ქარი კი არ იყო, ბოცმანების სასტვენო გახლდათ. შემდეგ ყველა გემბანზე ათიოდე ხმამ დაიღრიალა: „ყველანი ზემოთ!“ იმ წამსვე ფრეგატის მაცხოვრებლები ყველანი ზევით აიჭრნენ; ჩამორჩენილ მეზღვაურებს ბოცმანები აჩქარებდნენ. ოფიცრებმა მიპყარეს წიგნები, რუკები (გეოგრაფიული: სხვას იქ ვერ ნახავ), მიატოვეს საუბარი და სასწრაფოდ იქითკენ გაიქცნენ. ხამ კაცს მოეჩვენება, რომ რაღაც უბედურება მოხდა, თითქო რაღაც გატყდა, გაწყდა და გემი ახლავე ჩაიძირება. „ყველას რად ეძახიან ზევით?“ — ვკითხე მიჩმანს, რომელმაც გვერდით ჩამირბინა.

„ყველას ზევით უსტვენენ, როცა საავრალო სამუშაოა“, — მითხრა მან აჩქარებით და გაქრა. მეც ძლივს ავბობლდი ტრაპებითა და თოკების დახმარებით გემბანზე და კუთხეში მივდექი. ყველანი დაფუსფუსებდნენ. „რას ჰქვია საავრალო სამუშაო?“ — ვკითხე მეორე ოფიცერს. „როცა ყველას ზევით უსტვენენ“, — მომიგო მან და საავრალო სამუშაოს მოჰქიდა ხელი. შევეცადე წარმომედგინა, ეს რა სამუშაო იყო და დავაქერდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე: იმასვე აკეთებდნენ, რაც გუშინ გააკეთეს და რასაც ალბათ ხვალაც გააკეთებენ: ჭიმა-ვდნენ გემსართავებს, აბრუნებდნენ რეებს, კეცავდნენ იალქნებს. ოფიცერებმა წმინდა სიმართლე მითხრეს, მეც ეგრე უბრალოდ უნდა გამეგო, როგორც ნათქვამი იყო — მთელი საიდუმლოებაც ეს გახლდათ. საავრალო სამუშაო ნიშნავს — საყოველთაო მუშაობას, როცა ერთი ვახტა ვერ აუღის საქმეს, ყველას დახმარებაა საჭირო და ამიტომაც ყველას „ზევით უსტვენენ!“ ინგლისურად, თუ არ ვცდები, ასეც გასცემენ ბრძანებას „ყველა ხელი ზემოთ!“ (all hands up!) ხუთი წუთის შემდეგ, საჭირო რაც იყო, რომ გააკეთეს, ყველანი თავთავიანთ ადგილებზე წავიდ-წამოვიდნენ. ბ[არონი] კ[რიდნერი] ჩემგან სამიოდე ნაბიჯზე ქარიშხლის ზუილში რომელიდაც ოპერის არიას უსტვენდა. დავაპირე მასთან მისვლა, მაგრამ ამოდ: ფეხები არ მემორჩილებოდა და ჩემს ყოველ ცდაზე იხიცი სიცილით კვდებოდა. „საზღვაო ფეხები ჯერ არ გამოგბმიათ“, — მითხრა მან. „მალე მექნება-მეთქი?“ — ვკითხე მე. „ალბათ, ორიოდ თვის შემდეგ“. ამოვიოხრე: სხვა რაღა დამრჩენოდა ოხვრის მეტი, თუკი ორიოდ თვე კიდევ გადიას კალთას ჩაბლაუჭებული, ახალფეხადგმულივით ვივლიდი. მალე გამოაჩნდათ ზღვის ავადმყოფობა ახალგაზრდებს, ან ვისაც ეს სენი სჭირდა, ან არადა დიდი ხანია ზღვაში არ გასულან. ველოდი როდის მოვიხდი მეც ამ აბეზარ ვალს ზღვის წინაშე. ველოდი კი აუცილებლად. ხოლო ამასობაში სხვებს ვადევნებდი თვალს: აგერ, ყმაწვილი გარდემარინი გაფითრდა და სკამზე დაეშვა; თვალეები მიებნიდა, თავი გვერდზე ჩამოუვარდა. აი, გამოცვალეს გუშაგი, ჩააბარა თოფი და თავქუდმოგლეჯით წინაერლოზე გაქანდა. ოფიცერს უნდოდა რაღაც დაეყვირა მეზღვაურებისათვის, მაგრამ უეცრივ ზღვისკენ იბრუნა

პირი და ქიმზე გადაეკიდა... „მგონი, თქვენც ავეშალათ?“ — ეკითხება მეორე. (აშვება, აშლა — ეს ნიშნავს ნელ-ნელა ბაგირის გაშლას). ძლივს ასწრებ, ხან ერთს მოშორდე დროზე და ხან მეორეს... „არაყი დალიეთ“, — მეუბნებიან ზოგიერთები. „არა, ლიმონის წვენი სჯობია“, — მირჩევენ სხვები; მესამენი ხახვსა თუ ბოლოკს მთავაზობენ. აღარ ვიცი, რა ზომებს მივმართო ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ, და სიგარას ვაბოლებ. ავადმყოფობა არა და არ მეყრება, შეშფოთებული დავდივარ ავადმყოფებს შორის და ველი, აი, საცაა მეც დაძვეყება-მეთქი. „ამ რწევაში სიგარას აბოლებთ და კიდევ ელით, რომ დაგარწევთ: ტყუილად გგონიათ!“ — მოთხრა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა. მართლაც თურმე ტყუილად ველოდა: მთელი გზა არც ერთხელ არ მიგრძვნია გულისრევა და მეზღვაურებიც კი შურის თვალთ მიცქერდნენ.

როგორც კი ხომალდზე შევდგი ფეხი, იმ წუთიდან შევუდექ დათვალიერებას. ახლაც მახსოვს ის მძიმე შთაბეჭდილება, როცა პირველად დავათვალიერე ხომალდის შემადგენელი ნაწილები, როცა გული შემეკუმშა, ტრიუმის თავგის სორობივით ბნელ კუნჭულში რომ ჩავიხედე, სადაც ხელისგულის სისქე შუშიდან ძლივს ატანს მკრთალი სინათლე. პირველ შეხედვაზე უსიამო შთაბეჭდილება გექმნება იმაზე, რაც შემდეგ მიჩვეულ თვალს უკვე მოსახერხებლად და მარჯვედ გეჩვენება: სინათლის ნაკლებობა, სივიწროვე, საძვრომები, რომლებიც თითქო ადამიანებს ყლაპავენ, კედლებზე მიკრული კომოდები და ღივნები, იატაკზე დაბმული მაგიდები და სკამები, მძიმე ქვემეხები, იქვე, ქვემეხებთან კრანცებზე, როგორც ლანგრებზე, რიგებად დაწყობილი ყუმბარები და ფინდიხები; დაზვინული გამსართავები, რომელთაგან ზოგი ჰკილია, ზოგი აწყვია, ზოგი ირხევა და ზოგი უმოძრაოდ გდია, ლოგინის ნაცვლად საწოლები, ზედმეტი არაფერი; ამ მცურავი სადგომის ადამიანებსა თუ მოწყობილობას ვითომ ლამაზი უწესრიგობისა და ულამაზო უთავბოლობის ნაცვლად წესრიგი და სიკონტავე სჩვევიათ. მორიდებით, შიშით დააბიჯებს პირველად მოსული კაცი ხომალდზე: კაიუტა კუბოდ ეჩვენება, თუმცა ხალხმრავალ ქალაქში, ახმაურებულ ქუჩებში ნაკლება საფრთხე როდი ელის, ვინემ ამ მკვიდრად ნაგებ იალქნის

ხომალდზე ოკეანეში. მაგრამ ეს ქეშმარიტება არცთუ ისე მალე ვიწამე...

ფრეგატზე რომ მოვედი ჩემი ბარგიბარხანიანად, არ ვიცი, საით წავსულიყავ, ამ უცბო ხალხში ოზოლოვით გავჩერდი. გაკვირვებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით და ირგვლივ შემოწყობილ ჩემს ბარგს დავეყურებდი. არ გაუვლია წუთს, რომ სამი ოფიცერი მომიახლოვდა: ბ[არონი] შ[ლიპენბახი], მიჩმანები, ბ[ოლტინი] და კ[ოლოკოლცევი] — ჩემი მომავალი თანამგზავრები და ჩინებული მეგობრები. იმათ მეზღვაურები მოსდევდნენ, რომლებმაც დასტაცეს ხელი ჩემს ბარგიბარხანას, ლამის მეც არ მიმაყოლეს და ჩემთვის განწესებულ კაიუტაში გააქანეს. სანამ ბ[არონი] შ[ლიპენბახი] იქ მომაწყობდა, ბ[ოლტინმა] ახალგაზრდა, ჩაფსკენილი, თავბოტორა მეზღვაური მომიყვანა. „აი, ეს მეზღვაური თქვენ დაგიყენებო“, — მიტხრა მან. ეს ფადეევი გახლდათ, რომელიც დიდი ხანია უკვე გაგაცანით. „პატივი მაქვს გეახლოთ“, — გამომეკიმა წინ და მკერდი მომიშვირა: სახე მუდამ ოდნავ განზე ჰქონდა მიქცეული იმ საგნიდან, რასაც უყურებდა. ქერა თმით, თეთრი თვალებით, თეთრი პირისკანით და თხელი ტუჩებით უფრო ფინელს მიაგავდა, ვიდრე კოსტრომელს. იმ დღიდან მოყოლებული მე და ის აქამდე განუყრელნი ვართ. სამ კვირაში, მაშასადამე ვიდრე ინგლისამდე მივიდოდით, შევისწავლე, რაც ბრძანდებოდა; იმან, მგონი, სამ დღეში გამიგო ასავალ-დასავალი. აზრიანობასა და „ქკუის სიფხიზლეს“ მის ღირსებათა შორის ბოლო აღგილი როდი ეკავა, თუმცა ეს ყველაფერი გარეგნულად კოსტრომელის სიტლანქისა და მატროსის სუბორდინაციის ქვეშ იმალებოდა. „მეიშველე ჩემს მსახურს კაიუტაში ბარგის მოწყობაში“, — აი, რა იყო ჩემი პირველი ბრძანება. ჰოდა, რასაც ჩემი მსახური ორი დღისა მოუნდებოდა, ფადეევი ერთი სამჯერ მიტრიალ-მოტრიალდა და ყველაფერს მორჩა — ოღონდ ნუ მკითხავთ, როგორ. ისეთი სიმარჯვე, როგორიც მატროსებს ახასიათებთ, განსაკუთრებით კი ფადეევს, მხოლოდ კატას თუ სჩვევია. ნახევარ საათში ყველაფერი მიწყობილ-მილაგებული გახლდათ, მათ შორის წიგნებიც, რომლებიც ფადეევმა კუთხეში კომოდზე ნახევარ წრედ დაალაგა და რწვევის შემთხვევისათვის თოკებით ისე

შეკრა, რომ მისი საოცარი ძალისა და მოხერხების გარეშე ერთსაც ვერ ამოიღებდი. ასე რომ, ინგლისამდე სხვების ბიბლიოთეკებიდან ვნათხოვრობდი წიგნებს.

„ალბათ არ გისადილიათ, — მითხრა ბ[ოლტინმა], — ჩვენ კი უკვე მოვრჩით სადილს: ხომ არ წაისაუზმებთ?“ ქვევით, კაიუტ-კამპანიაში ჩამიყვანა; კუბრიკზე მოთავსებულ ერთ დიდ ოთახში, რომელიც უსარკმლო იყო, სამაგიეროდ ზევით საჭვრეტი ჰქონდა გამოჭრილი, საიდანაც სინათლე უხვად ჩამოდიოდა. ირგვლივ ოფიცრების პატარა კაიუტები ერტყა, ხოლო შუაში ბიზანანძა იყო ამართული, რომელსაც მრგვალი დივანი მალავდა. კაიუტ-კამპანიაში გრძელი მაგიდა იდგა, სკამები ჰქონდა შემოწყობილი, როგორც საკლასო ოთახებში დგას ხოლმე. ამ მაგიდაზე სადილობენ და მეცადინეობენ ოფიცრები. იდგა კიდევ ერთი ტახტი და სხვა არაფერი. მართალია, მაგიდა ძალიან მძიმე და ვეება იყო, მაგრამ დიდი რწვევა ხან აქეთ ისროდა და ხან იქით, ასე რომ, ერთხელ კინალამ გავისრისა ოფიცერთა სუფრის გამგებელი ჩვენი პატარა ტანის, კეთილი, თავაზიანი პ. ა. ტ[ინმენევი]. ოფიცრების კაიუტაში მხოლოდ საწოლი და კომოდი იდგა; რომელიც ერთ და იმავე დროს მაგიდადაც იხმარებოდა და სკამადაც. სამაგიეროდ ყველაფერს მშვენიერად ჩააწყობდი და ჩაატევედი კაცი. ტანსაცმელი ტიხარზე ეკიდა, საცვლები საწოლში მოწყობილ ყუთებში ელაგა, წიგნები თაროებზე ეწყო.

კაიუტ-კამპანიაში ოფიცრებიდან აღარავინ იყო: ყველანი ზევით ასულიყვნენ, ალბათ „საავრალო სამუშაოზე“. ცივი საუზმე მოიტანეს. ა. ა. ბ[ოლტინი] მმასპინძლობდა. „გვაპატიეთ, რომ ცხელი არაფერი გვაქვს, — მითხრა მან, — ცეცხლი ყველგან ჩააქრეს. თოფის წამალს ვიღებთ“. — „თოფის წამალს? ბევრს?“ — ვიკითხე თანაგრძნობით. „ხუთასი ფუთი უკვე მივიღეთ: სამასი ფუთი კიდევ დაგვრჩა მისაღები“. — „მერე სად, გწყევიათ?“ — ვკითხე უფრო გულაჩვილებულმა. „აგერ იქ, თქვენს ქვემოთ“, — მითხრა მან და იატაკზე მიმითითა. იმ ფიქრმა, რომ ჩემს ქვევით ხუთასი ფუთი თოფის წამალი აწყვია და ამ წუთში „საავრალო სამუშაო“ იმისათვის წარმოებს, რომ კიდევ სამასი ფუთი მიუმატონ, ცოტა არ იყოს, მადა დამიკარგა და ჭამა შევაჩერე. „ეგ კარგია, რომ ცეცხლი ჩა-

გიქვრიათ“, — შევეუქვე წინდახედულება. „რას ბრძანებთ, კარგი რა არის: თამბაქოს მოწვევა არ შეიძლება“, — თქვა კაიუტაში შემოსულმა მეორე ოფიცერმა. „აი, რა სხვადასხვანაირი შეხედულება შეიძლება იყოს ერთსა და იმავე საგანზე-მეთქი!“ — ვიფიქრე იმ წუთში. ერთი თვის შემდეგ კი, როცა პორტსმუტში ფრეგატი უნდა შეეკეთებინათ და თოფისწამალს შესანახად ინგლისის საადმირალოს აბარებდნენ, მე თვითონ ვდუღდუნებდი, ცეცხლის ანთება რომ არ შეიძლებოდა და ამიტომ სიგარას ვერ მოვწვევდი.

სალამოს ყველამ მოიყარა თავი: კამბუზი (ღუმელი) აგუზგუზდა, ჩაი, ვახშამი მოიტანეს და სიგარებიც გაბოლდა. ყველას გავეცანი, ასე რომ, იმ წუთიდან მოყოლებული დღემდე თავს შინაურად ვგრძნობ. წინათ განაგონის მიხედვით მეგონა, რომ სიტყვა „ჩაი“ მეზღვაურებისთვის მხოლოდ ალეგორიას წარმოადგენს, რომ მის მაგივრად პუნში იგულისხმება. ველოდი, როცა ოფიცრები სუფრაზე თავს მოიყრიან, საავრალო მუშაობა დაიწყება პუნშზე-მეთქი, გახურდება მუსაიფი, გაწითლება ცხვირებიც, მერე ერთმანეთში მეგობრობის ფიცის დადება და ხვევნა-კოცნა შეიქნება, ერთი სიტყვით, ორგის მთელი პროგრამა შესრულდება. უკვე ვფიქრობდი, როგორ დამეძვრინა თავი აქედან, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად და სამებლად, იმ სიგრძე მაგიდაზე ხერესის მხოლოდ ერთი გრაფინი იდგა, საიდანაც მხოლოდ ორმა კაცმა დაისხა თითო ჭიქა, სხვებს არც შეუმჩნევიათ. მერე როცა წინადადება შემოიტანეს, ვახშამზე ღვინო აღარ გამოეტანათ, ყველა ერთხმად დათანხმდა. გადაწყვიტეს: ღვინის ეკონომიით რაც ფული დარჩებოდა, ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი თანხისთვის მიემატებინათ. ბიბლიოთეკაზე ზევრი ილაპარაკეს ვახშამზე, არაყზე სიტყვა არავის დაუძრავს!

სულ სხვას მიაშობდა ერთი მოხუცი მეზღვაური წინანდელ დროზე. „ხანდახან გუშაგობას რომ მოვრჩებოდი და გაყინულ-გალუმპული ჩამოვდიოდი — ექვსიოდე ჭიქა პუნშს ზედიზედ გადავკლურწავდიო!..“ — მეუბნებოდა ის. ფადეევმა საწოლზე ლოგინი გამიშალა. ჰოდა, თუმც ოქტომბერი იდგა, წვიმდა, ჩემს ქვევით რვაასი ფუთი თოფის წამალი ეწყო, მაგრამ მაინც ისე დამეძინა, გამგზავრების ფაციფუცით დაღ-

ლილს, სუფთა ჰაერითა და ახალი, მაგრამ არცთუ უსიამო შთაბეჭდილებებით გაბრუებულს, როგორც არასოდეს მძინებია ნაპირზე. თვალი გავახილე თუ არა დილით, კაიუტაში ჩემი ქალაქელი მსახური დავინახე, რომელმაც საღამოს ვერ მოასწრო ნაპირზე გადასვლა და მეზღვაურებთან გაეთია ღამე. „ბატონო, — მითხრა შეშფოთებული და მუდარის ხმით, — ღვთის გულისათვის, ნუ წახვალთ ზღვით!“ — „სად ნუ წავალ?“ — „სადაც მიდიხართ: ქვეყნის დაბასა და დასალიერს“. „მამ რა გზით წავიდე?“ — „მეზღვაურებმა თქვეს, ხმელეთით შეიძლებაო“. — „ზღვით ვითომ რა დაშავდება?“ — „ოკ, ღმერთო ჩემო! რა საშინელებებს ჰყვებიან. ამბობენ, აგერ იმ მორიდან, ზევით გარდიგარდმო რომ ჰკილია...“ — „რეიდან, — შევეუსწორე მე. — ჰოდა, რა მოხდა?“ — „რა მოხდა და ქარიშხლის დროს ქარმა თხუთმეტი კაცი ზღვაში გადაადლო, ძლიეს ამოათრიეს, ერთი დაიხრჩო კიდეც. ნუ წახვალთ, ღვთის გულისათვის!“ ჩვენს საუბარს რომ ყური მოჰკრა, ფადეევმა შენიშნა, რწევას რა უშავს, ზღვაში ისეთი ადგილებია, სადაც „მორევივით ატრიალებს“, როცა ხომალდი იქ მოხვდება, მაშინვე გადააყირავებსო. „მამ რა უნდა ჰქნას კაცმა, ან ეგ ადგილები სადაა?“ — ვკითხე მე. „სადაა? — გაიმეორა მან, — შტურმანებმა იციან, იქ არ დადიან“.

ერთი სიტყვით, ღუზა ავეუშვით. ზღვა ღელავს და გაყვითლებულია, ყომრალ ღრუბლებში ცა აღარ მოჩანს; ხან წვიმა მოდის, ხან თოვლი — აი, როგორ გვაცილებს სამშობლო. ვანტები და გემსართავები იყინებოდა. მეზღვაურებს თივთიკის პალტოები ჩაეცვათ და ერთმანეთს ეკვროდნენ. ტალღიდან ტალღაზე ჭრიალით და გმინვით მიგორავს ფრეგატი; ნაპირი, რომელსაც მივყვებით, ჯანდმა დაფარა. ტყავის პალტოსა და მუშამბის ქუდში შემოსილი მევახტე ოფიცერი გამჰკრიახი თვალთ გასცქერის მიდამოს და ცდილობს უღვაშების მეტი გარეთ არაფერი გამოჰყოს, იმათ სრული უფლება აქვთ გაიყინონ და დასველდნენ. ყველაზე მეტი საზრუნავი და საწუხარი პაპას აქვს. წინა წერილებში უკვე გაგაცანით ისა და თითქმის ყველა ჩემი თანამგზავრი. აღარ მიეუბრუნდები იმათ დახასიათებას, თითოეულზე მაშინ მოგახსენებთ, როცა სიტყვა ჩამოვარდება. პაპას, ვითარც უფროს შტურმან კაპიტანს, ხო-

მალდის გეზისთვის უნდა ედევნებინა თვალი. ფინეთის ყურე სულ მარჩხობებითაა სავსე, მაგრამ შუქურებით მშვენივრადაა გარემოცული. წყნარ ამინდში, ისევე როგორც ნევის პროსპექტზე, იქ არავითარი საფრთხე არ მოგელის. ახლა კი, ამ ნისლში პაპამ ნერვინის შუქურას ვერა და ვერ მოჰკრა თვალი. თუმცა კი დაძაბულად იცქირება. მის შემოფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. სულ შუქურაზე ლაპარაკობდა. „ეს როგორ მოხდა, — შესჩიოდა ის ყოველ კაცს, ვისაც შუქურა სულაც არ ეღარდებოდა, მათ შორის მეც, — ჩემი ანგარიშით, უკვე ნახევარი საათის წინ უნდა დაგვენახა. აგერ იქ არის, აუცილებლად იქ, აი, ამ ვანტის პირდაპირ, — ზუზღუნებდა პაპა და კოტიტა თითქმის ნისლისკენ იშვერდა. — ეს წყეული ჯანლი გვიშლის დანახვას. ოპ, ღმერთო ჩემო! წადი ერთი, ნახე, ხომ არ მოჩანს? — ეტყოდა ის რომელიმე მეზღვაურს. „აბა ის რა არის, ისარივით რომ ჩანს?...“ — ვთქვი მე. „სად? სად? — სწრაფად მკითხა მან. „აგერ მგონი იქ...“ — ვეუბნებოდი და შორს ვაჩვენებდი. „აჰ, მართლაც აი იქ, იქ არის, დიახ, დიახ! ჩანს, ჩანს!“ — სახეგაბრწყინებული ეუბნებოდა ის კაპიტანი. უფროს ოფიცერს, მეეახტეს, ხან კაიუტაში ჩარბოდა რუკასთან და ხან ისევ ზევით ამოიჭრებოდა. „ჩანს, აგერ, აგერ. მთლიანად მოჩანს!“ — იძახდა გახარებული, თითქო საკუთარი მამა ენახოს. ჰოდა, შეუდგა კიდევ კვანძების ზომვასა და გამონგარიშებას.

გოტლანდი გავიარეთ. იქ გავიგე, ამ კუნძულს როცა გაუსწორდებოდნენ, ხომალდიდან თურმე შავ ფულს ისროდნენ წინათ, რა არის ამ კუნძულის მფარველ ანგელოზს ქარიშხალი არ ამოეჭრა და ისინი მშვიდობით გაეტარებინა. გოტლანდი ფრიადო კალთებიან კლდეს წარმოადგენს, რომელსაც ვერაფრის დიდებით ვერ უდგებიან ხომალდები. არა ერთხელ უმსხვერპლია ისინი ამ კუნძულის გამძვინვარებულ მფარველ ანგელოზს, დაუნდობელ ზღვას მალა ამოუსვრია იმათი ნამსვრევები, ზოგჯერ დამხრჩვალთა გვამებიც და ამ პურადქირ კუნძულის კალთებზე მიუხეთქებია. გავიარეთ ბორნ-ჰოლმიც — გახსოვთ: „საყვარელი ბორნჰოლმი“ და კარამზინის საიდუმლოებით მოცული, დაუბოლოვებელი ლეგენდა? ყველგან ციოდა, ყველაფერს თავპირი ჩამოსტიროდა. ფრე-

გატზე ხოლერა გაჩნდა. დანიაში მისული არ ვიყავით, რომ სამი კაცი დავმარხეთ, ერთი მამაცი მეზღვაურიც ქარიშხლის დროს ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. აი, როგორი ნათლობა მოგვიწყო ზღვამ, ასე რომ ჩემი მსახურის წინასწარმეტყველება გამართლდა. წყალში გადავარდნილს ვერავინ მიეშველებოდა, დიდი ღელვა იყო და შეიძლება სხვებიც დაღუპულიყვნენ.

მაგრამ ღლეები მაინც ღლეებს მიჰყვებოდა და ხომალდზე ცხოვრებაც თავისი დაწესებული კანონებით მიდიოდა. მუშაობდნენ, სადილობდნენ, ვახშობდნენ — ყველაფერი სტვენაზე ხდებოდა და მხიარულებითაც სტვენის მიხედვით მხიარულობდნენ. სადილი თავისებური საავრალო სამუშაო გახლავთ. საბატარიო გემბანზე გამოჰკიდებდნენ დიდ ჯამებს, „ბაკებს“ რომ ეძახდნენ, სადაც ერთ საერთო, ანუ „სამშო“ ქვაბიდან საქმელს ასხამდნენ. საქმელი ერთი თავისაგან შედგებოდა: დამარილებული ხორცის, თევზისა და ძროხის ხორცის შჩი; ან ფაფა; ვახშმადაც იგივე იყო, ხან მარტო ფაფა. ერთხელ მეც მივედი გასასინჯად. „ღმერთმა შეგარგოთ“, — ვუთხარი მისვლისთანავე. ერთმა მეზღვაურმა, მეტისმეტი ზრდილობის გამოსაჩენად, სუფთად გალოკა თავისი ხის კოვზი და მომაწოდა. შჩი ძალიან გემრიელი გამოდგა, ხახვი ბლომად ექნათ. რა თქმა უნდა, მეზღვაურის კუჭი უნდა გქონდეს, ე. ი. მეზღვაურის მოციონს უნდა ასრულებდე, რომ დამარილებული ხორცის ნაჭრები და მეზღვაურების საყვარელი და ზღვაში შესარგო კერძი (მოხარშული კომბოსტო ხახვით) მოინელო. „მაგრამ ერთი თავი საქმელი სადილზე ვის რას უზამს? — ვიფიქრე, — ალბათ მშვიერი დარჩებიან-მეთქი“. „ბევრს კი ქამთ?“ — ვიკითხე მე. „რამდენიც გვინდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ,“ — ერთად მიპასუხა ხუთმა მოსადილემ. მართლაც, ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფიდან კისრისტეხით გამოიქცეოდა მეზღვაური ცარიელი ჯამით ხელში სამშო ქვაბისაკენ და პირთამდე სავსე ჯამი ფრთხილად მიჰქონდა უკან.

მხიარულობითაც სტვენის მიხედვით მხიარულობდნენ-მეთქი, მოგახსენეთ; დიახ, იქ, სადაც ოთხასი კაცია თავმოყრილი, მხიარულებაც საერთო წესრიგს ემორჩილება. ნასადილევს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით კვირა

დღეებში, ჩვეულებრივ გაისმოდა ბრძანება: „მომღერლებს დაუსტვინეთ ზემოთ!“ და გაიმართებოდა მხიარულება. ცასა და ზღვას ცივი ჯანლი გადაფარებოდა, ყიჟმატი წვიმა ცრიდა. ასეთ ამინდში გინდა რომ შენ სულსა და გულში ჩაიხედო, სხვა რაღაცას მიაპყრო დაქინებით ფიქრი, მეზღვაურები კი ამ დროს მღეროდნენ და ცეკვავდნენ. მაგრამ უცნაური ცეკვა კი იყო: ფეხების გამაღებული მოსმა თითქო ეწინააღმდეგებოდა მათ გაშტერებულ სახეებს. ხმას არავინ იღებდა, სახეზე ზვიადი გამომეტყველება აღბეჭდოდათ, თუ უქმურს არ ვიტყვით, მაგრამ ეს ამბავი თითქო უფრო აიძულებდათ გამაღებით გაესვ-გამოესვათ ფეხები. ირგვლივ შეკრებილი მაყურებლებიც იგივე კუშტი მედიდურობით გაშტერებული მისჩერებოდნენ მათ. ცეკვას დაძაბული შრომის იერი ჰქონდა. იფიქრებდით, მარტო ის აზრი აცეკვებთ, რომ დღეს უქმეა, მაშასადამე, უნდა იმხიარულონ. მაგრამ, გართობა რომ გადაედოთ, უკმაყოფილონი დარჩებოდნენ.

მგზავრობა ერთფეროვანი და, უნდა გამოეტყდე, მოსაწყენი ხდებოდა: სულ ლეგა ცა, ყვითელი ზღვა, წვიმიანი თოვლი თუ თოვლიანი წვიმა — ვის არ მოაბეზრებს თავს. უკვე ამტკივდა კბილები და საფეთქელი. რევმატიზმმაც მეტი ძალით შემომიბტია. ჩავწევი და რამდენიმე დღე თბილ საბნებში შეფუთულმა და ყბაახვეულმა გავატარე.

მხოლოდ დანიის ნაპირებთან ვიგრძენით სითბო და ყველანი გამოვცოცხლდით. ხოლერა უკვალოდ გაქრა, რევმატიზმიც აღარ მაწუხებდა, ასე რომ, გარეთ, ქუჩაში გამოვედი — ქუჩა გემბანს შევარქვი. მაგრამ ქარიშხლები არ გვეშვებოდა: ბალტიის ზღვას ასეთი ზნე ჰქონია შემოდგომობით. გავა ერთი, ორი დღე — სიმშვიდე სუფევს, ამასობაში ქარი თითქო ძალას მოიკრებს და მერე ისეთი ძალით დაეტაკება, საწყალ ხომალდს სულიერივით ააკრუსუნებს. დღედაღამ გაფაციცებით აღევნებენ თვალს ამინდს. ბარომეტრი საყოველთაო ორაკულად გადაიქცა. მეზღვაურსა და ოფიცერს იმედი აღარ აქვთ თავიანთი ცვლა მშვიდად გამოიძინონ. „ყველანი ზემოთ!“ — გაისმის შუალამის სიჩუმეში. ჩემს საწოლზე ჩაძინებულს მესმის ყოველი კაკუნი, ყვირილი, იალქნების მოძრაობა, ბრძანების სიტყვები და თანდათან ვიგებ მათ მნიშვნე-

ლობას. როცა გესმის ბრძანება: „დადგით ბრამსელები, ლისე-
ლები“, არხეინად ეხვევი საბანში და უდარდელად იძინებ:
მაშასადამე, სიმშვიდეა, სიწყნარება. სამაგიეროდ, როგორ
დაცქვეტ ყურებს, როცა განკარგულებას გასცემენ: „აიღეთ
ორი, სამი ბრაგა“, მაშასადამე იალქანი დააპატარავეთ. სჯობს
მაშინ არც დაიძინო: სულ ერთია, შემდეგ ძალაუნებურად გა-
გელვიძება.

რაკი იალქნებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ იმაააც გეტყ-
ვით, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იალქნების სისტემამ.
ბევრს სიგიჟემდე მოსწონს იგი, ჰგონია, რომ თითქო იმის და-
ბამტკიცებელი საბუთია, ადამიანმა როგორ დაიმორჩილა
აბოზოქრებული სტიქიაო. აბა, მე კი სულ სხვაა ვიტყვი; ეს
ადამიანის უძლურების გამომხატველი უფროა წყლის მოთოქ-
ვის საქმეში. ახლოდან ნახეთ ერთი იალქნების გაშლა და აკეც-
ვა, იმათი რთული მექანიზმი, გემსართავების, ბაგირების, თო-
კების, კანაფების ეს ბადე, რომელთაგან ყველას განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა აქვს და საერთო ჯაჭვში აუცილებელ
რგოლს წარმოადგენს; ნახეთ, რამდენი ხელი სჭირია იმათ
შოძრაობაში მოყვანას. თუმცა კი მთელი ეს ეშმაკური ხერხე-
ბი სრულ შედეგს მაინც ვერ აღწევს! შეუძლებელია ზუსტად
განსაზღვრო, რა დროს მივა ადგილზე იალქნიანი ხომალდი,
შეუძლებელია პირქარს წინააღმდეგობა გაუწიო, უკან ვერ
დაიხვევ, თუ მარჩხობზე გაეჩხირე, მოპირდაპირე მხარეზე ხელ-
დახელ ვერ მოატრიალებ, ერთ წუთში ვერ გაჩერდები. წყნარ
ამინდში ხომალდი სთვლემს, პირქარში აქეთ-იქით უხ-
ვევს, ქარს ატყუებს და მხოლოდ გზის მესამედს იგებს:
შერე რამდენი ათაბი წელი შეიწირა, ვიდრე თითო-თი-
თო იალქანს და ბაგირს მოიგონებდნენ. ყოველი ბაგი-
რი, ყოველი კაუჭი, ლურსმანი თუ ფიცარი იმ ისტორიის
მომამბეა, რა ტანჯვა-წვალებით მოუპოვებია კაცობრიობას
ხელსაყრელი ქარის დროს ზღვაზე ცურვის უფლება. იალქნე-
ბის რიცხვი ოცდაათამდე იქნება: ქარის ყოველ დაბერვაზე
თითო იალქანი მოდის. შორიდან, იცოცხლე, ლამაზი საყურე-
ბელია, როცა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეზე გედივით მო-
ცურავს თეთრი იალქნებით ფრთაშესხმული ხომალდი. მაგ-
რამ როცა გემსართავების ამ ქსელში მოექცევი, და თავისუფ-

ლად ვერ გაინძრევი, მაშინ ნახავ, ეს ძალის დამამტკიცებელი
კი არა, უფრო უიმედობის გამომხატველია. იალქნიანი ხო-
მალდი ბებერ კულაბზიკას ჰგავს, რომელიც ფერუმარილით
მოთხუპნილა, ათი ქვედაწელი ჩაუცვამს, კორსეტში გამოქე-
რილა, რა არის თავის საყვარელს მოაწონოს თავი. წამით შე-
იძლება კიდეც მოახერხოს ეს, მაგრამ საყმარისია ყმაწვილი,
ქორფა ქალწული გამოჩნდეს სადმე — რომ მთელი იშკალბა-
ზობა და წადილი წყალში ჩაეყაროს. იალქნიანი ხომალდიც,
თოკებით შემოხვეული, აფრებით შემოსილი, კრუსუნითა და
ოხვრით ასევე მიარღვევს ტალღებს; მაგრამ თუკი პირქარმა
შუბლში დაუბერა — მორჩა, ფრთები ჩამოეყრება. ორთქლის
გამოგონებამდე კიდეც შეიძლებოდა თუ არ გეამაყა, თავი
მანც შეგექცია იმ აზრით, რომ აი, სადამდე მივიდა ადამიანი,
უკვე ზღვას სერავს ხელსაყრელ ქარშიო. ზოგს მიაჩნია, რომ
გემი უფრო ნაკლებ პოეტური, უსიამო შესახედი, ულამაზო
გახლავთ. ეს მიუჩვეველი თვალის ბრალია: გემები რომ რაჟ-
დენიმე ათასეული წელი არსებობდნენ, ხოლო იალქნიანი ხო-
მალდები ახალი გამოგონებული იყვნენ, ადამიანის თვალ-
ცხადია, ამ სწრაფად მავალ ხომალდში მეტ პოეზიას დაინ-
ხავდა, სადაც ქარის გულის მოსაგებად ერთი კუთხიდან მეო-
რეს არ აწყდებდა გატანჯულ ადამიანთა ბრბო, არამედ ადამი-
ანი უმოძრაოდ დგას, გულზე ხელდაკრეფილი, და იცის, რომ
მის ფეხქვეშ ზღვაზე არა ნაკლებ ძლიერი ძალაა ჩაჭედილი და
ქარიშხალსა თუ წყნარ ამინდს თავის სასარგებლოდ იმსახუ-
რებს. ტყუილად წამიყვანეს და მაჩვენეს, რა ლამაზად იბერება.
იალქნები საქარე მხრიდან, როგორ ჰრის ტალღებს გვერდზე;
გადაწოლილი ფრეგატი და საათში თორმეტი კვანძის სიჩქა-
რით მიქრის. „აგრე გემიც ვერ ივლის!“ — მეუბნებოდნენ მე.
„სამაგიეროდ, გემი ყოველთვის ივლის-მეთქი“. ვაი იმ ძველი-
სკოლის მეზღვაურს, რომლის მთელი ჰკუა, მთელი მეცნიერე-
ბა, ხელოვნება, ამის კვალდაკვალ თავმოყვარეობა და პატივ-
მოყვარეობა გემსართავებზე მოკალათებულა. საქმე გადაწყ-
ვეტილია. იალქნები პატარა ხომალდებისა და ნაკლები შეი-
ძლების მეწარმეთა კერძად დარჩა; სხვა დანარჩენებმა ორთქლი
აითვისეს. არც ერთ სამხედრო ნავსაშენზე აღარ აგებენ უკვე
დიდ იალქნიან ხომალდებს; ძველებსაც კი ორთქლის გემებად

აკეთებენ. ჩვენსობას პორტსმუტის საადმირალოში შუამდგ
დაშალეს სულ მზა ხომალდი და ორთქლის მანქანა ჩაუდგეს.

ჩვენ ზუნდში შევედი; ვისაც ჩვენებური ტრიალი ტრამალეების გარდა სხვა არაფერი უნახავს, აქ პირველად წარმოუდგება თვალწინ ნისლში გახვეული, ხან ყვითელი, ხან იისფერი, ხან ნაცრისფერი მთები, იმისდა მიხედვით, მზე როგორ ანათებს და რა მანძილზეა. შვეციის ნაპირი სულ მთაგორიანია. დანიისა მკაფიოდ ჩანს. მან დაგვანახვა შემოდგომის დამქანარი მცენარეები, რამდენიმე სოფელი. ორივე ნაპირის კომპიების ცქერისას რომანტიკოსებმა ჰამლეტის საფლავი მოიგონეს; დინჯი ხალხი ზუნდის საბაჟო გადასახადების უკანონობაზე მსჯელობდნენ, ყველაზე დარბაისელნი — ნედლი, ახალი სანოვაგის შეძენის აუცილებლობაზე. ყველას ნატვრაკი ის გახლდათ, რომ ერთი დღით მაინც ნაპირზე გადასულიყვნენ, დანიის მიწაზე ფეხი დაებიჯებინათ, კოპენჰაგენი შემოერბინათ, ქალაქის, ხალხისა და ყოფა-ცხოვრებისთვის ერთი თვალი მაინც გადაეცლოთ, ზღვაში ყანყალის შემდეგ მუხლები გაემართათ და ქორთა ხამანწკებით პირი ჩაეტკბარუნებინათ. მაგრამ ნატვრა ნატვრად დაურჩათ. მეორე დღეს აზუზუნდა ქარიშხალი, ნაპირთან კავშირი გაწყდა და ჩვენც, როგორც მახსოვს, სამი დღე ერთ ადგილზე გავატარეთ. უყურო ნაპირს და იქ გადასვლა კი არ შეგეძლოს, ამას სჯობია, როგორც დავრწმუნდი, ზღვაში ერთი თვე დაჰყო და ნაპირი სულაც არ დაინახო. ვსადილობდით, ჩაის ვსვამდით, ვმუსაიფობდით, ვკითხულობდით, ორივე ნაპირის სურათი თითქმის ზეპირად შევისწავლეთ, მაგრამ მაინც ქვეყნის დრო გვრჩებოდა. კიდეც კარგი, ხანდახან თუ გამოგვიჩნდებოდა მოულოდნელი გასართობი და ამ ერთფეროვნებას დაარღვევდა. შემოვარდებოდა ზოგჯერ კაპიტნის კაიუტაში გუშაგი და შემფოთებული განაცხადებდა: „ვაჭარი საცაა დაგვეჯახება, თქვენო. მაღალკეთილშობილებავ!“ წიგნის კითხვა იყო თუ სადილი — ყველანი წამსვე მიატოვებდნენ და ზევით გარბოდნენ; მეც იმათ გავედევნებოდი. მართლაც, დავინახავდით სავაჭრო ხომალდს, რომელსაც მეზღვაურები სამხედროსაგან განსასხვავებლად მოკლედ „ვაჭარს“ ეძახდნენ, და რომელიც დინებით გზაარეული თუ უხეირო მართვის წყალობით პირდაპირ ჩვენსკენ ჯიქურ

მოემართებოდა, საცაა აგერ ცხვირსა თუ კიჩოს დაეჯახებოდა, — ხომალდს დააზიანებდა, ქანდარებს დაღეწავდა — და ვინ მოსთვლის, კიდევ რა ზარალს მიაყენებდა თავის თავსა თუ სხვას.

ჰოდა, ატყდებოდა ერთი ღრიანცელი, ხმაური, ჩვენები რუსულად იმუქრებოდნენ და იკუთხებოდნენ, ისინი — ჰოლანდიურ, ინგლისურ თუ გერმანულ ენაზე იმართლებდნენ თავს და გვაძკობდნენ. ამ ალიაქოთში ერთმანეთს ვერაფერს უგებდნენ, ბოლოს ძლივძლივობით დაშორდებოდნენ ერთ-ერთს და ხმაურიც მიწყდებოდა: ხომალდი კვლავ უძრავად იდგა, ზედ ჩამიჩუმე არ ისმოდა, მხოლოდ ჩაფიქრებულა გუშავი დააბიჯებდა წინ და უკან თოფით.

ღამით სინათლის დანახვა ხომ უფრო მეტ განგაშს იწვევდა. სავაჭრო ხომალდების სიფხიზლეს კაცი ვერ ენდობა. იქ ყველაფერი ეკონომისათვის შეუწირავთ; ამიტომაც ხალხი ცოტა ჰყავთ, მესაქე მეტწილად მარტო დგას გემბანზე: რა იმედი უნდა გქონდეს, რომ ბორბალზე არ სთვლემს და წინ სინათლეს დანახავს. ორი ხომალდის შეჯახებისას კი აუცალელებლად ან უფრო პატარა დაიდუბება, ან ორივე ერთად. ამიტომაც მუდამ საოცარი გნიასი შეიქმნებოდა ხოლმე ხომალდზე, როცა წინ მომავალ სინათლეს მოჰკრავდნენ თვალს. ატყდებოდა ხმაური, ყვირილი, სცემდნენ დაფდაფებს, უშვებდნენ ბენგალურ შუშხუნებს; თუ ხომალდი გეზს მაინც არ შეიცვლიდა, ზარბაზნებსაც გაისროდნენ. წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნო ამბავია, როცა კაიუტაში არხეინად გძინავს, უზურში არა ხარ, რა ხდება, და უცბად ისეთი ბათქაბუთქი გესმის, ხომალდს ზანზარი გაუღის, მაგრამ ამასაც დიდებულად უჩვევი.

მარტო ბ[არონი] შ[ლიპენბახი] გაგზავნეს ნაპირზე რაღაც საქმეზე. მერე ლოცმანი გამოვიძახეთ. ჰოდა, ქარიშხალი რომ ჩადგა, დავტოვეთ ზუნდი და კატეგატსა და სკაგერაკში გავემართეთ. ისინი ერთ დღე-ღამეში გავიარეთ.

ამ დროს შესანიშნავ წიგნს ვკითხულობდი, „გემების დაღუპვის ისტორიას“. თვალი ვერა და ვერ მოვწყვიტე, თუმცა კი ჩემთვის ბევრი რამ ნაცნობი იყო. იქ თავმოყრილი გახლავთ, რაც ძველად თუ ახლად გემები დაღუპულა და რა შედე-

გებიც მოპყოლია მერე. ვ[ოინ] ა[ნდრეევიჩ] კ[ორსაკოვი] კითხულობდა და მეც მომცა, „წარმოდგენას დაგიწყნარებთ, წაიკითხეთო“. კარგი დამშვიდება კი გახლავთ, შენი ჭირიმე: კაცი სამი წელი აპირებ ზღვაზე მოგზაურობას, ჰოდა, მიდი და მიყოლებით წაიკითხე ასამდე ერთიმეორეზე საშინელი და სავალალო ამბავი! მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, როგორ დაეჯახა ხომალდი კლდეს, გვერდზე გადაბრუნდა, როგორ დაიღწა ანძები, გემბანები, როგორ დაიღუპა ათასობით ადამიანი, — ზოგი ზარბაზნებმა გასრისა, სხვები დაიხრჩო... მერე თვალს მოატარებ შენს ირგვლივ, დაინახავ ანძებს, გემბანებს, ზარბაზნებს, თავგამეტებით ღრიალებს ქარი, შორიახლოს ლამაზი კლდეები აყუდებულან და მრავლისმეტყველად სდუმან: დაინახავ ყველაფერ ამას და მოგზაურის ბედი შეგაძრწუნებს!.. მაგრამ ერთში კი დავრწმუნდი: საბიფათო მოგზაურობებზე კითხვა თუ მოსმენა უფრო საშინელი გახლავთ, ვინემ შენ თვითონ რომ გადაგხდება თავს. ამბობენ, მომაკვდავი ისე არ ეწამება, როგორც მისი მაცქერალნიო.

შემდეგ, ხომალდის მოწყობილობასა და გემების დაღუპვის ისტორიას რომ ჩაუკვირდები, დაინახავ, ხომალდის დაღუპვა არც ეგრე იოლია და არც ეგრე სწრაფად ხდება. ვიდრე ერთი ფიცარი მაინც შერჩენია, ხომალდი თავგამოდებით უმკლავდება ზღვას, რომ უთვალავი საშუალება გააჩნია თავდასაცავად და თავშეაანახად, ბევრი წინასწარ გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი, რომ თითქმის ყველა ნაწილის დაკარგვის შემდეგ მისი ჩონჩხი მაინც ათასობით მიღზე დაქრის ზღვაში და ადამიანის სიცოცხლეს იფარავს. დასაღუპავად განწირულ ხომალდსა და გამძვინვარებულ ზღვა შორის შეუპოვარი ბრძოლა ჩაღდება: ერთის მხრივ ბრმა ძალა მოქმედობს, მეორეს მხრივ — სასოწარკვეთილება, გამჭრიახობა და ეშმაკობა, რის წყალობით ხომალდი ხელდახელ არ იღუპება და ყველაფერი წესით და რიგით ხდება. მთელი თეორიაა შექმნილი, რათა დაღუპვისაგან თავი დაიცივა. ვთქვათ, გრიგალმა ხომალდს სამი ანძა მოაგლიჯა: რაღა დარჩა დაღუპვის მეტი? ეს ხომ იმაა ნიშნავს, გახელებულ ცხენს სადავე გადაუჭრა. მაგრამ არა, მარაგად წამოდებულ ხეებიდან ჰაიპარად ყალბ ანძებს გააკეთებენ და გზას აგრძელებენ. ვთქვათ, საქე მოწყდა: გა-

დარჩენის იმედი წარმოუდგენელ სიმარჯვეს ანიჭებს ხალხს და ყალბ საქვს გააკეთებინებს. თუ დიდი ნახვრეტი აღმოჩნდა, ჯერ უბრალოდ იალქანს გადასჭიმავენ, ნახვრეტი ტილოს „ჩაიწოვს“ და წყალს აღარ გამოუშვებს. ამასობაში კი ათობით კაცი ახალ ფიცრებს ამზადებს და მერე ნახვრეტზე დააქედებენ. ბოლოს, ვთქვათ, ხომალდი ბრძოლაში დამარცხდა და იძირება: ადამიანები ნავეებში სხდებიან და ამ ნაქუქით ზოგჯერ ათასი მილით დაშორებულ ნაპირს აღწევენ.

ქარიშხალი რომ ჩადგა, გერმანიის ზღვაში ჩვენ ერთ ასეთ უიმედოდ განწირულ ხომალდს შევეჩხვით. ჯერ არ ვიცოდით, რა გვეფიქრა მასზე: ალამი არ ჩანდა, ჩვენ რომ ჩვენი ალაში ავმართეთ, იმას თავისი არ აუწევია. ახლოს რომ მივედით, სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ შევამჩნიეთ. ბოლოს ნავით რომ მიადგნენ — კაცის ქაჭანება არ დახვდათ: ხომალდი უპატრონოდ ეგდო. ტრიუმი ნელ-ნელა ივსებოდა წყლით. იქ რომ დავრჩენილიყავით, ალბათ დღის ბოლოს მისი ჩაძირვის მომსწრენიც გავხდებოდით. ხომ ხედავთ, რა დრო სჭირდება უიმედოდ განწირულ ხომალდსაც, რომ დღის ბოლოსათვის ჩაიძიროს! მით უმეტეს, უკვე აღარ გააჩნდა გონება და ნებისყოფა, მაშასადამე არ იყვნენ ზედ ადამიანები და ამიტომაც ბრძოლას თავი მიაწება. ასე მორჩილად იძირებოდა. ცხვირის მხარე დაშვებოდა: როგორც ყოველი სულთმობრძავი, ესეც გულისმომკვლელ სურათს წარმოადგენდა!

იმავე დღეს, იმ ხომალდის ახლოს, შორს რამდენიმე წერტილი დავინახეთ და ყვირილი გავიგონეთ. ქოგრიტში დაინახეს, რომ ნავეები იყო; რომ მიეუახლოვდით, ადამიანის ხმები გარკვევით მოგვესმა. „მეთევზეები იქნებიან“, — თქვა კაპიტანმა. „არა, ნუთუ ყვირილი არ გესმით! — შეეპასუხა მამა ა(ვაკუმბი), — ალბათ, დაღუპულ ხომალდიდან არიან და შეველას ითხოვენ: არ შეიძლება მოვებრუნოთ?“ კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ მეთევზეები იქნებოდნენ, მაგრამ, აქაოდა ცოდვაში ფეხი არ ჩავდგაო, მეთევზეებისაყენ ბრძანა გეზის აღება. თუმცა დროის დაკარგვა დიახაც არ სიამოვნებდა: სამხედრო ხომალდებს სად სცხელათ ზღვაზე ისეირნონ. „თუკი ისინი მეთევზეებია და თევზს გვთავაზობენ, — ბუზღუნებდა იგი, — ბრანდსპოიტები მოამზადეთ!“ — უბრძანა მან გუ-

შავს (ბრანდსპოიტები სახანძრო მიღებია). მეზღვაურებს უთარეს, წყალი მოამზადეთ და მიღები ხელში გეჭიროთო. ამასობაში შავი წერტილები ნავებად იქცა. აგერ ადამიანებიც გამოჩნდნენ, ფეხზე დამდგარან და ისე გაჰკვივიან, მგონი, ჰოლანდიაშიც გაიგონებდნენ. ახლოს რომ მივვდივით, ადამიანებმა ხელები გამოგვიწოდეს და თევზი იყიდეთო, გვეხვეწებოდნენ. ბრანდსპოიტები გაიცა, ნავებს ზედ მიაღექითო. „აბა, ბრანდსპოიტები!“ — შესძახა მევახტემ და მეთევზეები კარგა ლაზათიანად აბანავეს. ჩვენმა მეზღვაურებმა, იცოცხლე, გაიხარეს ამ ამბავით, თუმცა არც მეთევზეები ღარჩნენ გულნაკლულად, ჩვენთან ერთად ხარხარებდნენ.

თურმე ტყუილად შიშობდა ჩვენი კაპიტანი დროის დაკარგვაზე. ჩვენი გამოანგარიშებით პორტსმუტში 20 თუ 21 ოქტომბერს უნდა მივსულიყავით. გერმანიის ზღვაში კი იმდენ ხანს დავხანდით, თუნდაც ყოველ დანახულ მეთევზისკენ გეზი აგველო და მიეტრიალებულიყავით, არაფერს წავაგებდით. ამოიჭრა პირქარი და მთელი ათი დღე ინგლისის არხში არაფრით არ შეგვიშვა. შემეკითხებით ალბათ, „ამ ათ დღეში რას აკეთებდითო?“ რა თქმა უნდა, გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, ათი დღე კაცმა როგორ უნდა გაძლოს გემზე, როცა პეტერბურგიდან კრონშტადტში ერთი საათი მგზავრობა გულს გვიწუხებსო. დიახ, რამდენიმე საათი ზღვაში კაცს გაუჭირდება გაძლება, რამდენიმე კვირა კი არა, რამეთუ რამდენიმე კვირა უკვე კაპიტალია, რაიც შეგიძლია საქმეს მოახმარო, რამდენიმე საათში კი ვერაფერს გააკეთებ. თუმცა ჩვენ კარგი თავშესაქცივიც გვექონდა: შავნამგალები ანუ ზღვის ღორები გამოჩნდნენ, მერე რა სასაცილოდ გადადიოდნენ ყირას ტალღებზე და თავიანთ შავ, სქელ ზურგებს გვიჩვენებდნენ. საღამოობით კი ქიმებზე გადახრილნი ზღვის უფსკრულში ფოთფორული ნაპერწკლებით მოელვარე პატარა ცხოველების ცქერით ვტყებოდით.

ბალტიის ზღვაზე მართლაც დიდებული სუფრა გვექონდა. სანოვაგე ახალი იყო, მზარეული ჩინებული. მაგრამ როცა პირქარი ამოვარდა, შეეშინდათ, ვაითუ ზღვაში დიდხანს დაგვაციონოსო და გადაწყვიტეს ახალი სანოვაგე შეენახათ. შიში მართლაც გამართლდა. პორტსმუტამდე სამასი მილი დაგვრჩე-

ნოდა: ამ მანძილს ერთ დღეში გადავპირდით, ჩვენ კი აგერ ათი დღე დავბორიალობდით ზღვანა და ისიც სულ ერთ ხაზზე. „სადა ვართ?“ — შეეკითხებოდი დილით, გაღვიძებისას პაპას. „ზღვაში“, — გიპასუხებდა ის გულმოსული. „ეგ უთქვენოდაც ვიცი, — უფრო გულმოსული უპასუხებდით თქვენ, — ოღონდ რა ადგილას?“ — „აგერ გაიხედეთ, განა ვერ ხედავთ? ისევ იქა ვართ, სადაც გუშინ ვიყავით: პალოპერის შუქურასთან“. — „ახლა საით მივდივართ?“ — „სადაც გუშინ: დოგერის მეჩეჩისკენ“. ეს მეჩეჩი ზღვის საერთო სიღრმესთან შედარებით თავთებლია, მაგრამ დიდი ხოშალებისთვის მაინც საკმაო სიღრმისა არის. იქ არა მარტო არაერთი ხიფათი არ გელის, დღევაც კი ისე არ იგრძნობა. განსაკუთრებით პოლანდიის სათევზაო ხოშალები ეტანებიან იმ ადგილს „მაშ ნელ-ნელა მივიწვივთ?“ — ეკითხებით სალამოს ამ საერთო მისანს, ჩვენა პაპას. „მაშ რა, ჩინებულად მივდივართ: მკვეთრი ბეიდევინდი: შვიდ ნახევარ კვანძს გავდევართ საათში“. — „წინ თუ მივიწვივთ?“ — მოუთმენლად ეკითხებით თქვენ. „რა თქმა უნდა, წინ, პალოპერის შუქურისაკენ, — გეუბნება პაპა, — აგერ, გამოჩნდა კიდეც!“.

ამის შემდეგ სუფრაზე უფრო გახშირდა დარბილებული ხორცი; ზღვაზე გადატანილი მღელვარებით დაბერებული ქათმები, იხვები და უკვე ღორებად ქცეული გოქები სანუკვარი საჭმელი გახდა. მტყნარ წყალსაც წყვით გვაძლევენ: ჯერ ორ-ორი, მერე კი თითო ტოლჩა მოგვცეს კაცზე, მხოლოდ დასაღივად. პირი ზღვის წყლით დაიბანეთ, *ad libitum*¹. არ გამამხილოთ და საიდუმლოდ გეტყვი, ფადეევმა მოახერხა, არ ვიცი რა გზით, ტრიუმის უნტერ-ოფიცრის, ტერენტიევის გაცურება და ყოველ დილას ცხვირის წინ ჰპარავდა თითო დოქ წყალს ჩემთვის პირის საბანად. „ვიშოვე, — შემოვარდებოდა ხოლმე გახარებული კაიუტაში დოქით ხელში. — ჩქარა დაიბანეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, არ შემოგვისწრონ და არ გვკითხონ, სად იშოვეო, მანამდე კი პირსახოცს მოგიტან სიფათის გასაწმენდად!“ (ღმერთმანი, არ ვტყუი!).

¹ სურვილის მიხედვით (ლათ.)

ეს კოსტრომული მიამიტობა ისე მომწონდა, რომ ყველას ხატზე ვაფიცებდი, ფადეევს ხუ ასწავლით, როგორ მომეჭეცს-მეთქი. სამი დღე კი იპარა, მაგრამ ერთხელაც ცარიელი დოქით დაბრუნდა. თან კეფას და ზურგს იფხანდა და თან რალაცაზე ხარხარებდა, თუმცა ცოტაოდენი ნაძალადეობა კი ეტყობოდა. „ეჰ! იმ ქაჯმა და ეშმაკის ბუდემ რა სილა მტკიცა!“ — ამოლერლა ბოლოს და თავსა და ზურგზე ხელი გადაისვა. „ვინ გტკიცა, რის გულისათვის? — „ვინა და იმ ქაჯმა ტერენტიევმა! დამინახა მამაძალმა! დოქი ავაესე და ტრაპზე შევდგი კიდევ ფეხი, რომ საიდანღაც გამოტყვრა, დოქი გამომგლიჯა, უკანვე ჩაასხა და ისეთი მღრუბა კეფაში, თქვენი მოწონებული. ტრაპს ვეცი, მაგრამ უცნიდან ახლა ჯოხი მომაყოლა!“ ფადეევს ისევ სიცილი აუტყდა. აკი მოგწერეთ უკვე, რარიგ ხარობდა ფადეევი, როცა სხვას, ან თუნდაც მას მარცხი მოუვიდოდა და მუჯღლუგუნს დაიმსახურებდა, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა.

ტრიუმის მთავარი ზედამხედველი პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩ] ტ[იხმენევი] გახლდათ, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მეტად კეთილი, გულისხმიერი კაცი იყო, ხოლო თუ ცოტა ხასიათსაც შეუწყობდი, თქვენთვის სულსა და გულს არ დაიშურებდა. ყველამ იცოდა მისი ეს ზნე და კიდევაც სარგებლობდნენ. კაიუტ-კამპანის მთელი გამგებლობა, საერთო სურვილით, იმას ჩააბარეს. ჰოდა, ამიტომაც საზრუნავი და თავსამტკრევი ბევრი გამოუჩნდა, რა არის ყველას გული მოეგო, არ დავიწყებოდა, ვის რა კერძი უყვარს, ვის რა ეჯავრება, თუ სხვა ამისთანა. საკუთარი გულთბილობა ხშირად საპოქმანო მდგომარეობაში აგდებდა. განა ასე ადვილია, ამდენ ხალხს ერთად ასიაშოვნო და აამო, მაგრამ მეტ წილად მაინც ასეთ გაჭირვებებს დიდებულად აღწევდა თავს. ხანდახან გაგვიჭირვეულდებოდა და გაგვიცხარდებოდა: ამ მიზეზით მუდამ ისეთი წარმოდგენები იმართებოდა, რომ არა მარტო ჰალოპერის შუქურასა და დოგერის მეჩეჩს შუა, მთელი ოთხი ოკეანის სივრცეზე, ტროპიკებში იყო თუ ეკვატორის ძირს, ფრიად გვართობდა და აქამდეც გვაქცევინებს თავს. აი, მაგალითად: თვალი მოჰკრა, რომ ვინმე ჩვენგანი წვნიანს პირს არ აკარებს. „წვნიანს რად არ მიირთმევთ?“ — შეეკითხებოდა მაშინვე. „რა

ვიცი, რაღაც არ მინდა“, — ეტყოდნენ პასუხად. „არა, არა, მართალი მითხარით“, — ჩააცივდებოდა და საშველს არ მისცემდა. დიდი ფხუკიანი ვინმე იყო და ეშინოდა, აქაოდა დაუდევრობა და უგერგილობა არ დამწამონ ან უუნარობა არ დამბრალონო. „არა, მართლა არ მინდა. რაღაც ვერა ვარ...“ — „ალბათ, წვნიანი არ მოგწონთ: იმიტომაც არ მიირთმევთ. ბარემ გამოტყდით, გეთაყვა!“ ბოლოს იაიცი გადაწყვეტდა რაღაც ეთქვა. „ჰო, დღეს ცოტა უგემური უნდა იყოს...“ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენი კეთილი პ. ა. ყალყუხე იყო შემდგარი. „უგემური ვითომ რად არის, ერთი მიბრძანეთ? — იკითხავდა უცბად აღშფოთებული. — სანოვაგე მე თვითონ ვიყიდე, მინდოდა ყველასათვის მესიამოვნებინა, კაცმა თავი არ დავზოგე და აი, რა მადლობა მივიღე! მაინც რით არ მოგეწონათ? — „არა, მართალი ვითხრათ“... — შეეცდებოდა დამნაშავე თავის გამართლებას. „არა, თქვენ ის მიბრძანეთ, რით გეუგემურათ, მე ვალდებული ვარ ვიცოდე, — იტყოდა და ყველას თვალს გადაავლებდა, — აგერ ოცი კაცი ჰამს, სიტყვა არავის დაუძრავს, მარტო თქვენ ხართ უმადური... ღმერთო ჩემო! მე გეკითხებით, რად არ მოგწონთ წვნიანი-მეთქი? მგონი, თავს არ ვზოგავ, — განაგრძობდა ლამის ატირებული ხმით და პათოსით, — საზოგადოებამ ნდობა გამომიციხადა, ვფიქრობდი, აქამდე ყველა მადლიერი მყავს, ამ ნდობას ბრწყინვალედ ვამართლებ-მეთქი; დიდ პატივად ვთვლიდი კიდევ...“ ჰოდა, მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა, ვიდრე ყველა არ გადავიხარხარებდით და ბოლოს თვითონაც არ აუტყდებოდა სიცილი. ზოგჯერ სუფრის მეორე ბოლოში ხმადაბლა გააბამდნენ განგებ ჩურჩულს, ქორთა მწვანილი არ მოუტანიათ, ძვირაც გვიჯღებოდა, აგერ ვიღაც გადავიდა ნაპირზე და იქ უფრო უკეთესიც ნახა იაფადო. „ერთი მიბრძანეთ, მანდ რას ჩურჩულებთ?“ — მკაცრად იკითხავდა მაშინვე. „რა თქვენი საქმეა?“ — „იქნებ სადილის თაობაზე ლაპარაკობთ. გგონიათ, უვარგისი მოგართვით და ისიც ძვირად. მაშ, გამანთავისუფლეთ ამ მოვალეობისაგან: დიდი მადლობელი ვარ, რომ ნდობა გამომიციხადეთ, მაგრამ თუ ექვით მიყურებთ, რაც არც თქვენ გეკადრებათ და არც მე, მაშინ მე უარს ვიტყვი...“ წამოდგე-

ბოდა კიდეც, ხელსახოცს დადებდა, მაგრამ დამსწრეთ ხარხარი იხევე თავის ადგილზე დასვამდა.

საერთო ყურადღებითა და თანაგრძნობით განებივრებულნი, ხანდიხან გაგვინაზღებოდა და გაგვიუნიანიანდებოდა. ალბათ, შინაც ასე გააზიზებულნი იყო. მოჰყვებოდა ოხვრა-კენესას, აიტკივებდა ვითომ რაღაცას, მოიგონებდა, ამდენი საზრუნავითა და საფიქრალით დავილალო, და ნუგეშის ცემას მოითხოვდა. „ვიტულ, ჰა, ვიტულ! — დაუძახებდა მისუსტებული ხმით დაძინების წინ თავის შაახურს. — იცი, როგორ დავილალე დღეს: მოდი, გამხადე და დამაწვინე“. გახდის დროსაც ისეთ ოხვრა-წუწუნს გააბამდა, რომ ყველას გვესმოდა კაიუტებში. „ხვალ აღრიანად უნდა ავდგე სამორიგეოდ, — კრუსუნებდა ის, — აბა, ერთი ბალიში კიდეც ამომიდე, მოიცა, მოიცა, არ წახვიდე, იქნებ კიდეც რაღაც დამჭირდეს!“.

სწორედ ამ ჩვენს პ. ა.-ს ვთხოვე, ხომ არ შეიძლება ერთი ტოლჩა სასმელი წყალი მომცეთ-მეთქი ყოველდღე პირის დასაბანად. ზღვის წყალში საპონი არ ქაფდებოდა, მე მეზღვაური არ ვარ, იმათსავით აქაურ პირობებს ვერ მივჩვევივარ და ამიტომაც ასეთი სიმკაცრე მე არ უნდა მეხებოდეს-მეთქი. „განა არ იცი, როგორ პატივს გცემთ და როგორ ვაფასებ თქვენს კეთილგანწყობას, — შითხრა მან და ხელი მომკიდა, — ექვი ხომ არ გეპარებათ ამაში?“ — ჩამეკითხა დაჟინებით. „რასა ბრძანებთ“, — კვერი დაუქარი გრძნობამორეულმა და დაიმედებულმა, სასმელ წყალს მომცემს-მეთქი. „მერწმუნეთ, შუა ზღვაში რომ უწყლობით ვიხრჩობოდე, უკანასკნელ ჰიქას თქვენ დაგიმობდით: გჯერათ თუ არა ეს?“ — „ღიან“, — უკვე ყოყმანით ვაძლევ პასუხს, ექვი შემეპარა, წყალს ვერ მივიღებ-მეთქი. „დამიჯერეთ, ასე მოვიქცეოდი, მაგრამ რომ იცოდეთ, როგორ მწყინს, როგორ მრცხვენია, მე მზად ვარ — თქ, ღმერთო ჩემო! რა ვქნა... იქნებ იფიქროთ, რომ მე არ მინდა, არა მსურს... — აქ ქვეყნის სინონიმები დამაფრქვია თავზე, — არა, კი არ მინდა, — არ შემიძლია, აკრძალული მაქვს. დამიჯერეთ, იოტისოდენა სასულეა რომ მქონდეს, ცხადია, ექვი არ შეგეპარებათ..“ და ისევე თავისი მონოლოგი დაიწყო.

„აბა, რას ვიზამ: le devoir avant tout!“, — ეუთხარო მე, — არ მეგონა, თუ ასეთი სიმკაცრე იქნებოდა“. მაგრამ ჩემი გაწბილებული გაშვება მაინც გულმა არ უქნა. „თქვენ იძახით, რომ ფადეევი ჩუმად იპარავდა წყალსო!“ — მითხრა მან. „ღიას“ — „ამის გულისთვის ერღოზე გავაკრავ!“ — „ოპო, ტერენტიევმა რომ ზურგში სდრუხა, ეს ცოტად მიგაჩნიათ, არა, — შევნიშნე მე, — კიდევ გინდათ დაუმატოთ? თანაც ეს ამბავი მე საიდუმლოდ გაგანდეთ, რა უფლება გაქვთ...“ — „მართალს ბრძანებთ, მართალს, ტყუილად ვთქვი... იცით რა, — გამაწყვეტინა მან, — მოდი, ისევ ჩუმ-ჩუმად წამოიღოს დოქით წყალი, ოღონდ, ღვთის გულისთვის, დოქზე მეტი არა: თუ, ვთქვათ, ტერენტიევმა წაასწრო, რა ბედენაა მერე, ჯოხი სდრუხოს ან სილა გააწნას: ყოველდღე ხომ არ მოხვდება...“ — „მაგრამ ტერენტიევმა რომ თქვენთან დააბეზლოს ან თქვენ თვითონ წაასწროთ, მაშინ...“ „მაშინ ერღოზე გავაკრავ!“ — ოხვრით დასძინა პ. ა-მ.

ახლა აღარ მახსოვს, ფადეევმა კიდევ განაგრძო თუ არა თავისი ექსპედიციები ტრიუმფიდან ჩემთვის წყლის მოსატანად, ისიც არ მახსოვს, როგორ გავატარეთ ის ხუთი დღე შუქურასა და მეჩჩის შუა რომ დავხეტიალობდით, მხოლოდ ისღა მაგონდება, რომ ერთხელ კაიუტაში დიდხანს, ხუთ საათამდე დავჩჩი და ნასადილევს გემბანზე რომ გამოვედი უცბად სულ. ახლოს გრძელი, კლდიანი ნაპირი და უკაცრიელი მწვანე ველები დავინახე.

თვალთ ვკითხე ვიღაცას: ეს რა არის-მეთქი? რაღა ინგლისიაო! მიპასუხეს. მეც სხვებს შევეუერთდი და მათთან ერთად უხმოდ მივაშტერდი კლდეებს. ნაპირიდან ჩვენსკენ ნავი გამოემართა; კარგა ხანს იტრიალა ყირამალა ტალღებზე, ვინემ ბოლოს ქიმს არ მოადგა. გემბანზე დაბალი, ჯმუხი ტანია კაცი ამოვიდა, ლურჯი ქურთუკი და ლურჯი შარვალი ეცვალა. ლოცმანი ყოფილიყო, რომელიც არხში ფრეგატის გასაყვანად გამოეძახნათ.

ორ ბორცვს შუა რამდენიმე სახლი მიწებებულებო, ნაპირზე მომსკლარი ფურთუნი ხან თვალთაგან გვიკარგავდა,

¹ პირველ ყოვლისა, მოვალეობა (ფრანგ.).

ხან ისევ გამოაჩენდა მათ. ბორცვების წვეროები ჯანლს შეემოსა. „ეგ რა არის?“ — ვკითხე ლოცმანს. „Dover“¹. — შემომყრანტალა მან. მარცხნივ გავიხედე: იქ ბუნდოვნად მოჩანდა საფრანგეთის ოღროჩოღრო, დამრეცი ნაპირი. ღამით სპიტგელის რეიდზე ჩავუშვით ღუზა, ვაიტის კუნძულსა და პორტსმუტის ციხე-კოშკის გალავანს შუა.

ივნისი, 1854 წელი.

თათრის სრუტე, ხომალდი „ნოსტოკი“.

ეს ორი წერილი ინგლისიდან აღარ გამომიგზავნია, ვიფიქრე, მერე კიდევ დაუშმატებ, რაც ინგლისში ვნახე, გავიგონე და შევამჩნიე, სისტემაში მოვიყვან და ინგლისში გატარებული ორი თვის დამაკმაყოფილებელ შედეგს ერთად წარმოგიდგენდით. ახლა კი ვხედავ, რომ ამას ველარ შევძლებ, ამიტომაც წერილებს როგორც იყო ისე გიგზავნით, უცვლელი სახით. უნდა დამჯერდეთ ამ ჩემს წამიერ შენიშვნებს, აქ არც ამ ქვეყნის ამბებს, სიმდიდრესა და შეძლებას შევეხები, არც მის მკვიდრთა ჩვეულებებს და ადათებს, მხოლოდ იმას მოგწერთ, რაც ერთის თვალის გადავლებით დავინახე. აბა, რომელ მოგზაურს ეყოფა კადნიერება ინგლისი და საფრანგეთი აღწეროს, რომლებსაც ჩვენს მამულზე უკეთ თუ არა, ნაკლებ არ ვიცნობთ? ამიტომაც ყველაზე უფრო დაკვირვებულსა და გამჭრიახ მოგზაურს აქვს ნება საერთო შესწავლიდან გამორჩენილი რაიმე მცირე ხაზი დაუმატოს; სხვებს კი, მათ შორის მეც, უფლება გვაქვს მხოლოდ ჩვენს შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკოთ.

წერილი პირველი

20 ნოემბერი
2 დეკემბერი 1852 წ.

ნეტავ მიიღეთ თუ არა დანიიდან გამოგზავნილი ჩემი წერილი, თუმცა დანიაში აბა საღ ვიყავი, ზუნდიდან გწერდით, სადაც ღუზა ჩავუშვით გასაჩერებლად. მაშინ ავად გახლდით

¹ ღუერი (ინგლ.)

და გუნებაამღვრეულიც ვიყავ: ალბათ წერილშიც იგრძნობ-
 დით ამას. არ ვიცი, შევეძლებ კი ყველაფერს თავი მოვუყარო,
 რაც გადამხდა ან რაც ჩემს ირგვლივ მოხდა, იმე რომ ცოტაო-
 დენ მაინც ნათლად წარმოგიდგინოთ. ჯერ კიდევ ვერ განმი-
 საზღვრავს ჩემი ახალი ყოფის ბევრ მოვლენათა არსი. არ მიწ-
 დოდა მხოლოდ შიშველი ფაქტები მეცნობებინა: იმათ გასა-
 ლებს ყოველთვის ვერ მოურჩებ, ძალაუნებურად შენი წარმო-
 სახვით უნდა გააშუქო, რაიც შიგადაშიგ მოიყალბებს; რასაც
 კარგად ვერ გაარჩევ, ის მკითხაობის გზით უნდა გამოიცნო.
 ჯერჯერობით არც გასაღები გამაჩნია, არც მკითხაობა შემიტ-
 ლია, არც წარმოდგენის თავი მაქვს: ყველაფერი ეს ახალმა,
 მეტ-ნაკლებად საძნელო, ხან საინტერესო, ხან უინტერესო
 გამოცდილებამ ჩაახშო, ალბათ ბევრ ამათგანს მეტი შთაბეჭ-
 დილების უნარი და უფრო ახალგაზრდული თვალი სჭირია:
 განსაზღვრულ წლებში ცხოვრება ბევრ მისატყუებელზე ადა-
 შიანს უარს ეუბნება იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ხელმოკერი-
 ლი დედა უკვე გამოცალკეებულ ვაჟს ფულს აღარ აძლევს.
 ასე მაგალითად, მე უკვე ველარ ვიგრძენ ზღვის პოეზია, ალ-
 ბათ იმიტომ, რომ ჯერ არ მინახავს არც „იდუმალი“, არც
 „ლაქვარდი“ ზღვა. სიცივე, ქარიშხალი და ნესტი, აი, რა ვიცი
 მხოლოდ. ჩემს წუწუნსა და კრუსუნს რომ ისმენთ, ალბათ,
 მკითხავეთ, ნეტავ რად გაემგზავრეო? თავდაპირველად მოწა-
 ფესავით გიპასუხებთ, „მეც არ ვიცი-მეთქი“, მერე კი, ჩაფიქ-
 რების შემდეგ, ამას გეტყვით: „ან რად უნდა დავრჩენილიყავ-
 მეთქი?“. ერთი მიზრძანეთ: გავემგზავრე კი? საიდან? პეტერ-
 ბურგიდან? მგონი, ისიც შეიძლება მკითხოს კაცმა, ამ დღეებ-
 ში ლონდონიდან რად გამოვემგზავრე, როგორც რამდენიმე
 წლის უკან მოსკოვიდან, ხოლო ამ ორიოდე კვირის შემდეგ
 პორტსმუტიდან წავალ და ა. შ. ? განა მე ნიადაგ მოგზაური
 არა ვარ ჩემებრ ბოგანო ხალხივით, ვისაც მუდმივი ოჯახი
 საცხოვრებელი ადგილი ანუ როგორც ძველ რომანებში იტყ-
 ვიან, „ოჯახური კერა“ არ გააჩნია? ვისაც ეს აქვს, ის არსად
 მიდის. სხვები კი მთელ წუთითაოფელს სადგურებზე ატარებენ.
 ამიტომაც კი არ გავემგზავრე, მხოლოდ ერთი სადგური დავ-
 ტოვე. და ზღვაში წასული კაცის ბედს — შიშს, საფრთხეს, საზ-
 რუნავსა და მღელვარებას მივეცი თავი. თუ შეჩერებაა, ამათ

უნდა შევეჩერებინე. მაგრამ განა ნაპირზე ცოტა ხიფათი ელის ადამიანს? მაშ რად ჩივიან და წუწუნებენ ასე ცხოვრებაზე? თუ დიდი უბედურება არ დაგატყდა ან ასაღლევებელი არაფერი შეგხვდა, სამაგიეროდ რამდენი უჩინმაჩინი ნემსი გეჩხვლიტება კაცს ამ ცხოვრების ორომტრიალში, „მოყვასთან“ ყოველდღიურ შეხლაში! განა ამ წუთისოფელს ვინმე ან სადმე დაუნდვია? აი, აქ დიდი სულიერი განცდები არასოდეს შეგხვდება, ვნებათა ღელვა არასოდეს აგიტანს, დიდად არც არავინ შეგიყვარდება და არც შეგძულდება. რაც ამათ ამოძრავებს, ის ყველაფერი ქანგდება ზღვაში, როგორც ქანგდება რკინა. ფოლადი თუ სხვა მსგავსი რამ. სამაგიეროდ სხვა რა? მამოძრავებელი ძალა არ გაძლევს წათვლემის საშუალებას: ეს ქარიშხალიო, ეს საფრთხეო, ეს შიშო, იქნებ სასოწარკვეთილებაც, ვიდრე ბოლოს სიკვდილი არ მოგაკითხავს, სიკვდილს კი კაცი ვერსად დაემალება; აქ მხოლოდ უფრო სწრაფად მოგიღებს ბოლოს, ვიდრე სადმე სხვაგან. აი, ხომ ხედავთ: მე მქონდა მიზეზი გავმგზავრებულიყავ, ან არ მქონდა მიზეზი დავრჩენილიყავ — გინდ ასე თქვი, გინდ ისე, სულ ერთი გამოდის. ოღონდ ახლა საკითხავი ეს გახლავთ: ამდენი ახალი განცდა ნეტავ რად ხვდა წილად ისეთ კაცს, რომელსაც არც ყმაწვილური გული გააჩნია და არც შთაბეჭდილების უნარი, რომელიც კარგად ვერც გამოიყენებს იმათ, ვერ დააფასებს და კიდევ დაიღალა ყოველივე ამით? აი, სწორედ ამის გასაღები ვერა და ვერ მომიწახავს; არ ვიცი, შემდეგში როგორ იქნება: იქნებ თავისთავად მოინახოს.

ამიტომაც მშვიდად, ყოველგვარი გულსჩქროლების გარეშე დავტოვე ჩემი მიწა-წყალი და თვალზე ტრემლიც არ მომდგომია. ნუ შემწამებთ უმადურობას, „პეტერბურგის სადგურებზე“ ლაპარაკისას მეგობრობა რომ არ ვახსენე. განა მარტო იგი არ არის საკმარისი, იმისათვის რომ ადამიანი ერთ ადგილზე დააბასა?!

მაგრამ რაც უნდა ძლიერი იყოს მეგობრობა, არა მგონია, ვისმე მოგზაურობაზე ხელი ააღებინოს. მხოლოდ შეყვარებულთ ძალუძთ დაშორებისას დარდი და ნაღველი, მათ სხვა რამ — სისხლი და ნერვები — ამოძრავებთ; ამიტომაც ასე მტკივნეულია მათთვის განშორება. მეგობრობა სისხლსა და

ნერვებში არ იბუდებს, ის თავში, შეგნებაში იმკვიდრებს ადგილს.

თუკი სიყვარულზე, ამ ესოდენ განსაზღვრულ გრძნობაზე, რომლის ფორმა, შინაარსი და შედეგი ეგზომ ნათელია, ამდენი ნაირ-ნაირი თეორია შეიქმნა და ჩაიშარხა, მეგობრობაზე უფრო მეტი შეხედულება არსებობდა და ახლაც იმაზე მეტი არსებობს. სიყვარულის ირგვლივ დავასა და კამათში ცოტა არ იყოს მორიგდნენ უკვე; მეგობრობაზე კი ჯერ გადაჭრით არაფერი განუსაზღვრავთ და, მგონი, კარგა ხანს ვერც განსაზღვრობ. ასე რომ თითოეულს შეუძლია რამდენადმე თავისებურად წარმოიდგინოს და განსაზღვროს ეს გრძნობა. მეგობრობას მეტწილად უანგარო გრძნობას ეძახიან; მაგრამ მისი ნამდვილი შეგნება იმდენად დაიკარგა საზოგადოებაში, რომ ასეთი განსაზღვრა საყოველთაო სიტყვად გადაიქცა, თუმცა შიგ რა იგულისხმება, არავინ იცის. ბევრი შემოსავალ-გასავლის წიგნაკივით მუდამ რაღაც არითმეტიკულ ანგარიშს აწარმოებს — თვითონ რა გაუკეთა მეგობარს ან იმან აქეთ რით უზღო; წარაშარა მეგობრობის კოდექსს იშველიებენ, თუმცა ის პტოლომეოსის გეოგრაფიასა თუ ასტრონომიაზე და არისტოტელეს რიტორიკაზე უფრო მოძველებულია; ჯერ კიდევ ეძებენ პილადეს თავგანწირვის მსგავს რასმე და სიყვარულს იმოწმებენ, რომელსაც ყოველწლიურ კალენდრებში თავისი სტატისტიკური ტაბულა გააჩნია, რამდენი გაგოებულა, მოწამლულა, თუ სხვა რამ უბედურება აუტეხია თავისთვის მისი მიზეზით. როცა მეგობრით უნდა იტრაბახონ, როგორც ჩინური სერვიზით ან სიასამურის ძვირფასი ქურჭით დაიკვებხნის კაცი, იძახიან: „ეს ჰეშმარიტი მეგობარიაო“, ციფრებიც კი მოჰყავთ, თხუთმეტი, ოცი, ოცდაათი წლის მეგობარიაო. ასე აჯილდოებენ მეგობარს წარჩინების ნიშნით და ფრიად წესიერ ფორმულიარს უდგენენ. პირიქით, „არაჰეშმარიტ“ მეგობარზე ასე ამბობენ: „ეგ საქმელ-სასმელად დადის, საქმეში როგორ გამოდგება, ეს კი არ ვიცითო“. აი, რა მიაჩნია ბევრს „უანგარო“ მეგობრობად.

ხომ არ გამოდის, რომ მეგობრობის დაწყევლა მინდა? არ მესმის მისი უფლებანი და მოვალეობანი? ღმერთმა დამიფაროს! ოღონდ, ჩემთვის რომ ეკითხათ, სიტყვა „მოვალეობას“

გამოვრიცხავდი მეგობრობის გრძნობიდან, და თვით სიტყვა „მეგობრობასაც“ ამოვშლიდი. პირველი რაღაც ოფიციალურად ისმის, მეორე კი გაცვეთილია. აბა, მოცალებობის უამს ჩაუქვირდით, რატომ ისმის სასაცილოდ, როცა ქალსა და კაცს შორის არსებულ განააზღვრულ დამოკიდებულებას სერიოზულად სიყვარულს დაარქმევენ, ხოლო მამაკაცთა შორის კი — მეგობრობას. რიგიანი ხალხი ასეთ შემთხვევებში პერიფრაზებს იშველიებენ. იტყვიან, იმიტომ რომ ეგ სახელები მოძველდაო. გრძნობები ხომ არ მოძველებულა. მაშ სიტყვები რაღამ გაცვითა? ან ეს მეგობრობა რას ნიშნავს, მეგობარი რაღაა? თითქო წოდებას ანიჭებ კაცს. უარესია არაა, როცა მეგობარს მხოლოდ მოვალეობა აიძულებს გაგაცილოს, დაგხვდეს ან გაქირვებაში ხელი გამოგიწოდოს. ამაზე არა სჯობია, წესიერი ხალხი ერთმანეთს უბრალოდ სემიონ სემიონოვიჩს ან ვასილ ვასილევიჩს რომ ეძახიან, ერთმანეთს არასოდეს ავალებენ; თუ შემთხვევით არა, ერთმანეთისგან არაფერს ელიან, წლობით ცხოვრობენ ასე, არ აწუხებთ ის უღელი, რაც მევალე მოვალეს აკისრებს, თუ შესაძლებელია, ერთმანეთის არსებობით, შეუმჩნევლად ტკბებიან, როგორც მშვენიერი ცით, დიდებული ჰავით დატკბება კაცი ისეთ ქვეყანაში, სადაც ბუნებას უსასყიდლოდ ურგუნებია ეს, სადაც ამის არც განზრახ ჩუქება შეიძლება და არც წართმევა! განა რა გასაკვირია, რომ ასეთი წარმოდგენების მქონეს თქვენთან განშორებისას თვალზე ცრემლი არ მომდგომია. თან შორი გზა მედო წინ, ხოლო როცა ასე შორს მიემგზავრები, ისიც ამდენი ხნით, უკან გრჩება მეტისმეტად თავმოებზრებული სახეები, საქმე, კედლები, მიდიხარ ახალ, საოცარ ქვეყანაში, რომელთა არსებობა რატომღაც ნაკლებ გჯერა, თუმცა შტურმანი თითებზე ანგარიშობს, როდის უნდა მიაღწიო ინდოეთს, როდის ჩინეთს და გარწმუნებს, იქ ბარე სამჯერ მაინც ვიქნები ნამყოფიო.

დეკემბერი. ლონდონი. რარიგ გამახარა თქვენმა წერილებმა — გამახარა სრულიად უანგაროდ! შიგ არც ერთი ახალი ამბავი არა ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო: რაღაც ორ თვეში აბა, ისეთი რა მოხდებოდა; ნაცნობებიდან ჯერ არავის მოუსწრია ქალაქგარეთ გასვლა და არც არავინ ჩამო-

სულა. გეთაყვა, ნულარ მომწერო, რომ ოპერა დაიწყო, რომ სცენაზე ახალი ფრანგული პიესა მიდის, რომ რაღაც ახალი საზოგადო გასართობი ადგილი გაიხსნა: მე მინდა პეტერბურგის საზოგადოების ფიზიონომიაც კი დავივიწყო. მე ხომ ერთფეროვნებას უფრო გავეჩეცი, ეგ კი მგონი კვალდაკვალ მომდევს ყველგან. სწორედ ახლა ვაპირებდი აღმეთქვა თქვენთვის. ინგლისზე არაფერს მოგწერთ-მეთქი, თქვენ კი მთხოვთ, მოიწერო, გული მოგლით, აქამდე ერთი სიტყვაც არ დაგცდენია ამაზეო. უცნაური პრეტენზია კია! ნუთუ არ მოგწოდებდათ მოსმენა ან კითხვა, რასაც ევროპასა და ევროპიდან სწერენ, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისზე? ხომ არ მიბრძანებთ გავიმეორო, რომ ტემზის ქვეშ გაყვანილი გვირაბი ძალიან... არ ვიცი, პირდაპირ რა ვთქვა. ვიტყვი მხოლოდ, ყოვლად უმაქნისია, რომ წმინდა პავლეს ტაძარი უზარმაზარი და მშვენიერია, რომ ლონდონში ქვეყნის ხალხი ირევა, რომ დედოფალი დღესაც ნებართვას თხოვს ლორდ-მერს სიტინზე გავლისთვის და ა. შ. აბა, ეგ რაში გქირღებათ: თქვენ ხომ ეს ყველაფერი იცით. — მეუბნებით, ისე მოიწერეთ, ვითომც ჩვენ არაფერი ვიცითო. — ბატონი ბრძანდებით; მაგრამ ეს ხომ ასე გამოვა: „ინგლისი ველური ქვეყანაა, ბარბაროსებით დასახლებული, ნახევრად უმ ხორცს ჰამენ და სპირტს აყოლებენ ზედ, ყელისმიერ ბგერებით ლაპარაკობენ; შემოდგომაზამთარს მინდვრებაა და ტყეებში ატარებენ, ზაფხულობით კი ერთად იყრიან თავს; მეტად უამი, სიტყვაძვირი და გულდახურული ხალხია. კვირობით უქმად სხედან, არც ლაპარაკობენ, არც იცინიან, გაბლენძილები დადიან, დილაობით ტაძრებში ყურყუტებენ, საღამოთი თავიანთ ბუნაგებში მისხდებიან მარტოდმარტო და მარტოდმარტოვე გამოთვრებიან ხოლმე; საქმიან დღეებში იკრიბებიან, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ლაპარაკობენ და ერთად გაიღეშებიან ხოლმე“. ეგ ხომ ადამკამინდელი ისტორიააო, მეტყვით თქვენ და მართალიც იქნებით, როგორც მე ვარ მართალი, როცა ვამბობ, ინგლისზე და ინგლისელებზე არაფერი მაქვს სათქმელი, თუ ჩემს თავზე ლაპარაკისას სიტყვამ არ მოიტანა და გაკვრით არა ვთქვი-მეთქი.

პორტსმუტში ჩამოსვლის მეორე დღეს ფრეგატი ნავსაყუდელში შეიყვანეს და დოკზე აათრიეს. ხალხი კი ნავსადგურში

უქმად მდგარ ძველ ხომალდ „კემპერდოუნზე“ გადაიყვანეს, რომელიც გემის შემადგენლობის დროებით საცხოვრებლად ყოფილა განწყობილი. იქ დავბინავდით ჩვენც, ე. ი. გადაიტანეს ჩვენი ბარგიბარხანა, ჩვენ თვითონ კი აქეთ-იქით წავედწამოვედით. მე ლონდონში გავემგზავრე, ცოტა ხანს იქ დავყავი, მერე ისევ პორტსმუტში შევიარე და აგერ ახლა აქ მოვბრუნდი.

დიღხანს არ დაავიწყდება ადამიანს ის შთაბეჭდილებანი, რასაც ახალი ადგილების ნახვა მოახდენს. ასეთ შემთხვევაში კაცს თითქო სხვა თვალი და ყური გამოებმება, წინანდელზე უფრო გამჭირახი და მახვლი, თითქო ადამიანი არა მარტო თვალით და ყურით, არამედ ფილტვებითა და ფორებით ისრუტავს შთაბეჭდილებებს და ჰაერივით იყლინთება მით. ამიტომაც დღესაც ცოცხლად მიდგას თვალწინ თითქო წყალში ჩამდგარი, ერთმანეთზე ჩახუტებული წითელ-ყვითელი, თუ თეთრი პატარა სახლები, როცა პორტსმუტის „ნავსაყუდელში“ მიგვათრევდნენ“. ამიტომაც ასე ღრმად ჩამებუქდა ხსოვნაში დახაზულ ფურცლის მსგავსად ყანებით დასერილი მინდვრების სურათი, როცა პორტსმუტიდან ლონდონს მივდიოდით. გული დამწყდა (მხოლოდ ამ ჯერად), რომ მატარებელი ასე წარმოუდგენელი სისწრაფით მიქროდა: ქოხები, ფერმები, ქალაქები, ციხე-კოშკები თითქო სურათებივით ენაცვლებოდა ერთმანეთს. უცნაური ამინდი დგას. — დეკემბერია და თბილა: გუშინ გაავდრდა; აგერ გგონია აცივდა, ყინვის სუსხიც კი იგრძენ, მეორე დღეს კი პალტოში ვერ გაივლი, დაგცხება. იწვიმებს, სულო და გულო, რამდენიც გნებაეს; მაგრამ ამას კაცი შვილი არ აქცევს ყურადღებას. უფრო მზის გამოჩენა უკვირთ. მწვანე ისე ხასხასებს, ამბობენ, ზაფხულსა სჯობიაო, ზაფხულში თურმე ჩაყვითლდება. მერე რა, რომ დეკემბერია. მინდვრად მუშაობენ, ბოსტნეულს იღებენ — ოღონდ ვერ გავარჩიე, რას. ნისლი თუ ყოველდღე არა, ყოველ მეორე დღეს მაინც არის; შეიძლებოდა კაცს სპლინი შეგყროდა: მაგრამ ის რუსული არ არის, მე კი ინგლისელი არა ვარ: სხვისი ქირი, ღობეს ჩხირიო. ისიც კმარა, რომ იმის წყალობით ორჯერ ვიყავი ტემზაზე და ორჯერვე თვალგაუტანებელი ჯანდი დამხვდა. იმედი გადამიწყდა, ველარც ვნახავ-მეთქი, მაგრამ

ამოიქრა ქარი და წინ გადამეშალა ტემზა, მისი აქეთ-იქით ჩარიგებული ულამაზო აგურის შენობები, ქვეყნის გემები, ისე რომ წყალიც არ ჩანდა. სამაგიეროდ, როგორც დულს და გადმოდულს სიცოცხლე ამ ატორტმანებულ ქუჩაზე, სადაც ყველაფერს მერკურის კვერთხი განაგებს!

არასოდეს დამავიწყდება გაზის ცეცხლში გახვეული თვალუწვდენელი ქალაქის სურათი, როცა საღამოთი მივუახლოვდი მას. ორთქლმავალი შეიქრა ამ შუქის ოკეანეში, გადაიქროლა სახლების სახურავები, გადიგრილა კეკლუცი უფსკრულები, სადაც, როგორც კალიდოსკოპში, სხვადასხვაფრად გაკაშკაშებულ ქუჩებშია ქიანქველებივით დაცოცავს ხალხი.

ბოლოს, როგორც იქნა, შთაბეჭდილებებით გაბრუებულმა, ვაგონში სამი საათი უძრავად ჯდომითა და ქალაქში ნახევარი საათი კე ბ ი თ ხეტიალით დაღლილმა, ჰერკვეშ ამოვყავი თავი.

მეორე დღეს ქუჩაში რომ გამოვედი, აღარ ვიციოდი, რა მექნა, როგორ დამეწყო მოგზაურობა ამ უცხო ქალაქში. კიდევ კარგი, ველინგტონის დასაფლავების პროცესიამ მიშველა. მთელი ლონდონი ერთ ფიქრს შეეპყრო; მხოლოდ არ ვიცი, გრძნობდა კი ქალაქი იმას, რაც გაზეთებში იწერებოდა? მაგრამ მწუხარების decorum¹-ის არც ერთი წვრილმანი არ დაერღვიათ. ყველა დუქანი დაეკეტათ. ხოლო თუ ლონდონმა დუქნები დაკეტა — ეჭვი არაა, ძალზე დამწუხრებულია. მე ვნახე კატათალკი, ბრწყინვალე ამაღა, ჯარები და ზღვა ხალხი. ხუთსა თუ ექვს საათამდე დიახაც უხალისოდ ვცურავდი ამ ხალხში, ნაპირს ვერას გზით ვერ მივალწიე. ხალხის ზღვას ქუჩიდან ქუჩაში, მოედნიდან მოედანზე გადავყავდი. ნაცნობებიდან არავინ მახლდა, ჩემი თავი აბა ვის ჰქონდა, ყველანი დასაფლავებით იყვნენ გართული, ყველა ამ პროცესიას შთაენტქა. ზოგს საღდაც ფანჯარა მოენახა და იქიდან იყურებოდა, სხვები წმინდა პავლეს ტაძარში გამძვრალიყვნენ, სადაც ცერემონია სრულდებოდა. მე მარტო ვიყავ ამ ზღვა ხალხში და მოუთმენლად ველოდი მეორე დღეს, როცა ლონდონი ამ არანორმალურ მდგომარეობას თავს დააღწევდა და ჩვეულებრივ

¹ გარეგნული გამოხატულება (ლათ.).

ცხოვრებას შეუდგებოდა. ზევრს ალბათ გაახარებდა ეს უჩვეულო შემთხვევა, დედაქალაქისა და ხალხის საზეიმო იერის ხილვა. მაგრამ მე კი სულაც არ მაინტერესებდა; ჩვენშიც მინახავს ეს სურათი; ხვალინდელ ჩვეულებრივ დღეს უფრო სიხარულით ველოდი. მინდოდა ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე მემოგზაურა, კი არ „დამეთვალღიერებინა“, არამედ მეცხოვრა და ყველაფერი ნელ-ნელა მენახა, თვალისთვის ძალა არ დამეტანებინა, თავი არ მეტეხა იმის ცდით, რომ ყოველდღე შეგზურით ხელში ამდენი და ამდენი ქუჩა, მუზეუმი, შენობები და ტაძრები მენახა. ასეთი მოგზაურობიდან მხოლოდ ქუჩების, ძეგლების ქაოსი გრჩება თავში და ისიც მცირე ხნით.

საერთოდ, დიდი შეცდომაა შთაბეჭდილებათა შეგროვების წადილი; რაც არ გპირდება, იმას მოაგროვებ, რაც საქირთა, გაგეფანტება. თუ განსაკუთრებული მიზნით არ მოგზაურობ, მაშინ სჯობია შთაბეჭდილებანი გეწვიოს მოულოდნელად, დაუპატარებლად; ხოლო ვისაც ასეთი რამ არასოდეს ეწვევა, იმას ურჩევნია, მოგზაურობაზე ხელი აიღოს. ამიტომ მეც საკმაოდ გულგრილად გავყევი სხვებს ბრიტანეთის მუზეუმში. ვიცოდი მხოლოდ, რომ აუცილებელია კაცმა ნახოს საკვირველებათა და ცოდნის საგანთა ეს კოლოსალური კოლექცია. მთელი დილა შეეწირეთ ნინევიის სიძველეთა, ეტრუსული, ეგვიპტური თუ სხვა დარბაზთა დათვალღიერებას, მერე ვნახეთ გველები, თევზები, მწერები, ერთი სიტყვით, ყველაფერა, რასაც კაცი პეტერბურგშიც ნახავს, ვენაშიც და მადრიდშიც. დრო კი ცოტა გვქონდა, ინგლისისა და ინგლისელების ნახვასაც ძლივს მოვაწრებდით. ამიტომაც გული სულ ქუჩებისაკენ მიწევდა; მინდოდა ცოცხალ ადამიანებში მევლო და არა მუმიანთა შორის მებორიალა.

ჯერ განუცდელი ნეტარებით ვუცქერდი ყველაფერს, შევდიოდი მაღაზიებში, სახლებში, გავდიოდი ქალაქგარეთ, ვათვალღიერებდი ბაზრებს, ვუყუარებდი ადამიანთა ბრბოსა და თითოეულს ცალ-ცალკე. სფინქსებისა და ობელისკების ცქერას დიახაც მირჩევნია მთელი საათი გადასასვლელზე დავეყუდო. ვნახო, როგორ შეხვდებიან ერთმანეთს ორი ინგლისელი, ჯერ ერთმანეთს ლამის ხელს მოაგლეჯენ, მერე ერთმანეთს მოიკითხავენ და ყოველგვარ სიკეთეს უსურვებენ. რა სჯობს იმათ

სიარულისა თუ თოხარიკის ყურებას, კომიზმამდე მედიდურ, გაბლენძილ სახეების ცქერას, ზედ რომ საკუთარი თავისადმი დიდი პატივისცემა აწერია, სხვებისადმი კი, ცოტა არ იყოს, ზიზღსა თუ ყოველ შემთხვევაში გულგრილობას გამოხატავს, ხალხისა, ე. ი. საზოგადოებისადმი კი მოწიწებას ამოიკითხავ. ცნობიანმოყვარეობით ვუცქერ, როგორ დაეტაკებიან ხოლმე ერთმანეთს ორი მზარეული ქალი, მხრებზე შედგმული კალათებით, როგორ მოედინება მდინარესავით ორ ან სამ წყებად ეკიპაჟები; აი, ერთ ნაკადს წარმოუდგენელი სიმარჯვით გამოეყო ერთი ეკიპაჟი და მეორეს შეუერთდა, აი, ხელი ასწია ტროტუარზე მდგარმა პოლისმენმა და ყველა ეკიპაჟი იმწამსვე ადგილზე გაქვავდა.

ტავერნებსა და თეატრებში დაკვირვებით ვუმზერ, რას აკეთებენ, როგორ ერთობიან, როგორ სვამენ და ჭამენ; თვალს ვადევნებ ადამიანთა მიმიკას, გაჭირვებით ვიქერ ინგლისური ენის ბგერებს. ამ ენაზე კი მინდა თუ არ მინდა, ცოდვილად უნდა ვილაპარაკო. ღმერთს მადლს ვწირავ, რომ ოდესღაც ვისწავლე იგი; უამისოდ ინგლისში ტყუილად ნუ შეჰყოფ თავს. საკვირველებასავით იუწყებიან მალაზიის სარკმელებზე გაკრული მსხვილი წარწერები: „ici on parle français“¹. დიახ, თუ გინდა მოგზაურობამ ნეტარება გაგრძნობინოს და ნაყოფიც გამოიღოს, იმ ქვეყანაში ცოტა ხანს მაინც უნდა იცხოვრო და იმ ხალხის ცხოვრებას ცოტა მაინც ეზიარო, ვისი გაცნობაც გსურს: მაშინ უთუოდ გააველებ პარალელს, რაც ჭეშმარიტ შედეგს წარმოადგენს მოგზაურობისას. სხვის ცხოვრებაში ეს ჩაკვირება და ჩაფიქრება, გინდ მთელი ხალხისა აიღე და გინდ ცალკე პირისა, დამკვირვებლისთვის ისეთი ზოგადკაცობრიული თუ კერძო გაკვეთილი გახლავთ, რასაც ვერა წიგნში ვერ ამოიკითხავ და ვერც ერთ სკოლაში ვერ ისწავლი. ტყუილად კი არ მიაჩნდათ ძველად აღზრდის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობად მოგზაურობანი. ჩვენთვის კი ის ფუფუნებისა და თავშესაქცევის საგნად იქცა. ცხადია, თუ წინასწარ არ მოემზადები, თუ წარმოსახვა არ გაგაჩნია და დაკვირვების უნარი არ შეგწევს, მოგზაურობა გართობაა და მეტი არაფერი.

¹ აქ ფრანგულად ლაპარაკობენ (ფრანგ.)

მაგრამ ნეტავ იმ ბედნიერს, ვისაც ამ კეთილშობილური თავ-
შეაქცევით ძალუძს თავი გაირთოს, რადგან გინდა თუ არა,
რადაცას მაინც ისწავლი კაცი. აი, Regentstreet, Oxfordstreet,
Trafalgarplace¹ — განა ეს უცხო სახის ცოცხალი ნაკვებები
არაა, სადაც თანამედროვე ცხოვრება დულს და გადმოდულს,
განა ეს სახელები წარსულს არ გიცოცხლებს, არ გაიმბობს
ყოველ ნაბიჯზე, როგორ შეიქმნა ეს ცხოვრება?.. ბატონი
ბრძანდებით, მაგრამ ვისაც გართობის გარდა სხვა რამ კიდევ
აწუხებს, უცხო ქალაქში, უცხო ხალხში ხეტიალისას ამ კითხ-
ვებს ვერ აუვლის და რაც თავის ქვეყანაში არ უნახავს, იმაზე
თვალს ვერ დახუჭავს.

ხალხში ხეტიალისას, სადაც ყოველ ნაბიჯზე ცხოვრების
სურათებს ვეძიებდი, სხვათა შორის, გადავეყარე დიდებულ
წარსულს — ვესტმინსტერის სააბატოს, და იმ დილას ქეშმარ-
იტი ბედნიერება ვიგრძენი. ასეთი ხალხური ძეგლები იგივე
ისტორიის ფურცლებია, ოღონდ ახლანდელ ცხოვრებასთან
გადაჯაჭვული. ისინი უთუოდ ზეპირად უნდა შეისწავლო
მაგრამ შესწავლა რაში გპირდება, ისედაც შენი ნების გარეშე
ძალუძად გრჩება მეხსიერებაში. თუმცა ამ სააბატოს ცქერისას
ისტორია არც გამხსენებია — მან წმინდა ესთეტიური სიამოვნ-
ება მომგვარა. გამაოცა ამ უზარმაზარი შენობის გოტიკურმა
სტილმა. დავესწარი გალობასაც დიდებული ორღანის ხმაზე.
ისრისებური სარკმელების ფერადი შუშების ფანტასტიური
განათება, ჩაბნელებული კუნძულები, წალოებში დიად ადა-
ზიანთა თეთრი ქანდაკებები, მღუმარე, თითქმის სუნთქვაშეკ-
რული მლოცველები — ყოველივე ეს ერთ მთლიან, გრანდიო-
ზულ შთაბეჭდილებას ქმნის და გულში დიდხანს გიჟდერს მე-
რე რაღაც იღუმალ მუსიკად.

ცოცხალი თუ ნაბეჭდი გიდების დაყინებული მითითების
წყალობით პირველ ხუთ-ექვს დღეში მოვასწარი და დავათვა-
ლიერე ოფიციალურ შენობათა, მუზეუმებისა და ძეგლების
დიდი უმეტესობა. ვნახე აგრეთვე ნაციონალური სამხატვრო
გალერეია, რომელიც ჩვენი ერმიტაჟის შესავალი ოთახის-
ოდენა იქნება. იქ სამასიოდე სურათია შეგროვილი. დაგამახ-

¹ რეჯენტ-სტრიტი, ოქსფორდ-სტრიტი, ტრაფალგარის მოედანი (ინგლ.).

სოვრდება მხოლოდ რემბრანდტის „ჯვარცმოდან ჩამოხსნა“ და კლოდის ორი-სამი პეიზაჟი. სასახლეების, პარკების, სკვერების, ბიჩის დათვალეირების და ოფიციალური ცნობის-მოყვარეობის წინაშე ვალის მოხდის შემდეგ დარჩენილი დრო უკვე ჩემს გემოზე გავატარე. ლონდონი უპირატესად ჭკუის საწვრთნელი ქალაქია, ჩემის ახრით, ალბათ არსად არ არსებობს იმდენი საშუალება, რომ კაცმა ესოდენ იაფად და შეუმჩნევლად სხვადასხვა ცოდნა შეიძინო. გაუთავებელი დილა — ცხრა საათიდან ექვს საათამდე — ვერც შეამჩნევ, ისე გაგიქრება ხელში. ყოველ ნაბიჯზე თავისკენ გიზიდავს ღია კარ; სადაც რაღაც საინტერესოს — მანქანას, იშვიათ საგანს დაინახავ. საბუნებისმეტყველო ისტორიის ლექციებს მოისმენ. ზოგ დაწესებულებაში ყოველ ახალ აღმოჩენათა შედეგებს გაჩვენებენ: ორთქლის მოქმედებას, ჰაერში ფრენის ნიმუშებს, სხვადასხვა მანქანათა მოძრაობას. არსებობს განაყოფიერებული დაწესებულება, სადაც უზარმაზარი გლობუსია მოთავსებული. ქვეყნის ნაწილები რელიეფურადაა წარმოდგენილი, მხოლოდ გარედან კი არა, შიგნით. მნახველები კიბეზე აღიან და სამ ბაქანზე ჩერდებიან, რომ დედამიწა დაათვალიერონ. მათ დაჰყვებათ პროფესორი, რომელიც გაკერით გიციობხავთ გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და დედამიწის პოლიტიკურად განაწილების ლექციებს. ეს კიდევ არაფერი: ამავე დარბაზში მოთავსებულია შესანიშნავი გეოგრაფიული მუზეუმი, მეტწილად ინგლისისა და მისი კოლონიების. აქ ნახავთ თაბაშირიდან გაკეთებულ მთელი ქვეყნების რელიეფურად გამოსახულ მთებსა და ზღვებს. თან საერთაშორისო გეოგრაფიის შესწავლისათვის ყოველნაირი სახელმძღვანელოებია: წიგნები, რუკები, დაწყებული გეოგრაფიის ჩასახვის დროიდან, არაბული, რომაული, ბერძნული, მარკო-პოლოს რუკები, და ჩვენი დროით გათავებული. შეხვდები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობებსაც.

ან თუნდ ბრიტანეთის მუზეუმში ავიღოთ. მართალია, მე იმ ცოტა არ იყოს, აბუჩად მოვიხსენიე, რადგან მთელი დილა დამაკარგვინა და თავის ბნელ დარბაზებში გამომამწყვდია, როცა სული და გული გარეთ მიმიწევდა, ცოცხლებში გარევა მინდოდა, — მაგრამ განა უზარმაზარი საგანძური არ გახლავთ,

სადაც არა მარტო სწავლული თუ შემოქმედი, არამედ მუქთა-
ხორა და უქნარაც უთუოდ ჩაღაცას ისწავლის, სურვილი
დაებადება თვისი მეხსიერება არა მხოლოდ ფაქტებით გაამ-
დიდროს? მერე რამდენი ასეთი, თითქმის უფასო დაწესებუ-
ლებაა ყოველ კუთხეში! სხვათა შორის, დიდი სიამოვნებით
შევეწირე მთელი დილა ზოოლოგიური ბაღის დათვალიერებას.
აქ უკვე მუზეუმივით მუმიები და ფიტულები აღარ მინახავს,
მაოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოყვანილი ცოცხალი ცხო-
ველები ვიხილე. ეს განუწყვეტელი ლექცია, რომელსაც ხედავ,
აღიქვამ, მოცემულია სახეებში ყველა თავისი წვრილმანით და
ამასთან მშვენიერადაც გაისეირნებ. კიდეც მეტი, ყოველ მნახ-
ველს ამ სეირნობისას თავისუფლად შეუძლია იამაყოს, რომ
ია „ბუნების მეფეს“ წარმოადგენს, მთელი ეს სიამოვნება კა
მხოლოდ ერთი შილინგი ღირს.

ბოლოს, თუკი დასათვალიერებელი სხვა აღარაფერი დაგრ-
ჩებათ, მაღაზიები ნახეთ: ბევრი მათგანი თავისებური მუზეუ-
მი გახლავთ, საქონლის მუზეუმი. საქონლის სიუხვე, სიმდიდ-
რე, გამოფენის გემოვნება პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე
მიიყვანს კაცს. სიმდიდრე წარმოდგენას გიხშობს. „ნეტავ ვინ
არიან მყიდველები, ან სად არიან?“ — ფიქრობ და გეშინია
ამ მარმარილოს, მალაქიტის, ბროლისა თუ ბრინჯაოს პალა-
ტებში შეხვიდე. მთელი შეჭერეზადა ამასთან შედარებით
ბალღურ ზღაპრად გეჩვენება. ოთხი არშინის სიგრძე სარკის
კედლებთან მთელი საათი შეგიძლია იყურყუტო და უხვად
დაყრილი ქსოვილების, პატოსანის თვლებისა, ფაიფურისა და
ვერცხლეულის ცქერით გაერთო. მეტ წილ საქონელს ფასი ზედ
აწერია; თუ ისეთ ფასს მოჰკარი თვალი, რომელზედაც ხელი
მიგიწვდება, ვერაფრის დიდებით ვერ შეიკავებ თავს და ყიდ-
ვაზე უარს ვერ იტყვი. ყოველი გასეირნების შემდეგ ჯიბეებ-
გატენილი ვბრუნდები. გადმოვალაგებ ხოლმე მერე ყველა-
ფერს მაგიდაზე და ვნანობ, რად ვიყიდე, რაში მჭირდება, ეს
ყველაფერი ხომ მქონდა და ა. შ. იყიდი წიგნს, რომელსაც არ
წაიკითხავ, წყვილ დამბაჩას, თუმცა არასოდეს გექნება შემთხ-
ვევა გაისროლო, ფაიფურს, რაც ზღვაზე აბა რაში დაგჭირდე-
ბა, სააიგარეს, ხანჯლიან ჯოხს და ბევრ ამისთანას. მაგრამ

აბა ვაჟკაცი ხარ და გაუძელ ცთუნებას, როცა ასეთ სიიაფეს ხედავ!

ამას ისიც დაუმატეთ, რომ ყოველ ნავაჟკარს სახლში მოგართმევენ, თუ ჯიბეში არ ჩაგეტიათ, და ვიდრე დაბრუნდებით, უკვე შინ დაგხვდებით. მაგრამ ამასთან არ დაივიწყოთ, ვაჟკარს ანგარიში გამოართვით, როგორც მე მიჩიხის, და ხელი მოაწერინეთ, რომ ფული გადახდილი გაქვთ; თუმცა ვაჟკარებს ამის თხოვნაც არ სჭირდებათ, თვითონვე ჰაიპარად მოგართმევენ ანგარიშს. ხანდახან, თუ ასეთი სიფრთხილე არ გამოიჩინე, მეორეჯერ მოგიხდებათ გადახდა. ჩემის მხრივ, იმასაც გირჩევდით, ვიდრე რასმე იყიდით, ფასი ჯერ ორ-სამ მალაზიაში იკითხეთ. ისეთ თვითნებობას საქონლის დაფასებაში, როგორც აქაა გამეფებული, ვერსად შეხვდებით. ვაჟკარი ფასს, მგონი, მყიდველის მიხედვით ადებს. ერთ მალაზიაში ქალმა რაღაც წვრილმანი ორი შილინგი დამიფასა, ამ დროს ქმარი შემოვიდა და ხუთი შილინგი მომთხოვა. რომ გაიგო, ცოლს ორ შილინგად მოეცა, ჩემს იქ ყოფნაში ჩუმად ტუქსავდა ამის გულისთვის. ერთ მალაზიაში პალტოს ოთხ გირვანქად დაგიფასებენ, გვერდით კი იმავე ქსოვილისა შვიდნი გირვანქა ღირს.

ლონდონი ისეთი ქალაქია, სადაც კაცი ჰკუთხას ისწავლის და კიდევ გაერთობა, მაგრამ გართობა მხოლოდ დილით შეიძლება. საღამომობით უცხოელისათვის ის საპრობილეა. განსაკუთრებით, თუ თეატრებისა და სხვა საჯარო გასართობების სეზონი არა დგას, ე. ი. შემოდგომა და ზამთარი არაა. თუმცა ვისაც სურს, შეუძლია საღამომობით ბალხის შინაგანი ბუნება — ზნე-ჩვეულებები შეისწავლოს; მაგრამ საამისოდ ინგლისელთა საოჯახო ყოფას უნდა ეზიარო, რაც არც იოლი საქმეა. ექვსი საათიდან ლონდონი სადილობას იწყებს და ათ-თერთმეტ-თორმეტ საათამდე სადილობს, ეს დამოკიდებულია, ვის რა შეძლება გააჩნია და რა ცხოვრებას ეწევა, მერე კი იძინებს. „სადილობსო“, რომ ვთქვი, ამით მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა, დღის გარკვეულ მონაკვეთს რითი ავსებენ. თორემ ინგლისელები კი არ სადილობენ, ჰამენ. სასახლესა თუ ლორდ-მერთან ასე ორას თუ მეტ კაცზე გამართულ საზეიმო ნადიმების გარდა, ჩვეულებრივ დღეებში სუფრაზე ორი-სამი კერძი მოაქვთ: საჭმელები ისეთივეა, როგორც საერთოდ

ყველგან. ხორციული, ფრინველი, თევზეული თუ ბოსტნეულ-
აქ დღეების მიხედვით არ ნაწილდება, რა კერძს რა მიუღდება.
ამაზე აქ არავინ იტყვიებს თავს.

რაც შეეხება ნაციონალურ საჭმელებს, მაგალითად პუ-
დინგს, სადაც არ ვიკითხე, არსად მზად არ ჰქონდათ: უნდა შე-
შეკვეთათ. ეტყობა, ინგლისელები საკმაოდ გულგრილად ეკი-
დებიან ამ მძიმე საჭმელს — მე პლომ-პუდინგზე მოგახსენებთ.
ხორციული თუ თევზეული მშვენიერი ხარისხისაა, ყველგან
თითქმის au naturel¹-ად მოგართმევენ, ბოსტნეულის საკმა-
ზით. იტყვიან, მძიმე, ტლანქი კერძიაო, მაგრამ გემრიელია და
თან იაფიც: ოღონდ ჯანმრთელ კუჭზე; ინგლისელები კი ამას
ვერ დაემდურებიან. ჩვენი ანდაზა რომაა: „სახლის სილამაზეს
რას დაეძებ, შიგ ღვეზელი მოიძიეო“, იმათ თავისუფლად შე-
უძლიათ საკუთარ თავზე თქვან, ღვეზელები რომ სცოდნოდან.
ღვეზელებს კი არადა ნამცხვრებსაც, მგონი, მარტოოდენ სხვე-
ბის მიზანით მიირთმევენ. იმათი ნამცხვარი სტერეოტიპური
ვაშლის ქადაა, მურაბიანი ერბო-კვერცხი და უშაქრო კრემი
თუ ამის მსგავსი რაღაც. დიახ, იმათი სასადილოები ლამაზი არ
გახლავთ: მუხისა თუ მუხისდაგვარად მოპირკეთებული, გა-
შიშვლებული კედლები და უბრალო მაგიდები. სამაგიეროდ,
ისეთი სისუფთავეა და ისე კრიალებს ყველაფერი, რომ ზედ-
მეტეც კი მოსდით. განსაკუთრებით სასადილოს თეთრეულზე
ითქმის ეს; სუფრები თოვლივით ქათქათებს. ხელსაწმენდებიც
იგივე დღეში იქნებოდა, რომ იყოს, მაგრამ ვაი რომ არა აქვთ.
თუ დაყინებით მოითხოვეთ, მხოლოდ მაშინ მოგართმევენ
ხელსაწმენდს, ისიც ყველგან არა. ეს ამბავი მხოლოდ და მხო-
ლოდ იმათ სიფაქიზეს ადასტურებს. „ხელსაწმენდი რა საჭი-
როა? — ამბობენ ინგლისელები, — ხელის გასაწმენდად? ნუ
დაისვრი და არც დაგჭირდება გაწმენდაო“. ინგლისელები
წვერს თუ ულვაშებს არ ატარებენ, ჰოდა, არც პირის გაწმენდა
სჭირდებათ. ხუთი საათიდან რვა საათამდე მე სხვადასხვა
დროს ვსადილობდი ნაირ-ნაირ საუკეთესო ტავერნებში და
თითქმის ყველგან ორას კაცზე ნაკლები არ მინახავს სუფრაზე.
ერთ მათგანში, divantavern-აში, პატრონი მუდამ მუშტრებში

¹ ნაკრად (ფრანგ.)

ტრიალებს, თვალს ადევნებს, ყველა დაკმაყოფილებულია თუ არა. სადაც შეამჩნევს, მსახური არ მისულა, თვითონ მიეახლება ან თავის ვაჟს გააგზავნის. ამ კაცზე კი იძახიან, ლონდონში დიდებული სახლი აქვს და დიდებული ეტლი ჰყავსო, იქნებ ამიტომაც ჰყავს. ეს მარტო სასადილოების პატრონთა ჭკუის სასწავლი არ გახლავთ!

ამრიგად, — ტაძრიდან ტაძარში, მუზეუმიდან მუზეუმში სიარულისას დრო შეუმჩნევლად გადის. ყველგან, სადაც არ შეხვალ, ქვეყნის მაყურებელი ირევა: კაცმა შეიძლება იფიქროს, ინგლისელებს ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების მეტი სხვა საქმე არ გააჩნიათო. ამ მხრივ საკუთარ ქვეყანაშიც უცხოელებს ჰგვანან, უცხოელები კი მასპინძლები გეგონებათ. ასეთი გამბტანჯველი ყურადღება არა მგონია, სხვაგან სადმე გამოიჩინონ. სხვაგანაც შეიძლება გამოინახოს საშუალებანი და ყველაფერი ეს დააარსონ, მაგრამ ეყოლება კი ამდენი მაყურებელი და მსმენელი დამაარსებელს მხარდასაჭერად? ისიც უნდა ითქვას, ბევრ ჭკვიან და ცნობისმოყვარე მაყურებლის გვერდით არც ამდენ უქნარას ნახავს სადმე კაცი, როგორც ინგლისში. რა სისულელეც არ უნდა გამოაცხადოთ, რა ფაჰიც არ უნდა დაადოთ, გულარხეინად ბრძანდებოდეთ, მაყურებლები კისრიანტეხვით მოაწყდებიან. ჩემის აზრით, ცნობისმოყვარეობა იმათ ჩვენებრ მოცლილობით არ ებადებათ, არც ფრანგებივით ხასიათის სიმკვირცხლით წარმოსდგება, არც ცოდნის წყურვილი ჰკლავთ. უბრალოდ, შეგნებული აქვთ, რომ სასარგებლოა ესა თუ ის საგანი იცოდეს, და ამიტომაც უნდა დაათვალიეროს. ვერც დიდ სიამოვნებას შეატყობ სანახავად მოსულებს; ისეთი სახით ათვალიერებენ, გეგონებათ, მოძრავი ქონების ასაწერად მოსულანო: გასინჯავენ, იქ თუა დაკიდებული, ან იმ სიდიდისა თუა, როგორც გამოქვეყნებული ან ნათქვამია, და გზას გააგრძელებენ.

მოთმინება მეყო ჩემდაუნებურად დამეთვალიერებინა ყველა ფოკუსი. ვნახე წიწილების ორთქლით გამოჩეკვა, ამერიკული საკეტები, რომელთა გაღება შეუძლებელია და ა. შ. ინგლისელები რომ თავიანთ გარდაცვლილ დუქას აგერ სამი კვირაა ზედ აკვდებიან, ამის მნახველს გეგონება, ეს იშვიათი სანახაობაც ჩეკეს, ჩეკეს და როგორც იქნა ძლივს გამოჩეკესო. დუქა

ხომ დასაფლავეს, მაგრამ აქამდე ისევ ს. ნახავად დადიან, იცით რისი? წმინდა პავლეს ტაძარში დასაფლავების გამო აგებულ წანწალისა! ამიტომაც აქამდე ტაძარში ვერ შევსულვარ: მე ხომ ინგლისელი არა ვარ, რომ წანწალის ნახვა მაინტერესებდეს! დღემდე ნაბიჯს ვერ გადადგამ, რომ ღუქას არ გადაეყარო, მისი პორტრეტი, ბიუსტი, დამკრძალავი ეტლის გრავიურა არ ნახო. გუშინ ვატერლოოს პანორამა გამოჩნდა: ვფიქრობ, წანწალიდანაც მოხსნიან პანორამას. „ღუქას“ დაკრძალვაზე ხომ არ ჩამობრძანებულხართ?“ — მკითხა ერთმა ვაჰარმა ღუქანში, უცხოელობა რომ შემამჩნია. „Yes, o yes!“ — ვუთხარი მე. ვერა და ვერ მოვუყარე გონებაში თავი განსვენებულ ღუქას მთელ ღვაწლს, ამიტომაც (ჩემდა სამარცხვინოდ) მისმა გარდაცვალებამ დიდად არ დამაღონა, უფრო მეტიც (ღმერთო შემინდე) და გულიც მომივიდა, მისმა სამგლოვიარო პროცესიამ ქუჩებში, განსაკუთრებით კი წანწალებმა რომ ხელი შემიშალა იმის დათვალიერებაში, რაც მინდოდა. არ იფიქროთ, თითქო ამ ბრიტანელ აგამემნონის უთვალავი ღვაწლის დაფასებისა და პატივისცემის გაკიცხვა მსურდეს — ო, არა! მე თვითონ ვიყიდე ერთი პატარა ბიჭისაგან გმირის მედალიონი, კომპოზიციიდან, მინდოდა ფორპენსი მიმეცა, შემთხვევით კი ქისაში ჩარჩენილი ორშაურიანი თუ ხუთკაპიკიანი ამომიღია. ბიჭი დამეწია, ზურგში ფული ჩამცხო და დასაკლავი გოჭივით აყვირდა: „no use, no use!“ (ეს ჩვენში არ იხმარება).

ინგლისელთა საზრიანობის ეს ფოკუსები და წვრილმანები რომ ნახა, ჩინეთში ნამყოფმა მ(ამა) ა[ვაკუმმა] ინგლისელები ჩინელებს შეაღარა წვრილმანი, მიკროსკოპული საქმიანობით, ვაჭრობის სიყვარულით და ზოგიერთი სხვა მიზეზით. ამერიკული საკეტი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, — ეს ისეთი საკეტი გახლავთ, რომელიც ისე იკეტება, რომ ხანდახან პატრონიც ვერ გახსნის ხოლმე. წინათ აქაურ სახელმწიფო სალაროებში, სხვათა შორის ბანკშიც რომელიღაც ასევე ძლივს გასახსნელი საკეტი ყოფილა მიღებული. ყოველ შემთხვევაში, დიდხანს თვლიდნენ თურმე ასე. მაგრამ ჩამოსულა ერთი ამერიკელი. უთქვამს, მე გავხსნიო და გაუხსნია კიდეც. შემდეგ შემოუთა-

¹ ღიახ, ღიახ! (ინგლ.)

ვაზებია თავისი გამოგონილი საკეტი და პრემია დაუნიშნავს, ვინც გახსნიდა. საკეტი ექსპერტებისთვის, საამისოდ პორტს-მუტის ციხიდან მოწვეულ სამ გაქნილ არამზადისთვის მიუციათ. კარებისა და სუნდუკების განთქმული გამტეხები ყოველნაირ საჭირო ინსტრუმენტებით შეუიარაღებიათ. მაგრამ სამი დღე ტყუილუბრალოდ იწვალეს, ვერაფერი გაახეჩხეს და განაცხადეს, საკეტის გახსნა შეუძლებელიაო. ამის შედეგად წინანდელის ნაცვლად ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ახლა ის არის გამოყენებული. როგორც ასეთი საკეტების მალაზიის პატრონისგან გავიგე, მთელი საიდუმლოება გასაღების წვერშია მოთავსებული, სადაც კარისა და ყუთის დაკეტვისას უნდა ჩაიდგას ნებისმიერი ჩაოდენობის ფირფიტები. თუ არ იცი, რამდენი ფირფიტაა ჩადგმული და როგორ, ისე საკეტს ვერაფრის დიდებით ვერ გახსნი. ფირფიტები კი, იცოცხლე, ბლომადაა. ნახავ აქ უზარმაზარი კარის საკეტებსაც და პატარა ყუთების საკეტებსაც, ათ გარვანქა სტერლინგიდან ათ შილინგამდე ღირებულს. ეშმაკურადაა მოგონილი, არა?

უნდა გითხრათ, რომ მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვეებს კაცზე ლონდონის გარეგნული სახე და მისი მოსახლეობის ცირკულაცია: იქ ორ მილიონამდე ხალხი ცხოვრობს, მსოფლიო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს, და რა გგონიათ, რა არ შეიმჩნევა? — სიცოცხლე, მისი დუდილი და ორომტრიალი. ვაჭრობა კი დასანახია, მხოლოდ სიცოცხლე არა ჩანს: ძალაუნებურად უნდა დაასკვნა, რომ აქ სიცოცხლე — ვაჭრობაა, რაც მართლაც ასეა. პირველი თვალში არ გეცემა. მხოლოდ თუ გამოთვლი, რამდენი კაპიტალი ბრუნდება დღეში თუ წელიწადში, რა საშინელი მიქცევ-მოქცევაა უცხოელებისა მოსახლეობის ამ ოკეანეში. როგორ იყრის აქ თავს მთელი ინგლისის რკინიგზა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში ასიათასობით ეკიპაჟები დაქრის, მაშინდა დაასკვნი, რომ ლონდონი მსოფლიოს პირველი დედაქალაქია. გაცეებით პირს დააღებ, მაგრამ თვალით კი ვერაფერს შეამჩნევ. ისეთი სიწყნარე მეფობს შედარებით, ისე მწყობრად, ღინჯად სრულდება საზოგადოების სასიცოცხლო პროცესები. ცხენებისა და ბორბლების ხმაურის მეტს სხვას ვერაფერს მოჰკრავ ყურს. ქალაქი ცოცხალ არსებასავით სუნთქვასა და მაჯისცემას იკავებს.

ტყუილებრალოდ არავინ ყვირის, არავინ მოძრაობს, ბაღღე-
ბის სიმღერა, ხტუნვა და ცეღქობაც ნაყღებ ისმის. ასე გგო-
ნია, თითქოს ყვეღაფერი გამოანგარიშებუღია, აწონიღია და
შეფასებუღი, თითქოს ფანჯრებსა და ბორბღებსავით ხმასა
და მიმიკაზბე ბაღია დაღებუღი. ეკიბაღეღი გამაღებით მიქ-
რიან, მაგრამ მეეტღეღები არ ყვირიან, გამვღეღებიც ფხიზ-
ღად არიან. ქუჩაში არავინ დაგეჯახება, არავინ ჩხუბობს,
ვერც მთვრალებს ნახავ, თუმცა ყოვეღი ინგღისეღი საღიღღზე
კარგად შეზარხოშღება ხოღმე. ყვეღა იჩქარის, მირბის: ჩემს
გარდა უღარღეღად და ზანტად არავინ დაეხეტება...

ამასობაში გამგზავრების ღღეც მოახლოვღა. ფრეგატზე
ღაღე მორჩებიან სამუშაოებს: საცაა წასეღის ღღესაც დაღიშ-
ნავენ. მაგრამ კიღევ მიღდა ცოტა ხანს მაინც ვიხეტიაღო ამ
ქკვიან ხაღბში, დავაკვირღე აქაურობას, ვიღრე პირვეღყოფი-
ღი ბუნების წიღღში ამოყოფღე თავს და მის ასეთსავე პირ-
ვეღყოფიღად დაჩჩინიღ შვიღღებში ვიტრიაღებღე! ინგღისის
ბუნებაზე მე ვერაფერს ვიტყვი: ბუნება საღღაა, გეთაყვა! ისე
დაუღმუშავებიათ, რომ ყვეღაფერი პროგრამის მიხეღღით იზრ-
ღება და ცოცხოღბს. აღამიანი დაუფღებია ბუნებას და მის
ფრთის გაშღას თავის ნებაზე კვეცავს. მიღღვრები აქ მოხატუ-
ღი პარკეტი გეგონებათ. ბაღახისთვის ხავერღის ფერი და
სირბიღე მიუციათ. მიღღვრად ვერ ნახავ უქმად მიგღებუღლ
ერთ ციღა მიწასაც. ბაღში ბუჩქს თავის ნებაზე არავინ გააღ-
გმევიღებს ფესვს. ცხოვეღებიც ამ ღღეში ჰყავთ. აქ ყვეღაფე-
რი: ცხვრები, ცხენები, ხარები, ძაღღები აღამიანიღვით ჯი-
შიანიღა: მოსუღი, ლამაზი, სიცოცხღით სავსე; თავიანთი დაღიშ-
ნუღების შესრუღებისაღმი მისწრათება პირუტყვებში, მგო-
ნია, გონივრუღლ შეგნებამღე გაუზრღიათ, აღამიანებში კი, პი-
რიკით, ცხოვეღის ინსტიქტამღე დასუღა. პირუტყვებისთვის
იმღენად ჩაუნერგავთ ღისციპღინა, რომ ხარს თითქო ესმის.
რისთვის უღდა გასუქღეს ასე, აღამიანი კი, პირიკით, ცღი-
ღობს დაივიწყოს, ყოვეღ ცისმარე ღღე, ყოვეღ წღიღან
წღამღე ან მთეღი სიცოცხღე რად ყრის ღუმეღღში ქვა-
ნახშირს, ან რომეღიმე სარქვეღს ხურავს. აღამიანში ახშობენ
ყვეღაფერს, რამაც შეიღღლება პირღაპირი მიზნიღან გაღაახვე-
ვინოს. იქნებ ამიტომაც ამღენი აღამიანი იქ პირვეღი შეხეღ-

ვით გონებაზეზღუდული გეჩვენება, თუმცა მხოლოდ დასპე-
ციალებულნი კი არიან. სწორედ ამ დასპეციალებაში იმარხება
მათი წარმატების საიდუმლოება. აქ მჭედელი ზეინკლობას არ
მოჰკიდებს ხელს, ამიტომაც იმისთანა მჭედელს მსოფლიოში
ვერსად ნახავ. ყველაფერში ასეა. მექანიკოსი, ინჟინერი არ
დაგიდევთ პოლიტიკურ ეკონომიას და არც რცხვენიათ, რომ
მისი ინჟინინჩი არ გაეგებათ; ერთი წიგნიც ამ დარგში არა
აქვთ წაკითხული; ნურც ბუნებისმეტყველებაზე გამოელაპა-
რაკებით, ერთი სიტყვით, ნურაფერს ჰკითხავთ, რაც საინჟინ-
რო დარგს არ შეეხება — თორემ უბადრუკი და გონებაჩლუნგი
მოგეჩვენებათ... მაგრამ ამ გონებაჩლუნგობის ქვეშ ხანდახან
დიდად ნიჭიერსა და მუდამ ფრიად ჰკვიან ადამიანს აღმოა-
ჩენთ, მაგრამ მისი ჰკუა და გონება მექანიკაზეა გადაყოლილი.
„უნივერსალურად“ განათლებულ კაცს შეიძლება მოსწყინდეს
სასტუმროში მასთან ბაასი, მაგრამ თუ ქარხნის პატრონი ხარ.
უთუოდ ან მას, ან მის მანქანას გამოიწერ.

ეს ყველაფერი, ე. ი. ასეთი პრაქტიკულობა დიახაც ჩინე-
ბული იქნებოდა, რომ, სამწუხაროდ, ერთს მხრივ ცუდი არ
იყოს: არამარტო საზოგადოებრივი საქმიანობა, არამედ თი-
თოეულის ცხოვრება მეტად პრაქტიკულად ჩამოყალიბებულა
და მანქანასავით მოქმედებს. არ შეიმჩნევა, რომ საზოგადო
თუ კერძო სიკეთე და მადლი ადამიანის ნათელი საწყისებიდან
გამომდინარეობს, რომლის მომხიბლავ ძალას საზოგადოება
მუდამ უნდა გრძნობდეს, მუდამ უნდა ჰქონდეს მოთხოვნილე-
ბა ამით დაიტკბოს თავი. პირიქით, აქ იგრძნობა, თითქო
ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რაღაც მიზ-
ნისთვისაა საჭირო. მგონი, პატიოსნება, სამართალი, შებრა-
ლების გრძნობა ქვანახშირით მოიპოვება წიაღიდან, ასე რომ
სტატისტიკურ ცხრილებში ფოლადის საგნებისა და ბამბის
ქსოვილების ჯამის გვერდით შეიძლება დაიწეროს, რომ ამა
და ამ კანონით ამა და ამ პროვინციასა და კოლონიაში მოიპო-
ვეს ამდენი და ამდენი სამართალი, ან ამა და ამ საქმისათვის
საზოგადოებრივ მასაში დაუმატეს მასალა სიწყნარის, ზნე-
ხასიათის შერბილებისა თუ ამისთანათა გამოსამუშავებლად.
ეს სიკეთე და მადლი, სადაც საჭიროა, იქაა მიწებებული, ბორ-
ბალივით ტრიალებს და ამიტომაც ვერც ვერავის ათბობს და

ვერც ვერავის ატყვევებს. ადამიანთა სახეებს, მოქმედებას, საქციელს მკვეთრად ატყვია სიკეთისა და სიავის პრაქტიკული შეგნება, ატყვია, რომ ეს მოვალეობადაა ჩათვლილი და არ წარმოადგენს სიცოცხლის აზრს, სილამაზესა და სიტკბობას. სიკეთეს დაჰკარგვია შარავანდელი; ის საზოგადოების, ერის კუთვნილებაა, მაგრამ არ ეკუთვნის ადამიანს, მის გულს. საზოგადოებრივი საქმიანობის მანქანა ამიტომაც უცოდველად მუშაობს და ზღვა პატიოსნება და სამართალი მოუხმარებია საამისოდ. ყველგან დაცულია უფლებანი, კანონი, ყველაფერი შემოზღუდულია ამით. საზოგადოება განცხრომით ცხოვრობს: მისი დამოუკიდებლობა და საკუთრება ხელუყოფელია. სამაგიეროდ, ბევრია ისეთი ხვრელი, სადაც ვერ შეუტანებია კანონს, სადაც საზოგადოებრივი აზრიც კი უძლური ჩანს, სადაც ადამიანებს მოუნახავთ საშუალება ამ ფრიად მნიშვნელოვან შეამავლებს გვერდი უარონ და თავის ნებაზე იფარფაშონ: აი, სწორედ აქ საერთო მოძრაობის მანქანა წვრილმან. ინდივიდუალურ ზომებს ვეღარ ეწყობა და მისი ბორბლები უქმად ტრიალებს. ინგლისურ ვაჭრობას ძირს ვერავინ შეურყევს, მისი კრედიტი შეურყეველია, თუმცა ყოველ დუქანში კი ბუშტარი იძულებულია ხელწერილი გამოართვას, რომ ფული გადახდილი აქვს. ქურდების წინააღმდეგ ბევრი სასტიკი კანონი არსებობს, თუმცაღა ლონდონი თაღლითების საჩვენებელ სკოლად ითვლება და ქურდების რიცხვი ათი ათასამდე აღის: წარმოიდგინეთ, ისინი სავაჭრო საქონლად არის მიჩნეული კონტინენტის მოსამარაგებლად და ძნელად გასაღებ საკეტების გამოგონების ოსტატები მათი ვახსნის ოსტატებს ეცილებიან. არც ის დაივიწყოთ, რომ ამდენ კონტრაბანდისტებს ვერც ერთ კუთხეში ვერ შეხვდები. როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ყველგან ნამუსიანობის შესამოწმებელი მანქანებია: აი, რა ძალა ასულდგმულებს სიკეთეს საზოგადოებაში, თუმცა ბანკებსა და სავაჭრო კანტორებში სალაროები ხშირად ქურდების არჩივი ხდება. ქველმოქმედება საზოგადოებრივ მოვალეობადაა მიჩნეული, სიღარიბის მსხვერპლი კი განა შარტო ცალკეული ადამიანები და ოჯახები ხდება, არამედ ინგლისის მმართველობის ქვეშ მყოფი მთელი ქვეყნები ილუპებია. ეს მაღალი ზნეობის ხალხი კვირაობით ხმელა პურზე გადადის.

თქვენს ოთახში ფორტეპიანოსაც არ დაგაკვრევენებს, ქუჩაში სტვენის ნებას არ მოგცემს. მოდი და ნუ დაგაფიქრებს გონიერი, საქმიანი, ღვთისმოსავი, სინდისიერი და თავისუფალი ხალხის რეპუტაცია!

მაგრამ იქნებ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის სულ ერთია: გიყვარდეს სიკეთე იმიტომ, რომ ის ლამაზია, იყო პატროსანი, ლმობიერი, სამართლიანი, — ისე ტყუილად, ყოველგვარი მიზნის გარეშე, ვერსად გამოაჩინო და გამოიყენო ეს შენი თვისება, თუ იყო სიკეთის მქნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ამას გიკარნახებს გონება, ვალდებული ხარ, ასე მოიქცე, ცხრილი გაქვს საამისოდ შედგენილი? თითქოს მართლაც სულ ერთი გამოდის, მაგრამ მაშ რატომ გგვრის ზიზღს? ვითომ სულ ერთია, ვინ შექმნა ქანდაკება — ფიდიუსმა, კანოვამ თუ მანქანამ? — აი, რა კითხვა გებადება...

იქნებ მისაყვედუროთ, რაც ინგლისში ვნახე, დაწყებული ღუკა ველინგტონიდან და დამთავრებული ორთქლით გამოჩეკილი წიწილებით, ყველაფერზე ვლაპარაკობ, ქალებზე კი ჯერ სიტყვა არ დამიძრავს. მაგრამ იმათზე ზერელედ ლაპარაკი არ მინდა, ხოლო დაკვირვებისა და ჩაღრმავების დრო კი არ მქონდა. ან სად უნდა დავკვირვებოდი იმათ? ოჯახებს მე არ გავცნობოვარ, ვერ მოვასწარი, ქალები მხოლოდ ეკლესიებში, მაღაზიებში, ლოკებში, ეტლებში, ვაგონებში და ქუჩებში თუ მინახავს. ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი — ისიც იმიტომ, არ მინდა საყვედური მივიღო, — რომ შესახედად მშვენიერი ქალებია, ტანწერწეტა, საუცხოო ფერფურის, თუმცა კი ხორცს ბლომად მიირთმევენ, არც მწვავე ხანელებელსა და მაგარ ღვინოებს ერიდებიან. არა მგონია, სხვაგან ამდენი ლამაზი სახეები ნახოთ, როგორც ინგლისში. ინგლისელი ქალებისა და კაცების სილამაზეზე იმ წითურა ქალბატონებით და ვაებატონებით ნუ იმაჯელებთ, რომლებიც ინგლისიდან გამოქცეულან და ჩვენში უკიბერობენ, მემანქანეობენ, მასწავლებლობენ თუ გუვერნანტკობენ: ისინი კნავი ხალხია. ლამაზ ქალს ინგლისიდან გასაქცევი რა აქვს: სილამაზე აქ ქონებაა. მეტად პრაქტიკულად შეაფასებენ და ჯეროვან ადგილს მოუნახავენ. მახინჯ ქალს კი გასავალი არა აქვს, თუ ისეთი ნიჭი არ აღმოაჩნდა. რაც ინგლისშიც კი არის საჭირო. მარტო ენის სწავლება

და ბავშვის მოვლა იქ დიდ ზედენად არ ითვლება. ამიტომ ერთი გზაა დარჩენია, რუსეთს გამოემგზავროს. ინგლისელი ქალები მეტწილად მალეები არიან, მოყვანილები, მაგრამ სხვების თქმით, ცოტა არ იყოს, ზედმეტი სიამაყე და სიმშვიდე, თითქმის გულცივობაც სჩვევიათ. თვალისა და თმის ფერი ნაირ-ნაირი გახლავთ: ნახავთ კუპრივით შავთმიანსა და 'შავთვალეზას, თუმცა სახის ფერი საოცრად თეთრი აქვთ და ლოყებიც ყირმიზი; შემდეგ წაბლისფერთმიანები მოდის, ისინიც ასევე თეთრყირმიზები და ბოლოს ქერაკულულებიან, ფაიფურივით თეთრი, გამჭვირვალე, ოღნავ მოვარდისფრო სახის ნაზ არაბებესაც შეხვდებით, გედივით ყელმოღერებულებს, საოცრად ნარნარებს, უბიწო, სპეტაკ სხივიან თვალეზში რომ კდემამოსილება გამოუკრთით. უნდა ითქვას, რომ მამაკაცებიც ტოლს არ უგდებენ ამ ბანოვანთ სილამაზეში: უკვე მოგახსენეთ, რომ ადამიანიდან დაწყებული ინგლისში ყველაფერი ჯიშინი და ლამაზია. მამაკაცები ისევე შავთმიანები, წაბლისფერთმიანები და ქერა შეგხვდებათ. იხევე მალეები, გარეგნულად მშვიდები, ამაყები არიან, მედიდური და მტკიცე სიარული სჩვევიათ.

ინგლისში მგონი, მარტო ქალები დარჩენილან, ვისაც პრაქტიკული თვალით არ უყურებენ. ისინი აქ განებივრებული ჰყავთ და თუ მისტრის დომბივით ხანდახან სპეკულაციის საგნად ხდებიან, ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებზე მეტად არა. მათთვის ანთია საკმეველი საოჯახო კერაზე. ინგლისელი დილით ქალაქს რომ შემოირბენს, ყველაფერს მოისაქმებს და შინ დაბრუნდება, ქოლგასა და საწვიმართან ერთად კუთხეში თავის პრაქტიკულობასაც სტოვებს. იქ ქრება მანქანის ცეცხლი და სხვა, კერიისა თუ ბუხრის ცეცხლი ინთება. იქ ინგლისელი აღარც ადმინისტრატორია, აღარც ვაჭარი, დიპლომატი. ის მხოლოდ ადამიანია, მეგობარი, მიჯნური, ნაზი, გულდია, მიმნდობი. მერე როგორ დაჰკანკალებს ამ თავის საკურთხეველს! თუმცა ჩემი თვალით არ მინახავს, ოჯახებში არ შევსულვარ, მაგრამ ყური კი მომიკრავს და ფრიად პატარა ნიშნებით შემინიშნავს... მაგალითად, ინგლისელს თუ თქვენ დაახლოება სურს, თუ უნდა დიდი პატივი ვცეთ, შინ მივიწ-

კვთ, ამ თავის წმიდათა წმიდა ტაძარში სასაღილოდ: **ამაზე მეტს ვერაფერს გაგიკეთებთ.**

გოგოლმა ცოტა არ იყოს ჩამიშხამა ინგლისელ ქალებზე შთაბეჭდილება: ყოველი ლამაზი ინგლისელი ქალის დანახვაზე მყის კაპიტანი კოპეიკინი წარმომიდგება ხოლმე. თეატრებში დიდგვაროვანი მანდილოანებიც ვნახე: ლამაზები არიან, მაგრამ ზედმეტად მდიდრულად აცვიათ იმ პატარა, საძაგელ თეატრისათვის, სადაც მონბლანზე ასვლის დიორამას აჩვენებენ: ყველას გულმოდელილი კაბები ეცვათ, თეთრი მოსასხაჩები, თმაში ყვავილები გაეკეთებინათ. ამიტომაც ცოტა ჩვენს ბოშა ქალებს მომაგონებდნენ, როცა ბალიუსტრადაზე გამოდიან სამღერლად. პოტელებში ცხოვრებისას დუქნების დიასახლისების, მაღაზიაში გამყიდველი ქალებისა და სხვა მისთანების გარდა ქალები ახლოდან არ მინახავს. აგერ, ორი მოახლე დაფუსფუსებს და დარბის ჩემს ირგვლივ საფოსტო ცხენებივით, ჩემს ყოველ სიტყვაზე კაჭკაჭებივით მომაბეზრებლად მომძახიან: „yes, sir, no, sir“¹. რაღაც ხუთი შილინგის გამო ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ, მხოლოდ **ამაზე ფიქრობენ** და რაც არ უნდა ჰკითხო, მყისვე ერთმანეთზე ჩივილს დაგიწყებენ. კიდევ შეიძლება ის ქალბატონები და ქალიშვილებიც მეხსენებინა, რომლებიც ქუჩაში რომ გაგისწორდებიან, ღიმილს შემოგაფრქვევენ, ან მრავლისმეტყველად შემოგხედავენ, ან არადა პორტსმუტელ მანდილოანებზე მეთქვა რამე, ნაირ-ნაირი საგნები რომ გამოაქვთ გასაყიდად: მაგრამ ერთნიც და მეორენიც ჩვენებისაგან ასეთ შემთხვევაში არ განსხვავდებიან. ამ უკანასკნელებზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც მოგზაურს პირდაპირ გააოცებს მათი უშველებელი ბოუსტები, იმდენად ამის სინაკლულე გააკვირვებს ყმაწვილ ქალებში. აოცებს თუ არა ეს ამბავი თვითონ ინგლისელებს, ვერ გეტყვით.

ამბობენ, ინგლისელი ქალები კიდევ დიდი ფეხებით გამოირჩევიანო; ვითომ მართალი კია? მე მგონი, ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ ინგლისელი ქალებივით სხვა არავინ აჩენს ასე ფეხებს: ატალახებული ქუჩის გადასვლისას ისე მალლა იყ-

¹ დიახ, სერ, არა, სერ (ინგლ.)

რეფენ ხოლმე ქვედაწელებს, რომ... ფეხებს მშვენივრად დაინახავ.

31 დეკემბერი 1851 წ. ალბათ მოგბეზრდათ უკვე. რომ სულ ერთი და იგივე ადგილიდან გიგზავნიო წერილებს. რას იზამ! ჩანს, ასე მიწერია განგებისაგან, მეც ზანტი ვიყო და ჩემს ირგვლივ სხვებსაც სიზანტე გადავდო. ზანტად მოძრაობა ყველაფერი და უამთა ვითარებამ თითქო შესწყვიტა სრბოლა. გახსოვთ, ძლივს რომ გამოვეტიე პეტერბურგიდან, მხოლოდ მეოთხე ცდაზე გამიმართლა ბედმა და მამულს „გავცილდი“. ახლაც აღარ დაადგა საშველი ჩვენს ინგლისიდან გამგზავრებას, ჩვენ უკვე რეიდზე გავედით: ი ა ნ ი ი რომ ამოიქრას, ნახევარ საათში შევისხამდით ფრთებს და ოკეანეში გავიდოდით. მაგრამ ოკეანე, ეტყობა, მზად არაა ჩვენს მისაღებად. თითქო გზას გვიღობავს აღმოსავლეთის ქარებით. ვერც იმას ვიტყვი, ინგლისში ვიმყოფებით-მეთქი, უბრალოდ ფრეგატზე ვართ; ჩვენ ხუთასი კაცისაგან შევდგებით და რუსეთის პატარა ნაწილს წარმოვადგენთ. ნაპირი სამიოდე ვერაზუა, ჩვენს წინ ტალღებში ყურყუმალობს პორტსმუტის დაბალი გალავანი, გვერდით ქვიშიანი მარჩხობი მისდევს, უკან ვაიტის მწვანე ქოჩორი მოჩანს, მერე კი ზღვა გადაშლილა, ასობით ხომალდი გაბნეულა ამ თვალუწვდენელ რეიდზე და ჩვენსავით ზურგქარს ელის. ინგლისს რა ხანია დავემშვიდობებთ. მოვათავეთ ყველა საქმე, სასეირნოდ წასვლას კი ქარი გვიშლის. სამი დღის უკან ორი ნავი წავიდა და ნავსადგურში დარჩა — ისე უბერავდა. ხანდახან მხოლოდ ინგლისური ვერეიკა თუ გაკუნტრუმდება თხასავით ვაიტისაყენ და ვაიტიდან პორტსმუტისაყენ.

24-ში, ნათლილების წინა დღეს, დილით გადმოვედი ნაპირზე: ამინდს არა უშავდა, მაგრამ იქიდან რომ წამოვედი... ოჰ, რა სადამო გავატარე! დიდხანს ჩამრჩება ალბათ ხსოვნაში რამე-რუმეები რომ ვიყიდე, Albertpier¹-ზე ინგლისური ნავი დავიჭირავე და შინისკენ წამოვედი. ნავსაყუდელში, გალავნის მოფარებულში, სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ გაშლილ ზღვაში რომ გამოვედით, ქარმა გამძვინვარებით დაუბერა,

¹ ალბერტის ნავმისაბმელი (ინგლ.)

თან ციოდა, ბნელოდა და ციხე-კოშკის კედელს ფურთუნი გახელებით ეხეთქებოდა. ჩემმა ინგლისელმა მენიჩბებმა არ იცოდნენ, სად იდგა ჩვენი ფრეგატი. „სალამოს გაფელზე ორი შუქი ენთებაო“, — დილით მითხრეს ფრეგატზე წამოსვლამდე. ვიყურები წინ, სივრცეში, სადაც ოდნავ მოჩანს ხომალდების ლანდი და ახვადასხვა ადგილას მილიონობით სინათლეს ვხედავ. ერთი ხელით ქუდი მიკავია, ქარმა ზღვაში არ გადამიდგოს, მეორე ხელს ხან უბეში ვიდებ, ხან ჯიბეებში, არ გამეყინოს-მეთქი. მენიჩბებმა ნიჩბებს თავი ანებეს, იალქანი გაშალეს, თვითონ ნავის ფსკერზე მოიკალათეს და ხმადაბლა ბურტყუნი გააბეს. ჩვენ ნავს ხან ზევით ააგდებდა ტალღები, ხან დაბლა ჩაასრიალებდა, ზვირთები პერიოდულად ზურგზე გვესაშებოდა. ცა ღრუბლებს დაეფარა, სამი ვერსი კი გასავლელი გექონდა. მივადექით ჯგუფად მდგარ რამდენიმე ხომალდს, „Russian-frigate?.“¹ იკითხეს ჩემმა მენიჩბებმა. „No“², — მოგვიტანა ქარმა, გამყივანი პასუხი. ახლა მეორეს მივმართეთ: „Nein“³ გვიპასუხეს იმათაც. მეორე გალსი უნდა აგველო და კიდევ ვერსნახევარზე გავყოლოდით რეიდს. მაშინ კი გამასსენდა, რამდენი ოცდაოთხი დეკემბერი გამიტარებია თქვენთან; ცოცხლად დამიდგა თვალწინ თქვენი ნათელი, თბილი დარბაზი, სადაც ახლა მეც ვიჯდებოდი ან ერთის, ან მეორის გვერდით... „ახლა კი რა დღეში ვარ!“ — ვფიქრობდი და შიშით შევყურებდი ზვირთებს, რომლებიც ხან ნიდაყვებამდე, ხან მკლავებამდე მწვდებოდა, ხან თავზე გადამდიოდა. ვაცქერდებოდი სივრცეს. მინდოდა გამომეცნო, რუსული ფრეგატის სინათლე სხვებზე უფრო საამოდ თუ მომანათებს-მეთქი. ბოლოს ძლივს მივალწიე და შობისწინა მწუხრის ლოცვა მივეუსწარი. ამ პატარა ეპიზოდმა მომაგონა, რომ თვალუწვდენელი სივრცის მხოლოდ ერთი ციდა გზა გამევილო; რომ ეს ეპიზოდი აქაური ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენაა; რომ სამ წელიწადში ბევრი ისეთი რამ შეიძლება გადაგხდეს თავს,

¹ რუსული ფრეგატი (ინგლ.)

² არა (ინგლ.)

³ არა (გერმ.)

რასაც მთელი სამოცი წლის მანძილზე, მით უმეტეს ჩვენი რუსეთის სინამდვილეში, ვერასოდეს განიცდი!

რას არ გადაიტანს ქალაქის მუდმივი მკვიდრის გააზიზებული ნერვები აქ, სადაც ირგვლივ მყოფ გარემოსთან წამდაუწუმ ბრძოლა გიხდება! აქ ყველაფერი სულ სხვაა: სქელი კედლების ნაცვლად პაერი გარტყია ირგვლივ, საძირკვლის მაგივრად უფსკრული გიდევის, შენი ჰერი გემსართავების ქსელია, დასაწერად დაჯდება, მაგიდა ხელიდან გაგირბის, თუ ხელი გარბის მაგიდიდან, თეფში პირიდან გეცლება. „ნუ აბრაახუნებ, ჰკვიანად იჯექ!“ ჩვეულებრივ ეს გესმის ნაპირზე ყოფნისას. „აბრაახუნე, აჯაახუნე, იმოძრავე!“ — გიჩიჩინებენ აქ ყოველ ნაბიჯზე. კომფორტულსა და არხეინი ცხოვრების ნაცვლად აქ ყველაფერ მოუხერხებელს გაჩვევენ. ამას წინათ კაპიტანი გემბანზე სერთუკის ამარა არტყამდა ბოლთას, შეცივებულს ქვედა ყბა სულ უკანკალებდა. „პალტოს რად არ ჩაიცვამთ-მეთქი? — „სხვებს მაგალითს ვაძლევო“, — მითხრა. ბევრი რამ, რაც ნაპირზე, თბილ ოთახში ტახტზე მოკალათებულს უგნურებად გეჩვენება, აქ ჰეშმარიტებას წარმოადგენს. დაინახავ, რომ ეს უგნურება აქ გამართლებულია, თქვენი წმიდა ჰეშმარიტება კი უადგილოა. თავს უხერხულად გრძნობთ, რადგან ხომ არ შეიძლება ეს უგნურება თუ ადგილობრივი ჰეშმარიტება იწამო, თუმცა კი აუცილებლობა ამართლებს ამას. ზღვაზე ნაწილობრივ დაგავიწყდებათ თქვენი აღზრდა, თქვენი აზიზობა და გამომუშავებული ჩვევები. მაგრამ არა უშავს: კაცი ყველაფერს მიეჩვევა, მოითმენს, გაცივებითაც კი აღარ გაცივდება. აგერ მეც საფეთქელი აღარ მტკივა. აღბათ გამიჭირდება კიდეც შემდეგ ზღვაში მიღებული ჩვევების დავიწყება ხმელეთზე დაბრუნებისას. მეგონება, რომ ავეჯი უნდა „მიიკრას“, ფანჯრები ღარაბებით კი არ დაიკეტოს, „აიწებოს“, ქარი რომ ამოიჭრება, იმის ფიქრში ვიქნები, „ყველას რიფების ასაკრეფად დაუძახებენ-მეთქი ზევით“.

რამდენ რასმე მიქაღდა ჩემი ოცნებანი და რამდენი რამე არ ამიხდა! ვიფიქრე, რუსულ ზამთარს გავექცევი, ორი ზაფხულით ვისიამოვნებ, მაგრამ აგერ, მგონი, ოთხ შემოდგომას შევესწარ: რუსული ხომ უკვე ვნახე, ინგლისური ახლა დამიდგა, ტროპიკებში იქაურ შემოდგომას ჩავეუსწრებ აღბათ.

მერე რა უთავბოლობა გამოდის: ორი შობა უნდა იუქმო, რუსული და ინგლისური, ორი ახალი წელი, ორი ნათლიღება. ინგლისურ შობაზე სამუშაო ბევრი იყო — ჩვენები მარტო ვერას გახდებოდნენ: ინგლისელებს კი უქმეზე მუშაობის გავონება არ სურდათ. ჩვენს შობა დღეს ინგლისელები მოვიდნენ, მაგრამ ჩვენებს ხომ ვერ ვამუშავებდით, სირცხვილი იყო.

კიდეც რასმე ვიამბობდით ჩემს ამხანაგებზე, მაგრამ ზოგიერთებზე უკვე გითხარით, სხვებზე კი შემდეგ გეტყვით. უკანასკნელ დროს, ვიდრე ჩვენი ფრეგატი დოკში იღვა, ოთხ ამხანაგთან ერთად ვცხოვრობდი ერთ დიდ ინგლისურ კაიუტაში. ერთი მეტად აუღელვებელი, მშვიდი კაცი გახლავთ, ყველას ერთნაირად ეპყრობა; არავის საქმეში ცხვირს არ ჩაპყოფს, არც მხიარულია და არც დარდიანი; გულს არაფერი ატკენს, არაფერზე იწუხებს თავს; რასაც სხვები იტყვიან, ყველაფერზე კვერს უკრავს; ყველას ტკბილად ექცევა, თუმცა არც მეგობრები ჰყავს და არც მტრები. სადაც არ წაიყვან, მისთვის სულ ერთია: ყველაფრით კმაყოფილია, ჩივილი და წუწუნნი არ ახასიათებს. ყოველ ახალ ამბავს სხვებზე ერთი დღით გვიან იგებს; „ხათრიანიო“, მგონი, სწორედ მასზე მოუგონიათ. მეორეს უფრო ხშირად ვებაასები, ისიც ძალიან საყვარელი კაცია, მუდამ მშვიდი ბუნების, წონასწორობას არასოდეს დაჰკარგავს; მაგრამ იმას ისე ადვილად ვერ დააკმაყოფილებ. როგორც პირველს. უყვარს კომფორტი, უიმისობა, ცოტა არ იყოს, აწუხებს, თუმცა კი ცდილობს უჩვევ ატმოსფეროს შეეთვისოს. ის მაღალი საზოგადოების კაცია, ასეთები კი მუდამ მომწონდა. თუ ადამიანი მაღალ საზოგადოებაში გაზრდილია და არა მხოლოდ პრეტენზიები აქვს საამისოდ, არც ისეთი ზერელენი არიან, როგორც ჰგონიათ. ასეთი აღზრდა არც დიდ განათლებას უშლის ხელს, არც სწავლულობას თუ რაიმე სპეციალურ განწრას. ის ადამიანში ბევრ კარგ თვისებას იმუშავებს, მთელ ხასიათს აყალიბებს და ამასთან ასწავლია, დამალოს არა მარტო ნაკლი, არამედ ღირსებებიც, რაც უფრო ძნელი გახლავთ. ის, რაც ხანდახან თანდაყოლილ თავმდაბლობად, აუღელვებლობად გეჩვენება, მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის წყალობაა. მაღალი წრის ადამიანი ისე დაიჭერს თავს, რომ გგონია, თითქო შენთვის თავს იკლავს, ყველაფერს გწი-

რავს, თუმცა სინამდვილეში თითსაც არ ანძრევს შენტვის და პირიქით, იქით ეწევა შენს სიგარებს, როგორც ბ[არონი]. თითქოს ეს დიდი არაფერია, მაგრამ თქვენს დამოკიდებულებას კი მეტისმეტ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულ ჰუმანიურობას ანიჭებს.

ლონდონიდან პორტსმუტში დაბრუნების შემდეგ ერთი კვირა კიდე არხეინად გავატარეთ „კემპერლოუნზე“. ბევრნი ვიყავით. ყველანი მეტად მოხერხებულად შოგვაწყვეს ასზარბაზნიან ძველი ინგლისური ხომალდის აუარება კაიუტებში. დილით ოთხივეს ზუსტად რვა საათზე გვადვიძებდა „ექსელენტის“ ზარბაზნის ბათქი. ის ინგლისური ხომალდიც უძრავად იდგა ჩვენგან რამდენიმე საყენის მანძილზე. ვისაუზმებდით თუ არა უხვად მოტანილი ხორციეულით, კარტოფილითა და ბოსტნეულით, ასე რომ სადილობაც კი გამოგვდიოდა, ყველანი ჩვენ-ჩვენს საქმეებს ვუბრუნდებოდით. ოფიცრები საადმირალოში მიდიოდნენ ფრეგატზე სამუშაოდ, ვინც ოფიცრები არ ვიყავით, ან კაიუტაში ვრჩებოდით, ან საყიდლებზე თუ სასეირნოდ მივდიოდით ზოგი პორტსმუტში, ზოგი პორტსიში, საუტსა თუ ჰოსპორტში. ეს ოთხი ქალაქი ერთად მდებარეობს და პორტსმუტს შეაღვენს. ამათგან ყველა ერთმანეთისგან განსხვავდება. პორტსი და პორტსმუტი სავაჭრო ნაწილია, ქვეყნის მალაზიები, საწყობები და ბაყები აქ. აქვე მდებარეობს საადმირალოც, აქ არის ყველა ერის მებრძოლების თავშესაფარიც. საუტსი — სუფთა უბანია, მთავარ ეკლესიებსა და დიდ სახლებს აქ მოუყრია თავი, ხელისუფალნიც აქ ბინადრობენ. ამ უბნებს გალავანი ჰყოფს. ჰოსპორტი ნავსაყუდალის მეორე მხარეს მდებარეობს და დანარჩენ სამ უბანს ორთქლიან ბორანით უკავშირდება. ეს ბორანი წარამარა დადის ბაგირზე და კაპიკად გადაჰყავს ხალხი. გარდა ამისა, უთვალავი პატარა ნავი დადის. მალაზიებს ჰოსპორტშიაც ნახავთ, მხოლოდ მეორეხარისხოვანია, იქ ხილის დუქნებია, ჩინებული სასტუმრო დგას, სადაც ჩვენ მივადგებოდით ხოლმე, და ლონდონის რკინიგზის სადგური. ყველა ამ ქალაქს ორ საათში მოვივლი. ჰოსპორტში ერთი მთავარი ქუჩაა და რამდენიმე შესახვევი. საუტსი ერთი მოედნისა და შემოსანგრულ გალავნისაგან შედგება. მხოლოდ ერთმანეთთან გადაბმულ პორტსმუტსა

და პორტის გააჩნია რამდენიმე ქუჩა. სახლები, მალაზიები, ხალხი — ყველაფერი ლონდონს მოგაგონებთ, ოღონდაც უფრო მცირე ზომის და არც ისე მდიდრულია. მაგრამ შედარებით მაინც ყველაფერი სუფთა, მდიდრულიცაა და ლამაზიც. ზღვა, მეზღვაურები, ხომალდები საადმირალო ქალაქს თავის ბეჭედს ასვამს, როგორც ჩვენს კრონშტადტს, ოღონდ ის უფრო დიდია და ხალხიც უფრო ბლომად ირევა. შემდეგ, საათის ექვსზე ისევ ვიკრძებით მეორე სადილზე, ასე რომ ჩვენი შ[ამა] ა[ვკაუმი] გაოცებული რჩება, ნეტავ რომელი სადილის შემდეგ შეიძლება თვალის მოტყუებაო.

ერთი პირობა ფადეევის წაყვანაც ვცადე სასეირნოდ, ვიფიქრე, თუ რასმე ვიყიდი, იმას გამოვატან-მეთქი უკან. მაგრამ ვინანე კი. სიტყვა არავის შეარჩინა, გზა არავის დაუთმო, თუ ვინმე დაეჯახა, იმ წუთში მუშტით უპასუხა, პატარა ბიჭებს საშველი არ მისცა. ამ უცხო ნაპირზე თავისი კოსტრომული ადათები გადმოიტანა და სხვისი ერთი წვეთითაც არ გააზავა. ყოველი უცხო ჩვეულება, ყოველი უცხო დაწესებულება შეცდომად მიაჩნია, მტრული თვალთ უცქერის და აბუჩადაც იგდებს. „მამაძაღლები არიან ეს ასე ბიო!“ (ასე შეარქვეს მეზღვაურებმა ინგლისელებს, რომლებიც საუბარში წამდაუწუმ I say-ს ხმარობენ: გეუბნები, გამიგონე). როცა გუშავად მდგარი შოტლანდიელი ჯარისკაცები ნახა, ღია ფერის ტანსაცმელში, ე. ი. შოტლანდიურ კუბოკრული ქვედაწელებში გამოწყობილნი, უშარვლოდ, წვივებშიშველნი, უნდა გენახათ, როგორ მასხრად აიგდო ისინი. „დედოფალი გაწყყრომიათ: შარვალი არ მიუციაო“, — ხარხარებდა ის და ჯარისკაცების ტიტველ ფეხებზე მითითებდა. მარტო ერთი შალის ქსოვილი, ე. წ. „ინგლისური ტყავი“ მოიწონა, რომელსაც უბრალო ხალხი ტანსაცმლად ხმარობდა, ისიც იმეტომ ალბათ, რომ მისი შარვალი ორი შილინგი ღირდა. მთხოვა, ეგ ტყავი მისთვისა და მის ამხანაგებისთვის მეყიდა და თვითონაც გამომყვა. მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა მასხრად აიგდო ინგლისელი ვაჭარი, თუმცა ის ნამდვილი ჯენტლმენივით იყურებოდა! ჩემი ბედი, რომ ერთმანეთის არ გაეგებოდათ! მაგრამ ფადეევის სახითა

და კილოთი მიხვდებოდა კაცი, რომ ვაჭარი en canaille¹-დ მიაჩნია და ჩუხლომელ ბუბლიკების გამყიდველივით აბუჩად იგდებს. „სტყუი, ეგ არ არის, — იძახდა ის და ქსოვილის თოფს უკან ისროდა, — თქვენო მალალკეთილშობილებავ, უთხარით ის მოგვიტანოს, ტერენტიევსა და კუზმინს რომ მოუქრა“. ვაჭარი ახლა სხვა ნაჭერს მოგვართმევდა. „ეგ არა-მეთქი, შე მამაძაღლო, აკი გითხარი!“ მოკლედ სულ ასეთ შემკობაში აყო.

ერთხელ პორტსმუტში ჩემთან მოირბინა სახეგაბრწყინებული. სიცილს ძლივს იკავებდა. „რა გიხარია, ბიჭო?“ — ვკითხე. „მოტიგინი... მოტიგინი...“ — იძახდა ის სიცილით. (მოტიგინი გამხდარი, ჩოფურა მეზღვაურია, მისი მეგობარი) „ჰო, რა ქნა მოტიგინმა?“ „ნაპირზე იყო და გამობრუნდა...“ „მერე?“ — „ერთი დაუძახე, თქვენო კეთილშობილებავ, და ჰკითხე, ნაპირზე რა დაემართა?“ მაგრამ მე გულს გადამვარდა ეს ამბავი. საღამოს მოტიგინი შემომეფეთა, თვალი ჩალურჯებული ჰქონდა. „რა მოგივიდა? რად ჩაგლურჯებია თვალი?“ — ვკითხე მე. მეზღვაურები ახარხარდნენ; ფადეევი ხომ ცაში ფრინავდა სიხარულით. ბოლოს გამოირკვა, რომ მოტიგინს პორტსმუტელ თევზის გამყიდველ ქალბატონისთვის დაუპირებია „გაარშიყება“, რაც იგივეა, ძუ მგელს გაეარშიყო ტყეში. იცოცხლე, იმას მუშტები დაუყრია, ერთი თვალშიც მოხვედრია. მაგრამ მეზღვაურიც თავის მხრივ ბატკანი არ გეგონოთ: ამიტომ ძუ მგლის ეს ალერსი მოტიგინისთვის იგივეს წარმოადგენდა, რაც ფრანტის უადგილო ქათინაურზე რომელიმე კნეინის სარკაზმი. მაგრამ ფადეევი კი დღესაც დიდად ერთობა ამით, თუმცა მოტიგინის ჩალურჯებულ თვალს უკვე ფერი ეცვალა.

ბოლოს გამოგვიცხადეს, ფრეგატზე უნდა გადაბარგდეთო. ატყდა ერთი ფაციფუცი: კარკაპებსა თუ კატარლებს დილიდან საღამომდე გადმოჰქონდათ ნაპირიდან ნაირ-ნაირი მარაგი; მეზღვაურები ჩვენ ბარგს ფრეგატზე ეზიდებოდნენ, იგი „კემპერლოუენის“ ახლოს მოაყენეს. ამ ჰყლეტასა, ხმაურხა და

¹ გაიძვერა (ფრანგ.)

ღრიანცელში უცბად კაპიტანთან პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩ] ტ[იხმენევი] გაძვრა, ჩვენი სმა-ჰამის გამგებელი, „ი[ვან] ს[ემი-ონოვიჩი],—სულმოუთქმელად მიაყარა:—ღვთის გულისათვის, ნავი მომეციტ ახლავე, ამ წუთში...“ — „რად გინდათ, სად უნდა წახვიდეთ? ხომ ხედავთ, ნავები დაკავებულია. აგერ, უკანასკნელიც ნახშირზე მიდის. მაინც რაში დაგჭირდათ?“ — „ქათამი გაგვექცა, საქათმე რომ გადაჰქონდათ, და აგერ სად მიცურავს, ღვთის გულისათვის, ნავი მომეციტ ახლავე, თორემ დაიხრჩობა. ჩემს მდგომარეობაშიც შედით: ოფიცრები მენდვნენ, მე ვცდილობ ეს ნღობა...“ კაპიტანს გაეცინა და ნავი მისცა, ქათამი დაიჭირეს და თავის ადგილზე დააბრუნეს. მალე რეიდზე დავედქით, ახლა ამინდსლა ვუცდით.

ყოველდღე ვემშვიდობები აქაურ ნაპირებს, ვამოწმებ შთაბეჭდილებებს, როგორც ძუნწი ამოწმებს უჩუმრად ყოველ თავის გადანახულ კაპიკს. ვაი, რომ დაკვირვებას დიდი ფასი არა აქვს, ბევრი არაფერი მიმყვება აქედან, იქნებ იმიტომ, რომ გზა სხვაგან მიღევს და იქით მიმეჩქარება. კიდეც მეშინია, ზედმეტი დაკვირვებით ტვინი არ დავინაგვიანო. გული არ მწყდება ამ მსოფლიო ბაზრის დატოვებაზე, არ მენანება ამ კვამლით, ჰვარტლითა და ორთქლით შებურულ სურათების გამოთხოვება. ის კი მაშინებს, რომ დიდხანს ამეტორღიალება ალბათ თანამედროვე ინგლისელის სახე და სხვათა წარმოდგენას შემიშლის... აგერ ჩქარა გადმოგილოცავთ კიდეც ამ სახეს, მე კი შევეცდები დავიწყებას მივცე.

მხოლოდ იმასაც შევნიშნავ, რომ აქ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მოხერხებულად და კომფორტაბელურად მოიწყოს ცხოვრება, რაც შეიძლება გაიმარტივოს, მერე რა არ გამოუგონებიათ საამისოდ, რამდენი ნიჭი და გენია დაუხარჯავთ ამ მანქანების, ზამბარების, ტაბულებისა თუ სხვა ასეთივე მარჯვე საშუალებების მოსაფიქრებლად, რომ ადამიანს ცხოვრება გაუადვილდეს! ადამიანის ცხოვრება რომ ამ გამოგონებებით, მანქანებით, ზამბარებითა თუ ტაბულებით შემოვსაზღვროთ, მაშინ ამ საკითხის pendant¹-ად: „გახდა თუ არა უტყუარი ისტორია მას აქეთ, რაც მისი წყაროები გამრავლდა?“ შეიძ-

¹ პარალელურად (ფრანგ.)

ლება დაისვას საკითხი: „მოხერხებული გახდა თუ არა ცხოვრება ამქვეყნად მას შემდეგ, რაც იგი კეთილმოწყობილი შეიქნაო?“

თანამედროვე ინგლისელი თავისით არ იღვიძებს; არც მსახური აღვიძებს: ეს ბარბაროსობა, ჩამორჩენილობა გახლავთ, თანაც ლონდონში მსახური ძვირად ფასობს. ინგლისელს მალეიძარა საათი აღვიძებს. პირს მანქანის საშუალებით იბანს, ორთქლით გარეცხილ საცვალს იცვამს, მაგიდას მიუჯდება, ფეხებს საამისოდ განკუთვნილ ბეწვგადაფარებულ ყუთზე დგამს და ორთქლის საშუალებითვე სამ წუთში იმზადებს ბიფშტექსსა თუ კატლეტს, ჩაის დააყოლებს და მერე გაზეთს მოჰკიდებს ხელს. ესეც დიდი სიმარჯვეა, „Times“ ან „Herald“¹-ის ფურცლები ჩაიკითხო: თორემ უამისოდ მთელი დღე დაყრუებული და დამუნჯებული იქნება. საუზმის შემდეგ ცხრილის საშუალებით იხსენებს, დღეს რა რიცხვი და რა დღეა, ამოწმებს, დღეს რა უნდა გააკეთოს; იღებს მანქანას, რომელიც თვითონ უნაგარიშებს: ზეპირად ანგარიში და გამოთვლა რა მოსახერხებელია. მერე სახლიდან გადის. ამას აღარ ვიტყვი, რომ კარი თითქმის თავისით იხსნება და იხურება გასვლისას. ის ბანკში უნდა შევიდეს, მერე სამი ქალაქი მოიაროს, ზირუაზეც უნდა მოასწროს, პარლამენტის სხდომაზე არ დაიგვიანოს. ყოველივე ამ კეთილმოწყობილი ცხოვრების მეოხებით შეასრულა. აგერ, ეს პოეტური სახე, შავ ფრაკში გამოწყობილი, თეთრი ჰალსტუხით ყელზე, წვერ და თმაგაპარსული, ილღიაში ამოჩრილი ქოლგით, ესეც კეთილმოწყობის წყალობაა, ან ვაგონიდან იყურება, ან კებიდან, ხან გემებზე დალანდავ, ხან ტავერნაში შეისწრებ, ტემზაზეც მიცურავს, მუზეუმში დაბორილობს, პარკში ცხენს მიაქენებს! შიგადაშიგ მოასწრო ვერთხების დევნის ხახვა, რალაც ხიდურა დაათვალიერა, დიუკას ჩექმების გასახდელი კალაპოტი შეიძინა. გზაში ორთქლით გამოჩეკილი წიწილა შექამა, ლარიბების სასარგებლოდ ერთი გირვანქა სტერლინგი შეიტანა. ჰოდა, გულდაარხენიებული, რომ ეს დღე ჩინებულად გაატარა, ბევრი შესანიშნავი რამ ნახა, რომ დიუკა და ორთქლის წიწილები

¹ ლონდონის გაზეთების „ტაიმსისა“ და „ჰერალდის“ სახელები.

ჰყავს, რომ ბირჟაზე სარფიანად გაყიდა ბამბის საბნების პარტია, ხოლო პარლამენტში — თავისი ხმა, სადილს მოუჯდება, მერე ცოტა არ იყოს, ფეხარეული ადგება სუფრიდან, კარადასა და ბიუროს ცხრაკლიტულს გაუკეთებს, მანქანით ჩექმებს გაიხდის, მალევიძარას მომართავს და დასაძინებლად დაწვება. მანქანის მუშაობა წყდება.

ორთქლისა და ქვანახშირის ბოლით გაქვნილი ინგლისურ ნისლში ეხვევა ეს სახე და თვალთაგან მეფარება. მაგრამ აგერ სხვა სახეს ვხედავ. აქედან ძალიან შორს, ერთ დიდ ოთახში, სამ ბუმბულზე ღრმად სძინავს კაცს: სახეზე საბანი წაუფარებია, ხელებიც მიუშველებია, მაგრამ ბუზებს მაინც მოუხერხებიათ შეძრომა და ლოყასა და კისერზე ჯგროდ მოუკალათებიათ. მძინარეს არ აწუხებს ისინი. ოთახში მალევიძარა არ არის, სამაგიეროდ მამაპაპისეული საათი ჰკიდია: ყოველ საათში სისინით, ბრიალითა და სლუკუნით ლამობს ამ კაცს ძილი დაუფრთხოს, მაგრამ ვაი რომ ამოდ. სახლის პატრონი არხენად ფშვინავს. ვერ გააღვიძა ქალბატონის გამოგზავნილმა პარაშუმ, ჩაის დაღვევის დროაო, ჯერ სამჯერ დაუძახა მოახლემ, მერე საკმაოდ ღონიერი მუშტებიც დაურთო ნეკნებში; მსახურიც სამჯერ შემოვიდა, სოფლური სქელლანჩა ლურსმნებით დაჭედნილ ჩექმებით ფიცრებს სულ კრაჭაქრუჭი აუყენა, მაგრამ ამოდ. მზე ჯერ კეფაზე შიადგა, მერე საფეთქელზე დააცხუნა — ბატონს მაინც სძინავს. ვინ იცის, როდის გაიღვიძებდა თავისით, ალბათ მაშინ, როცა ძილით გაიგუდებოდა, როცა ნერვები და კუნთები დაქინებით მოსთხოვდნენ მოძრაობას. მაგრამ ცუდმა სიზმარმა გააღვიძა: ძილში უქმურა დააწვა და ახრჩობდა, ამ დროს მამალმაც ხმამაღლა შემოსძახა ყიყლიყო ფანჯარასთან და ოფლში გაღვრილმა ბატონმა თვალი გაახილა. ის იყო ცოცხალ მალევიძარა-მამალისთვის უნდა შეეკურთხებინა, რომ მამაპაპისეულ საათს დახედა და გაჩუმდა. გაიღვიძა ბატონმა, წამოჯდა ლოგინზე და გაოცებულა, ასე რამ დააძინა, არ სჯერა, რომ აღვიძებდნენ, არ სჯერა. რომ მზემ უკვე შეიმალლაურა, რომ მოურავმა ორჯერ შემოიძარა განკარგულების მისაღებად, რომ სამოვარი სამჯერ აადუღეს და სამივეჯერ ამოშრა წყალი. „რად არ მობრძანდებით?“ — ტკბილად ეკითხება ვიღაც მეორე ოთახიდან. „ცალი

წალა ვერ მიპოვია, — ეუბნება ის და ფეხს აფათურებს საწოლქვეშ, — შარვალაც სადღაც დაუდვიათ. ეგორკა სადღაა?“ ეძებენ ეგორკას, რომელსაც თურმე ბადე წაუღია და თევზაობის მოყვარულ შინაყმებს თევზის საჭერად გაჰყოლია. სანამ ეგორკას მოსაყვანად ვიღაც მიიზღაზნება გუბურისაკენ, ხოლო ვანკას უკან ეზოში აღმოაჩენენ ან მიტკას სამოახლოდან გამოათრევენ, ბატონი გატანჯული სახით ზის ლოგინზე, ხელში ცალი წალა უჭირავს და მეორის დაკარგვაზე წუხს. მაგრამ ყველაფერი მოგვარდა: წალა წუხელისვე შეუთრევია დივნის ქვეშ მიმიშკას, შარვალის შეშაზე დარჩენია ეგორკას, როცა გასაწმენდად გაუტანია და ამ დროს ამხანაგებს დაუპატიჟებით სათევზაოდ. იცოცხლე, ეგორკას შავი დღე მოელოდა, რომ სადილისთვის მთელი კალათა გოჭა თევზი, ორასამდე კობორჩხალა არ მოეტანა, ბატონიშვილისათვის ლერწმისგან სალამური არ გამოეთალა და პატარა ქალბატონისთვის ორი ცალი დუმფარა არ მოეწყვიტა. ამის გულისთვის წყალში ყელამდე შესულა გუბურის შუაგულში და კინაღამ დამხრჩვალა. აჰ, დალიეს ჩაი და საუზმეს შეუდგნენ: სუფრაზე მოიტანეს დაკეპილი ხორცი არაყანით, ერთი ტაფა სოკო ან ფაფა, გააცხელეს გუშინდელი შემწვარი, ყმაწვილებს ბურღულის წვნიანი მოართვეს — ერთი სიტყვით, ყველას თავის პირის გემოზე მოუნახეს საკმელი. ახლა კი საქმეს უნდა მიხედვა. ბატონს ქალაქ-ქალაქ სიარული არ სჭირია: ქალაქში მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიდის ბაზრობაზე ან არჩევენებზე. საბედნიეროდ, ერთიც და მეორეც ჯერ შორსაა. ბატონი კალენდარს ფურცლავს, რომელი წმინდანის დღეა: ხომ არავის დღეობაა, მილოცვის გაგზავნა ხომ არაა საჭირო. მეზობელი მთელი თვის გაზეთებს ერთად გამოუგზავნის, და მთელ სახლს ახალი ამბები კარგა ხანს ეყოფა. მოურავი უკვე მესამედ ეახლა და ბატონიც საქმეს უნდა შეუდგეს.

„აბა, რას იტყვი, პროხორ?“ — ეუბნება ბატონი გულგრილად. მაგრამ პროხორი ხმას არ იღებს; ისიც ასევე გულგრილად იღებს კედლიდან მანქანას, ანუ საანგარიშოს, და ბატონს მიაართმევს. თვითონ ხელებს უკან დაიწყობს, ფეხს წინ გამოსწევს და განზე მიდგება. „აბა, მითხარი, რა რამდენია?“ — ეკითხება ბატონი და ანგარიშის ჩასაყრელად ემზადება.

„ქალაქში წინა კვირას შერია გაიგზავნა სამოცდა...“ — და ის არის უნდა დაამთავროს სიტყვა: — „თხუთმეტი ჩარევიო“. „სამოცდაცხრამეტი“, — ასწრებს ბატონი სათქმელს და ანგარიშში ჩამოდის. „სამოცდაცხრამეტი“, — კუშტად იმეორებს მოურავი და ფიქრობს: „რა გლეხის ჭკუა აქვს, ბატონი კი ჭკვია! ამბობენ, მეზობელ ბატონს კი არაფერი ახსოვსო...“

— ხორბალზე ხომ არ მოსულან ვაქრები? — უცბად იკითხა ბატონმა, სათვალე შუბლზე აუწვევია და მოურავს უყურებს.

— გუშინ მოვიდა ერთი.

— შერე?

— ცოტახ იძლევა.

— მაინც?

— ორ მანეთს.

— ორ მანეთსა და ორ შაურს? — ეკითხება ბატონი.

მოურავი დუმს: ვაჭარმა მართლაც, რომ მანეთი და ორი შაური შეაძლია. მაგრამ ბატონმა ნეტავ საიდან გაიგო? იმას ხომ ვაჭარი არ უნახავს! მოურავი ქალაქში იმ კვირია უნდა წასულიყო და იქ მოეთავებინათ საქმე.

— რატომ არაფერს ამბობ? — ეკითხება ბატონი.

— თქვა, კიდევ ჩამოვალო, — ეუბნება მოურავი.

— ვიცი, — იძახის ბატონი.

„საიდან იცის? — ფიქრობს მოურავი, — ვაჭარს რომ არაფერი უთქვამს?..“

— ის ხვალ მღვდელთან შეივლის თაფლისთვის, იქიდან ჩემთან მოვა. შენც მოდი, აქ დაგხვდება.

მოურავს უფრო ეღუშება სახე.

— ბატონი ბრძანდებით, — ძლივს გამოსცრის კბილებში სიტყვებს.

ბატონს ისიც ახსოვს, სამი წლის უკან ვასილი ვასილიევიჩს რომ ხორბალი სამ მანეთად გაუყარია, შარშან კი უფრო იაფად, ხოლო ივან ივანიჩს სამი და ხუთი შაური აუღია. ხან მინდვრად სხვის ყმებს ნახავს და იმათ ჰკითხავს, ხან ვინმე მოსწერს ქალაქიდან, თუ არადა ალბათ მუშტარი დაესიზმრება და ფახსაც ძილში გაიგებს. აბა, ტყუილად ხომ არ სძინავს ამდენი. ბატონი და მოურავი ზოგჯერ მთელი დღია თუ

მთელი საღამო საანგარიშოს აჩხაკუნებენ და ცოლ-შვილს პირდაპირ სულს უწუნებენ, მერე მოურავი მთლად ოფლში გაღვრილი გამოვა კაბინეტიდან, გეგონება, სალოცავად ოცდაათ ვერსზე ფეხით წასულაო.

— ჰო, კიდევ რას მეტყვი? — ეკითხება ბატონი. ამ დროს ბოგირზე რახრახი ისმის. ბატონი ფანჯარაში იხედება. „ვილაც მოდის, არა?“ — ამბობს ის და მოურავიც იყურება ფანჯარაში. „ივან პეტროვიჩი გახლავთ, — ამბობს ის, — ორბორბლიანი ეტლით მობრძანდება“.

— ოჰო! — ბატონი საანგარიშოს განზე დებს. — აბა, გასწი; საღამოს მოდი და იწნებ მაშინ ვიანგარიშოთ. ახლა კი ანტიპკა და მიშკა ქაობში და ტყეში გაგზავნე, ნანადირევი ფრინველი მოიტანონ ორმოცდაათამდე; ხომ ხედავ, რა ძვირფასი სტუმრები გვეწვია.

ისევ გაიშალა სუფრა, საუზმეს ყავა მოჰყვა. ივან პეტროვიჩი სამი დღით ეწვიათ ცოლ-შვილით. გუვერნიორი, გუვერნანტკა, გადია, ორი მეეტლე და ორი ლაქია მოჰყვა. რვა ცხენით ჩამოვიდა: ეს ყველაფერი სამი დღე უნდა არჩინოს მასპინძელმა. ივან პეტროვიჩი მისი ცოლის შორეული ნათესავია: აბა ორმოცდაათ ვერსს მარტო სადილისთვის ხომ არ გამოივლის! ხვევან-კოცნის შემდეგ გაიმართა საუბარი: გზა რა ძნელი იყო, რამდენი საფრთხე ელის კაცს ამ დღენახევარ საგალზე.

— ნასადილევს პირჯვარი გადავიწერეთ და მწუხრის შემდეგ დავადექით გზას, გვინდოდა, მგლის ხევი სინათლით გაგვევლო, დანარჩენი თხუთმეტი ვერსი ბნელში ვიარეთ, თითს თვალში ვერ მიიტანდი! ღამით ისე გაავდრდა, ისეთი ჰეჰა-ჰეხილი და წვიმა იყო, ღმერთმა ყოველი კაცი დაიფაროს! ნახეთ ვასილი სტეპანიჩის საზაფხულო ნათესი?

— როგორ არა, განზრახ წავედი. გაიგეთ, ხორბალი უკვე გაუყიდა. თქვენ როგორი შვრია მოგივიდათ?

ჰოდა, სამი დღე არ შემწყდარა მუსაიფი.

ქალბატონებმა ბალი და ორანჟერეა მოინახულეს, ბატონი და მისი სტუმარი კალოზე გაეშურენ, იქიდან ყანებში გადავიდნენ, წისქვილი, საბალახოები მოიარეს. ამ გასეირნებაში სამი ინგლისური ქალაქი და ბირჟა ჩაეტეოდა. ბატონს

კუთხე არ დაუტოვებია უნახავი; მერე რა, რომ ჯეჯილი ეს-
ესაა ამოღალანდა, უკვე გამოიანგარიშა გონებაში, წლის ბო-
ლოს რამდენი დარჩებოდა ჯიბეში, რამდენს გაუგზავნიდა
ვაჟიშვილს გვარდიაში, რამდენს გადაიხდიდა ასულისთვის ინ-
სტიტუტში. სადილი პირდაპირ კომერული გაიმართა, ვახშა-
მიც ასეთივე მოჰყვა. მერე ბუმბულის ქვეშაგები გაშალეს.
რამდენი სტუმარიც არ უნდა ეწვიოს, ყველას გაწვდება.
ბიუროსა და კარადებზე დაკიდებული ტულის საკეტების და-
კეტვა არავის გახსენებია. ცოცხალმა მანქანამ გახადა ბატონს
წაღები. ვინძლო მიმიშკამ ისევ შეათრიოს წაღა ტანტის ქვეშ,
ხოლო ეგორკამ ისევ დატოვოს შარვალი შეშაზე.

მერე რა? ამ მოქმედ სიზანტესა თუ ზანტ მოქმედებაში
ნეტავ ვის ახსოვს ღარიბები, ქველმოქმედი საზოგადოება,
მზრუნველი გული, რომელიც... მე ვხედავ ჩამწყვრივებულ
ღარიბულ ქოხმახებს, თოვლს რომ თითქმის ნახევრამდე დაუ-
ფარავს, ბილიკზე ძლივს მილასლასებს დაკონკილი გლეხი.
მხარზე ტომარა გადაუკიდია, ხელში კომბალი უჭირავს, რო-
გორც ძველად ატარებდნენ. ქოხს მიადგება, კომბალს კარზე
არახუნებს: „მოწყალეა გაიღეთო“. შუშის ნატეხით დაფა-
რული პაწია ხვრელი გაიღო და მზედამწვარმა შიშველმა ხელ-
მა პურის ყუა გამოუწოდა: „აჰა, შე საწყალოო!“ სარკმელი
დაიკეტა. მათხოვარმა ყუა ტომარაში ჩააგდო და ახლა მეორე
ქოხზე აბრახუნებს: იქაც იხსნება სარკმელი, იქაც იგივეს
ეუბნებიან და ისეთივე ყუა ვარდება ტომარაში. რამდენი ჩა-
ჩანაკი ბერიკაცი, ღეთისმოსავი, ხეიბარი, სალოსი არ უნდა
მოადგეს, ყველასათვის იხსნება სარკმელი, ყველას ეტყვიან:
„აჰა, შე საწყალოო“, მზემოკიდებული ხელი ყველასთვის
გაიღებს გასაკითხს და პურის ყუა ყველას ტომარაში ჩა-
ვარდება.

მაშ ბატონი არაფერზე იწუნებს თავს, მხოლოდ „თავის
მუცელს აღორებს“, როგორც ამ მხარეში ამბობენ? მაშ ღა-
რიბის დანახვაზე გული არ ეკუმშება და ძილით დასიებულ
ლოყაზე კურცხალი არ გადმოუგორდება? ან როცა ჯერ კმ-
დევ მოუმკელ პურს უყურებს და გონებაში ითვის. ჰოგება
რამდენი დარჩება, არ ფიქრობს, რამდენიმე ასეული მანეთი
რომელიმე დაწესებულებისთვის გადასდოს ან მეზობელს ხე-

ლი გაუმართოს? არა, ერთ კაპიქსაც არ გაიღებს, მხოლოდ ამდენ და ამდენ ჩარეკე ჰვავს, შერიას, უგრეხელს, კიდევ ხბორებს, გოქებს, ბატებს, თაფლს, მუხუდოს, სტაფილოს, სოკობებს თუ კიდევ ასეთებს გაიმეტებს, რომ შობისთვის ამდენი და ამდენი ნათესავეებს გაუგზავნოს, ასიოდ ვერსის მანძილზე, „ყუავი ჩხიკვის მამიდად“ რომ მოხვდებიან, სადაც აგერ ათი წელია ამ ბეგარას გზავნის, ამდენი და ამდენი ვინმე ლარიბ მოხელეს მისცეს, რომელსაც ბატონის მამის სახლში გაზრდილი სახლკარდამწვარი მეზობლის ობოლი შეურთავს; ამ მოხელეს სააღდგომოდ კიდევ ასი მანეთი ეგზავნება, ამდენსა და ამდენს სოფლად პენსიაზე მცხოვრებ მოხუც მსახურებს ურიგებს, რომლებიც საკმაოდ ბლომად არიან, ცოტაოდენი გლეხებსაც ეძლევათ, ვის ფეხები მოუყინავს შეშის ჩამოტანისას, ვინ კარაპანში პურის გახმობისას დამწვარა, ვინ საშინელ სენს წელში მოუღუნავს, ვინ შავ წყალს დაუბრმავებია. აი, ჩვენს ბატონს მთელი დღით ეწვია სტუმარი, დილა სასტუმრო ოთახში გაატარა, ბატონის და ქალბატონის მეტი არავინ უნახავს. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა სადილზე ქვეყნის ბებრუცუნები და ბერიკაცები გამოეფინენ უკანა ოთახებიდან და „ნაჩვევი ადგილები“ დაიკავეს! რა დარცხვენით იყურებიან, ცოტას ლაპარაკობენ, ჭამით კი რამდენს ჭამენ. ღმერთმა დაიფაროს, ვინმემ იმათ „ლუკმა“ დააყვედროს! მასპინძელსა და სტუმარს ისინი თვალეში შესციცინებენ. აი, ბატონმა თავისი სათუთუნე ვერ ნახა ჯიბეში, თვალით ეძებს, სად დავდეთ; ერთი ბერიკაცი კი მოსაძებნად გარბის და უკვე მოაქვს კიდეც. ქალბატონს შალი ჩამოუცურდა მხრებიდან; ერთმა ბებრუხანამ ისევ მოახურა და თან თავსაბურზე ბაფთაც გაუსწორა. ჰკითხეთ, ვინ არიანო? ბებრუხანაზე გეტყვიან, ერთი „ქვრივ-ოხერია“, შეიძლება სახელიც გითხრან, ნასტასია ტიხონოვნაო, ხოლო გვარი სხვებს კი არა, თვითონაც აღარ ახსოვს: ან რაში სჭირდება. თან დასძენენ, ლარიბი აზნაურის ქალიაო, ქმარი კარტის მოთამაშე თუ ლოთი ჰყავდა და ცარიელ-ტარიელი დატოვაო. ბერიკაცზე, ვინმე კუზმა პეტროვიჩზე გაამბობენ, ოციოდე ყმა ჰყავდაო, ნახევარზე მეტი ხოლერამ გაუწყვიტა, მიწას

იჯარით აძლევს ორას მანეთად, ამ ფულს ვაჭიშვილს უგზავნის, თვითონ კი „სხვის კარზე“ ცხოვრობსო.

ჰოდა, გადის ასე წლები, ბატონს ასე მიუღის ფული ხელსა და ხელს შუა, თუმცა ვერ იტყვი, ფულს აბნევსო. ქალბატონიც სახარების მცნებას უყურადღებოდ არ ტოვებს, მწუხრიდან გამოსული გასაკითხს ურიგებს ეკლესიის კართან ჩამწკრივებულ უამრავ მათხოვარს და ათიოდე მანეთი ეხარჯება ამაზე წელიწადში. აი, ქალაქში კი, არჩევნებზე, უფრო ჩანს, სად მიდის ფული. მოთავდა არჩევნები. თავადაზნაურობის წინამძღოლი ქალაქს იღებს და ამბობს: „აბა, მოწყალეო ბატონებო, ჩვენი სხდომების დასასრულს შოდი, გავილოთ, ვისაც რამდენი შეგვიძლია, ჩვენი გუბერნიის ღარიბების სკოლებისა და საავადმყოფოების დასახმარებლადო“. და თავისი გვარის გვერდით ორას, სამას მანეთს წერს. ჩვენმა ბატონმა ცოლს ორი კაბა, მოსასხამი, რამდენიმე თავსაბური უყიდა, წლის სამყოფი ღვინო, შაქარი, ჩაი და ყავა ივაჭრა. ჰოდა, იფიქრა, საფულის გახსნა უკვე აღარ დამჭირდებაო, შიგ კი მთელი წლის დანაზოგი, კარგა გვარიანი თანხა ჩადო წამოსვლისას, მაგრამ ახლა ისევ ამოაძვრინა ასმანეთიანი: თავს ხომ არ მოიჭრის და ოცდახუთსა თუ ორმოცდაათიანს დასდებს. ოსიპ ოსიპიჩმა და მიხაილო მიხაილიჩმა აკი ას მანეთზე მოაწერეს ხელი... „ახლა კი მოვრჩი მგონი“, — ფიქრობს იგი. უცბად საღამოს გუბერნატორის სახლში გუბერნატორის ცოლი თავის ხელით რაღაც ბილეთებს ურიგებს სტუმრებს. რა არის? მეჯლისი და წარმოდგენა გაუმართავთ სახლ-კარ დამწვეართა სასარგებლოდ და მის ლატარეის ბილეთებს არიგებს. გუბერნატორის ცოლმა ორიოდე სტუმარს კიდევ უსაყვედურა სიძუნწეზე და იმათაც საჩუქრად კიდევ რამდენიმე ბილეთი აიღეს. ამის შემდეგ რაში უნდა დაეხარჯოს ფული? მაგრამ არა, აგერ, ვიღაც უცხოელი ტანვარჯიშის სასწავლებლად ჩამოსულა, მაგრამ ხელი მოსცარვია, ტანვარჯიშში კი ისეთი ნომერი არ არსებობს, რომ სხვა ქალაქიდან უფულოდ გაამგზავროს. აღარ იცის, რა ქნას. ჰოდა, ჩვენს მემამულეებსაც ფული შეუგროვებით მის გასამგზავრებლად; ასი მანეთილა აკლიათ და ჩვენს ბატონს უყურებენ ხელში... ამიტომაც წლის ბოლოს ჯამი სულ სხვა გა-

მოდის, ვინემ აღაღანებულ ყანებში სიარულისას იანგარიშა...
რას იზამ, მანქანით არ გამოუთვლია!

მაგრამ... მაგრამ... ნეტავ რას იტყვით, ჩემო მეგობრებო, ინგლისიდან გამოგზავნილ ამ წერილს რომ წაიკითხავთ? საით გავუტოე, არა, რა აეწერე? ცხადია, იტყვით, იგივეს იმეორებს, თითქო არც გამგზავრებულაო... მაპატიეთ: თვალწინ მაინც ისევ მშობლიური, ნაცნობი სახურავები, სარკმლები, სახეები, ადათები მიდგას. უცხოსა და ახალს რომ ვსახავ, მაშინვე ჩემი არშინით ვზომავ. აკი უკვე გითხარით, მოგზაურობის საძიებელ შედეგს — ეს უცხოსა და თავისას შორის პარალელის გავლებას წარმოადგენს-მეთქი. ფესვები ისე ღრმად გვაქვს გადგმული ჩვენს მიწა-წყალში, სადაც არ უნდა წავიდე, რა ხანიც არ უნდა დავყო იქ, ჩემი მშობლიური ობლო-მოვკას მიწა მაინც გამყვება ფერხთ და ვერა ოკეანე ვერ ჩამორეცხავს მას!

მშვიდობით: უკვე ღუზა ავსსენით და გზას დავადექით, თუმცა უიღბლონი კი გამოვდექით. გრიგალი წამოგვეწია. იცით, რა არის გრიგალი? აი, აგარაკზე ზიხართ, დარდი არაფრის გაქვთ, ფანჯრები გაღებულია. უცბად აივანზე ქარაშოტი შემოიქრა, ფანჯრებს მტვერი შეაყარა, შუშები დაამსხვრია; მივარდნენ ყვავილების ქოთნების ასაღებად, ფანჯრების დასაკეტად, მაგრამ გვიანლაა, წვიმამ უკვე შემოასხა პარკეტზე, ავეჯი დაასველა. ახლა იგივე სურათია ჩვენს ხომალდზე ყოველ ნახევარ საათში; მესამე დღეა არხში დავყილობთ, ვიწრო გასასვლელი კია: იქნებ საფრანგეთის ნაპირზეც მიგვაგდოს, სადაც აუარება მარჩხოვებია. ინგლისელი ლოცმანი ღამით ცოტას თუ წაიძინებს, დანარჩენ დროს სულ საქესთან ღვას, გაფაციცებით თვალს ადევნებს ყოველ ნაკადს. ნისლშიც შეუძლია საძირავის გადაგდება და ნიადაგით შეუძლიათ ადგილმდებარეობის გამოცნობა. ყველაზე საშიში შემხვედრი ხომალდებია, ისინი კი აქ ბლომად დაცურავენ.

თქვენ უკვე იცით, რომ გორნს აღარ შემოვუვლით, კეთილი იმედის კონცხით მივდივართ, მერე ზონდის სრუტეში გავალთ, იქიდან ფილიპინების კუნძულებზე შევივლით და ბოლოს ჩინეთსა და ინდოეთში ამოვყოფთ თავს. ინგლისში კარგა დრო დავახანეთ, ასე რომ, მარტამდე გორნის შემოვლას

ვერ მოვასწრებთ. მარტში კი, ე. ი. ბუნიობას, იქ საოცარი აღმოსავლეთის ქარები სცოდნია. მაშასადამე, ჩვენთვის პირ-ქარი იქნებოდა. ხოლო კეთილი იმედის კონცხზე ზურგქარი დაგვხვდება. ინდოეთის ზღვებში, მართალია, ზოგჯერ გრი-გალი იცის, მაგრამ იქნებ არ მოვხვდეთ მასში. გორნთან კი პირქარი აუცილებლად იქნება. ცოტა არ იყოს, ივანე უფ-ლისწულის ზღაპარს მაგონებს, გზაჯვარედინზე ბოძი რომ დახვდება და ზედ აწერია: „მარცხნივ თუ წახვალ, რაშს მგლები შეგიქამენ, მარჯვნივ — შენ თვითონ გახლები მათი ლუკმა, პირდაპირ კი გზა არ მიდისო“. უკან წამოსვლისას ამერიკას შემოვუვლითო, ამბობენ. თუმცა პავლოვსკსა თუ პარგოლოვოში წასვლაზე ჩვენ, მგონი, უფრო ბევრს ვლაპა-რაკობთ, ვიდრე აქ ხარჯავენ სიტყვებს. არ გინდათ, მანძი-ლიც იცოდეთ? ინგლისიდან აზორის კუნძულებამდე 2250 საზღვაო მილია (მილი 1 3/4 ვერსს უდრის), იქიდან ეკვატორ-ამდე 1020 მილი იქნება, ეკვატორიდან კეთილი იმედის კონ-ცხამდე 3180 მილი, ხოლო კეთილი იმედის კონცხიდან ზონ-დის არხამდე 5400, მთლიანად ოცი ათასამდე ვერსი გამოდის. თუმცა ანგარიში უფრო მოსაბეზრებელია, გავლა სჯობია ამას! მაშ სალამომდე გემშვიდობებით.

11 ი ა ნ ვ ა რ ი. სალამომდე გამოგემშვიდობეთ, მაგრამ მხო-ლოდ მესამე დღეს შევიძელ კალმის აღება. ახლა კი მივხვდი, რაოდენ ცამდე მართალი ყოფილა აღმირალი, როცა ერთ ქა-ლალზე სიტყვა „აუცილებლად“ ამოშალა, სადაც ეწერა, ორანძა ნავი ფრეგატს როდის უნდა შეერთებოდა. „ზღვა-ზე აუცილებლად არ შეიძლებაო“, თქვა მან, „ილქნიან ხომალდებზე-მეთქი“, — ვიფიქრე მე. ფრეგატი ცხვირით ყურყუმელოობდა ტალღებში და ხან ერთ გვერდზე გადაწვე-ბოდა, ხან მეორეზე. ქარი ისე ზუზუნებდა, როგორც ტყეში, მხოლოდ ახლავა ჩადგა. დღეს, 11 იანვარს, მოწმენდილი დი-ლა გაგვითენდა, ზღვა ნელ-ნელა ცხრება. ედისტონის შექუ-რა და ლიზარდის სალი, პირქუში კლდე მოჩანს. მშვიდობით, მშვიდობით! ჩვენ ოკეანის ზღურბლს მივადექით. როცა და-სავლეთიდან ქარის ღრიალი გაიგონოთ, გახსოვდეთ, რომ ის მხოლოდ სუსტი გამოძახილი გახლავთ იმ ზვირთის, რომელ-მაც ლამისაა დაგვეგლიჯოს. თქვენგან, აღმოსავლეთიდან რომ

დაუბერავს, სალამი გამოატანეთ, უთუოდ მომეწევა. მაგრამ აგერ კაპანო მოადგა ქიშს, ლოცმანი უნდა წაიყვანოს. ვჩქარობ წერილის დაბეჭდვას. კიდევ და კიდევ მშვიდობით! ვნახავთ კი კვლავ ერთმანეთს? ამ მოგზაურობაში ანუ, როგორც ჩემი ამხანაგები ამბობენ, „ლაშქრობაში“ ჯერჯერობით ყველაზე მეტად დაბრუნების იმედი მახარებს.

1853 წელი. ი ა ნ ვ ა რ ი

ბრიტანეთის არხი.

II

ატლანტის ოკეანე და მადერის კუნძული

ოკეანეში გასვლა. — ძლიერი ქარი. — მადერა. — ქალაქი ფუნჩალა. — მთაზე გასეირნება. — კონსულთან სადილი. — გამგზავრება.

6-დან 18 იანვრამდე, 1853 წ.

რა თქმა უნდა, გადაქრით ვმოგზაურობ და ესაა. სულ მეგონა რალაც შეიცვლება, რალაც გამოტყვრება და ხელს შემისწლის. მეგონა, ბედი გადაიფიქრებს და ამ სიშორეზე არ მიკრავს-მეთქი თავს. ამიტომაც იყო, ინგლისში ასე ჭოქმანით ვემზადებოდი წასასვლელად, არაფერი მომიმარაგებია, რაც შორი მოგზაურობისათვის იყო საჭირო. უფრო ის ვიყიდე, რაც ნაპირზე გამომადგება. მაგრამ აი ოკეანეც: გადააბიჯებ მის ზღურბლზე და დაბრუნების იმედს გამოეთხოვე! ინგლისიდან მოგწერეთ ჩვენი არხში ხეტიალის ამბავი, როგორ დაგვითრია ძლიერმა ქარმა და ოთხი დღე იქ გვაყურყუტა. ჩემი თუ სხვისი წერილები ინგლისელმა ლოცმანმა წამოიღო. იმან გაგვაცილა არხში და მერე ლიზარდთან სათევზაო კანაპოზე გადაჯდა. 11 იანვარს ქარი ჩადგა, გამოიდარა, ზღვა დაწყნარდა და ცოტა სილურჯე მიეცა, თორემ ჩაქუფრული და ამღვრეული იყო; მხოლოდ ყალყზე შემდგარ ტალღების წვეროებს შერჩენოდა აქვამარინის ფერი. აგერ სამ მილზე ქალი-

ვით წერწეტა ელისტონის შუქურის კოშკი მოჩანს. ზღვაში, კლდეზე აუშენებიათ, ნაპირიდან რამდენიმე მილის მანძილზე — ამბობენ, ქარიშხალი როცაა, ფურთოთუნი ფარნამდეც აღწევსო. რამდენჯერმე ჩამოუგდია ის კოშკი ქარს ზღვაში და ადამიანის ჯაფა მასხარად აუგდია. მაგრამ ადამიანი ძველის ნანგრევებზე ისევ აგებდა ახალ შენობას, უფრო გამძლეცა და მკვიდრს, ანთებდა და ღლესაც ანთებს ფარანს და თავის მზრივ სასაცილოდ იგდებს ქარს. ავერ ლიზარდის ტიტველმა, სალმა კლდემ გამოჰყო თავი, ნაპირიდან კარგა შორს შექრილმა ზღვაში. მის ძირას ოკეანის ტალღები კამკამებს.

ლოცმანის წასვლისას ყველამ ზევით მოიყარა თავი. მე ოწინარს მივეყრდენი, ოკეანეს დავაცქერდი და ფიქრებში წაველი. უცბად ვილაცამ ხელში ხელი წამაცლო, მომიჭირა და ნჯღრევა დამიწყო.

ეს რა ოინია-მეთქი! აა! თურმე ლოცმანი მემშვიდობებდა. ავერ ბრჭყვიალა ქუღმა და ლურჯმა ქურთუქმა სხვებსაც ჩამოუარა. ყველას უსიტყვოდ სტაცებდა ხელს, თითქო კბენსო, თავს დაუქნევდა და ახლა შემდეგს მიაღებოდა. წერილი მივეცი, უკვე გამზადებული მქონდა; გამომტაცა, ჯიბეში ჩაიღო და მეც თავი დამიქნია. ჯიბე. მაგრამ რა ჯიბე იყო! მოვასწარი და ჩავიხედე. პირდაპირ კა გეგონება! ოცდაათიოდე წერილი ეყარა შიგ, მაგრამ ფსკერს ვერც ფარავდა. სწრაფად ვუახლოვდებოდით ოკეანეს. „ოკეანეში როდის ვიქნებით, პაპავ?“ — ჰკითხა ვილაცამ ჩვენს ა. ა. (ხალეზოვს). „შიგა ვართ და ესაა“, — მიუგო მან. „მაშ არხიდან უკვე გავედით?“ — ჰკითხა მეორემ და არხის ნაპირებს გადახედა. „ჯერ არა; ეს ხომ არხია, სადაც ჩვენა ვართ“. — „კაცი ვერაფერს გაგიგებთ“, — იძახდნენ უკმაყოფილონი. „როცა გამოვბრუნდებით, ნიშანი დაადეთ და გეტყვი, სად თავდება არხი და სად იწყება ოკეანე“, — უთხრა პაპამ. „შეხეთ, შეხეთ,“ — მომიბრუნდა მე და ზღვაზე მიმითითა. „რა იყო?“ — ვკითხე და აქეთ-იქით მივიხედე. „ნუთუ ვერ ხედავთ? ავერ იქ, შეხეთ: ჩვენგან კაბელტია. სიშორეზე არ იქნება“. გავიხედე: ხან იქ, ხან აქ წერილი შადრევანი ამოიჭრება და ისევ ქრება. მერე ისევ. „აქ ვეშაპებს რა უნდათ!“ — ვთქვი მე. „ნამდვილი

ვეშაპები არა, იმათი ჯიშის ხურდამურდაა.“ — შენიშნა პაპამ.

მთელი დღია იუტზე დავყავ. ოკეანის გაცნობა მსურდა. პოეტებიდან უკვე ვიცოდი, რომ ის „თვალუწვდენელი, უემური, პირქუში, უკიდევანო, უსაზღვრო და დაუცხრომელია“. გეოგრაფიის მასწავლებელმა მითხრა ოდესღაც, უბრალოდ ატლანტის ოკეანე ჰქვიაო. ახლა ხარბად ვაკვირდები მის სახეს, როგორც სურათში ნახულ კაცს დააკვირდები გაცნობისას. მინდოდა შემემოწმებინა. ჰგავდა კი სურათი ამ ჩემს წინ გართხმულ ბუმბერაზს, რომლის ანაბარა კარგა ხანს უნდა ვყოფილიყავ. „სინამდვილეში ნეტავ როგორია? — ვუიქრობდი და ირგვლივ ვიქიჩებოდი. — რა იმალება ამ უსაზღვრო მორევში? რით გაგვიმასპინძლებდა ზღვაოსნებს?...“ ოკეანე დამშვიდებული იყო: ოდნავ ღელავდა ტალღების რიგი მის სივრცეზე, როგორც წყნარი ფიქრების ტალღა გადაირბენს ხოლმე სახეზე; ვნებათა ჰიდილი და გულისთქმანი გაჰყუჩებოდა. ზურგქარი, ტალღათა ნელი ტორტმანი შორს სვრცეში ალერსით გვიტყუებს, იქ კი... „აბა რა უჩანს დაუცხრომლობის? — ვიფიქრე ისევ, — ამ ბებრულ სახეზე ერთი ნაოქიც არ ეტყობა! თვალუწვდენელი მართლაც კია: მხოლოდ ექვსიოდ მილზე მიგიწვდება თვალი, იქ კი პორიზონტი ჩამოშვებულა საკმაოდ ტურტლიან ფარდასავით. დედამიწის ზედაპირს ამ სივრცეზე რკალი შეუქმნია და შორეთი დაუფარავს. ძლიერზე ძლიერია, უემურია — ჰმ! ვნახოთ, ვნახოთ“, შემდეგ გავიხედე ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ და თვალი მივაშტერე თუ იცით, ვის... ფადეევს. ჩემს წინ იდგა და ქუდი ხელში ეჭირა. „რა იყო?“ — „წამო, თქვენო მაღალკეთალშობილებავ, ისადილე. რამდენი ხანია გეძახი. მაგრამ ვერ გაგაგონე“. სიამოვნებით დავყევი ნებას, რადგან ზემოთ ციოდა კიდევ. ჩრდილოეთის ქარს ისეთი სუსხი მოჰქონდა, თივთიკის პალტოშიაც მატანდა.

სუფრახე პაპა მეჯდა გვერდით, ძალზე მხიარული ჩანდა; მითხრა, მოდი, ერთი ჰიქაც გადავკრათ ოკეანეში შესვლის სადღეგრძელოო. „მომილოცნია ოკეანეო“. „აღბათ ძალიან გაგიხარდათ ძველი ნაცნობის ნახვა, არა?“ — ვკითხე. „ჰო, ჩვენ

ვიცნობთ ერთმანეთს, — მომიგო მან. — მართლაც შიხარია: ახლა რუკას თუ გინდა ნურც დახედავ, ღამე იძინე, რამდენიც გინდა: კლდეები, მეჩხეები, ნაპირები კარგა ხანს არ შეეცხვდება“. — „ქარიშხალიც არა?“ — „ქარიშხალი?“ — „არა. გრიგალი“, — შევასწორე მე. „ეგ მე არ ნებება, მე არხეინად ვიძინებ, ი[ვან] ს[ემიონოვიჩმა] და აგერ ი[ვან] ი[ვანოვიჩმა] იკითხონ. მერე გრიგალი ოკეანეზე რა ბედენაა? მით უმეტეს, თუ ზურგქარი აღმოჩნდა, გეგონება, ეტლით მიქრიხარ, ცხენების გამოცვლა არც გჭირდება“.

სადილს ყავა მოჰყვა, მერე სიგარები გაბოლდა, მერე წიგნს ჩავუჯექით და ოკეანე ვისლა გვახსოვდა... ოკეანე კი არადა ფრეგატზეც რომ ვიყავით, ისიც დაგვაფიწყდა. თითქო რამდენიმე ნაცნობს მოუყრია ოთახში თავი, კეთილი მასპინძელი კი არავის უშლის, ვისაც რა უნდა აკეთოს. მე ჩემს კაიუტაში ბიუროზე წიგნები, ქაღალდები დავალაგე. მელანს ადგილი მივუჩინე, მოკლედ, როგორც შინ, ისე გავაწყვე საწერი მაგიდა. ფადეევს ისევ დასალაგებელი გაუხდა კაიუტა. გამოაცა პირდაპირ მისმა საქმიანობამ, საზრიანობამ და ლონემ. მგონი, მოგწერეთ უკვე: რომ სხვა კაიუტა მომცეს, ზემოთ, გემბანზე. ეს პატარა სარკმლიანი ოთახი გამოდგა. ყველაფერი წინანდელივით უნდა მიგვეწყო. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ პორტსმუტში მოაგვარა ფადეევმა, „კემპერლოუნიდან“ ფრეგატზე რომ გადმოვბარდით. ფიცარი ვთქვათ ვერ მიუყენა, მყის გაიტანს, ზედმეტს მოახერხავს და რაც არ უნდა იჯიუტოს, მაინც თავის ადგილზე ჩააკვებებს. მერე რა, თუ ამის გამო სხვა რამ დაიშალა: იმასაც გაასწორებს, და თუ ამასობაში ფიცარი გაიბზარა, არც ესაა დიდი ბედენა. მართომ მიაქედა თაროები, მოაწყო ლოგინი, დააქედა ლურსმნები, გააკეთა ჩამოსაკიდი და შემდეგ ბარგის დალაგებას შეუდგა. ოლონდ წაღები წინანდელივით წიგნებთან კი აღარ დააწყო, კომოდზე და ბიუროზე ჩამოამწყრივა, ვაქსი, საპონი, ჯაგრისები, ჩაი და შაქარი წიგნების თაროებზე წამოაბრძანა. როცა ვკითხე, მანდ რად დააწყვე-მეთქი, მითხრა: „ხელს ადვილად მიაწვდენთო“. წიგნებსაც ძველებურად მოექცა: ზემო თაროებზე შემოაწყო, სადაც კაცი ვერ მიწვდებოდა და ისე მკიდროდ დაალაგა, იქიდან ვერას გზით გამოაძვრენდი. ჩემი

ქალაქელ მსახურივით ესეც მტრული თვალთ უყურებს წიგნებს: არც ერთს არ უყვარს ის საგანი, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, თუ ფრთხილად არ მოექექცი, ხომ მაშინვე გაიხვევაო. ხანდახან უცხოვ საგანს რომ დაინახავდა, კარგა ხანს სინჯავდა, ნეტავ რა არისო და მერე თავის მიხედულობით შეინახავდა. ერთხელ ოდეკალონი მოხვდა ხელში: უყურა, უყურა, ცოტა ხელზეც გადმოისხა. „ძმარი ყოფილაო“, — გადაწყვიტა და შუშა სადღაც კუნჭულში გადაძალა.

კაიუტაში ოდნავ უნდა შემეცვალა წესრიგი და ამას ცოტა შრომა როდი დასჭირდა. ბოლოს, ავად თუ კარგად, კაიუტა დავალაგეთ; ყოველ საგანს, ორი-სამი წლით მოვეუძებნეთ ადგილი. როგორც მოგახსენეთ, ოკეანის არსებობაც კი დაგვაფიწყდა-მეთქი. ზოგჯერ ვინმე ჩამოვიდოდა ზემოდან და გვეტყოდა, დიდებულად მივდივართ: ცხრა კვანძს ვაკეთებთ დღეში, ზურგის ქარიცააო. მართლაც ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. მაგრამ ოკეანეს არ დავფიწყებდით თურმე. საღამოს, ცოტა არ იყოს, დაგვარწია. მაგრამ მერე რა? ცოტა რწევას არა უშავს რა: ოკეანეც იმიტომ ჰქვია. უცნაური კია და გულიც დაგვწყდებოდა, რომ ფინეთის ყურესავით სიმშვიდე და სიწყნარე არაფერს დაერღვია.

ჩაის დალევისას ლარტყების დადება გახდა საჭირო სუფრაზე, ე. ი. გარდიგარდმო დააწყვეს წვრილი ფიცრები, თორემ ფინჯნები, ლამბაქები, პური თუ სხვა რამ ხან ერთ მხარეს გადაცურდებოდა, ხან მეორეს. არც ჩვენ ვისხედით მაგიდასთან ძალზე მოხერხებულად: სულ ერთიმეორეს ვაწყდებოდით. დაიწყო ჩვეულებრივი მოვლენები, რაც ზღვის რწევას ახასიათებს: კარი უცბად იღება და ბრახუნით იხურება. ხან ერთ, ხან მეორე კაიუტაში რაღაც გადმოვარდება მაგიდიდან რახრახით, ან კედლიდან ძირს რაღაც დაენარცხება. კარადიდან ჰიქა ან ფინჯანი გამოხტება და წკრილით ინსხვრევა, ხან თვითონ კარადა შეინძრევა. უცბად სადღაც კედელში წყლის ჩხრიალის ხმა გესმის, ან მაგიდას, დივანს თუ ადამიანს თავზე დააწვიმს. თავდაპირველად ყველანი ვხუმრობდით და ვმასხრობდით ამაზე. სასაცილო იყო, როცა კაცი ერთ კუთხეში წავიდოდა და მეორეში აღმოჩნდებოდა; წესიერად არავინ დადის, ყველა დაბაჯუნობს. ყმაწვილები თავს

იქცევდნენ, ერთი კუთხიდან მეორეში დასრიალებდნენ, თითქოს ციგაობდნენ. მომსახურე მეზღვაურები ხან ერთ მხარეს გაქანდებოდნენ, ხან მეორეს, როცა რაღაც გადმოვარდებოდა, მაგრამ უკვე ნატეხებს თუ აილებდნენ. ყველა უსიამო შემოხვევას ხომ ვერ გაითვალისწინებ და ზომებს ვერ მიიღებ. ჩვენი ყოფა ჯერჯერობით ბალტიისა და გერმანიის ზღვას მაგონებდა, უფრო მეტად არ შევეუწუხებოვარ. უცხო ამბავი აღარ იყო შენი საწოლის წინ და უკან ქანაობა, ხან თავის აყირავება, ხან ფეხების. მეც დიდის ვაივაგლახით ჩამეძინა: ბევრჯერ დამიფრთხო ძილი კაკუნმა, ბრაგაბრუგმა, იალქნების გამო ატეხილმა ალიაქოთმა.

გუშინვე აკრიფეს რიფები: ჯერ ერთი, ორი, მერე ოთხივე ერთად. მოვხუჭავ თვალს — ძილში ხომ სულ სხვა სამყაროს ხედავ — დამესიზმრებით თქვენ, თქვენი სასტუმრო, ან რომელიმე აგარაკი; ნაცნობი სახეები შემომხვევია; ვსაუბრობ, მუსიკას ვისმენ: უცბად აირევა ყველაფერი — თქვენი სახეები ლანდებად მექცევა; ძლივს ვახელ თვალს და სიზმარცხადში ვხედავ თქვენი ფორტეპიანოსა თუ სკამის ნახევარს; სურათზე, სადაც ზურგმოტიტვლებული ქალი ეხატა, ახლა გუშავი გაჩნდა; აგერ, რაღაცამ დაიტკაცუნა, რაღაცამ გაიწკრიალა, გამოფხიზლდები და რას ხედავ? არაფერია: კიბე აქრაკუშდა, კარი გაჯახუნდა, გრაფინი ჩამოვარდა, ან ვიღაც წამოხტა ლოგინიდან და ილანძღება, ნახევარპორტიკიდან წყალი პირდაპირ ლეიბზე თქიშინით დასხმია. დაღლილი ისევ თვალს მიხუჭავ; უცბად შეზანზარდება ყველაფერი, თითქო მიწა იძრაო, გული აგიძგერდება და გაიღვიძებ: არაფერია, მხოლოდ კიჩოს დაეძგერა ტალღა... ამ დღეში ხარ დილაამდე, თუმცა ეს წინათაც უკვე გვაქვს ნაგემი და კაცი შეიძლება შეურიგდეს. თორმეტი იანვრის დილას კი უარეს დღეში ჩავცვივდით. თქვენ იტყოდით, „ქარიშხალი ამოვარდაო,“ ჩემი ამხანაგები კი მხოლოდ ძლიერ ქარს უწოდებენ. დავაპირე ზევით, „ქუჩაში“ ასვლა, ასე ვეძახი ზემო გემბანს, მაგრამ სიარული შეუძლებელია. ოწინართან ვჩერდები ცოტა ხანს, და ვუცქერი, თუ როგორ ეფარება ზღვა უკებ თვალს. გემბანი იკარგება და მის ნაცვლად წყლის კედელი მოემართება, მაგრამ ნუ შეშინდებით: ის ახლავე მიიმალება, თქვენ მხო-

ლოდ ორივე ხელით მოეჭიდეთ რასმე. ლამაზი სანახავი კია, მაგრამ ერთფეროვნება მალე გბეზრდება... ისევ საერთო კაიუტაში ჩამოვბრუნდი. სადილობა გაგვიგრძელდა: ერთი წუთი თვალი რომ მოაცილო, თეფში გადაყირავდება, წვნიანის ღელე სუფრის ბოლოსკენ გაჩხრიალდება, ვინემ მეორე მხარეს არ დაარტყამს ხომალდს ტალღა და უკანვე არ უზამს პირს. მალე სიბრაზემ ამიტანა, ხელს ვერაფერს მოჰკიდებ, ვერაფერს წაიკითხავ. ზიხარ თუ დგახარ, სულ წონასწორობაზე უნდა იფიქრო, ხან ფეხი მიაბჯინო რასმე. ხან ხელი. საღამოს ტახტზე ვიწეკი კედელთან, ჩემს წინ ბიზანანძის ირგვლივ დადგმული მრგვალი სოფა იდგა. უცბად შეირყა ხომალდი, ონავარი, ანუ მეცხრე ტალღა კიჩოს ეძგერა, ყველანი რალაცას მოეჭიდნენ; ვინემ მეც ამას დავაპირებდი, ვიგრძენ, რომ ტახტი კედელს მოწყდა, მე კი ტახტს. „საით მეთქი?“ — გამიელვა თავში და იმ წუთში გადაეწყვიტე: „მრგვალ სოფაზე“. ასეც მოვიქეცი: გავშალე ხელები და არხეინად გადავგორდი სოფის რბილ ბალიშებზე. კაიუტაში კაპიტანი ლ[ოსევი], ბარონი [კრიდნერი] და კიდევ ვიღაცეები იყვნენ. რომ დაინახეს არაფერი მეტკინა, ხარხარი ატეხეს. მაგრამ ზღვაზე ნუ დასციინი სხვასო, გადავხლება თავსო. ვისმე თუ მაშინვე დასჭირდა კაიუტაში რალაცაზე წამოდგომა, ჯერ დააბარბაცებს, წელში გასწორებული არ არის, რომ უმაღლა იატაკზე მოადენს ზღართანს და კოპიც დააჯდება. მეორეს მხარით მიახეთქებს კარებს და ისიც გულიანად შეიკურთხებს, თუმც ღმერთმა უწყის ვის ამკობს.

მოსაბეზრებელი რამ გახლავთ ზღვის რწყევა; ყველა უკმაყოფილოა; არც კითხვა შეიძლება რიგიანად, არც წერა და ძილი; ბევრს გადაფიქრებული, გატანჯული სახე აქვს. დღისა და ღამის წესრიგი დარღვეულია, მხოლოდ ზღვის წესრიგია, პირიქით, გაძლიერებული. სამაგიეროდ სადილი, ვახშამი, ჩაი თითქო გარეშე საქმედ იქცა. არავინ მეცადინეობს, საუბრის თავი არავისა აქვს... ერთი სიტყვით, გავწამდით და ესაა!

12-სა და 13 იანვარს ისეთი მძაფრად-მაგარი ქარი ქროდა. მსგავსი ჯერ არ გვინახავს, მთელი ნახევარპორტიკები, ლუმიანატორები თითქმის დაეხშოთ, ზემო იალქნები აეკეცათ, ზარბაზნები უკანა მხრიდანაც დაემაგრებინათ, ქიშს მთელ

სიმძიმით აღარ მისწოლოდნენ. თუ რასმე არ მოვექიდებოდი, აღარც დგომა შემეძლო და აღარც ჯდომა. ძლივძლივობით მივალწიე ჩემს კაიუტას, გუშინ მთელი დღე შიგ არ შემიხედავს, კარი გავალე და შევედი-მეთქი ვერ ვიტყვი — ეს ტერძინები რწვევის დროს თავის აზრს ჰკარგავენ, ბიძგმა შემავლო შიგ. მოპირდაპირე კედლებს მუშტებით მივებჯინე და ფეხზე რის ვაივაგლახით გავჩერდი. შევედი და სახტად დავრჩი: ტანისამოსი, საცვლები, წიგნები, საათი, წალები, ბიუროს უჯრებში ლამაზად მილაგებული ჩემი საწერი მოწყობილობა, ყველაფერი დომხალივით არეულიყო იატაკზე და ხან ერთი კუთხისაკენ მიაქანებდა ბიძგი და ხან მეორისაკენ. უჯრები გამოვარდნილიყო, ჯაგრისები, სავარცხლები, ქალაღები, წერილები იატაკზე დაფრიალებდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ, რომელი უფრო სწრაფად გადახტებოდა კუთხეში და იქიდან კაიუტის შუა დასკუპდებოდა.

„ფადეევ!“ — ვიყვირე სასოწარკვეთილმა. „ფადეევ!“ — გაიმეორა მეორე მეზღვაურმა. „ფადეევ!“ „ფადეევ!“ — შეიქნა გადაძახ-გადმოძახება და ვილაც მეზღვაურმა კაიუტაში შემოპყო თავი. „კუბრიკზე გახლავთ, თქვენო მალაღკეთილ-შობილებავ. ახლავე გეახლებათ“. — „ვინ გახლავს?“ — ვკითხე მე. „ვინა და ფადეევი“. მეზღვაურები ერთმანეთზე ასე ლაპარაკობენ, თუმცა პირში კი ერთმანეთს სხვა კილოთი მიმართავენ. „სენკა, შე ქაჯო, წადი, ი[ვან] ა[ლექსანდროვიჩი] რა ხანია გეძახის“, — უთხრა მეზღვაურმა, როგორც კი თვალი მოჰკრა ფადეევს. „აბა, ენა ნუ წაგიგრძელებია, ყურუმსალო!“ — მიუგო ჩურჩულით ფადეევმა და მუშტი აჩვენა. არ იფიქროთ, სიბრაზით მოსდიოდეთ, უბრალოდ, ასე სჩვევიათ ლაპარაკი. როცა ალერსის გამოხატვა უნდათ, ძამიკოო, ეტყვიან ხოლმე ერთმანეთს. „ერთი შეხედე, რა ამბავია“, — ვუთხარი ფადეევს, ხელი ჩავიქინიე და კაპიტნის კაიუტაში წავედი.

კაპიტნის კაიუტა დიდი, მყუდრო და მდიდრულად მორთული ოთახია. შიგ, კაკლის ხის ტანსაცმლის კარადა, დიდი თაროებიანი საწერი მაგიდა, პიანინო, ორი რბილი დივანი და ექვსიოდე სავარძელი დგას. კარადისა და პიანინოს შუა ნახევრადმომრგვალებული სოფა ჩაექედათ, თან კედელზე და

იატაკზე მაგრად დაემაგრებინათ. ჰოდა, იმაზე უკეთესი თავ-
შესაფარი ასეთ რომტრიალში არსად მეგულებოდა. მისმა
სტუმართმოყვარე, თავაზიანმა პატრონმა იქვან სქემიონოვიჩ
უწნოვსკიმ მე დამითმო, როცა გენებოთ, ჰობრძანდითო.
თვითონ გააზიზებას არ იყო ნაჩვევი, აქ თითქმის არც შემო-
დიოდა, მით უმეტეს, როცა ავდარი იდგა. მაშინ ტანგაუხდელი
სადმე სავარძელში მოიკალათებდა თვალის მისახუქად და
ყოველ წამს გემბანზე გასაქცევად მზად იყო. ამ სოფაზე რომ
დაჯდებოდი, რანაირი რწევაც არ უნდა ყოფილიყო, გას-
წვრივი თუ გარდიგარდმო, — გადმოვარდნით ვერსად გადმო-
ვარდებოდი. სოფას ერთი ნახევარი გასწვრივ კედელს მიჰყვე-
ბოდა, მეორე — ფრეგატის გარდიგარდმო იდგა. იქ კარადა
გაკავებდა, აქეთ პიანინო. ორივე სარკმლიდან ზღვა მოჩანდა.
ღმერთო, რა საშინელი, არა, რა დიდებული სანახავი იყო!
„ჰო, ქარიშხალი — გასაოცარი რამაა! პოეზიაა პირდაპირ!“ —
იტყოდით თქვენ. „რა ქარიშხალი, რის ქარიშხალი — ძლიერი
ქარია და სხვა არაფერი!“ — გიპასუხებდნენ ამაზე.

იქნებ, მართლაც, პოეზიაა, როცა ნაპირიდან უყურებ, მაგ-
რამ ამ წარმოდგენის მოქმედ გმირად ყოფნა, რითაც ბუნება
დროდადრო ზღვაოსანს უმასპინძლდება, არცთუ სასიამოვნო
ამბავია. აბა, რა არის, გეთაყვა, სასიამოვნო? თეთრი ზეურ-
თების უშველებელი მთები კისრისტეხით და ყმულით წამო-
იშართებიან, ეცემიან და ისევ ყალყზე დგებიან, გეგონება,
ყოფიანი ნადირები გამოუშვიათ გალიებიდან და გამძვინვა-
რებულნი ერთმანეთს დარევიანო. ირგვლივ შხეფების კორი-
ანტელი დგას და გმინვა-კრუსუნნი ისმის. ფრეგატი ტალღას
ქეჩოზე მოექცევა, მერე შეირყევა, გვერდზე გადაწვება და
ძირს ჩამოსრიალდება. ორი მთის ძირას რომ ამოჰყოფს თავს,
გაიშართება, ახლა მეორე გვერდზე მძიმედ გადაგორდება და
ისევ აღმართზე დაიწყებს აბობლებას. ძირს რომ დაეშვება,
ორივე მხარეს წყლის კედელი დაეყუდება. კაიუტაში კი ლამ-
ფები, სურათები, კედელზე დაკიდებული ბარომეტრი ჰორი-
ზონტალურად გაწვებიან. რამდენიმე სკამმა თავი აიწყვიტა.
ადგილს მოწყდა და კუთხეში გაქანდა, მაგრამ დაიჭირეს და
ისევ დააბეს. როგორი თადარიგიც არ უნდა დაიჭირო, შერ-
ყევისას რამე მაინც დროს იხელთებს და გადმოვარდება: ხან

წიგნი ისკუბებს თაროდან. ხან ქალღმერთები გადმოცვივა, რუკა მაგიდაზე გასრიალდება და უთუოდ ან სამელნეს წაიმძღვარებს თან და ან შანდალს. სალამოს ერთხელ ანთებული სანთელი დაეცა პირდაპირ რუკაზე. კაიუტაში მარტო მე ვიყავი. მინდოდა ასაღებად მიმერბინა. მაგრამ გაგიგონია, რალაც სიმძიმე იატაკისკენ მეწეოდა. სანთელი კი ისე პარპალებდა, საცაა რუკასაც მოედებოდა ცეცხლი. ძლივს მივაღწიე ხოხვით და რის ვაივავლახით თავის ადგილზე ჩავარქე.

„რა შაგარი, რა მძაფრი ქარია! — შიგადაშიგ შემოირბენდა კაპიტანი კაიუტაში და აცეკვდებოდა. — სულ აქ ზიხართ! საზღვაო ფეხები ჯერ არ გამოგბმიათ და იმიტომ.“
„ნეტავ ჩემიც არ დამეკარგა-მეთქი“, — იძას ვერ წარმოედგინა, კაცს ფეხები ჰქონდეს და სიარული ვერ შესძლოს. „აბა, წამოღით, სინჯეთ“, — მარწმუნებდა იგი. „ესინჯე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, პირიქით, მეც დავეშვდი და ავეჯიც დავაზიანე. აი მგოი...“ მაგრამ ამ დროს ციცაბოდ დახრილ იარაღზე დაცურდი და ისე მოკვურცხლე კუთხისაკენ, როგორც ჩემს დღეში არ მიბრუნია. იქ ერთი მუშტი სარკეს მივაბჯინე, მეორე კი კედელს. კაპიტანს სიცილი აუტყდა. „ჩაის დასალევედ მაინც რატომ არ მოხვალთ? — „არ მინდა და იმიტომ!“ — გული მომივიდა. „მაშინ ეუბრძანებ, აქ მოგართვან!“ „არ მინდა, არა!“ — გავუმეორე ისევ... ძალზე გაბრაზებული ვიყავ. ხამ ადამიანს რწევა ჯერ შეაშინებს. როცა ხომალდი ტალღის წვეროდან ჩამოცურდება და ახლა მეორე ტალღას მოექცევა თავზე, გეგონება, საცაა ლუქმა-ლუქმა დაილეწებაო; როცა დარწმუნდები, რომ ხომალდს არაფერი მოუვა მაშინ მოწყენა აგიტანს, მოწყენა მერე ბრაზად გექცევა, ბრაზი კი სასოწარკვეთილებასი გადადის. დრო ზღაზნვით მიდის: საათობით კი აღარ იზომება, ხომალდის გაქანებ-გამოქანება და ტალღების ყრუ ტყლაშუნია ქიმსა და კიხოზე შენი საზომი. წყნარი მორჩილების, resignation-ის ნაცვლად მხოლოდ გულისწყრომას და სიბრაზეს გრძნობ, სისხლი გემღვრევა. ნაღველი გერევა. პირი გიშრება, ენა გეწევა. არც ჰამა გინდა და არც ძილი; მარტო იმიტომ ჰამ, რომ ეს ოხერი დრო გაათრიო და კუჭი ამოივსო. არც ძილი ჰქვია ზენს ძილს, დაღლილს მხოლოდ თვლენა მოგერევა და ისევ მახინჯი ოცნებანი, ისევ

პალუცინაციები დაგტრიალებს თავს. ნაცნობი სახეები მითოლოგიურ ღმერთებად და ქალღმერთებად გელანდება. ხან თქვენი სახე და ტანი წარმომიდგება, ჩემო მშვენიერო მეგობარო, ოღონდ მეზღვაურის ქურთუკი გაცვიათ, ხან ზარბაზანს წამოუცვამს ვითომ თქვენი გაქონილი პალტო, ჩემო სანუკვარო არტისტო, და გვერდით მომჯდომია დივანზე. დაიძინებ და სიზმარ-ცხადში ხედავ გემსართავს, იმის გვერდით პეტერბურგის რომელიმე სასტუმრო ოთახის აბრეშუმის ფარდებს, საიდანაც ბოქაული ტერენტევი იჭყიტება. შემდეგ ისევ კონტაპრუწა ვაუბატონები და ბანოვანები წარმოგიდგება, მხოლოდ ბანოვანებს მაქმანის ცხვირსახოცის ნაცვლად ხელში თოკის ნაგლეჯი თუ ცოცხი უჭირავთ. კონტაპრუწა ვაუბატონი კი ქვიშით ხეხავს გემბანს... უცბად ვაუბატონები და ქალბატონები აღმუვლდებიან, კბილებს აკრიჭინებენ; სახე ჩამოუგრძელდებათ, გაედღლაბნებათ — და სადღაც უფსკრულში ჩაინთქებიან... გაახელ თვალსა და დაინახავ, რომ თოკის ნაგლეჯი, ცოცხი, ტერენტევი — ყველა და ყველაფერი თავის ადგილზეა, ვაი რომ ლარნაკები, ყვავილები და თქვენ, ძვირფასო ქალბატონებო, მაკლიხართ! ხანდახან ისე დაგებნევა თავგზა, რომ ხმაური, კრიჭინი, ტალღების მთები, ქაფი და შხეფები სიზმარი გგონია, ნაპირი, სახლები, მშვიდი საწოლი კი ცხადად გექცევა, თუმცა ყოველი ბიძგი წამსვე ქუთაზე მოგიყვანს და გამოგაფხიზლებს.

ჩემს კაიუტაში მაინც ველარ გავათიე ღამე. კაპიტანს გვერდით ეძინა, ტანთგაუხდელს, წამდაუწუმ ფეხზე წამოიჭრებოდა და გემბანზე გარბოდა. ფადეევმა დილით მომაკითხა, საცვლები მომიტანა და მითხრა კაიუტ-კამბანიაში ჩამობრძანდით ჩაის დასალევადო. „არ მინდა-მეთქი!“ „აქ ხომ არ ამოგიტანოთ?“ — „არ მინდა-მეთქი“, — გავიძახოდი ისევ, წუხელ ჩაის დაღვევის სურვილმა ცუდ დღეში ჩამავდო: თითები დამეთუთქა და კიქაც ხელიდან გამივარდა. „რაო, ჯერ არ დაწყნარებულა?“ — ვკითხე ფადევს. „რა დააწყნარებს, ისევ ღმუის. ასეთი ბრაზიანი ზღვა ყოფილა აქა!“ და შეუწყნარებელი გულგრილობით გახედა ფანჯრიდან ზღვას, სადაც ტალღები ხან ყალყზე დგებოდა, ხან ქაფად და შხეფებად იმსხვრეოდა. უსაქმურობით გაბეზრებულმა შევეცადე ამ გულგრილობის

მიზეზი გამომერკვია: იქნებ ბევრი გრიგალი გამოუვლია და უკვე მიეჩვია, ან იქნებ ხომალდის ძალისა თუ სხვა ათასი საშუალება იმედი აქვს? — არა მგონია, ჯერ ყმაწვილია და სამსახურში ასე მალე ვერ გამოიჯაგებოდა. იქნებ ბედის მორჩილებით მოსდის? მაგრამ არც ეს ეტყობა. ამის შეგნება სახეზე ეხატება კაცს, მისი წყალობით შემუშავებული სიმშვიდეც ატყვია. ფადევეს კი სახე ძველებურად გაბადრული დარჩენია, ცხოვრებას ჯერ არაფერი წაუწერია ზედ. ეს პირწმინდა გულგრილობა გახლავთ, ამ სიტყვის მარტივი გაგებით. ასე გულგრილად შეხედავს ფადეევი — ფადეეების რიცხვი კი ლეგიონია — უმშვენიერეს ახალ ნაპირს, უცხო ჯიშის ხესა თუ ადამიანს — ერთი სიტყვით, მის სიმშვიდეს ვერაფერი დაარღვევს. ერთადერთი, რაც ურყევად სწამს, პირნათლად გააკეთოს საქმე და თუ საჭირო იქნა, პირნათლად შეხედეს სიკვდილს. ჩავაკვირდი და დავასკვენი, რომ ეს გულგრილობა იმ სიმშვიდისა თუ არხეინობის მონათესავეა, რა სიმშვიდითაც სადმე ნაპირზე მეორე ფადეევი ნაჯახით ხელში თოკით მიძვრება სამრეკლოზე, ასწორებს წვეროს, ან ოთხსართულიან სახლის სახურავზე ფუნჯით ხელში პატარა ფიცარზე ზის ჰაერში გამოკიდული, და სანამდეც თოკი მიუშვებს, სახით ხან ქუჩისაკენ მოიქცევა, ხან სახლისაკენ. აბა, შეხედეთ: გრძნობს კი, რა საფრთხე ელის? თქვენც არ მომიკედეთ. მხოლოდ იმას ცდილობს, ფეხით მიეყრდნოს კედელს, ისე რომ ხელი არ მიარტყას. ქვემოთ კი მესამე ფადეევი დგას, თოკი უჭირავს და აინუნშიც არ აგდებს, მისი ამხანაგი ზევით რა დღეშია: თავის მხრივ აქეთ-იქით აცეცებს თვალებს.

ფადეევმა სადილობამდეც მომპკითხა და მითხრა, სადილად წამობრძანდითო. მაგრამ ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ან უნდა გავშხლართულიყავ, ან არადა ისევ ჩემს ადგილზე მარდად დავსკუპებულებიყავ. „არ მინდა!“ — გაბოროტებით ვთქვი მე. „სამჯერ დაკრეს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! გიბმობენ“, — მითხრა და ჩვეულებისამებრ კედელს მიაშტერდა. მაგრამ რატომღაც ღიმილა გადაურბინა სახეზე. „რა გაციუნებს?“ — ვკითხე. ფადეევმა გადაიხარხარა. „ნეტავ რა მოგივიდა?“ — „ისეთი სასაცილო ამბავი მოხდა...“ — „აბა, რა

მოხდა, თქვი? — „შვედოვი თავით დაასკდა გემბანა“. — „სად? როგორ მოახერხა?“ — „საწოლიდან ჩამოვარდა: სამთავემ ერთ კაკვზე დავკიდეთ საწოლი, კაკვი მოტყდა, ყველანი ძირს გადმოვცვივდით: მე და პაისოვს რა გვიშავს, დავვარდით და ავდექით, შვედოვმა კი თავი იტყინა — სიცილით მოვკვდით პირდაპირ! ახლა ზის და კენესის“.

აგერ მესამეჯერ შევამჩნიე ჩემს მსახურს, თუ ვინმე რამე მახეში გაება, ან მაგრად მოხვდა, სიხარულით ცაში ფრინავს ხოლმე. მოდი და გამოარკვიე, რა ელემენტებისაგან შედგება რუსი კაცი! განა ბოროტებით მოსდის: ბოროტება სულაც არ სჩვევია, მის ამ თვისებას ფაქიზი ანალიზი და განსაკუთრებული განსაზღვრება სჭირია. მაგრამ ამჯერად ნუ დასცინი სხვასო, გადაგხდება თავსო, მასაც ასე მოუვიდა. შვედოვის დაცემის ამბავი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უცბად შიკრიკი აიტყუა კართან. „შვედოვთან ერთად ვისი საწოლი ეკადა კიდეე კაკვზე?“ — ჰკითხა მან. „ვისი?“ — კითხვა შეუბრუნა ფადეევმა. „პაისოვის ხომ არა?“ — ჰკითხა ისევ შიკრიკმა, „პაისოვის?“ — „ჰო, ამოღერღე, ვინ იყო კიდეე?“ „კიდეე?“ — განაგრძო კითხვა ფადეევმა. „მორიგესთან წადი, — უთხრა შიკრიკმა, — ყველას ეძახის!“ ფადეევი უცბად დადინჯდა და გავიდა. დაბრუნებულს კიდეე მეტი სიღინჯე ეწერა სახეზე. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. „რატომ აღარ იცინი? მგონი, მარტო შვედოვს არ მოხვედრია?“ ფადეევმა ხმა არ გამცა. „პაისოვსაც მოხვდა?“ ფადეევს ისევ ხარხარი აუტყდა. „იმასაც მოხვდა, იმასაც!“ — გახარებული გაიძახოდა.

„არა, ამ დღეში ჯერ არ ვყოფილვართ!“ — ვფიქრობდი დივანზე ახანხალებული და ვუყუარებდი, ხან კარი როგორ იხრებოდა წელში სარკმლის წინაშე, ხან სარკე როგორ ეთაყვანებოდა კარადას. ფადეევმა გასვლა დააპირა, მაგრამ უცებ გავიფიქრე, მოდი, აქ ვისადილებ-მეთქი. „საკმელს ხომ არ მომიტან თეფშით, სთხოვე ან შემწვარი ან მოხარშული ხორცი გამომიგზავნონ“. „რატომაც არა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ახლავე მოგართმევ!“ — მითხრა მან. ნახევარი საათის შემდეგ ჩემი ფადეევი ორი თეფშით მეახლა. ერთზე პური, სამარილე, დანა, ჩანგალი და ხელსახოცი დაედო, მეორეზე — საკმელი. მარჯვედ მოდიოდა, ხან ერთ ფეხს დაე-

ყრდნობოდა, ხან მეორეს, ხელების წონასწორობას იცავდა, შიგადაშიგ უცბად ფრთხილად ჩაჯდებოდა, თუკი იატაკი ძალზე დაფერდებოდა. „აჰა, აილე!“ — მე და ყვადევი შენობით ვლაპარაკობდით. თქვენობითი ფორმა მხოლოდ დაზეპირებულ წინადადებაში შერჩენოდა: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ“, ან „თქვენი ნებააო“ თუ მისთანები. ჩემს გვერდით თეფშებიანად იატაკზე მოიკალათა. „აბა, რა მომიტანე?“ — „აქ ყველაფერია, რა საჭმელიც კი იყო“. — მითხრა მან. „როგორ თუ ყველაფერია?“ დავხედე თეფშს და მართლაც ყველაფერი აღმოჩნდა: აგერ, ბრინჯიანი ქათამი, აგერ ცხელი პაშტეტი, აგერ შემწვარი ცხვრის ხორცი — ყველაფერი ერთ თეფშზე ეწყო და ზემოდან ვაფლი ეფარა. „აგრე რა შემაჭმევს. ბარემ წვნიანიც ზედ დაგესხა!“ — „ვერ მოვახერხე, დამეჭეოდა,“ — მიპასუხა მან მიამიტად. რაღას ვიზამდი, გადავარჩიე საჭმელი. ცოტა -ს მოვციციქნე, ცოტა ეს, ვიდრე ბოლოს ყველაფერი არ შემომეჭამა და ვაფლს არ მივადექი. „ნეტავ წვნიანიც დაგესხა!“ — ვუთხარი და თეფშები უკან გავატანე.

„ღმერთო ჩემო! ვინ მოიგონა ეს მოგზაურობა?! — ჩემდაუნებლიეთ მწარედ აღმომხდა. — აგერ მეოთხე თვეა მივდივარ და ლეგა ცისა და ყანყალის მეტი არაფერი მინახავს!“ უცბად ვილაცას გაეცინა. „ოჰ, თქვენა ხართ?“ — კაიუტაში ჩემი ყველაზე მაღალი ამხანაგი კ. ი. ლ [ოსევი] შემოსულიყო და ჭერს მიბრჯენოდა ხელებით. „ვითომ ტყუილია! სადაა ლურჯი ზღვა. ლაყვარდი ცა, სითბო, მითხარით. სად არიან ჩიტები, თევზები, რომლებზეც ამბობდნენ, ფსკერზე დაინახავო?“ ამ ჩემ ბუზლუნზე პაპაც დაბარებულებით გაჩნდა კაიუტაში.

„აგერ გეაზღაურებ, ვინც ლაყვარდ ცასა და სითბოზე გიამბობდათ!“ — მითხრა ლ-მა. „აბა, სითბო სადაა? ახლავე გამიჩინეთ ლაყვარდი ცა და სითბო!..“ — ჩაეაცვიედი პაპას. მაგრამ პაპა ჩვეულებისამებრ პატარა-პატარა ნაბიჯებით მიცუნცულდა რუკასთან და ფარგალით გრადუსების გამოთვლას და ფანქრით ხაზვას შეუდგა. „არ გესმით?“ — ვუთხარი მე.

— 48 და 18! — ჩაილაპარაკა მან. მე ისევ გავუმეორე ჩივილი.

— მოიცათ, ბისკაის უბეს გავივლით და სითბოც გაჩნდება! მოგაბეზრებთ კიდეც თავს: სიცივე სანატრელიც გაგიხდებათ. სულ აქა ზიხართ? წამოდით ჩემთან.

— არ შემიძლია; ფეხზე ვერ ვდგები.

— წამოდით, წამოდით, ბუქსირზე აგიყვანთ! — და უკანა გემბანზე წამათრია. მასზე დაყრდნობილმა „ქუჩაში“ ამოყვავ თავი. სწორედ ამ დროს გემბანი ფეხქვეშ გამომეცალა და მიმალა, თვალწინ კი თითქო მარგალიტებით მოოქვილი ზურმუხტის მთა აღიმართა, ერთი გაიკრიალა და მყისვე ქიმს უკან ჩაინთქა. რალაც ძალამ ჯერ ზარბაზანს მიმაჭყლიტა, იქიდან საძვრომისაკენ გამაქანა. ორივე ხელით კარს ჩავებლაუქვე.

— ჩქარა უკან წამიყვანეთ! — ვუთხარი პაპას.

— რას ბრძანებთ? შეხეთ ერთი, რა შესანიშნავია!

მის თვალში ყველაფერი შესანიშნავია. თუ ზურგქარი მიგვაქროლებს და საათში ათ კვანძს ვაკეთებთ, იძახის. „დიდებულისა, შესანიშნავიაო“. თუ ქარი პირდაპირ შუბლში გვირტყამს და უკან მიგვათრევს, მაინც აღტაცებული რჩება. „ჩინებულისა, ერთნახევარ კვანძს ვაკეთებთო!“ მასზე არც დარი მოქმედობს, არც ავდარი. გინდ ცხელოდეს, გინდ ციოდეს, სულ მხნედ გამოიყურება, სულ გამოწყებილი ჩანს. ოღონდაც სიცხეში ნიკაპი გაქონილივით ულაპლაპებს; არწევს თუ არ არწევს, ფეხზე მაგრად დგას, კოტიტა ხელებს წელზე თუ წელს ქვემოთ დაიწყობს და პატარ-პატარა ნაბიჯებით დადის. არაფერი აშფოთებს, მისთვის სულ ერთია ქარიშხალიც და უქარობაც. არც ის ედარდება, ნაპირი ახლოა თუ შორს. თითქმის მთელი მსოფლიო შემოუვლია, მაგრამ თუ სადმე არ ყოფილა, არც იმაზე დარდობს, ვერ ვნახავო. არასოდეს გამიგონია, რასმე ან ვისმე უჩიოდეს. „შესანიშნავიაო!“ მხოლოდ ეს აკერია პირზე. თუ ვინმემ მის თანდასწრებით არა შესანიშნავი რამ თქვა ან არა შესანიშნავად მოიქცა, ერთი კი გამომცდელად გადახედავს ხალხს ირგვლივ და თავისებურად ჩაილიმებს. კუპერის გმირებს მიაგავს, რომლებიც ზღვაში დაბადებულან და გაზრდილან, ან ამერიკის უსიერ ტყეებში დარწვევიათ აკვანი და გარემომცველ ბუნებას თავისი წარუშლელი დალი დაუსვამს მათთვის. ისიც ცამეტი წლიდან ზღვაზე იმყოფება, მგონი, ორი წელიწადი ზედიზედ არ უცხოვრია

ნაპირზე. პაპა ყველას უყვარს, იქნებ იმიტომ, რომ ესოდენ თავისებურია, იქნებ იმიტომ რომ კეთილია. „გამარჯობათ, პაპავ! საით მიიჩქარით?“ — ეუბნებოდნენ ახალგაზრდები. „ხელს ნუ მიშლით: გამოსაცნობად მივდივარ!“ — უპასუხებდა და უკან მოუხედავად გასწევდა მზის დასაქვერად. „ახლა სად ვიმყოფებით?“ ეკითხებოდნენ ისევ. „ღვთის ქვეყანაში!“ — „ვიცით; ოღონდ სად?“ — „ჩრდილოეთ განედის 38°-ზე და დასავლეთ სიგრძედის 12°-ზე“. — „რის პარალელზე?“ — „რუკას დახედეთ და მიხვდებით“. — „ეს გვითხარით...“ — „გამიშვით, გამიშვით!“ — ბალღებივით მიმოფანტავდა ბოლოს პაპა ახალგაზრდობას.

— მცოვა, პაპავ! უკან წამიყვანეთ. — ვამბობ მე.

— სად ცოვა, გენაცვა, შესანიშნავია!

პაპას აღარ დაეუცადე და მარტო დავებრუნდი ისევ ჩემს ადგილზე. მაგრამ სითამამისთვის კარგადაც დავისაჯე. ვერ მოვძწარი კაიუტაში შესვლა და ღიდ, მომრგვალო სოფასკენ გაქცევა, რომ უცბად ძალუმად შეირყა ხომალდი. მივხვდი, ვერც ფეხზე გავჩერდებოდი და ვერც იატაკზე შევიმაგრებდი თავს. ამიტომ მსწრაფლ პატარა დივანზე დავსკუპდი. ვიფიქრე, გადავრჩი-მეთქი. მაგრამ გაგიგონია: კედელს უნდა გაკროდი, თუ დაცემა არ გინდობდა. დივანი მიქედილი იყო და აღარ გადაბრუნდა, მე კი ბევრი ვიმაგრე თავი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, დივანს მაინც მოვწყდი და სავარძელს მთელი ძალით მეკრდით მივასკდი. სავარძელიც მიქედილი ყოფილა და ადგილი არ მოუცვლია, მაგრამ ფეხი კი მოტყდა. მე ისევ იმ ძალამ სავარძელზე გადამაფრინა და იატაკზე დამაგორა. ამ კოტრიალში მუხლიც ვიტკინე და რაღაცას ლოყა მივარტყი. ისევ ძველ ადგილზე რომ მოვქანდი, რამდენიმე წუთი ტკივილისაგან გაოგნებული უძრავად ვიჯექი. საბედნიეროდ, ცუდი შედეგი არ დაუტოვებია. ოღონდ მთელი კვირა გულზე ხელის მიკარება არ შემეძლო, მტკიოდა, მერე ამანაც გამიარა.

ამ დროს კ. ი. ლოსევი შემოვიდა კაიუტაში. შეეჩივლე, რა უბედურებაც დამემართა.

— როცა განზე გაგათრევთ, მაშინვე იატაკზე ჩაჯექით და აღარ გაგაგორებთ! — მითხრა მან.

უცბად ჩემს მხარეს დაგვერდლა იატაკი.

— აი, ასე უნდა ჩაჯდეთ! — მასწავლიდა ის და იატაკზე დაჯდა. — ვაი, ვაი! — აყვირდა მერე და ხელები მოაფათურა, რას ჩავექიდოო. მაგრამ ჩაქიდება ვერ მოასწრო, რომ ზემოდან დაცურდა და მთელი სისწრაფით ჩემსკენ გამოექანა. ერთი ეს მოვასწარი, რომ ფეხები გავქიმე და მივაშველე, თორემ ეს ბრვე, ახოვანი კაცი იქვე გამსრესდა.

ასე მიჰყვებოდა დღე დღეს და ღამე ღამეს. ნაპირზე მხოლოდ დღეს ამჩნევს კაცი, ზღვის რწევისას კი ძილი შენ სურვილზე არაა, როცა შეიძლება, მხოლოდ მაშინ მოხუტავ თვალს. ნაპირზე ჩვეულებრივ, ბუნებრივ დღესთან ერთად მეორე, ხელოვნური დღე იქმნება, რომელსაც იქ ღამე ჰქვია, აქ კი მთელი ღამე დავიდარაბასა და ფაციფუცში უნდა გაატარო. გულისგამწყალებლად მიიზღაზნებიან დღეები და ღამეები. ადამიანი ბორგავს, მშვიდ კუთხეს ეძებს, არ უნდა არც ზღვის, არც რწევის გახსენება, კითხვით, ლაპარაკით ღამობს გაირთოს თავი — შენც არ მომიკვდე, ყოველ ნერვს, ყოველ სახსარს გრძნობს, ამდენი ხნის დაძაბულობას დაუღლია და დაუქანცავს. გადაავიწყდა წინანდელი არხეინი ცხოვრება, ბედნიერი წუთები, წყნარი ზღვა, სამშობლო, მეგობრები. ხოლო თუ მოაგონდა, ისიც შურის გრძნობით. „განა არსებობს კი ნაპირი? — ფიქრობ მაშინ. — განა ოდესმე მეც დავდიოდი მიწაზე, მაგრად ვაბიჯებდი ფეხს, ლოგინში მეძინა, მტკნარ წყალში ვბანაობდი, ოთხ-ხუთ თავ საქმელს ვჰამდი სულ სხვადასხვა თეფშებზე, ვკითხულობდი და ვწერდი მაგიდაზე, რომელსაც ცეკვა არა სჩვევოდა? განა არსებობს სადმე ბაღები, თბილი ჰაერი, ყვავილები...“ თვალწინ დაგიდგება ისეთი ყვავილებიც, რომლებსაც ნაპირზე ზედაც არ უყურებდი. აი, თურმე რა ყოფილა მოგზაურის ბედი, ხიფათით, შიშით, ქარიშხლებით, მღელვარებით აღსავსე, რაზეც ნაპირზე ვოცნებობდი! ქათამმა ჩიჩქნა, ჩიჩქნა და თავის დასაკლავი დანა გამოჩიჩქნაო! უმადურ მეხსიერებას სიკეთე არ ახსოვს. აგიტანს სინანულის ლაჩრული გრძნობა, ზღვაზე ცხოვრების ჩამაშხამებელი, და ფიქრობ: ნეტავ რისთვის მოვდიოდიო!

ამ განწყობით გამოვადწიე კაიუტიდან, სადაც დღენახევარი მაყურყურტა ოკეანემ და საერთო კაიუტისაკენ გავეშურე. გაბრაზებული გავყურებდი ოკეანეს და ჩემს გულში ვიმეო-

რებლი იმ ეპითეტებს, რაც ბაირონს, პუშკინს, ბენედიქტოვსა თუ სხვებს ეწოდებიანათ მისთვის — „კუშტი, უემური, მძლეთა მძლე“. არც ფადეევს ნათქვამი დამევიწყებია — „ბრაზიანიო“ და კიბეზე ჩამავალმა ჩემის მხრიავაც დავუმატე ამ სიას — „მლაშე, მოსაწყენი, მახინჯი და ერთფეროვანი! შეჯდა ვირზე და საშველს აღარ გვაძლევს-მეთქი“.

ქვემოთ ყველგან წყალი იდგა, ნესტი ძვალ-რბილში ატანდა; ვისაც სად მოეხერხებინა, იქ მისძინებოდა. მეც მაშინვე მივწექი, მაგრამ გაგიგონია, ბარე ათჯერ წამომახტუნა ღამით ჭრიალმა, ვილაცის მოულოდნელმა წამობოდებამ, ბრაგაბრუგისა და სტვენის ხმამ; ბურანში ვხედავდი, პაპა მხიარული სახით რომ შემოდრიოდა და გადიოდა.

— რა ვქნა, პაპა, ძალიან მარწევს! — შევჩივლე მე.

— აბა არ დაგარწევთ: მაგარი ბაიდეენდია! ჩინებულია პირდაპირ.

— კი მაგრამ, რა უგავს ჩინებულს?

— მაშ რა: 10¹/₂ კვანძს ვაკეთებთ, ბისკაის ყურე გავიარეთ და დილით ფინისტერეს პარალელზე ვიქნებით.

— იტყვიტ რაღა, ჩინებულიაო, ჰმ!

უცბად ო. ა. გოშქევიჩი გამოჩნდა თავის კაიუტის კარებში. ჩვენ მას ყველანი თარჯიმანს ვეძახით. გადაფითრებულს ხელში ბალიში ეკავა, საერთო კაიუტაში შემოვიდა და მრგვალ სოფაზე მიწვა. გული ერეოდა. ძილიც დაკარგოდა და მდაცხუთი წუთი კი იწვა, მერე ტახტზე გადაბარგდა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ ვერც იქ გაჩერდა. მოსვენება ვერსად ეპოვა. როგორც კი ზღვაში გამოვედით, ზღვის სენი შეეყარა, ყველას ეცოდებოდა, მაგრამ შეცოდება აბა რას უშველიდა. საბატარეო გემბანზე გაიყვანეს და საქვრომის შორიახლოს ჩამოუკიდეს საწოლი, იქიდან სუფთა ჰაერი ქროდა. მის შემყურეს შემერცხვა ჩემი გულისწყრომისა და წუწუნს მოვეშვი.

შემდეგი დღეებიც ასეთივე ერთფეროვანი გამოდგა. ოკეანე ბორგავდა, ციოდა. ცასა და ზღვას ყომრალი ფერი დადებოდა, თუმცა ესპანეთის ცის ქვეშ კი ვიყავით, 30 გრადუსის განედზე. ისე ვიყავით სულშეწუხებულნი, ვერც შევამჩნიეთ, როგორ გავიარეთ საფრანგეთი და ახლა ესპანეთსა და პორ-

ტუგალიას ვუვლიდით. რაკი საქმე არაფერი მქონდა, ჩემი ფიქრი უნებლიეთ იმ ნაპირებისაკენ ქროდა, რომლებსაც გვერდს ვუვლიდით და რომელთა ნახვას ვერ ვეღირსეთ. პარიზი ყველას პირზე ეკერა. ის ხომ ყველაზე საინტერესო დროს დავტოვეთ: ლუდოვიკო-ნაპოლეონს ის იყო ტახტი დაეჭირა. სხვა არაფერი ვიცოდით, გარდა იმისა, რომ ინგლისმა აღიარა მისი მეფობა. დაწყნარდნენ კი პარტიები? შესძლო კი მან იმ წესწყობილების შენარჩუნება, რაიც აღადგინა? ჩამოვარდა კი მშვიდობა? — აი, ეს კითხვები ებადებოდა კაცს საფრანგეთის გახსენებაზე. „რა კარგია, ახლა პარიზში ყოფნა! — ვოხრავდი მე — ნეტავ იქ მაცხოვრა, ახალი ამბების, ხელოვნების, მოდების, პოლიტიკის, გონიერ-უგუნურობის, სილამაზე-სიმამინჯის, სიბრძნე-სისულელის იმ ორომტრიალში. ეპიკურელივით ვუთვალთვალებდე ამ ოინებს!“ „აგერ ესპანეთი და მისი აყვავებული ანდალუზია, — სასოწარკვეთილი გავყურებდი იმ მხარეს, სადაც პაპას თქმით ესპანეთი უნდა ყოფილიყო. — სევილია, caballeros¹ გიტარებით და დაშნებით, ქალები, აივნები, ლიმონები და თურინჯები. ნეტავ იქ, გრენადის რომელიმე კუთხეში ვიყო ახლა, სადაც ასე ჭკვიანურად, მოხდენით იმოგზაურა ეპიკურელმა ბ [ოტკინმა], სადაც მან არა სიტკბოება არ დაიკლო, არც ესპანეთის ცისა და ჰაერის ნექტარი, არც ქალები და ფორთოხლები, — ნეტავ იქ მამყოფა ახლა, ვნებივრობდე ოლეანდრებისა და ჩინარების ჩრდილში, რუსული სიზარმაცე ესპანურს შეეაჯგარო და ვნახო, რა გამოვა აქედან!“

მაგრამ ფრეგატი გამალებით მიქრის — პაპა ვერც ასწრებს უფროსებს მოახსენოს: 40, 38, 35 გრადუსები, პარალელები — სან-ვიცენტა, კადიქსა... მშვიდობით, ესპანეთო, მშვიდობით, ევროპავ! მშვიდობით, ჩემო მეგობრებო! გიხილავთ კი ოდესმე? მიიღებთ კი წერილს, რასაც თითქო ასწლოვან მუხრანის შრიალში ვწერ, ზემოდან ლეგა ცა დამყურებს, თუმცა სამხრეთის ცა ჰქვია და თივთიკის თბილი პალტო მაცვია? მართალია, კარგა მანძილზე მოგშორდით, მაგრამ შე მკრთალს ჩრდილოეთის ლანდი კვლავ მეცხადება; კვლავ

¹ რაინდნი (ესპ.).

მისი ზამთრის სუნთქვა მესმის, ცასა და წყალზე მის კოლორიტს ვხედავ. თითქო ახლოს ვარ თქვენთან, არც ლურჯი ზღვა ტორტმანებს ჩემს წინ. ტალღათა დგაფუნის, სიცივე — მარილიანი შხეფები — აი, რა გარემოში ვიმყოფები ახლა.

18 იანვარს, ინგლისიდან გამოსვლის მერვე დღეს, საათის ცხრაზე ვილაცამ მომიკაკუნა კარზე. „ვინ არის?“ — ვკითხე. — „მე გახლავართ“, — მომესმა პასუხი. — „აჰ! თქვენა ხართ, ჩემო ძვირფასო მეზობელო?“ „მანდ რას აკეთებთ?“ — „რას?“ — ფაღვევივით შევუბრუნე კითხვა. — „ალბათ წევხართ, არა?“ — „თითქმის...“ ვუპასუხე ზღვის რწვევისაგან საწოლში აფართხალებულმა და ბალიშებში ლამის ჩამხრჩვალმა. „არა გრცხვენიათ!“ „მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა?“ — და ბალიშებს ხელებითა და ფეხებით შევებრძოლე. „მადერა მოჩანს“. „რას ამბობთ? ფაღვევ, ფაღვევ!“ — ვიყვირე მე. ფაღვევი შემოვიდა. „რატომ არ მოხვალ და არ გამაღვიძებ? მადერა მოჩანს უკვე?“ — ვიფიქრე, მეზობელმა ხომ არ მომატყუა-მეთქი. „მადერა?“ — მკითხა ფაღვევმა და ისე მიაპიტად შემომაცქერდა, ნეტავ რომელ დიპლომატს არ შეშურდებოდა. „ჰო, მადერა“, — ვუთხარი მოუთმენლად. ფაღვევი ჩვეული გულგრილი სახით კედელს მიაშტერდა. „ნაპირი დილის შვიდი საათიდან ჩანს“, — მითხრა ღუმლის შემდეგ. — „მერე რატომ არ მოხვედი და მითხარი?“ — ვუსაყვედურე მე. — „ცხელი წყალი არ ჰქონდათ გასაპარსად, არც წალები იყო გაწმენდილი!“ — „აბა, ჩქარა მომაწოდე, ჩავიცვა! ზემოთ რა ამბავია?“ — „ღმერთო ჩემო, რა თბილა, გემბანზე სიარულს არაფერი სჯობია: ყველამ გავიხადეთ ჩექმები“, — მითხრა კვლავ გულგრილად, თავში არ მოსვლია, ჩემთვის ეკითხა, იანვარში ასე რად დათბა, დასკვნა არაფერი გაუკეთებია, თავი არაფერზე უმტვრევია... „ღმერთო ჩემო! — ვუპასუხე მე, — წარმომიდგენია, რა გართობს ამ მოგზაურობაში ან ამ ქვეყანაზე, შე დევის მკლავება ბალო! აბა, ჩქარა, ჩქარა, ტანსაცმელი მომეცი!“ „რა გეჩქარება, თქვენო მაღალკეთილშობილებაჲ! ჯერ აგერ პირი დაიბანე!“ — მე ღიმილი შევიკავე: არ მინდოდა ეს კოსტრომული აჯამობა ევროპული ცივილიზაციით წამეხდინა, მით უმეტეს რომ ევროპას გამოვცილდით და... თავისებურ კოსტრომას ვუახლოვდებოდით.

გემბანზე გამოვედი. ოჰ, რა სურათი დამიდგა თვალწინ! დორბლმორეულ მახინჯ ბორცვების ნაცვლად ოკეანე ნელა ტორტმანებდა. ქარი სახეში არ გირტყამდა, აბრეშუმით ყელთან გელამუნებოდა და ნერვებზე საამოდ გილიტინებდა; მზე მაგრად აცხუნებდა. ჩემს წინ, სამიოდე მილზე, წაბლისფერი ბექობები აღმართულიყო, ერთმანეთზე მაღალი; მიწისა და კლდეების ლოდები ერთმანეთზე დაყრილან და მაღლა-მაღლა მიიწვევენ. ერთი კლდე თითქო მომწყდარა, ზღვაში ცალკე ჩამხობილა და შიგ თალი მოჩანს. იქაურობა მოტიტვლებული ჩანს, ოღონდ ხავსი მოდებია სქლად. მაგრამ თურმე მანძილი მატყუებდა: ხავსი კი არადა ტყეები ყოფილა; საცხოვრებელი არსად ჩანს. ბექობები დეკორაციებით ამომართულიყო ზღვიდან, გეგონებოდა, როგორც კი მივუახლოვდებით, მაშინვე ჩამოიმხობაო. მარცხნივ, საკმაოდ შორს, პორტო-სანტოს, უფრო იქით კი დეზერტოსის პატარა კუნძულები, ანუ უფრო სწორად კლდეები მოჩანდა. პაპა თითოთ აჩვენებდა მესაქეებს, იმათ შუა მდებარე სრუტეში რა გეზით წასულიყვნენ. ჩვენ ჯერ კიდევ გვერდიდან შევყურებდით მოდერას. პირი მას სამხრეთისკენ მიექცია. აი, შემოვუხვიეთ კიდევ...

18 იანვარი. რა დიდებულია ეს ქვეყანა, მით უფრო, როცა კაცს მოგზაურობა შეუძლია! Cogito ergo sum¹ — ვმოგზაურობ, მაშასადამე, ვტკბები, ასე გადავაკეთე ეს ცნობილი გამოთქმა, როცა მთაზე პალანკინით ავდიოდი, ამ საოცარი ჰაერით ველარ ვძლებოდი და აღარ ვიცოდი, რაზე დამრჩენოდა თვალი: ვენახებზე, აგარაკებზე, ლურჯ ცაზე თუ ოკეანეზე.

ასე მეგონა, მხოლოდ ამ დილიდან შევეუდექ მოგზაურობას, რომ ბედმა განზრახ დაგვატეხა ასეთი მძიმე განსაცდელი, განზრახ გამოგვიგზავნა შვიდი დღის მანძილზე გამძაფრებით მძინევარე ცივი ქარი, ყომრალი ცა, რა არის მერე მოვიჯადოვებინეთ ხვერდოვანი ჰაერით, საამოდ მოკაშკაშე მზით, ნაზი ფერებით და ამ ჯადოქრული კუნძულის მთელი ჰარმო-

¹ ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ (ლათ.)

ნიით, სადაც ცა ზღვას ეხამება, ზღვა მიწას და ყველაფერი ერთად კი აღამიანის სულს.

შემოვუარეთ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირს და სამხრეთისაკენ ვქენით პირი. რა დიდებული, რა ვეებერთელა სურათი გადაიშალა ჩვენს წინ, თითქო ზღვიდან ამომართულაო. აღარც ცა ჩანდა, აღარც ოკეანე. ასეთ რასმე კაცი მხოლოდ ტილოზე, პანორამაზე ნახავს, არც იჯერებ, თუ ასეთი სილამაზე შეიძლება, გგონია, ფუნჯმა მოგატყუა; მიეების ჯგუფი ერთ დიდ მთას ეხუტებოდა — ასეთი დიდი მთა ჩვენს შორის ბევრმა პირველად ნახა. თან მთების არისტოკრატიაში იმდენად სიმალლის გამო კი არ მოხვედრილა იგი, ზღვის დონიდან სულ 6000 ფუტი თუ იქნება, რამდენადაც ღვინის ხათრით ჩაურციხავთ. ჩვენ კი ინგლისის დაბალი, ნესტიანი დაბლობების შემდეგ პირდაპირ დევად მოგვეჩვენა. მერე რა მორთულ-მოკაზმული იყო! წვერზე თოვლი ქათქათებდა, კალთები სიმწვანეს ჩაემუქებინა, შიგადაშიგ კი მურა ფერი გადაჰკრავდა; აქა-იქ მწვანედ ხასხასებდა ბალები. მთებს ღრუბლები დასტრიალებდა თავს. აქ თეთრი ღრუბელი უძრავად გართხმულიყო, თითქო მიწას დაჰკვდომიაო, იქ მარმარის ფარდასავით გამჭვირვალედ დაჰკიდებოდა და წვიმას აცრიდა თავზე; მთას ირგვლივ ცისარტყელები შემოხვეოდა. ერთ ადგილას ბნელში ჩაფლულა ტყე, სხვაგან უტბად მზეს სხივები დაფრქვევია და ოქროსავით აუბრჭყვიალებია ბალებით დასერილი ციციბო კალთა. აღარ იცი, რას უყურო, რითი დაატკბო თვალი; ხარბად იცქირები ირგვლივ და დიორამასავით თვალს ვერ უსწორებ სხივების ამ ციალს.

მთის ფერდობებს ვენახები მიჰყვებოდა, მწვანეში აქა-იქ აგარაკებს ამოეყო თავი. შუა მთაზე ეკლესია მოჩანდა და ზემოდან დაჰყურებდა ბალებსა და ქალაქს. ქალაქი ფუნჩალი... ნუთუ მთის ძირას, ნაპირზე სახლები რომ მოჩანს, ქალაქისაა?! შორიდან კი შაქრის ნატეხები თუ ბათქაშის ნამტკრევები გეგონება. რაც უფრო მივუახლოვდით ნაპირს, უფრო დათბა. სახეზე თითქოს ვილაც გასუნთქავს ახლოდან. მარცხნივ და მარჯვნივ მთები კლდეებად ეშვებოდა ნაპირისაკენ. ერთ მათგანზე, ქალაქის მარცხნივ, ბატარეა გადმოუყუდე-

ბიათ. ქვემოთ, მეორე კლდის ძირას, რეიდისაკენ მიემართებოდა სავაჭრო ხომალდი. ჰოგრიტებით გავხედეთ ამ ხომალდს. ხომალდზე ბუზებივით ირეოდნენ მგზავრები, ევროპიდან ამერიკასა თუ ავსტრალიაში წამოსული ემიგრანტები. ღმერთმა მშვიდობით ჩაიყვანოთ! ჩვენი აზრით, სამას კაცზე მეტი იქნებოდა. ნეტავ როგორ ეტყვიან?.. ყველანი ნაპირის სანახავად გამოფენილა.

მადერას ნავსაყუდელი არ გააჩნია, მისი რეიდი მეტად მოუხერხებელია ხომალდებისათვის. იქნებ იმიტომ, რომ სიღრმე არა აქვს, თუ პირიქით, ძალიან ღრმა არის და ღუზის ჩასაშვებად არ გამოდგება. ნაპირის ახლოს სიღრმე 60, 50 საყენი იქნება; ზედ ნაპირთან კი, ნავმისადგომზე, საიდანაც ლაპარაკის ხმა მოდის, თხუთმეტიოდე მაინც იქნება. სამხედრო ხომალდები აქ იშვიათად უშვებენ ღუზას, სავაჭრო ხომალდები კი რაწამს სამხრეთიდან ქარი დაუბერავს, მყის ჩრდილოეთის მხარეს გადავლენ, ჩრდილოეთის ქარს კი აქ ეფარებიან. ჩვენ მხოლოდ ცოცხალი ხარებისა და მწვანისის საყიდლად შევჩერდით. ამიტომაც გადაწყვიტეს, ღუზა აღარ ჩაეშვათ, მთელი დღე იალქნების ამარა გაჩერებულიყვნენ; მაშასადამე, ცოტა ხნით გავჩერდებოდით, ასე რომ, ყველანი ნაპირისაკენ გავეშურეთ. ჩვენი ხომალდი ამ რამდენიმე წლის წინათ ყოფილა აქ და ლისაბონში დაუზამთრებია.

ნაირ-ნაირი ზომისა და ფორმის ნაგები დაგვეხვია ირგვლივ. ნავსადგურის კაპიტანიც მობრძანდა, მშვიდობით ჩამოსვლა მოგვილოცა და ზღვაოსანთა ამბავი იკითხა. აბა, ამაზე მეტი თავაზიანობა გაგონილა? მაგრამ ერთი გაბედე და თქვი, რომ უქეიფოდ ხარ, რომ ხომალდზე ოცი-ოცდაათიოდე კაცი გყავს ციებ-ციხელებით ავად, მაშინვე დიდის თავაზით გთხოვენ, ნაპირზე ნუ გადმობრძანდებით და რაც შეიძლება მალე გაეცალეთ აქაურობასო. მოიტანეს ფორთოხლები, კიდევ რაღაც რულაცეები; მოვიდა მრეცხავი ქალი, ღუქნის დიასახლისი; ყველა თავის მისამართს გვაჩეჩებს. ასე რომ, ინგლისში შექმნილ სხვა ღუქინობით ბარათს კიდევ ორი მიეუმატე ჯიბეში. იმდენი დამიგროვდა ტანსაცმლის ჯიბეებში, რომ შეზარებოდა იმათი ზღვაში გადაყრა. „სხვა დროს, nur nicht

leute¹, — ვფიქრობდი გერმანული ლექსის თანახმად, ყველაზე ბოლოს ნაპირიდან რუსული ბაირადიანი ნავი დაიძრა. შიგ რუსი მოხელე იჯდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიცეუნდირი ეცვა, რუსული ორდენი ეკეთა ჩასალილავში. ეს კონსული გახლდათ. მაშინვე იცნო ხომალდი, ძველი ნაცნობები მოიკითხა და რამდენიმე კაცი თავისთან მიგვიპატიუა სადილად. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა კონსულის ნავში ჩავსხედით. მენიჩბეები პორტუგალიელები იყვნენ, მეტად უცხოდ გამოწყობილნი. საყულოგადაწყული თეთრი სპენსერები ეცვათ. კინკრიხოს ძლივს უფარავდათ წითელი და ლურჯი ქუდები, ფეხშიშვლები კი იყვნენ. ყელი და მკერდი მოედლდათ; თითქმის ყველას წვერი მოეშვა, მაგრამ უღვაშები მოეპარსათ. მეტწილად ბრგე, ლამაზი ვაჟაკები იყვნენ.

როცა მოგზაურობის წიგნებში წავიკითხავედი, ნაპირიდან ერთ ვერსზე საოცარი სურნელი ეცათ ზღვაოსნებსო, არა მჯეროდა, მუდამ უნდობლად ვეკიდებოდი. მეგონა, ალბათ მოგზაურობის ცხვირსახოცებს ასდიოდა ეს სურნელი, ისინი ხომ ლუდოვიკო მეთოთხმეტისა თუ მეთხუთმეტის ეპოქის ფრანტები იყვნენ, იმ დროს ყველანი ლამის სუნამოში იბანებოდნენ. მაგრამ აგერ ნაპირიდან კარგა შორს თბილმა სურნელოვანმა სიომ დაუბერა და ანაჩასის, მიხაკისა და კიდევ, მგონი, რაღაც სხვა ყვავილის სუნი მოგვიტანა. ერთმა ჩვენმა მგრძნობიარე ყნოსვის მქონე თანამგზავრმა გადაწყვიტა, ჰელიოტროპის სუნიო. სურნელთან ერთად ეკლესიის ზარებისა და მუსიკის ხმამაც მოატანა. მთების დეკორაცია წამისწამ იცვლიდა იერს. სადაც ერთი წუთის წინ მშვანე ხასხასებდა, და ოქრო ციალებდა, ახლა თითქო ძაძა გადაფარებოდა, ხოლო წინანდელი მურა სერები მზით გადახრუკულ უდაბნოდ აცისკროვნებულებო: იქ ცისარტყელა კაშკაშებდა.

ამ ახალ, საოცრად ლამაზ ნაპირის ცქერაში გართულებმა შეუმჩნევლად ნავმისადგომზე ამოვყავით თავი. თუმცა ბოდიშს ვიხდი, ნავმისადგომი სად არის! მოკლედ იქ გავჩნდით, სადაც ის უნდა ყოფილიყო. ნავეები აქ როდი აღგებთან, ფურ-

¹ ოლონდ დღეს არა (გერმ.)

თუნებიდან გამოსტებიან ხოლმე ნაპირის წვრილ-წვრილ კენ-
ქებზე. შარვალაკაპიწებული მენიჩბები ჯერ ნავს გაათრე-
ვენ მშრალ ადგილზე და მერე მგზავრებს ციმციმ გადმოიყვან-
ნენ. თითქმის სიბილით გავეშურეთ ნაპირისაკენ, სადაც სა-
ხლები ჩამწკრივებულაყო, და ზღვაზე მიბჯენილ ბულვარზე
გავედით.

ზღვაში ამდენი ხნის ხეტიალის შემდეგ რა ნეტარებაა
მუხლის გამართვა! ჯერ აცაბაცა დადიხარ, რამდენიმე წუთს
უნდა სიარულს მიეჩვიო, გადაჩვეული მალე იღლები
კიდევ.

ბულვარზე, ბოყვებისა და ოლეანდრების ჩრდილში, უძრავად
იდგა სამი კაცი, სუფთად წვერგაპარსულნი, ლურჯთვა-
ლება, ლამაზი ქილვაშებით. შავი კოსტუმები და თეთრი ქილე-
ტები ეცვათ, მრგვალი ქუდები ეხურათ, ქოლგა ილიაში
ამოეჩარათ და ცნობისმოყვარეობით ხან ჩვენ გვხვრეტდნენ
თვალით და ხან ჩვენს ხომალდს. განა საჭიროა, მათი ვინაობის
აღნიშვნა? განა ისინი აქაც არიან? განა ცოტა ვუყურეთ მათ!
ქალაქში საუკეთესო სახლები და ქალაქგარეთ საუკეთესო ვე-
ნახები ინგლისელების ხელშია. კი ბატონო, მაგრამ იმათ რა-
და უნდათ აქ? მერე რა უსიამოდ გეჩხირება თვალში ამ რბი-
ლი ჰაერის, ნაზი ცის, ჯადოქრული ფერების ფონზე იმათი
სახეები! მაგრამ საგნების მრავალფეროვნებამ მალე გადაგვ-
ყარა გულს უსიამოვნება. რეიდზე რომ მუსიკის ხმა ყრულ
მოგვდიოდა, ახლა ხმამალლა ჟღერდა ერთ-ერთი გრძელი შე-
ნობიდან. კონსულმა გვითხრა, ყაზარმებიო: მუსიკოსები
თურმე დაკვრას სწავლობდნენ. ქუჩები ამფითეატრივით გან-
ლაგებულაყო, მთა ზედ ნაპირთან იწყებოდა. მაგრამ ქვაფე-
ნილზე სიარული ცოტა არ იყოს ძნელი გამოდგა: პატარ-პა-
ტარა, საკმაოდ წვეტიანი ქვებით მოეკირწყლათ და ფეხებსა
გვტყენდა. სახლებში ქალუხები ჩამოემვათ სიცხის გამო; სა-
და, ორი ან ერთსართულიანი სახლები იდგა; ბევრს ირგვლივ
ქვის გალავანი ერტყა. ყველგან ბაღები, ხეები ჩანდა, სურო
ჩახვეოდა კედლებს; ქვაფენილშიც მოლი ამოსულიყო.

მაგრამ რატომ არ იგრძნობა ქუჩებში ფუსფუსი და ფაცი-
ფუცი? ხალხი უსაქმოდ დასეირნობს; ყველა მორთულ-მოკა-
ზმულია. სამხრეთში გარჯა და თავის შეწუხება მაინცადა-

შინც არ უყვართ; მაგრამ ასეთი გაზარმაცება, ასე უსაქმოდ ყიალი კი მეტისმეტია. „დღეს კვირაა და მალაზიებიც იმიტომ-მაა დაკეტილიო“, — გვითხრა კონსულმა, რომელიც ჩვენ მოგვეყვებოდა. არ მახსოვს, რომელ მოგზაურს უთქვამს, ბინძური ქალაქიაო — ტყუილია, ძალიან სუფთა ქალაქია, ხოლო თეთრი კედლები და სახურავები კი პირდაპირ სპეტაკ იერს ანიჭებს. ასეთ მზეზე ტალახს რა გააჩენს. კონსულის თქმით, ცუდი ამინდი აქ დიდი-დიდი სამი დღე იყოს, ისიც ცოტა მოწვიმს, დაიქუხებს — და ისევ მზე აციალდება კუნძულზე. მზე არასოდეს იმალება. ჩვენსობასაც ხან ერთ ადგილზე აკაშქაშდებოდა, ხან მეორეზე. მხოლოდ ნახევარი საათით თუ დაიმალება. ოსიანისებური ნოტიო, ნისლიანი დარი აქ არ სჩვევია.

კონსულის სახლისაკენ მიმავლებს ჰრელ-ჰრელ, თვალწარმტაც სამოსში გამოწყობილი შავგვრემანი, შავთვალწარბა პორტუგალიელთა ჯგრო დაგვეხვია. ზოგს ქულები ეხურა, ზოგს ჩაჩები, ზოგი სულაც თავძიშველი იყო, ლამაზებიც ერივნენ და გონჯებიც, თუმცა მეტი წილი ლამაზებად ჩაითვლებოდა. გონჯებში ბევრი ყვავილს დაემახინჯებინა. ზანგებიც დაეინახეთ, ოლონდ ცოტანი. ყველა გამყოლობას გვთავაზობდა სხვადასხვა ენაზე, მეტწილად ფრანგულად და ინგლისურად, თუმცა არც ერთი იცოდნენ ხეირიანად და არც მეორე. „აგერ ჰოსპიტალი, ყაზარმა“ — იძახდა ერთი. — „ეგ ესა და ეს ეკლესიაა“, — აწყვეტინებდა მეორე, — „ეგ კი რუსი კონსულის სახლია“, — დაუმატა მესამემ. მაგრამ ჩვენ რომ სწორედ იქით მივტრიალდით, იმედგაცრუებულმა გამყოლებმა უცბად ხმა გაიკმინდეს.

კონსულის პატარა ქვის სახლი ასეთსავე ქვის გალავანს მიჰყუყუოდა, წინ სუფთა ეზო გამოდიოდა, უკან ბაღი. კონსული წარმოშობით პორტუგალიელი იყო, მეორე ცოლი ჰყოლოდა, მეტად ყმაწვილი, შავთვალა, ფერმკრთალი, ტანწვრილი პორტუგალიელი ქალი. გაგვაცნო თავისი ცოლი, სამწუხაროდ, პორტუგალიური ენის გარდა სხვა არა სცოდნოდა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ შევხედეთ, იმანაც შემოგვეხედა და ამით დამთავრდა ჩვენი ნაცნობობა. კონსულმა ინგლისური იცოდა, ფრანგულადაც (კოტ-კოტას ლაპარაკობდა. ორმოც-

დაათს გადაცილებული იქნებოდა. პირველი ცოლიდან მოზრ-
დილი ვაჟი ჰყოლოდა, დაგვიპირდა, სადილზე გაჩვენებთო.
თითქმის ბნელ სასტუმრო ოთახში შეგვიყვანეს; გრილოდა
მაგრამ რაწამს ჟალუზები ასწიეს, სინათლე და სიცხე შემო-
იჭრა. ფანჯრებიდან მშვენიერი გადასახედი ჩანდა, ნაპირზე
ამფითეატრად განლაგებულ სახლებს დაინახავდი და რეიდ-
საც. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მთის ძირას გახლდით ჯერ: კონ-
სულის სახლი ნაპირიდან შორს არ იყო. ასე რომ, მშვენიერ
გადასახედებს კიდევ ვნახავდით ზემოთ.

ცოტა ხანს მასპინძელს ველაპარაკეთ, მის ცოლთან მცი-
რე ხანს მღუმარედ დავსხედით და მერე განვაცხადეთ, გავი-
სეირნებთო. მყის შემოგვეჯარა გამყოლთა ჯგრო, მეორე
ჯგუფმა საჯდომი ცხენებიც შემოგვთავაზა. პატარა მოედან-
ზე, ერთი ხის ძირას, ასეთი ცხენები ბლომად დავინახეთ. ჩვე-
ნებიდან სამი თუ ოთხი კაცი ამ ცხენებზე შეჯდა და გამყო-
ლებთან ერთად თვალს მიეფარა, კონსულმა მითხრა, თუ გნე-
ბავთ, ასეთ ცხენს მოგიყვანენ, თუ არადა პალანკინს, რო-
გორც ისურვებთო. მე პალანკინი ვირჩიე, „ისე არ დამანჯლ-
რევეს-მეთქი“. კონსულს ჩემი პასუხი გადათარგმნილი არ
ჰქონდა, რომ ის ჯგრო ხალხი უტბად მოწყდა და სადღაც
გაქრა. მთაზე ვერ გავყვებითო, მომიბოდიშა კონსულმა, „იქ
ცივა, ამ ზამთარში გაცივების მეშინია. გირჩევნიათ, თქვენც
პალტო ჩაიცვათო“. მაგრამ პალტო შინ დავტოვე. ზამთა-
რიაო! კარგი ზამთარია, შენი ჰიროიმე. ქუჩაში ცხელა, მზემ
ლამის ზურგი ამიწვას. „სადილზე არ დაიგვიანოთ, ოთხზე
იქნებო“, — მომძახხა კონსულმა, როცა პალანკინის მოლო-
დინში ქუჩას ფეხით გავყევი. უკან ორი ბიჭი ამედევნა; ერთი
ფრანგულად ლაპარაკობდა, თუმცა მისი ფრანგული ეს იყო,
რომ ორ სიტყვას დამახინჯებით იტყოდა და სამს პორტუგა-
ლიურს დაუმატებდა; მეორესაც ასევე სცოდნოდა ინგლისუ-
რი. მაგრამ ერთმანეთს კი მაინც ვაგებინებდით.

მძიმე-მძიმედ მივიდიოდი, რა მეჩქარებოდა ასვლა: ქალაქს
ჯერ თვალი ვერ შესჩვეოდა, ყველაფერს სამხრეთის კაშკაშა-
კოლორიტი დასდებოდა: მზეც აქ სხვანაირად ანათებს, ჩვენ-
სას არა ჰგავს; ჩრდილებიც უფრო მკვეთრია; ან იქნებ მე მე-
ჩვენა ასე, რადგან ცუდი ამინდი გავვიგრძელოდა გზაში. მეს-

რებიდან სულ სხვა მცენარეები იყურება. კედლებსა და ფანჯრებს სურო შემოხვევია და განიერფოთლიანი ვაზი აჭფარები. შიგადაშიგ მესრებში მალალი, კენარი ხეები, ტვია და კვიპაროსები მოჩანს. არც აქაური ხალხი ჰგავს ჩვენს ჩრდილოელებს: ყველგან შავგვრემან სახეებს ვხედავ, ცოცხალ, მკვეთრ ნაკეთებს. მაგრამ აგერ რალაც ნაცნობი, მგონი, ჩვენი ჩრდილოეთის მარხილი დავინახე. რა უცნაური კია: კოპიტისა თუ პალმის ღია ხისგან კავებზე შეყენებული ეკიპაჟისთვის კაბრიოლეტივით დასაჯდომი გაუკეთებიათ. შიგ ულელი ხარი შეუბამთ და ისინიც მძიმედ მიათრევენ ამ უცნაურ ეკიპაჟს ქვებზე. ეკიპაჟში მთელი ოჯახი ზის: ცოლ-ქმარი და ბავშვები. „მაშასადამე, ეტლები და კარეტები არა სცოდნიათ, — დავასკენი მე, — ან სადაა გასაქანი, მთაზე ვერ ავა, ქალაქში კუდს ვერ მოიქნევს“. აქ ცხენებით დადიან და პალანკინებით მოგზაურობენ. აგერ ქენებით ჩამიქროლა ერთმა ჩასუქებულმა ქალბატონმა, პატარა ლამაზ ცხენზე იჯდა, სულ თეთრ მარმამში იყო გამოწყობილი, ქუდიც თეთრი ეხურა; გვერდით გამყოლი მირბოდა, სადავეს ჩაჭიდებული. ჩვენებსაც ასევე გვერდით მისდევდნენ გამყოლები, ნეტავ რა ფილტვები უძლებთ ამ მთაზე? მეორე ქალბატონმაც სწრაფად ჩამიარა პალანკინით. აი, თურმე რა ყოფილა პალანკინი! ბავშვის კალიასკავით პატარა ეტლია, ჩვეულებრივი ჩითითა თუ მუშამბით გადაკრული. სახურავს შუა კი სქელი ქოკია მიკედლილი და გამყოლებს მხარზე უდევთ. მე ისევ ფეხით მივყვები გზას, ბიჭები უკან მომდევნენ. აი, გაიხსნა რომელიღაც სახლში ჟალუზი, ვიღაცამ თვალი მომანათა და ისევ ჯახუნით მოხურა ხარხა. ამ მიყრუებულ ქუჩაში ალბათ ჩემმა ფეხის ხმამ რომელიმე პორტუგალიელ კაცსა თუ ქალს დაუფრთხო თვლემა, წუთით გამოიქყიტა, ვინ არისო, როგორც პროვინციაში სჩვევიათ, და მერე კვლავ სიესტას ბურანს მიეცა. შემდეგ ისევ მედიდურად მიმავალ ინგლისელს მოვკარი თვალი, თეთრი პალსტუხი უკეთია. თუ ქოლგა არა აქვს ამოჩრილი, უთუოდ ხელჯოხი უჭირავს. ერთ ადგილას ხალხს მოუყრია თავი, ეტყობა, დუქანია. მაგრამ სიჩუმეს არაფერი არღვევს: კლიმატის მიხედვით ეს მსოფლიოს დედაქალაქია, მყუდროებით, უკაცუ-

რობით და ცხოვრების ყაიდით — მივარდნილი სოფელი გახლავთ.

უკანიდან ბრაგაბრუვი მომესმა. ჩემი გამყოლები თურმე პალანკინს მოაქროლებენ. დამეწიენ კიდეც და საკაცე ძირს დადგეს. რამდენი ვეხვეწე, ცოტა კიდეც გავივლი-მეთქი ფეხით, ვინ დაგიჯერა, ერთი აყალმაყალით ორივე ხელებით გამქაჩეს და ამ აკვანში ჩამკუქეს. მეუხერხულა და შემრცხვა კიდეც, ადამიანებს როგორ შევაჯდე ზურგზე-მეთქი და ისევ გადმოვხტი. ჩემმა გამყოლებმა კვლავ გამქაჩეს და დამსვეს, უფრო სწორად დამაწვინეს, ჯდომა არცთუ მოხერხებული იყო. „ძალიანაც კარგი — ვიფიქრე გულში, — რბილად ვზივარ; თუ ასე გულით გინდათ, კი ბატონო, მატარეთ-მეთქი!“ მეგონა, ადგილიდან ვერც დამძრავდნენ, მაგრამ გამყოლებმა ბავშვივით შემეიდგეს პალანკინიანად ზურგზე და ქუჩებში გამაქანეს. მართალია, მხოლოდ ორნი არიან, მაგრამ რა ბრგე, რა ლამაზი ხალხია! რა მოყვანილები, რა ვაჟკაცები ჩანან გარეგნულად! გადაღვლილ საყელოდან ღონიერი, შავგვრემანი მკერდი მოუჩანთ. ორივე შავთვალა, შავთმიანი და წვეროსანი გახლდათ. მალე შევუყევით მთას: მეგონა, აქ მაინც დაიღვებოდა-მეთქი, მაგრამ ნაბიჯი არ შეუწელებიათ. წოლა მომბეზრდა და წამოვდექი, რომ აქეთ-იქით გამეხედა. უკანიდან ფართო ხელისგული მომეპარა და ნელა გადამაყირავა ისევ ზურგზე. „ეს რასა ჰგავს?“ მაგრამ ისევ რომ წამოვჯექი, ჩემი აკვანი შეტორტმანდა და სიჩქარეს უკლო. ისევ ის ხელისგული მომეპარა გადასაყირავებლად. „მე ჯდომა მინდა, god-dam!“¹ — ვიყვირე მაშინ. გამყოლებმა ამიხსნეს, დანჯდარის ტარება გვემძიმებოდა... „აჰ, მძიმეა? მე რა მერე: რაკი ასე ისურვეთ, წამიყვანეთ კიდეც“. მაგრამ რა წამს ფიქრებში წავიდოდი, ხელისგული, თითქო ჩემდა შეუმჩნევლად, ფრთხილად მეპარებოდა ზურგზე წასაქცევად. ბოლოს გული გამიწყალდა და ფეხით წავედი. „ზამთარიო — კარგი ზამთარი კია, შენი ჰირიმე!“ — ვიფიქრე და ჟაკეტიც გავიხადე. კონსულმა მითხრა, მთაში ცივა, პალტო ჩაიცვითო. ცივა, როგორ არა, მზემ ლამის ზურგი ამიწვას.

¹ ეშმაკმა დილახეროსი (ინგლ.)

უცბად ჩემი გამყოლები რომელიღაც სახლთან გაჩერდნენ და რაღაც დაიყვირეს. იქიდან სამი ტოლჩით ღვინო გამოგვიტანეს. მეც მომაწოდეს: აბა, როგორ არ გამესინჯა, ეს ხომ მადერა იყო, ისიც მის სამშობლოში! მართლაც მადერა გამოდგა, მაგრამ რა საძაგელი გემო ჰქონდა! ალბათ, მაჭარი თუ იყო. ტოლჩა უკანვე მივეცი. გამყოლებმა თავი დამიკრეს და თავიანთი ტოლჩები მყის გადაყლურწეს, ჩემი ტოლჩა კი დასცალეს ბიჭებმა, რომლებიც პალანკინს მოსდევდნენ გვერდზე. რა თქმა უნდა, ჩემს ხარჯზე, რადგან ტოლჩები რომ მოგვაწოდა, პორტუგალიელმა მითხრა: „One shilling, signor“¹. ღობიდან ვაზის ფოთლები იჭყიტებოდა, მაგრამ ყურძენი აღარ ესხა: უკვე მთლიანად მოეკრიფათ. გამყოლებმა კვლავ ციმციმ წამიღეს, თუმცა ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. „ნეტავ ღვინოს რა გასმევთ ამ სიცხეში?“ — ვკითხე მათ ბიჭებისა და სამი თუ ოთხი ენის საშუალებით. „სწორედ ღვინო გვშველის, თორემ სიქა გაგვძვრებოდაო“, — მითხრეს მათ. ალბათ ამ ჰიგიენის ბრალი იყო, რომ ნახევარი საათის შემდეგ ახლა მეორე ვენახთან გამაჩერეს მთაზე და მეორე ღუქანშიც ისევ დალიეს.

იმ ღუქნის კარზე რაღაც უცხო ხილის ასხმა დავინახე, შესახედდავად ჩვენს კიტრებს ჰგავდა, საშუალო ზომისას. ცერცვივით კანი ჰქონდა, ზოგს მწვანე და ზოგს ყვითელი. „ეგ რა არის?“ — „ბანანებო“, — მითხრეს. „ბანანები! ტროპიკის ხილი! აბა, ჩქარა მომეცით!“ მთელი ასხმა მომაწოდეს. მყის ერთი მოვწყვიტე და გავფცქვენი — კანი ლედვივით ძვრება — მაგრამ გემო არ მომეწონა. რაღაც უგემური იყო, სიტკბო კი ჰქონდა, მაგრამ გულასარევი, გემოთი ცოტა კარტოფილსაც ჰგავდა და ცოტა ნესვისაც, მაგრამ არც ნესვის სიტკბო გააჩნდა და არც მისი სურნელება. რაღაც თავისებური, ტლანქი სუნი ჰქონდა. უფრო ბოსტნეულია, ვინემ ხილი და ხილში parvenu-დ² ჩაითვლება. შილინგი გადავიხადე და პალანკინისკენ გავწიე; მაგრამ ღუქნის პატრონი გამომეკიდა, მთელი ასხმის მოჩეჩება დააპირა. „არ მინდა-მეთქი!“ — ვუთხარი.

¹ ერთი შილინგი, სინიორ (ინგლ.)

² მატრაკვეცა (ფრანგ.)

„Signor, აკი მთელი ასხმის ფულს გადაიხადეთო უნდა წაიღოთო,“ — და პალანკინზე დამიდო ხანანები.

თანდათან მალლა და ძალდა მივიწვედიო. გზის ორივე მხარეს წარამარა გვხვდებოდა მშვენიერი ბაღები და სახლები. „ეგ რა არის-მეთქი?“ — ვეკითხებოდი გამყოლებს. „English garden“ (ინგლისელების ბაღებიაო). საუკეთესო ადგილები ინგლისელთა ბაღებს ექირა. კიწკარში რომ შევდიოდით, თვალი მრჩებოდა ალვის, აკაციებისა და კვიპაროსების ხეივნებზე. ხეების ჩრდილში მოხდენილი სახლები იმალებოდნენ, ბატონკაცური ვალერეებით, აივნებით და მსგავსი ფუფუნებით. ვენახებიც იქვე ჰქონდათ. ინგლისელები აქ ბატონები არიან. საუკეთესო ღვინო ინგლისში იგზავნება. პორტუგალიელ სირაჯებში მდიდრები ცოტაა. ჩვენი კონსული კარგა შეძლებულ სირაჯად ითვლება, მაგრამ ბრიტანელ ნეგოციანტებთან შედარებით ღარიბულად ცხოვრობს. ისინი მარტო ღვინით როდი ვაჭრობენ. მართალია, კვირა დღე იყო, მაგრამ კონსულის თხოვნით საუკეთესო მალაზია გაგვიხსნეს და ისიც ინგლისური აღმოჩნდა. რა არ იყო შიგ სულს და გულს ინგლისური ნემსები, დანები თუ სხვა ინგლისური ბამბისა და შალის ქსოვილები, მაუდები; იმათი ბრინჯაო, ფაიფური, ირლანდიური ტილო. არ ვიცი, გული უნდა დაგწყდეს თუ გეწყინოს ეს ამბავი. ცხადია, საწყენია, რომ ყოველ ნიადაგზე, ყოველნაირ კლიმატში იდგაქენ ფესვებს, და ყველგან ხარობს ეს ფესვები. კიდევ უფრო კულსატკენი ისაა, რომ ასე მოაქვთ თავი და მთელ მსოფლიოს აყრუებენ თავიანთ წარმატებებზე კაკანით; ბოლოს არც ისაა სასიამოვნო, რომ უცხო მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად არაფერს ერიდებიან და თუ შესაძლებელია, ყველაფერს ებლაუჭებიან ინგლისური წარმოებისა და ინგლისური იუსტიციის შემწეობით; სადაც ეს არ გაუვათ, იქ საშუალო საუკუნეების ფაუსტრეხტს მოიმიზეზებენ — ყველაფერი ეს მეტისმეტად უსიამოა. მაგრამ განა მართალიც არ უნდა ითქვას? მადერაზე ისინი რომ არ იყვნენ, მთას ასე არავინ დაამუშავებდა, ასეთი კოხტა აგარაკებით არავინ დაამშვენებდა, არც გზა იქნებოდა ასე კარგად გაყვანილი; ვერც ხალხი მოირთვებოდა კვირაობით ასე ფაქიზად. ტყუილად კი არ ლაპარაკობენ ისინი ინგლისურად: სამხრეთის მკვიდრი

ტყუილად თითსაც არ გაანძრევს, აქ კი ენას იმტვრევს, ისიც ინგლისურად. ინგლისელი მათ მუდამ აძლევს სამუშაოს, გასამრჯელოს ოქროთი უხდის, ოქრო კი პორტუგალიაში ცოტაა. მართალია, სხვა ადგილას იგივე ინგლისელი თვითონ ჩაიჯიბავს ფულს, ამასთან არც საწამლავს დაერიდება...

ერთი აგარაკის აივანზე, გალავნიდან, ქალის ტურფა სახე დავინახე: გზას გაჰყურებდა, მაგრამ ისეთი სიამაყე, ისეთი ღირსება ეხატა სახეზე, რომ შემრცხვა და მომერიდა დიდხანს მემზირა. ცისფერი თვალები და ქერა თმა ჰქონდა: ალბათ ინგლისელი ქალწული თუ ქალბატონი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, სინიორას არაფერი უგავდა. ამასობაში დავიღალე ფეხით სიარულით და ახლა ჩემი ნებით დაწვექი პალანკინზე. მაგრამ ისევ ჩამოვხტი: თურმე ბანანებზე დავწოლილვარ და გამიჰყლეთია. დავაპირე გადაგდება, მაგრამ გამყოლებმა გამომტაცეს, გაიყვეს და შექამეს. ისევ ვიწრო გზას მივყვებოდი ზევით, ორივე მხარეს სულ ეზოები იყო ჩამწყკრივებული. აქა-იქ მწვანეში ყვავილებიც ჩანდა, მაგრამ ცოტა იყო. ზამთარიო, მითხრა კონსულმა. კარგი ზამთარი კია: ოლეანდრები ყვავის!

უცხად ერთ გაშლილ მოედანზე გამოვედით, იქიდან ყოველი კუთხე მოჩანდა. პორტუგალიელებმა პალანკინი მიწაზე დადგეს და მითხრეს: „Bella vischta, signor!“ მართლაც დიდებული გადასახედი იყო! აღწერა სასაცილოდ მიმაჩნია. სურათის გადაღება სჯობია ისევ; ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს დაწვრილებით მაინც გაჩვენებს. ჩვენ მთის შუამდე ვიქნებოდით ასული... თუმცა არა, უფრო დაბლა ვიყავით: ქვემოთ ზღვასავით ხასხასებდა მწვანე, ძირს სათამაშოსავით მოჩანდა ქალაქი: ძლივს გაარჩევდი, როგორ დადოლავდნენ ადამიანები და პირუტყვები, უფრო შორს ოკეანე გაშლილიყო — ეს უკვე სათამაშო აღარ გახლდათ; მაგრამ რეიდზე კი ისევ სათამაშოებივით ჩარიგებულიყვნენ ხომალდები, მათ შორის ჩვენიც.

აღარ მინდოდა აქედან წასვლა, მაგრამ დრო იყო და თანაც ცხელოდა. „Bella vischta!“ — ვუთხარი ჩემს პორტუგალიელებს და grazia-მეთქი დავემატე, აბა მადლობა სხვანაირად როგორ მეთქვა. ეტყობა, მიმიხვდნენ და

თავი დამიკრეს. დაგეროტიპით კი გადაიღებ ამ ზღვასა და ცას, ამ მთასა და ბაღებს. მაგრამ რა ყალბი დახატავს ამ ჰაერს, როგორ გადმოსცემ მის სიმჩატესა და სიტკბოს. ბევრი მსმენია, მადერას ჰაერი რომ მალამოაო: შეიძლება ამ ჰაერის მოქმედება ჯანზე ხანგავლით შეიმჩნევა, მაგრამ მის სიტკბოს კი მაშინვე შეიგრძნობ, რაწამს ნაპირზე გადმოხვალ. როდესაც ვოლგის მთაგორიან ნაპირზე ვიყავ, მეგონა, ამაზე უკეთესი ჰაერი ნეტავ კიდევ სად იქნება-მეთქი. ზაფხულის დილას ფანჯარას რომ გამოხსნი, მაცოცხლებელი გრილი სიო მყის სახეში შემოგეფრქვევა. მადერაზეც ვოლგის სიგრილე ვიგრძენ, რასაც პირდაპირ წყაროს ანკარა წყალივით სვამ, მაგრამ ამ ჰაერში თითქო... იტყვიო, მადერააო ჩაღვრილი? არა, ამ საკვირველი ნიადაგის უწმინდესი არომატითაა შეზავებული, სადაც ჩრდილოეთის ხეები და ყვავილები ტროპიკულთან ერთად ხარობს რამდენიმე საყენ მიწის ყოველ გოჯზე, სადაც ცხელი სარტყლის შხამიანი სუნთქვა ჰაერს არ წამლავს.

რა მოკლავს კაცს ამ ნეტარ მხარეში, სადაც ჰაერი მალამოა, სადაც მუდამ თბილა. ავადმყოფობა რას მოერევა, თუ სიბერით არ მიიხრწნა. თუმცა აქ ესალმება წუთისოფელს ბრაზილიის დედოფლის ასული, ტახტზე მჯდარ იმპერატორის და. მაგრამ ამ ჰაერს რომ მოაშურა, უკვე გვიან იყო, ცნობილ ექიმსაც ხომ უკანასკნელ წუთს მიაკითხავენ. ყოველ წუთს ელიან მის გათავებას. პორტუგალიელებმა დიდი თანაგრძნობით მითხრეს, მეფის ასული — „sick, very sick“ (ძალიან ცუდადაა) და მეტად იტანჯებოა. ზედ ნაპირთან ცხოვრობს. ის ლამაზი სახლი თურმე ოდესღაც მის უდიდებულესობა ნეტარცხებულ ჰერცოგ ლაიხტენბერგს ეკირა. ნავსადგურის კაპიტანი რომ ხომალდზე გვეწვია, გვთხოვა, სალუტს ნუ მისცემთ, ზარბაზნის ბათქმა სნეული მეფის ასული შეიძლება შეაშფოთოსო.

კარგი ზამთარი კია, გენაცვათ! შაშ ვინ დაფრთხილებს ბუჩქებზე და გალობს? ჩვენი ზაფხულის სტუმრები ხომ არა? იქ კი რა ყვავილები იკყიტებიან ღობიდან? თურმე ასეთი ზამთარიც სცოდნია ამქვეყნად!

მთიდან სხვა გზით, უფრო სწორად, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ბილიკით ჩამომიყვანეს. იქ ბაღები და ვენახები შემო-

ლობილი აღარაა და ბილიკი ქოხებს უვლიდა. მთელი გზა ისეთივე სურათები მეშლებოდა თვალწინ, რომლებსაც რა დაგავიწყებს, თუ ამაზე უკეთესი არ ნახე. გზაში სულ ბრკე, ახოვანი პორტუგალიელები გვხვდებოდა. დედაბრებს მეტწილად მოსახვევი აქვთ მოხვეული და პირწმინდად ჩვენი სოფლის დედაკაცებსა ჰგვანან ამ მორთულობაში. ერთ-ერთ ვენახთან ისევ შევჩერდით; უკვე მესამედ გამოკეთეს ასე და, როგორც მე განვეუცხადე, უკანასკნელადაც. მეოთხე საათი იყო. საღილზე შეიძლება დამგვიანებოდა. პატარა სახლში, უფრო სწორად ფარდულში, სადაც სკამები ელაგა, ვენახის პატრონი თუ მოურავი ტრიალებდა; ორი ქალიც შევამჩნიე. ერთის სამხრეთულმა სილამაზემ ლამის დამაბრმავა. მაღალი, შავგვრემანი, ლოყაყირმიზა იყო, დიდრონ შავ თვალებს აბრიალებდა, ნაწნავი თავზე არ დასტეოდა და კისერზე დასცურებოდა, ერთი სიტყვით, რომელი ქალის სურათს მოგაგონებდათ. მეორე ძლივს შევამჩნიე, თუმცა ბევრს ლაქლაქებდა და იცინოდა. ის... ის ბებერი ვახლდათ.

ვიდრე დახლზე ჩამოვჯდებოდი, ჩემს გამყოლებს უკვე ტოლჩები ეჭირათ და ღვინოს სვამდნენ. „პატრონი ღვინოს არ ინებებს?“ — მკითხა პატრონმა. მე თავი გადავაქნიე. „სინიორას სადღეგრძელოს მაინც არ დალევს?“ — მკითხა მან, რაკი შენიშნა, იმ ლამაზ ქალს თვალს არ ვაშორებდი. „ეგ ღვინო არ ვარგა; ლამაზი ქალი სჯობია-მეთქი“. როგორც კი ბიჭებმა ჩემი პასუხი გადაუთარგმნეს, ღუქნის პატრონი გარეთ გავიდა და ტოლჩით სხვა ღვინო შემოიტანა. ამაყად, დარწმუნებით მომაწოდა ღვინო, თან რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგე.

მე მზეთუნახავს თავი დავუკარი და ღვინო გავსინჯე. „ჰო, ეს ის ღვინო არაა, გამყოლებს რომ მიაწოდეს. დასტურ კარგი მადერაა“. სიამოვნებით მოვსვი ორი, სამი ყლუპი და მზეთუნახავს გადავაწოდე. მან ცოტა დალია, მაგრამ ვანიშნე, რომ გაეგრძელებინა; მზეთუნახავი იცინოდა და ჟარს ამბობდა; პატრონმა რაღაც უთხრა და იმანაც ბოლომდე შესვა. „ამის სადღეგრძელოს კი არ დალევთ?“ — მითხრეს გამყოლებმა. მოვბრუნდი. ბებერი ქალი თურმე გვერდით მომჯდომოდა. კიდევ მოიტანეს ღვინო; ბებერი პორტუგალიელი ქალის სადღეგრძელოდ კვლავ ცოტა მოვსვი. ვერ გეტყვით, რა მადლი-

ერები დამრჩნენ. პატრონმა და ქალებმა გამომაცილეს და ქება-დიდებით შემამკეს.

სწრაფად ჩამოვედით ქალაქში და სირბილით ჩაეუარეთ სახლებს, მათ შორის ფრანგულ ოტელსაც. გზაზე ცხენებზე ამხედრებული ჩემი თანამგზავრები დამეწივნენ და გამასწრეს კიდევ. ბაზარიც გავიარეთ. მაშინვე „ფენელას“ სცენა წარმომიდგა: ისეთივე კრელჭრულად ჩაცმული ქალები და კაცები ირეოდნენ, გარდა ამისა ზანგებიც და ბერებიც იყვნენ; ზოგი ყიდის და ზოგი ყიდულობს. ბაზარი გაქვილილია ხილისა და თევზის კალათებით; აგერ ღუქნის კარზე შაქრის ლერწმების კონა მიუყუდებიათ. ამას ნაჭერ-ნაჭერ აჭრიან და უბრალო ხალხი ნუგბრად ყიდულობს. ყველგან მწვანილი და ბოსტნეული ყრია. უცბად ნაცნობი სახე დავლანდე. ჩვენი თანამგზავრი ყოფილა, სანოვაგეს ყიდულობდა. მაგრამ აგრე შეწუხებული სახე რაღა აქვს? ხელად მასთან მიმიყვანეს. „ოჰ, თქვენ ბრძანდებით?“ — მითხრა და თვალმოჭუტვით ჩამაცქერდა. „ეს თქვენა ხართ? — ვუთხარი მე. — ნეტავ რამ დაგალონათ?“ — „აბა შეხედეთ, განა ეს ხარია? — მიმითითა მან ხარზე, რომელიც ამ შექუჩებულ ხალხში ვერც შევამჩნიე, — ინგლისში ძაღლებიც კი ამაზე დიდებია — ათი ფუთიც არ იქნება“. — „წამოდით კონსულთან სადილზე, — ვუთხარი მე, — და იქ ვნახოთ, რა გემოსია მასეთი ხარის ხორცი“. მან ამოიოხრა და გამომყვა. ხარები აქ მართლაც პატარები ყოფილა, მაგრამ დიდებული ხორცი კი ჰქონია.

კონსულის ეზოში გამყოლებმა ძირს ჩამომსვეს და ხელები გამომიწოდეს. ბიჭებიც ხელებგაწვდილი დამიდგნენ. კონსული ფანჯრიდან იყურებოდა. „რამდენს მთხოვენ-მეთქი?“ — ვკითხე. კონსული გამოელაპარაკათ. „ძვირს კი ითხოვენ: სამი დოლარიო. ასე შორს სად იყავით?“ აბა, მე რა ვიციოდი, სად მატარეს და ვთხოვე, გამყოლებსა და ბიჭებს გასწორებოდა. ბიჭებმა ფული მიიღეს და მაშინვე მიიმალნენ. გამყოლებმა კი ისევ გამომიწოდეს ხელი. „ნეტავ რაღა უნდათ?“ — „არაფერიც არ მისცეთ! — აყვირდა კონსული და იმათ ხელი აუქნია, — გასწით აქედან! ღვინის დასალევი მოგვეცეს კიდევო. არ მისცეთ...“ — „განა სამჯერ არ დავალევინე უკვე, ახლა ისევ მთხოვენ...“ და ხურდა ფული გადავუ-

ყარე. გამყოლებმა სწრაფად აკრიფეს, თავი დამიკრეს და ბიჭებზე უსწრაფესად გავარდნენ ეზოდან. კიდეც რუს კაცს აბრალებენ, დასალევის ფულს მათხოვრობსო: მართალია, თხოულობს, მაგრამ არყით თუ გაუმასპინძლდი, მერე ფულს აღარ გამოგართმევს; სამხრეთის მცხოვრებს კი, როგორც ვხედავ, არავენ უმასპინძლდება, მაგრამ მაინც დალევს შენს ხარჯზე და კიდეც ფულსაც მოგთხოვს.

დიასახლისი ბაღში დაგვხვდა. თან ხნიერი ქალი ახლდა, თავიდან ფეხამდე ძაძებში შემოსილი. ჩვენს დიასახლისსაც შავები ეცვა, ალბათ მგლოვიარეები არიან. დიასახლისმა მოხუცი ქალი გამაცნო: „My mother“ (დედაჩემიაო). ბალი პატარა იყო, მაგრამ რას არ ნახავდი შიგ? ყავის ხეებს, ბანანებს, ანანასებს, აუარება ყვავილებს. დიასახლისმა ერთი ყავის კვირტი მოგვიწყვიტა. შიგ უკვე ორი ყავის მარცვალი იდო. „ვაი რომ ახლა ზამთარია!“ — გვეუბნებოდა ის, ქმარი კი გვითარგმნიდა: „არაფერი არაა შემოსული! აგერ, ანანასიც ჯერ არ დამწიფებულა!“ — და თქვენთვის ცნობილი ანანასის კვალზე მიგვითითა. „დესერტზე ვერაფერს მოგართმევთ ბანანების გარდა!“ ზამთარიაო! „რა სამწუხაროა, რომ ასეთი ზამთარი დაგვიდგა!“ რარიგ განებვირდებიან ხოლმე ადამიანები! „ეს რაღა არის? შეხეთ, ეს ხომ ჩვენებური მწვანე ხახვია!“ — მითხრა ბ [უტაკოვმა], ერთი კონა მოგლიჯა და ჩვენებური ნაყოფით პირი ჩავიგემრიელეთ.

კონსულმა თავისი ვაჟი გაგვაცნო. ეს ყმაწვილი ოცს გადაცილებული იქნებოდა. საფრანგეთიდან ახლახან დაბრუნებულიყო, იქ თურმე მედიცინას სწავლობდა. ნეტავ პორტუგალიური სადილი როგორი იქნება-მეთქი, სულ ამას ვფიქრობდი და მეგონა, მათებურ, გამორჩეულ რასმე მოგვართმევდნენ. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თურმე პორტუგალიური სადილი ამჟამად ინგლისური სადილი გახლავთ: წვნიანის შემდეგ სუფრაზე ერთად შემოსტანეს როსტბიფი, კატლეტები და კარგად ნაცნობი სხვადასხვა მწვანილით თუ ბოსტნეულით შემოწყობილი კერძები. ეს იყო და ეს ჩვენი სადილი. მხოლოდ ღვინომ და დესერტმა გაალამაზა. ღვინო, ცხადია, მადერა გახლდათ, შავიცა და თეთრიც. ერთიც და მეორეც დიდებული იყო, განსაკუთრებით შავი, სულ ლალივით კამკა-

მებდა. აჭაურები, მგონი, ტინტოს ეძახიან. ამაზე უკეთესს ვერაფერს დალევ. მართალია, ერთხელ პეტერბურგში გეახელით აქედან საჩუქრად ჩამოტანილი ღვინო; ისიც დიდებული იყო, მაგრამ ტკბილი ღვინოების ჯიშს ეკუთვნოდა, მალეაზი-მადერას რომ ეძახიან. წითელ ღვინოს სიტკბო სულ არა აქვს; ეს თავი და თავი ღვინო გახლავთ, თეთრ, madeire secco-ზე¹ გაცილებით უფრო მოგვეწონა. თეთრი ღვინო მხოლოდ ქაშნიკად გავსინჯეთ, სხვებისთვის ზედაც არ შეგვიხედავს.

დესერტად ფორთოხლები, მურაბები, ბანანები და ბროწეულები მოგვართვეს. კიდევ ინგლისურად კასტარდ-ეპლზად (custard apples) წოდებული ნაყოფიც გამოიტანეს. მსხალსაც ჰგავს და ვაშლსაც, თეთრი გული და შავი თესლები აქვს. არც ესენი ყოფილა დამწიფებული. მასპინძლებმა გვთხოვეს, რამდენიმე ცალი თან წაიღეთ, სამი-ოთხი დღე გააჩერეთ და მერე მიირთვიეთ. ჩვენც ასე მოვიქეციეთ. მართლაც, ასეთი გემრიელი არაფერი მიჭამია. რბილი, ნაზი, ნაყინივით გიდნება პირში და საოცარ გემოს გიტოვებს. ამ ნაყოფს დამწიფებისას კოვზით უნდა ჰჭამა. თუ არ ვცდები, ესპანურად ნონას ეძახიან. სადილი კარგა ხანს გაგრძელდა, ინგლისური ადათის მიხედვით და ინგლისური ადათითვე დასრულდა: მანსპინძელმა მოკლედ წარმოთქვა, რარიგ ესიამოვნა, რომ აგერ მეორედ უმასპინძლდება ასეთ შორით მოსულლებსა და იშვიათ სტუმრებს, ბედნიერი დაბრუნება გვისურვა და გვთხოვა, მეორედაც ვწვეოდით.

დაბინდებისას გამოვეთხოვეთ ჩვენი პორტუგალიელი მასპინძლების ოჯახს. ნაპირზე გატარებულმა ამ ერთმა დღემ დიდი სიამე გვაგრძნობინა და დიუხანს ჩავგრჩა კიდევ გულში. ჩვენს წინ უცბად გადაშლილი კუნძულის სურათი, მცხუნვარე მზე, ქათქათა. ქალაქი, უცხო, მაგრამ ალერსით მოღიმა რე სახეები — ეს ისეთი მოულოდნელი, მხიარული, საზეიმო წუთები იყო, რომ იმ ერთფეროვან შორ გზაზე უკვდავების ნამივით გვეპყურა. გაღმავიწყდა, რა უსიამო დღეებიც განვვლეთ, და მომავალს უფრო არხეინად დაეუწყე ყურება. არ-

¹ შუმი მადერა (ესპ.)

სად არ არის ადამიანი ისე საცოდავი. ისე კადნიერი და ხამუშ-ხამუშ ისე მოულოდნელად ბედნიერი, როგორც ზღვაზე. დიასახლისმა ყველას თითო თაიგული მოგვართვა. ჩემსას რუს ქალებს გავუგზავნი თქვენი სახელით-მეთქი, ვუთხარი მე. დიასახლისმა დაიჯერა და კიდევ დამიწყვიტა ყვავილები. მაგრამ ჩაეჯექი თუ არა ნავში, ყვავილები ზღვაში გადავებრძანე. „ეგ როგორ შეიძლება?“ — ამიყვირებოთ ალბათ... აბა რა უნდა ძექნა? მართლა რუსეთში ხომ ვერ გამოვაგზავნიდი. „წყალში ჩაგედოთ და მაგიდაზე დაგედათ“. ვიცი, ვიცი. ზღვაზე ეს არც ისე მოსახერხებელია. „მამ რაღად უთხარით დიასახლისს, რუსეთში გავაგზავნიო?“ ღმერთო ჩემო, ეს რა ცხოვრებაა. თუ ტყუილიც ვერ გითქვამს!

მაგრამ დროა უკვე წერილს მოვრჩე... რაო, რაო? ეს იყო სულ მადერა? რატომ არაფერს ვწერ ქალაქის მმართველობაზე, აქაურ ხელისუფლებზე, ან რამდენი მცხოვრებია, ან რამდენ ღვინოს სწურავენ, რამდენს ვაჭრობენ, არა? სადაა ციფრები და ფაქტები? განა შეგიძლიათ ეს მომთხოვოთ? აკი მითხარით, ის მოგვწერე, რაც შენი თვალით დაინახო, და არა ის, რაც უწყებებში, ცხრილებში, კალენდრებში სწერიაო. მეც მხოლოდ ეს დავინახე იმ 10-12 საათის მანძილზე, რაც მადერაზე გავატარე. ყველა მცხოვრები არ მინახავს, არც ხელისუფალნი მიხილავს, წარმოიდგინეთ, ერთი ვენახიც კი არ დამითვალაიერებია ხეირიანად.

ნავში რომ ჩაეჯექით, ჩვენი ზომალდი ხუთი ვერსის მშორებით იდგა, მთელი დღე წინ და უკან დადიოდა, ხან ნაპირს მოადგებოდა, ხან გაბრუნდებოდა. ახლა ძლივს ვარჩევდით მის იალქნებს. ჩრდილოეთიდან საკმაოდ უბერავდა, მაგრამ ზომიერად, თბილოდა; ჩრდილოეთის სუსხი მადერას ნაპირებს ვერა და ვერ აღწევს. თვალი უკან, კუნძულზე მრჩებოდა: მინდოდა ხსოვნაში ღრმად ჩამებეჭდა. ამასობაში სწრაფად ჩამობნელდა. ღრუბლები ხან მთის მწვერვალს შემოეხვეოდა, ხან ისევ გააშიშვლებდა და მერე კვლავ ეჯარებოდა; თითქო ქარიშხალი გვემუქრებოდა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა: ღრუბლები მხოლოდ ეთამაშებოდნენ მთებს. უკანასკნელად გავხედე მადერას: ღრუბლები მოსასხამივით მოეხურა. გეგონებოდა, თვალწარმტაც სანახაობაზე ფარდა ჩამო-

უშვესო. იგი შორს შავ მასივად გაწოლილიყო. წინ კი ახლა
სხვა მასივი — ჩვენი ხომალდი გვიახლოვდებოდა.

მადერადან ერთი პატარა წერილი უკვე გამოგიგზავნეთ.
ამას კი პირველსავე ნავსადგურში ჩავაგდებ, საიდანაც ევრო-
პაში ფოსტა მოაქვთ; თუმცა საიდან აღარ მოაქვთ ახლა?
ნახვამდის.

ატლანტის ოკეანე
1853 წლის 23 იანვარი

III

ატლანტის ტროპიკებში

ნორდ-ოსტის პასატი. — მწვანე კონცხის კუნძულები. — ს-იაგო და პორტო-პრაია. — ჩრდილოეთის ტროპიკი. — ტროპიკული ზამთარი. — შტილის ზოლი. — ეკვატორი. — სამხრეთ ტროპიკი და ზუიდ-ოსტის პასატი. — მფრინავი თევზები და ზვიგენები. — ისევ და ისევ შტილი, ყველიერი. — რასა ვიქმთ ფრეგატზე. — ბანაობა. — ზღვა და ცა.

(წერილი ვ. გ. ბენედიქტოვს)

თქვენს პოეტურსა და მეგობრულ დალოცვაში, ვლადიმერ გრიგორიევიჩ, მითხარით, დედამიწას უნდა შემოუაროთ. აგერ მეოთხედი გზაც არ გამივლია, რომ ამ თვალუწვდენელ სივრცეზე, ატლანტის, სამხრეთ პოლარული და ინდოეთის ზღვების საზღვარზე უკვე მომინდა გაგესაუბროთ; ახლა ყველას სძინავს, მხოლოდ მევახტე ოფიცერი, მე და ოკეანე ვფხიზლობთ. მინდა შევამოწმო, განა ამ სიშორიდანაც „მოგწვდებათ გულითადი ხმა“, როგორც თქვენ მიწინასწარმეტყველეთ? სამწუხაროდ, ეს ჩვენს გულზე მეტად ფოსტის წესიერებაზე უფროა დამოკიდებული.

კი მინდა, მართალი ენით აგიწეროთ, სადა ვარ, რას ვხედავ, მაგრამ ბევრ რამეზე მეტისმეტად ბევრ სიტყვებს ხარჯავენ, თუმცა სათქმელი არაფერია, ზოგიდან კი, რაც არ უნდა თავი მოიკლა, მჭრქალ ასლსაც ვერ გადაიღებ, თუ თქვენი წარმოსახვის და ფერების ნიჭი არ ასესხეთ. ინგლისიდან მოგწერთ, რომ სასწაულებმა ქირი მოგვკამა, საზეიმო ამბები ჩვე-

ულებრივად იქცევა, ჩვენც წარგვეყვანა ეგრეთ წოდებულმა ამა ქვეყნის სასწაულების ნაადრევმა და ზეპირმა ცოდნამ, გვრცხვენი კიდევ ამ სასწაულების, ვისწრაფით კიდევ სასწაულებს პოეზიის ყოველგვარი სამოსი შემოვადარცოთ, გვეშინია, ვინმემ არ დაგვეწამოს, რომ სასწაულების გვეჯერა ან ბალღებივით გვიტაცებს იგი: ჩვენ ხომ გავიზარდეთ, პოდა, გვირჩვენია მოწყენით ვიყურყუტოთ ან პირიქით მოვაწყინოთ ვინმე. სად ვეძიოთ პოეზია? ერთი უკვე ანალიზირებულია, შესწავლილია და იღუმალების საფარველისგან განძარცულია; მეორე უკვე მობეზრებული გვაქვს, მესამე მხოლოდ ბაღის ტიტინი აღმოჩნდა. სად გაქრა პოეზია, რა გზა დარჩენია პოეტს? ის თითქო შტატგარეშე აღმოჩნდა. რა ქნას? თანამედროვე იღეა საგარეო ხიფთანივით პოეზიით შემოსოს თუ ძველებურად მშობლიურ ტყე-ველში იხეტიალოს, მთვარეს უცქიროს, ვარდები ყნოსოს, ბულბულებს უსმინოს ან ბოლოს აქ, ამ მცხუნვარე ცის ქვეშ ეძიოს იგი? მასწავლეთ, გეთაყვა.

მოგზაურობაში ჯერჯერობით იმდენად სიახლე კი არ მატყვევებს, რამდენადაც მოგონებები მხიბლავს. როცა პრაქტიკულად გავდივარ გეოგრაფიის ყოველ გაკვეთილს, მაგონდება შორეულ ქვეყნებსა და ზღვებზე რა გატაცებით, რა გზნებით ვფიქრობდი ოდესდაც და ხელახლა განვიციდი თითქო ჩემს ბავშვობასა და ყრმობას. მაგრამ ხანდახან ბრაზიც ამიტანს. აგერ, საზღვაო რუკას დავყურებ, რომელიც ხაზებით, წერტილებით, ისრებითა და წარწერებით გადაუჭრელებიათ. „ამა და ამ განედზე, — ვკითხულობ ერთგან, — ამ და ამ გრადუსებზე ასეთი და ასეთი ქარი დაგხვდება“, თან თვეცა და რიცხვიც აწერია. „იქ ამა და ამ დროს გრივალში მოხვდება“, — და ისიც სწერია, როგორ უნდა დააღწიო თავი მას; „ამა და ამ პარალელით იარე, იქ მუსონში აღმოჩნდები, ის კი ჩინეთსა და იაპონიამდე მიგიყვანს“. შემდეგ კიდევ უკეთესს წაიკითხავ: „ამა და ამ გრადუსზე პირველად დაინახავ ზვიგენს, აქ მფრინავ თევზებს“ და რა გგონია, მართლაც დაინახავ. „ს. გ.-ის 38°-ზე და ა. ს.-ის 75°-ზე ჩიტები სხედანო“. — „ოჰ, ეს კი სისულელეა. — ვიფიქრე — მართლაც ხომ არ სხედან და გველიან-მეთქი“. ყველას შევეხვეწე, როცა ამ

ადვილს მივალთ, უთუოდ მაცნობეთ-მეთქი. ერთ დილას მითხრეს. უკვე მივედითო: ავიღე ჰოვარიტი და საკმაო მანძილზე შავი წერტილები გავარჩიე. მივუახლოვდი: ზღვის ფრინველთა გუნდი ტალღებზე ტორტმანობს. ბოლოს წაიკითხავ, რომ ატლანტის ტროპიკებში თერმომეტრი რეომიურით 23°-ზე მეტს არ აჩვენებს ჩრდილშიო, და მართლაც არ აჩვენებს.

მხოლოდ ერთი რამ არ შეუტანიათ რეპერის ცხრილში, ერთი არ დამორჩილდა ანგარიშსა და ციფრებს, მხოლოდ ამ ერთის აღნიშვნა ვერავინ მოახერხა რუკაზე...

მაგრამ მაცალეთ და ამ სასწაულებს რიგის მიხედვით მივუყვები, როგორც მე მივალწიე იმათ.

უკვე მოგწერეთ, რარიგ მომხიბლა მადერის კუნძულმა (და ლეინომაც). როცა თვალს მოეფარა მისი ჯადოქრული სურათი, ცოტა არ იყოს, გული დამწყდა. ვითომ ამას მადერაზე მოგზაურობა ჰქვია? ესპანეთი ცხვირწინ გვიდევს, რალაც სამასი მილი იქნება იქამდე! ეს ხომ ევროპის ჰოსპიტალია.

მაგრამ აი, ოცდაათ გრადუსზე გავედით: უფრო და უფრო დაგვიტბა. „ორთქლი ძვალ-რბილს არ დაგიმტვრევსო“, — გამოუგონიათ ჩვენში ანდაზა; მაგრამ ეს ანდაზა ღუმელის უარყოფით ქებას შეიცავს, ის ხომ სითბოს გარდა სხვა არას ანიჭებს ორგანიზმს. მზის სითბოზე, მით უმეტეს აქაურ სითბოზე მაშ რაღა უნდა ითქვას! ღმერთო ჩემო! რა დღეში აგდებს ადამიანს? რარიგ უმსუბუქებს მორალურსა თუ ფიზიკურ სიმძიმის! თითქო ლოდი მოგხსნესო, რა ლაღად სუნთქავ, გრძნობ, ფიქრობ... ასე გრძელდება კარგა ხანს, დღეცა და ღამეც! დიდხანს ვიტრიალებთ კიდეც ამ ლურჯ, მარად ჟამკაშა ზაფხულის ჯადოქრულ წრეში. წარმოიდგინეთ, მთელი ორი წელიწადი სულ ზაფხული გასტანს: აბა, რამდენი ის ხანმოკლე წამი ჩაეტევა შიგ, რასაც სიცვივის, წვიმისა თუ ჯანლის გამოკლებით ჩვენს ჩრდილოეთის მინიატურულ ზაფხულში ვიგეგმებთ! „სად ვართ, პაპავ, ახლა?“ — ვკითხე ერთხელ. — „აკი მესამეჯერ გითხარით დღეს; აღარ გავიმეორებ“, — ბუზღუნებს პაპა, მაგრამ ჩვეულებრივ მაინც მეტყვის. „აბა წამოდით, — და ხელით წამათრევს იუტზე. — ეს რა არის? შეხედეთ!..“ — „რა და ღრუბელი!“ — „ღრუბელს რა უნდა! კარგად დააკვირდით: ჰო, რა არის?“ — „ღრუბე-

ლია-მეთქი!“ — „ღრუბელიო! სცადა ღრუბელი? პაღას კუნძულია“. — „რას ამბობთ! კანარის კუნძულებია?“ -- „ნეტა როგორ ვერ შეამჩნიეთ?“ — „რა ჩემი ბრალია: თუ აქ ღრუბლები ნაპირსა ჰგავს და ნაპირი ღრუბლებს. ტენერიფი სად იქნება?“ — ვეკითხები და ოქროსფერ ჯანლს თვალთა ვბურღავ, მაგრამ მოლურჯო „ღრუბლის“ მკრთალ მოხაზულობის გარდა ვერაფერს ვამჩნევ. „ვერ დაინახავთ, — მეუბნება პაპა, — მის პარალელზე ვართ, ოღონდ შორს“. „სანტაკუტოში თუ შევივლით? — „ისევ შევლა გაკერიათ პირზე. ხშირ-ხშირად გამოგვივა! ასე იაპონიამდე როდის მივალწევთ“. — „პაღმა რომელ გრადუსზეა?“ — „წადით და რუკაზე ნახეთ თვითონ“. რას წავიდოდი, ვიცოდი, რომ მეტყუოდა და მართლაც მითხრა: „27°-ზე. გუშინ მთელი საათი განა ამაზე არ ვისაუბრეთ?!“ „დამევიწყდა“. — „ნეტა მე რატომ არ მავიწყდება?“ — „აბა, პაპა ტყუილად ხომ არ გქვიათ. ეს პასატი უბერავს?“ — ვკითხე და გემსართავს მოვექიდე, დროდადრო შეგვყვანყალბდა ხოლმე. — „ეშმაკმა იცის მაგის თავი! ვერ გაარჩევ! — ბუზლუნებდა პაპა. — ჯერ აღრეა, მაგრამ კი ჰგავს. ორი-სამი დღე უნდა მოვიცადოთ“.

გაიარა ორმა-სამმა დღემ, არაფერი შეცვლილა: იგივე ქარი მიაქროლებდა ჩვენს ხომალდს, იალქნებს ბერავდა და სიგრილეს გვფენდა. ის ოდითგანვე ასე ერთნაირად უბერავს, ზღვას ნელა ატორტმანებს, არც კითხვას გიშლის და არც წერას, არც ფიქრსა და ოცნებას. სიცივისა და რწყვის შემდეგ ასეთი სითბო და სიმშვიდე იმდენად საგრძნობი იყო, რომ გახარებულს არც კითხვის გული მქონდა და არც წერის. მხოლოდ ოცნებებს მივეცი თავი. რაზე ვოცნებობდი? პეტერბურგი, მოსკოვი, თქვენ მაგონდებოდით? არა, ჩემი ოცნება ხომალდს უსწრებდა. ინდოეთი, მანილა, სანდვიჩის კუნძულები, აი, რა მიტრიალებდა თავში, როგორც მთვრალს მის თანამესუფრეთა სახეები ერევა თვალწინ.

22 იანვარს შტურმანმა ოფიცერმა ლ. ა. პ [ოპოვმა] დილის ჩაიზე მითხრა: „მომილოცნია, დღეს დილის რვა საათზე ჩრდილოეთი ტროპიკი გადავჭერიით“. — „მე კი ღამით შემცივდა-მეთქი“. „როგორ?“ — „როგორ და შემცივდა: ეტყობა, ჩვენში რომელიმე გაცივებულა, ან მე და ან ტროპიკები.

ბანის ქვენაზე ვიწეკი და „ლამის ზეფირი მაფრქვევდა ეფირს შილიფად ჩაცმულს“.

„აბა, მოჰყევით, ზღვა როგორია, ცა როგორი? რა ფერები მანდ? — მესმის თქვენი კითხვები. — მზე როგორ ამოდის და ჩადის? ღამე რარიგ კაშკაშებს? ყველაფერი დიდებულა მანდ, არა?“ — კარგია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერია: ჩვენშიც ეგეთია ზაფხულის ნარნარი დღე... იღუშებით? მაშ ნება მიბოძეთ, გკითხოთ, გეთაყვა, განა ბუნებაში რამე ულამაზო შეიძლება იყოს? აბა, გულში ჩაიხედეთ და თუ ბუნების სიყვარული გიბეუტავთ შიგ, გრანიტის ქალაქით, დღე ძილით, საღამოსა თუ ღამის შუქზე სირბილითა და ფაციფუცით ჩაღველფილი, გააღვივეთ და მაშინ ეცადეთ ერთი ბუნების სურათს ვითომ უშნო ადგილი მოაშოროთ. ყოველ შემთხვევაში მე ასე მომდიოდა, მით უფრო თქვენ მუდამ ალბათ ასე გჩვეოდათ: როცა ყალბ, არანორმალურ მოვლენათა და შეგრძნებათა უღელს ცოტა ხნით მაინც გადაადგდებდით სული, როცა ქუჩებისა და შენობათა სწორ რიგებს მიჩვეული თვალს შემთხვევით მოჰკრავ ქაობიან ტაფობს, ციცაბო ნაპირს, გაგიშტერდება თვალი ფიქვენარის ტევრზე, რარიგ გიყვარს მაშინ ყოველი კოლბოხი, ქვიშიანი ფლატე და ჩირგვებით დაფარული ხრამი! ჩემს ოცნებებში საპატიო ადგილს იჭერდნენ ისინი, და იმ დოვლათს მიმდიდრებდნენ, რაიც ცხოვრების მაღალ, ნაზ არტისტულ მხარესა ქმნის. რაკი ერთხელ ჩაგებეჭდება გულში ეს მქრქალი, მაგრამ ნარნარი მშვენიებით სავსე სურათები, დღემდე ცოცხლობს შენში, მერე რა რომ მათ გვერდით სულში ასეთი საზეიმო, საკვირველი ახალი მოვლენანი გეჭკრება.

თუკი სულს პოეზია მოსწყურებია, თუკი ბუნების თავისებურ, ბრწყინვალე სურათებს გთხოვს იგი — მათ სანახავად ტროპიკებში რად გინდათ გამგზავრება: სადაც არ უნდა ნახოთ ცა, ყველგან დახატეთ, დახატეთ ნევის პროსპექტის ტორზის ფილაქნიდან, როცა მზე სახლების სახურავების დაწვას და ლაპლასს მოათავეებს, ანიჩკოვის და პოლიციის ხიდებქვეშ ჩაიღვრება და ჩეკუშას გაღმა მძიმედ ჩაესვენება; როცა ცა თითქო ღამის ბინდით მოიბურება, წუთით ჩაკრთება და მერე ისევ გაიკაშკაშებს. ასე ჩაფიქრდება ხოლმე ადამიანი,

როცა რასმე ეძებს: სახე წუთით დაენისლება და საძიებელს იპოვის თუ არა, მყის გაეხსნება. აცილდება ისევ მზე პეტერგოფს, მურინოსა და კრესტოვის კუნძულს ოქროს გადაფრქვევს. გამოტყდით, რომ მურინოც, კუნძულებიც მაშინ დიდებული რამ სანახავია, ფინეთის ყურეც მდიდრულ ჩაჩოში ჩასმული საარკესავით ლაპლაპებს: იქაც ბრწყინავს და იქაც მარგალიტების, ზურმუხტის წყალჯავარი გადადის...

მაპატიეთ, ტროპიკებში მივცურავ და ჩეკუშაში კი ამოვყავი თავი, ფინური პეიზაჟი დაგიხატეთ; თუმცა იმის ბრალიცაა, რომ ტროპიკებზე სათქმელი ჯერ არაფერი მაქვს. ღპერთმანი, არ ვხუმრობ. ყოველდღე, რა დროც არ იქნება, ვუყურებ ცას, მზეს, ზღვას, აგერ განედის 14°-ზეც გავედით, მაგრამ ცა კი ისევ ისეთია როგორც ჩვენში იცის, ზემოთ, ზენიტისკენ ცისფერია, ჰორიზონტზე კი მომწვანო ხდება. ისე თბილა, როგორც ჩვენში ივლისში იცის, ისიც ქალაქგარეთ, თორემ ქალაქში ქვა ახურებს და უფრო ცხელა. ჩვენ ტროპიკულად თეთრებში გამოვეწყვეთ, მერე კი გამოვეუტყდით ერთმანეთს, თეთრები რომც არ ჩაგვეცვა, მაინც არ დავიხუთებოდით. რეომიური ჩრდილში 22°-ს გვიჩვენებს. მზის სხივს ძალა ეკარგება ზღვაზე. ამასთან გემბანსაც წყლით რწყავენ და ზემოთ ტენტსაც ჭიმავენ. ირგვლივ არც კედლები გვარტყია და არც კლდეები, გემსართავებში ლალად დაქრის პასატი. ცა ხშირად მოღრუბლულია, ასე რომ, ვერც მზის ამოსვლას ვნახულობთ და ვერც ჩასვლას. უცბად ღრუბლებიდან ამოდის და ღრუბლებშივე ჩადის. „აბა, რა ზღაპრებს გვიყვებოდით, პაპავ, ტროპიკებში ასე ცხელაო, ასეთი საოცარი ღამეები იციოსო, რა გვითხარით სამხრეთის ჯვარზე? რასაც არ ვხედავთ, სუსტია, სუსტია...“ — „ახლა ზამთარია, იანვარი, — ამბობს ის, ქუდით ინიავენს და გაუპარსავ ნიკაპზე ოფლის წვეთებს იწმენდს. — მოიცათ, ეკვატორს გავცდეთ, — მაშინ იცოცხლეთ, დაგცხებათ. სამხრეთის ჯვარი კი ახლა აი, იქ, მარცხენა ვანტის გაღმა უნდა იყოს!“ — და კოტიტა თითით ვანტაზე მიმითითა. „აიჩემეს რაღა ეს ჯვარი, — ბუზღუნით დაეშვა პაპა ბანის ქვენაზე, — მოიგონეს, ჯვარიო! აბა რა ჯვარი, გენაცვათ: ოთხი პატარა ვარსკვლავია... სჯობია დავწვი, თორემ...“ — და კიდევ მიიმალა.

ზემოთ ცა მოწმენდილია. მილიონობით ვარსკვლავი ცისარტყელას ფერებად ელავს, თითქო სანთლებით გაჩახჩახებული ტაძრის კარი გაუღიათო. ჩვენში ასეთ ციმციმს ხომ ვერასოდეს ნახავ. მერე რა თავდავიწყებით, რა გატაცებით ციმციმებენ! გგონია, ღამეც იმიტომაა ასე თბილიო? თვალს არასოდეს მოსწყინდება ამ მარად მოძრავი, თითქო უცხო ენაზე რაღაცის მეტყველი ცის სურათი. ნახევარი საათით გამოხვალ კაიუტიდან სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად და ორი-სამი საათი კი დამუნჯებული იდგები, თვალს ვერ ზოწყვეტ ცას, თუ უნებურად არ დაგელალა და მოგეხუჭა. ზეპირად სწავლობ უფრო ახლოს მყოფ თანავარსკვლავედების მოხაზულობას, უმზერ ამ მწვანედ, ლურჯად თუ სისხლისფრად მოციმციმე შუქსა და მერე თვალი ირმის ნასტომის ვარდისფერ მორევში ჩაგეძირება.

გინდა გაიგო, რას გეუბნება მოიარებით ეს ციმციმი, რა აზრია ჩაქსოვილი ამ იღუმალ, გაუგებარ სიტყვებში? მაგრამ წახვალ ისე, ვერაფერს ახსნი და გამოიძიებ, წახვალ ფიქრებით გაოგნებული და მეორე დღეს კვლავ ხარბად ეწაფები ამ წიგნს.

ზღვა... აქ პირველად მივხვდი, რას ნიშნავს „ლურჯი“ ზღვა, აქამდე მხოლოდ პოეტებისაგან, მათ რიცხვში თქვენგან მსმენია. ჩვენში, ჩრდილოეთში ლურჯი ფერი ზღვისთვის საზეიმო მორთულობაა. იქ სხვა ფერსაც იკრავს ხოლმე, მაგალითად ბალტიის ზღვა ყვითელს, სცეები მწვანეს, ეგრეთ წოდებულ აქვამარინისას. როგორც იქნა ლურჯი ზღვაც ენახე, თქვენ რომ თავის დღეში არ გიხილავთ. ზევიდან ოდნავ შეღებილი კი არა, მუქი ფერის იაკინთია, მზეშიც და ჩრდილშიც ერთნაირად ლურჯი. ვეღარ გამძღარხარ ამ თვალუწვდენელი წყლის მინდორზე ფერთა დიდებულ ციალით.

რაც არ უნდა მიეჩიო, რომ აქაური კლიმატი ნკენსაზე განსხვავებულია, წყლის დროები არეულია, მაინც ხანდახან შენდა უნებურად გაგვიკვირდება, რომ ახლა იანვარი დგას. თქვენ მანდ ბეწვებში იფუთხებით, ჩვენ კა წყალიც ვერ გვანიჭებს შვებას. მარტო ფადეევს არ უკვირს არაფერი: „თბილა, კარგიაო!“ — გაიძახის. ზამთარია, ზამთარი, ბატონო ჩემო, გემბანს კი წამლაუწუმ რწყავენ, მაგრამ ფიცარი სწრაფად

შრება და ძლიერ სუნს აყენებს; ამ მზის ქვეშ კუპრს, ბაგირს, რკინასა თუ სპილენძს — ყველაფერს სუნი ასდის. დავინახეთ ერთი მფრინავი თევზი და ფრეგატთან ზვიგენიც დავლანდეთ. სხვა ცხოველი თვალით არ გვიხილავს. ზამთარი კვლავ თავისას აგრძელებს, ე. ი. ღრუბლები მჭიდროდ შემოხვევია პორიზონტს. საღამოობით ჰაერი შეხუთულია, მაგრამ თავსხმა წვიმაა და კვლავ ლაღად შეგიძლია სუნთქვა.

ჩემს ამხანაგებს უკვირთ, რომ ამინდი ტროპიკულს არა ჰგავს, ე. ი. როგორც მე ვთქვი, ნისლიანია. არც სხვა მოგზაურების აღწერილ ნიშნებით ჰგავს ტროპიკულ სარტყელს. ამბობენ, აფრიკის ნაპირის ბრალია, ან არადა გვინების ყურის ჩვენთვის უცნობ თავისებურებათა მიზეზიაო. საინტერესო კი იყო ამ სიგრძელებში სხვა მოგზაურ ზღვაოსანთა ყურნალებთან შეგვედარებინა, იმის გამოსარკვევად, ერთნაირი გარემოება თუ სდევს თან დიდსა თუ პატარა სიგრძელებში ცურვას. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ მეტწილ ზღვაოსანთა კვალს აღარ გავყოლივართ, რომლებიც ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში თუ აფრიკაში გამგზავრებისას, ღმერთმა უწყის, რატომ ცდილობენ ეკვატორი რაც შეიძლება აფრიკიდან შორს გადაჰქრან. ერთ-ერთმა უახლოესმა მოგზაურმა, მგონი ბელჩერმა, პირველმა შენიშნა, რომ აზრი არა აქვს ამერიკის ნაპირისაკენ გეზის მიახლოებას, მით უმეტეს, თუ კეთილი იმედის კონცხისაკენ ან ავსტრალიისაკენ მიემართები. ეს მხოლოდ გზას აგრძელებს. ამასთან ზუილ-ოსტის პასატი ისედაც ამერიკისაკენ მიაქანებს ხომალდს და საკმაო დიდ კუთხეს აკეთებინებს. ამ საფუძვლიანი მითითების თანახმად ჩვენმა აღმირალმა ბრძანება გასცა, აფრიკისაკენ აეღოთ გეზი, ასე რომ, დასავლეთ სიგრძედის 14° და 15°-ს თითქმის არ გავშორებივართ.

ვერც შევნიშნეთ, როგორ შეუერთდა პასატს ჩრდილოეთის ქარი, მადერასაკენ რომ მიგვაქროლებდა. როცა დავრწმუნდით, რომ ეს ქარი შემთხვევითი არ იყო, ქვეშარიტ პასატს წარმოადგენდა და ველარც დავკარგავდით, აღმირალმა გადაწყვიტა მწვანე კონცხის კუნძულებთან, აფრიკის მატერიკიდან ხუთასიოდე ვერსზე, კერძოდ ს.-იავოს ეუნძულზე, პორტო-პრაიაში გავჩერებულყავით და ახალი სანოვაგე

გვეყიდა. ნავსადგური მეტად მოხერხებული ყოფილა ღუზის ჩასაგდებად. იქ დაგვხვდა ორი ამერიკული კორვეტი და ერთი შხუნა, რომლებიც იაპონიაში, კომოდორ პერის ესკადრაში მიეშურებოდნენ.

მადერაზე გასეირნების სწორზე, ისევე კვირა დღეს, ჰორიზონტზე შორი-შორს გაბნეული დიდი და პატარა კუნძულები დავინახეთ. შორს მყოფი კუნძულები მუქ ლურჯად ჩანდა, უფრო ახლოს მურა ფერისა გვეჩვენა. ყველაზე ახლოს მყოფი სანტ-იაგო უზარმაზარი წითელი თიხის ბელტი გეგონებოდა. ნელ-ნელა მიეუახლოვდით: უფრო გარკვევით გამოჩნდა მისი მასივი; კლდეები ერთმანეთს გამოეყო, და როცა ერთნახევარ მილის მანძილზე ღუზა ჩავუშვით, მთელი კუნძული ხელისგულივით გადაგვეშალა. მადერიდან მწვანე კონცხის კუნძულებამდე მერიდიანით ათას საზღვაო მილამდე თვლიან. ჩვენებურად ეს 1750 ვერსი გამოდის.

მარცხნივ და მარჯვნივ კლდეებია დაყუდებული, შუაში ველი მისდევს მთებისაკენ და ქვიშიანი ნაპირით თავდება, სადაც ფურთუნი თავპირს იმტვრევს. ჩვენგან მარცხნივ, ზედ ნაპირთან, ცარიელი პატარა ტიტველი კუნძული ჩანს, მარცხნივ ერთმანეთზე ახორხოლავებულან კლდეები. ერთ კლდეზე მოკირწყლული გზა მიდის ზემოთკენ, პორტო-პრაიაში. გზის ქვემოთ, ზღვის ახლოს, კლდოვან ხეობაში თითქო ბალახი ამოყრილა — ხომალდიდან ასე გვეჩვენება. ნაპირზე, კლდეების ერთ კუთხეში, შენობა და კარები დგას. დანარჩენი ნაპირი კლდეებშუა მთლად მოშიშვლებული დაბლობია, ამ ქვიშის გროვაზე აქა-იქ დაინახავ ქოქოსის პალმებს. რაოდენ სავალალო, უბადრუკ, ტიტველ, გადახრუკულ სურათსა ქმნის ეს ყველაფერი! პალმებს მკმუნვარედ ჩაუქინდრავთ თავები; არავინ ეფარება იმათ ჩრდილს, ცოცხზე დიდი არც იქნება.

ყველაფერს სძინავს, ყველაფერი დამუნჯებულია. მერე რა, რომ აქ პირველად მოხვდით. მაინც შეამჩნევთ, რომ ეს დროებითი შესვენება არაა დიდი შრომისა და ჯაფის შემდეგ, რომ ეს მკვდარი სიმშვიდეა, რომ ეს სურათი არასოდეს იცვლება. ყოველივე უღმობელ სიცხეს გადაურუჯავს. მობრძანდით ორი წლის შემდეგ და იგივე ქვიშას, იმდენივე პალმებს, სილაში ისევე მოკოტრიალე ზანგებსა და ზანგის

ბიჭებს, ისეთივე კარებს, ცას ნახავთ. ცა მოთეთრო აღმურს გადაიკრავს და თუკი წვიმა არ მიეშველა, რაც ხეობაში კლდეთა ჩრდილს არ შეჭტარებია, ყველაფრის დამწველ-დამბუგველია. წვიმა კი აქ ხანდახან, რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ მოდის. მაგრამ როცა ტროპიკული თავსხმა წვიმა რამდენიმე საათით მაინც გააჟივცივებს აქაურ ნიადაგს, მზე ქვასაც კი სულს ჩაუდგამს და სიცოცხლეს ჩაჰბერავს. შემაზრზენი რამ გახლავთ ეს მარადიული ღუმელი, საუკუნო ძილი თვალუწვდენელ ზღვის უდაბნოში. უკიდევანო წყალი იმავე აფრიკის უდაბნოსავით გადაჭიმულა და როგორც ამ უდაბნოში ჩქარი ნაბიჯით მიიპარება ქარავანი, აქაოდა წყურვილმა ამ უწყლო სივრცეში არ მომისწროსო, ისევე სწრაფად მიექანება წყლის სარკესავით ზედაპირზე ხომალდი, რომ შტილმა აქ არ შეაჩეროს და მისი წყალობით წყურვილისა და შიმშილის მსხვერპლი არ გახდეს. გემი თითო-ორ-ოლა წერილებს გამოგზავნის ნაპირზე, სხვებს მიიღებს წასაღებად და საჩქაროდ სტოვებს ამ მკვდარ სავანეს. მერე რა დიდებულია ცა, რა დიდებული ზღვაა აქ! რა ღამეები იცის! ვაი რომ უქმად ფუჭდება ეს ფერები, უქმად ეღვრება ტიტველ კლდეებს ამდენი სითბო! ადამიანი გაურბის ამ ძილის საეფოს, ის ხომ აღუნებს ენერგიას, კქუას, გრძნობას და ქვად აქცევს ყველაფერს, რასაც სიცოცხლე ჰქვია. გამახსენდა გაქვაებულ სამეფოთა ზღაპრები. აი, სად ყოფილა თურმე ეს ქვეყნები, მაგრამ მოვა ვინმე დევგმირი, დაამუშავებს აქაურობას, შემოიტანს ხელოვნებას, ცივილიზაციას, გააღვიძებს საუკუნეების მანძილზე მძინარე მზეთუნახავს, ბუნებას და სულს ჩაუდგამს მათ. მგონი, არც ისე შორსაა ის ღრო. ახლა კი, ამ უსიცოცხლო, დადუმებულ სურათს რომ უყურებ, ძრწოლვა თუ ნალველი აგიტანს. არაფერი არ მოძრაობს აქ; ყველაფერი ღუმს, ზემოდან თითქო განრისხებული ზეცა დაჰნათის. ზღვაზე კი, ზღვაზე სულ სხვას ეუბნება გულს ეს მეფური სიმშვიდე! ვაი იმ ქვეყანას, სადაც წვიმა არ მოდის: შიმშილით ამოძვრება სული. აქ მოდის ყავა, ბამბა, ყველანაირი სამხრეთის ხილი, ბრინჯი, მაგრამ გვაღვაში მხოლოდ ზღვის მარილის ანაბარა რჩებიან. სწორედ ის წარმოადგენს აქაური წარმოების ერთ-ერთ მთავარ შემოსავალს.

ხომალდზე ადგილობრივი მოხელე, ზანგი გვეწვია. ფორმის ფრაკი ეცვა, სირმებით გაწყობილი. ჩვეულებისამებრ ხომალდზე მყოფთა ჯანმრთელობა იკითხა, მერე ხომალდის სახელწოდება, ხალხის რაოდენობა, მოგზაურობის მიზანი, და ყველაფერი გულდაგულ, მაგრამ დიდის გაჭირვებითა და მანჭვით ჩაიწერა რვეულში. მე გვერდით ვიდექი და ვუყურობდი, რა აჩხაბაჩხა გამოპყავდა ასოები. ეტყობა, რა ტანჯვით მიუღია სწავლა.

მალე ნაპირისკენ გავეშურეთ: მადერასავით არც სურნელი, არც მუსიკა არ შემოგვხვედრია. სულ უფრო მაღალი და მაღალი ჩანდა კლდეები შიახლოებისას; ხეობაში ხომალდიდან ბალახი რომ შევამჩნიეთ, პალმის ტყეებად იქცა. მაგრამ მე მოგზაურის ალტაცებით გავცქეროდი ამ ნაპირსაც, აფრიკის ბუნების სამწუხარო ნიმუშს. ჩრდილოელის თვალს ყველაფერი აკვირვებს აქ: დახრუკული კლდეები და უდაბნოს მღუპარება, მზის სიუხვით უსიცოცხლოდ ქცეული მიწა და ტენის ნაკლებობა, ქვიშაში ფესვგადგმული პალმები, რომლებსაც 40° სიცხისთვის უწყალოდ მიუშვერიათ თავიანთ მარადმწვანე ფოთლები. იქნებ იმიტომაც გაკვირვებს ასე, რომ ჩვენც გვაქვს ჩვენი უდაბნოები, მშრალი ჰაერი, ასე უსიცოცხლოდ გადახრუკული ადგილები, ბოლოს მარადმწვანე ფიჭვები და 40° სიცხეც.

ნაპირზე ზანგები, ზანგის ქალები და ტიტლიკანა გოგობიკობა ირეოდა: ჩვენს ნავს ელოდნენ. მადერასავით არც აქ ჰქონიათ ნავმისადგომი, ნავი ნაპირს არ ადგება, თხუთმეტი-ოდე ნაბიჯზე ქვიშიან მარჩხობზე ჩერდება. ჩვენმა მეზღვაურებმა შარვლები აიკაპიწეს და ჩვენს გადასაყვანად წყალში ჩახტნენ. მაგრამ უმაღლ ნახევრადშიშველი ზანგები დაერკვნენ ჩვენს გვერდით იგივე სამსახურის გასაწევად. წყალში ხომ არ ჩავუყრიდი შრომას: ხელები გავუწოდე, იმათაც მტაცეს ხელი, მათ შიშველ მხრებს მაგრად მოვეჭიდე და წუთში უკვე ქვიშიან ნაპირზე გავჩნდი. იქ პატარა საწყობი იდგა, როგორც მითხრეს, საბაჟო შენობა. ის დაკეტილი იყო; ირგვლივ ოთხ ბოძზე შესკუპული კარები შემორტყმოდა, პალმის ფოთლებით დახურული. „ხილი გაქვთ?“ — ვკითხებთ ზანგებს. ისინი მსწრაფლ გაიქცნენ და კლდეს მოეფარნენ. ჩვენ აღარ დავუ-

ცადეთ და მოკირწყლული გზით მთას აყევით. მართალია, ზამთარი იყო, მაგრამ აფრიკულმა მზემ მაინც თავისი ქნა. ზღვაზე ამას ისე არა გრძნობ: სიცხეს ქარი ანელებს, სამაგიეროდ ნაპირზე რა ხდება! მთა არც მაღალი იყო და არც ციცაბო, მაგრამ რომ ავედით, ცოტა ხანს სულის მოსათქმელად გავჩერდით და შუბლი და საფეთქლები ცხვირსახოციტ მოვიწმინდეთ. მთაზე, ნავსადგურის ზემოთ, ქვის ბაქანზე ბატარეა დაუდგამთ. ჩვენ მარცხნივ შევეუხვიეთ და მალე ქალაქის მოედანზე გამოვედით. პორტუგალიელი და მულატი გუშაგები თავაზიანად გვიკრავდნენ თავს. მუნდირები ეცვათ, თუმცა ფეხშიშვლები კი იყვნენ. მულატები მაინცადამაინც არ მომეწონა. თუ შევკანიანი ხარ, ისა სჯობს ნახშირივით შავი იყო და კანი კარგად გაწმენდილი ჩექმასავით გილაპლაპებდეს. ლამაზი თუ არა, ორიგინალური მაინც არის. ეს მქრქალი შავი, მოშვეგრემანო სხეულები კი თვალში უსიამოდ გეჩხირება.

მოედანზე ორი-სამი საკმაოდ დიდი სახაზინო ქვის სახლი იდგა, სხვათა შორის, საპატიმროც; შემდეგ ქუჩა მიჰყვებოდა. ღარიბული, პატარა, მაგრამ მაინც ქალღმებრიანი ქვის კერძო სახლები გულდაგულ ჩაერაზათ. ქუჩამ ჩვენი სამაზრო ქალაქი მომაგონა ზაფხულის დღეს, როცა შუადღის მზე უწყალოდ აფრქვევს სხივებს და არასულდგმული არ ჰაქანებს ქუჩებში; მხოლოდ ბაღები დარბიან ქუჩაში თავშიშველი და მათი წკრიალა ხმები არღვევს მღუმარებას. ყველას სძინავს თუ უბრალოდ ეზარება განძრევა. ხანდახან უნდილად გამოიხედავს ვინმე ფანჯრიდან და ისევ მიიმალება. ჩვენც გამოგხედა ორმა-სამმა ოფიცერმა ყაზარმიდან; ესაა და ეს, სხვა არაფრით ჰგავს. მოედანზე დაბალი ბოძი დგას და კუნძულების ჯგუფზე პორტუგალიის ბატონობის ნიშნად ზედ პორტუგალიის გვირგვინი წამოუმართავთ. მთელი მოედნის გაყოლებაზე და ქუჩაში ცხენები და ქვეყნის ვირები მიებათ ნამორებზე, მეტწილად ხის უნაგირები ედგათ ზურგზე.

ქუჩაში რომ მივიდიოდით, შორიდან დავინახე, ერთი ჩვენი თანამგზავრი რომელიღაც სახლში შევიდა. ჩვენ სამნი ვიყავით. „სად წავიდა? მოდი, ჩვენც შევიდეთ-მეთქი“. იმ სახლისაკენ წავედით და პატარა, ფილაქნით მოკირწყლულ ეზოში შევედით. ერთ კუთხეში ფარდული იყო, სადაც ვირი ება და

ისეთი ჩათუნთულებული ღორი გაგორებულიყო, ტანი ვეღარ აეტანა სიმსუქნით. შემდეგ ჭრელი, ლამაზი ქათმები დავინახეთ, პატარა, ბელურასოდენა მწვანე თუთიყუშიც დანავარდობდა იქვე. პეტერბურგის ბირჟაზე ხანდახან მინახავს ხოლმე ასეთი. თუთიყუში ფეხებში გვედებოდა. ვილაცამ, მგონი, სულაც მე, ფეხი დავადგი: აფრთხილდა და კოკლობ-კოკლობით საჩქაროდ დაგვემალა კუთხეში ჩრდილოელ ბარბაროსებს. ხის კიბემ მეორე სართულის გალერეაში აგვიყვანა, მერე ოთახში შევედი. ხნიერი მანდილოსანი გამოგვეგება; თავი დავუქართ, იმანაც თავი დავვიკრა. უხმოდ გვანიშნა, სკამებზე დაბრძანდითო. დავჯექით და ინგლისურად გავუბით ბაასი. ქალმა პორტუგალიურად დაგვიწყო; ახლა ფრანგულზე გადავედით, მან ისევ თავისი გააგრძელა. წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ რაღაც გვითხრა და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. ერთი წუთის შემდეგ მეტად ტურფა ყმაწვილი ქალი შემოიყვანა. ის მორცხვად მოჰყვებოდა და სალამზე მორიდებით გვიპასუხა. ერთმანეთს გაოცებით გადავხედეთ... ეს რაღას უნდა ნიშნავდეს ვითომ? დიასახლისმა რის ვაივავლახით გავგაგებინა, ფრანგულად ლაპარაკობს თუ ფრანგული ესმისო. კითხვები მივაყარეთ, მაგრამ ან ლაპარაკი არ იცოდა, ან არაფერი ესმოდა, ან არადა პორტო-პრაიას ფრანგული სულ სხვა ენა ყოფილა. შიგადაშიგ ნახმარ თითო-ოროლა ფრანგული სიტყვებით ძლივს გავიგეთ, რომ ლისაბონიდან ჩამოეყვანათ, ჯერ გათხოვილი არ იყო და აქ ნათესავებში ცხოვრობდა. თუმცა ღმერთმა უწყის, რა გვითხრა: მისი სიტყვები ჩვენ ასე გადავახურდავით. დავემშვიდობეთ და გამოვედით. „ნეტავ ვისთან ვიყავით მაინც, ბატონებო?“ — მკითხა ერთმა ამხანაგმა. — „ღმერთმანი, არ ვიცი“. — „მაშ რატომ შევედით?“ — აღარ მომეშვა ის. — „ვერც ამას გეტყვი. ტ[ინხენევი] აქ შემოვიდა და ჩვენც მას შემოვყევით. მართლა, ის სადღაა?“ — „ის ამ სახლში არ მოსულა, აგერ იქ... აი, გამოვიდა კიდევ“. მართლაც ტ.-ი მეზობელ სახლიდან გამოვიდა. „სანოვაგე არაფრად ვარგა და ცოტაც იშოვება! — ამოიოხრა მან, — ხარები და ძროხები აქაურ ვირების ხელა იქნებიან. კეთილ იმედის კონცხამდე როგორ ჩავალთ?“ ასე რომ, მოგზაურებივით სულ უცხო სახლს ვწვევივართ!

ამ დროს ზანგმა შემოგვთავაზა, ცხენით ან ვირით ხომ არ გაისეირნებთო. ჩვენი მესამე თანამგზავრი მას გაჰყვა. მე და მ [ამა] ა [ვაკუმი] კი ფეხით წამოვედით და მალე სოფელში ამოვყავით თავი, რომელიც ქალაქის გარეკლებას წარმოადგენდა. ამ გარეუბანში უსარკმლო შელესილ ფაცხების გარდა ვერაფერს დაინახავდი. შიგ შევიჭყიტე და ღარიბული საოჯახო ხარახურისა და ხის სკამების გარდა სხვა არა დამინახავს რა.

ახალგაზრდა ზანგები არ ჩანდნენ: ეტყობა, მინდვრად იყვნენ სამუშაოდ. მხოლოდ ბერიკაცები და დედაბრები დაგვიხვდნენ, მერე რა მახინჯები! ერთმა დედაბერმა პირდაპირ დაგვაფრთხო თავისი სიმახინჯით; ქუჩას გადადიოდა, სიბერით წელში ველარ გამართულიყო. შეხედულებით ოთხმოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო. გაქაჩლებულ თავზე აქაიქ შერჩენოდა ბლუჯა-ბლუჯა ქაღარა. სამაგიეროდ, რამდენიმე მზეთუნახავიც ვნახეთ, რა თქმა უნდა, მათებურად. რა ტუჩები, რა თვალები ჰქონდათ! სხეული ატლასივით უბზიალებდათ. თვალებში გონიერება და სიკეთე ეხატებოდათ, მაგრამ ვნება უფრო მეტი იყო და ჩვეულებრივი შემოხედვაც ცოტა არ იყოს უტიფარი გამოუდიოდათ. ნელა ასწევს ქუთუთოს, ფართოდ გაიხსნება თვალი და რაც ვნებიან სხეულში ბუდობს, ყველაფერს ერთად შეგაფრქვევს. საკმაოდ მხატვრულად აცვიათ: ქვედა წელი, ზემოთ პერანგის ნაცვლად ერთ მხარზე გადაგდებული აქვთ ბამბის შალი, რომელიც მუხლამდე სწვდებათ; ცალი მხარი და მკერდი შიშველი დაუტოვებიათ. თავზე თავსაკრავები წაუკრავთ და ძალიანაც კარგი, რომ წაუკრავთ: ევროპელის თვალს არ სიამოვნებს გაკრეჭილი ქალის ცქერა და ისიც ასე ხუჭუჭთმიანის. ამ ქალბატონებიდან რამდენიმე უკან აგვედევნა და დამტვრეული ინგლისურით (აქაც ინგლისელებია, არ დაივიწყოთ!) ფულსა გვთხოვდნენ, ღმერთმა არ იცის, რა მიზეზით. მათხოვრულად დიახაც არ ეცვათ. ვითომ რას გვთავაზობდნენ?.. მაგრამ იმათ აბდაუბდა სიტყვებში მხოლოდ money¹-ის მოვკარით ყური. ტიტლიკანა ბავშვები დარბოდნენ, ბერიკაცები და დედაბრები ზოგი

¹ ფული (ინგლ.)

სახლების გარშემო ზღაზვნით დაბორილებდნენ, ზოგი თავიანთ ქოხებში წამოწოლილიყვნენ. ინგლისელებიც დავინახე, მაგრამ ისინი კი არ იწვნენ მხარ-თეძოზე, ცხენებით სადღაც მიეშურებოდნენ, ალბათ თავიანთ ყავის პლანტაციებში... ეს ის დევგმირები გახლავთ, ვინც მძინარე მზეთუნახავის გამოღვიძებას აპირებს.

ჩვენ ორმა მთელი სოფელი გავიარეთ და მინდვრად გავედით. სოფელი და ქალაქი კლდის პირზეა გაშენებული. ფერდოზე აქა-იქ ქოხები იდგა, ან არადა ბალები მოჩანდა. გზამ ველზე ჩამოგვიყვანა; ამ ყვითელსა და რუხ ქვიშის ზოლებს შუა ველი აყვავებულ თაზისს წარმოადგენდა. რა არ ხარობდა იქ? ჩვენთვის ყველაფერი უცხო იყო: ეს ჩვენი ხეების, ჩვენი ბალახის, ჩვენი ბუჩქების დეკორაციები არ იყო და ყველაფრის დამახსოვრებას ხარბად ვლამობდით: იქ მათმა შეჯგუფებამ დაგვანტერესა, აქ ხის ცალკეულმა სურათმა, ფოთლების მოყვანილობამ, ბოლოს ხილმა: ისე ვუყურებდით, თითქოს თავის დღეში ველარ ვნახავდით, თუმცა კარგა ხანს მხოლოდ ასეთი სურათი გვექნებოდა საცქერლად. ვნახეთ ლელი, ქოქოსი, ბევრი ფორთოხლის ხე, მაგრამ ფორთოხლები არ ესხათ, ყვავილებისთვის თითქმის არ მოგვიკრავს თვალი; მწერებიც ცოტა იყო, ზამთარი იყო და იმიტომ. მხოლოდ ერთმა ფრინველმა გადაგვიფრინა თავზე, ჩვენებური ჭკისოდენა იქნებოდა, ოღონდ გრძელი, ცისფერი კუდი ჰქონდა. გავიარეთ ეს ქალა თუ ბალი — ბალს იმიტომ ვეძახი, რომ ხეხილი აქა-იქ შემოედლობათ; შიგადაშიგ კარვებიც მოჩანდა, მოხუცი ზანგები იქ, როგორც ჩვენშია ხოლმე, ბალს დარაჯობდნენ. ქალის გაღმა მინდვრები იწყებოდა, ზოგი დაემუშავებიათ, ზოგი არა. აქა-იქ ტყე მოჩანდა. მაგრამ ველის იქით აღარ წავსულვართ, ძალზე ცხელოდა.

ნაპირზე ბალებით დავბრუნდით, მთაზე აღარ ავსულვართ. სხვადასხვა ხეებთან ვჩერდებოდით. ნაპირზე გაცხოველებით ფუსფუსებდნენ. ბევრ ზანგს ფორთოხლებით სავსე კალათები მოეთრიათ, სხვებს ჩასაჯდომი საკაციები მოეწყობთ ნავზე ჩვენს გადასაყვანად. ეს სპეკულიანტები ზოგი ქვიშაზე იჯდა, ზოგი გაშხლართულიყო და ჩვენ გველოდა. ერთ ჯგუფს მიუუახლოვდი. ზანგები კარტს თამაშობდნენ. რა გგონიათ, რას

თამაშობდნენ? თულფობიას! ეს შავი, მოლაპლაპე სახეები, ზუკუჭი, თითქოს არყის ხის ნახშირით შეპუდრული თმა რომ არ მენახა, ვიფიქრებდი, უცბად რომელიღაც პროვინციის საფარეშოში მოვხვდი-მეთქი. დავაკვირდი თამაშს, მართლაც თულფობია გამოდგა. აგერ ერთმა მოთამაშემ მეფეს ველარ დაარტყა და მთელი გაქონილი კარტი აკრიფა, სხვებმა კი თეთრი კბილები დაკრივეს. გადავხედე დანარჩენებს და საჩქაროდ ვიბრუნე პირი. ორი პატარა გოგო, ალბათ დები, ერთად ისხდნენ. ერთს თავი მეორის კალთაში ჩადო, ის კი... თუმცა თქვენც გინახავთ ეს სურათი, როცა ჩვენს სოფლებს ზაფხულის დღეს ჩაუვლით... ზოგი ზანგი ერთმანეთში კინკლაობდა — ესეც გეცნობათ ალბათ. აბა, გაჩერდით ერთი მოაკოვსა და პეტერბურგში, სადაც კალაჩებს ჰყიდიან და ვისმე გამოევაქრეთ: რარიგ აქაქანდებიან და აყაყანდებიან დანარჩენები! აქაც იგივე ამბავია და ალბათ ყველგან იგივე მეორდება. მაგრამ ტყუილად კი კინკლაობდნენ: ფორთოხლები ყველა ვიყიდეთ. მერე რამხელები იყო: ჩვენში თავის დღეში ასეთი არასოდეს ჩამოუტანიათ. ხოლო გემო რომ გავუსინჯე, მივხვდი, აქამდე ხეირიანი ფორთოხალი თურმე არც მიჭამია. იქნებ ეს ერთი შემხვდა-მეთქი ასეთი და მეორეც გავსინჯე. მეორეც, მესამეც და საერთოდ ყველა დიდებული რამ გამოდგა.

სანამ ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ცდებს ვატარებდი, სხვადასხვა მხრიდან ჩვენი თანამგზავრებიც დაბრუნდნენ და ჩემს მაგალითს მიჰყვნენ. ამ ერთ გასეირნებას ყველა მოუქანცავს; გაოფლიანებული, დამტვერილი. გაწითლებული, მზით დამწვარი სახეები ჰქონდათ; მაგრამ ყველა მეტისმეტად კმაყოფილი იყო; ყველას რაღაც შესანიშნავი რამ ენახა ცალ-ცალკე. გადავწყვიტე, ბებერ ზანგის ქალიდან (მე მუდამ მანდილოსნებს ვანიჭებ უპირატესობას) მთელი კალათა ფორთოხალი მეყიდა. მან მეორე კალათიდან კიდევ რამდენიმე საუკეთესო ცალი შეარჩია და ჩემი დასაჩუქრება დააპირა. „Present, present“¹ — გაიძახოდა ის, მაგრამ თავაზიანობაში არც მე დავუგდე ტოლი და ჯიბიდან ფუ-

¹ საჩუქარი, საჩუქარი (ინგლ.).

ლი ამოვიღე, რომ მიმეცა. ბებრუხანა საოცრად გამიბრაზდა და კინალამ პირველი კალათაც არ წამართვა. ცოტა ინგლისური სკოლნოდა და სინიორ ფრანგს მეძახდა. რუსებზე არაფერი სმენოდა. იქვე, ნაპირთან ჩვენი მეზღვაურები ბანაობდნენ. ხან ნაპირზე გამოვიდოდნენ გასათბობად და ისევ წყალში ჩაცვივდებოდნენ. მაგრამ შავკანიანი ქალბატონები ზედაც არ უყურებდნენ: ეტყობა, უცხო არ იყო მათთვის.

მე და ჩემი ამხანაგები მზის ჩასვლისას ფრეგატზე დავბრუნდით. დაკვირვებით ვაქცერდებოდით ამ კლდეებს და მისი სურათი ხსოვნაში გვინდოდა ჩაგვებეჭდა. ნაპირი თანდათან შორს დარჩა, კლდეები თანდათან დაპატარავდა; ხეობაში ატეხილი ჭალა კვლავ ბალახივით გამოჩნდა შორიდან. ზანგები ნაპირზე თავლის წვეთის ირგვლივ მოფუთფუთე ბუხებოვით ირეოდნენ. ორი ჩვენი თანამგზავრი, რომლებიც ყურეში მდებარე პატარა უკაცურ კუნძულზე გაემგზავრნენ მწერების, ნიჟარებისა და მცენარეთა საძებრად, ჰიანჭველასავით დალოდვდნენ. ველი მიიმალა, კუნძული ახლა კვლავ დედაბერივით ჩამომქცნარი და დამწუხრებული მოჩანდა, ოღონდ ამჯერად მზის ჩასვლას ძოწისფრად შეეღება მისი ლოყები.

ის იყო ჩვენი ნავი ხომალდს მიადგა, რომ უეცრივ ს[ავიჩმა] გემბანიდან გადმოსძახა მენიჩბეებს: „აბა, ჩქარა იქით გასწიეთ, ავერ ვეებერთელა კუ დაცურავს, ალბათ სძინავს და დაიჭირეთო!“ გავტრიალდით, საითაც ს-მა მიგვითითა, მაგრამ კუს გაღვიძებოდა და წყალში ჩაიყურყუმელავა. ასე რომ, ხელმოცარულნი დავბრუნდით. უფრო მეტ ხანს რომ გავჩერებულეყავით, აქაური მარილის აუზებსაც ვნახავდით.

კუნძულის მთავარი სარეწი მარილის მოპოვებაა. მოქცევის დროს აუზები ზღვის წყლით ივსება, მერე ორთქლდება და მარილის ნალექი ბლომად რჩება ხოლმე. მცხოვრებლები კიდევ რაღაც მცენარეულ საღებავს აკეთებენ, ცოტაოდენი ყავა, შაქრის ლერწამი, ბამბა მოჰყავთ, მაგრამ მაინც მეტად დატაკები არიან.

მეორე დღეს კვლავ განვაგრძეთ გზა. დიდი ხანია პაპა გვაშინებდა, უქარო ზოლში, შტილში მოვხვდებით, რომელიც დედამიწას ეკვატორიდან რამდენიმე გრადუსზე შემორტყმია. იალქნიან ხომალდებისთვის შტილი ქარიშხალზე საშინელია.

არაგოში ჩავიხედე და თავზარი დამეცა, თუმცა ჯერ არაფერი მენახა. მართლაც, რა გუნებაზე დადგები კაცი, როცა მთელი თვე მოგიხდება ერთ ადგილზე ყურყურტი, ამ აღმაცერა სხივების ქვეშ, ნაპირიდან ათასი მილის დაშორებით, შიმშილითა და წყურვილით გატანჯული? უნებლიეთ თვალწინ დაგიდგება ის საშინელი სურათები, რაც ასეთ შემთხვევებში მომხდარა...

29 იანვარს ჩრდილოეთ განედის 3°-ზე პასატი დაეკარგეთ და ამ საბედისწერო ზოლში აღმოვჩნდით. ათი კვანძის, მაშასადამე 17 ვერსის ნაცვლად საათში ორ, ერთნახევარ კვანძს ძლივს ვაკეთებთ. ხანდახან ქარი სულ ჩადგება, იალქნებიც ჩამოიყრება და ანძებს ეხეთქება. კითხვის თვალით ვიყურებით ირგვლივ, მაგრამ ცა და ზღვა ისე თვალისმომპკრელად ბრჭყვიალებს, თითქოს დაგვცინის. ასე დასცინის ზოლმე ხანდახან ბოროტება სიძაბუნეს. დილით რომ ავდგებოდით, ეს გვაკერია პირზე: „მივდივართ თუ არა?“ არა, თურმე მივდოდავთ და საათში ერთნახევარ კვანძს, ორ ვერსს ვაკეთებთ. ზღვა გაღობილ ლითონივით ტორტმანებს: არსად ელავს ქიცვი, არაფერი ადგაფუნებს წყალს. გვეგონა, ქარს ალბათ დიდხანს ვერ ველირსებითო, მაგრამ ჩვენი შიში აქ კი არა, გაცილებით სამხრეთით, ეკვატორის მეორე მხარეს აგვიხდა, სადაც შტილი ყველაზე ნაკლებ გახლდათ მოსალოდნელი. 31 იანვარს შეირხა იალქნები, დაჰბერა ქარმა, ჯერ გაურკვეველად, ცვალებადად, მერე ჩრდილოეთ განედის 1°-ზე სანატრელმა პასატმა დაგვიქროლა. ჩვენ უკვე ეკვატორთან ვიყავით.

2 თებერვლის დამეს, დასაძინებლად რომ მოვემზადე, მეგონა, დილას ეკვატორზე გადასვლას ვნახავ-მეთქი. მაგრამ 3 რიცხვში, დილის 8 საათზე, პაპამ უფროსებს მოახსენა, უკვე სამხრეთ ნახევარსფეროში ვართო: დილის ხუთ საათზე ფრეგატს გადაუჭრია ეკვატორი დასავლეთ სიგრძედის 18°-ზე. ჩვენ მაინც ყველანი გამოვეფინეთ ზემოთ და გაფაციცებით ვიყურებოდით აქეთ-იქით, თითქო იმ ხის რკალის დანახვას ვაპირებდით, რომელიც ეკვატორის სახელწოდებით გლობუსებს არტყია ზოლმე.

ყველა ფიქრებს წაეღო. პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩი] ტ[იხ-

მენვევი გიკს დაყრდნობოდა და სივრცეს გაჰყურებდა. ყველა ეკვატორითაა გართული. „პ. ა., აგერ ეკვატორსაც გადავაბიჯეთ, მალე კეთილი იმედის კონცხზე ამოვყოფთ-მეთქი თავს,“ — ეუთხარი მე. „პო, — ღრმად ამოიხვნეშა მან და გულგრილად გახედა ზღვის ფირუზისფერ ზედაპირს. — კი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა... ნეტავ საფუარს თუ ვიშოვით იქ?“ აბა მითხარით, რაც არ უნდა წინდა მოვალეობა ეკისროს, ამაზე მეტი გულმოდგინეობა შეიძლება განა, როგორც ამხანაგების სანოვაგეზე ეს ადამიანი ზრუნავს? ჩვენი კეთილი პ. ა.-ს უცბად თვალები რაღაც უჩვეულოდ გაუბრწყინდა. ვიფიქრე, ალბათ ეკვატორი დაინახა-მეთქი. ხელიც კი გაიშვირა. „შეხეთ, ვილაცას ისევ უჭამია ბანანები! — შესძახა მან აღშფოთებით, — ალბათ ზ[ელიონი] იქნებოდა, წუხელ ის იდგა ვახტზე“. საღამოს ხილს გემბანზე გამოკიდებდნენ ხოლმე, ქორფად შეინახებო, დილით კი უთუოდ ნაკლული დახვდებოდათ. ტ[იხმენვევი] მკაცრად იძიებდა დამნაშავეს, მაგრამ პასუხად მხოლოდ ცბიერ ლიმილს იღებდა.

გადასკერ ტროპიკი, გადასკერ ეკვატორი,
და შენც იზეიმე, როგორც მეზღვაურნი!

გახსოვთ, რა დამავალეთ, თქვენო აღმატებულებავ, ვლადიმერ გრიგორიევიჩი: ფიქრში თქვენც მოგიწვიეთ ამ ნადიმზე, მაგრამ ნადიმი არ შედგა. არც არავის უფიქრია ამაზე — ჩვენმა მეზღვაურებმა მითოლოგიის არაფერი იციან, ამიტომ ნებ-ტუნის გამოწვევა თავში არ მოსვლიათ, ასე გასინჯეთ, ჩვენც არ მოგვილოცეს მის იღუმალ სამფლობელოებში შესვლა და არც ფული თუ არაყი შეუფროვებით ხარკის შესაწირად. ჩვენც აღარ გაგვიხსენებია, ასე რომ დღე ჩვეულებრივად გავატარეთ. მხოლოდ ღამით მიგვიპატიჟა კაპიტანმა ვახშმად. საპატიო სტუმარი პაპა გახლდათ: ეს მგზავრობა მისთვის პირველი არ იყო და თბილი შამპანურის ბაკალიც მის საღლეგრძელოდ დაილია. „რამდენჯერ გადაგიპირიათ ეკვატორი?“ — ვკითხეთ ჩვენ. „თერთმეტჯერ“ — „ნუ ტრაბახობთ, პაპავ, თქვენ მხოლოდ სამჯერ შემოუარეთ დედამიწას: მაშასადამე, ექვსჯერ გამოდის!“ — „ეგრეა, მაგრამ ერთხელ ზედ ეკვატორზე ხომალდს შტილმა მოუსწრო და სამჯერ თუ ოთხჯერ ეკვატორის ხან გაღმა, ხან გამოღმა გვატრიალა“.

ინგლისში ნაყიდ ორანძიან ნავ „ვოსტოკზე“, რომელიც ჩვენ გამოგვეყვა, ნებტუნის ზეიმი გადაუხდიათ. მიხარია, რომ ჩვენს ხომალდზე ეს არ მოხდა. როგორც გენებოთ და ეს ზეიმი ყურით მოთრეული ამბავი გახლავთ. პამპულაობა სასაცილოა, როდესაც ადამიანი გულუბრყვილოდ პამპულაობს, თვითონაც ერთობა და სხვასაც ართობს. მაგრამ როცა ადათის მიხედვით, განზრახ თავს იმასხრებს და სხვასაც ამასხრებს, მის მაგიერ შენ გრცხვენია და უხერხულობას გრძნობ. ხოლო თუ ამას გართობის საბაბად მივიჩნევთ, ჩვენ არც ეს გვაკლდა. არა მარტო უქმე დღეებში, ჩვეულებრივ დღესაც სწავლებისა თუ მუშაობის შემდეგ მომღერლებსა და დამკვრელებს ზევით ეძახიან ხოლმე. ჰოდა, ამ ლურჯ, კაშკაშა ცის ქვეშ, ამ უკიდევანო სივრცეზე გაისმის რუსული სიმღერის თავაწყვეტილი სამხიარულო ჰანგი, თუმცა ღმერთმა უწყის, რა ჰქონდა ჩვენებს გასახარელი, გახურღება ცეცვა-თამაში, ან არადა ისტერიული, რა ხანია მივიწყებული ტანჯვისგამომთქმელი, თქვენთვის კარგად ნაცნობი, გულისმომკვლელი კენესა და გოდების ხმა მოეფინება გარემოს. ესენი ერთმანეთს პაუზის გარეშე ენაცვლებიან: თავაწყვეტილი ქეიფის, ტრეპაკის ბრაგუნისა თუ ისტერიული ქეითინის ხმაში აღარ ისმის ზღვის ტყლაშუნი და გემსართავების ჭრიალი. ასეთ გართობას მეზღვაურებისთვის მეტი შინაარსი აქვს, ვიდრე ნებტუნის ზეიმს: ყოველ შემთხვევაში, ამას არ ახლავს აფექტაცია, მით უმეტეს თუ ხაზინით დაწესებულის გარდა ზედმეტად გადააყლურწინებ სასმისს. თუმცა ხომალდზე მეზღვაურებს ეს არ აკლიათ: ოფიცერი მუდამ სასმელით უმასპინძლდება ხოლმე მეზღვაურს, თუკი რამე შეუსრულა ან მოემსახურა. როცა ნაპირზე მიდის თავის საქმისთვის, ოფიცერი უთუოდ მენიჩბეებს ფულს მისცემს დასალევად. ამგვარად, გადასაყლურწი ბევრი უგროვდებათ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ისმება კიდევც.

სამხრეთ ნახევარსფეროში საძაგელი ზუილ-ოსტის პასატი გვიშლიდა ხელს ცურვაში; მერიდიანით ვეღარ ვივლიდით: დიაგონალი ამერიკისაკენ გვიმრუდებდა გზას. დიდი-დიდი 6,7 კვანძი გაგვევლო. „აი, თქვენი ზაფხულიც! — გვეუბნებოდა გაწითლებული, ოფლში გაღვრილი პაპა, რომელსაც ჩვე-

ულებისამებრ ყველა დილი შეკრული ჰქონდა, თუმცა პრიუნელის ფეხსაცმელები ეცვა. — აგერ ზვიგენები, სამხრეთის ჯვარი, აგერ „მაგელანის ღრუბლები“ და „ნახშირის ტომრები!“ აქ პირდაპირ გუნდებად დაფრიალებდნენ წყლის ზედაპირზე მფრინავი თევზები.

როცა მაგნიტური ეკვატორი გადავიარეთ, დამავიწყდა მაგნიტის ისარზე დამეხედა, ის ხომ ნამდვილს სამი გრადუსით რჩება უკან. ამბობენ, როცა ორივე პოლუსიდან თანაბარ მანძილზე აღმოჩნდება ხომალდი, ისარი ეკვატორის პარალელურად იხრება, მერე სამხრეთ პოლუსის მიახლოებისას სწორდება, ჩვეულებრივ მიმართულებას იღებს და თვითონ პოლუსზე სრულიად ვერტიკალურად დგებაო. ასეა კი, ვ[ლადიმირ] გ[რიგორიევიჩი]? თქვენ გიყვართ, თვითონ ბუნებას ჰკითხოთ მის საიდუმლოთა ამბავი: ყველაფერს პოეტისა და მეცნიერის თვალთ უტყქერით. 11°-ზე მზე უკვე ჩვენს ზემოთ გაჩერდა და სამხრეთისაკენ აღარ გადახრილა. ერთმა მესაქვე მებლვაურმა ეს ამბავი განცვიფრებით აუწყა შტურმანს.

14 თებერვალს იმ უქარო ზონაში მოვხვდით, რისაც ასე გვეშინოდა ეკვატორთან. ისევ ერთი, ერთნახევარი კვანძით მივდივართ, ხანდახან სულაც არ ვიძვრით ადგილიდან. პირველად არხეინად შევხვდით ამ ამბავს, ვიფიქრეთ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაუბერავს მადლიანადო; მაგრამ ბევრჯერ გათენდა და დალამდა, ჩვენი იალქნები კი მაინც უმოძრაოდ ვკიდა, ფრეგატს მხოლოდ ერთ ადგილზე ატორტმანებდა ხანდახან საკმაოდ მძლავრი ფურთუნი, რაიც ქარის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ქარი სადღაც სხვა ბედნიერ ადგილზე ქროდა და ჩვენთან მხოლოდ მისი სუსტი მონაბერი აღწევდა. ჰორიზონტს ღრუბლები დაეხვეოდა, გვეგონა, წვიმა წამოვიდოდა და ამინდი შეიცვლებოდა; კოკისპირული წვიმა მართლაც განუწყვეტლივ მოთქიშინებდა, მაგრამ ქარის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ერთი საათის შემდეგ ისევ მზე დაგვეკაშკაშებდა ძველებურად და ოკეანის უძრავ სივრცეს დაჰნათოდა.

ერთი კია, ამ უშფოთველ თბილ, მღუმარე სამეფოში გულარხეინად შეგეძლო ყოფნა: მაგიდაზე წიგნი, სამელნე თუ ქიქა კვლავ იმავე ადგილას გხვდებოდა; არ გეშინოდა, ძილ-

ში კომოდი ან წიგნის თარო დაგეცემოდა და გაგჰყლეტდა. მაგრამ ზღვაში ორმოც დღეს გაძლება არ უნდა! ნაპირი ყველას ოცნებად გვექცა. რარიგ გავვიხარდა, 16 თებერვლის დილას სამხრეთ ტროპიკი რომ დავტოვეთ. ამ დროს აქ აღმოსავლეთის ქარი სცოდნია და ჩვენებს იმის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედიც გავიეცრუვდა. ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს შიგადაშიგ მხოლოდ გროტის ტყლაშუნი არღვევდა. 21 თებერვლის დამეს ისე დამცხა, დასაძინებლად კაიუტ-კამპანიაში გავწიე და ღია ბანის ქვენასთან დავწექი. უცბად გაშმაგებულმა ბრაგაბრუგმა, სტვენამ და ყვირილმა გამომალვიძა. სახეზე რამდენიმე შხეფი დამეცა. „გრიგალია!“ თქვეს: „ახლა დაუბერავსო!“ მაგრამ გავიგონიათ! გრიგალმა ჩაგვიარა და ფრეგატი ისევ უმოძრაოდ გაწვა.

ამასობაში ყველიერიც დაგვიდგა. დიდად არავის მოუღხენია, თუმცა პ[იორტ] ა[ლექსანდროვიჩმა] თავი არ დაზოგა, ოღონდ ეს მხიარული რუსული უქმე ასე თუ ისე მხიარულად გაგვეტარებინა. დააცხოზინა ბლინები, ხიზილალის ნაცვლად სარდინები გაახსნევინა. ინგლისიდან წამოღებულ უკვე ჩადღვებილ ნაღებზე გვეხვეწებოდა, არაქანად წარმოიდგინეთო. ოკეანე ლამის შეძრა თავაწყვეტილი quasi¹ — სიმხიარულის გნასმა და სიმღერებმა, რომელიც თათრების მონობის ხანას აგონებდა კაცს. შტილით გაბეზრებული ხალხის მოწყენილ გუნებას ეს მკმუნვარე ჰანგები თითქო უფრო შეეხამებოდა. მაგრამ განა შეიძლება თუნდაც ატლანტის ოკეანის მცხუნვარე ფურთუნებში ყველიერმა რუს კაცს ცალყბა ღიმილი მაინც არ მოჰკვაროს სახეზე. იუტზე აქეთ-იქით ბოლთას რომ ვცემდი, ერთიც ვნახოთ, მეზღვაურებში რაღაც უჩვეულო მოძრაობა შევამჩნიე: ხომალდზე კი ეს არც ისე იშვიათია. ჯერ ვიფიქრე, ალბათ რომელიღაც ბრასს მოათრევენ-მეთქი. მაგრამ ამას რაღაც არ ჰგავდა. თურმე ერთმანეთს აჩიკუდა მოჰკიდებიან და ანძების ირგვლივ დარბიან. ყველიერობას არ შეიძლება ყინულზე სიარული არ მოჰგონებოდათ და იმათაც ეს გართობა აჩიკუდით შესცვალეს. ყოველ შემთხვევაში, პ[იორტ] ა[ლექსანდროვიჩზე] მეტი მოსაზრება გამოიჩინეს,

¹ ყალბი (ლათ.)

ხიზილალის მაგივრად სარდინები რომ გამოგვიტანა. მერე როგორ ერთობოდნენ ამ აჩიკუდით ყმაწვილი თუ ულვაშშეჭალარავებული მეზღვაურები. ძალაუნებურად შენც გაგეცინებოდა ამ ბუნებრივ, ნაციონალურ პამპულაობის ცქერისას: ნეპტუნის სელის წვერებსა და ფქვილში ამოთხუპნილ სახეებს მაინც ისევ ეს მერჩივნა.

ამ ზოზინით მიმავალ ჩვეულებრივ დღეებს ერთი უჩვეულო, საზეიმო დღეც გამოერია. კვირას, 1 მარტს, წირვის შემდეგ, როცა ჩვეულებრივ კამანდის შემადგენლობა შეამოწმეს და იკითხეს: ყველა თუა კმაყოფილი, პრეტენზია ხომ არავის აქვსო, ოფიცრები და მეზღვაურებიც ყველანი გემბანზე შეგროვდნენ, ყველამ ქუდი მოიხადა: აღმირალი წიგნით ხელში გამობრძანდა და პეტრე დიდის საზღვაო წესდება წაიკითხა.

შემდეგ ისევ ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა და ერთფეროვნად წაეწყო დღე დღეს. ფრეგატზე ისეთი სიმშვიდე მეფობს, ისეა მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილი, ისე თბილა და დაპნათის მზე, რომ თავი ერთ მივარდნილ ტრამალში, რუსულ სოფელში გეგონება. ადგები დილით გუნება-ამღვრეული, არსად მიგეჩქარება, მშვენიერ ჯანზე და მადაზე ხარ, თავიც დასვენებული გაქვს, პირდაპირ ოკეანიდან ამოღებულ რამდენიმე ვედრო წყალს გადაისხამ, გაისეირნებ, ჩაის დალევ და მერე საქმეს ჩაუჯდები. მზეს უკვე შეუშალაურებია; თაკარა სიცხეა: ასეთ დროს სოფელში არც კალოს სანახავად წახვალ, არც კვავის. ფარდაჩამოფარებულ აივანზე დაბრძანდები. სხვა ყველა სულიერი, ჩიტებიც კი, მზეს ჩრდილში დამალვია, მხოლოდ ჭიაფებს გამოუდვიათ თავი და თავთავებს დასტრიალებენ. ჩვენც აქ გადაჭიმულ ტენტს ვეფარებით, კაიუტების სარკმლები და კარები მოფრიალებული გვაქვს. სიო ოდნავ უბერავს, სახესა და გადაღელილ მკერდზე გველამუნება. მეზღვაურებმა უკვე ისადილეს (ისინი აღრიანად, ნაშუადღევს სადილობენ, როგორც სოფელში სჩვევიათ ხოლმე, დილის საქმეს რომ მორჩებიან). ზოგი ზარბაზნებს შუა დამსხდარა ჯგუფად, ზოგი გაწოლილა. ვინ საცვლებს იკერებს, ვინ ტანსაცმელს, ჩექმებს და თან ნელა ღიღინებს; ერდოზე ვიდაც ჩაქუჩს ურტყამს გრდემლს. მამლების ყვილის ხმა შორს ეფინება მშვიდ, უშფოთველ ოკეანეს. გესმის

კიდევ რაღაც ფანტასტიური ხმები, თითქოს სადღაც შორს, ძალიან შორს ზარებს რეკენო... ოცნებებითა და უცხო მოლოდინით სავსე შენი გამახვილებული წარმოსახვა მდუმარების სამეფოში ქმნის ამ ხმებს და ლურჯი ცის ფონზე რაღაც შორეული ლანდები გეზმანება...

გამოხვალ გემბანზე, გაიხედავ და წუთით დაგაბრმავებს ცისა და ზღვის თვალისმოპკრელი ბრჭყვიალი; ხომალდის სპილენძისა და რკინის ნაწილებზე სხივთა კონა ირეკლება; გემბანიც კი აუტანლად ბრჭყვიალებს და მისი სითეთრე თვალსა გპკრის. ძალე სადილიც იქნება; ნეტავ რას მოიტანენ სადილად? ბედად ტ[იხმენევი] დგას ვახტზე: იმას ვკითხავ: „დღეს რაა სადილად პ[იოტრ] ა[ლექსანდროვიჩ]?“ ის იყო პასუხი უნდა პოეცა, რომ კაპიტანი გამოვიდა. მოეჩვენა, ქარმა იმძლავრაო და ლისელების დადგმა ბრძანა. „აბა, ლისელები!“ — ბალღით იბოხებს ხმას პ. ა. — და ლისელების ნაცვლად კაპიტანს შესჩერებია. კაპიტანს ჩუმ-ჩუმად ეღიმება და გემბანზე ჩემთან ერთად სცემს ბოლთას. აი, კაპიტანმა ერდოზე რაღაც შენიშნა და იქით გასწია. „პო, სადილად რა გვექნება?“ — ვეკითხები ისევ პ. ა.-ს, რაკი კაპიტანი გაგვიცვალა. „გუფთის წვნიანი, გიყვართ?“ — „არა უშავს, ოღონდ მწვანილი თუ ბლომად ექნა“. „სულით და გულით, ღმერთმანი, დამიჯერეთ, არ დავიშურებ, — დამიწყომ მან მისთვის ჩვეული გრძნობითა და ენაშუებობით, — თავს დავდებ, ღამეებს გავათენებ, ოღონდ წვნიანში მწვანილი მეტი იყოს, მაგრამ არ შემიძლია, ღმერთია მოწმე, არ შემიძლია... თუმცა, თქვენი გულისთვის... პეი, მორიგევე! წადი, კარპოვს უთხარი, რომ იანცევს კიდევ გამოართვას მწვანილი და წვნიანს დაუმატოს. ხომ ხედავთ, ამას თქვენი გულისთვის ჩავდივარ. თუკი კეთილი იმედის კონცხამდე მწვანილი არ გვეყო, ჯანდაბას, მლანძღონ!“ მე გრძნობით ჩამოვართვი ხელი. „კიდევ რა იქნება?“ — ნაზად ვეკითხები, მისი სიკეთით გულაჩუყებული. „კიდევ... ბრინჯიანი ქათამი...“ — „ისევ ბრინჯიანი ქათამი!“ — შევვყვირე შეწუხებულმა. „მაშ რა ვქნა, გეთაყვა — ერთი ჩემი ამბავიც იკითხეთ: ხუთიოდე ცხვარი, სამი ლორი, თხუთმეტი იხვი და ოცდაათიოდე ქათამი დამრჩა. ესაა და ეს: ას ოცდაათიდან ესლა გადაავრჩა — აბა, იფიქრეთ! ხომ შიმ-

შილით დავიხოცენით!“ — მაგრამ დალონება რომ შემამჩნია, გულმა არ მოუთმინა. „რაც იყოს, იყოს, ხვალ ღორს დავავლევინებ...“ — „ვახტზე ლაპარაკი არ შეიძლება: ისევ ლისელ-სპირტი ხომ არ გინდათ დაამტკრიოთ!“ — უცბად მოგვესმა უკანიდან დაბრუნებული კაპიტნის მკაცრი ხმა. „რა ვქნა, იქვან! ა[ლექსანდროვიჩი] მელაპარაკება!“ — მყისვე შესჩვილა პ. ა.-მ, ხელი ქუდთან მიიღო და — „ლისელ-ფალი გაასწორეთო!“ — მრისხანედ შეუტია მეზღვაურებს. კაპიტანი ისევ გატრიალდა. პ[იორტი] ა[ლექსანდროვიჩი] მომცილდა. „სათქმელი რომ არ დაგიმთავრებიათ!“ — ვუთხარი მე. მან შიშით მიიხედ-მოიხედა. „კიდევ შემწვარი იხვი, — წყრომით გადმო-მიჩურჩულა იუტიდან, ჩემთვის არც შემოუხედავს, — ნამცხვარი...“ ამ დროს კაპიტნის თეთრმა ქუდმა გაიელვა იუტთან და მიიმალა. „იალღობი ინბირის მურაბით... თავი დამანებეთ: თქვენი გულისათვის სულ უბედურებას როგორ უნდა გადავეკიდო!“ — გაბრაზებით მითხრა და საჩქაროდ გამეცალა. ისე რომ, კინალამ ზღვაში არ გადააღაჯა. „დესერტი არ იქნება, — დასძინა თითქოს თავისთვის, — ზ[ელლიონიმ] და ბ[არონმა] ღამდამობით ყველაფერი შესანსლეს. კვირას სულზე თითო ფორთოხალსა და ორ ბანანს ძლივს დავარიგებ“. ხანდახან თუ შენ არ შეეკითხე, იქით არ მოუთმენს გული და გეტყვის: „დღეს შაშხი ამოვალბინე და მუხუდოც გამოვატანინე მარაგიდან“. ჰოდა, მთელ კერძებს ჩამოგიტვლის.

ნასადილევს, საათის სამზე, მუსიკოსები ამოჰყავთ იუტზე და ვერდისა და ბელინის ჰანგები ოკეანეს ეფინება. მაგრამ ნასადილევს მუსიკის თავი არავის აქვს. დამკვრელებს ხელის გასაწაფად უფრო აკრევივინებენ. ამ კლიმატში ნაშუადღევის ძილი, სიესტა აუცილებელია; ჩრდილოეთში რაც არ უნდა ცხელი დღე იდგეს, თუ ჩრდილში ზიხარ, არც დაიღლები და არც დაოსდები, შეგიძლია იმუშაო კიდევ. მაგრამ აქ, ამ პანანაქება სიცხეში, რაც არ უნდა თავი შეიკავო, მაინც დაიღლები, მაინც ტახტისკენ გეწევა გული, თუნდაც ტილოს თეთრი მსუბუქი პალტო გეცვას, პალსტუხი და ჟილეტი არ გაწუხებდეს და ჩრდილს იყო შეფარებული. მხოლოდ და მხოლოდ ძილია შენი წამალი.

ამასობაში ცხელი დღეც მიიწურა: მზე დასალიერისკენ

გადაიხარა. იცქირები სივრცეში და მაინც ვერაფერს ამჩნევ. მბეჯითად ვაკვირდებით ოკეანის გაშლილ სივრცეს და ვდუმ- ვართ, აბა, რა გვაქვს სალაპარაკო. კიდევ კარგი, თუ მფრინა- ვი თევზების გუნდი ამოხტა და ბელურებივით გადაიფრინა წყალზე: მყის ყველა ხელს იმათკენ გაიშვერს, თვალები გაუბ- რწყინდებათ. „შეხეთ, შეხეთ!“ — აყვირდებიან ყველანი, მაგ- რამ ყვირილი რა საჭიროა, სუყველა ისედაც ამ საცოდავ თევზებს უყურებს, რომლებსაც ბონიტების გუნდი გამოჰკი- დებია და იისფერი ზურგები წყლის ზედაპირზე უპრიალებთ. მიიმალებიან ისინი და მიიჩქმალება ყველაფერი, ოკეანე კვლავ უდაბური რჩება. ძილსა და სიმშვიდეს მოუცავს ზღვა და ცა, თითქოს სამუდამოდ მისძინებიაო. ალბათ ასეთ ნეტარ, მშვე- ნიერ, უმტკივნეულო სიკვდილს ინატრებს ვნებათა კიდილი- თა და ბედის ტრიალით მოქანცული კაცი. ალბათ ამიტომაც ეგზომ ანგარიშმიუცემლად წაგილებს და შეგიპყრობს ნეტა- რი ფიქრები, აგრე გაგაშტერებს ამ მშვენიერი დიდებული სიმშვიდის სურათი და ფიქრსა და გრძნობას გიბოჭავს: ამ სივრცესავით დუმს სული და არაფერი არხვეს მას. „რადაც მოცურავს!“ — დაიყვირა ერთხელ ერთმა ჩვენგანმა და შორს გაიშვირა ხელი. ყველამ იქით გავიხედეთ. ზოგი ჰოგრიტის მოსატანად გაიქცა. „ჰო, — დაუმოწმა სხვამ, — შავ წერტილს ეხედავ“. კვლავ დუმილი. წერტილი თანდათან იზრდება. „რა- დაც ყუთი უნდა იყოს“, — თქვეს მერე. „ყუთიო... ღმერთო ჩემო! შიგ რა არის?“ სუნთქვა შეგვეკრა მოლოდინში. ღმერთ- მა იცის, რა არ წარმოგვიდგა. ყუთი თანდათან მოახლოვდა. „საქათმეა!“ — შეჰყვირა ერთმა. ისევ სიჩუმე. „ჰო, მართლაც საქათმეა, — დაუმოწმა მეორემ, ბოლოს რომ ჩააკვირდა. — ალბათ რომელიმე ხომალდზე ქათმები გამოელიათ და ზღვაში უკრეს თავი“. — „მოიცათ, გეთაყვა, ლიმონების ყუთი ხომ არ იქნება?“ — ეჭვი შეაქვს ვინმე სკეპტიკოსს. „არა, — პასუხობს სხვა მოთვალთვალე, — ხედავთ, წინ ხარიხა აქვს“. კარგა ხანს ვადევნეთ თვალი საქათმეს, ვიდრე არ მიიმალა და კარგა ხანს ვიმსჯელებთ, გადააგდეს თუ განწირულ ხომალდის ნამსხვრე- ვიაო.

საათის ხუთზე მეზღვაურების ბანაობის დრო დგება. ჩაუშ- ვებენ ზღვაში იალქანს და ისიც წყლით გაივსება. მეზღვაუ-

რები ქიმიდან ხტებიან შიგ. მაგრამ თვალი კი გაფაციცებით უნდა გეჭიროთ მათზე: იალქნის გადაღმა მიუღით სული და ოკეანეში ლაღად ცურვა უნდათ. დახრჩობის შიში კი არ გვექონდა, ყველა ოსტატურად ცურავდა, ოღონდ ზვიგენების გვეფიქრებოდა. ისედაც ერთხელ მარსიდან იყვირა მეზღვაურმა: „ვეება თევზი მოდისო!“ მოცურავეებიც ყველანი წყლიდან ამორეკეს, ზვიგენს ჯერ ცხვრის შიგნეული გადაუგდეს, რომელიც მყის გადასანსლა, მერე კი ბარჯით დაქრეს. ზვიგენი ხომალდის ქვეშ მიიმალა და მის ადგილზე სისხლის ლაქა დარჩა. თან ორი თუ სამი თევზი მოჰყვებოდა, ლოცმანებს რომ ეძახიან. ისინი ხომ მუდამ დაჰყვებიან და მის გარშემო გველებივით იკლაკნებიან. პ[იორტ] ა[ლექსანდროვიჩი] გულდაგულ ფაციფუცობს ხოლმე ამ დროს. ასისთავივით ყველა გემბანს უვლის და ზარმაც მეზღვაურებს ზღვაში ყრის. „გასწი, გასწი, — ყვირის იგი, — ტანსაცმელი რატომ არ გაგიხდია? ვიტული ან ფადევეი სადღა არიან? ჩქარა წყალში! კოკებსაც (მზარეულებს) დაუძახეთ და აბანავეთ!“

ექვსი საათისათვის, სამუშაოს და სიესტის დამთავრების შემდეგ, ზღვაოსანთა საზოგადოება გარეთ გამოეფინება ხოლმე გასაგრილებლად. მაშინ კი გადაგვეხსნება გულისკარი ჩრდილოელთათვის უცხო, ნაზ და მგზნებარე სასწაულთა ჩასაბეჭდავად. დიახ, ეს სასწაულები არ ემორჩილებიან არც გაანგარიშებას, არც ციფრებს, მეცნიერებისა თუ გამოცდილების ტლანქ შეხებას. აბა, მიღი და ჩაიწერე ტროპიკული ცა და მისი სასწაულები, აბა, გაზომე და გამოიანგარიშე ის უსაზღვრო შეგრძნება, რასაც გულისკანკალით ნებდები, ვით სიყვარულის ტალღას. სადა ხართ, სად, ვ[ლადიმერ] გ[ეორგიევიჩი]? ჩქარა გამოსცურეთ ჩვენკენ და გვითხარით, რა ჰქვია ამ ნაზ ჰაერს, რომელიც თბილი ტალღებივით გვევლება, გელამუნება და განებვიერებს, ამ ფანტასტიურად მოელვარე ცას, ამ ფერებს, ჩასულ მზეს რომ დაუფრქვევია? ოქროში გაბნეული ოკეანეა თუ ოკეანეში ჩალვრილი ოქრო. ძოწისფერი ალი წაპკიდებია ყველაფერს, ნაზად, სალუქად, უკვამლოდ იკმევა ეს მარადიული, ჩაუქრობელი ალი და მიწას ერთი პაწაწინა ბალახიც არ გაგონებს. ნეტარ სიმშვიდეს მისცემია ზეცა და ზღვა — ეს არც მკვდარი სიმშვიდეა და არც ძილის სამეფო:

ეს თითქო გულით გამძღარ ვნების სიმშვიდე გახლავთ, რომელსაც ზეცა და ზღვა მისცემიან ნეტარი ტანჯვის შემდეგ და ახლა ჩახვეულ-ჩახუტულები ისვენებენ. მზე გაბედნიერებულ მიჯნურივით მიემართება და საყვარლის სახეზე ბედნიერების კვალი დაუტოვებია.

ამ ოქროდ მოგიზგიზე, თვალუწვდენელ ველზე ჯადოქრულ ქალაქთა, შენობათა, კოშკთა, ურჩხულთა თუ მხეცთა მთელი სამყარო ამართულა და ყველაფერი მხოლოდ ღრუბლებისგანაა ნაშენები. აგერ შეხეთ, უზარმაზარი ციხე-კოშკი ნელა, უხმაუროდ წამოემხო; დაინგრა ერთი ბასტიონი, მას მიჰყვა მეორე; იქ მაღალი კოშკი წამოქცეულა და საკუთარი საძირკველი ჩაუტანია. მაგრამ აგერ კვლავ მძიმედ ისხმება მთების, კუნძულების, ტყეების, გუმბათების ყალიბები. თვალმა ვერ მოასწრო მისი ასარკვა, რომ უკვე დნება და იშლება. მის ადგილზე ნელა გამოცურდა ხომალდი და ჰაერში დაეკიდა; ვეება ეტლიდან უკვე გოლიათი ქალის ტანი გამოიკვეთა; მხრები შერჩა, მაგრამ თეძოები დაშლილა და აქლემის თავი გამოჩნდა; აგერ ჯარისკაცთა მთელი მწყობრი მოქრის, აქლემს მიეჯარა და მალე ჩანთქა კიდევს.

განცვიფრებული თვალი აქეთ-იქით იყურება, ვინძლო დაინახოს, ვისი ხელია, თამაშ-თამაშით რომ აგებს და არწევს ჰაეროვან ზმანებათა რიგს. ნელი, ნარნარი რხევით ზანტად მოცურავს ოქროსფერ ჰაერში ეს ნაზი, გამჭვირვალე სურათები, ვითარცა ოცნებანი რიალებენ მითვლემილ სულში, ხან წარმტაც სახეებად იქცევიან, ხან იშლებიან, რა არის ფანტასტიურ ციმციმში კვლავ შეერწყან ერთმანეთს...

დაე მხატვრებმა გამონახონ ასეთი საღებავები, დაე თუნდაც გვითხრან, რა ჰქვია ამ ფერებს, რითაც მიმქრალ მზეს ზეცა შეუღებავს! შეხეთ: იისფერი საბურველი გადაეკრა ზეცას და ძოწისფერს შეერია; წუთიც და იქიდან მუქი მწვანე, ზურმუხტისფერი გამოსკვივის: აგერ მისი რიდე ჩამოეფარა მთლიანად ცას. ვარდისფერი, პირისფერი, ყავისფერი კოშკები, გუმბათები, ტყეები გაჩახჩახებულ ტაძრებივით სრიალებენ სწრაფად ჩაშვებული მზის უკანასკნელ სხივებზე... გაქვავებული, ხმაგაკმენდილი და დაბნედილი უცქერით მზისგან დარჩენილ ნაირფერ კვალს. მისი მცხუნვარე, გამოსათხოვარი სხივი თვალის

ნერვებს გილიზიანებთ, მაგრამ პოეტური ფიქრის ბურანში წასული თვალს მაინც ვერ აშორებთ; ვერ სტოვებთ ამ ნეტარ სიმშვიდეს, გინდათ სულ ასე დაბნედილი დარჩეთ. გონს მოხვალ და ოხვრით იტყვი: ო, ნეტამც ყველგან და მარადის ეგეთი იყოს ბუნება, ეგზომ მგზნებარე და ეგზომ დიდებული სიმშვიდით. სიდარბაისლით სავსე! ნეტამც ცხოვრებაც მას ემსგავსოს! ვნებათა ლელვის გაგიყებული ქარტეხილი განა ბუნებისა და ცხოვრების ნორმას წარმოადგენს, ის მხოლოდ გარდამავალი ეტაპია, მხოლოდ შფოთი და ბოროტება, შემოქმედების პროცესი. შავი სამუშაო გახლავთ ბუნების ლაბორატორიაში სიმშვიდისა და ბედნიერების შესაქმნელად.

მზე ჯერ მთლიანად არ ჩასულა, ფიქრი მთლიანად არ ჩამოგყალიბებია, მაგრამ აბა უკან მიიხედეთ ერთი: დასავლეთზე ჯერ ოქრო და ძოწი გიზგიზებს, აღმოსავლეთი კი უკვე მილიონობით ვარსკვლავებით მოქედილა და იქ მორცხვად, ზომიერად კამკამებს სამხრეთის ჯვარი! სიბნელე ქუდივით გადაგხურათ: გაქრა კუნძულები, გუმბათები, ურჩხულები. ვარსკვლავები ძალუმაღ, კადნიერად ციმციმებენ, თითქოს ეშურებიან, ვიდრე მთვარე ამოვა, მოვასწროთ ნავარდიო. თანდათან უფრო და უფრო იენქება ზეცა, გამოდის და გამოდის იქიდან ვარსკვლავთა ჯარი. აქამდე რომ ჰაეროვან კოშკებს აგებდა, კვლავ ის უხილავი ხელი ახლა საჩქაროდ ანთებს ყოველ კუთხეში სანთლებს და აი, გაბრწყინდა კიდევ ღამის ნადიმი! ახალმა ძალამ, ახალმა ფიქრმა, ახალმა ნეტარებამ დაისადგურა შენს სულში. გუშინდელივით ისევ ეძიებ ამ სინათლის ციმციმში აზრს, ხარბად კითხულობ ცეცხლის ასოებს და იქით მიილტვი...

მაგრამ აგერ ამობრძანდა მთვარე: ის არც მიმჭრალია, როგორც ჩვენთან, არც ჩაფიქრებული, არც ნისლში მცურავი; ბროლივით წმინდად კამკამებს, ამაყად აფრქვევს თეთრ სხივებს, არც პოეტებს შეუშკიათ ჩვენებრ მრავალგზის და, მაშასადამე, უბიწოებაც არ დაუყარავს. ის გადამწიფებული მზეთუნახავი არ გეგონოთ, დიანასავით მხნე, სიცოცხლით სავსე და კდემამოსილი ქალწული გახლავთ. მისი გამკვეალავი შუქი ცასა და ზღვას გადაეფრქვია; ვარსკვლავთ კადნიერი ციმციმი შეანელა და სათნოებით, დიდებულებით სავსე დილამდე გამეფდა ცაზე. ხომ არ გგონიათ, ოკეანემ დაიძინა? არა, ვარსკვლავებზე

მეტად ის ციმციმებს და ათასფრად ელავს. ხომალდის ქვეშ პირი დააღო ცეცხლის უფსკრულმა, ხმაურით გამოიჭრა იქიდან ოქროს, ვერცხლისა და გავარვარებულ ნაკვერჩხალთა ღვარი. თვალი მოგეჭრათ, შემოქმედების ნეტარი სიზმრები შემოგეჯარათ... უძრავად მიშტერებიხართ ცას: ხან ოქროსფრად, ხან სისხლისფრად, ხან ზურმუხტის ნამით ივსება კონოპუსი, არგოს ხომალდის კაშკაშა მნათობი, ცენტავრის ორი უშველებელი ვარსკვლავი. მაგრამ აგერ სამხრეთის ჯვრის ოთხ ვარსკვლავზე სიყვარულით გადაიტანეთ მზერა და თვალმაც დაისვენა ამ უღვთო ბრჭყვიალისაგან. მორცხვად კამკამებენ ისინი, გგონიათ, ქვეიანურად, დაკვირვებით ჩამოგკქერიან. სამხრეთის ჯვარი... არ შეგმთხვევიათ (განა შეიძლება პოეტს არ შემთხვეოდეს) ქალის სილამაზესა და მოხდენილობაზე ყურები გქონდეთ გამოქედილი, გაიცნოთ და თავბრუდამხვევი ვერა ჰპოვოთ რა მასში: უყურებთ ამ ქალს გაკვირვებული და ფიქრობთ: „რა აქვს გადასარევი? ერთი უბრალო, მორიდებული ქალია, სხვებისგან ვერ გამოარჩევ...“ უმზერთ დიდხანს, დიდხანს და უცბად გრძნობთ, რომ უკვე თავდავიწყებით გიყვართ! პირველად რომ სამხრეთის ჯვარს ნახავთ, იგივეს იტყვით: ნეტავ რა აქვს არაჩვეულებრივიო? უყურებთ იმასაც დიდხანს და ბოლოს, შემოლამდება თუ არა, პირველად ამ ჯვარს დაუწყებთ ძებნას ცაზე, მერე ვარსკვლავებსაც მოავლებთ თვალს და ისევ იმას დაუბრუნდებით, ისევ იმას შეაკქერდებით ხშირ-ხშირად და დიდხნობით.

პაპანაქება დღეს დიდი ღამე მოსდევს, ნეტარი, ტკბილი, დახუთული ღამე. ზემოთ ციმციმებენ ვარსკვლავები, ქვემოთ ცეცხლის ღვარი იფრქვევა, ჰაერში ნეტარება გაღვრილ-გალურსულა. ღმერთო ჩემო! რა ტყუილად შთება ეს ღამეები: არავინ მღერის სერენადებს, არავინ ოხრავს, მიჯნურთა ჩურჩული არ არღვევს მყუდროებას, არ ისმის ბუღბუღთა კვნესა! მხოლოდ ფრეგატი მიარღვევს ტალღებს, შიგადაშიგ დაუძლურებული იალქანი დაიგმინებს თუ გატყლაშუნდება, ან კიჩოს ტალღა მიეხეთქება — მერე ისევ გამეფდება ეს საზეიმო, ეს დიდებული სიჩუმე!

უმზერთ ამ სასწაულთ, ციმციმისა და კამკამის სამეფოს, უმზერთ დაბრმავებული და თვალმოჭრილი, თუმცა გამდიდრე-

ბული და გაბედნიერებული უჩვეულო ოცნებებით და ზმანებებ-
ბით, უმზერთ ქანდაკებადქცეული და ჩაფიქრებული ჩურჩუ-
ლებთ: „არა, ეს არც რუკებზე მინახავს, არც ინგლისელებსა და
ამერიკელებს უთქვამთ, არც მასწავლებლებს უნიშნებიათ;
მხოლოდ პოეტური გრძნობა მკარნახობდა, ისიც ძალზე მკრქა-
ლად და ბუნდოვნად; ის იყო, რომ ჯერ კიდევ ბაღს იღუმა-
ლად მიტყუებდა აქეთ და ჩამჩურჩულებდა:

აი, აზია, ადამის წინაპართა ქვეყანა,
აგერ კოლუმბის ნორჩი მიწა!
და შენც გასცურავ იქ,
იმ ძველთაძველ მუღამ ახალ ადგილებში,
სადაც სულ სხვა ვარსკვლავები კიაფობენ,
სად ჯერის თანავარსკვლავედის შუქი ციმციმებს...!

მაშ, ხელი მოჰკიდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენს
ლირას, თქვენს პალიტრას, და გამოესწრაფეთ აქეთ, რადგან
მხოლოდ თქვენს ენას, ამ ზეცასავით დიდებულ, ღმერთების
მდიდარ ენას ძალუძს ილაპარაკოს აქაურ ბუნებაზე. მე კი უძ-
ლური აღმოვჩნდი და დადუმებას ვარჩევ ამიტომ!

1853 წლის მარტი
ატლანტის ოკეანე.

კეთილი იმედის კონსახე

Falsebay-ში¹ ჩასვლა. — საიმონსბეი და საიმონსტოუნი. — კაპშტატი. — Welch's hotel² — სუფრა მთა, ლომა მთა და ეშმას მწვერვალი. — ბოტანიკური ბაღი. — კლუბი. — ინგლისელები, კოლანდიელები, მალაელები, პოტენტოტები და ზანგები. — კოლონიებში გამგზავრება. — სომერსეტი. — სტელენბოში. — ელზენბორგის ფერმა. — პაარლი. — ველინგტონი. — მისტერ ბენი. — საპატიმროები და პატიმრები. — გზები, — ხეობა. — უსტერი. — მინერალური წყაროები. — უკან გამობრუნება. — გველის სერი. — მდივან-ჩიტი. — ვინბერგი. — კაფრთა ბელადი სეიოლო. — ხომალდის გამგზავრება.

1853 წლის 10 მარტიდან 12 აპრილამდე.

დიდნი იყო ეს ჩვენი ხომალდი, ბევრნი ვიყავით ჩვენც, თავის გასართობიც ბლომად გაგვაჩნდა, მაგრამ ამდენ ხანს ზღვაში ცურვამ მაინც ყველა გაგვაბეზრა! ორმოც დღეზე მეტია, ნაპირი არ დაგვინახავს. ყველაზე გამოჯიკილები და ამტანებიც კი დაღმეკილები გაპყურებდნენ ზღვას და გულში ფიქრობდნენ: ნეტავ სხვა რასმე თუ ვნახავთო? ერთმანეთს ზედაც არ

¹ ფალსბეი (ინგლ.)

² ჯალბატონ ველჩის სასტუმრო (ინგლ.)

ვუყურებდით. ვერც საქმეს ვუღებდით გულს, აღარც კითხვა შეგვეძლო. ყველამ იცოდა, სადილად რა გვექნებოდა, ვინ რომელ საათზე მიწვებოდა, არც ის გვართობდა, თუ სხვას დახეულ წალას შევამჩნევდით და შარვალი კუპრში ამოესვრებოდა.

სამხრეთ ტროპიკებში რომ შტილმა დაგვატყვევა, ეს ამბავი უკვე მოგწერეთ. შტილის შემდეგ, როგორც იქნა, გვეღირსა ქარი, მაგრამ რა ქარი! ისევ ძველებურად შემოგვიტია: არც სიარული, არც ჯდომა, არც წოლა შეიძლებოდა შენს გემოზე! ეს მარტის დასაწყისში, მგონი, ხუთშაბათს იყო. აღარ შეგაწყენთ თავს რწევის აღწერით. ოღონდ ისე კი გამიწყალა გული, რომ, მგონი, ზღვა სამუდამოდ შემაძულა. ნაპირთან ზღვამ ფერი იცვალა: ლურჯის მაგივრად მომწვანო-ყავისფერი დაიკრა და თევზის ხარჩოს დაემგვანა. თურმე ზღვის მცენარეების, კომპოსტოს, ბალახისა და ცხოველების ბრალი ყოფილა. ერთ ღამეს რაღაც უჩვეულო ფოსფორისებური ბრჭყვიალი გაუდიოდა ზღვას. რა სურათი იყო! როცა ღამით პირდაპირ ოკეანიდან ამოღებულ წყალს ვივლებდით ტანზე, სიბნელეში ნაპერწკლები სულ ტანზე გადაგვდიოდა და ძირს, გემბანზე ქრებოდა. ესენი თურმე პატარა ცხოველებია, მგონი, მედუზები ჰქვიათ. ზღვას უკვე მიწის სუნი დაჰკრავდა, იქაურ კვალს გვიტოვებდა, ნაპირს გააფთრებით ეხეთქებოდა, თევზებს, ნიჟარებს გადაჰყრიდა და სილას და ქვიშას დაითრევდა. მერე რამდენი თვალით უხილავი თუ უცნობი ქმნილება მოძრაობს მის სიღრმეში, სადაც სიცოცხლე დულს და გადმოდულს. მათ ვინაობას ჯერჯერობით მხოლოდ ალბატროსები, თოლიები, ზღვის მერცხლები იკვლევდნენ ბეჯითად და წყალს დაბლა დასტრიალებდნენ. მარტო ეს ფრინველები ასულდგმულებდნენ ზღვას. მათში ბლომად ირეოდა ბოკოთავა, მაგარნიკარტიანი მოზრდილი ფრინველები, წვრილი ამლავი ფერის ფრთებით, რომლებსაც ჩვენში „ყრუიუნებს“ ეძახიან. მართლაც გამოშტერებული გამომეტყველება აქვთ. ხორცი უგემური და მაგარი ჰქონიათ. ყრუიუნები ხომალდს თავს დასტრიალებენ და ხშირად იალქნებში ფრთებით იხლართებიან.

7-სა თუ 8 მარტს ქარი ჩადგა, ნათელი, თბილი დარი დაიჭირა. უცბად წყალზე უზარმაზარი წითელი ლაქები შევამჩნიეთ.

ორიოდე ვედრო რომ ამოვიღეთ, ვნახეთ, თურმე ქვირითი იყო, სწორედ ამის წინ თევზების გუნდი მიცურავდა ფრეგატის ცხვირთან. მინდოდა ბანაობა გამეგრძელებინა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეს ტროპიკი აღარ იყო, წყალი ცივი გამოდგა, მით უმეტეს ისეთი ქარის შემდეგ. როცა ფაღვევმა წყალი გადამავლო და მე შევეყვირე, კინალამ სიცილით გაგორდა.

9 მარტს Falsebay-ში ვაპირებდით შესვლას, მაგრამ ღამით შეუმჩნევლად ჩაგვივლია გვერდი და თხუთმეტიოდე მილის დაშორებით, კონცხის მეორე მხარეს ამოვყავით თავი. აფრიკის სამხრეთ ნაპირს ქარისგან თითქმის გაშავებული, უშველებელი კლდეები უზარმაზარი ციხე-სიმაგრის ქონგურებივით შემოვლებია. აქ საუკუნეების მანძილზე ტიტანების ხელჩართული ომია გაჩაღებული, ერთმანეთს შებმიან ზღვა, ქარი და მთები, წყალი დღენიადაგ ეხეთქება ნაპირს და თითქმის დღენიადაგ დაქშუის ქარიშხალი. ყველაზე ლამაზი Hanglip-ის მთაა. მწვერვალი ცერად გადმოხრილა შუამდე, ძირი კი ზღვაში შექრილა. მთის წვეროები ქვიშიანია, ხოლო ძირი გრანიტისა აქვს. ბოლოს, 10 მარტს, საღამოს ექვს საათზე, ქვემოთ კიბიდან ამომავალმა ზევით ავიხედე და სახტად დავჩჩი: მთა პირდაპირ ჩვენსკენ მოემართებოდა. „მეჩჩჩხე ხომ არ აღმოვჩჩნდით?“ — ვკითხე პაპას. „რას ბრძანებთ! ენამ არ გიყვილოთ— ღუზაზე ვდგებით!“ მართლაც მომესმა ბრძანება: „ყურედან გამოდით!“ მერე: „ღუზა ჩაუშვითო!“ გაისმა ჯაკვის რაჩხარუჩხის ხმა, ფრეგატი შეირყა და გაჩერდა. ნაპირიდან ვერს ნახევარზე გავჩჩრდით. იქ იმხელა მთა იყო დაყუდებული, რომ საიმონსტონის სახლები და ტაძრები ლამის მიჩჩქმალა და ნაპირსაც უფრო ახლო აჩენდა. მაგრამ როცა შემდეგში სუფრა მთა ვნახე, ეს უკვე ბორცვად მომეჩჩენა. ჩვეულებისამებრ სხვადასხვა ჯურის ხალხი გვეწვია ხომალდზე: ვინ დანიელების, ვინ პოლანდიელების თუ სხვათა ხომალდებიდან სარეკომენდაციო ბარათებით, დაგვეხვია მკერავები, მამაკაცი მრეცხავები და მისთანანი.

საიმონსბეი პატარა, მყუდრო კუთხეს წარმოადგენს ფალსბეის დიდ ყურეში. იქ მარჯვედ უნდა შეიყვანო ხომალდი, თორემ შესაძლოა ლოდებს დაეჯახო, რომლებისთვისაც რატომღაც „რომის ლოდები“ დაურქმევიათ, ან არადა „ნოეს კი-

ლობანს“ გადაეჩეხო. ამ დიდ ბრტყელ ლოდს ყურის შესავალში წყლიდან ამოუყვია თავი, ნაპირიდან რამდენიმე საუენზე, ნაპირიკ დიდი თუ პატარა ლოდებითაა მოფენილი. აპრილიდან მოყოლებული ეს ხომალდების სადგომი გახლავთ; სუფრა მთის ყურეში მდგარი ხომალდები ზამთრობით აქ გადმოდიან, რა არის სამხრეთ-დასავლეთის ძლიერ ქარებს თავი შეათარონ. საიმონსის ყურე ყოველ მხრივ მთებითაა შემორაგული.

როგორც კი ლუზა ჩავუშვით, ქალაქის მარცხნივ მდგარ მთას ღრუბელი შემოეხვია და პარიკივით ჩამოეხურა მის წვეროს. ერთ ყველაზე მაღალ კლდესაც გადმოეკიდა ღრუბელი და უზარმაზარ ჩიბუხიდან ამოსულ კვამლივით ხევ-ხევ დაეშვა. მთის ძირას ორმოციოდე ინგლისური ნაგებობის სახლი იდგა; ორი ტაძარიც დავინახეთ, ერთი პროტესტანტული და მეორე კათოლიკური. საადმირალოსთან ინგლისელი გუშაგი გაქიმულა, ყურეში ინგლისური ესკადრა ტორტმანებდა ტალღებზე. ყველაზე საუკეთესო სახლი ესკადრის უფროსს კომოდორ ტალბოტს უჭირავს.

ამ კუშტ პეიზაჟის შემყურეს არც მცენარეთა სიუხვე გინარებს თვალს. კედარის, მუხების ბაღები, ცოტა ალვის ხეები, ცოტა ვაზი, აქა-იქ კვიპაროსი და ტვია, ეკლიანი კაქტუსებისა და ვეებერთელა ალოების ცოცხალი ღობეები, რომელთაც ფესვები უკვე ხედ ქცევიათ, ესაა და ეს აქაური სიმწვანე. ყველაფერი გატიტვლებულა, გაუდაბურებულა და პირქუში იერი დაჰკრავს. ქალაქში რამდენიმე კარგი ღუქანი შეგხვდება. ერთს ცალკე სახლი უკავია და შეიძლება მდიდარ ღუქნადაც ჩაითვალოს.

ჩემი თანამგზავრები წარამარა გადადიოდნენ ნაპირზე, ნაწილი კაშტატშიც გაემართა. მე კი გემბანზე დავყალიბდი, მთებს გავცქეროდი. წიგნს მოვკიდე ხელი — გული ვერ დაუდე; დაწერა მოვინდომე — ვერც ეს შეეძელი. სამი-ოთხი დღე ამ მდგომარეობაში ვიყავ. ერთხელ ჩვენები ნაპირიდან მობრუნდნენ და მიამბეს, რომ ნავსადგურში ერთი ბერიკაცი მოახლოებიან და წმინდა რუსულით უთქვამს: „გამარჯობათ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!“ „ვინა ხარ? სადაური?“ — უკითხავს ჩვენს ოფიცერს. „რუსი ვარ, 1814 წელს ფრანგებმა

ჩამიგდეს ტყვედ, მერე ვატერლოოზე ინგლისელებსაც ტყვედ ჩავუვარდი, აქ ჩამომიყვანეს, შავკანიანი შვეირთე და ექვისი შვილი მყავს“. „რომელი კუთხიდან ხარ?“ „ორლოვის გუბერნიიდან“. მაგრამ სხვა მისგან ვერაფერი შეიტყვეს, რუსული თითქმის დავიწყებოდა. ჩვენი ფრეგატი გააშიშვლეს, რანგოუტი დაუშვეს, ვანტები მოხსნეს და გაჩაღდა ერთი მუშაობა. ნავები ნაპირსა და ფრეგატს შუა წარამარა დასრიალებდნენ. პ. ა. ტ[იხმენევი] უკვე ყვითელ პალტოში გამოწყობილიყო, თავზე ცისფერლენტიანი ჩალის ქუდი დაეხურა. ყოველდღე მიდიოდა ცარიელი ნავით ნაპირზე და იქიდან სავსე ნავით ბრუნდებოდა, თუმცა უფრო სწორად ხორცეულით, მწვანილით, ხილით და ტ[იხმენევით] დატვირთული ნავი ბრუნდებოდა. ჩალის ქუდი ყვავილივით ყელყელაობდა ხარის კანკსა და საზამთროებს შუა.

„სად ვიმყოფებით-მეთქი? „— ვკითხე ერთხელ უსაქმობით გაბეზრებულმა ფადეევს. მან ექვის თვალით შემომხედა, იცოდა, ტყუილად არ შევეკითხებოდი. „აბა რა ვიცი“, — მიპასუხა და ჩვეული გულგრილობით შეათვალიერა კედლები. „სწორედ სიბრიყვეა, სად ჩამოხვედი, არ გაიგო“. ფადეევს ხმა არ ამოუღია. „ჰო, თქვი“. — „მე საიდან მეცოდინება?“ — „მაშ რად არ იკითხავ მაინც?“ — „რაში მჭირდება?“ — „შინ რომ დაბრუნდები და გკითხავენ, სად იყავიო, ნეტავ რას ეტყვი? აბა, მე გეტყვი და დაიხსომე: საიდან მოვედით?“ ფადეევმა თვალი მომაშტერა, სულითა და გულით უნდოდა გაეგო, რა მინდოდა მისგან და რა ეთქვა ჩემს დასაკმაყოფილებლად. მე კი მეწადა, ცოტა ტვინი გამენძრევიანებინა მისთვის. „საიდან მოვედით?“ — შემომიბრუნა კითხვა. ჰო, საიდან?“ „ინგლისიდან“. — „ინგლისი სადაა?“ მან უფრო აღმაცერად შემომხედა. შევატყვე, კითხვა ვერ გამიგო. „საფრანგეთი, იტალია სად მდებარეობს?“ — „არ ვიცი“. — „რუსეთი მაინც სად იქნება?“ „კრონშტადტში“. — მარჯვედ მომიგო მან. „სად და ევროპაში, — გაეუწწორე მე. — ახლა აფრიკაში ჩამოვედით, მის სამხრეთ ნაპირზე, კეთილი იმედის კონცხზე“. — „მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ“. — „ჰოდა, გახსოვდეს!“.

ფადეევის გეოგრაფიული გაკვეთილიც დიდი გართობა იყო ამ მთებისა და ქვიშის სამეფოში, ამ მივარდნილ ადგილას. ფრეგატზე გაფაციცებით ემზადებოდნენ: ყველგან გემსართავები და რეები ეყარა; გვერდს ვერ აუვლიდი. მხოლოდ იუტზე შეიძლებოდა სიარული; იქ დროდადრო მუსიკა უკრავდა. ვათვალისწინებდით ნაპირს, ვთევზაობდით. ერთხელ რაღაც სქელი თავგოგრა თევზი ამოვათრიეთ, ქიცვი არ ჰქონდა; მუცელი ყვითლად ულაპლაპებდა, ზურგზე ხალები ასხდა. გეჯაში მოვათავსეთ. ვიღაც ინგლისელი გვეწვია და ეს თევზი რომ ნახა, საჩქაროდ გაგვაფრთხილა, არ ჰამოთო. „ეგ შხამიანია, ხუთათ წუთში ჰკლავს ადამიანსო. ერთხელ ჰოლანდიურ ხომალდზე რამდენიმე კაცი მოიწამლაო. თუ ნაპირზე გამორიცხა წყალმა, ხანდახან ღორები ჰამენ, დაპროწილდებიან და მერე იხოცებიანო“. გემრიელი თევზიც ბლომად ამოგვყავდა, კაპარჭინას ჩამოგავდა ერთი შეხედვით; კიდევ რაღაცნაირი წითელი თევზები იყო, ბრტყელებიც; ვინ მოსთვლის, რა ჯურის თევზს არ შეხვდები აქ. მოგვიტანეს შესანიშნავი ყურძენი, საზამთროები და მშვენიერი მსხვილ-მსხვილი კიტრები.

მეოთხე დღეს მეც მოვემზადე ნაპირზე გადასასვლელად. ჩვენი ექიმები და ბ[არონი] კ[რიდნერიც] მოდიოდნენ. პირველები ბოტანიკოსობას აპირებდნენ, მე და ბ. კ-ი იმათ ხელის შეშლას. ნაპირზე აქა-იქ ეყარა ღორები, თითოეულისგან მშვენიერი სახლი გამოვიდოდა. მე რომ წასვლა დავაპირე, ფადეევი გამომეცხადა. „მეც წამოგყვებით, თქვენო მალაკეთილშობილებავ!“ — მითხრა. „სადა?“ — „სადა და აფრიკაში“, — ჩემი გაკვეთილი დამახსოვრებოდა. „იქ რა გინდა?“ — „აი, იმ მთაზე მინდა ავიდე!“

ნაპირზე გადმოვედით და მალაელების, ზანგებისა და აფრიკელების ჯგროში გავერიეთ. აფრიკაში დაბადებული თეთრები თავს აფრიკელებს უწოდებენ. ზოგი საადმირალოში მუშაობდა, ზოგი უქმად აყუდებულიყო და ხან ზღვას გასცქეროდა, ხან ხომალდებს, ხან გადმოსულებს, ერთი სიტყვით, თვალში რაც მოხვდებოდათ. ჩვენ მსახურები მოგვყვებოდა; ვის თოფი მოჰქონდა, ვის მწერების საჭერი ბადე, ვის ჩაქუჩი ღორების სამტვრევად. „შეხეთ,—ვეუბნებოდით ერთმანეთს,—

ჩვენებურს აქ ვერაფერს შეხვდები: ადამიანიც აქ სხვანაირია, ტანსაცმელიც და ადათებიც სხვა მიუღია“. ლობეებად კაკტუსებისა და ალოების ბუჩქები გამოუყენებიათ. ვაი შენი ბრალო, თუ ბუჩქს მოეჭიდე — ჩვენი ჰინქარი მოგონებაა იმასთან! არათუ პატიოსანი კაცი, ვერა ქურდი და ვერა მიჯნური ვერ გადაძვრება ამ ლობეზე: თვალთ ძლივს შესამჩნევი მილიონი ეკალი მსწრაფლ შეგესობა ხელში. არც ქვა ჰგავს ჩვენებურს, ქვიშასაც წითურა ფერი გადაჰკრავს, ბალახიც უცნაურია: ერთი რაღაც დახუქუქ-დაკულულებულია, მეორე თითის სიმსხოა, მესამე ხავსივით მურა ფერისა, იქით რაღაც მორუხო ჩანს. ქალაქი უკან მოვიტოვეთ და ზღვის პირას სუფთა სილას გავყევით: ფეხქვეშ ხრაჭუნი გაჰქონდათ ნიჟარებს. „არა, ჩვენსას არაფერი ჰგავს“, — ვიძახდით და ხან ნიჟარას დავწვდებოდით, ხან კენქს. აგერ ბელურამ ჩაგვიფრინა — ისიც ჩვენებურზე უფრო მორთულ-მოკაზმულა, ქეშმარიტად ფრანტს მოგაგონებს, თუმცა რაც არ უნდა მოირთოს, მაინც ბელურაა და მაინც. ისევე დაფრინავს, იგივე ნირი სჩვევია და ჩვენებურივით ისევე იქეჩება გზაზე დაყრილ ყოველ სიბინძურეში. ვნახეთ მერცხლებიც და ყვავებიც; მაგრამ მერცხლებს უფრო მორუხო ფერი გადაჰკრავთ, ყვავები კი გაცილებით შავები არიან. ძალღმა დაგვიყუფა, მაგრამ ესეც გვეუცხოვა, თითქო უცხო ენაზე გვიყუფსო. ქუჩებში ყარაჩი, თავქოჩორა ბიჭები დარბოდნენ, ირეოდნენ შავკანიანი თუ ყავისფერი ქალები, მალაელები, თავზე ზარებივით ჩალის ქუდი ეხურათ, ოღონდ უფრო გაშლილი და ცოტა ზემოთ აწეული ფარფლებით. მარტო ღორი იყო ჩვენებურივით გამურტლული, ფერდით ისევე გააფთრებით ეხახუნებოდა კუთხეს, თითქოს მთელი სახლის დამხობა უნდაო. ბაღაში, ტეიებში ჩამჯდარი კატაც გულმოდგინედ ილოკავდა თათს და მერე თავზე ისვამდა. — ჩავუარეთ სახლებს, ბაღებს, გავყევით სილიან გზას, მოვიტოვეთ უკან ციხესიმაგრე და ქალაქიდან მარცხნივ გავედით.

წინასწარ გაგვაფრთხილეს, შუადღისას ბუჩქებს მოერიდეთ: ამ დროს გველები გამოძვრებიან ხოლმე მზეზე გასაფიცებლადო; მაგრამ ჩვენ არ დავუჯერეთ, ბუჩქებს ჯოხებს ვცემდით და გაბედულად მივიკვლევდით გზას. გველები, მგონი,

ადამიანებს უფრო უფროსიან, ვინემ ადამიანები გველებს. მხოლოდ ხელი და ვინახე და ხელჯობით დაქერა დავუპირე, მაგრამ წარმოუდგენელი სისწრაფით შეძერა სოროში. გზაზე სამი შავკანიანი ქალიც მოდიოდა. ერთს შევეკითხე, რომელი ტომიდან ხარ-მეთქი. „ფინგო! — მითხრა ჯერ, — მოზამბიკ, — მომადხა მერე, — პოტენტოტიო!“ და სამთავემ ხარხარი ატეხეს. შავკანიანი ქალების თავხედური ხარხარი არა ერთხელ მომისმენია. თუ უბრად ჩაუარე გვერდი, არა უშავს რა. მაგრამ თუ შავკანიან ლამაზმანს სახელი ან გზა გამოჰკითხე, ჯერ გიპასუხებს, მერე კი, ამხანაგებიც თუ გვერდით ჰყავს, ერთად დაგაყრიან სიცილს. „ბიჩუანი! კაფრი!“ — ისევ მოგვეკიოდა დედაკაცი. მართლაც დედაკაცი იყო. დედაკაცებივით თავზე თავსაფარი წაუკრავთ, წელზე ქვედაწელივით რაღაც შემოუხვევიათ, როგორც სარაფანს აქვს ხოლმე, ზემოდან პერანგი აცვიათ. ყელზე ხან ყელსახვევი უკეთიათ, ხან არა. ყავისფერი ტომიდან ზოგიერთი ქალი გასაოცრად მოგავს ჩვენი სოფლის სახედამწვარ ბებრუხუნებს. სამაგიეროდ შავკანიანებს ვერავის მიამსგავსებ: გადმობრუნებული ტუჩები, წინ გამოწეული ყბები და ნიკაპი, კუპრივით შავი თვალის კაკალი, თვალის ყვითელი გარსი და ბროლივით ქათქათა კბილები. შავკანიანის სიცილი რაღაც საშინელი და ამაზრზენია.

ლოდებში მთელი მუხეუმი აღმოვაჩინეთ, მათ გააფთრებით ეხეთქება ტალღები. რა არ იყო იქ: ნიჟარები, სიპინები, ზღვის ზღარბები თუ კიბორჩხალები. ლოკოკინები ისე მიჰკვროდნენ ქვას, ვერას გზით ვერ ავაგლიჯეთ. ელასტიურებიც ყოფილან, ხელს თუ დააქერ, მყის შადრევანივით ამოასხამს წყალი. ზღვის ზღარბი ნახევრადმცენარეა და ნახევრად ცხოველი: იზრდება და, მგონი, სუნთქავს კიდეც. გუნდასავით ბალახოვანი სხეული მწვანე ბალახისვე ჯამში აღმოცენებულა, სულ ეკლებით დაფარულა და ათასფრად ელავს. ჩვენმა მოხალისე-ნატურალისტმა ქვეყნის ზღვის ზღარბები, ყვავილები, წკნელები, ფოთლები და ნიჟარები შეაგროვა. ნიჟარები დიდი ვერაფერი შეილი იყო. პოტელში ამაზე გაცილებით უკეთესი, საოცრად დიდი, ნაირფერი ნიჟარები ვნახე. ვიკითხე: „აქაურია-მეთქი?“ „არაო, — მითხრეს, — წმინდა მავრიკის კუნძულიდან არისო“. არა ერთხელ შემიმჩნევია, სადაც არ მიხვალ და შესანიშნავ

რასმე არ ნახავ, თუ იკითხე სადაურიაო, უთუოდ ან წინ მდებარე კუთხეს დაგისახელებენ, იქიდანააო, ან უკანაზე მივითითებენ. კაპშტატში თამბაქოს მაღაზიაში ასანთის ბუდე ვნახე, ლამაზი, ორფერი. ხისგან გამოთლილი. მაშინვე ვიყიდე რამდენიმე ცალი კეთილი იმედის კონცხის სახსოვრად. ხეს რა ჰქვია-მეთქი. რომ ვიკითხე, „ბოქსიო“, — მითხრა ინგლისელმა. „საიდან არის-მეთქი?“ — „ინგლისიდანო“, — მიპასუხა. წმინდა მავრიკის კუნძულზე ალბათ მეტყვიან, ნიჟარები პარიზიდან არისო. თუმცა ეს პროვინციალური მანერა — საკუთარი საქონელი უთუოდ დედაქალაქისეულად გაასაღონ, თურმე ყველგან სჩვევიათ. რაც არ ვიკითხე აქ — ქუდი იყო ეს თუ წაღა — ლონდონისა არისო, — მიპასუხეს. გამახსენდა ჩვენი მაზრის ქალაქები და ლიალურჯ ფიცარზე წარწერილი ნიჟნელი მკერავიო. თამბაქოს დუქნის პატრონს ეგონა, რომ ძალზე გამახარებდა, თუ თავის საქონელს ინგლისურის იარლიყით შემომატყუებდა.

სეირნობიდან დაბრუნებულებმა აქაური სასტუმრო Fountain hotel-ში შევიარეთ: პოლანდიურად ნაგები სახლი იყო, აივანივით წინ საჩეხი ჰქონდა, დალაგებულ-დაკრიალებული ოთახები, გალაქული იატაკები. ჭერი აღმოსავლეთ ნაპირიდან, ნატალის ნავსადგურიდან ჩამოტანილი მუქი ხისგან გაეკეთებინათ. კოლონიებიდან მისი ჩამოტანა ძვირი ჯდება, ამიტომ ხეს აქ მხოლოდ ავეჯზე თუ სხვა აუცილებელ ნახელავზე ხმარობენ. სამაგიეროდ ქვა მუქთად ყრია და ყველა სახლი ქვისაა. საიმონსტოუნიდან კაპშტატში რომ მივდიოდით, გზაზე რამდენიმე ლატაკური ქოხი დავინახეთ, ნაპირზე გამორიყულ ვეშაპებისა თუ სხვა ცხოველების ძვლებისგან ნაშენი. ყველანი ფანჯრების ყალუხებთან მივსხედით, მართალია, უკვე 15 მარტი იყო, მაგრამ ცხელოდა, მზე აცხუნებდა, როგორც ჩვენში ივლისში ან აქ დეკემბერში იცის.

ბუხარზე თუ ყოველ კუთხე-კუნძულში მინერალები, ნიჟარები, ფრინველთა, მხეცთა თუ გველების ფიტულები ეწყო, ალბათ „წმიდა მავრიკის კუნძულიდან“. ბუხარში ბლომად ელაგა ხმელი ყვავილი, როგორც მითხრეს იმორტელი სჯიშისო. წლების მანძილზე ის არ იცვლება. ათი წლის შემდეგაც ისევე ხმელი; ისევე ჰყვითელა ფერისა დაგხვდება, რო-

გორც მოუწყვეტელი, და არც მაშინ ექნება სურნელის ნასახი. ინბირის ლუდი და კონსტანის ღვინო მოვითხოვეთ, ცნობილი კონსტანის მთის ნაწარმი. ლუდი ბიკმა სულ ბ[არონ] კ[რიდ-ნერს] დაასხა, კონსტანის ღვინო კი ისე ტკბილი გამოდგა, ვერ მივეკარეთ. გემოთი მალაგას მოგაგონებს, ოღონდ უფრო მოტკბოა. კედლებზე უხეირო სურათები ეკიდა. როგორც ახლა დავრწმუნდი, ამას ალბათ ვერც ერთი სადგური თუ ღუქანი ვერ აცდება მთელ ღუნიაზე. კიდევ მოგწყინდება, თუ ისინი არ ნახე. მოგზაურს ასე არაფერი ართობს. აბა გაიხსენეთ, ვინემ ჩვენს სადგურებზე ცხენებს შეგიბამდნენ, რამდენჯერ გაგლიმებიანთ ადამიანებისა თუ შემთხვევების ამ გულუბრყვილო გამოსახვაზე? აქაც იგივეა. აგერ მაგალითად, ერთ სურათზე ჯარისკაცები კონტრაბანდისტებს შებრძოლებიან, ერთმანეთს ჩეხავენ და კაფავენ, სახეზე კი ისეთი სიმშვიდე აწერიან, რასაც ინგლისელებიც ვერ შეინარჩუნებდნენ ასეთ შემთხვევაში, თუმცა გმირები სწორედ ისინი გახლავთ. ამიტომაცაა ეს სურათი ჰეშმარიტად კომიკური. სხვა სურათებზე დოღია გამართული. ცხენები ზურგზე წაქცეულან, მხედრები ყელამდე წყალში დგანან. მასპინძლები ჯერ არ მენახა, მაგრამ ამ სურათებით დავასკენი, უთუოდ ინგლისელები იქნებიან-მეთქი. ჰოლანდიელებს დოღის სურათებს ვერ უნახავთ. სამაგიეროდ ვეფხვებსა თუ მელიებზე ნადირობის სურათები და მეფე-დედოფალთა პორტრეტები უყვართ. იქაც შეუსაბამობა მოგტაცებს თვალს: აგერ ვეფხვს ფეხით დაუთრევიან მონადირე, ის კი ლერწმებში გაშოტილა, განზე იყურება და იღრიჭება. საერთოდ, ინგლისელებისა და ჰოლანდიელების სასტუმროებს ერთი შეხედვით გაარჩევს კაცი. ინგლისელებს ყველაფერში კომფორტი თუ კომფორტის პრეტენზია ეტყობათ, ჰოლანდიელებს პატრიარქალობა შეუნარჩუნებიათ, ჟამთა სიავით ჩაშავებული, თუმცა სუფთად შენახული ძველებური ავეჯი, განსაკუთრებით მუცელგამობერილი ხის ბიუროები და კარადები, მამაპაპისეული ფაიფურიტა და ვერცხლეულით სავსე. ამ სასტუმროების მიხედვით უშეცდომოდ შეიძლება დაასკვნა, რომ ჰოლანდიელების საქმე ამ მხარეში წასულია, ინგლისელები კი მკვიდრად იკიდებენ ფეხს. ჰოლანდიელების სასტუმროებში ყველაფერს მოუვლელი ხელი ატყვია, მოწყენით იყურება, ინგლისელებთან

ყველაფერს კრიალი გააქვს, ყველაფერი ახალთახალია. მთელი საათი ვიდრე ვიღაც ვინაა, სიგარას ვაბოლებდით, შორეულ მთებსა და ხომალდებს გავყურებდით, იქ ჩვენი ხომალდიც იდგა, და გულს ვიოხებდით, აფრიკაში ვართო. „თუ პირდაპირ პოლუსამდე ივლი, ამაზე სამხრეთით მეორე დუქანი აღარ არსებობს, — მითხრა ამხანაგმა. — უბის წიგნაკში ჩაიწერეთ ეს ამბავიო“. არ ვიცოდი, რა თანრიგით შემეტანა ეს შენიშვნა და შევპირდი, ცალკე ჩავინიშნავ-მეთქი.

ფადეევს თუ თავაზიანობის გამოჩენა შეეძლო, ეს კი აღარ მეგონა. მაგრამ ფრეგატზე დაბრუნებულს ჩემს კაიუტაში დიდებული მთის ტიტა დამხვდა. ფინჯნისოდენა იქნებოდა, ვარდისფერ ფურცლებს შიგნიდან მუქი, ყავისფერი ბუსუსები დაჰყვებოდა, გრძელ ღეროზე ყელყელობდა. „საიდან-მეთქი?“ — ვკითხე. „აფრიკის მთაზე მოვწყვიტეო“.

შვიდმა კაცმა კაპშტატში გამგზავრება გადაწყვიტეთ, ისე რომ კოლონიაშიც გაგვევლო. ჰოდა, ერთ დილას მოვკიდეთ თითო-თითო ჩემოდანს ხელი, სადაც საცვლები, ერთი ხელი ტანსაცმელი და უბის წიგნაკები გვეწყო, და გვერდზე ტყავით აკრული ფურგონებით გავუდრეკით გზას.

საიმონსბეიდან კაპშტატამდე 24 ინგლისური მილი, ანუ 36 ვერსი იქნება. პირველი თორმეტი მილი ზღვის ნაპირს მივყვებოდით, გზატკეცილი კლდეების ძირას, ხან ქვიშნარზე, ხან კლდეების კალთებზე გადიოდა; გზა ლამაზიაო, ვერ იტყოდი, თუმცა კი ზღვა ყოველი მხრიდან ჩანდა, ზემოდან ჩირგვნარით დაფარული კლდეები დაგვცქეროდა. ყველაფერს პირქუში იერი ედო, ყველაფერი მკვეთრად ირჩეოდა მწვანედ მოხასხასე გრანიტისაგან. მაღლა, მთის ხეობებში მობალახე ძროხები დავინახეთ. ქვემოდან მწერებივით ჩანდნენ. ერთ ადგილას, მარჯვნივ, პატარა მტკნარი ტბა იყო. აქა-იქ განმარტოებით იდგა მეთევზეთა ქოხები, კიდევ ორ-სამ აგარაკსა და პატარა სასტუმროს მოვკარით თვალი—ეს იყო და ეს. სიცოცხლე ნაკლებ იგრძნობა. მარტო თოლიები დაქრიან სანაპიროზე და კიდევ ზღვა შხუის და დგაფუნობს ნიადაგ. შუა გზაზე მეორე სასტუმრო დაგვხვდა, რომელსაც Halfway (შუაგზა) ეწოდება. ჩვენმა მეეტლემ იქ შეაჩერა ფურგონი, ცხენები გამოხსნა და გვითხრა, refreshment, საუზმე მოითხოვეთო. ეზოში უხარ-

მაზარი კედარი იდგა; მთავარი ფლიგელი ჯერ არ დაემთავრებინათ, სასტუმრო მეორე, პატარა შენობაში მოეთავსებინათ. საუზმე შევუკვეთეთ და ბაღში გავედით. შესასვლელში დიდი ასოებით ეწერა, მებალის უნებართვოდ ხელი არაფერს ახლოთო, თუმცა ხელსახლები არა იყო რა მკვახე ლედვისა და სიმინდის გარდა, რომელსაც უკვე ტეხდა ზანგი. დანარჩენი დიდი ხანია რაც მოეკრიფათ. ცხელოდა, თუმცა ზაფხული აღარ იდგა. ფოთლები ცვიოდა და ბილიკებზე ეფინებოდა. კარგადი დიდი ბაღი იყო, ბოსტანიც აქვე გაეკეთებინათ. ლედვის გარდა ბანანები, ვაზი, კომბოსტო და კიტრები დაერგოთ. ყვავილებიც ბლომად ჰქონდათ. საუზმეზე ერბო-კვერცხი, ცივად მოხარშული დამარილებული ხორცი და მაგარზე მაგარი ცხელი შაშხი მოგვიტანეს. ერბო-კვერცხმა, შაშხმა და ხის ჩარჩოებში ჩასმულმა სურათებმა კვლავ ჩვენი სადგურები მომაგონა. თუმცა აქ მხეცთა ფიტულებისა და ფრინველების მდიდრული კრებული ჰქონიათ. განსაკუთრებით ციკნისოდენა პატარა ნუკრის თავმა მომხიბლა; ლამაზი ქალივით თვალი ველარ მოვაშორე, (მაღლობა მითხარით, mesdames¹), კუთხეებში გარეული კამეჩების უზარმაზარი, გაპრიალებული ქორბუდას რქები ეწყო. ისინიც ადამიანის თავს მაგონებდნენ, თუმცა, ცხადია, ქალისას არა....

სასტუმროდან სულ შეიცვალა გზა: კლდეები განზე გადგნენ, ნაპირიდან სამიოდე მილის მანძილზე, გზა ერთიმეორეზე უკეთეს აგარაკებს უვლიდა გვერდს და მეტი სიცოცხლე და სიხალისე ეტყობოდა. კედარის, მუხისა და ჩინარის ხეივნებში მივდიოდით, შიგადაშიგ ისეთი დაბურული იყო, მზე ველარ ატანდა. აგარაკებსა და ფერმებისაკენ სხვა ხეივნები მიუყვებოდა. პატარა ქალაქ ვინბერგისაკენაც სხვა ხეივანი უხვევდა. მარცხნივ ღვინით განთქმული კონსტანის მთა მოჩანდა. გვერდით მთაგრეხილი მისდევდა სუფრა მთამდე. გზად ფურგონები, კაბრიოლეტები და მხედრები გვხვდებოდა, ზოგი გვისწრებდა, ზოგი აქეთ მომავალი იყო. ხეივანს შეუშინველად შეჰყავხარ კაპშტატში. შესვლისას 8 პენსს გართმევენ გზატყეცილის ფასად; საიმონსბეიდან გამოსვლისას იმდენივე გამოგვართვის.

¹ ქალბატონებო (ფრანგ.)

გზაში ნახევრად გოთური სტილის კიდევე ერთი ლამაზი ქვის სამლოცველო შეგვხვდა და გზის გადაღმა, მთის ძირას, ზაფხულში ზღვის აბაზანების მისაღებად ჩამოსულთათვის რამდენიმე პატარა სახლიც იდგა ნაპირზე. მეთევზეთა უბანიც დავინახეთ, ირგვლივ ქალა ერტყა.

კ ა პ შ ტ ა ტ ი

ვიდრე ქალაქში შევიდოდით, სამი უცნაური მოყვანილობის მთა დავინახეთ, რომლის მსგავსი ჯერ არაფერი გენახა. ერთი გრძელზე გრძელი იყო, საკმაოდ დამრეცი, შუაში ჩაღრმავებული და ბოლოებში ამალღებული; მეორე მაღალი, სწორი, ერთნაირად განიერი როგორც ძირს, ისევე ზემოთ. მწვერვალი არ ჰქონდა: ის თითქოს გადაეკრათ და ზემოთ ისეთივე სიგანის ვაკე მოედნით მთავერდებოდა, როგორც მისი ძირი იყო. მას მესამე მთა მიყრდნობოდა, ხრამებით დასერილი და იმ ორზე ზეტად მწვანით მოსილი. „ეგ რა არის-მეთქი?“ — ვკითხვე მალაელ მეეტლეს და ერთ მთაზე მივუთითე. „Tablemountain“ (სუფრა მთაო) მიპასუხა მან. „ის?“ — „Lion's head“ (ლომას მთაო). „ის კი?“ — „Devilspick“ (ეშმას პიკიო).

სუფრა მთას თურმე იმიტომ ეძახიან, სუფრას ჰგავსო, მაგრამ ასევე შეგიძლია სკივრსაც მიაშგავსო, ფორტეპიანოსაც და კედელსაც, ოღონდ მთას კი არაფერი უგავს. კალთები სწორი გეგონება, თუმცა ჰოგრიტში ოღროჩოღრო მოჩანს, ისე ფარავს მისი უზარმაზარი ტანი ყველაფერს. ამ სამ მთას, განსაკუთრებით სუფრა მთას, ტყუილად არ ჰქონია განთქმული სახელი.

გინდ მზის სხივები ეფრქვეოდეს, გინდ ჯანლი წამოეხუროს, გინდ ღრუბლები შემოესიოს, ეს მთები მუდამ დიდებული, მუდამ ორიგინალური რჩება, მოგზაურისთვის მუდამ გრანდიოზული სანახავია და თვალს ვერასოდეს მოაშორებს. ეს სამი უცნაური მოყვანილობის მთა ურჩხულებივით შემორტყმია ქალაქს. სუფრა მთა აფრიკის სამხრეთ ნაპირის სხვა მთებივით რუხი და პირქუშია, მზითა და ქარით ჩაშავებულ სილაქვისაგან შედგება. მხოლოდ აქა-იქ ხასხასებს ბალახი და წვიმით ჩამორეცხილ ღრანტეებში ჩირგვნარი შემძვრალა. მთის ძირას ალაგ-ალაგ ქალები, ალაგ-ალაგ ბალები, აგარაკები და ვენახე-

ბი გაბნეულა. ერთი შეხედვით გეგონება, ამ კედელზე ასვლა სწორედ შეუძლებელიაო; მაგრამ გაკაფულ ბილიკებზე ცნობისმოყვარეთ აქეთ-იქით დაატარებენ მეგზურნი. ჩვენებიდანაც გაემართა იქ რამდენიმე კაცი. რომ წავიდნენ, წაღები ეცვათ, ფეხშიშველები კი დაბრუნდნენ. თქვეს, მთის წვერო ბრტყელია, მთელი მისი მოედანი ჩირგვნარით დაფარულიო. ლომა მთა დაწოლილ ლომსა ჰგავსო, იძახიან. მოგრძო სერი კი მოგავს რომელიღაც ნადირის ხერხემალს, მაგრამ მის კონუსურ წვერს, სუფრა მთას რომ უერთდება, საერთო არაფერი აქვს ლომის თავთან. სამაგიეროდ წვეროს გვირგვინი პირწავარდნილი მძინარე ბოკვერია. ჩემმა ამხანაგებმააც ასე თქვეს: უკეთესად ვერც ხელით გამოკვეთო; პირდაპირ გინდა აიღო და მაგიდაზე პრესპაპიესავით დადოო.

მთების ცქერით გართულები შეუმჩნევლად მივადექით ორსართულიანი სახლის განიერ პარმალს: ეს Welch's hotel-ი გახლდათ თურმე. სადარბაზოს ქვედა კიბეზე შავკანიანი მსახური იდგა; მერე მალაელი მსახური დაგვხვდა, ის ასე შავი აღარ იყო, თავზე წითელი თავსაფარი ჰქონდა წაკრული; შესასვლელში ინგლისელი მოახლე ქალი შეგვეგება, მოთეთრო სახის. შემდეგ კიბეზე ოციოდე წლის ლამაზი ყმაწვილი ქალი დაგვიხვდა, ის ჰემმარტად თეთრი პირისკანისა გახლდათ და ბოლოს ბებერი დიასახლისიც დავინახეთ, *nec plus ultra*¹ გათეთრებული, ე. ი. ჰადარა. გაკრიალებულ მრგვალ შესასვლელში ზემოდან იფრქვეოდა სინათლე, მშვენიერი ხის კიბე აღიოდა, ეზოში პირდაპირ აივნიდან შეიძლებოდა გასვლა. პატარა ეზოს ირგვლივ ვაზის თალარი ერტყა და მწიფე, მსხვილი ქარვისფერი მტევნები ეკიდა ყველგან. მარჯვნივ სასტუმროს კარი იყო, მარცხნივ სასაღილოსი, ორივე მოლიავებული, ჟალუზები და ფანჯრებიც ნახევრად გამოეღოთ. ყველგან ოდნავ ბნელოდა და გრილოდა. შესასვლელში ჩვენები შემოგვხვდნენ, ისინი ჩვენზე აღრე ჩამოსულიყვნენ. ახლა სასეირნოდ აპირებდნენ წასვლას; ბარგი მსახურებს მივეცით და მათ გავეყვით. მსახურმა მე და ბ[არონს] გვკითხა, სადილს თუ ინებებთო. Halfway-ში ნაგემი მაგარი დამარილებული ხორცი და მეტისმეტად

¹ უკიდურესად (ლათ.)

თოლხო ერბო-კვერცხი ჯერ კიდევ მაწკა მეხსიერებასა თუ
 კუჭზე და ამიტომაც ვუთხარი: „არ ვიცი-მეთქი“. „ვისადილებთ,
 ვისადილებთო!“ — ორივეს მაგივრად საჩქაროდ გადაქრა
 ბ[არონმა]. კიბეზე მოახლე მოგვიახლოვდა და გვეკითხა, არ ისა-
 დილებთო? „არ ვიცი-მეთქი...“ ის იყო უნდა მეთქვა, რომ
 ბ[არონმა] არ დამაცალა. სანამ ბარგს ჩავაბარებდით, ჩვენი თა-
 ნამგზავრები ბუფეტს მიეჯარნენ. ძლივს გავარღვიე წრე, რას
 უყურებენ-მეთქი. თურმე რა ყოფილა: ბუფეტის ჩაბნელებულ
 ოთახიდან ნათელ შესასვლელში დიდი ჟანჯარა გამოლიოდა; იქ
 მომხიბლავი სურათივით, m-rs welch-ის ლამაზი ნათესა-
 ვი, ყმაწვილი კეროლანის თუ კაროლინა ჩანდა, სწორედ ის ქა-
 ლი, ვინც კიბეზე შემოგხვდა. მშვენიერი სიმაღლის, მშვენიერი
 წელის, მშვენიერი თვალებისა და უშნო ხელების პატრონი,
 ერთი სიტყვით, ტურფა რამ ასული! სალუქ კანზე ლურჯი ძაზ-
 ლეები გამოსკვიოდა; მუქ ლურჯ დიდრონ თვალებში სხივი
 ჩასდგომოდა, პატარა, მოხდენილ ბაგეს ღიმილი არ სცილდე-
 ბოდა. ერთხელ წავესწარ, თითი რომ გაიჭრა და იტირა: შუბლი
 შეექმუხნა, თვალებში ტკივილი დაეტყო, მაგრამ პირზე ღიმი-
 ლი არ მოშორებია. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. რა მომ-
 ხიბლავად მიაწოდებდა ხოლმე თითოეულს უშნო ხელით, მაგ-
 რამ ლამაზად დაწერილ ანგარიშს! რა საყვარლად გეტყოდა:
 „Thank you“¹, როცა ანგარიშის ნაცვლად გირვანქებს ჩაუ-
 თვლიდი. რა ტურფა სანახავი იყო, როცა სილფიდასავით უხმო
 ნაბიჯებით აყვებოდა კიბეს, შუაზე გაჩერდებოდა, მოაჯირს
 დაეყრდნობოდა, გადმოგხედავდა და თვალებით დაგბნიდავდა.
 სწორედ მისი ეშხით ეხვეოდნენ ყველანი ფანჯარას: იქ მუდამ
 ირეოდნენ სტუმრები. ოთახის მუქ ფონზე კი ხან კაროლინას
 კენარი ტანი მოჩანდა, ხან მისი ლამაზი თავი. უკან ოთახის
 დამატებასავით დივანზე საკმაოდ ჩაგოდრებული დედაბერი,
 m-rs Welch-ი იჯდა. სტუმრებთან ლაპარაკი და ღიმილით
 მოთაფლვა მას კაროლინასათვის მიენდო, თვითონ არასოდეს
 ეჩხირებოდა, უხმოდ ჩამოართმევდა ხოლმე კაროლინას გირ-
 ვანქებს და ოხვრით ჩაუშვებდა ჯიბეში. ახალმოსულები რომ
 დაგვინახეს, ორივე დიასახლისმა ერთხმად გვეკითხა, ისადი-

¹ მადლობას მოგახსენებთ (ინგლ.)

ლებთ თუ არაო. ჩვენი სადილის ამბავი, ეტყობა, მთელ სახლს დარღად გადაქცეოდა.

საოცრად მშვენიერი დარი იდგა. სამხრეთის მზეს ფერები და სხივები არ დაეშურებინა, თუმცა შემოდგომის ხანი კი იყო; ქუჩები თითქო ზღაზვნით მიჰყვებოდა ერთმანეთს, სახლები ამ შუადღისას ჩაფიქრებული დამდგარიყვნენ და თაკარა მზეში ოქროს ვარაყში დაფერილები ჩანდნენ. ჩავიარეთ დიდი მოედანი, რომელსაც პოტენტოტის მოედანს ეძახდნენ თურმე. იქ დარგულ დიდ ნაძვებს სუფრა მთისგან პირი ებრუნებიათ, ამ მთიდან ქალაქსა და ყურეზე წამდაუწუმ დაქშუის ქარი და ამის ბრალი ყოფილა.

მოედანზე ჩვეულებრივ ჯარს ამეცადინებენ თურმე, მაგრამ ახლა არაეინ ჩანდა, რადგან კაფრებთან ომი ჯერ არ დამთავრებულყო. მოედნის ბოლოს ბირჟის დაბალო, პოლანდიური ტიპის შენობა იდგა, რომელიც საინტერესოს არაფერს წარმოადგენდა. შიგ ერთი დიდი დარბაზი იყო, სადაც ათასობით დაბეჭდილი განცხადება გამოეკრათ, რა იყიდებოდა, ან რა იყო გაყიდული, იდგა უამრავი მაგიდა, სადაც გაზეთები ეწყო. გვერდით ოთახში ბიბლიოთეკა მოეთავსებინათ. მოვიარეთ ბევრი ქუჩა და მოედანი, ვნახეთ ინგლისური და კათოლიკური ეკლესიები, მეჩეთში არ შევსულვართ, ის ერთ უბრალო სახლში იყო მოთავსებული. მაგრამ საითაც არ წავედით, საითაც არ გავიხედეთ, თვალი მუდამ ხან მწოლიარე ლომა მთის კალთებს ებჯინებოდა, ხან სუფრა მთასა და ხან ეშმას მწვერვალს. გეგონება, ქალაქი ამ მთებს შეუქყლეთაითო, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს იშლება თვალუწვდენელი სივრცე: იქ ზღვა ცას შეერთებია.

ერთი ქუჩის ბოლოს დაბურული ხეივანი დავინახეთ და იქით გავეწიეთ. ეს ფეხით მოსიარულეთა გზა ყოფილა, კარგა გრძელი; ნაძვის კენწეროებით თითქმის გადახურული და საკმაოდ წვეტიანი ქვებით მოკირწყლული. რამდენიმე საყენი რომ გავიარეთ, ბოტანიკურ ბაღს მივადექით. შესვლა ფასიანი ყოფილა, დაკვეთით, მაგრამ მოგზაურთათვის მუდამ ღიაა და ფულსაც არ ახდევინებენ. რარიგ ვისიამოვნეთ ამ ბაღში! დიდი არაა: პეტერბურგის საზაფხულო ბაღის ნახევარიც არ იქნება, სამაგიეროდ რაც კაპსა და მის კოლონიებში ყვავილები თუ ხე-

ები ხარობს, ყველას აქ ნახავ, ყველა რიგზე, ოჯახობით დაურ-
გავთ. ჯერ თურინჯის, ლელვისა და სხვა ხეების რიგი მოდის,
მერე ბუჩქნარი იწყება. ყველანაირი ჯიშის ტვია, კვიპაროსი,
მათ შუა კი მილიონობით ყელყელოებს ნაირ-ნაირი ფერის
დიდი თუ პატარა ყვავილები. გამახსენდა ჩვენი მდიდრული
ბაღები, სადაც ესენი ან შუშის ქვეშ დაუმალავთ, ან გეჯაში
ჩაურგავთ, ზამთრობით კი ინახავენ. აქ მთელი წლის მანძილზე
ყველაფერი მწვანედ ხასხასებს და ჰყვავის. ალაგ-ალაგ საოც-
რად ლამაზი ხე იყო დარგული, ინგლისელები broomtree-ს
ეძახიან. ჩვენში ის არც მინახავს. Broom ცოცხს ნიშნავს.
ხეს ფოთლები არა აქვს, მხოლოდ წვრილი, მეტისმეტად გრძე-
ლი მწვანე რტოები ჰკიდია კულულებივით მიწამდე და იმი-
ტომაც მოუნათლავთ ასე. ცოტა არ იყოს, ტირიფს მოგავო-
ნებთ, მაგრამ იმაზე გაცილებით ლამაზია. რა მდიდრული კო-
ლექცია ვნახეთ გეორგიანების! აგერ ალოეს ოჯახი, მეტისმე-
ტად ლამაზი სანახავი იყო მათი მწვანე ფოთლები ორი განიერი
ყვითელი არშიით. კაქტუსების ოჯახი ყველაზე მდიდარი გა-
მოდგა: ერთი მდელო სულ იმათ დაეკავებინათ. რა ნაირ-ნაირი
ჯიშის, რა მახინჯი და მანც რა ლამაზი იყო! ბევრ ბუჩქს თავ-
დახრილი ჩაუჯარე, ისინი ჩემთვის უცნობი ენის ბგერებს წარ-
მოადგენდნენ. მთავარი ხეივნის შუაში მუხებევით წრე შემო-
ერთყათ მსხლის უზარმაზარ ხეებს. ადამიანის თავისოდენა
მსხლები ეკიდა ზედ, მაგრამ ისეთი მაგარი იყო, მხოლოდ
კომპოტიისთვის. თუ გამოდგებოდა.

ბაღის ერთი კუთხიდან სუფრა მთა თავით ბოლომდე მოჩან-
და. როგორც მის ძირას ყოფნისას, ახლაც გამაკვირვა ამ უშვე-
ლებელმა მთამ. მზე სხივებს აფრქვევდა ზედ; ზემოთ ერთ
ადგილას ღრუბელი მიჰკვროდა და თოვლის ზვინივით უმოძ-
რად გაწოლილიყო. ლომას მთის მწვანე კალთები უფრო ხას-
ხასა მოჩანდა. მის კუსუბოზე ტელეგრაფი ტრიალებდა და ხო-
მალდებს ელაპარაკებოდა. დავაკვირდი სუფრა მთის ხრამებს,
ნიაღვრებით ჩამორეცხილს, რომლებიც ეგრეთ წოდებულ
„სუფრის ფეხებს“ ქმნიდნენ ერთი შეხედვით. რაც შორიდან
ხავსი თუ ბალახი გეგონებოდა, ხეებისა და ბუჩქების მთელი
ტყე გამოდგა. სუფრა მთა მთლიანად აღებული, რაღაც პირ-
ქუშ, მკვდარ, მღუმარე მასად გეჩვენება, თუმცა შიგ სიცოცხ-

ლე დულს და გადმოდულს: მის ძირას ფერმები და ბალები მიჰყვება; ტყეებში პავიანებს (დიდ, შავ მაიმუნებს) დაუბუღებიათ, დასრიალებდენ გველები, დაძრწიან ტურები და დაკუნტრუშობენ გარეული თხები. მთა მაღალი არ არის, ასე 3500 ფუტის სიმაღლე იქნება ზღვის დონიდან, მაგრამ უშველებელი და განიერი. საერთოდ სამივე მთა რაღაც დიდი განზრახვისა და ზეკაცური შემოქმედების დაუმთავრებელი, მიტოვებული მასალა გეგონება.

შემოვიარეთ ყველა ბილიკი, დავათვალიერეთ ყოველი ბუჩქი თუ ყვავილი და ისევ ხეივანში დავბრუნდით. მერე ქუჩაში გამოვედით და ბალებსკენ წავედით. გავყევით ბილიკს, მაგრამ შემოუღობავ ბალებსა და ქალებში ლამის დავიკარგეთ. გზა შესამჩნევად გააღმართდა. ბოლოს ერთი ბაღის ტევრში გამოვედით და რომელიღაც ვილას მივადექით. ავედით ტერასაზე და დაქანცულები ქვის სკამებზე ჩამოვსხედით. სახლიდან მულატი ქალი გამოვიდა, გვითხრა, ბატონები შინ არ არიანო და ჩვენი თხოვნით წყალი გამოგვიტანა დასალევად.

აქედან ხელისგულივით გადაგვეშალა ქალაქი, ის ერთი შეხედვით წმიდა ინგლისურ ქალაქს წარმოადგენდა, ცოტაოდენი განსხვავებით: მაღალი, ორსართულიანი სახლები, ქვემოთ გამართული მაღაზიებით; ქუჩები სწორკუთხედად ჰკვეთდნენ ერთმანეთს. შორს მოჩანს აგარაკები და მწვანეში ჩაფლული ფერმები. ხეებს მხოლოდ ფერმების ახლოს თუ დაინახავ, თორემ ჩირგვების გარდა ყველაფერი მზესა და ზღვიდან თუ მთებიდან გაათრებთ მონაბერ ქარს დაეხრუკა, გაეძარცვა და მოესპო. იცქირები შორს სივრცეში და ხედავ მხოლოდ თეთრად მოქათქათე ქვიშას, ნაირფერ და ნაირ-ნაირ ბალახს, ერთნაირ ჩირგვებს და მთებს, რომლებიც ადამიანებივით ჯგუფ-ჯგუფად უწესრიგოდ დგანან უზარმაზარ მოედანზე, ხან წრე შემოურტყამთ, ხან ჩამწყრივებულან, ხან პირისპირ უტკეპრიან ერთმანეთს და ხან ზურგი შეუქცევიათ.

ერთმა მალაელმა, რომელიც გზაში მეგზურად აგვეკიდა, ყურძენი მოგვიტანა. უკან ისევ ბალებით წამოვედით, სადაც უზარმაზარი მუხები იდგა, ხრამიდან ხრამში გადავედით, ერთ ბექობს ავეყვით და იქიდან პირდაპირ ქალაქში ჩამოვედით. ქუჩას რომ დავადექით, ვილაცამ თქვა: „სუფრა მთას შეხედე-

თო!" მოვიხედეთ და გოცებულნი გავხვედით: ნახევარი მთა სადღაც გამქრალიყო.

ვიდრე ჩვენ ბაღია-ბაღია მოვდიოდით, ღრუბელი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, გაზრდილიყო, მთელი მწვერვალი დაეფარა და ახლა კალთებზე ეშვებოდა თანაბრად: მთაზე სუფრა იშლებოდა. ქუჩა დაღმართად ეშვებოდა და ჩვენც წამდაუწუმ უკან ვიყურებოდით: სუფრა წარმოუდგენელი სისწრაფით იშლებოდა, ასე რომ ქალაქის გულში მისულები არ ვიყავით, რომ მთა თითქმის ნახევრამდე შეიბურა. მეგონა, საცაა ქარაშოტი ამოიკრება-მეთქი, ხოლო რეიდზე მდგარ ხომალდებისთვის ეს სწორედ ღვთის რისხვა იქნებოდა. მაგრამ კაპიტანის მცხოვრებლების თქმით სუფრა მთა თუნდაც მთლად შეიმოსოს სუღართ, საშიში არაფერია. უბედურებას მაშინ ელოდე, როცა ლომი ჩაჩს წამოიცივამსო! შემდეგში დავრწმუნდი კიდევ ამაში.

გულდასმით ვაკვირდებოდი ქალაქის შესახედაობას: ეს იგივე ინგლისი გახლავთ, ისეთივე ვიწრო, მაღალი ინგლისური სახლები, კრამიტითა თუ ქვადანით დახურული, ორი, ღრდი-ღიდი სამსართულიანი, ქვემოთ გამართული მაღაზიებით. ოღონდ კლიმატის გამო ერთ რამეში დათმობაზე კი წასულან: მთელი სახლის სიგანეზე დიდი აივნები გაუკეთებიათ, სადაც საღამომობით სიგრილეში ისვენებენ. კიდევ რამდენიმე სახლს ნახავ ჰოლანდიურ ტიპზე აშენებულს, ულამაზო, მძიმე ფრონტონებითა და პატარა, წვრილ-წვრილ ჩარჩოებიან სარკმლებით. მაგრამ ჰოლანდიელთა ბატონობის ნაშთები იშვიათადღა გვხვდება. კაპიტანში ჰოლანდიელებს თითქმის არც შევხვედრივართ, თუმცა ჰოლანდიურ ენაზე კი ბევრი ლაპარაკობს, განსაკუთრებით მოხუცები, მსახურები და მოახლეები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში გეცემა მაუდის, ტილოს, ქსოვილების, საათების, ქულების მდიდარი მაღაზიები, მკერავებიცა და იუველიერებიც ბევრია, ერთი სიტყვით, ინგლისის ერთ-ერთ კუთხეს წარმოადგენს.

როგორც ლონდონსა და პეტერბურგში, სახლები აქაც ისე ახლო-ახლო დგას, ვერ გაარჩევ, ერთი სახლია თუ ორი: მაგრამ ქალაქს მოვლილი პირი უჩანს, მხნედ, მხიარულად, ცოცხლად, საქმიანად იყურება. განსაკუთრებით აღამიანთა სიჭრფლე

მომეწონა. ინგლისელი აქ ყველა ბატონია: მუდამ მოხდენილად აცვია, გულგრილად, აბუჩად აძლევს შავკანიანს ბრძანებებს. ინგლისელია, რომ თავის დიდ კანტორაში, მაღაზიაში თუ ბირჟაზე გამოქიმულა, ნავსადგურზე დაფუსფუსებს; ისაა მშენებელი, ინჟინერი, პლანტატორი, მოხელე, ის იძლევა განკარგულებებს, ის მმართველობს, მუშაობს, ის დაბრძანდება კარტით თუ ცხენზე ამხედრებული, განცხრომით ისვენებს თავისი ვილის აივანზე, ვაზის ჩრდილს ეფარება.

შავკანიანი რას აკეთებს? აგერ ლამაზ, მოყვანილ ზანგ ფინგოს თუ მოზამბიკს ფუთა მოუგდია მხრებზე და მოათრევს; ის „კული“ გახლავთ — დაქირავებული მსახური, მეზარგე, მას არბენინებენ აქეთ-იქით; აგერ, მეორე, ზულუს ტომიდან, უფრო ხშირად კი ჰოტენტოტი კოფოზე ზის და კაბრიოლეტში შებმულ წყვილ ცხენს მარჯვედ მოერეკება. იქ მესამეს, ბიჩუანელთა ტომიდან საჯდომი ცხენი მოჰყავს; მეოთხე ქუჩას ჰგვის და მოწითალო-მოყვითალო მტერის კორიანტელს აყენებს. აგერ მაჰმადიანთა ადათისამებრ თავწაკრული მაღაელი ფურგონს მოარახრახებს, სადაც ექვსი, რვა, თორმეტი თუ მეტი ხარია შებმული. აი, შავკანიანი დამკვნარი დედაბერი მოდის, თავზე მოსახვევი მოუხვევია, მახინჯი სანახავია; იმაზე მახინჯს რაღაც ხარახურა გამოუტანია გასაყიდად. მესამე, ამათზე უფრო ფეთხუმი, გასაკითხს ითხოვს. გოგო-ბიჭები, თეთრკანიანები თუ შავკანიანები, დარბიან, იცინიან, ღრიალებენ და ჩხუბობენ. შავკანიანების თმა მოხვეტილი ჰვარტლი გეგონებათ. მულატი ქალები თუ კაცები ევროპულად გამოწყობილან; შემდეგ გალუშულ ინგლისელ მეზღვაურებსაც შეხვდები, ხელებს იქნევენ, ღრიალებენ, ხან ქუდი ხურავთ, ხან თავშიშვლები არიან, ხან ეკიპაჟებით დასეირნობენ და ხან ნავსადგურზე ირევიან. ხოლო ამ ჰრელჰრულა ბრბოში ან ფეხითა და ან ეტლით მშვენიერი ნაზი არსებანი, ინგლისელი მანდილოსნები დასეირნობენ.

სავაჭრო მოედანზე გავედით; აქ უფრო ჩახუტებია სახლები ერთმანეთს, უფრო მეტი საქონელი გამოუფენიათ. ფანჯრებზე, მოედანზე ბლომად სხედან ყურძნით, საზამთროებითა და ბროწეულით მოვაჭრე დედაკაცები. ბევრია წიგნის მაღაზიებიც. როგორც ინგლისში, აქაც სააკმლებზე გამოუდვიათ ასობით

ტომი, ბროშურები და გაზეთები; ვნახე სტამბები, კანტორები, სადაც აქაური ორი გაზეთი გამოდის, ალმანახები, იშვიათ საგანთა მაღაზია, თუმცა ისინი მხოლოდ ევროპელისათვისაა იშვიათი; იქ იყიდება ლომისა და ვეფხვის ტყავები, სპილოს გზვები, კამეჩის რქები, გველები, ხვლიკები.

ქალაქში ოცდახუთი ათასი ევროპელი და ფერადკანიანი მცხოვრებია. შავკანიანებისა და მალაელების გარდა ბევრსაეჭვოდ მოყავისფრო სახეებსაც შეხვდები, რომლებიც პოლანდიელებსაც ჩამოგავენ, ფრანგებსაც და ინგლისელებსაც: ისინი ევროპელი მამებისა და აფრიკელი დედების შვილები გახლავთ. აქაურ მკვიდრ, ცნობილ ტომებს: კაფრებს, პოტენტოტებს და ბუშმენებს კაპშტატში ვერ ნახავთ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ. მხოლოდ პოტენტოტებს შეხვდები, ისინი მსახურებად და მეეტლეებად მუშაობენ. თავიანთ ველურ ბუნაგებიდან არაფრის დიდებით არ სურთ გამოსვლა, ცივილიზაციასა და ერთ ადგილზე დასახლებას ჰირივით უფრთხიან. თუმცა ბუშმენები ძალიან ცოტანი არიან; ისინი ბუჩქებში ითხრიან მიწურებს და ბუშმენებიც იმიტომ ჰქვიათ (ბუში პოლანდიურად ბუჩქს ნიშნავს). ერთმანეთშიც თემურად კი არა ცხოვრობენ, ოჯახური წყობილება აქვთ. თავს ნადირობით და თევზაობით ინახავენ. კაპის კოლონიის ერთ-ერთი თანამედროვე მწერალი ტორნლი სმიტი ბუშმენებს პლინიუსის ტროგლოდიტებს ამსგავსებს. ისინიც თურმე მიწურებში ცხოვრობდნენ, გველებს ჰამდნენ და დანაწევრებული ბგერების ნაცვლად რაღაც ყმულით ლაპარაკობდნენ. ბუშმენებს რომ მოუსმენ, მსგავსებას მართლაც იპოვი, თუმცა ამათზე ქვემოთ მექნება საუბარი.

ქალაქი წყალს მთის ანკარა წყაროებიდან იღებს წყლის მილებით. საამისოდ მცხოვრებლები განსაკუთრებულ ხარკს იხდიან, როგორც საერთოდ ყველაფრისათვის. ინგლისელებს გადასახადების თავიანთი სისტემა შემოუღიათ.

სეირნობითა და დათვალიერებით გული რომ მოვიჯერეთ, დადლილ-დაქანცულები ექვსი საათისათვის სასტუმროში დაებრუნდით. იქ გრძელ სასადილოში უკვე დიდი სუფრა გაეშალათ. ყველანი ჩვენს ოთახებში წავედით ტანთ გამოსაცვლე-

ლად. დაკვირვებით მოვავლე თვალი ჩემს ოთახს: კარგა მოგრძო, ჩაბნელებული ოთახი გამოდგა, ერთი დიდი ფანჯარა და მაღალი ჭერი ჰქონდა. შიგ იდგა ფარდაჩამოფარებული კარგა განიერი საწოლი, უვარგისი კაკლის მაგიდა, რამდენიმე გაბნეული სკამი. შპალერები აქა-იქ ჩამოგლეჯილი იყო, ჭერს დიდი ლაქა ამშვენებდა. ფანჯარას ერთი შუშა ჩამტვრეოდა. მაგიდაზე პატარა სარკე იდგა, უბრალო ჩარჩოთი და ყუთით. ორჯერ შემოვუარე ოთახს, დავხედე ჩემს მაგრად გატენილ ჩანთას, საიდანაც არავის ამოელო საცვლები და ტანსაცმელი და მთელი გულით ამოვიოხრე. „ფადეევ, ფადეევ, სადა ხარმეთქი?“ — წამომცდა ჩემდა უნებლიეთ, მერე ზარი ჩამოვკარ. ოციოდე წლის სახედამუწუქებული, ბრუტიანი ყმაწვილი გამომეტყადა. მის შემოსვლაზე ოთახში ძაღლის სუნი დატრიალდა. „გასაპარსი წყალი-მეთქი!“ — Yes, sir¹. მითხრა მან და არ კი მომიტანა. მეორედ დარეკვაზე ტოლჩით შემომიტანა წყალი. „ტანისამოსის ჯაგრისი-მეთქი!“ — პასუხად ისევ „yes“ მივიღე, მაგრამ არც ეს შესრულებულა. უცბად ზარის ხმა გაისმა — სადილად გვიწვევდნენ. მე შესასვლელში ჩავედი. მალაელ რიჩარდს დიდი ჭიქისოდენა ზარი ყურთან მიეტანა, თვალედახუჭული მთელი ძალით რეკდა, ისე რომ ყველა სართულზე ისმოდა და მოგზაურებს სადილად იწვევდა. მერე ერთბაშად გაჩერდა, თვალეები გაალო, ზარი შესასვლელში მრგვალ მაგიდაზე დადგა და სასადილოში გაქანდა.

იქ მხოლოდ ჩვენები და ოსტ-ინდოეთში მომუშავე ინგლისელი სამხედრო ექიმი Whetherhead² შემოვიდნენ. სუფრაზე ინგლისელთა ჩვეულებისამებრ თავდახურული ათიოდე ვერცხლის ლანგარი იდგა, და კიდევ სულო და გულო, რა არ იყო! მე ბოლოში დავჯექი; წინ წვნიანი დამიდგეს და გამასპინძლება ისევ მე მომიხდა.

სადილზე თექვსმეტი კაცი ვიქნებოდით. Whetherhead-ი მე მომიჯდა გვერდით. წვნიანი ყველას ჩამოვურიგე, იმასაც მივაწოდე და მერე საუბარი გავაბით ჯერ ინგლისურად, შემდეგ გერმანულზე გადავედით, რომელიც უკეთ ვიცოდით. ჩემის აზ-

¹ კი, ბატონო (ინგლ.)

² ვედერჰედი (ინგლ.)

რით განზრახ იბორძიკებდა ენას გერმანულში. ექიმი მალე სხვებსაც გამოელაპარაკა. მეტად ჭკვიანი, თავაზიანი კაცი გამოდგა. ჩემი მასპინძლობა წვნიანით დამთავრდა. რიჩარდმა სხვა ლანგარს ახადა თავი, სადაც როსტიფტს ონშივარი ასდიოდა, გრძელი დანა ხან სად ჩავარქე და ხან სად დასაჭრელად, მაგრამ დანა თითქმის ნახევრამდე იფლობოდა ხორცში. „ნუ დალიჯნით, გეთაყვა, — მითხრა ნერწყვმორეულმა ბ[არონმა], — მაგას ოსტატურად უნდა დაჭრა“. მაშინ ექიმს მიეუჩოჩე ლანგარი. პატარ-პატარა ნაჭრები მარჯვედ ჩამოათალა და თეფშებზე დააწყო. მერე უკვე ყველამ დაიწყო მასპინძლობა. თითოეულს თითქმის რაღაც კერძი ედგა წინ. იქ ცხვრის ხორცი აღმოჩნდა, აქ ხბო, თითქმის ყველა au natural (ბუნებრივი სახით), როგორც ეს ინგლისელებს უყვართ, შემწვარი, თევზეული, მწვანილი და რა თქმა უნდა კარიც მოეყოლებინათ. ამას ხომ კეთილი იმედის კონცხიდან მოყოლებული ჩინეთითა და მით უმეტეს ინდოეთით დამთავრებული არსად მოგაკლებენ; ეს წვრილად დაჭრილი საქონლისა თუ სხვა ხორცი გახლავთ, ხან ქათამი ან გარეული ფრინველი, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ კიბორჩხალებიც კი და განსაკუთრებით წვრილად დაჭრილი და მოხარშული შრიმსი მწვავე საწებლით. საწებელს კი ათზე მეტი ჯიშის ინდური წიწაკისაგან ამზადებენ. ამასთან უთუოდ მოაყოლებენ ხოლმე ლამის მომწამლავ სოიას, რის წყალობითაც მოუნათლავთ ეს კერძი და საგანგებოდ წყალში მოხარშულ ბრინჯს. კარის ამბავი აბა რა ვიცოდით, პოდა, პირში მიამიტად ჩავიდეთ. მაგრამ ვაი, რა დღე დაგვადგა: ვის პირი გაუშეშდა, აღარ იცოდა, რა ექნა ლუქმისთვის; ვინ უცბად გადაყლაპა და ახლა ისე იმანჭებოდა, თითქო ინგლისურად ლაპარაკს აპირებდნო, ვინ გადაყლაპვას ეშურებოდა და გამწარებული დასაყოლებელ სასმელს ეძებდა. სხვები, მათ შორის ბ[არონიც], ვაჟ-კაცურად შერიგებოდნენ ბედს.

ინგლისელთა ადათისამებრ, ერთს თავისი თეფში იქ გაეგზავნა, სადაც კატლეტები იდგა, მეორე თევზეულს თხოულობდა. ასე, რომ სადილი ერთბაშად გავაჩანაგეთ. რიჩარდი გიჟივით დარბოდა; ყველას უსრულებდა სურვილს. იმას პორტვეინის ბოთლს მიართმევდა, ამას ხერესს, სხვებს ჭიქა წყალს, თუმცა იშვიათად. ინგლისელებს სადილზე მხოლოდ პირში გამო-

საკლებად მიაართმევენ ხოლმე წყალს. დაუძახებ თუ არა „რიჩარდ!“ თუმცა დაძახებას ვინ გაცდის, თვალეში შემოგცი-
ცინებს, უმალ შენთან გაჩნდება. სმენად გადაქცეული ისე მან-
ჭავს სახეს, რომ უცხო კაცს ჯერ გაგეცინება, მერე ეტყვი, რაც
გჭირდება. დაპირებ თუ არა რამის თქმას, ისე დააჰყუტს თვა-
ლებს, თითქო რაღაც დიდ ამბავს ელის შენგან. ხოლო რომ
ეტყვი, განზე გაიხედავს და ყურს მოგაპყრობს. მთელი სახე,
განსაკუთრებით შუბლი, სულ დაეკეცება, პირი განზე ელრიცე-
ბა და თვალეები ჭერში ააქვს. ასეთ მოძრავე სახეს სწორედ იშვი-
ათად შეხვდება კაცი. ცოტა არ იყოს, ჩვენი თათრები მომაგონა.

სადილის დამთავრებისას რიჩარდმა მყის აგვაცალა რა კერ-
ძიც ელაგა სუფრაზე, წაიღო თეფშები, დანები, ჩანგლები, პუ-
რის ნაჭრები. ბოლოს სუფრაც მიაყოლა. ვიფიქრე, ახლა მოსა-
უბრეებნაც გაათრევს-მეთქი, თუმცა მისი დანმარება არავის
სჭირდებოდა. ეს კია, ჭიქებისა და განსაკუთრებით ბოთლების-
თვის ხელი არ უხლია. მერე თითოეულს პატარა თეფშები, პა-
ტარა დანა-ჩანგალი დაგვიდო წინ და ისეთივე სისწრაფით შე-
მოგვიტანა დესერტად მსხვილ-მსხვილი ქარვისფერი ყურძენი,
ზედ მოაყოლა წყლით სავსე ბროლის თასი, მსხლები, ბროწეუ-
ლები, ლეღები და საზამთროები. ისევ შეიქნა ერთი გამასპინ-
ძლება: იმან ის მოისურვა, ამან ეს. ჩვენმა ყმაწვილკაცობამ გა-
უსინჯავი არაფერი დატოვა. ნამცხვრებზე აღარაფერს ვიტყ-
ვი: როგორც ინგლისში, აქაც მურაბიანი ერბო-კვერცხი, მურა-
ბიანი მრგვალი ლედელი, მურაბიანი პატარა ნამცხვრები და
კიდევ, მგონი, კრემიც, ოღონდ უშაქრო და ისიც... თუ არ
ვცდები, მურაბით. ბოლოს რიჩარდმა ესენიც გაათრია, მხო-
ლოდ სასმისები და ბოთლები დაგვიტოვა და მოკრძალებით
გაგვეცალა. რა გაკვირვებული დარჩა, როცა ჩვენ უფრო მეტი
კრძალებით გავეცალეთ ბოთლებს. უფროსები სასტუმროში გა-
ვედით, მეტი წილი კვლავ ბუფეტში გამომავალ ფანჯარას და-
უბრუნდა. შემდეგ ვის ყავა მოგვართვეს, ვის ჩაი. ღვინის გარ-
და, სადილი სულზე ოთხ შილინგად გვიანგარიშეს. მე ჩაი მო-
მიტანეს; გემო რომ გავუსინჯე, აღარ ვიცოდი, დამელია თუ
არა. შევეცადე მომეგონებინა, რისი გემო ჰქონდა: მახსოვს
ბავშვობაში რეჰანის, პიტნის, ანწლის, გვირილისა თუ სხვა წამ-
ლების გარდა, რითაც ყმაწვილებს გვჭყვიპავდნენ, რაღაც ბა-

ლახსაც გვასმევდნენ ჩაის სახელით. ინგლისში ის მეტად უგემური მეჩვენა, აქ კი მისი გემო ვერაფერს მივამსგავსე. ამბობენ, შავი თუ მწვანე ჩაის ნარევიანო. მაგრამ ეს როდი ნიშნავს უგემურობას. არც ის დაივიწყოთ, რომ ნატეხი შაქრის ნაცვლად შაქრის ფხვნილი მოგვართვეს, და ისედაც ამღვრეული ჩაი უფრო აგვიმტუტდა.

ჩვენ ისევ სასეირნოდ წავედით. თბილი ღამე იყო, ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდი, თუმცა კი ცა ვარსკვლავებით მოქედლი იყო. გაჩახახებულნი შესასვლელიდან რომ გამოვედით ქუჩაში, ასე გვეგონა, ორმოში ჩავცვივდითო. სამხრეთის ღამე იღუმალა და მშვენიერია, ვითარცა შავ რიდეჩამოფარებული მზეთუნახავი: უტყვი და ბნელი. მაგრამ ამ შავ, გამქვირვალე რიდის ქვეშ დულს და გადმოდულს სიცოცხლე. ჰერის ყოველი ყლუბი ჯან-ლონეს გმატებს, მკერდსა და ნერვებს გიცოცხლებს გრილი წყალივით. ისე თბილა, გეგონება, ამ ღამეს თავისი უხილავი, შავი მზე ჰყავსო: ირგვლივ სიჩუმე, სიმშვიდე და იღუმალება გამეფებულა; ფოთლებს სიოც კი არ არხევს. გავედით ნავმისადგომზე, დიდხანს ვიჯექით იქ ლოდებზე და წყალს გავყურებდით. ათ საათზე მთვარე ამოვიდა და ყურე გაანათა. შორს ნელა ტორტმანებდნენ ხომალდები, მარჯვნივ ქვიშიანი დაბლობი ისარა ქათქათებდა და შორეული მთები შავად მოჩანდა.

შინ აღრიანად დავბრუნდი; ბუფეტის ფანჯარასთან მისტრის ველჩი და კაროლინა ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და რიგრიგობით ამთქნარებდნენ. მე რაღაც ვკითხე, იმათ რაღაც მიპასუხეს. მერე მისტრის ველჩმა დაამთქნარა, კაროლინაც მის მაგალითს მიჰყვა. სიცილი მომერია, მაგრამ მათ შემყურეს ისე დამამთქნარა, ცრემლები წამომივიდა, იმათ კი გაცეინათ. შემდეგ თითო-თითო შანდალი აიღეს, თავი დამიკრეს და ნელა ავიდნენ კიბეზე. შესასვლელში მრგვალ მაგიდაზე სპილენძის შანდლები დაემწყკრივებინათ, შანდლებში კი, ჰოი საშინელება, ქონის სანთლები ჩაერქოთ! სტუმრებისთვის იყო მომზადებული. ჯერ კიდევ ინგლისში გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ისეთ ფაქიზ, ყოფა-ცხოვრებაში ესოდენ დიდი მოთხოვნილების, თან გამომგონებლობის ისეთი ნიკის მქონე ხალხს, როგორც ინგლისელები არიან, ძვირად ღირებულ თაფლის სანთლე-

ბის ნაცვლად სხვა რამ რატომ ვერ მოუგონიათ-მეთქი. სტეარინის სანთლები კი აქვთ, მაგრამ ყოვლად უხეირო; სპერმაცეტისაც მშვენიერია, ოღონდ ცვილის სანთელზე ძვირია. „გეთაყვა, ცვილის ან სპერმაცეტის სანთელი მომეცით“, — ვუთხარი ჩემს დიასახლისებს. იმათ ერთი კი შემომხედეს და მერე დერეფანში მიიმალნენ; მაგრამ კაროლინამ მაინც გამომხედა წასვლისას და ღიმილით დამასაჩუქრა. რაღას ვიზამდი. წავედი ისევ ჩემს ოთახში, სანთელი განზე მეჭირა; ოთახში, ცოტა არ იყოს, სიცარიელე და ნესტის სუნი ვიგრძენ.

საწერს ჩავუჯექი, მაგრამ ინგლისური სადილი ვის არ მოტეხს კისერს; თან კარგა ბევრიც ვიარეთ. ის იყო წამთვლიმა, რომ მარჯვენა ყურთან კოლოს გამკვეალავი სოპრანო მომესმა. გვერდი ვიბრუნე, ახლა მეორე ყურთან გაისმა დუეტი და მერე ტრიო, შემდეგ ბზუილი მიწყდა და უცბად — შუბლსა თუ ლოყაზე მიკბინა მწარედ. ხელი ვიტაცე — ნაკბენ ადგილზე უკვე კოპი დამჯდომოდა. ვიფიქრე, ამ შფოთის თავებს სულს გავაფრთხობინებ-მეთქი და შორიდან არა ერთხელ ჩუმიდ მოვუღერე ხელისგული სიბნელეში: თხლამ! — კი დავარტყი მტკივნეულად, მაგრამ ვაი რომ კოლოს არ მოხვდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ხმამალალი სიმღერა მესმის: კოლო ახლა მეორე ყურთან დამტრიალებდა და ჩუმიდ, დამცინავად ჩამღილინებდა. ხის დარაბა მივხურე, მაგრამ ქარი წინ და უკან აცეკვებდა და აჯახუნებდა. დილის რვა საათი იქნებოდა, რომ ვილაცამ კარზე მომიკაკუნა. „ვინ არის-მეთქი?“ უცბად გონზე ვერ მოვედი და რუსულად გავძახე. „Who is there?“¹ — მერე კი ვკითხე გამოფხიზლებულმა ინგლისურად. „ჩაი გნებავთ თუ ყავა?“ — „ჩაი... თუკი ჩაი ჰქვია იმას, რაც თქვენ მოგაქვთ“. ავდექი, კარი გავაღე, ჩაით მოსულ მსახურს შევიჩვილე, რა დღეც დამაყარეს კოლოებმა და შევეხვეწე, შუშა საჩქაროდ ჩამისვით-მეთქი. „Yes, sir“, — მითხრა მან. მაგრამ ამ yes-ის მნიშვნელობა უკვე კარგად ვიცოდი.

სასეირნოდ ვაპირებდი გასვლას, რომ რიჩარდის ზარის ხმა გავიგონე; სწრაფად ჩავედი ქვევით, ნეტავ რა ამბავია-მეთქი. ბუფეტის ფანჯარასთან არავინ ჩანდა, შესასვლელში მარტო

¹ ვინ არის? (ინგლ.)

რიჩარდი იდგა, თვალდახუჭულსა და თავგადაგდებულს ზემოთ ეჭირა ზარი და რეკდა და რეკდა საუზმეზე მოსახმობად. ცხრა საათზე ნეტავ რა საუზმის დრო იყო. „ჩვენებიდან, ალბათ, არა-ეინ ისაუზმებს-მეთქი“, — ვიფიქრე, მაგრამ სასადილოში ყველა ჩვენიანი დამხვდა; სხვა არავინ იყო. სუფრა სადილივით გაეშალათ; ექვსი კერძი იდგა და ონშივარი ასდიოდა; მეორე მაგიდაზე ცხელ-ცხელი ყავა და ჩაი გაეწყოთ. სხვებთან ერთად სუფრას მივუჯექი და თევზი გიახელით, „ნეტავ რა თევზი იქნება-მეთქი“, — მინდოდა ბ[არონის] მეთოდით გამომერკვია, თან კატლეტიც მივაყოლე. „განა სადილს რით ჩამოუვარდება?“ — ვიძახდი მე და ყურძენს მოვკიდე ხელი, — ესაა წვნიანი გვაკლია“. ნასაუზმევს არ დამეიწყებია მისტრის ველ-ჩისთვისაც შემეჩივლა კოლოების ამბავი და ვთხოვე შუშა ჩაესვათ, „yes, yes!“ — მიპასუხა მან. კაროლინასაც გავუზიარე ჩემი გულისტკივილი და გულდაგულ შევეხვეწე, საღამოს შუშა ჩაედგათ. „Yes, o yes!“ — მითხრა მან კეკლუცი ღიმილით.

შემდეგ ქუჩებში გავიარეთ, ჩვენი ბანკირის კანტორაში შევედით და მერე დუქნებიც მოვინახულეთ. ვინ წიგნები იყიდა, ვინ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ სხვა რამ შეუკვთა. აქ წიგნებით საკმაოდ დიდი ვაჭრობა ყოფილა; ბევრია წიგნის მაღაზია. ყველაზე მთავარი, რობერტსონის მაღაზია ერთ დიდ ქუჩაზე მდებარეობს. კაპის კოლონიას თურმე თავისი დამოუკიდებელი ლიტერატურაც ჰქონია. ბევრი პერიოდული გამოცემა, ალმანახი, ლექსი, პროზა, რუკა და გრაფიურები ვნახე და რამდენიმე აქ გამოცემული თხზულებაც ვიყიდე. რაც კერძოდ კაპის კოლონიას შეეხებოდა, წიგნის მაღაზიებში საწერი მოწყობილობაც იყიდება. დუქნების მოწყობილობა და საქონლის განლაგების ოსტატობა ინგლისს მოგავგონებთ. ნაყიდი საქონელი აქაც შეგიძლიათ თან არ წაიღოთ: მას შინ მოგართმევენ. სხვა მაღაზიებმა უფრო მეტად მოგვაგონეს ინგლისი, ოლონდ, ცოტა არ იყოს, პროვინციული ელფერი გადაჰკრავს. ვერ ნახავ ორსაყენიან სარკის შუშებს, გაზსა და მდიდრულ ავეჯს, უფრო უბრალოდაა ყველაფერი მოწყობილი. თან ბევრი საკუთარი ფაბრიკა და ქარხანა ჰქონიან: ქუდების, შუშის, ქაღალდისა თუ სხვა, და ამ მხარის მოთხოვნილებასაც სავსებით აკმაყოფილებენ. ამდენ ნაირ-ნაირ მაღაზიას რომ ვუყურებდი, გულში

ვფიქრობდი: ნეტავ მუშტრები სადა ჰყავთ-მეთქი? კაპშტატში 25-30 ათასი მცხოვრები იქნება, კოლონიაში 200 ათასზე მეტი არ დაითვლება.

ნაშუადღევს მაგრად დააცხუნა მზემ. ფანჯრები ყველგან ჟალუზებით დაიკეტა, მოძრაობა, ე. ი. ქუჩებში ფაციფუცი შეწყდა, თუმცა ეკიპაჟები მთელი სისწრაფით დაქროდნენ ქუჩებში; ხარები მძიმე-მძიმედ მიათრევდნენ პურითა თუ სხვა სანოვაგით დატვირთულ ფურგონებს, ხან ხალხიც იჯდა შიგ. ერთ ასეთ ფურგონში თხუთმეტიოდე კაცი დავინახე. ლონდონით იქაც შუა ქუჩაში გაბაწრული იღვა დასაქირავებელი ეკიპაჟები: ოთხადგილიანი კარეტები, კალიასკები, კაბრიოლეტები, ხან ერთ, ხან წყვილცხენიანები. გეგონება, ისინი ეს-ესაა გამოუტანიათ სახელოსნოდანო: ძველი ყაიდისას ვერც ერთს ვერ დაინახავთ, ყველა შეღებილია და ყველას კრიალი გაუდის. შავკანიანი მეეტლეები თვალში ნეშოგვეციცინებენ, თუმცა კრინტს არ სძრავენ.

რომელიდაც გზაჯვარედინზე ყველანი დავიშალეთ: ვინ იშვიათ საგანთა მალაზიისკენ გასწია, ვინ აბაზანებსა თუ აბანოს მიაშურა, რომელიც სავაქრო მოედანზე ერთ შენობაში მოეწყოთ. ერთი სიტყვით, ყველა თავის გზას გაუდგა. მე ისევ ჩაბნელებულ ხეივნისკენ წავედი და ბოტანიკური ბაღი მოვიანახულე. ჯერ ერთი, ძალიან მომეწონა და თანაც არც ქალაქში იყო სასეირნო ადგილები. კვლავ დიდი სიამოვნებით შემოვუარე ბაღს, შევჩერდი სხვადასხვა ხეების წინ, გაოცებული ვუცქეროდი ტლანქ, რქიან კაკტუსებს და კვლავ ცნობისმოყვარედ გავყურებდი სუფრა მთას. ისმოდა აუარება ჩიტების ჭიკჭიკი, გუშინ ალბათ გვიანი ხანი იყო და იმიტომ ვერ გავიგონეთ. ამ დილას კი ჩრდილოეთის ყურისთვის ყოვლად უცნობი, მხიარული ჭიკჭიკი აყრუებდა იჭაურობას. მინდოდა მომღერლები დამენახა, მაგრამ ძალზე მიფრთხოდნენ: ბუჩქიდან ბუჩქზე წამდაუწუმ დაფრინავდნენ ცქრიალა კოლობრების გუნდები. საკმაოდ დაბალი ბუჩქების ტოტებზე ერთ ყოფაში იყვნენ, ცელქობდნენ და კეკლუცობდნენ. მათი ბუმბული ათასფრად ელავდა. ხუთ ნაბიჯზე მივუახლოვდებოდი თუ არა. მყის წამოიშლებოდნენ, ცხვირწინ ჩამიქროლებდნენ და იქვე, თუთისა თუ სხვა ბუჩქებში ჩაცვივდებოდნენ.

პირველი საათი იყო, ოტელში რომ საუზმისთვის ზარი და-
რეკეს. ისევ გათამაშდა ცხოვრების ერთ-ერთი სასიცოცხლო
აქტი. დესერტის შემდეგ ყველამ ბუფეტს მიაშურა, სადაც შევ
კაბაში გამოწყობილი კაროლინა იჯდა, თმაზე შავი ბაღე ეკეთა
და ღიმილით ადევნებდა თვალს, როგორ შესცივინებდა ამდე-
ნი ხალხი. ერთი პირობა მეც ვცადე ფანჯარასთან მისვლა, მაგ-
რამ ადგილები დაკავებული იყო და ისევ თქვენი წერილის გა-
საგრძელებლად წამოვედი. საათიან სამზე კი ჩემი ხელით წა-
ვიღე ფოსტაში. მერე ნაემრსადგომზეც გავედი, სადაც მუდამ
ირევა ხალხი და მუდამ ერთი ფუსფუსია. აქ გრძელ, ზღვაში
კარგა შორს შექრილ მიწაყრილზე ღიანდაგი გადის და მძიმე
ტვირთი იმით მიაქვთ ნავებამდე. აქ მუდამ ტრიალებენ სხვა-
დასხვა ეროვნების მეზღვაურები, შკიპერები და ქალაქელი
სეირის მაყურებლები.

თუმცა სასეირო და საყურებელი აქ მართლაც კი აქვთ: წინ
თვალუწვდენელი ყურეა გადაკიმული, სადაც აუარება ხომალ-
დი ტორტმანებს: ნავები წამდაუწუმ დასრიალებენ წინ და
უკან: შორს ქვიშიანი მარჩხობი მოჩანს, იმის იქით ვეფხვის
მთები აყუდებულა. უკან მოიხედავ: სამ უზარმაზარ მთასა და
მხიარულ, ცოცხალ ქალაქს დაინახავ. იქვე, მიწაყრილზე აუა-
რება ფერადკანიანი ხალხი დამხვდა, განსაკუთრებით ბევრი
იყო ბიჭები, რომლებიც ანკესებით თევზს იჭერდნენ. აქ იმდე-
ნი თევზი სცოდნია, წუთი არ გავა, ვინმემ თევზი არ ამოათ-
რიოს.

ზოგიერთ ქუჩაზე მრავალი საჯინიბო დავინახე, საჯდომი
ცხენებით სავსე. ქალაქსა თუ ქალაქგარეთ ბევრი მხედარი
შეგზვდება, ზოგჯერ მთელ კავალკადასაც გადაეყრები. ცხენები
ყველა საშუალო სიმაღლისაა, მაგრამ ლამაზები კი არიან. იმ-
დენია ცხენით გასეირნების მსურველი, თუ წინასწარ არ დაიჭი-
რე თადარიგი; კვირას ერთსაც ვერ იშოვი. კვირა დღეს ყველა
აგარაკებზე გადის ქალაქიდან. სხვათა შორის, ერთ ადგილას
აბრაზე „ომნიბუსების კანტორა“ წავიკითხე. რომ ვიკითხე,
საით დადიან-მეთქი, კაპშტატიდან 40-50 ვერსის მანძილზე
ახლო მდებარე ადგილები დამისახელეს. ვითომ დიდი ხანი გა-
ვიდა მას აქეთ, რაც ამ ადგილებში ჰოტენტოტთა მთელი ბრბოს
თანხლებით ხარებით მიემგზავრებოდნენ, ლომებსა და ვეფხ-

ვეპზე სანადიროდ? ახლა ლომებზე ნადირობა თუ გინდა, ოთხასი მილი უნდა გაიარო: ქალაქებმა, გზებმა, ოტელებმა, ომნიბუსებმა, ხმაურმა და ფაციფუცმა შორს გადახვეწა ისინი. მაგრამ ვეფხვები და ტურები დღესაც დაძრწიან კაპიტატის გარშემო მდებარე მთებში.

თუმცა აი უკვე ექვსი საათია, მზე ჩავიდა და სადილის დროც მოვიდა. ოტელში ვიღაც მაღალი, მოყვანილი ჯენტლმენი დაგვხვდა, სანდომიანი სახისა და ოდნავ ჭალარაშერეული, კობტა ქილვაშებით. ცისფერი ქურთუკი ეცვა, ქუღზე სამგლოვიარო შავი ლენტე ეკეთა, სახეზე თავის ღირსებათა მორიდებული შეგრძნების ღიმილი უკრთოდა და ხელში გრძელზე გრძელი მათრახი ეჭირა. — „ვანდიკი გახლავართო“, — ასე გაგვეცნო. თავში მყის სხვადასხვა ფიქრმა გამიელვა. „აღბათ განთქმული მხატვრის შთამომავალია: ამ ჩვენს წინ მდგომ ვანდიკის პაპსა თუ პაპის პაპს ჰოლანდია დაუტოვებია, კოლონიაში გადმოსახლებულა, ეს კი მისი ვაჟია. ცხადია, იშვიათი სტუმრების, — რუსების გასაცნობად მოვიდა, როგორც გუბერნატორის ადიუტანტი მაიორი მოგვიყვანა ამ დილას ექიმმა ვედერჰედმა...“ „მე უნდა წაგიყვანოთ კოლონიის დასათვალეერებლად, — გვითხრა ვანდიკმა, — თქვენი ბანკირი მომირიგდა ორ ეკიპაჟსა და რვა ცხენზე. როდის გნებავთ გამგზავრება?“ ვარაუდი გამიქარწყლდა. „ხვალ აღრიანადო“, — ვუთხარით ჩვენ.

ექიმმა ვედერჰედმა კვლავ დიდი თავაზიანობა გამოიჩინა სადილზე. რამდენიმე ქალბატონიც ჩამოვიდა სასადილოში, მათ შორის ექიმის ცოლიც. ულამაზო ვინმე ყოფილა, ღმერთმანი: ოცდაათიოდე წლის იქნებოდა. *figure chiffonnée*¹ ასეთ სახეებზე ჩვეულებრივ დააყოლებენ ხოლმე: თუმცა სასიამოვნო შესახედაობისააო, მაგრამ ამ ქალზე ვერც ამას იტყვოდი. რა კეკლუცადაც არ უნდა ჩაიცივას, ჩაცვნილი, უსიციოცხლო თვალები და გათეთრებული ტუჩები მხოლოდ სიბრალულს თუ გამოიწვევს შენში, იმათ ნომრიდან ხშირად გვესმოდა მუსიკის ხმები, ხანდახან ქალის სიმღერაც. ფორტეპიანოზე ვიღაც მშვენივრად უკრავდა: ამბობენ, ექიმი უკრავსო.

¹ სულ დანაოქებელი (ფრანგ.)

პირველ გაცნობისთანავე ექვი აღმეძრა, რომ ექიმი ინგლისელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ოსტ-ინდოეთის ჯარის პოლკში ქირურგად მუშაობდა. ჭამაში მეტისმეტად თავშეკავება სჩვეოდა, ღვინოს პირს არ აკარებდა და სულ ჩვენს ქებაში იყო, რაკი თითქმის არც ჩვენ ვსვამდით. „თანდათან მეტი სიამოვნებით გიცქერით“, — მითხრა მან ერთხელ, როცა ნასადილევს სასტუმროში გავედით და მანდილოსნებიც წავიდ-წამოვიდნენ. მერე მაგიდაზე შეაწყო ფეხები, სადაც ურჩნალები ეყარა. „ნეტავ რით დავიმსახურეთ ასეთი ქათინაური?“ — „თქვენი თავმდაბლობით, წესიერი თავდაქერით...“ და მოჰყვა და მოჰყვა. „დიდად გმადლობთ. განა სხვას მოელოდით?..“ „არა, მხოლოდ ჩვენს ოფიცერებს გადარებთ. ამ დღეებში ინგლისური ხომალდი ჩამოვიდა. ოციოდე ოფიცერმა აქ დაიჭირა ოთახები და ერთ საათში მთელი ოტელი ყირაზე დააყენეს. უპირველეს ყოვლისა, ისე გამოილეშნენ, ბევრმა ადგილიდან ფეხი ძლივს დასძრა, სხვებმა ესეც ვერ შესძლეს და იატაკზე გაგორდნენ. ყოველ ცისმარე დღე ასეა. თქვენც ხომ დიდხანს დაჰყავით ზღვაზე, გართობა თქვენც გინდათ, მაგრამ ერთი ბოთლი ღვინოც კი არ დაგიღვევიათ: მიკვირს პირდაპირ!“

ასეთმა აზრმა, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა: აბა ვინ ლაპარაკობს ასე თანამემამულეებზე და ისიც უცხოელებთან. „განა ინგლისელები ინდოეთშიც ისევე სვამენ, და ხორცეულს და ცხარე სანელებელს ეტანებიან?“ — ვკითხეთ ჩვენ. „ოჰ, უზომოდ სვამენ! ხომ ხედავთ, აქ როგორ ცხელა; წარმოიდგინეთ, ინდოეთშიც ასეთი ზამთარი იცის; ზაფხულზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენები კი ამ სიცხეში დილაადრიან სანადიროდ ეშუარებიან; წასვლის წინ, იცით, რას სვამენ? ჩაისა და არაყს! ამ პაპანაქებაში მთელი დღე ნახეტიანები მერე შეკრების ადგილას თითოეული რამდენიმე ბოთლ პორტერსა თუ ელს გამოსცლის სადილზე და შინ ისე მივლენ, თითქოს წვეთი არ დაუღვევიათ; იბანავებენ მხოლოდ და მერე ისევ საქმელს მოუხსნდებიან. გგონიათ, ვნებთ? — ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილად დასძინა მან, — სრულიად არა, ოღონდ სუქდებიან და სახეზე ჭარხალივით წითლდებიან. მე კი არც ღვინოს ვეკარები, ჭამითაც ცოტას ვჭამ, მაგრამ იძულებული გავხდი, აქ ნახევარი წლით ჩამოვსულიყავ სამკურნალოდ“.

„თუმცა ბოლოს მაინც წამოშხამდებათ ხოლმე, — დაუმატა მცირე ღუმილის შემდეგ, — განსახლვრულ დრომდე მაგრად არიან ჯანზე, ოღონდ გავა წლები და ჯანმრთელობა უცბად უმტყუნებთ ხოლმე. ინგლისში ბევრ ინდოელ გმირსა ნახავთ, რომლებიც საეარძლებიდან ველარ ამდგარან; ან არადა ერთი მინერალური წყლებიდან მეორეზე დაწინააღმდეგებენ“. — „დიდხანს დარჩებით აქ?“ — ვკითხეთ ექიმს. „ერთი წლით ავიღე შევებულება. პენსიამდე კიდევ სამი წელი მიკლია. ჩვიდმეტი წლის სამსახურია საჭირო. არ ვიცი, ჩამითვლიან თუ არა ამ წელიწადს. ახლა ინდოეთში სამსახურის ახალ წესებს ადგენენ. ღმერთმა იცის, როგორ იქნება“. შევეკითხეთ, დასასვენებლად რაღა კეთილი იმედის კონცხი შეარჩია. „ყველაზე ახლოს იყო, — ზოგვიგო მან. — თანაც გზა უფრო იაფი ჯდებოდა. აესტრალიაში, სიდნეიში მინდოდა წასვლა, მაგრამ იქ ახლა ბევრი ემიგრანტი მიემგზავრება და კარგ ხომალდებზე ადგილები ძვირია. ჩვენ კი ორნი ვიყავით. მე და ჩემი ცოლი; ხელფასს 800 — 1 000 გირვანქა სტერლინგს ვიღებ (5000 — 6000 მან.)“

„პენსიაში რომ განვალოთ, სად გაემგზავრებით?“ — „ჯერ ვერ გადამიწყვეტია; იქნებ საფრანგეთში წავიდე...“ „ფრანგული იცით?“ — „რა თქმა უნდა...“ — „მართლა იცით?“ — და სასწრაფოდ გავაბით ლაპარაკი, თორემ აქამდე ა[რეფიციის] გარდა ყველას პირი გვქონდა თითქმის ამოკერილი. მხოლოდ ის ლაპარაკობდა ინგლისურს მშვენივრად. ექიმს დიდებული ფრანგული სცოდნია, ვერც ერთი ინგლისელი ასე ვერ ილაპარაკებს, თუნდაც ასი წელი დაჰყოს საფრანგეთში. „ეგ ებრაელი გახლავთ, ბატონებო!“ — ერთბაშად წამოიძახა ერთმა ჩვენმა ამხანაგმა. ებრაელი! მგონი, მართლაც ასეა. დაკვირვებით დავაქერდი: ფერმკრთალი სახე, ქერა თმა, პროფილი... პროფილი კეშმარიტად ებრაული აქვს. მიუხედავად ამისა, სკეპტიკოსები მაინც აღმოგვიჩნდნენ და მაინც გამოგვედავენენ. არა, არა, ინგლისელებისა არაფერი სცხია: არც თვალეზგადმოკარკლული იცქირება, ინგლისელებივით მოკვეცილი აზროვნება არა სჩვენია; ნაფიქრს სიტყვა-სიტყვით არ გამოსცრის, მისი ფიქრები თავისუფლად მოედინება: ზედ ეტყობა, გონება ცრუ შეხედულებით არ შეუზღუდავს; მის ფიქრს ინგლისური სამოსი არ შემოუჭიმავს და გახამებულ საყელოსავით არ ახრჩობს: ერთი

სიტყვით, ყველაფრით კოსმოპოლიტს, მაშასადამე, ებრაელს ჩამოგავს. განა ინგლისელი თავის ლოთებს ასე გამოამზეულებდა?... მაგრამ მისი ეროვნება მაინც დაუსაბუთებელი დარჩებოდა და ინგლისელად თუ ფრანგად კიდევ გაისაღებდა თავს, თუ რომ თავისი ხელით არ გამოეჭრა ყელი. ამ საუბრიდან ნახევარი საათი არ იქნებოდა გასული, რაღაც სხვაზე ვბაასობდით, ექიმი ჩვენს სამსახურზე, ჩინებზე და უფრო მეტად ჯამაგირზე გვეკითხებოდა, რომ უცბად, საიდან სადაო, სწრაფად გვეკითხა: „თქვენში ებრაელები რა მდგომარეობაში არიანო?“ და ექვიც ყველას გაგვიქარწყლა.

თუმცა ვინც არ უნდა იყოს, გინდ ებრაელიც, მეტად თავაზიანი, განათლებული და გულისხმიერი კაცი გახლდათ. „საღამოობით გწყინდებათ ალბათ, — გვითხრა ერთხელ. — აქ არის კლუბი. შესვლა თავისუფლად შეგიძლიათ. გაეცნობით აქაურ საზოგადოებას, გაზეთს წაიკითხავთ, სიგარას მოსწევთ: ნომერში მარტო ყოფნას ყველაფერი სჯობია. გინდათ, ახლავე წავიდეთ? წამობრძანდით, გეთაყვა!“

ჩვენც წავედით. სხვა კლუბებს არაფრით ჩამოუვარდებოდა: განათებული ოთახები, დასტა-დასტა ჟურნალები, ქვეყნის ლაქიები და ბუფეტი დაგვხვდა აქაც. მაგრამ, ერთობა, ადრე მივსულვართ: ოთახები ცარიელი იყო, მხოლოდ საბილიარლოში მოეყარა თავი თხუთმეტიოდე კაცს. ხუთს სერთუკები გაეხადა და ჟილეტის ამარა თამაშობდნენ: სხვები უხმოდ უყურებდნენ თამაშს. მოთამაშეთა შორის განსაკუთრებით ერთი ხნიერი, ტანდაბალი, შექალაქავებული კაცი გამოირჩეოდა, წითელი ქურთუკი და ლურჯი შარვალი ეცვა, ჰალსტუხი არ ეკეთა. „ამ ჯენტლმენს დააკვირდითო“, — გვითხრა ექიმმა და მაშინვე გაგვაცნო. იმან ხელი ჩამოგვართვა, რაღაცის თქმა დააპირა, რომ სამიოდე კაცმა დაუძახა: „თქვენი ჯერიაო!“ — და მანაც თამაში განაგრძო. „ვინ არის?“ — ვკითხეთ ექიმს. ექიმი, ცოტა არ იყოს, შეიშმუშნა. „მოთამაშეა, ასე ვთქვათ“, — გვითხრა მან. „ოჰო, დიდი მადლობა, რომ გაგვაცანით“, — გავიფიქრე გულში. ექიმი თითქოს მიმიხვდა გულის ნადებს და დასძინა: „იმიტომ გაგვაცანით, რომ შესანიშნავი ჰკუის კაცია, განათლებული, ბევრი რამ გადახდა და თამაშშიაც მუდამ ბედი სწყალობს. მასთან საუბარს არაფერი სჯობს, ყველაფერი იცის

ამქვეყნად. აქ, ჩინეთსა და ავსტრალიაში უზარმაზარი კრედიტით სარგებლობს, მაგის თამასუქებს ისეთივე გასავალი აქვს, როგორც ბანკისას. აი, ის ყმაწვილი კი, — მიგვითითა ექიმმა კარგ შესახედავ, ულვაშებიან ჯენტლმენზე, — ძალიან მდიდარია, მაგრამ მიუხედავად ამისა სამხედროში მსახურობს, იმდენად დიდი მოტრფიალეა თავგადასავლებისა“.

ბურთების გორაობის ცქერამ მაინცადამაინც არ დამაინტერესა, მათი თვალთვალი ჩემს ამხანაგს მივანდე და კუთხეში მივჯექი. ამასობაში მომწყინდა და შინ დაბრუნება მომინდა. დავუძახე — არ წამომყვენ: „ცოტა მოიცადეო“. ავდექი და ჩუმად წამოვედი, მაგრამ არც იქ დამხვდა დიდი მხიარულება. ჩვენი ექიმი, ნატურალისტი და ყმაწვილი ზ[ელიონი] უკვე დაწოლილიყვენ; ნატურალისტს თუ არ ეძინა, თავის ლოკრკინებს, კიბორჩხალებსა და მწერებს დასტრიალებდა, წმენდდა, ახმობდა და ა. შ. ანაზღად ჩემი ამხანაგების კლუბიდან გამოსატყუილებლად კარგი ოინი მომივიდა თავში: ნასადილევს მათ მისტრის ველჩსა და კაროლინას სთხოვეს en famille¹ დავლით ჩაიო, როგორც ჩვენში, რუსეთში იციან. რომანტიულობაა, სხვა არაფერი! მაგრამ ისინი ვერ მიხვდნენ მიზეზს და მიპატიეებას თავი აარიდეს. სწორედ ამას დავაყრდნე ჩემი ოინი და კლუბისკენ გავწიე. მოთამაშე ბ[არონს] ემუსაიფებოდა, პ[ოსიეტი] ინგლისელ ექიმს. კარგა ხანს ვერ ვიხელთედრო, ბოლოს მოვახერხე და ყოვლად გულგრილი კილოთი ვთქვი, შინ ვიყავ და ბებერმა ველჩმა მკითხა, თქვენები სად გაიფანტნენო. „იმას რა აწუხებს?“ — მკითხა პ.-მა „აბა რა ვიცი, — დაუდევრად მიუვუე, — მგონი, თქვენ გითხოვიათ კაროლინასთვის ჩაი გაეწყო...“

„მე კი არა, ბ[არონმა] თხოვა“, — გამაწყვეტინა პ.-მა. „ეგ არ ვიცი, ოლონდ კაროლინა სუფრასთან ზის და გიცდით“. მერე ბ[არონს] მივადექი. „თქვენ თხოვეთ ბებერ ველჩსა და კაროლინას ერთად დავლით ჩაიო...“ — „არა, მე არა, პ.-ი იყო, მერე რა?“ — „ჩაი მზადაა და კაროლინა გიცდით...“ შემდეგ ისევ პ.-ისკენ გამოვტრიალდი, რა არის წამოსასვლელად დამეყოლიებინა, მაგრამ აღარ დამიხვდა. „ეგ მოთამაშე ვაჟბატონი,

¹ ოჯახურად (ფრანგ.)

წითელი ქურთუკი რომ აცვია, არც ისე შესანიშნავი ვინმე ყოფილა, — შენიშნა ბ[არონმა] და დაამტკნარა. — მაგას სჯობია წავიდეთ და დავიძინოთ“. წამოვედით. 3-ი დიასახლისების ოთახში აღმოვაჩინეთ: ორივე მანდილოსანს მტქნარებით პირი ეხეოდათ — დედაბერი ამას არც მალავდა, კაროლინა კი ცდილობდა მტქნარება ღიმილით დაეფარა. ჩაიზე არც ერთს არ უკითხავს არაფერი, არც ჩემთვის, არც ქალბატონებისთვის: ოინს მიმიხვდნენ. პარმალზე გამოვედით, დავსხედით ეზოში და ვაზის თალარში მარტო ჩვენ დავლიეთ ჩაი. კეთილი 3-ი მარწმუნებდა, ეშმაკობას მაშინვე მიგიხვდითო. ბ[არონს] არაფერი უთქვამს, მხოლოდ მეორე დღეს გამომიტყდა, გუშინ კინალამ დუელში გამოგიწვიეთო.

ღილით ისევ მოგვაკითხა ვანდიკმა, წასასვლელად თუ ხართო მზად; მაგრამ მზად არ ვიყავით: ვის ტანსაცმელი ვერ მოუსწრეს, ვინ ფული ვერ გადაახურდავა. ვთხოვეთ ორ საათზე შემოველო. ვანდიკმა კვლავ ღიმილით დაგვიკრა თავი და წავიდა. ორ საათზე პარმალის წინ ორი კარეტა დადგა: ოთხი ცხენი წყვილ-წყვილად იყო თვითეულში შებმული. როცა ეკიპაჟში ჩავსხედით, პარმალზე ყველანი გამოეფინნენ გასაცილებლად: მალაელი რიჩარდი, მეორე შავკანიანი მსახური, ბრუტიანი ინგლისელი და ბოლოს თვით მისტრის ველჩი და კაროლინა, — „Good journey, happy voyage“¹ — გვეძახდნენ ისინი. წვიმა სკრიდა. დავტოვეთ ქალაქი, სუფრა მთასა და ეშმას მწვერვალს შემოვუარეთ და მშვენიერ გზატკეცილს გავყევით, რომელიც ფერმებს, ქოხებს, ჭაობებს, ქვიშნარსა და ჩირგვებს უვლიდა. წინ ყურე გადაშლილიყო. აქეთ-იქით რომ მთების დეკორაციები არ ყოფილიყო ამართული, მშვენიერად შეგვეძლო გამოძინება. მაგრამ ძილისთვის სად გვეცალა. გახარებული ვიყავით, რომ ადმირალის გულისხმიერი დახმარებით ბანკირების ტომსონსა და K^o-სგან მიღებული სარეკომენდაციო წერილების მეოხებით ბევრ ახალსა და შესანიშნავს ვნახავდით.

გავიხსენე, რაც ვალიანისა თუ სხვათა წიგნებში წამეკითხა კეთილი იმედის კონცხზე: მოვიგონე ქვიშნარი უდაბნოების აღწერა, პაპანაქება, სიცხე, ლომებთან ბრძოლა, ფერმები და

¹ გზა მშვიდობისა, კეთილი მგზავრობა! (ინგლ.)

არ მკეროდა, რამ ახლა სწორედ იმ ადგილებში მივემგზავრებოდი და სამშობლოს 10 000 მილი მაშორებდა.

თვალთ ვუალერსებდი ყოველ ჩირგვსა და ბალახს, ხან დიდრონსა და ხახხასას, ხან ცოცხივით გაფშეკილს. ჩავუარეთ ყურის ნაპირას, ქალაქიდან ოთხ ვერსზე, პატარა მინდორზე აშენებულ ობსერვატორიას. ჩემის ფიქრით გერშელს აქ უნდა ეწარმოებინა თავისი ცნობილი დაკვირვებები მთვარესა და ორმაგ ვარსკვლავებზე, მაგრამ გვითხრეს, მისი ობსერვატორია კონსტანის მთის ახლოს ვინბერგის დაბაში იყო მოწყობილიო. წვიმა დროდადრო გადაიღებდა ხოლმე და მაშინ ათასნაირი ჩიტუნები დაფრთხილებდნენ ბუჩქიდან ბუჩქზე. ერთი ლურჯი ჩიტი შევამჩნიე, კული არშინის მეოთხედზე მეტი ექნებოდა. თურმე sugarbird (შაქრის ჩიტს) ეძახიან, რადგან მუდამ ეგრეთ წოდებული შაქრის ბუჩქების ახლოს იბუდებს. გარეული იაღონები, ცივილიზებულებზე უფრო პატარა, უფრო უხეში ფერისა და არც ისე ღია ყვითელი, გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ ბუჩქიდან ბუჩქზე. რალაც მომწვანო და მოყავისფრო ჩიტებსაც მოგვკარით თვალი. ცაში ნელა ჰკრავდნენ კამარას ძერები; დასახლებულ ადგილების ახლოს ყვავებიც მოჩანდნენ, ჩვენებურებზე უფრო შავები და თეთრი ხალებიც ამიტომ უფრო ქათქათა უჩანდათ. სახლების გვერდით კაპის ამლაცი მტრედები, მერცხლები და ბელურები დაფრინავდნენ. კოლონიაში უფრო მეტი ჯიშის ფრინველი ბუდობს, ვიდრე მთელ ევროპაში, სახელდობრ, ექვსასამდე ჯიში ითვლება. ბუჩქნარი ალაგ-ალაგ ისე ხშირია, გაუვალ ტყესა ქმნის, მაგრამ დაბალია. იმათ იქით, გაღმა, შორს ხან დაუმუშავებელი ქვიშნარი ვაკეები, ხან ატეხილი მთები მოჩანდა, რომელთა ძირას თეთრად ქათქათებდნენ ფერმები და მათ ირგვლივ ხშირი მწვანე ხასხასებდა.

ჩვენ ნახევარი საათით ერთ პატარა სასტუმროში გავჩერდით, რომელსაც ირგვლივ ბაღია ერთკუა. სასტუმროს ინგლისურად „Mitchel“-ი ჰქვია, ჰოლანდიურად კი Clauisriver-ი, მდინარის სახელი. კარებში პირველად ყოჩი შემოგვეგება, ყველას რქები მოგვიღერა, ვინც გვერდით ჩავუარეთ. მერე სასტუმროს პატრონი გამოჩნდა, ტანდაბალი და ყოვლად უდარდელი სახის ჰოლანდიელი. „აქ რა გვინდა, რად გავჩერდით?“ — იკითხა [ოსიეტმა], რომელსაც ოლონდ წინ გვევლო, მეტი არაფერი

უნდოდა: „ცოტა ჩვენც დავისვენოთ და ცხენებიც დავასვენოთ“, — სასიამოვნო ღამილით მიუგო ვანდიკმა, რომელმაც ცხენები უკვე გამოაბხსნევიანა „აბა რამ დაგვალა, რად გვინდა დასვენებაო“. მაშინ კი კარგად შევათვალე რე მეორე მეეტლე: ტანდაბალი კაცი იყო, სახეზე დამცინავი და მტკიცე გამომეტყველება ეწერა. მე, ბ[არონი], კ[რიდნერი] და ზელიონი ერთად ვისხედით, მეორე „კარეტი“ პ.-ი, ვ[ეირიხი] და გ[როშკევიჩი] მოდიოდნენ. ვუყურებ და ვერაფრით გამირჩევია, ეს ვინ უნის მათ: მაიმუნი თუა, მაგრამ რომ არც იმას ჰგავს, თუმცა ისევე პატარაა, იმასავით მოკუპსული, შავგვრემანი სახე აქვს, დიდი პალტო ჩაუცვამს და განიერი ქუდი ჩამოუფხატავს. ჰო, ჰოტენტოტი ბიჭი ყოფილა, რომელიც, კაცმა არ იცის, ვანდიკმა რისთვის წამოიყვანა.

მუხლის გამართვა ვერც მოვასწარი, რომ ბ[არონი] უკვე ოთახში გაჩნდა და სასტუმროს პატრონსა და ზანგ ბიქს რაღაცა შეუკვეთა. ჩვენ ოთახის დათვალე რებას შევეუდექით: აქაც აუცილებელი ჩუქურთმიანი ჭურჭლის კარადა იდგა, მეორე ფრინველთა ფიტულებით გამოეტენათ; ხალიჩის ნაცვლად ავაზას ტყავები გაეგოთ, ძველებური მძიმე, ვეება მაგიდები იდგა, სკამებიც ვეება იყო. ყოველივე ჩაყამებული გამოიყურება, სარკეებზე ოქროსვარაყიანი ჩარჩოები ჩაშავებულა; ყველაფერს ჭვარტლი დადებია. სურათებზე ნადირობა გამოეხატათ: აგერ სპილოს ვეფხვი გაუჭყლეტია, ძაღლები ვეფხვს მისდევენ. გაჭვარტლული, ჰოლანდიურად მორთული ოთახი მოგზაურს მაინც გულლიად გეპატიეება, როგორც გაუპარსავ დაუბანელ კაცს სჩვევია ქვეშ-ქვეშ ალერსიანი მზერა. ჰოდა, აქა თუ ამის მსგავს ოთახებში ყოველივე გულლიად გიმზერს, ყოველივე მყუდროა. აქ ფინჯნებიც გამოფენილია, დარიჩინის, ყავისა თუ სხვა სანელებლების სუნი ტრალეებს — ერთი სიტყვით, ოჯახი იგრძნობა; ბუხართან უთფოდ ძალიან თბილა. დუქანს არა ჰგავს, გეგონება, რომელიმე ხელმოკლე მამიდის მყუდრო სახლს სწვევიხარ სადღაც მივარდნილ სოფელში. მართალია, სეარძელი ცოტა მაგარია, სამაგიეროდ ადგილს იოლად ვერ მოუნაცვლებ; ლაქი და ოქროს ვარაყი თითქმის სულ გადასცლია, ფარდების მაგივრად რაღაც ძონძები ჰკიდია, სახლის პატრონსაც ატყვია დაჩაჩანაკება, მაგრამ ეს სიღარიბე პატიო-

სანი და ამასთან სტუმართმოყვარე სიღარიბე გახლავთ, გაუმასპინძლებელს არაფრით არ გაგიშვებენ, თუმცა შაშხი ისე მაგარია, კბილებს დაგამტკრევთ; არც დამარილებული ხორცია უკეთესი. მაგრამ თავის უკანასკნელ ლუკმას მაინც არ დაგამადლის. ამ პატრიარქალურად გაშლილ სადილსა ან საუზმეს რომ უყურებ, არ გჯერა, ფულს თუ გამოგართმევენ: გამორთმევა კი მართლაც უჭირთ, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ. ის იყო ყოველი კუთხე მოვიარეთ, ფრინველებისა და ნადირების ფიტულები, სურათები დავათვალიერეთ, რომ მასპინძელმა მეორე ოთახში მიგვიწვია, სადაც ერბოკვერცხიანი შაშხი და ყავა დაედგათ უკვე სუფრაზე. „რაო? კიდევ? — წარმოთქვა ჩვენმა ზომიერმა, მორიდებულმა თანამგზავრმა ვ[ეირინმა], ის გერმანელი იყო, — განა კაპშტატში არ ვისაუზმეთ“. მაგრამ დაჯდა და ჩვენთან ერთად ისაუზმა.

ხუთი საათი იქნებოდა, როცა გზას გაუუღეკით. რამდენიმე ხანს ისევ ქაობიან ველს მივყვებოდით. უკან დაგვრჩა სუფრა და ეშმას მთები, მაგრამ თვალთაგან მაინც არ მოგვფარებია. მარჯვნივ მწვერვალები აღმართულიყო, კონსტანის მთიდან რომ იწყებოდა. ქაობები და ქვიშნარი მალე შესცვალა მწვანე სერებმა, უფრო მრავალფეროვანი სურათები გადაგვეშალა თვალწინ, ნათლად გამოიხატა შორეული მთების კუშტი სილუეტები; ლურჯი ღრუბლები თავზე გასწოლოდათ და შიგდაშიგ ელვა სერავდა: საკმაოდ ძლიერად ასხამდა წვიმა. პ. ა. ზ[ელიონი] მთელი გზა ან საცეკვაოს გვიმღეროდა ან სამგლოვიარო მარშს კოზლოვის ცნობილ სიტყვებზე. მე და ბ[არონი] ხან სიგარას ვაბოლებდით, ხან ღრმავაროვნად ვდუმდით, ხან ვანდიკს შევეკითხებოდით რომელიმე მთისა თუ შორს გამოჩენილ ფერმის შესახებ. ის აფრიკელი იყო, ე. ი. აფრიკაში დაბადებული, მშობლები ჰოლანდიელები ჰყავდა, ჰოლანდიურად და ინგლისურად ლაპარაკობდა და პასუხს არ გვამადლიდა. კოლონიაში ყველაფერი იცოდა და ყველაფერს იცნობდა: მთებს, ტყეებს, ჩირგვებსაც კი, ყოველ ფერმას, ფერმერს, მათ მსახურებს, ძაღლებს, მაგრამ ყველაზე უფრო ცხენებში ერკვეოდა. მალე გავიგეთ, რომ ცხენების ყიდვა-გაყიდვა თუ გაცვლა-გამოცვლა მის პროფესიასა და ტრფიალს წარმოადგენდა. ესალმებოდა ყველა შემხვდურს, მალაელი იქნებოდა ის, ჰოტენტო-

ტი თუ ინგლისელი, ერთს თავს დაუკრავდა, მეორეს მოწიწებით მოუხდიდა ქუდს, მესამეს მხოლოდ მეგობრულად გაუღიმებდა, ზოგიერთს რაღაცას დაუყვირებდა მრისხანედ და შეუკურთხებდა კიდეც.

გზა მშვენიერი იყო. კაპუტატიდან რომ გამოვედით, მთები კარგა ხანს გზის ორივე მხარეს მოშორებით მისდევდა, სამოცდაათი მილის შემდეგ კი გზა შეავიწროვეს და გრძელი ხეობა შექმნეს, სადაც ჩვენ უნდა გაგვევლო. მოსალამოვდა. ვანდიკი ცხენებს თავს უჭერდა. „აჰლ!“ — შეუყვირებდა ხანდახან. ვერა და ვერ გავარკვიეთ, ეს ცხენების სახელი იყო, თუ მხოლოდ შეძახილი, ისიც ვერ დავადგინეთ, რა შემთხვევებში ხმარობდა; როცა ცხენი უკან იხევდა, „აჰლო!“ უყვიროდა, თუ წინ გაიპრებოდა ან ფეხი დაუცდებოდა, მაშინაც ასე უტატანებდა. თუ შეეკითხებოდით, ვანდიკი მხოლოდ ჩაიღიმებდა, პასუხს კი არ გაძლევდა.

სალამოს რვა საათი იქნებოდა, როცა ვანდიკმა უცბად გადაუხვია გზას და ერთ ობლად მდგარ, გრძელ, ერთსართულიან ქვის შენობას მიაღდა. ვანიერი პარმალი მთელ სახლს მისდევდა სიგრძეზე. „ეს რაღას ნიშნავს? სად მივდივართ, რატომ?“ — „ვივანშმებთ და ღამეს გავათევთ! — მშვიდად, მაგრამ გადაჭრით გვაუწყა ვანდიკმა. — ცხენებს არაქათი გამოეცალათ: დღეს ოცი მილი გავიარეთ“. ამ სასტუმროს თურმე „ფოქსანდ-ჰოუნდსი“ — (Fox-and-hounds), ე. ი. „მელა და ძაღლები“ ერქვა. „აბა, რასა ჰგავს? — შფოთავდა ჩვეულებისამებრ ფიცხი პ[ოსიეტი], — აქ რა გვინდა, გზა გავაგრძელოთ“. — „სად წავიდეთ ამ წვიმასა და სიბნელეში“, — ეუბნებოდნენ დასვენების მოყვარულები. „მერე რა, მაინც უნდა წავიდეთ“. — „რის გულისთვის? განა სამოგზაუროდ, დასათვალიერებლად არ მივდივართ... ღამეში რა უნდა ვნახოთ?“ მაგრამ მეორე კარტაში მყოფი ჯგუფი, ჩვენ რომ სწავლულებად მოვნათლეთ, არა და არ თანხმდებოდა. შეიქნა ერთი დავა და კამათი. „არტიტული ჯგუფი“ ე. ი. ჩვენ სამნი, პარმალზე ავედით, ისინი კი გაკერპდნენ და ეკიპაჟიდან ფეხი არ მოიცივალეს. ამასობაში ვანდიკმა და მისმა ამხანაგმა უხმოდ გამოსხნეს ცხენები და ჩვენი დავაც ამით დასრულდა.

ბარონი სასტუმროში შევიდა, სწავლულთა პარტია უნდი-

ლად, ზანტად გადმოძვრა ეტლიდან, მე კი სახლს შემოვეუარე. ამ ადგილს რა ჰქვია-მეთქი, ვიკითხე.

„ინგლისურად „ფერსტ-რივერი“, პოლანდიურად კი „ერშტ-რივერიო“ (პირველი მდინარე), — მიპასუხა ვანდიკმა. თუ კაპიტალიდან ვიგულისხმებთ, მართლაც პირველია; მაგრამ როგორც მდინარე უკანასკნელი გახლავთ. ისიც საკითხავია, მდინარეა თუ არა. „მდინარე სადღაა?“ — ვკითხე ვანდიკს. „მანდ, — მიმითითა მან, სადაც მე ვიდექი, — ახლა თქვენ მდინარეში დგახართ: ეგ სულ მდინარეა“, — და მან ირგვლივ მთელი სივრცე შემოხაზა. „აქ მარტო ქეები და ქვიშაა“, — ვუთხარი მე. „ახლა მდინარე არაა, ან აგერ, იმ თხრილში დგას, ზამთარში კი მთელი ეს ადგილი რამდენიმე მილზე წყლით იფარება. აქაური მდინარეები ყველა ეგეთია“.

სახლში შევედი, ვითომ ეს სასტუმროა? რაღაც არა ჰგავს. პირველი ოთახი რომელიმე კერძო სახლის სასადილო გეგონებდათ. გალაქული იატაკები, ქალაღით გაწებილი კედლები, შუაგულში მრგვალი მაგიდა, კედლებთან ახალი ფასონის ორი მშვენიერი დივანი. იატაკზე და დივნებზე ჩვენი ბარგიბარხანა ეწყო, მასპინძლები კი არ ჩანდნენ. მაგრამ ლაპარაკის ხმა გავიგონეუ დერეფანში გავედი და გვერდით, კარგა დიდ ოთახში შევეყავი თავი. ძალზე ლამაზად მოწყობილი ოთახი გახლდათ, გრძელი მაგიდა იდგა, ზედ ბიბლია და სხვა წიგნები, ხელსაქმე, რვეულები თუ სხვა რამ ელაგა, კედელთან ფორტეპიანო იდგა. ერთი სიტყვით, ფუნდუქს აქ არაფერი მოგაგონებდა. ზედ ეტყობოდა, პატრონები რომ ინგლისელები იყვნენ: ახალთახალი ავეჯი, ყველაფერი კომფორტულად მოწყობილი. ერთი ახალგაზრდა, ჯმუხი ტანის ზანგის გარდა არავინ გამოჩენილა. რაც არ ვკითხეთ ან დავავალეთ, ჯერ გაგვიკრიჭა და ბროლივით კბილები გამოგვიჩინა. ზანგებს თურმე ასე სჩვევიათ კრეჭა. „მაშ ვივასშმებთ თუ არა?“ — იკითხა ვილაცამ. „მე უკვე შეევუკვეთე“, — გასცა პასუხი ბარონმა. „უკვე? — შენიშნა ვეირიხმა. — რა შეუკვეთეთ?“ — „ბევრი არაფერი: ცხვრის ხორცი, ღორი, ქათამი, ჩაი, კარაქი, პური და ყველი“.

ნავახშმევს სხვა ოთახებში გაგვიყვანეს. იქ იატაკები აღარ იყო გალაქული, არც კედლები აეკრათ ქალაღდებით, სამაგიეროდ კატათალკივით უზარმაზარი საწოლები იდგა. ოთახებში

ნესტის სუნი იგრძნობოდა, როგორც ჩანს. მგზავრები მაინცა-
დამაინც ხშირად არ აწუხებენ. კედლებზე მშობლიური ბალ-
ლინჯოებისა და ტარაკანების ნაცვლად ჩვენთვის უცნობი
მწერები, გრძელი, მრავალფეხა ხოქოები დალოდავდნენ. მე და
ზელიონი ერთ ოთახში აღმოვჩნდით. დაწვა თუ არა, მაშინვე
დაიძინა, თითქოს ჩაიძირაო. არც მე მიფხიზლია დიდხანს. გა-
მოძინებული არ ვიყავით, რომ დილაადრიან მოუსვენარმა პო-
სიეტმა (ჩვენი მენტორობა მან იკისრა,) ოთახები ჩამოიარა,
ჩქარა ადექით, გზას გავუდგეთო.

ამინდი მშვენიერი დაგვიდგა, გზაც მშვენიერი იყო და ჩვენც
მხიარულად გადავდიოდით კორდიდან კორდზე. გუშინდელ
წვიმას მიდამო გამოეცოცხლებინა, სილა თიხასავით გაეგლისა
და ბულად აღარ დგებოდა. მთები გუშინდელივით კუშტად
აღარ გვიმზერდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება თავი მოეწო-
ნებინათ, მაგრამ მოსაწონი, მართალი გითხრათ, ბევრი არაფე-
რი გააჩნდათ, თუმცა კი მზე უხვად აფრქვევდა სხივებს. მწვა-
ნით შემოსილი წვეროებითა თუ კალთებით ბევრი ვერ დაი-
კვებნიდა, მეტწილად ერთნაირი, ქარით გამოფიტული რუხი
კალთები დასდევდათ, ზოგს ხრამებით დასერილი, ზოგს გამო-
კუზული, ზოგს ფრიალო ფლატედ ჩამოქცეული, ეს იყო და ეს
მათ შორის განსხვავება. მართალია, აღწერილობიდან ვიცოდი,
რომ აფრიკა, სამხრეთ ნაპირის ჩათვლით, ქვიშნარისა და მთე-
ბის სამეფოა, მაგრამ წარმოდგენა მაინც გაუვალ ტყეებს მი-
ხატავდა, სადაც ლომებს, ვეფხვებსა და გველებს შეეფარები-
ნათ თავი. მაგრამ ამაოდ ვეძებდი თვალთ ამ ტყეებს: ისინი
მხოლოდ ზღვის სანაპიროებზე ყოფილა, ხოლო შუაგულში,
კონცხიდან მოყოლებული კოლონიის საზღვრამდე, ე. ი. ათა-
სიოდე მეტრის მანძილზე, ქვიშიან ნიადაგზე მხოლოდ
ჯაგნარი ხარობს და ფერმების ირგვლივ ხელოვნურად გაშენე-
ბული ბალები ხასხასებს, საზღვრის გაღმა კი, იშვიათი ოაზი-
სების გარდა, ვერც ამას ნახავ. მაგრამ ამ დილას, მარტის შუა
რიცხვებში, „პროტეას“ ბუჩქები უფრო მხიარულად იყურებო-
და, მწვანე უფრო ხასხასა ჩანდა, ასე რომ, ჩვენმა გერმანელმა
თანამგზავრმაც შენიშნა, აქ უთუოდ ბევრი საქონელი იქნებაო.
მართლაც, მესაქონლეობას აქ თურმე ძალუმ მისდევდნენ,
თუმცა მთელ კოლონიაშიც ასეა. ცხენები უფრო მხნედ მიგვა-

ქროლებდნენ გზაზე და ჩვენი ვანდიკიც ისე გაბადრულად იცქირებოდა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში რომ ვყოფილიყავ, მაისის ვარდს შევადარებდი, აქ კი სექტემბრის ვარდი უნდა ვუწოდო.

რა ვქნა. ვერა და ვერ შევეგუე ამ წინააღმდეგობებს: სულ მგონია, ახლა გაზაფხულია-მეთქი, თუმცა აქ საზამთროდ, ე. ი. წვიმებისა და ქარებისთვის ემზადებიან და იძახიან, ყურძნის გარდა ყველა ხილი მოილიაო. კაპშტატში გამოცემული კიბსე-კი — ლექსები და პროზა გადავფურცლე წიგნის დუქანში და შიგადაშიგ წავიკითხე: „წავიდა, გაქრა ამ ამაყ ლამაზმანის ღვარჯიშის დროც, ველარ ინეტარებს, ველარ იმიჯნურებს, მიიწურა მისი ცხოვრების ვარდობის სექტემბერი და მცხუნვარე დეკემბერი“. ლექსებში კი ასე ეწერა: „თუნდ ჩრდილოეთის მზემ დამწვას, თუნდ სამხრეთის ქარის ცივმა სუსხმა გამიყინოს სისხლი, ყველაფერს ავიტან, მაგრამ ვით გავუძლო ჩემი სატრფოს მწველ ალერსსა და მის ცივ შეხედვას“. შემდეგ ერთ ვილაც გაკოტრებულ მდიდარს ასე აღწერენ: „ახლა ის ღარიბია: სადგომად პატარა პავილიონი აქვს, მხოლოდ ეკლიანი კაკტუსისა და ალოეს ბუჩქებით შემოღობული და ოდესღაც მისი ხელით დარგული ნუშის. ქერმისა, ფორთოხლის ხეებისა და ვაზის თალარით დაჩრდილული. მისი საკმელი ყურძენი, ნუში, ბროწეული და ფორთოხალია და ერთადერთი ძროხის რძე. ოდეს ამ ხეებს რგავდა, იფიქრებდა კი განა, რომ შიმშილს მხოლოდ მათი ნაყოფი მოუკლავდა? მსახურად ერთი ბებერი ერთგული ზანგილა შერჩენია...“ აი, თურმე რა ყოფილა აფრიკელის სიღარიბე: ყოველდღე ახალი რძე, დესერტად პარდაპირ ხიდან მოწყვეტილი quatre mendiants¹ და ზანგი მსახური... ნეტავ რა დაჯდებოდა ასეთი სიღარიბე პეტერბურგში?

თუ ჩვენი გზა არც ისე მრავალფეროვანი იყო, სამაგიეროდ გამვლელთა ჭრელ-ჭრელი ბრბო, რა ტომისა, რა ფერის კანისა თუ შეძლების არ გინდა, გვივსებდა სანახაობას. ეს რომ არა, ბევრი ცარიელი ადგილი დაგვრჩებოდა. კაპშტატიდან თუ კაპშტატისაკენ ქვეყნის ალალი მიემართებოდა, ხალხით სავსე და

¹ ხილის ოთხი ნაირსახეობა (ფრანგ.)

საქონლით დატვირთული. გრძელი ფურგონები, ფურგონებზე გრძელი ეტლები, სადაც წყვილ-წყვილად ექვსიდან თორმეტ ხარამდე შეებათ, გაუთავებელ პროცესიად მიედინებოდა გზაზე. ხარებს მხოლოდ გრძელი მათრახით მიერეკებიან. პოტენტოტი-მეეტლე ჩვეულებრივ კოფოზე წამოსკუპულა და თუ მარჯვნივ უნდა გეზის აღება, მარცხნივ გადაუტყლაშუნებს მათრახს ან პირიქით. ხანდახან ხარები ძლივს მოაჩანჩალებენ ფურგონს, ხან ჩორთით მორბიან და შეხვედრილ ეკიპაჟებს უნდილად უთმობენ გზას. მაშინ ფურგონიდან, ჩვეულებრივ, პატარა პოტენტოტი ბიჭი გამოიჭრება. ყოველ ფურგონს რამდენიმე ბიჭი ახლავს ხოლმე, და ხარებს განზე გაათრევს. ბევრი შეგვხვდა ქრელქრულად მორთულ-მოკაზმული ქალი თუ კაცი, ხან ფეხით, ხან ცხენით და ხან ფურგონებით მომავლები, ყველანი მალაელები იყვნენ. ყველას ბამბის თავსაფრით წაეკრა თავი, უფრო წითელი და კუბოკრული ქარბობდა. წინა დღესაც ბევრი ვნახეთ ისინი, განსაკუთრებით ფურგონებში. ამ ფურგონების შეხედვას არაფერი სჯობს: წარმოიდგინეთ სამიოდე საყენის სიგრძე ურემი, ტილოს მრგვალი ჩარდახით თავზე. ამ მაკმადიანი ხალხით ისეა გაქედილი, რამდენიმე მამაკაცი თუ ბავშვი ტილოს ქვეშ რომ ვეღარ დატეულა, შიგ ჩაუჩურთავთ და შეშის ურმებზე ზეკომპლექტურ ღერებივით მოჩანან. სამი ულელი ხარი მძიმე-მძიმედ, დინჯად მოაჩიქჩიქებს ამ სამხეცეს, შუალამისას ალალი ბანაკად დადგება ხოლმე; გამოხსნილი ხარები ჩირგვებში ბალახობენ, ატკაცუნებული კოცონის ალი იქაურობას ანათებს და კვამლით ავსებს, მოგზაურები ათუხთუხებულ ქვაბს - მოსჯდომიან ჯგუფ-ჯგუფად. ვანდიკმა აგვიხსნა, ეგ მალაელები კაპშტატიდან ოცდახუთ მილზე მდებარე დაბა კრამატიდან ბრუნდებიან, სადაც რომელიღაც იმათი წინასწარმეტყველი ყოფილა დამარხული და იქ სალოცავად ამ დღეებში სცოდნიათ თავშეყრა. მლოცველთა ამ ქარავნებმა, ცოტა არ იყოს, ჩვენი ბოშები მოგვაგონა, იმ განსხვავებით, რომ მალაელები პატიოსანი მშრომელი ხალხია და ამიტომაც არც ისეთი ჩამოძენძილები არიან და შესახედად არც ისეთი ველურები.

მალაელების გარდა კიდევ პოტენტოტები და ზანგები გვხვდებოდნენ. პირველებს ტვირთი მოჰქონდათ. ხან ფეხით და

ხან ცხენით მოდიოდნენ, ან დღიურ სამუშაოზე მიეშურებოდნენ, ან არადა სამუშაოდან ბრუნდებოდნენ. ზანგებიდან ბევრს კარგად ეცვა და ჯოხებზე დაკიდებული შულდაკები მოჰქონდათ. „ეგენი ვინ არიან?“ — ვკითხე ვანდიკს. „ეგ black people, შავკანიანებია, ომიდან ბრუნდებიანო“. კაფრებთან ეს-ესაა დამთავრებულიყო ომი, რომელშიც ინგლისის მთავრობის მოწვევით ზოგიერთ ზანგ ტომებსაც მიეღო მონაწილეობა.

ჩაგვიარა ომნიბუსებმა, ქალაქელთა კარეტებმა, ცხენზე ამხედრებულმა ფერმერებმა. ზოგი ქალაქში მიეშურებოდა, ზოგი იქიდან ბრუნდებოდა. ერთი სიტყვით, გზაში ფრიალ გავერთეთ და პ. ა. ზელიონიც სამგლოვიარო მარშის ნაცვლად სულ სატრფიალო სიმღერებს გვიმღეროდა. ხანდახან სწავლულთა პარტიას გამოველაპარაკებოდით, დაეანახებდით ლამაზ ფერმას, მთას, ან გზაზე გამომძვრალ ხვლიკს; ვეკითხებოდით ბალახების, ხეების სახელებს და ჩვენის მხრივ იმ ფრინველებზე ვუამბობდით, რომლებსაც გზაზე ვხედავდით და მათი ნაირ-ნაირობითა და სილამაზით აღტაცებულნი ვიყავით. სწავლულები ღიმილით გვიცქეროდნენ, მერე ერთმანეთს გადახედავდნენ, ბოლოს აგვიხსნეს კიდევ, რის ჩიტი, რა ჩიტი, ჩვენ ერთიც არ დაგვინახავს, რაკი აფრიკაში შემოაბიჯებთ, გგონიათ, უთუოდ ჩიტებიც უნდა ნახოთო და ალბათ გეჩვენებათო. ჩვენ კი წამდაუწუმ გვხვდებოდნენ ჩიტები, გვიკვირდა, ისინი რაღამ დააბრმავაო. თურმე რაში ყოფილა საქმე: ჩვენ წინ მივდიოდით, ისინი უკან მოგვდევენ. ჩვენი კარტის მიახლოებაზე ჩიტები მყის გაფრინდებოდნენ და მეორე კარტი მათ ველარ ხედავდა.

დილის ათი საათი იქნებოდა, რომ დაბა სომერსეტში ჩავედით. დაბა მთის ძირას, სიგრძეზე იყო გაშენებული გზისპირას. მწვანეში ჩაფლულიყო ყველაფერი: ერთსართულიანი, კრამიტით დახურული პოლანდიური ქვის სახლები ძლივს მოჩანდა მუხებისა და ფიჭვების ტევრში. ყოველ სახლს ირგვლივ ოლენდრების, ვარდების, გეორგინებისა თუ სხვა ყვავილების ბაღა ერტყა. შორს მთლიანად მწვანით შემოსილი მთა აყუდებულიყო დეკორაციასავით. მთელ პეიზაჟს აფრიკულის არაფერი ეცხო: იმდენი მწვანე ხასხასებდა, იმდენი ჩრდილი ეფინებოდა და ისეთი მრავალფეროვანი ბუნება იყო ირგვლივ. ჩვენ მთისა-

ენ მიმავალ გზას გავყევით. ასიოდე ნაბიჯი არ გექონდა გავლილი, რომ ჩვენი ვეირიხი დავინახეთ, რომელსაც ვილაც კაციისთვის ხელი გაეყარა და გაცხარებით ემუსაიფებოდა. ის თურმე გერმანელი მისიონერი ყოფილა. გვირჩია, სხვა გზას გაპყევით, იქ, ერთ ადგილას ამ მხარეში იშვიათი რამდენიმე ქაფურის ხე ხარობსო. ჩვენც სადგურზე გამოვბრუნდით. ისიც დაბალი სახლი იყო და იქაც ყვავილნაოი შრიალებდა.

ყველანი შევეგროვდით, მხოლოდ ბარონი ვერ ვნახეთ ვერსად; შევიხედეთ მარცხნევ ოთახში, მგონი, სასტუმრო უნდა ყოფილიყო და ორი მოგზაური ქალი დავინახეთ. ბარონს სასადილოში მივაგენით, უკვე საუზმობდა. არც აპირებდა შეწყვეტას, მაგრამ ამჯერად სწავლულთა პარტიამ გაიმარჯვა. გავყევით შუკას, რომელიც გუშინ წვიმას სულ გადაეთხარა და სასიარულოდ დიხაც არ ვარგოდა. მალე ისევ შარაზე გავედით. გზა ველზე გადიოდა და უამრავ ფერმას უვლიდა. ბაღები გზის პირზე გამოდიოდა. მუხების, ალოეს ბუჩქებისა თუ უფრო მეტად კომშების ჩრდილი ეფინებოდა გზას. კომშებს ყვითელი ნაყოფი ჰქონიათ, მათი ბუჩქები პირდაპირ გაუვალაია. იციო, კომში რა არის? მაგარ, მომეყო ვაშლს ჰგავს, ისეთი მწკლარტეა, პირს შეგიკრავს. მისი ჰამა შეუძლებელია; იქიდან მურაბას აკეთებენ და ა. შ. მაგრამ ზელიონი მაინც გადმოგვიბტაკარტიდან, ქუდი აივსო და ჰამას შეუდგა. ვანდიკმა მოსწყვიტა და ცხენებს მიაწოდა: იმათაც შეჰამეს, სხვას არავის დაუკარებია პირი. რომ შევეკითხე: „გემრიელია-მეთქი?“ ზ-მ არაფერი მიპასუხა. ნეტავ მას, ჯერ ისევ იმ ბედნიერ ასაკშია, როცა ყრმობა თავდება და დავაყვაცება იწყება. ამიტომაც ყმაწვილისთვისებებიც აქვს და ვაყვაცისაც. ზოგ რამეში უკვე მომწიფებულა: უყვარს თავისი საქმე და კარგადაც იცის, მოვალეობა ესმის და ასრულებს კიდევ, ქცევაშიც მეტად თავდაპერილია — ეს დავაყვაცების ნიშანია. მაგრამ რაც პირადად მის მოვალეობას არ შეადგენს, ყველაფერს უდარდელად, ზერელედ უსქერის. კითხვას, სეირნობას, ძილს, ჰამას—ამას ყველაფერს ერთნაირად ეკიდება, რაც ჯერ კიდევ მის ყმაწვილობას მოწმობს. მისთვის სულ ერთია, რა წიგნს წაიკითხავს, თუ წაუკითხავი დარჩა, არც ამაზე დაიწყებტს გულს; სადაც არ უნდა მიდოს თავი, ძილი მყისვე მოეკიდება; ჰამითაც განურჩევლად ყველა-

ფერს ქამს, განსაკუთრებით ხილს. ანანასსა და ყურძენს შეუძლია თალგამი დააყოლოს, ყურძენს ჩენჩოიანად გადაყლაპავს, „ბლომად გამოვია“. ძალზე საყვარელი ყმაწვილია; ჭუმორის დიდი გრძნობა გააჩნია და კარგი მასხრობაც იცის. სულ მღერის, სულ იცინის, სულ რალაცას ჰყვება, თავის დღეში არავის აწყენინებს და არც აქეთ უწყენინებიათ მისთვის. ყველას ძალიან გვიყვარს. მისთვისაც სულ ერთია, სადაც არ უნდა იყოს: თუნდ მშვენიერ ნავსადგურში მივიდეთ, თუნდ უდაბურ კლდის ძირას ჩავუშვათ ღუზა. ნაპირზე სეირნობს თუ ხომალდზე მზღვაურებს ადგას თავზე — ან მღერის და ხარხარებს, ახ, თუ საქმეს აკეთებს, გაჩუმებულია და კომიკური, სერიოზული სახე აქვს. იმავე წუთს ეგუება, რა მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვდეს. მისი წყალობით ერთ წუთსაც არ მოგვწყენია კოლონიაში მგზავრობისას: ჩვენთვის სწორედ დაუფასებელი თანამგზავრი გამოდგა.

მშვენიერი დღე იდგა, ჩამოცხა კიდეც. ცხენები ზანტად მიგვაჩიქჩიქებდნენ ქვიშნარზე; კრიალებდა ბორბლები, სიცხემ ქანცი გამოგვაცალა; მე და ბარონი კ[რიდნერი] ვღუმდით. ვანდიკს სხვა საქმე არ ჰქონდა და მათრახს ურტყამდა გზაზე გადმომძვრალ ხვლიკებს. ზ[ელლონი] ჯერ თავის სკამზე უბრახუნებდა მხიარულად ფეხებს: ერთ ადგილზე რა მოასვენებდა! დიდხანს მღეროდა: ა ხ ლ ო ტ ა ლ ა ნ ო, ც ა ც ხ ვ ი ს ხ ი ს ა ო, მერე ნელ-ნელა ისიც ჩაჩუმდა. ხან მე გამკრა კბილი საოხუნჯოდ, ხან ბ[არონს]. მაგრამ სიცხით გათანგულეებსა და დამძიმებულებს ხმა ვერ ამოგვალებინა. ბოლოს მოსწყინდა ღუმილი, სახე შექმუნა და სამგლოვიარო — არ უკრავს დოლი მწუხარე პოლკშიო, გააბა. ჩვენ უხმოდ ვუსმენდით, ბუზებს, კრაზანებს ვიგერიებდით და აქეთ-იქით აყუდებულ მთებს გავცქეროდით, რომლებიც თითქო ჯგუფ-ჯგუფად შესახვედრად მოემართებოდნენ. უცბად მარცხნიდან, ჩვენს წინ ასიოდე ნაბიჯზე, ბუჩქებიდან რალაც ლამაზი ცხოველი გამოხტა, თეთრ ქათიბზე შავი ხალები ასხდა, ერთი ნახტომით გზის მეორე მხარეზე გაჩნდა და იქ უძრავად დაერქო“. „Roe-buk! roe-buk“. მათრახით მიგვითითა ვანდიკმა; მარცხნივ, საიდანაც თხა გამოხტა, ნელა ინძრეოდა ბუჩქები: იქ თურმე გარეული თხების პატარა ჯოგი დამალულიყო და ვაცს შიშით ვერ გამოჰყო-

ლოდნენ. ვაციცა და თხებიც ჩვენს დანახვაზე ადგილზე გაშეშ-
დნენ, აღარ იცოდნენ გაქცევა ჯობდა თუ დარჩენა. ვაცი ნახევ-
რად მიბრუნებულიყო, რქები ოდნავ გადაეწია და ყურებდაც-
ქვეტილი გვიყურებდა. „ახლოს როგორ მივიდეთ, რომ არ და-
ვაფრთხოთ?“ — ვიკითხეთ ჩვენ. „რაც ძალი და ღონე გვაქვს,
ყველამ ერთად შევეყვიროთ და რამდენიმე ხანს ადგილზე გაქვა-
ვდებიან“, — დაგვარიგა ვანდიკმა. ნეტამც არ ეთქვა! ვიღრია-
ლეთ, მაგრამ რა ვიღრიალეთ! განსაკუთრებით ზ-მ არ დაიშურა:
ფილტვები, არც ვანდიკი ჩამორჩა მას. მაგრამ ღრიალი მოთა-
ვებული არ გვქონდა, რომ ვაცმა ისევ ზუჩქებში ისკუპა და
თხებიანად უკან მოუსვა. გაკვირვებით მივაშტერდით ვანდიკს.
„მაშ ნატურალური ისტორია ცუდად გცოდნია, ძმაო!“ — შე-
ნიშნა ზ-მ. „ჰაპლ!“ — დაუტატანა ვანდიკმა ცხენებს და გზა
გავაგრძელეთ. მაგრამ კარგა ხანს მოჩანდა კიდეც ჯაგნარში
გაქცეული თხები, დიდხანს ირხეოდა ჩირგვები, მერე ისინი
მთას აუყვნენ, ჩვენ კი ძირს დავეშვით. მიდამო საგრძნობლად
შეიცვალა: მთები თანდათან დაკვიახლოვდა; ჩვენ იმათ კალ-
თებს ხან ზევით მივყვებოდით, ხან დაბლა ვეშვებოდით.

სადილობისას ერთ მშვენიერ მდინარეს მივადექით. ისეთი
ლამაზი სანახაობა გადაგვეშალა წინ, რომ დინჯმა, თავშეკავე-
ბულმა ვანდიკმაც კი ერთი ლამაზი ხევი დაგვანახვა, სადაც ხე-
ების ჩრდილი ეფინებოდა „Very nice place“ (მშვენიერი ადგი-
ლიაო). ღელეზე ერთთაღიანი ქვის გრძელა ხიდი გავიარეთ.
ჯერ დამთავრებული არ იყო. „ვინ აშენებს-მეთქი?“ — ვკითხუ-
ვანდიკს. „ვინ და სტელენბოშელი მეკარეტო“. „კი მაგრამ,
სად ისწავლა ეს ხელობა?“ — „არსად; აქედან ფეხიც არ მოუ-
ცვლია“. გამოვიარეთ ხიდი და თითქო ბაღნარში ამოვყავით
თავი, იმდენი მწვანე იყო, ისეთი ჩრდილი ეფინა და გრილოდა.
ბალი ბაღს მისდევდა, სახლები აღარც მოჩანდა. დაბა სტელენ-
ბოში ყოფილიყო. განიერზე განიერი ქუჩები ერთმანეთს სე-
რავდა. ესოდენ ლამაზი, ესოდენ ვეებერთელა მუხები ჩემს სი-
ცოცხლეში არ მენახა: ჰოლანდიური ტიპის დაბალი ერთსარ-
თულიანი შენობები იმათ ჩრდილში იმალებოდა. ქუჩებს ბო-
ლო არ უჩანდა: ორ ვერსზე მეტი იქნებოდა სიგრძით.

კარგა ხანს მიგვაქროლებდნენ ცხენები ამ ხეივნებში და
ბოლოს ერთ ყველაზე გრძელ, მგონი, მთავარ ქუჩაზე გავვა-

ჩერეს პარმალთან. თეთრკანიანი მოსახლეობის ქაქანება არ ჩანდა ქუჩებში. ადრე იყო და თანაც ცხელოდა. მხოლოდ შავკანიანები დაეხეტებოდნენ აქეთ-იქით, ან ცხენით მიდიოდნენ სამუშაოზე. უბრალოდ, თითქმის დარიბულად მორთულ ცარიელ, გრილ ოთახებში შევედით. დარბაზიდან კარი შევალეთ და ზღურბლზე შევჩერდით. ფლამანდიური სკოლის ორიგინალური სურათი დაგვიდგა თვალწინ. მაღალქერიან ოთახში ხის იატაკი ეგო, ძველთა ძველი, დრო-ყამისაგან სულ ჩაშავებული კარადები თუ სხვა საოჯახო ბარგი-ბარხანა ელაგა. კედელთან თითქმის ჩავარდნილი დივანი იდგა; მის წინ მრგვალ მაგიდაზე უხეში სუფრა ეფინა. კედლებთან უბრალო სკამები და ტაბურეტები მიედგათ. ერთ სკამზე გადაბერებული ქალი იჯდა, უფურჩალო ჰოლანდიური თავსაფარი ეხურა და ქონის სანთლებს ქნიდა. მეორე ხნიერი ქალი ჯარას მისჯდომოდა; ქერა დალაღებიანი ყმაწვილი ქალი, თეთრი, ნადული რძისფერი პირისკანი, თეთრი წარბები და მოთეთრო, ცისფერი თვალები რომ ჰქონდა, დიასახლისობდა და ფუსფუსებდა. მკვრივი, მაღალი, მულატი ქალი მოახლე უნდა ყოფილიყო. შეზრდილი წარბებისა და პატარა შუბლის პატრონი მაინც კეკლუცურად ატრიალებდა კუპრივით შავ თვალებს. ჩვენ რომ შევედით, ყველამ საქმეს ანება თავი და წამოდგა. დიასახლისებმა გულლიად შემოგვლიმეს მისალმებაზე, ერთი ფაციფუცით შეუდგნენ სანთლების, ჯარასი თუ სხვა ხარახურის ალაგებას და ადგილი გაგვითავისუფლეს. „სადილად რა გექნებათ?“ — ჰკითხათ ბარონმა. „ახლავე დაგიმზადებთ“, — უპასუხეს მათ. „საქონლის ხორცი, ცხვარი გაქვთ?“ — „საქონლისა არა და ქათამი და ღორის ხორცი კი არის“. „მწვანელი?“ — „მწვანელიცაა“. — „ხილი? — იკითხა ზელიონიმ. — ყურძენი, ფორთოხალი, ბანანი გაქვთ?“ — „ფორთოხალი და ბანანი არაა, საზამთრო და ლეღვი არის“. — „კარგი, კარგი, საზამთროები და ლეღვი მოგვიტანეთ, სხვა კიდევ არაფერია?“

ატყდა ერთი ფუსფუსი: ეს მშვიდი სახლი ჩვენი გულისთვის თავდაყირა დადგა; აჯახუნდა კარადის კარები, აწკრილდა ჯამები და თეთრები; სამზარეულოში ცეცხლი აგუზგუზდა; ქალები წინ და უკან დარბოდნენ. ეზოში გავედი და განიერ პარმალზე გავჩერდი. აქაც უხვად ეფინა ვაზის ჩრდილი, ამ მზარე-

ში ხომ ყველგან ასე იყო. ყურძნის მსხვილი, ყვითელი მტევნები გამომწვევად იჭვრიტებოდნენ ფოთლებიდან. ზანგს კიბე მიედგა და საუკეთესო მტევნებს სადილისთვის გვიჭრიდა. გაცვეთილ ატლასივით შავი, თავწაქრული ზანგის დედაბერი დანებს წმენდდა. დამინახა, თუ არა, ენა გამომიყო. ჩემს უკან მომავალ ზელიონისაც იგივე გაუმეორა. ზელიონის იმდენად მოეწონა ეს ამბავი, რომ მითხრა, მოდი ვუყუროთ, სხვებსაც როგორ მიესალმებაო. ჩვენები უკან მოგვეყვებოდნენ. დიასახლისმა რომ შენიშნა, არაბი დედაკაცი ასე გვხვდებოდა, ჯერ თავთან მიიდო ხელი და მერე პაერში გაიქნია, ცოტა უქრისო. პატარა ეზო ამ ოჯახის სურათს ავსებდა. ვანდიკს უკვე მოესწრო ორივე ეკიპაჟის იქ შეყვანა. პატარა ბიჭისა და მეორე მეეტლის დახმარებით ცხენები გამოხსნა და კუთხე-კუთხე - მიაბა ჩრდილში. ამ აფრიკელ კორობოჩკას პატარა, მაგრამ საესე ოჯახი ჰქონია. ეზოში ღორები და შინაური ფრინველები დაბორილობდნენ, გვერდით ბალი ხასხასებდა. ბანანების ღია მწვანე ფოთლები ლედვისა და მსხლის ჩამუქებულ სიმწვანისგან მკვეთრად ირჩეოდა. ღობის გალმიდან ასკილის წითელი ყვავილები იჭვრიტებოდა.

მე და ბარონმა ქუჩაში გავისეირნეთ. ბალები და ხეივნები ერთმანეთს ენაცვლებოდა. გავედით ქუჩის ბოლოში და საკმაოდ დიდ პროტესტანტულ ეკლესიას მივაღეჭით, ირგვლივ გალავანი ევლო. მარჯვნივ დიდი, სახაზინო შენობა იდგა; აქაური მთავრობის სახლი ყოფილა. ამ სახლის წინ არაჩვეულებრივად დიდი, განიერი მუხები შრიალეებდა. ეს ხეები ალბათ ამ დაბის კბილა იქნებოდა, ეს დაბა კი კოლონიაში ყველაზე უხნესია: ორასი წლის წინათაა დაარსებული და მაშინდელი გუბერნატორის პატივსაცემად სტელენი უწოდებიათ, ბოში კი ცოლის გვარი ყოფილა. ალტაცებული ვუყურებდი ხასხასა ბალებს, მერე მარჯვნივ, ვიწრო ქუჩაში შევუხვით და ქალაქარეთ გავედით. ერთ მხარეს ალაგ-ალაგ მოტიტვლებული, ალაგ-ალაგ მწვანით მოსილი მთა აყუდებულა, ირგვლივ ველი გადაშლილიყო, ყანებით დასერილი; შორს ფერმები მოჩანდა. ქალაქში მოვბრუნდით და ვიწრო ღელეს გავყვეით, სადაც შავკანიანი დედაკაციები სარეცხს ავლებდნენ. ნაპირებზე პოტენტოტებისა და ზანგების ფაცხები იდგა; აქა-იქ საწვრილმანო დუქნები და-

ვინახეთ. ქუჩები ყველგან შარავზებია. ერთი ევროპული სახლის წინ, ალბათ საფოსტო შენობა იყო, რამდენიმე კარეტა, კალიასკა და კარტა იდგა; იქ ორივე სქესის მგზავრები ირეოდნენ — ყველანი ინგლისელები იყვნენ.

შინ უკვე გაშლილი სუფრა დაგვხვდა და დიასახლისებმა სადილზე მიგვიწვიეს. დიდი თავპატიყი არ დაგვიდია. ქალები ალერსიანად გვიყურებდნენ. ძველებურ ყაიდის კაბებში მორთული ჩვენი ფერმკრთალი დიასახლისები თავიანთ პატიოსან წინაპართა ფერგადასულ სურათებს მოგვაგონებდნენ და მათსავით დაღვრემით შემოგვცქეროდნენ. სულს და გულს, რა არ მოეტანათ სუფრაზე: სანოვაგის ღუქანი გევინებოდათ. ჯამები და თეფშები სულ სხვადასხვანაირი იყო; გრაფინებშიც სხვადასხვა საცობები ერქო, უსკურებს საერთოდ არც ეხურათ თავი; საპილილეს თავი წატეხოდა — ერთი სიტყვით ამ სტუმართმოყვარე ოჯახს დიდი სიმდიდრე არ ეტყობოდა. რამდენი ხორციეული თუ ფრინველი მიირთვა ბ[არონმა], რამდენი ხილი გეანსლათ ზ.-მ, არც მე ჩამოვრჩი ერთსა თუ მეორეს — ეს სათქმელად არა ღირს. ნესვის მოყვანილობის მოგრძო საზამთროები ძალზე ტკბილი და წითელი აღმოჩნდა და წასაღებადაც ბლომად შევუკვეთეთ.

მთელს კოლონიაში სტელენბოში განთქმულია სიმწვანით, ხილით და ჯანმრთელი ჰაერით. ამიტომაც სავსეა აქაურობა ხეიბრებითა და უცხოელებით, ბინებს ქირაობენ და ჩრდილში სეირნობით ნებივრობენ. კაპშტატიდან კვირაში ორჯერ ჩამოდის ომნიბუსი; სულ ხუთი საათის სავეალი გზაა. სტელენბოშს ლამაზი მიდამოები აქვს: სერები და ველებია ირგვლივ გადაკიმული. ნიადაგი ზოგან თინნარია, ზოგან ნარიყი ლამის, რკინაქვისა და გრანიტისაგან შედგება. თვით სტელენბოშში ოთხი ათასამდე მცხოვრებია, ოლქში კი ხუთი ათასამდე მოსახლე ითვლება. აქაური სკოლა კოლონიაში ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელს წარმოადგენს. რამდენიმე რიგიან მასწავლებელს სხვადასხვა ადგილებში აქ დაუმთავრებიათ სკოლა. ამ სასწავლებელში ყველაფერს ასწავლიან, რაც კლასიკურ ცოდნას შეადგენს. ვინ იცის, რა ბერძენად იქცევა დროყამის ვითარებაში ეს ხე ცოდნისა ამ ძველებურ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ახლებურ ყაიდაზე ჩამოყალიბებულ კოლონიაში? იქ-

ნებ, სტელენბოშის კოლეგია შემდეგში აფრიკული გეტინგენი ან ოქსფორდი გახდეს. „ახალგაზრდა კოლონია-მეთქი“ იმიტომ ვთქვი, რომ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აქ არც გზა იყო, არც დამზღვევ კომპანიებსა თუ შავკანიანთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრობდა ვინმე. რუხქურთუყიანი ჰოლანდიელი ფერმერი, თვალეზზე ჩამოფხატული ქუდით დღესაც ორმოციოდე ვერსზე ცხენით მიჩაქჩაქებს, ომნიბუსში კი ცოცხალი თავით არ ჯდება, იმდენად ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ინგლისელთა სიძულვილი. თუმცა ომნიბუსი სამ შილინგად ოთხ საათში მიაქროლებს ადგილზე. არ იფიქროთ, ამ ფერმერს ფული აკლია; ზოგიერთ მემამულეს წლიურად შეიდიდან რვა ათას მანეთამდე შემოდის. სტელენბოშის ოლქში უპირატესად მაინც მელვინეობას მისდევენ, მერე ხორბალი, მუხა, კარტოფილი და სხვა მსგავსი მოდის.

ხუთი საათისათვის ყველაფერი გამოცოცხლდა, მზე ისე აღარ აცხუნებდა: გაიხსნა ქალუხები; პარმალზე პატიოსანი ჰოლანდიელი კაცები და ქალები გამოეფინენ. ჩვენი ექიმიც შემხვდა, ორი კაცი მოჰყვებოდა, თუ გერმანელები არა, მათი მოდგმისა მაინც იქნებოდნენ. ორ ძმას, წარმოშობით დანიელს, ექიმსა და მეაფთიაქეს, თავის სახლში შეუყვანიათ და ბალი უჩვენებიათ. მეც გავეცანი და ერთად გავწიეთ ქალაქგარეთ, ხიდი გადავიარეთ და მინდვრად გავედით. კარგა შელამებული იყო, რომ ქალაქში დაებრუნდით. სიბნელეში ძლივს გამოვიგნეთ გზა. დანიელებმა შინ მიგვიწვიეს. საშველი არ მოგვეცეს, ჩვენებური ღვინო გასინჯეთო. მართალი გითხრათ, ღვინის დაღევა, ისიც ნასადილევეზე, ძალზე გამიჭირდა! იმათ კი სამიოთხი ბოთლი და ოთხი ჭიქა გამოიტანეს: „ეს ფრონტინიაკია, ეს რივეზალტიო“, — გვეუბნებოდნენ, ხან ერთს გვისხამდნენ. ხან მეორეს. ერთი chamberlain-ს მივამგვანე: ღვინო მართლაც ბურგუნდიური ჯიშის ვაზისა აღმოჩნდა. მასპინძლებმა გვითხრეს, რამდენიმე ბოთლს კაპშტატში სასტუმროში გამოგიგზავნითო. მერე სახლამდე მოგვაცილეს.

ჩუმი, თბილი, საოცრად საამო ღამე იდგა: არ ქროდა ნიავი, ღრუბლის ფიორიც არსად ჩანდა. ვარსკვლავები პირდაპირ

1 შამბერტენი (ფრანგ.)

უსირცხვილოდ მოგვშტერებოდნენ და ძალუმ ციმციმებდნენ. აივნებზე ხალხი გამოფენილიყო, მუსაიფის ხმა ისმოდა. ჩვენს სასტუმროდანაც მხიარული ლაპარაკი გამოდიოდა. ფანჯრები განათებული იყო. ყველა შინ დაგვიხვდა, მრგვალ მაგიდას შემოსხდომოდნენ და სილანარევე მიქსტურას, ანუ შაქრიან ჩაის შეეჭტეოდნენ. ეს პაროდია გახლავთ იმისა, რასაც ჩვენ შინ ჩაის სახელით ვსვამთ. სუფრაზე უცნობი კაცი დაგვიხვდა: ხნიერი, ჩასუქებული კაცი იყო, ლაქაქა, კეთილი, მოცინარი სახე ჰქონდა. „ბატონი ფერსტფელდი გახლავთ, აქაური ექიმიო“, — გაგვაცნო პ[ოსიეტმა]. „ეგრე უცნაურად რად გვიყურებს, ან სად აღმოაჩინეთ-მეთქი?“ — ვკითხე მე. „თვითონ გვეწვია: რუსების ჩამოსვლა გაეგო და სანახავად მოვიდა: თავის ღლეში არ მინახავსო“.

ექიმმაც დაუმოწმა ეს სიტყვები. ფრანგულს რიგიანად ლაპარაკობდა. გულლიად აღიარა, რუსებზე იმდენი რამ გამიგონია და წამიკითხავს, ცთუნებას ველარ გავუძელ და გასაცნობად გეახელითო. „ცოტაოდენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მივსდევ, გეოლოგიას, არასაბუნებისმეტყველოშიც — ფრენოლოგიაშიაც ვვარჯიშობ. ეთნოგრაფიაც მიყვარს. ამიტომაც ძალიან მაინტერესებდა რუსული ტიპის ნახვა“, — ამბობდა ექიმი და დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ბ[არონ] კ[რიდნერს], ჩვენს ექიმ ვ[ეირიხსა] და პ[ოსიეტს]: ამ სამიდან კი არც ერთი არ იყო წმინდა რუსული ძირის. „აი, თურმე როგორი ტიპი ყოფილა!“ — თქვა მათზე მიშტერებულმა ექიმმა. ჩვენ ძლივს შევიკავეთ სიცილი. „ეს რა ტიპი იქნება?“ — ვკითხე მე ზ[ელიონისე]. „ეგ... — ის სერიოზულად ჩააკვირდა ზ[ელიონის]. — ეგ, მგონი... მონღოლური უნდა იყოს“. კინალამ გავიცინეთ, მაგრამ ექიმი მართალი უნდა იყოს: ზ[ელიონის] მართლაც თათრული ნაკვთები აქვს. „აბა ეს კი?“ — მივუთითეთ გ[როშევიჩზე]. ის დიდხანს ფიქრობდა. „ეგ ათი წელი ცხოვრობდა ჩინეთში“, — შენიშნა ვილაცამ გ[როშევიჩზე]. „მართლაც ჩინელსა ჰგავს!“ — შენიშნა ფერსტფელდმა. ბევრი ვიცინეთ, ექიმიც ჩვენთან ერთად იცინოდა. გ[როშევიჩი] უკრაინელი გახლდათ. წმინდა რუსები მარტო მე და ზ.-ი ვიყავით. „ჰო, რუსები ძლიერებია: ოო! ბევრს, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მათზე!“ — გაიძახოდა ექიმი. ალბათ, დევგმირებად წარ-

მოვედგინეთ, ან იქნებ ეგონა, ცოტა არ იყოს მხეცური შესახე-
დაობის ხალხი დახვდებოდა. უნდა გენახათ, რარიგ გაოცდა,
როცა გაიგო, რომ გ[ოშქევიჩი] გეოლოგობდა, რომ ბევრი-
მეცნიერი გვყავდა, ლიტერატურა გაგვაჩნდა.

ამ ამბავმა იმდენად გაართო, რომ წასვლას აღარც აპირებდა.
ჩვენ კი დაწოლა გვინდოდა. ვანდიკმა დიდი უარი გამოგვიცხა-
და გზის გაგრძელებაზე. „ცუდი გზააო“, — გვითხრა ლიმილით.
პოლანდიელი ექიმიც ჩაგვციებოდა, ხვალ უთუოდ უნდა მეწ-
ვიოთო, მე თვითონ გაგაცილებთ ათიოდე მილზე და ჩემს მე-
გობარ ფერმერთან მიგიყვანთო სტუმრად.

დასაძინებლად სხვადასხვა ოთახებში გაგვიყვანეს. მაგრამ
რადგან საძინებელი მხოლოდ სამი ოთახი ჰქონიათ, თითოეულ-
ში კი თითო საწოლი იდგა, ორ-ორი ერთად დაწეკით. თუმცა
ისეთი განიერი საწოლები იყო, ოთხიც თავისუფლად დაეცე-
ოდა. მეორე დილას, რვა საათზე, ფერსტფელდმა კაბრიოლე-
ტით შემოგვიარა. მშვენიერი წყვილი ცხენი ება შიგ.

დილის სიგრილეში გავუღდექით გზას. ფერმები აგარაკები-
ვით მწვანე კორდებზე შეფენილიყო და ჩვენც ამ კორდებს
ვუვლიდით გვერდით. დამავიწყდა მეტქვა, რომ დღეს ერთ აგა-
რაკზე ქაფურის ხე გვაჩვენეს. გადმოვედით და რამდენიმე
ფოთლიანი შტო მოვტეხეთ. ნაყოფი მუხუდოზე მსხვილი იქ-
ნებოდა. მათი წყალობით ეკიპაჟებში უტბად ისეთი სუნი დატ-
რიალდა, ყველას მყის კბილის ტკივილი და ყურბალიშები გაგ-
ვახსენდა. ქაფურის ხე მაინცაღამაინც ლამაზი არ ყოფილა:
ცოტა არ იყოს, ჩვენებური ვერხვი მომაგონა, ოღონდ ფოთლე-
ბი უფრო მოგრძო, სქელი და პრიალა ჰქონდა; რომ გასრესდი,
ქაფურის ძლიერი სუნი ასდიოდა. ფერსტფელდი ლამაზ ადგი-
ლებს გვაჩვენებდა: ხან ხშირი ბუჩქნარით შემოსილ კორდს
დაგვანახვებდა, ხან მთის კალთაზე, ხევხუვებში თეთრად მო-
ქათქათე ფერმასა და ვენახებს. ჩვენც გადმოვედიოდიოთ ეკიპა-
ჟიდან, გავივლ-გამოვივლიდით, ვინ ქვებს აგროვებდა, ვინ ბა-
ლახებს და ყვავილებს. ამასობაში ჩვენი ეკიპაჟის ცხენებს რომ
დავაკვირდი, რაღაც განსხვავება შევნიშნე: „ეს სხვა ცხენია-
მეთქი“, — ვუთხარი ცისფერ ქურთუკში გამოწყობილ, კოფო-
ზე წამოსკუპებულ ვანდიკს, რომელსაც კრემოვლებული ქუდი
ეხურა, ხელთათმანები არ ეცვა და ხელებშიშველი იყო.

„ღიახ“. „წინანდელი სადღაა?“ — „გაცვალე“. — „განა ეგ სჯობს? მეორეს ნაბიჯს ვერ უგუეებს, გზაში სულ ცუდლუტობს“. „ხელსაყრელად გაცვალე,—ღიმილით მითხრა ვანდიკმა. — ერთი თეთრი ცხენიც მინდოდა ჩამეგდო ხელში, very nice horse“ (კარგი ცხენი იყო!)—დასძინა მერე. „მერე რად არ გაცვალეთ?“ — „არ მომცესო!“

ის ექვსი მილი, რომელიც ექიმის თანხლებით გამოვიარეთ, მეტწილად მთავარ გზას გვერდით მისდევდა და სწორედაც ძალზე დაგვტანჯა, თუმცა ლამაზ ხეებსა და კორდებს კი მიჰყვებოდა: გზა წვიმას გადაერეცხა, ასე რომ მთებზე სულ ღრანტეები გაეჩინა და ეკიპაჟები კი არ მისრიალებდა, ოღროჩოღროებზე სტოდა. მაგრამ ვანდიკი ისე ოსტატურად ფლობდა აღვირს, რომ თავის დიდებულ სეხნიას, ფუნჯის ოსტატს თუ არ ჯობდა ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში არც ჩამოუვარდებოდა. აგერ, გამოჩნდა მთა, კალთაზე სამი ხრამი სამი ტოტივით მისდევს სხვადასხვა მიმართულებით, ხრამებს შუა კუზია ამართული. აბა, მიდი და ისე გაიარე, ბორბლები არ დაამტვრიო და ნეკნებიც არ ჩაიშხვრიო. ან რა თვინიერ ცხენს ეყოფა იმდენი მოთმინება, რომ არ გაცოფდეს ხან კუზზე აბობლებით და ხან თხრილში ჩავარდნით? სხვა შეეტლეს იქნებ მართლაც მოსვლოდა ასე, მაგრამ ვანდიკი კი, ნურას უჟაცრავად, ყველა აღვირს ნახევარ არშინზე გაჩაჩხულ თითებზე წამოიცვამს და სიმბივით აათამაშებს, ხან პირველს ჩამოჰკრავს, ხან მესამესა და მეოთხეს. ამ ოსტატური მანევრების წყალობით ორი წინა ცხენი კუზზე აღის და ხრამს შუაში მოიქცევს; თუ იქიდან დაეშვებიან, ისე ნულა და ფრთხილად, გეგონება, მდელიზე ბალახობენო. ხანდახან ფერდობს მარცხნივ აეკვრებიან, ეკიპაჟი კი ორ სხვა ცხენს მარჯვნივ ღრანტეში ჩაჰყავს და ისიც გასიბულ მომრგვალებულ ტალღებზე ნავივით ტორტმანებს. ასე ხდება ყოველ წუთს. როცა უხეირო გზაზე ჩივილი შეეჭენით, ვანდიკს გაელიმა, მათრახი სწავლულთა პარტიისაკენ გაიშვირა და სათნოდ გვითხრა: „კაპიტანი კი წუხელ აპირებდა ამ გზაზე ღამით სიარულსო!“ გუშინდელი ღელეები ახლა ისე გავსილიყო და ადიდებულიყო, ცხენებს მკერდამდე სწვდებოდა. მზე მალა აღიოდა; დილის სიო აღარ ქროდა; ჩამოცხა, ირგვლივ ყოველივე გაილურსა. ქრიკინებმა თავიანთი საგალობელი შე-

მოსცხეს, ჰიაფები ბალახებსა და ბუჩქებში დახტოდნენ. ჩვენს კარტში შიგადაშიგ კრაზანა თუ კელა შემოფრინდებოდა, ცხენებს ერთ ხანს დასტრიალუბდა თავს, და ისევ თავის გზას გაუყვებოდა. ხან ჩიტისოდენა შავი თუ წითელი პეპელა ფრთების ტყლაშუნით გადაგვივლიდა თავზე და უცაად ბუჩქებში ტყვიასავით დაეცემოდა.

ვიდრე სერზე ავიდოდით, ზ[ელიონიმ] — არ სცემს და ფ და ფ იო წამოიწყო, მაგრამ პირველი სტროფი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სერის თავზე უცაად ერთსართულიანი, დიდი სახლის განიერ პარმალთან გავჩერდით. ფერსტფელდის კაბრიოლეტი უკვე იქ დაგვხვდა. ირგვლივ რაღაც შენობები, ფარდულები და ნამშრალეები იდგა. სახლის მარცხნივ, სერზე საკმაოდ დიდი ბალი იყო გაშენებული, სახლის უკან ვენახები მოჩანდა, მერე ისევ ბალი მისდევდა და ბოლოს ჩირგვნარით თავდებოდა. ეს გახლდათ ჰოლანდიური ფერმა ელზენბორგი. რომელიც ექიმის ამხანაგს ეკუთვნოდა.

ფერსტფელდი სახლში შევიდა, ჩვენ პარმალთან დავჩრით. ერთი წუთის შემდეგ მასპინძელთან ერთად გამოვიდა და შინ მიგვიპატიყა. ზღურბლზე ახოვანი, შექალაქავებული მოსული კაცი იდგა, ჩამოწოლილი წარბები ჰქონდა, გრძელი სერთუკი ეცვა, თითქმის წელს უფარავდა, ისეთივე გრძელი ქილეტი და განიერი, ნაკეცებად დაყრილი ნაშურის შარვალი. სახლისა და მასპინძლის შემხედვარეს მყის პოლ პოტერი, მიერისი და ტენიერი დაგვიდგა თვალწინ. არ განძრეულა, ისე გამოგვიწოდა ხელი პარმალიდან, მაგრამ სათნოებითა და ალერსით შემოგვყურებდა და მთელი სახე უცინოდა. პარმალზე უამრავი კვახი ეყარა; გადავაბიჯეთ ამ კვახებს, მასპინძელს მივალწიეთ და სათითაოდ ყველამ ჩამოვართვით ხელი.

ძლივს არ გვეღირსა ჰოლანდიელი ფერმერის სტუმრობა კაპში, აფრიკაში! რამდენი რამ წამიკითხავს ფერმერებსა და მათ ყოფა-ცხოვრებაზე; რა გაფაციცებით ვადევნებდი თვალს მათ თავგადასავალს, მათ ველურებთან ბრძოლას, მხეცებთან შეტაკებას, აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მეც... ჩვენ დიდ დარბაზში შევედით, სადაც სიგრილე სუფევდა. სასტუმროს კარში სამი ახალი არსება მოგვევლინა: დიასახლისს თეთრი თავსაბური ეხურა, წვრილი ფურჩალით გაწყობილი,

ტანთ ყავისფერი კაბა ეცვა; მისი ცამეტი წლის ლამაზი გოგონა ბავშვური მოკრძალებით შემოგვეციცილებდა, ისიც დელასავით იყო გამოწყობილი, და კიდევ ვიღაც სხვა ქალი, სტუმარი თუ ნათესავი. გვანიშნეს, სასტუმროში მობრძანდითო. თვალებს არ ვუჯერებდი. ნუთუ ეს ფერმერის, გლეხის სახლია? სასტუმრო დარბაზზე დიდი ყოფილა; ბუდუარივით ოდნავ ჩამოებნელებიათ. შუაში ვეება კაკლის მაგიდა იდგა, ზედ სხვადასხვა იშვიათობანი, ნიუარები თუ სხვა საგნები ელაგა. კუთხეებში მძიმე, მაგრამ ლამაზი, ძველებური დივნები და სავარძლები მიედგათ; შუა ოთახში შტოფით გადაკრული კოზეტკები ეწყო; არსად ჩანდა კარადები და ჭურჭელი. ფანჯრებსა და კარებზე სქელი აბრეშუმის ფარდები ეკიდა, ასეთს ახლა აღარ აკეთებენ; ყველაფერს კრიალი გაუდიოდა. ამ გალაქულ იატაკებზე ფეხის დადგმა პირდაპირ დაგენანებოდა. შემეშინდა კოზეტკაზე დაჯდომა. ზედ, მგონი, არასოდეს მჯდარა ვინმე. ეტყობა, ოთახებს დაწმენდნენ, დაალაგებდნენ, სტუმრებს აჩვენებდნენ, მერე ისევ დააკრიალებდნენ და კარგა ხნით გამოჰკეტავდნენ. თავდაპირველად ყველანი ხმაამოუღებლივ ვათვალიერებდით ერთმანეთს. შევატყვეთ, მასპინძლები თვითონ არ აპირებდნენ საუბრის დაწყებას.

ბოლოს პ[ოსიეტი] ჰოლანდიურად გამოელაპარაკა მათ, ბოლოში მოუხადა, ასე უცაბედად რომ შემოგვექერიითო. მოხუცმა დინჯად, აუჩქარებლად, სათნოდ მიუგო, „ასეთი შორეული სტუმრების მოსვლა სწორედ შეამაო“. ეტყობოდა, რომ მართლაც ეამა. ღმერთო ჩემო! რამდენი ხანია ასეთი სურათი არ მინახავს, ასეთ უბრალო კეთილ ხალხს არ შევხვედრივარ. რა სიხარულით დავრჩებოდი აქ ცოტა ხნით კიდევ მაინც! „რას ფიქრობენ ნეტა, საუზმეს არ გაგვიშლიან? — ჩამჩურჩულა ცნობისმოყვარეობით ბ[არონმა], — აბა რისი მასპინძლები არიან!“ „აკი ისაუზმეთ“. — „ყავა რა საუზმეა, არ გამაცინოთ, გეთაყვა, — შემესიტყვა ბ[არონი]. — მე ბიფშტექსი, კატლეტები, ფრინველი მინდა. აქ, ალბათ, ფრინველი ქვეყნის ეცოდინება და „პირუტყვიც“ საკმაოდ ეყოლებათ!“ — დაასკვნა ბოლოს ჩვენი თანამგზავრი ვ[ეირიხის] სიტყვებით.

მასპინძლებიდან არავის სცოდნია ინგლისური, ფრანგულზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მასპინძლის პაპასა და თვით მას, მი-

სივე სიტყვებით, ინგლისელები გულზე არ ეხატებოდნენ, რამეთუ „ბევრი სიავე უქნეს“, ე. ი. შავკანიანები გამოისყიდეს, კაფრებსა თუ სხვა ველურ ტომებს ქედი მოადრეკინეს, კოლონიის მმართველობაში ახალი წესრიგი შემოიღეს, გზები გაიყვანეს და სხვ. ამასობაში მასპინძლის ვაჟიც შემოვიდა. ზორბა, ლოყებდაყდაყა ყმაწვილი იყო ოცდახუთიოდე წლის. რუხი ქურთუკი, რუხი შარვალი და რუხი ქილეტი ეიცო. იმანაც უხმოდ მოგვისინჯა ყველას ხელი. მამა-შვილმა შემოგვეთავაზა, ფერმა დაათვალიერეთო და ისევ პარმალზე გამოვედით. ახლა კი შევნიშნე, რა დიდებული ვაზის ხის ჩრდილს ეფინებოდა თურმე აქ. გველებივით ჩახლართულ ფესვებს ქვის იატაკიდან ამოეყარა ტანი, ტოტებით აივანს ბადესავით შემოხვეოდა და ხშირი ფანჩატური შეექმნა; ფოთლები ჩაფრასტებივით მიჰკვროდა რიკულებსა და კედლებს. ყურძნის დიდი მტევნები ქალებივით ეკიდა ჰერზე. თვალი ვედარ ძოვწყვიტეთ ხეს. „ეს ხე ოთხმოცდაათი წლისა იქნება, — გვითხრა სახლის პატრონმა, — პაპაჩემს დაურგავს თავისი ქორწილის დღეს“. — „ეს კვახები აქ რატომ ჰყრია?“ — ვკითხეთ ჩვენ. — „შავკანიანების სადილია“. — „ბევრი კი გყავთ?“ — „არა, ახლა ოცამდე კაცი გვეყოლება, ალოობაზე კი ორმოცამდეს ვჭირაობთ ხოლმე; ძვირი გვოჯდება. ინგლისელებმა გაატუტუტეს და უსაქმობას მიაჩვიეს. ოტას რომ წაიმუშავებენ და იმდენს დააგროვებენ, მცირე ხანს ხეტიალში ეყოთ, მაშინვე გარბიან ხოლმე; გამუდმებული შრომა არ უყვართ, დაყილობენ და ლოთობენ, ვიდრე შიმშილი ისევ არ აიძულებთ საქმეს მოჰკიდონ ხელი“. — „ბერიკაცს წელიწადში ათას გირვანქა სტერლინგამდე შემოუღის“, — ჩაგვიჩურჩულა ფერსტფელმა. ჩვენც მეტი ყურადღებით დავაკვირდით მოხუცსა და მის რუხ ქურთუკს. „ცუდი დროება დაგვიდგა, — განაგრძობდა მოხუცი, — საქონელს ვედარ ვასაღებთ. სულს მაშინ მოვითქვამთ ხოლმე, როცა ომია, როგორც ახლა“. — „ვითომ რატომ?“ — „მოთხოვნილება მეტია: მარტო ინგლისის ჯარი თორმეტ ათასამდე იქნება; პური და ღვინო ჩინებულად საღდება; კარგ ფასსაც ვიღებთ: ორნახევარჯერ ძვირდება ხოლმე ყველაფერი“. — „წლიურად რამდენი ღვინო მოდის კარგ ფერმაში?“ — ვკითხე მე. „ორას პიპამდე“; — მითხრა მასპინძელმა. (პიპში 114 გალონი იგულისხ-

მება, გალონი კი ხუთი ბოთლია) „სად ასაღებთ ღვინოს?“ „მეტწილად ინგლისში, ცოტაოდენი კი თვით კოლონიაში და მავრიკის კუნძულებზე იყიდება“. — „აქი მთელი ესპანური ხერესი და პორტვეინი ინგლისში მიდის, — შევნიშნე მე, — აქაურიდან რაღას აკეთებენ?“ — „რასა და ხერესს და პორტვეინს. — შითხრა ფერსტფელდმა, — ნამდვილი ესპანური ღვინო ველარ სწვდებათ“. — „მაგრამ აქედან ხომ შორია, გზა ძვირად ჯდება“. — „ოცდათხუთმეტი-ორმოცი დღე უნდება ახალი ხომალდებით, განსაკუთრებით გეცებით“.

სიშორის მიუხედავად აქაური ღვინო, თუნდაც ესპანური ღვინოების მსგავსად დაამუშაონ, ინგლისელებს თურმე მაინც იაფად უჯდებათ.

ბაღში გავედით. ვენახს კარგა დიდი ფართობი ეჭირა, ვაზი საკმაოდ დაბალი ყოფილა. რთველი უკვე მოეთავებინათ. წაბლების, ატმებისა და ლელვების ხეივანს გავყევით. ყველაფერი გაშიშვლებულიყო, მხოლოდ ნუში შერჩენოდა აქა-იქ. სახლის პატრონის ვაჟმა დაგვიკრიფა და მოგვაწოდა. კანი სქელი ჰქონდა, მაგრამ ძალზე გემრიელი და ქორფა იყო. ცოდო არაა, ამასაც ნუში ერქვას და ჩვენში ჩამოჩანილ, დაობებულ, გამომხმარ კაკლებსაც ნუში! სახლისკენ რომ წავედი, ეზოში ჩვენი ცხენები დავინახე, დასეირნობდნენ და ბალახს სძოვდნენ. ვანდიკსა და მის ამხანაგს უკვე გამოეხსნათ ისინი.

მასპინძლებმა მოგვიბოდიშეს, რაკი ადრიაანად ჩამობრძანდით და თან ასე მალე მიდიხართ, ველარაფერი მოვასწარით და სახელდახელოდ მომზადებული სოფლური საუზმე მიირთვითო. შევედით ნათელ, დიდ სასაღილოში, კედელს ხისგან გამოთლილი პოლანდიური ღერბი ამშვენებდა, შუაგულში გრძელი მაგიდა იყო გაშლილი და ქვეყნის ხილი ელაგა ლანგრებზე. ზ[ელიონის] თვალები აცა-ბაცა წაუვიდა, ბ[არონს] კი სახე დაემანკა. იქვე იდგა იმ ფორმის ჩაიდნები და ყავადნები, როგორც ფლამანდურ სურათებზე გინახავთ. და ორთქლის ოხშივარი ასდიოდათ. ლანგრებზე რამდენიმე ჯიშის ყურძენი, ლელვები, ბროწეულები, მსხლები და საზამთროები ეწყო. პატარა ფუნთუშებიც მოეტანათ ისეთი ცხელ-ცხელი, ხელს ვერ მოჰკიდებდი. ჩინებული კარაჭი, კვერცხები, ხაჭო, კარტოფილი, ნალები და რამდენიმე ბოთლი ძველი ღვინო — ეს ყველა-

ფერი აქაური ფერმის ნაწარმოები ყოფილა. მასპინძლები ალტაცებით შეგვეყურებდნენ, რა სიამოვნებით შევექცეოდით ყოველივეს, განსაკუთრებით ზ[ელიონი]. ნახევარ საათში სუფრა თითქმის გავაჩანაგეთ. ღვინო ძველი ფრონტინიაკი გამოდგა და მშვენივრად ისმებოდა. „ეს რასა ჰგავს, — ბუზღუნებდა ბ[არონი], — წიწილაც არ შეგვიწვეს! ნეტა ღირს კი ასეთ ადგილებში წოწიალი!“

მალე დავემშვიდობეთ სტუმართმოყვარე, სიტყვაძვირ მასპინძლებს და მოცინარ ექიმს. „იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით, — მოგეძახბოდა ექიმი, — თუ გამობრუნებისას არა, საიმონსტოუნში გეწვევით: იქ ჩემი ძმა მსახურობს, ერთად წავიდეთ მთებში და იქ აღმოჩენილი მარილი ვნახოთ“.

რამდენიმე ხანს კიდევ უხეირო გზით ვიარეთ, წვიმებით გადარეცხილ ხეებსა და ღრანტეებზე. ირგვლივ კი ხასხასებდა ბუჩქები და ბიბინებდა მაღალი ბალახი. მერე ისევ შარავზახე გავედით და საკმაოდ სწრაფად გავგვრიალდით. მთები უფრო და უფრო მკაფიოდ იხატებოდა. მალე ჩირგვებსა და კორღებიდან ორი უშველელი მთა ამოიმართა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, უფრო და უფრო იზრდებოდა. გზის ორივე მხარეს კომშის ხეები იყო ჩარიგებული; ჩვენმა ყმაწვილმა მეგობარმა და ცხენებმა ისევ ჩაიგემრიელეს კომშით პირი. აი, მივადექით კიდევ მთებსა და მათ ძირას მდებარე დაბას, რომელსაც პოლანდიურად Paarl ჰქვია, რუსულად კი მარგალიტს ნიშნავს. ის მართლაც კოლონიის მარგალიტია, იმდენად წარმტაცი ადგილმდებარეობა აქვს, იმდენად უხვი, საუცხოო მოსავალი მოდის, განსაკუთრებით ღვინის.

თვალი ვერ ასწრებდა ამ დიდ, განივრად გადაშლილ სურათის ყველა წვრილმანის დაქერას. პირდაპირ, მთის დაღმართზე, დაბა შეფენილა, ნაწილი ქუჩებისა სწორ ამფითეატრად შემორტყმია, ნაწილი ბორცვებს უსწორმასწოროდ გასდევნებია. მწვანეში ჩაფლულა პატარა სახლები, ვენახები, სიმინდის ყანები, ახლო თუ შორეული ფერმები, საიდანაც ყოველმხრივ მიემართება გზები. მარცხნივ პაარლის მთა ამართულა. იმდენად წარმტაცი პეიზაჟებია ზედ, ისე მწვანედ ხასხასებს იქაურობა, რომ აქაურ მთებს არაფრით ჩამოგავს. შუადღის მზე თვალის-ჰომკრელად აფრქვევდა ზედ სხივებს. მის ფერდობზე. მწვერ-

ვალის მახლობლად, რაღაც სამი თეთრი ზოლი ბრჭყვიალებდა. თავდაპირველად მარილის კრისტალები მეგონა, მერე მთის ბროლი, მაგრამ შევნიშნე, თითქო მოძრაობდა. მზის სხივები ისე ციალებდა ამ ფოლადის ზოლებზე, თვალები მატკინა. „ეგ რა არის-მეთქი?“ — ვკითხე ვანდიკს. „ჩანჩქერებიო, — მითხრა, — ახლა პატარაზე გადმოჩქეფს, ზამთარში კი ნიაღვრებად მოქუხს: very nice-ო“¹. ჩანჩქერებისთვის, ცოტა არ იყოს, ნაქლებ გრანდიოზულია! სასადილო საათებზე დაახლოებით ასეთებს აკეთებენ შუშისას. მთის სამხრეთ კიდეზე შორიდან თითქო ადამიანის ხელით გამოთლილი უზარმაზარი ლოდი diamond, — ა ლ მ ა ს ი მოჩანდა, რომელიც ქვის გამოქვაბული ყოფილა. შიგ თურმე თხუთმეტობდე კაცი თავისუფლად ისადილებდა. მთის კალთებზე გაბარდნილ ბუჩქებში აქა-იქ ბილიკები მოჩანდა, ისე პატარა, გეგონებოდა, ჭიანჭველების გარდა იქ ვერავინ იმოდრავებსო. ალაგ-ალაგ ბალახიდან კუშტად იმზირებოდა რუხი ლოდები და კუზივით დადგომოდა მთას, ალაგ-ალაგ ჩირგვნარით მოდებულები ხევხუვი ჩანდა. მალე დაბაში შევედით და ამ ლამაზ მთას გულდაწყვეტილმა მოვწყვიტე თვალი.

სახლები, მაგრამ რა სახლები, სწორედ სათამაშოები ეგონება კაცს! ვაზის ფოთლებით შემოწნული პატარა მოედნები, მუხის ჩრდილით დაბურული ბაღები, ალოეს ბუჩქები, ყვავილები, — ბედნიერების, ოჯახური სიტკბოების, გულმშვიდი საქმიანობის ნავსაყუდელი! მივეგრიალებდით ბალიდან ბალში, ე. ი. ქუჩიდან ქუჩაზე, კორდიდან კორდზე. თითქო ხეებიც გვეკეკლუცებოდნენ, ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვა ჯგუფად გვიხვდებოდნენ. „აქ გავჩერდებით-მეთქი?“ — ვკითხე ვანდიკს, რომელიც ისე მიერეკებოდა ცხენებს, თითქო დაბის გულის გახვრეტას აპირებსო. მაგრამ ვანდიკს არც გაუგონია ჩემი კითხვა, რაღაც საგანს მიშტერებოდა. გავიხედე, ნეტავ რას უყურებს ასე გაშტერებით-მეთქი: იმ ტერასის ძირას, სადაც ჩვენ მივდიოდით, მდებარეობდა ცხენი ძოვდა ბალახს — სხვა არაფერი ჭაქანებდა. „საოცარია, ეს ცხენი ვისი უნდა იყოს?“ — ბუტბუტებდა ვანდიკი. გავიარეთ ტერასა, უკან დარჩა მდებარე, კოფო-

¹ ძალზე ლამაზი (ინგლ.)

დან წამომდგარი ვანდიკი კი მაინც იქით იყურებოდა. „ამას წინათ რომ ჩამოვიარე, ეგ ცხენი აქ არ იყო“, — განაგრძობდა საგონებელში ჩაყარნილი ბუტბუტს და უფრო გარეკა ცხენები. „რა დიდი დაბაა-მეთქი!“ — ვუთხარი მე ისევ. „ექვს მილზეა გაშლილი. აქ გავჩერდებით, — მიპასუხა თითქო ჩემს წინანდელ კითხვაზე, — მე კი გავიქცევი, გავიგებ ერთი ვისი ცხენი ბალახობს მდელოზე: თავის ღლეშა არ მინახავს“. „განა აქ ყველა ცხენი იცი?“ — „ოჰ, yes! — ღიმილით მიპასუხა მან. — ოციოდე მეყოლება აქ გაყიდული, უფრო მეტი კი ნაყიდი. ეს ცხენი კი...“ — და უკან, მდელსკენ გაიშვირა მათრახი... „ჰაჰლ!“ — დასჭყვილა უცბად, რა დაინახა, რომ ერთმა ცხენმა თავისი მოვალეობა დაივიწყა და გზის ნაპირზე მდგარ ხეებს წასწვდა.

ამ ტერასის ბოლოს, დაღმართზე, დაბის განაპირას ერთ ყველაზე კოხტა სახლთან შევჩერდით. სიციხით შეწუხებულებმა სასწრაფოდ მოღიავებულ კარს მივაშურეთ და გრილ, ჩაბნელებულ ოთახებს შევაფარეთ თავი. მე და ბ[არონი] პირველები შევეცვივდით. შიგ ერთი საღად ჩაცმული, არც თუ ლამაზი ყმაწვილი ქალი დაგვხვდა, კარაღაში ბუჯარობდა, რაღაცას იღებდა. ჩვენმა უეცარმა გამოჩენამ შეაშინა საწყალი, თვალები დახარა და ადგილზე გაირინდა. „საუზმეს არ მოგვიმზადებთ?“ — ჰკითხა ბ[არონმა] ინგლისურად. „yes“, — მიუგო ქალმა. „სადილსაც?“ — „yes“. — „მამ სადილის თადარიგი დაიქირეთ, გეთაყვა, პო... ყველაფერი მოიტანეთ, რაც კი კარგი გაგაჩნიათ, და ბლომდაც იყოს“. — „ლოგინები დაგქირდებთ?“ — „არა, — ვუთხარით ჩვენ. — „ჩამოსულებსთვის ოთახებს აქირავენთ?“ — „Plenty“ (ბევრს). ყმაწვილი ქალი მყის გაუჩინარდა. ჩვენ ოთახებში დავჩრჩით, ნაწილი აივანზე გავიდა. ვანდიკმა ცხენები გამოხსნა და კისრისტეხით დაეშვა მთიდან იმის გამოსარკვევად, ვისი ცხენი ზალახობსო მდელოზე.

სახლს არაფერი ეცხო სასტუმროსი. პირველ ოთახში დივანი იდგა, მის წინ მაგიდა, ირგვლივ სავარძლები. კედლებს სანადირო იარაღები ამშვენებდა: თოფები, იახტაშები, ხანჯლები, რქები, მათრახები. როცა მეორე ოთახში შევიქცერით, ფორტეპიანო დაგვიხვდა, მრგვალ მაგიდაზე მაუდის პატარა სუფრა ეფარა. ზედ პატარ-პატარა, მშვენიერი ნივთები ელაგა. კედ-

ლებზე სურათები ეკიდა, კეთილი იმედის კონცხის ხედებით. ყოველივე არათუ მოვლილი, გემოვნებით და მდიდრულადაც იყო მორთული. „ნეტა ვინ ცხოვრობს აქ, რა კაცია?“ — ვფიქრობდით ჩვენ და აქეთ-იქით ვიყურებოდით. „რა თქმა უნდა, ინგლისელი იქნება“, — დავასკვნით მერე თვითონვე; ეტყობა მონადირეობს და ოტელი სხვათა შორის, გაუხსნია; ან უფრო სწორად ოტელი გაუხსნია და სხვათა შორის ნადირობასაც მისდევს. მაგრამ ეს ყმაწვილი ქალი ვინლა? მისი შვილია თუ მსახური? ჩვენები, ე. ი. პ[ოსიეტი] და გ[ოშკევიჩი] მთაზე გაემართნენ იქიდან გადმოსახედად და თუ მოახერხებდნენ, სურათების გადასაღებად. მე და ბ[არონი] სახლში დავრჩით, ზ[ელიონი] ჩვენთან აპირებდა დარჩენას, მაგრამ თანამგზავრებმა ლამის ძალით წაიყვანეს, ხედების გადასაღებად რაღაც ხელსაწყოები აპკიდეს. თუმცა ნახევარი საათის შემდეგ ისევ სასტუმროში გამოგვეცხადა, ისინი საღდაც მიეტოვებინა და უჩუმრად გამოპარულა. ძალზე ცხელოდა.

ის იყო სასტუმრო ოთახში მოვეწყვეთ, რომ უცბად ერთის მაგივრად ორი, ასე გასინჯეთ ორი და კიდევ ნახევარი ქალწული დაგვადგა თავს: ერთი ჩვენ რომ ვნახეთ, ის იყო, მეორე მისი და, ისიც მოწიფული ქალი, და კიდევ ერთი ცამეტიოდე წლის გოგონა. ჩითვის კაბის ნაცვლად მარმამის სპენსერები ჩაეცვათ, გამჭვირვალე სახელოებით და მუსლინ-დე-ლენის მსუბუქი ქვედაწილები. ისიც დაუმატეთ, რომ უფროსს თვალები ჰქონდა ჩალურჯებული, მეორეს ცხვირს და შუბლს თითო ძიძიბი უმშვენებდა; ორთავეს კდემამოსილი იერი მიელო. პატარა გოგონა კი, პირიქით, ქალაბიჭა გეგონებოდა: მოურიდებლად გვიყურებდა, დარბოდა და ერთ ამბავში იყო. დებმა გვითხრეს, სხვათა შორის ჩამოსულები მთაზე აპყავთ ა ლ მ ა ს ი ს, ჩანჩქერებისა და პეიზაჟების სანახავადო.

ქალიშვილებმა სასტუმროში ჟალუზები გახსნეს, ფანჯარასთან მისხდნენ და ჩვენც მიგვიპატიუეს, დაბრძანდითო, თითქო სასტუმროში კი არა, სადმე ოჯახში ვყოფილიყავით სტუმრად. სხვა არავინ გამოჩენილა. „ვინ არის მონადირე ოჯახში?“ — ვკითხე მე. „მა“, — მიპასუხა უფროსმა. „მარტო ცხოვრობთ?“ — „არა, დეც გვყავს“, — მითხრა მეორე დამ. საუბარი ჯერჯერობით ამაზე გავწყვიტეთ. ქალწულები თავდახრილები ისხდნენ,

ჩვენ თავს ვიმტვრევდით, და გონებაში თავაზიან ინგლისურ წინადადებებს ვაწყობდით. ქალწულები, მგონი, ამას ელოდნენ. „სადილი მალე იქნება?“ — უცბად დაარღვია დუმილი ბ[არონმა]. „ღიახ“. — ჰკითხეთ, ყურძენი თუ აქვთ, ბლომად მოიტანონ, — დაუმატა ზ.-მ — არ შეიძლება ბანანებიც და საზაძთროებიც მოაყოლონ?..“ დიდი ხანია ლამბაქზე ორ წითელ პურთულას დაეადგი თვალი მაგიდაზე“. „ეგ რა არის-მეთქი?“ — „შხამიაო“, — მოკრძალებით მიპასუხა ერთმა. „რატომ ინახავთ?“ — „მამას სადღაც უშოვია; ისე გვაქვს...“ — „თქვენ ხომ არ უკრავთ?“ — „ღიახ!“ — მითხრა უფროსმა. „არ გვიმღერებთ?“ — შევეხვეწეთ ჩვენ. ჯერ ცოტა გაგვეპრანჭა, მერე დაჯდა ფორტეპიანოსთან და ძალიან ბევრი გვიმღერა: ხან შოტლანდიური ჰანგი, ხან ნახევრად ესპანური, ნახევრადიტალიური რომანსი. ნუ მკითხავთ, როგორ იმღერა. მხოლოდ იმას გეტყვით, ბ[არონმა] რომ პირველად თავპატივი გამოიღო დიასახლისების თხოვნაზე, გვიმღერეთო; შემდეგ თამამად მოუჯდა ფორტეპიანოს და, ღმერთო, რა არ იმღერა! ასეთი სიმღერა სადილის მოლოდინში, მშვიერ კუქზე თუ ეპატიება კაცს, ისიც აფრიკაში. საბედნიეროდ, შუა სიმღერაში ერთმა შავკანიანმა ხუჭუჭა თავი შემორგო სასტუმროში და აფრიკელ პატარა ქალბატონებს რაღაც პოლანდიურად გადაულაპარა. მერე რა, რომ ბ[არონი] ზურგით იჯდა, მაინც მყისვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს, და „სადილი მზადააო“, — გამოგვიცხადა. „სხვები რომ არ მოსულან“, — ვუთხარით ჩვენ. „მერე რა, მარტო დავხედოთ, ნუ შეეკამთო“. სუფრაზე აუარება ლანგარი იდგა შემწვარი თუ მოხარშული ძროხის, ცხვრისა და ღორის ხორცი. მაგრამ ჩვენი ყურადღება ვარდისფერი ხახვის სალათამ მიიპყრო. გემო რომ გავუსინჯეთ, ვეღარც მოვცილდით: ტკბილი, ოდნავ მწვავე ხახვს მხოლოდ სუნი შერჩენოდა ჩვენებურის. დიდი სასალათე ხელდახელ დაცარიელდა. „სალათი კიდევ მოიტანეთ!“ — გასცა განკარგულება ბ[არონმა]. როცა ჩვენები მობრუნდნენ, მაშინ კი ჩავუჯექით წვნიანს, სხვაც ბევრი გვახელით და მესამე სასალათეც მოვასუფთავეთ.

ნასადილევს გავლა დავაპირეთ, მაგრამ სიცხემ შეგვაწუხა: თეთრი ქურთუკები უნდა ჩაგვეცვა. ჩემოდნებში კი გვქონდა,

მაგრამ ამოღება არ უნდოდა! „არა, ისევ სიცხემ მოგვეკლასო!“ — ვარჩიეთ ზოგიერთებმა.

ოტელის გვერდით ახალი ორსართულიანი სახლი იდგა, ქვევით კარი ღია იყო. შიგ შევიხედეთ: მალაზია გამოდგა. რა არ იყიდებოდა იქ: ქულები, ხელთათმანები, მზა ტანსაცმელი თუ სხვა. ვაქრები ჰოლანდიელები იყვნენ. დაბაში ბანკიც ჰქონიათ და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანიც. პაარლის ოლქის ღვინო კონსტანურის შემდეგ ყველას სჯობია, არაყსაც ბლომად ხდიან. აქვე აკეთებენ კ ა რ ტ ე ბ ს ა ც, კაპურ სამგზავრო ეკიპაჟებს. ჩვენც სწორედ იმით ვიმგზავრეთ. ისეთი კოხტად ნაკეთებიც ვნახე, ქალაქის კარეტას ტოლს არ დაუგდებდა. ვანდიკმა ერთი ახალი კარტი იყიდა, თუ არ ვცდები, ორმოც გირვანქად. ჩვენი ეკიპაჟი ხომ სულ დანგრეული იყო. თვითონაც არა ერთხელ გამოუთქვამს შიში, ვაითუ სადმე ფერდობზე დაგვეშალოსო. თუმცა ახალ კარტში ჩვენ მაინც არ ჩაგვსვა.

აქ ომნიბუსების კომპანია ჰქონიათ. ომნიბუსი დღეში ორჯერ მოდის კეიპტაუნიდან. კეთილი იმედის კონცხზე თუ შეგემთხვავთ ჩამოსვლა, გირჩევთ, ნურც ცხენებზე შეიწუხებთ თავს და ნურც ეკიპაჟზე, ვინიცობაა კოლონიის დათვალეირებას გადაწყვეტთ: მოჰკიდეთ ხელი ერთ პატარა ჩემოდანს და კაპშტატში, Longstreet¹-ზე ომნიბუსების კანტორას მიაშურეთ: იქ იკითხეთ, სად და როდის მიდის ომნიბუსი და იმის მეოთხედ ფასად შემოივლით ორჯერ მეტ ადგილს, რაც ჩვენ დაგვიჯდა.

ხუთ საათზე დავემშვიდობეთ ქალწულებს, მათ ჩაგოდრებულ დეს, რომელიც მხოლოდ ნასადილევს გამობრძანდა ფულის მისაღებად და დაბა ველინგტონისკენ გაეწიეთ, რომელიც პაარლის ოლქს ეკუთვნის და პაარლიდან ცხრა ინგლისურ მილზეა დაშორებული.

ამ ორივე ადგილას ჰოლანდიელები, გაჰოლანდიელებული ფრანგები და ნაწილობრივ ინგლისელები ცხოვრობენ. შავკანიანები სად არიან? ამ კუთხის მკვიდრი შვილები? ტყუილად ნუ დაუწყებთ ძებნას შავკანიან მოსახლეობას ქალაქებში, როგორც მოქალაქეებს. სოფლებზე ხომ არას ვიტყვი: სოფლები

¹ ლონგ-სტრიტ (ინგლ.)

სადაა, ბატონი., მარტო დაბები და ქალაქებია. მხოლოდ რამდენიმე ქალაქსა თუ დაბას გააჩნია გარეუბნები, სადაც ლარიბულ, დაბალ ფაცხებში ქალაქად ქირაზე მომუშავე შავკანიანები შეყუყულან. მინდვრებიც გულდაგულ ვათვალიერე, მაგრამ ვერც იქ დავინახე ქოხი და ვერც აღდებზე მიკრული ადამიანის საბუღარი. ირგვლივ სულ ფერმებია და იქ მხოლოდ ამ ფერმაში მომუშავე მოჯამაგირეები ცხოვრობენ. კაპშტატის ახლომახლო ბინადარ შავკანიანებს ვერ იხილავ. ნადირებთან ერთად ისინიც ქვეყნის გულში გადახვეწილან, თითქო თეთრკანიანების შეტყუება უნდათ შორსა და შორს მანძილზე, რა არის ევროპა შიდა აფრიკაშიც შეიტანონ. ევროპელები უკვე ტროპიკებს მიბრჭენიან. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმ დროს ველარ მოვესწრებით, როცა ერთნი ალყირიდან, მეორენი კი კაპშტატიდან სადმე ქვეყნის შიგნით შეხვდებიან ერთმანეთს. მაგრამ აუცილებლად კი შეხვდებიან. ვერც ლომები და მარტორქები, ვერც აბდელკადერები და სანდილიები, ასე გასინჯეთ ერთხედაც და მეორეხედაც, დაუნდობელი საპარას უდაბნო ვერ შეუშლის ამას ხელს. დღესდღეობით ომნიბუსები დაგრიალუბენ მთელ კოლონიაში, იხდება არაყი, გახსნილია ოტელები, მაღაზიები, ჰყავთ თმადაკულულებული ქალწულები, აქვთ ფორტეპიანოები — განა რაღა ბევრი უკლია სრულ წარმატებას? შედგენილია პროექტიც, მთელ კოლონიაში რკინიგზა როგორ გაიყვანონ, და ლონდონის სამინისტროსაც გაუგზავნეს დასამტკიცებლად; ოღონდ შიშობენ, ვაითუ ხარჯი ვერ აანაზღაუროსო: ჯერჯერობით მაინც ნაადრევია. აქამდე მხოლოდ პოტენტოტებმა გამოიჩინეს ერთ ადგილზე დამკვიდრების სურვილი, შეიყვარეს მიწათმოქმედება და განსაკუთრებით მესაქონლეობა, ასე რომ, პოტენტოტების მთელი ოლქიც შედგა. იქ თვითონ ბატონპატრონობენ, თესენ პურს, აშენებენ სიქონელს და ინგლისელთა ხიშტების იმედით კაფრების თავუასხმისა ისე აღარ ეშინიათ.

ჩვენი გზა გაშლილ ველს მიჰყვებოდა. სიგანით ხუთიორდე ვერსი იქნებოდა. განგებაც რომ მოინდომო, ისე სწორად ვერ ჩაამწყრივებ მთებს, როგორც ამ ველს შემოვლებია ისინი გარშემო. მთელ ველზე ჩირგვები და აბზინდის მსგავსი მოქალარო ბალახი გაბარდნილა. ერთ ადგილას ღელეს მივაღეჭით, წვი-

პებისგან საკმაოდ აღიდებულა. ფონით უნდა გავსულიყავით. ამოდ უტყალაშუნებდა მათრახს ვანდიკი ცხენებს: ისინი ფეხს არ იცვლიდნენ. „ჰაპლო!“ — დასკყივლებდა ის და ცხენებს წყლისაკენ მიაგდებდა, მაგრამ რაწამს ორ წინა ცხენს ფეხი დაუსველდებოდა, მაშინვე ან მარცხნივ, ან მარჯვნივ გაუხვევდნენ ნაპირისაკენ. ვანდიკმა რაღაც დაუყვირა სხვა მეეტლეს, ჰეორე კარტიდან ჩვენი ყავისფერი თანამგზავრი, პატარა პოტენტოტი ბიჭი გამოხტა, შარვალი აიკაპიწა და ცხენები წყალში ჩაათრია; მაგრამ მალე წყალი კისრამდე მისწვდა და ისევე თავის ადგილზე გამობრუნდა. ცხენები მუცლამდე წყალში აყვნენ. ფსკერი წვრილი რიყის ქვით იყო მოფენილი და ბორბლებმა ისეთი ჭრიალი ატეხეს, ზ[ელლიონი] კი ჩააჩუმეს, რომელიც ლამის მთელი აფრიკის გასაგონად გამლეროდა: ჩ ე მ ო ტ უ რ ფ ა , ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ! ა ხ ტ ო ნ ს ჰ ყ ა ვ დ ა ე რ თ ი ქ ა ლ ი , თ უ ს ხ ვ ა ს .

მზე ჩასვლას აპირებდა, ისეთ მწველ სხივებს აღარ გვაფრქვევდა და ჩვენც მხიარულად, მხნელ მიგვაგრიალებდა კარტა. მზის ჩასვლისას ბუჩქებიდან პირდაპირ ველინგტონში შევედიო. ეს დაბა თხრილში გაუშენებიათ, მეტისმეტად ვიწროდ, ღარიბული და უსწორმასწოროა. ასიოდე ჰოლანდიური სახლი და ფაცხები ჩირგვებსა, მუხებს, ბოსტნებსა, ვენახებსა და სიმინდისა თუ სხვა პურეულის ყანებში გაბნეულა. აქ ყველაზე მეტი შავკანიანი სახლობს. გავიარეთ ვიწრო ღობით კაქტუსისა და ალოეს ბუჩქებით შემოღობილი შესახვევი და დიდ ქუჩაზე ვავედით. ერთი სახლის ვერანდაზე ორი თუ სამი ქალიშვილი იჯდა და მაღალი, ჩაფსკენილი თმაშეჰალარავეებული მამაკაცი ბოლთასა სცემდა. „აგერ მისტერ ბენიო!“ — გვითხრა ვანდიკმა. შევხედეთ მისტერ ბენს, იმანაც გადმოგვხედა, მერე ისევე განაგრძო ბოლთა, ჩვენ კი ერთ პატარა, უშნო სასტუმროში წავედით, თუმცა დიდი და ლამაზი ვერანდა კი ჰქონდა. მე იქ დავრჩი: წყნარი საღამო იდგა. ცას ნელ-ნელა ეხვეოდა ბინდი. აქა-იქ ვარსკვლავებიც აკიაფდა.

„მოდი, ბენს ვეწვიოთ, — მითხრა ბ[არონმა], — ოლონდ, ჯერ სასტუმროს პატრონს ვკითხოთ, ვახშმად რა ექნება“. ნეტავ რომელი იყო სახლის პატრონი? იქ ორი კაცი დაფუსფუსებდა: ერთი აივანზე ტრიალებდა, საკმაოდ თმაგაჩეჩილსა და

კაუპარსავს წინსაფარი აეფარებინა და რა ხანია ჩვენი ბარგი-
ხარხანის ოთახებში შეტანას თადარიგობდა. მეორე ქუჩაში
ოდგა, პარმალთან, პალტოში გამოწყობილი და თავზე მრგვალი
ქუდით, სასტუმროში ჩვენს დაბინავებაზე ფაციფუცობდა. კი-
დევ ზანგი ბიჭი და გოგო უტრიალებდა ჩვენს ბარგს. „არა,
ბენთან ვერ წამოვალ, აივანს ვერ დავტოვებ,— ვუთხარი ბ[ა-
რონს]. — ახლა გვიანია, ხვალ დილისთვის გადავდოთ-მეთქი“.

ამასობაში შეუმჩნევლად, უცბად ჩამოლამდა. სასტუმრო
ღარბულად იყო მორთული, დედოფალ ვიქტორიასა და ლევ-
კვერთხის ორდენის საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილ პრინც
ალბერტის პორტრეტები ეკიდა. იქვე დავინახეთ სახლის პატ-
რონის სურათიც. მაშინღა გაეარკვიეთ, ვინ იყო სახლის ნამდვი-
ლი პატრონი. ის თურმე პერანგისამარა წინსაფრიანი კაცი ყო-
ფილა. ცხვირში დუღდუღებდა და ისეთი ბრაგაბრუგით დააბო-
ტებდა, გეგონებოდა, იატაკის ჩამტვრევა უნდაო. ის იყო
მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით, რომ სასტუმროს პატრონი
შემოვარდა, ბატონ ბენს თქვენი ნახვა სურსო.

მისტერ ბენს ჩვენი კაპუტატელი ბანკირის სარეკომენდაციო
ბარათი გადავეცით. წაიკითხა და გვითხრა, ვაი რომ კვირადღე
შეგხვდათ, შესანიშნავს ბევრს ვერაფერს გაჩვენებთო. „მაგრამ
არა უშავს, — დასძინა ესეც, — შევიცდები, ზოგი რამ მიინც
დაგათვალეირებინოთ“.

საუბარი გეოლოგიაზე ჩამოვარდა. ეს მისი საყვარელი საქ-
ვე ყოფილა და ინგლისში კიდევ გაუთქვამს ამით სახელი, ხო-
ლო ჯერ გამოუქვეყნებელი შრომები, ალბათ, უფრო მეტად
პოუხვევქენ დიდებას. „ჩემს გეოლოგიურ რუკას გიჩვენებ-
თო“ — გვითხრა და მის მოსატანად შინ წავიდა. არ გასულა
თხუთმეტი წუთი, რომ ვეებერთელა, მშვენიერი რუკა მოათ-
რია, სადაც დაწვრილებით იყო აღნიშნული კეთილი იმედის
კონცხიდან კოლონიის შიდასაზღვრებამდე ყველა მთის ფორმა-
ცია. რუკა კობტად, ფაქიზად იყო დახაზული. ამ მიყრუებულ
ადგილას ბენს თანაშემწე ვინ ეყოლებოდა და მართო მას დაუ-
ხაზავს თურმე. თხუთმეტი წელი მოანდომა ამ შრომას და ასლი
ლონდონში გაეგზავნა. კოლონიაში მთების ნიადაგი თიხოვანი
ფიქალის, გრანიტისა და სილამიწისაგან შედგებოდა. რუკას
თვალი ველარ მოვწყვიტეთ, ბენს შევეხვეწეთ, დილამდე და-

გვიტოვებთ. „სამეცნიერო საზოგადოება ალბათ უკვე ბეჭდავს. რომ დაბრუნდებით, უკვე მზად დაგხვდებათო“, — გვითხრა ბენმა.

ბენის მეორე სპეციალობა კოლონიის ნამარხი ცხოველების აღმოჩენა და აღწერა გახლავთ. ამ ნამარხებში ბევრია თურმე ორკბილა გველი. გვაჩვენა კიდეც ამ ცხოველთა ჩონჩხები და რამდენიმეც გვაჩუქა. მის მესამე და მთავარ სპეციალობას კი გზების გაყვანა წარმოადგენს. ის სამოქალაქო ინჟინერია და მთელი ოლქი აბარია.

ბენი შესანიშნავი კაცია კოლონიაში. სიყრმიდანვე იქ ცხოვრობს, ოთხჯერ მანაც იქნება ნამყოფი ხან მარტო, ხან კი ამხანაგებთან ერთად კოლონიის უკიდურეს საზღვრების, ნარინჯის მდინარის გაღმა, განედის 20°-მდე; ჯერ ერთი, რომ გეოლოგიური გამოკვლევები აინტერესებდა და მეორეც, ბუნებით მოგზაური, თავგადასავლების მოყვარული კაცი იყო. ბევრი რამ გვიამბო ლომებსა და მარტორქებთან შეხვედრებზე. ვეფხვებზე თითქმის არაფერი უთქვამს, ხსენების ღირსნი არც არიანო. მხოლოდ ერთი ანეგდოტი კი გვიამბო: ვეფხვი თურმე ერთ საჩეხს შეეჩვია და იქიდან ცხენებს იტაცებდა. ჰოდა, ერთხელაც ღობე ერთ ადგილას განგებ გამოურღვევიათ და იქ ხაფანგი მოუწყვიათ. ვეფხვი რომ გამორღვეულში გაივლიდა, თოქს მოედებოდა, თოკი კი თოფის საკეტზე ყოფილა მიბმული. როგორც კი ვეფხვი თოქს გამოედებოდა, ტყვია შიგ შუბლში მოხვდებოდა. მაგრამ ვეფხვი მიმხვდარა, ღობე ტყუილუბრალოდ არ იქნება გამორღვეული, უთუოდ რაღაც მახეაო. ამდგარა და პირდაპირ ღობეზე გადამხტარა, კარგად გამოძძდარა და იმავე გზით გადმოსულა უკან. ლომებს ბენი დიდი პატივისცემით იხსენიებდა, აქებდა, კეთილშობილი ბუნება აქვთო. ერთხელ ისა და მისი სამი ამხანაგი მარტორქაზე ნადირობდნენ. უსროლიათ და ნადირი დაუფრთხიათ. კვალაკვალ რომ გამოეკიდნენ, ერთიც ვნახოთ, მოშორებით, ხეების ქვეშ ორი ლომი დაინახეს გაწოლილი. ცნობისმოყვარეობით შეაკვირდნენ გაქცეულ მარტორქას, მისტერ ბენსა და მის ამხანაგებს, ადგილიდან არც დაძრულან. მონადირეებმა დიდი პატივისცემით ჩაუარეს თურმე ამ ტყის მეფეებს.

კიდეც უფრო უცნაური ამბავი გადახდა თავს მისტერ ბენს. ერთხელ ის და მისი ამხანაგები სანადიროდ იყვნენ წასულები

და კარგა შორს შეიქრნენ ქვეყნის გულში. უცხად ერთ ტომს გადაეყარა, ისინი თურმე ძეოვრე ტომს ეომებოდნენ. ბელადმა მეტად ტკბილად მიიღო ბენი და რამდენიმე დღე კარგადაც გაუმასპინძლდა. როცა ბენმა წამოსვლა დააპირა, ბელადმა სთხოვა, ომში მიიღე მონაწილეობა და მტრების დამარცხებაში დაშეხმარეო. ბენმა უთხრა, ჩემი მთავრობის ნებართვის გარეშე ამას ვერ გავბედავო. „მაშინ შენი თოფები, ხარები, ურმები ჩემი იქნებაო“, — მიუგო ველურმა. არავითარმა დარწმუნებამ და ფიცმა არ გასჭრა და ბენიც იძულებული გახდა, საომრად წასულიყო. საბედნიეროდ, ომი დიდხანს არ გაგრძელებულა. არც ერთ მეომარ მხარეს თოფ-იარაღი არ გააჩნდა. ჰოდა, მოწინააღმდეგე მხარეც თოფის პირველსავე გასროლაზე უკანმოუხედავად გაიქცა და თავისი ავლაღიდება გამარჯვებულებს დაუტოვა. „აღბათ, როგორ წუხნით, იმ უბედურებს რომ ესროდით?“ — ვკითხეთ ჩვენ. „მაინცდამაინც არა, — გვითხრა ბენმა, — მე ხომ ფუჭი მუხტით ვისრადი. აზრად არავის მოსვლია ჩემი შემოწმება. თოფი თავის დღეში არ სჭერიათ ხელში და არაფერი გაეგებოდათ“.

ბენი მაღალი, ჩაფსკვნილი, ტანადი კაცი გახლავთ; ბევრს დადის, დადის კი არა, სპილოსავით ღონივრად დააბოტებს, მისთვის სულ ერთია აღმართი თუ დაღმართი. ჰამა კარგი მუშა კაცივით იცის, სმაც უფრო მეტი შეუძლია; სახეზე წამოჭარხლებულია, თავი სულ გამელოტებული აქვს. აგერ, მეცნიერულ საგნებზე რომ გელაპარაკება, ხელად რაღაც მასხრობას გამოურევს, მღერის ისე, ჩვენმა გუნდმაც კი ვერ ჩაახშო მისი ხმა. სამოქალაქო ინჟინერი და გეოლოგი რომ არ ყოფილიყო, აღბათ, აფრიკელი რუბინი გამოვიდოდა, ისეთი შესანიშნავი ფალცეტოს პატრონია. შოტლანდურ სიმღერებითა და ბალადებით გვატკობდა. სწავლულმა პარტიამ მისტერ ბენი სულ დაისაკუთრა, ასე რომ პ[ოსიეტი], რა თქმა უნდა, ბატონ ბენთან ჩვენს საუბარს ბევრს დაუმატებს თავის მხრივ.

სანამ ჩვენ ბენს ვემუხაიფებოდით, ბ[არონი] სადღაც გაქრა. მალე სასტუმროს პატრონი ნელა მომიახლოვდა და ყურში რაღაც ჩამდუღლუნა. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა. „თქვენ გეძახიანო“, — გამიმეორა მან. „ვინ მეძახის, სად?“ — „ქუჩაში“. — „რას ამბობთ? აქ ნაცნობი არავინა მყავს-მეთქი?!“ — მაგრამ

მაინც წავედი. ქუჩაში ისეთი სიბნელე იდგა, მეგონა გაქვარტლულ საკვამურში მივდიოდი. პარმალის კიბეზე ძლივძლივობით ჩავედი. სიბნელიდან ერთი კაცი გამოვიდა და ხელი მომკიდა. პალტო ეცვა და ქუდი ეხურა. ის ჩვენი მეორე, შემცველელი პატრონი ყოფილა. პირდაპირ არყით ჰყარდა. „რა გნებავთ-მეთქი?“ — ვკითხე. „წამობრძანდით, მეჯლისს გაჩვენებთო“. „ნეტავ რა მეჯლისი უნდა იყოს? — ვფიქრობდი გუნებაში და უკან მივყვებოდი, — ან მე რატომ უნდა მაჩვენოს-მეთქი?“ — სამი-ოთხი სახლი რომ ჩავიარეთ, სასტუმროს პატრონმა უცბად განზე შეუხვია. „stop, stop¹, ვერაფერს ვხედავ“, — ვეუბნებოდი ადგილზე გაშეშებული. „წამოლით, აქ არაფერ არაა, მარტო თხრილია... აი, აქ“. — და ორთავემ ვისკუპეთ. ოღონდ იმან კი იცოდა, სად გადამხტარიყო, მე კი არა. მაგრან მაინც არ წავეცულებარ. უცბად ვიოლინოსი თუ რაღაც სხვა სასულე საკრავების ხმა მომხვდა ყურში. კარზე დაკიდებულ ფარნის შუქი შექუჩულ ხალხს ანათებდა. ზანგები და ჰოტენტოტები ყოფილან, ქალი და კაცი ყველა ცეკვავდა. მეჯლისიც ეს იყო თურმე. ყველანი გამომთვრალეები იყვნენ და გაშმაგებით ცეკვავდნენ, ხმას კი არ იღებდნენ. მათ შუა ჩვენი მთავარი მსახიობი ბ[არონი] იდგა. ძლივს გავარღვიე ბრბო და მასთან მივედი. „აქ რას აკეთებთ?“ — ვკითხე. „ზნე-ჩვეულებებს ვსწავლობ, -- მიპასუხა, — n'est ce pas q ue c'est pittoresque?“ — „ჰმ! pittoresque, — ვიფიქრე გუნებაში, — თუმცა მართლაც ასეა, ოღონდ საკუთარი, ადგილობრივი, ზანგური აქ მხოლოდ: შავი სხეულები და დამანკული სახეებია, სხვა ყველაფერი კი... ეს ხომ კადრილია ან იმის მსგავსი: შენ, ბალანსე-მეთქი“. კარგა ხანს ვუცქეროდით, როგორ მხიარულობდნენ მთელი დღის ჰაპანწყვეტის შემდეგ შავკანიანები. სახლიდან, ის მგონი. სამიკიტნო უნდა ყოფილიყო, არეულ-დარეული სიმღერა ისმოდა. ჩაფიქრებული, უხმოდ შევცქეროდი მოცეკვავე ბრბოს „ვახშმის დროაო“, — უცბად წარმოთქვა ბ[არონმა] და უკან გავბრუნდით.

სასტუმროს რომ მივუახლოვდით, დავინახე ბნელ ქუჩაზე

¹ გაჩერდით. გაჩერდით (ინგლ.)

² განა ლამაზი არაა? (ფრანგ.)

ვიდაც ლანდი მისდევდა სხვა ლანდს. ორთავემ, მდევარმაც და ვისაც მისდევდნენ, პარმალზე აირბინეს. თურმე ჩვენს სახლის პატრონს ზანგი გოგო გამოეგდო წინ ფარას ჩამორჩენილ ცხვარივით. „რატომ გამოაქციეთ?“ — ვკითხე მე. „უნამუსოა და იმიტომ, ღამლამობით სულ ქუჩაში აგდია. აქ კი ბუშმენები დაძრწიან ხოლმე, გოგო-ბიჭები უჩუმრად გამოჰყავთ, ან რალაცას აპარვინებენ, ან ათას საძაგლობას სჩადიან“. — „არ შეიძლება ბუშმენი სადმე დაეიჭიროთ? დიდი ხანია მაგათი ნახვა მინდა-მეთქი“. — „მაგათ ვინ დაიჭერს, თუმცა კი ღამლამობით იქ ბევრი იმალება, — ბრაზით თქვა პატრონმა და მუშტი მუქარით მოიღერა მინდვრებსა და ბოსტნებისაკენ, — მზე ჩავა თუ არა. ბუნაგებიდან გამოძვრებიან და ერთ უბედურებას ატრიალებენ“.

ჩვენები ისევ ბენს ემუსაიფებოდნენ. ზ[ელიონი] ჩვეულე-ბისამებრ რვა საათზე დაწოლილა დასაძინებლად, ვანშმისთვის წამოდგა მხოლოდ ყურძნის საკმელად. ვივანშმეთ და დავწე-ქით. აქ ცოტა ოთახები ჰქონიათ, ისიც პატარები. თითოეულში ორ-ორი საწოლი იდგა, თითო საწოლი კი ორი კაცისთვის იყო განკუთვნილი.

ბატონი ბენი დილით დაგვადგა თავს, ჩქარა დავიძრათ, ხეობა დღის სინათლით გავიარათ. გუშინდელივით ახლაც მწვანე სერთუკი, ნაშურის შარვალი და შავი ქილეტი ეცვა. ქილეტზე ლორნეტი ეკიდა, ქუდი ეხურა, ხელთათმანები კი არ ეცვა. ასე მორთული გამოემგზავრა კიდეც ჩვენთან. სწავლულთა პარტიას ჩაუჯდა: „აბა, ძმობილო, დავიძრათ!“ — უთხრა ზ[ელიონიმ] ვანდიკს. ვანდიკს ისევ გაუცვლია ცხენები, ლურჯას ნაცვლად ამლაცი შეუბამს. „ლურჯა გაცვალეთ-მეთქი?“ — „yes“. — გამიღიმა მან. „ვითომ რატომ? განა ეს არ ვარგოდა?“ — „ო. არა, გამობრუნებისას ისევ გამოვისყიდი, ამლაცს კი უსტერში გადავცვლი და მოგებული დავრჩები“.

დიდებული გზა და დიდებული ადგილები იყო! როგორც ველინგტონში პირდაპირ ბუჩქებიდან შევგრიალდით, ქალაქიდან გამოსვლისას ასევე პირდაპირ ბუჩქებში ამოვყავით თავი. აქედან იწყებოდა ბენის გაყვანილი გზატკეცილი. მარცხნივ გრინბერგის მთა ამართულიყო. ტყუილად არ მოენათლათ მწვანე მთად. თვალს ვერ მოსწყვეტდი მის ღამაზ, დამრეც კალ-

თებს, კორდებსა და ხევეებს. სწორედ ისეთი მთაა, როგორსაც სხვაგან ნახავ. სამაგიეროდ, შემდეგ რომ მთები შეგვხვდა, სულაც არაფერს ჰგავდნენ. თანდათან იზრდებოდნენ ის უშველებელი მთები და თავიანთ გაშიშვლებულ ველურ მწვერვალებს გვიჩენდნენ. თანდათან უფრო და უფრო ეკვროდნენ ერთმანეთს. ახლოს მისულს კი ისეთ მჭიდრო გალავნად დაგიხვდებიან, გეგონება, ბუმბუქარაზთა ხროვას პირი შეუკრავს, მტერი გვესხმის და არ გავატაროთო. „ნეტავ როგორ ავუვლით მხარს ამ გოლიათებს?“ — ვიფიქრე გულში, როცა გეზი პირდაპირ მათკენ ავიღეთ. „გზა სადაა-მეთქი?“ — ვკითხე ვანდიკს. ვანდიკმა უხმოდ მიმითითა ბილიკზე და მათრახით ჰაერში დაკლავნილი ხაზი შემოხაზა, ბილიკის პარალელურად. ის ეკიპაჟების გზა როგორ იქნება! ბილიკი მთას გარს უვლის, ხან სადღაც გაუჩინარდება, მერე ისევ მაღლა გამოჩნდება, ისევ გაქრება ღა ა. შ.

ნელ-ნელა შეეყევით აღმართს: ცხენებმა ცოტა შეანელებს ჩორთი. სულაც ნაბიჯზე გადავიდოდნენ, რომ ვანდიკს წამდაუწუმ „ჰაპლ!“ არ ეპყვივლა და მათრახი არ ეტყლაშუნა. ზ[ელიონიმი]: ს ლ ა ვ ი ა ნ ს კ ი ს ა ხ ლ ო ს, მ ა ლ ა ლ მ თ ა ზ ე და წამოიწყო. მთები გრინბერგით ჯერ საკმაოდ დამრეცი იყო. გზა თიხოვან ფიქალშია გაქრილი. მარჯვნივ თიხის კედელი დაგვყურებდა ზვიდან, მარცხნივ ხეების უფსკრულს დაედო პირი ქვემოთ. მაგრამ ჯერჯერობით ისეთი საშიში არა ჩანდნენ: თითქოს გვილიმოდნენ კიდევ. ხეების ფსკერზე ლელები მიჩხრიალებდა, მწვანედ ლაღანებდა ბალახი. განსაკუთრებით ერთი ლამაზი, ტყით შემოსილი ხევი დამამახსოვრდა. ქვევით, სულ ძირში, შექუჩულ ხეებში თეთრი სახლი ჩამალულიყო. ყოველ მხრივ ბილიკები მიემართებოდა მთებისკენ, ერთი საცხენო გზაც მიდიოდა. ეს სახლი მისტერ ბენის ბინა ყოფილა წინათ. ოჯახიანად აქ ცხოვრობდა თურმე სამი წლის მანძილზე. ყოველ ცისმარე ღღეს ფეხითა თუ ცხენით მთებში ადიოდა, გზის გაყვანა ის იყო დაეწყოთ.

ჩვენ ზემოთ და ზემოთ მივიწვედით, მაგრამ ამას მხოლოდ თვალი ამჩნევდა, ცხენები ვერას გრძნობდნენ და ამ გაშლილ, დამრეც გზაზე მსუბუქი ჩორთით მირბოდნენ. ორ ეკიპაჟს კი შეეძლო ერთმანეთის გვერდის ავლა გზაზე, მაგრამ იმდენად ზუსტად იყო ფართობი გამოთვლილი, თავიცი კი ველარ გაძვ-

რებოდა მერე. უფსკრულის პირებზე ლოდები ახლომახლო ჩაერიგებინათ. ერთი შეხედვით მაინცდამაინც დიდი ლოდები არ იყო და ზ[ელიონი] იძახდა, სათითაოდ უკუიდა იოლად ჩაყარი ქვევითო. „არც ეს უფსკრულები ყოფილა დიდად საშიში, ჩვენს ფსკოვის გუბერნიაში ამისთანებს რამდენს შეხვდებითო!“ — ამბობდა ის. ცხელი, წყნარი დღე იდგა. გზაზე არც ეკიპაჟები ჩანდა, არც გამვლელი ქაჭანებდა. ჯერ მთლიანად დამთავრებული არ ყოფილა და ხალხისთვის კვირაში მხოლოდ ორ დღეს იხსნება.

მთები ჯერ კიდევ ისე მაღალი არ იყო, მაგრამ რაც უფრო ზემოთ ავედით, მით უფრო შესამჩნევად აგრილდა. რა საამო, წმინდა, გრილი ჰაერი იდგა, რა მჩატედ სუნთქავდა კაცი. მზეც უფრო კაშკაშებდა, მაგრამ არ იკბინებოდა. ბოლოს ერთ პატარა მოედანზე გავჩერდით. „ზღვის დონიდან აქ 2000 ფუტის სიმაღლე იქნებაო“, — გვითხრა ბენმა და შეგვიპატიჟა ეკიპაჟებიდან გადმობრძანდითო.

რომ გადმოვედით და უკან მივიხედეთ, ერთ ადგილზე გავხედვით: მთელი პაარლის ველი ხელისგულივით გადაშლილიყო ჩვენს წინ. ალაგ-ალაგ მზის სხივებს გაეკაშკაშებინა, ალაგ-ალაგ მთების ჩრდილი ეფინებოდა. ველინგტონი თითქო ჩვენს ფეხქვეშ გაწოლილიყო, თუბცა ხუთი მილი გვაშორებდა მისგან. შორს მწვეანეში ჩაფლული პაარლის სახლები მოჩანდა, პაარლის დაბას მთის ვეება ჩრდილი დაჰფენოდა. ირგვლივ სულ ფერმები იყო. ბუჩქები ამ სიმაღლიდან ბალახი გეგონებოდა, ფერმების ვეებერთელა მუხები კი პატარა ბუჩქებივით ჩანდნენ. უხმოდ, უმოძრაოდ ვიდევით ყველანი. ჩვენგან ორმოცდაათიოდგ საუენსე არწივი ლივლივებდა ცაში. შიშველ მწვერვალების თავზე ერთი-ორჯერ მოიქნია ფრთები, ქვასავით წამოვიდა ძირს და კლდეებში გაუჩინარდა.

გ[ომიკვიჩმა] სურათების გადაღება დააპირა და ქვის ნიმუშების შეგროვებაც ისურვა. ბენმა მხოლოდ ახლა იკითხა, რა გვერქვა და ჩვენც ამ მთაზე სავიზიტო ბარათები გავუცვალეთ ერთმანეთს. ბ[არონი] და ზ[ელიონი] ტომრითა და ჩაქუჩით კლდეებზე აბობდნენ. წასვლამდე ბენის ნებართვით ზ.-ი შეეცადა ერთ-ერთი ლოდი უფსკრულში ჩაეგდო. მაგრამ ნურას უკაცრავად, თითოეული ლოდი, მგონი, მასზე დიდი აღმოჩნდა.

პ[ოსიეტმა] გრძელი ბაასი გაუბა ბენს, მე კი მუხლის გასაშლელად ფეხით დავადექი გზას, ეკიპაჟში ჯდომამ ლამის დამხუთა. კარგა ხანს ვიარე, წარამარა ვჩერდებოდი, რომ ველზე გადამეხედა. მალე ველი კლდეს მოეფარა. სამარისებურ სიჩუმეში გზატყეცილს გავყევი.

ნახევარი საათის შემდეგ ჩენი ეკიპაჟები დამეწია. შინდოდა ჩავმჯდარიყავ, მაგრამ მათ ზედაც არ შემხედეს, გვერდით ჩამიქროლეს და მარჯვნივ კლდესთან მოუხვიეს. ხუთი წუთის შემდეგ ბორბლების რახრახი შეწყდა, სადღაც გაჩერდნენ.

კლდეს შემოვუარე და მის განიერ მოედანზე მიწაყრილით შემოვლებული, მესრით შემოღობილი დაბალ-დაბალი შენობები დავინახე. ეს საპატიმრო იყო. მიწაყრილზე და ეზოში თოფიანი გუშაგები დადიოდნენ და თვალს არ აშორებდნენ დაბორკილ პატიმრებს, რომლებიდანაც ზოგი იჯდა, ზოგი კი იდგა, ჯგუფ-ჯგუფად, თუ ცალ-ცალკე ციხის გვერდით. ოცდაათ-ორმოციოდე დამნაშავეში მხოლოდ ორი თეთრკანიანი ერია, დანარჩენები შავკანიანები იყვნენ. თეთრები დარცხვენით ეფარებოდნენ თავიანთ ამხანაგებს.

აქ კოლონიაში მოსახლე ყველა ტომის სრული კოლექცია დაგვიხვდა. ვნახეთ გალაქულ ტყავივით შავად მოკრიალე სახეები, მერე ოღნავ ბაცებიც, კიდევ უპკრო ღია, და ბოლოს, მოშავო-მოყვითალო ფერში გადასული. ყველაზე შავები ფინგოს, მოზამბიკის, ბიჩუანებისა და სულუს ტომების ზანგებია. ამ ტომებს მეტწილად მრგვალი, სწორი სახეები აქვთ, გამობურცული შუბლი და ლოყები, სქელი ტუჩები; ხვეული თმა სხვებთან შედარებით უფრო გრძლად ჩამოზრდიათ. ზანგები უკლებლივ ყველა მოსული ვაჟაკია, ნამდვილი აფრიკელი ადონისები, სწორი, ლამაზი კუნთები აქვთ. თვალის გუგებს მოყვითალო ფერი გადაკრავს და წერილ ძარღვებს დაუსერავს. კაფრებს ისევე პროპორციონალური აღნაგობა აქვთ, ოღონდ უფრო მალღებია. ეს ყველაზე ტანადი ტომია—ჰემმარიტი ათლეტები. მაგრამ სახეზე ისეთი ლამაზები არ არიან. შუბლი და საფეთქლები შებრტყელებიათ, ყვრიმალეები ამოზნექიათ. სახე ოვალური აქვთ, გამოხედვა მეტყველი და თამამი. პირისკანი ზანგებზე ღია აქვთ, უფრო მუქი შოკოლადისფერი, ვინემ შავი. პოტენტოტები უფრო ღია, მოყავისფრონი არიან; თუმცა ყვე-

ლაზე მრავალრიცხოვანი ტომია და ამიტომ საკმაოდ მრავალფეროვანიც. ერთხელ სრულიად შავი, ოღონდ რაღაც ჩამკვდარი ფერის ჰოტენტოტი შემხვდა. კაფრებივით მათაც შუბლი შებრტყელებიათ, ყვირიმალა, პირიქით, ამოზნექიათ. სხვა შავკანიანებში ყველაზე დიდი ცხვირი ჰოტენტოტებისათვის უჩუქნია ღმერთს. საერთოდ ყველაზე მოღლილსა და ღრმად დაღარულ სახეს ჰოტენტოტებს უნახავ; ბებრული იერი აღევთ, თმა ძალზე ცოტა აქვთ. დაბლებსა და გამკლუეულებს წვრილი ხელფეხი მჩვრებივით ჰკიდიათ, თუმცა კი ყველაზე მუშა და საქმიანი ხალხია. შესანიშნავ მიწის მუშებს, მესაქონლეებს, ერთგულ მსახურებს, მეეტლეებს და შავ მუშებს მხოლოდ ამ ტომში შეხვდები.

პატიმრების ბრბო ირგვლივ შემოგვეხვია და უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით შემოგვაშტერდა აქეთ, ვინემ ჩვენ ვუყურებდით. განსაკუთრებით ზანგები და კაფრები გვიყურებდნენ პირდაპირ, თამამად და კითხვებზე გაბედულად, სხაპასხუპით გვაძლევდნენ პასუხს. თუ ვინმე გაიხუმრებდა, ყველა ერთად ატეხდა ხარხარს. რა ბროლივით კბილები გაიღვებდა ხოლმე მაშინ! „ბუშმენები თუ გყავთ?“ — ვიკითხე მე. „სამნი არიან“, — მიპასუხა ზედამხედველმა. „არ შეიძლება ვნახო?“ მან რაღაც დაიყვირა. ღობის კუთხეში ვიღაც შეინძრა. ზედამხედველმა უფრო ხმამაღლა დაიძახა: ღობესთან უფრო მეტად შეირხა ის ვიღაც. შავკანიანებში ლაპარაკი და სიცილი შეიქნა. მერე ორი თუ სამი კაცი ღობესთან მივიდა და იქიდან ბუშმენი წამოათრეის. ღმერთო, რა უბადრუკი არსება ყოფილა! ნელა მოდიოდა, დაბორკილ ფეხებს ძლივს მოათრევდა, მიწას ჩაციებით დაცქეროდა; მუჯლუგუნებით მოიყვანეს ჩვენთან. ყველა დასცინოდა; სიცილი არ წყდებოდა. ჩვენ წინ მაიმუნის სიმაღლე არსება იდგა, ადამიანის თითქმის არაფერი ეცხო. მოყვირთალო-მოშავგვრემანო ბებრული სახე სამკუთხედივით წაწვეტოდა და მსხვილ ნაოქებს დაესერა. პაწია სახეზე პაწია ცხვირი თითქოს მიეტყლიპათ. თხელი, ვიწრო ტუჩები ლავაშვივით გაბრტყელებოდა. გაბელატებული და უკბილო გამოთაყვანებულ ღვთის გლახას მიაგავდა, რომელსაც თავისი დრო-ჟამი უკვე მოეჭამა.

ყველაზე შესანიშნავი თავი ჰქონდა: მელოტ თავზე მხო-

ლოდ აქა-იქ შერჩენოდა თმის ბლუჯები, ისიც ისე წვრილი, ორ თითსაც ვერ ჩაავლებდი. „რა გქვია?“ — ჰკითხა ზედამხედველმა. ბუშმენი დუმდა. სახეზე უაზრო გამომეტყველება ეხატა. ალბათ ისიც არ იცოდა, სად იყო და რა ამბავი ტრიალებდა მის თავს. ზედამხედველი ხელახლა შეეკითხა. ბუშმენმა ერთი წუთით ახედა და ისევ დახარა თავი. გაგონილი მქონდა, ბუშმენების ენა ხორხისმიერი ბგერებისა და ენის წკლაპუნისაგან შედგებოდა და მისი დაწერა შეუძლებელიაო. მინდოდა, შენე-მოწმებინა, ასე თუ იყო და ზედამხედველს ვთხოვე, ბუშმენურ ენაზე რამე ათქმევინეთ-მეთქი. „თქვენებურად მაშა როგორ იქნება?“ — ჰკითხა ზედამხედველმა. ბუშმენმა თავი ასწია, მერე დახარა, მერე ისევ ასწია, შეჩდეგ ნელა დაალო პირი, მკრთალი წითელი ყბები დაგვანახვა, ენა დააწკლაპუნა და ორი ხორხისმიერი ბგერა გამოსცა. „დედა?“ — ჰკითხა ზედამხედველმა. ბუშმენმა ისევ დააწკლაპუნა პირი და ახლა ორი სხვა ბგერა დაიძახა. დაკითხვა გაგრძელდა. პასუხად ან სხვადასხვანაირი ბგერები, ან სხვადასხვანაირი წკლაპუნი იყო. მეტყველების წმინდა პირუტყვეული ხერხი! „აი, ამას ჰქვია ჩემი ძმა, ჩემი მოყვასი!“ — ვფიქრობდი და გულისტკივილით ვუცქერდი ამ უღლეურ არსებას... „ალბათ სულ შტერები არიან, ჰკუა განვითარებული არ ექნებათ“, — ვთქვი მე. „არც მაგრეა საქმე, — მიპასუხა ზედამხედველმა, — მართალია, ველურები და მიუკარებლები არიან, თავიანთ მიწურებში ოჯახურად ცხოვრობენ, მაგრამ ძალიან საზრიანებია, განსაკუთრებით ცბიერობასა და ქურდ-ბაცაცობაში დიდად გამოცდილები. საერთოდ, მკვირცხლები და გაბედულები არიან, ოლონდ უდარდელი ბუნება აქვთ და არც მუშაობა უყვართ. თუ რამდენიმე სული საქონელი მოიპარეს, უზომოდ გამოსკდებიან ხოლმე; დღე და ღამე სულ თქვლევენ; ხოლო რომ შესანსლავენ, მუცლებს გაიკრავენ და მთელი კვირაობით მშივრები სხედან“.

სხვა ბუშმენებიც გამოგვიყვანეს; ისინიც დაბეჩავებულნი, გამოთაყვანებულნი, ბებრებს ჰგავდნენ, თუმცა ოცდაათ წლისაზე მეტი არ იქნებოდნენ.

რაც უფრო ვაკვირდებოდი პოტენტოტებს და ბუშმენებს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ისინი ერთმანეთის მონათესავენი იყვნენ. პოტენტოტები თავგამოდებით უარყოფენ ამ ნა-

თესაობას, მაგრამ სახის ნაკვთები, ნაწილობრივ ენა, სახის ფერი — ყველაფერი მოწმობს, რომ ძირი ერთი აქვთ. ნაწილს გარემოებამ შეუწყო ხელი და თემურ ცხოვრებას, პატიოსან, სასარგებლო საქმეს მიაჩვია, ერთი სიტყვით, რიგიანი ხალხი გახადა; ნაწილი ისევ იმ ველურ, თითქმის პირუტყვულ მდგომარეობაში დარჩა, ერთმანეთს მხეცებივით გაურბიან და არამზადებივით იქცევიან. ცივილიზებულ საზოგადოებაშიც განა ცოტა ოჯახს შეხვდები, სადაც ძმები სხვადასხვა გზით წასულან, ერთი თითით საჩვენებელი პატიოსნების კაცი გამხდარა, მეორე კი ოჯახისაგან მოციუნებული! „რა მიზეზით მოხვდნენ ციხეში?“ — ვიკითხე მე. „ქურდობისთვის, როგორც მეტი წილი პატიმრებისა“, — მომიგო ზედამხედველმა. „დიდხანს რჩებიან საპატიმროში?“ — „სამიდან თხუთმეტ წლამდე“. — „რას აკეთებენ, რაზე ამუშავენ?“ — „თქვენ რომ გამოიარეთ, მამ ის გზა ვინ გააკეთა? — მითხრა მისტერ ბენმა. — ზვალ ნახავთ მაგათ მუშაობას“.

შევიხედეთ გრძელი ხის ფარდულში, სადაც დამნაშავეები ცხოვრობდნენ. უფანჯრო სადგომს სისუფთავე ეტყობოდა. კედლების სიგრძეზე ფიცრული საწოლები მიჰყვებოდა, როგორც ჩვენებური ნარები, ოღონდ უფრო დაბლა. პატიმრები ბლომად ისხდნენ თუ იწვნენ. ვკითხე, შეიძლება პატიმრებს ფული მიეცე-მეთქი, როგორც ჩვენშია წესად. მითხრეს, სასტიკად აკრძალულიაო.

მადლობა გადაეუხადეთ ზედამხედველსა და ბატონ ბენს ამ სამწუხარო სიამოვნების მონიჭებისთვის და ჩვენი გზა გავაგრძელეთ. „რას ამბობთ, წინ კიდევ სამი ისეთი სიამოვნება გველისო“, — გვითხრა მისტერ ბენმა. „ტყუილად არ ვისაუზმეთ აქ! — იძახდა ბ[არონი], — ხორცი, ქათმები ხომ გექონდა...“ მაგრამ ჩვენ უკვე მივრახრახებდით გზაზე. ზ[ელიონი] ხმამაღლა მღეროდა: რ ა დ მ ო მ ხ ი ბ ლ ე, მ ო მ ა ტ ყ უ ე, თ უ კ ი მ ა რ თ ლ ა ა რ გ ი ყ ვ ა რ დ ი... მერე უცბად სიმღერას შეწყვეტდა და ხან პატარაობაში ჩადენილ რაიმე ოინბაზობას მოჰყვებოდა, ხან ვისმე გამოაჯაერებდა. მისი მოსმენა ყველას გვიყვარდა. დიდებული მახსოვრობა ჰქონდა, ერთი წვრილმანი რაა, ის არ დაავიწყდებოდა. აგერ ბ[არონ] კ[რიდნერს] კი, პირიქით, არაფერი ახსოვს, არც ადამიანები, არც ადგილები, არც

იმაზე იმტკრევს თავს, მომავალში რა იქნება. ის აწმყოთი ცხოვრობს, სამაგიეროდ არაფერს იკლებს. იმაზე სწრაფად ვერავეინ ჩაწვდება სხვის იდეას, მასავით ვერავეინ იგრძნობს ჰუმორს და ვერავეინ თანაუგრძნობს სურათს, ბგერას, ყოველნაირ არტიტულ გამოვლენას.

აი, კიდევ შევედით ხეობაში. მწვანე კორდები და ხეები შავმა თუ ჰაღარა, პიტალო კლდეებმა შესცვალა. გზა კლდის პირზეა გაქრილი. მთები ერთმანეთს მიტმასნებიან ხეობის თავზე და მზის სხივებს ჩვენამდე არ უშვებენ. გაოცებული შევყურებთ ამ კუმტ გოლიათებს, თავზე რომ დაგვეყურებენ. უღაბნოში საზარელი დუმილი მეფობდა, ასე რომ ზ-იმაღ გაკმინდა ხმა. ხამუმ-ხამუმ თუ გაველაპარაკებით ერთმანეთს და შემკრთალნი ვაცეცებთ თვალს კლდიდან კლდეზე, უფსკრულიდან უფსკრულზე. ასე გვეგონა, საღლაღ ხაფანგში მიგვიტყუილეს, თუმცა საშიში არა გვემუქრებოდა რა.

წარმოიდგინეთ, თავზე მთების მთლიანი, კლდოვანი კედელი დაგყუღებით და ცას, მზეს გადაჰფარებია. მის წვეროს თვალს ვერა და ვერ შეუწვდენ. ამ მთებზე სხვა, პატარა მთები დაუყრიათ; ისინი დაცემისას დატეხილ-დამსხვრეულან, უფსკრულისკენ ჩაქანებულან, მაგრამ რაღაც ძალას შუა გზაზე შეუჩერებია და უფსკრულის პირას გადმოუცილებია. ისინი ხან მთელ ქალაქს მიაგავს, ბუნების რაღაც საშინელ მოვლენისაგან ჩამოქცეულ-ჩამონგრეულ კოშკებით, სვეტებით და შენობათა საძირკვლებით, ხან სპილოების, მარტორქათა თუ სხვა ცხოველთა ჯოგი წარმოგიდგება, ერთმანეთს რომ დატაკებიან საჩხუბრად და ამ ჩხუბში უეცრად გაქვავებულან. იქ თითქოს დევებს მოუკალათებიათ. მთას ცალი კუთხით მისწებებია ერთი კლდე, მისი ძირი უფსკრულზეა დაკიდებული და გგონია, ბეწვზეა გაჩერებულიო. შემდეგ და შემდეგ სულ მთების კედლები გვხვდება, ზედ უზარმაზარი ლოდებია მიმოფანტული, რომლებიც ხან მონასტრებსა ჰგავს, ხან ვეებერთელა საფლავის ძეგლებს, თითქო გაოხრებისა და გატიალების შედეგად დაშთენილ კვალს.

შესცქერი იმათ და გგონია, ოღნავ ხელის მიკარება თუ არა, ეს ლოდები ძირს ჩამოცვივდებიან, მაგრამ სინამდვილეში აქ არქიმედის ბერკეტიც ვერას გახდება. მათი ადგილიდან დასაძ-

რავად, ყოველ შემთხვევაში, მიწისძვრა თუ არა, მისტერ ბენი გახლავთ საჭირო.

ქვემოთ ხახა დაელოთ უფსკრულებს, შიგ ალარ ხახახებებს მწვანე ხეები და ალარ ძიუხჩიუხებს ნაკადულები. ისინი ამ მთების გაგრძელებას წარმოადგენენ, ჩამომხობილ რუხ ლოდებს მოეფინათ იქაურობა, ძირში ხან მღვრიე ყვითელი ნაკადი მიექანება გაცოფებით, ხან მკვდარი, ქუჩყიანი ქაობი ლაპლაპებს. მიჰყვები ბუმბერაზი მთის მხარმკლავს და თუმცა დარწმუნებული ხარ, ხითათი არაფერი გელის, მაინც შენდა უნებლიეთ შემკრთალი გასცქერი ამ ვეებერთელა მთებს, რომლებიც თითქო თანდათან მკიდრო წრეს ჰკრავენ შენს გარშემო და მგზავრებს გასრესას გიქადიან. ჩახედავ ქვევით უფსკრულს, 200, 300 ფუტის სიმაღლისას და შეძრწუნებული პირს მიიბრუნებ; აიხედავ ზევით და რა: იქაც იგივე უფსკრულები გადმოგყირავებია თავზე. ეს გოლიათები თითქო ზეცას შეურისხავს, დაულეწია და ზეადამიანური ფანტაზიის კინს მიმოუფანტავს. „რას იტყვი, ფსკოვის აუბერნიაშიაცაა განა ასეთი უფსკრულები?“ — ვკითხე ზ.-ს. „რა საზარელი რამაა!“ — წაიჩურჩულა მან, ნერვიულად გადაიხარხარა და თან შეშინებულმა ცალი თვალით ჩახედა უფსკრულს. მაგრამ, უცბად, გულის გასამაგრებლად და იმის დასამტკიცებლად, ვითომ სულაც არ შეშინიაო, ყ უ რ ი დ ა მ ი გ დ ე თ, კ ე თ ი ლ ო ხ ა ლ ხ ო ო, შემოსძახა... მერე ისევ შეექმუნხნა სახე და არ სცემს და ფდაფდო მკმუნვარედ გააბა, თუმცა ისევ მალე ჩაუწყდა ხმა.

გავიარეთ ზედ გზაზე დაყუდებული, შუაში გამობურღული კლდის თაღში, მერე მოვეხვიეთ და ისეთი უფსკრულის პირას აღმოვჩნდით, რომელიც უკან დარჩენილებზე ღრმა და საშინელი გამოდგა. თანაც აქ გზა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ეკიპაჟისთვის გაეყვანათ, არც ლოდები იდგა გზის პირზე დასაცავად და ცხენებიც ზედ უფსკრულის კიდეზე მიაბიჯებდნენ. ჩემი ნალველი... უნდა გამიგოთ, წამოიწყო ისევ ზ.-იმ, თუმცა უკვე ხმადაბლა, და ისევ დადუმდა. ვიწრო, დაუმთავრებელ გზაზე მარცხნივ უნდა შეგვეხვია. აქ ისევ ეყარა სამუშაოდ მომზადებული ლოდები და ბარიც კი იყო ჩარქობილი. „რას გაჩუმდით, რატომ არ მღვრით?“ — ვკითხე ზ.-ის, „მოიცათ, ჯერ გავიაროთ, ვერა ხედავთ...“ შიშით გულშეკუმშუ-

ლებმა გავიარეთ მოსახვევი და როცა გზა ისევ გაგანიერდა, თავსუფლად ამოვისუნთქეთ. „ცხოველები თუ იცის აქ?“ — ვკითხე ვანდიკს. „ძალიანაც ბევრი!“ — „მაინც რა ცხოველებია?“ — „ბაბუანები (პაფიანები, დიდი, შავი მაიმუნები). მიკვირს, რომ დღეს არ ჩანან, — დაუმატა ვანდიკმა და მიმოიხედა, — ჯგრო-ჯგროდ დახტიან კლდეებზე და რაწამს ადამიანებს და ცხენებს დალანდავენ, საშინელ ჭყვირილს ატეხენ“. — „იქნებ დღეს კვირაა და იმიტომ არ ჩანან, — შენიშნა ზ.-იმ. — თუმცა, მაღლობა ღმერთს, რომ არ არიან. ერთ ცხენსაც რომ შეშინებოდა და თავი აეწყვიტა, ვაი ჩვენი ბრალი მაშინ“. — „მგლებიც და ვეფხვებიც არიან“, — თქვა ვანდიკმა, „აქ მგლებს რა უნდა? მგელი ხომ ჩრდილოეთის ნადირია,“ — შევნიშნეთ ჩვენ. „ვიცი, — ღიმილით გვიპასუხა ვანდიკმა, — მაიჩა აქ ასე ეძახიან აფთრებს და ამას მიჩვეულა შენ და მისი ვეფხვები ვუწოდებ“. ვანდიკი განათლებული შექტლე გახლდათ.

მისტერ ბენმა შემდეგ დაადასტურა მისი ნათქვამი და დაუმატა, მთებში ყველგან უამრავი აფთარი და ტურა დაძრწის, იმათ კაპშტატის მიდამოებშიც ნახავთო. სტრიხნიჩით სწამლავენ თურმე. „ვეფხვიც ბევრია. — გვითხრა მან, — წინა კვირასაც უნახავთ აქ ხეობაშიო. მაგრამ აქაური ვეფხვი ტანმორჩილია. დიდი ძალისივით იქნებაო“. ეს ტყავებსაც ეტყობა, კაპშტატში რომ იყიდება.

მალე ერთ ლამაზ, მშვენიერ ადგილს მივადექით. აქ მთები წუთით ხსნიან უეცრივ კარს და განივ ჭრილს ქმნიან. მზეც უხვად გზავნის სხივებს ამ კარში და ღრმა ხევის ფსკერამდე აკაშკაშებს. ხევის ფსკერი და ფერდები ბალახებითა და ჩირგვებით იყო შემოსილი. ქვევით ნაკადული მოჩხრიალებდა. ჭრილის გარდიგარდმო კლდიდან კლდეზე ხიდი გაედოთ — საინჟინრო ხელოვნების სასწაული. კლდეავეთ ისიც სილაქვის კვადრატული ფილებისაგან იყო მჭიდროდ ნაგები. სიგრძით ორმოცი ფუტი იქნებოდა, მთლიანი კედელივით ეშვებოდა ქვემოთ. სამოცდაათიოდე ფუტზე და ხევის ძირს ეყრდნობოდა. ხიდის მარცხნივ, მწვანით მობიბინე ხეობაში ჩანჩქერი გადმოქუხდა, შევჩერდით და კლდის საფეხურს გავყევით—ვის წყლის დაღევა უნდოდა, ვის მწერების დაქერა და ბალახის მოგროვება. მთელს ხეობაში, რომელიც თოთხმეტ ინგლისურ მილზე იყო

გადაქიმული, ორმოცამდე ქვის დიდი და პატარა ხიდი იქნებოდა ნაგები; წარმოიდგინეთ, რა ნიჭი, მოსაზრება და ფიზიკური შრომა დასჭირდებოდა ამას! ქვები ან ზემოდან, ან ქვემოდან უნდა ამოეთრიათ; ბევრი კლდე ასაფეთქებელი გამოდგა. ბენმა გვაჩვენა ამ აფეთქებათა ნაკვალევი და დაგვპირდა, უკან დაბრუნებისას თვით აფეთქებასაც გიჩვენებთო.

ხიდის გადაღმა ხეობა რამდენიმე ადგილას ისევ შევიწროვდა, მაგრამ უკვე ეტყობოდა, რომ მალე უნდა დამთავრებულიყო. აქ ბუნებას უფრო მხიარული პირი უჩანდა; მთები მწვეანით გაბარდნილიყო, მის კალთებზე ჩამოგორებულ ლოდებსაც ჩირგვები და ბალახი მოსდებოდა, აუარებელი ყვავილები ელავდა. ჩიტები ბლომად სრიალებდნენ, უამრავ მწერს გაჰქონდა ზუზუნი; ლოდებზე ხშირად ნაირფერ ხვლიკებს ვხედავდით, მზეზე გასაფიცებლად რომ გამომძვრალიყვნენ. ერთ ადგილას, პირდაპირ კლდიდან ნელ-ნელა მოკურკულობდა ცივი, ანკარა წყარო; ქვემოთ პატიმრებს რკინის ღარი მიედგათ. „ზამთარში ეგ დიდი ჩანჩქერია, — გვითხრა ბენმა, — აქ აუარებელი ჩანჩქერი მოჰქუხს ხოლმე; აი აქ, იქ!“ — გვეუბნებოდა ის და სხვადასხვა ადგილს გვიჩვენებდა. რამდენადაც ხეობის უკან დარჩენილი ნაწილი გრანდიოზული სანახავი იყო, იმდენად აქ ნაზად გვიღიმოდა ბუნება. კლდეები შიგადაშიგ ლამაზად უხვევდა განზე და ჩრდილოვან კუთხეებს, ბუნებრივ მღვიმეებს ქმნიდა.

მალე ყველაზე თვალწარმტაც ადგილს მივუახლოვდით. დავეშვით თუ არა ერთი კლდიდან, თვალწინ განიერი, გაწმენდილი მოედანი გადაგვეშალა, მიწაყრილით შემორაგული. მოედანზე რამდენიმე ფლიგელი აეგოთ. ეს მეორე საპატიმრო გახლდათ. ცოტა მოშორებით, საპატიმრო ფლიგელებიდან გამოცალკევებით, პატარა სახლი იდგა, სადაც ბენის ვაჟი ცხოვრობდა. ის ამ ციხის ზედამხედველი და მამისვე თანაშემწე ყოფილა. ირგვლივ კლდეები ჩამწკრივებულიყო, რომლებიც თითქოს თითის წვერებზე შემდგარიყვნენ და ერთმანეთის ზურგს უკანიდან იხედებოდნენ. მოედანი გორაზე მდებარეობდა. ქვევით ისევ ბალახითა და ჩირგვებით მოსილი კლდეები და ზედ ლამაზად მოფანტული ლოდები მოჩანდა. ტურფა ხევის ძირას დიდი ღელე მოჩხრიალებდა, ზედ ქვის ხიდს აგებდნენ. ხიდის

გვერდით საგუბარს დაინახავდით, რომელიც დროებით, ხიდის მოთავეებამდე ლელეს უნდა გადალობებოდა. ამ საგუბარზე გადიოდა კიდევ დროებითი გზა. ლელის პირები, თუ მთის კალთები სულ მწვანეში იყო ჩაფლული. სანამ ჩვენ უხმოდ ვტყებოდით ამ დიდებული სურათის ხილვით და ხან ერთ მხარეს მივტრიალდებოდით, ხან მეორისაკენ, ბენი ღიმილით შემოგვცქეროდა; მერე მოვიხედეთ და მაშინლა შევამჩნიეთ, რომ დიდი ხანია უკვე ეზოში ვდგავართ, რომ ვანდიკს ცხენები გამოუხსნია და წინ ორი ყმაწვილი კაცი გვიდგას: ერთი ბენის ვაჟი, ქერათმიანი და ლოყებლაყლაყა, და მეორე — მისიონერი პასტორი. გავეცანით და სახლში შევედით, თან ეკიპაჟებიდან სანოვაგე და ღვინო შემოვატანინეთ. ბენის ვაჟიც დატრიალდა საუზმის მოსამზადებლად.

მაგრამ პირველ ყოვლისა საპატიმროს დასათვალიერებლად გავემართეთ. სურათი იგივე გამოდგა, ოღონდ პატიმრები აქ უფრო ცოტანი იყვნენ. ისინი ეზოში დაგვიხვდნენ, ზოგი იჯდა, ზოგი იწვა, ყველანი მზის გულს მიტანებოდნენ. განსაკუთრებით ერთმა მოხუცმა ზანგმა მიიქცია ჩემი ყურადღება: ფეხი სტიკოდა თურმე, ახლა შუაგულ ეზოში გაშხლართულიყო ნიდაყვზე დაყრდნობილი, და სახე მზისათვის მიეშვირა. წინ თავი სულ გამელოტებოდა და გუმბათივით უპრიალებდა მზის სხივებზე. შუადღე იქნებოდა, პაპანაქება სიცხე იდგა, მით უმეტეს ამ ხეობაში, სადაც ჰაერი ჩახუთული იყო და ქვეები სხივებს ძლიერ ირეკლავდა. „ნეტავ რად გამოუყვანიათ ძზეზე? — ვიკითხეთ ჩვენ, — ეს ხომ ავნებთ“. — „არა, მაგათ მზიან, ცხელ დღეში უფრო უყვართ და ეხალისებათ მუშაობა, ვინემ მოღრუბლულში“, — გვითხრა ბენმა. ბევრ მათგანს სახელები ვკითხე; პოტენტოტებს ზოგს სალომონი ერქვა, ზოგს კალიური. ბუშმენებს — ვილდენსონი და კოგელმანი. მაგრამ ეს ევროპელების შერქმეული სახელები გახლდათ, მე კი ვთხოვდი, ეთქვათ თავიანთ ენაზე რა ერქვათ. ბუშმენები თითქო მიმიხვდნენ, რასაც ვეკითხებოდი; უხმოდ იდგნენ და მიწას ჩაშტერებოდნენ. მისიონერმა გაუმეორა კითხვა; მაშინ მათ რიგრიგობით, ჯერ ერთმა, შემდეგ მეორემ რაღაც წაიზმულიეს და ენა დააწკლაპუნეს. ამ ბგერების ჩაწერა შეუძლებელი იყო და ისევ კაფრებს მივუბრუნდი. ერთმა რიხიანად

წამოიძახა „დოღფიო“, მეორემ — „დაი“. შემდეგ სხვა შავ-
კანიანს ვკითხე, რა ტომისა იყო და რა ერქვა. მითხრა, მამა
მოზამბიკი მყავს, დედა სხვა ტომისა, თუმცა რომელი ტომის,
არ უთქვამს და „ლაკიდი“ მქვიაო. ყველას ესმის ინგლისური
და დამტკრეულადაც, გაჭირვებით გვაგებინებენ სათქმელს. პა-
ტიმრებიდან ზოგს ქურთუჯი ეცვა, ზოგს პერანგი და შარვალი.

ბენის ფლიგელში რომ შევედით, იქ ერთი კუპრივით შავი
ყმაწვილი ზანგი დაგვიხვდა, ოციოდე წლისა, მშვენიერი გა-
რეგნობის, ე. ი. მაღალი დაწვეებით, გამობურცული შუბლითა
და საფეთქლებით, სქელი ტუჩებით, თვალები სიკეთით სავსე,
ტანიც ფრიად მოყვანილი ჰქონდა. სუფრას შლიდა. ძალიან
მომეწონა. „ეგ ზანგი დაჭირავებული გყავთ?“ — ვკითხე ბენის
ვაჟს. „არა, ეგეც პატიმარია, სამხედრო ტყვე, — მითხრა მან.—
კაფრების მხარეზე იბრძოდა და დიდი ხანი არაა, რაც ტყვედ
ჩავარდა. სხვა პატიმრებში არ მინდა გავრიო; ძალზე თვინიერი
და მორჩილია“. — „დიდხანს მუშაობენ?“ — „მზის ამოსვლი-
დან მზის ჩასვლამდე. ბევრი დრო იკარგება სამუშაო ადგილზე
მისვლა-მოსვლაში“. სანამ ბენს ვემუსაიფებოდით, ზ.-ი, მი-
სიონერი და ჩვენი ექიმი ლელეზე წავიდნენ საბანაოდ, შემდეგ
ხორციულს, იხვებსა თუ სხვას შევექეციით.

სამი საათისათვის ისევ გზას გავუდექით. გზა ახლა ფერ-
დობს მიჰყვებოდა, და ცხენებიც უფრო მკვირცხლად მიგვა-
გელვებდნენ. ხეობა თანდათან იშლებოდა, აგერ პორიზონტიც
და შორეული მიდამოები გამოჩნდა. „ახლა აღარაფრისა მეში-
ნია!“ მხიარულად იძახდა ზელიონი. სიმღერაც კი შემოსძახა
ჩიტებთან ერთად, რომლებიც სადღაც მალლა ჟღერტულე-
ბდნენ და სტვენდნენ. მთებს ყოველ ნაბიჯზე ეკარგებოდათ
კუშტი იერი და ჩვენც შეუმჩნევლად გამოვედით ხეობიდან,
გადავიარეთ ლელე, ხიდი და ხუთი საათი იქნებოდა, რომ კლე-
ინბერგის პატარა ფერმასთან ნახევარი საათით შევჩერდით.
ეს მესამე და უკანასკნელი საპატიმრო გამოდგა, იმ ორზე პა-
ტარა; აქ მხოლოდ ერთი ფლიგელი იდგა, მესრით შემოღობი-
ლი. მესრის ძქით შავკანიანებს მოეყარათ თავი. ფერმა ერთ-
სართულიან სახლისაგან შედგებოდა, ირგვლივ სიმინდის პლან-
ტაციები და ვენახი ეკრა. ეზოში უზარმაზარი ხე იდგა, ზედ
გრძელი თოკით დიდი მაიმუნი, პავიანი მიებათ. თუმცა ცოტა

ხანს შევჩერდით, ჩვენმა მეეტლეებმა მაინც გამოხსნეს ცხენები. ფერმის პატრონი ლერუ ფრანგ პროტესტანტთა ჩამომავალი ყოფილა; მისი სადგომი ღარიბულად. საცოდავად გამოიყურებოდა. ამოდ იჭყიტებოდა შიგ ბ[არონი] კ[რიდნერი]: სუფრა ხომ არ იშლებოა. სამაგიეროდ ლერუმ უამრავი ქილა გამოგვიტანა გველებით სავსე, შემდეგ ქვები, ვეფხვის ტყავები თუ სხვა ამის მსგავსი გვაჩვენა. „მეორედ მოსვლაა და ესაა! — იძახდა ბ[არონი], — მოყვასს პურს სთხოვ, ის კი ქვას გაძლევს, თევზს ეტყვი — გველით გიმასპინძლდებაო“. ეზოში სკამებზე ჩამოვსხედით და მაიმუნს შევაცქერდით, ის ხან ხეზე მიძვრებოდა, ხან კი რომელიმე გაქცეულ ბიჭს ან ძაღლს დასაჭერად გამოეკიდებოდა. მასპინძლებმა გვითხრეს, ბიჭებსა და ძაღლებს ვერ იტანსო. ბავშვებს მაიმუნთან არ უშვებდნენ, ძაღლებს კი, პირიქით, ზედ მიაგდებდნენ ხოლმე. უნდა გენახათ, როგორ მოიგდებდა თათებში ვეება ქოფაკს და ისე დააპროწიალებდა და კბენდა, რომ წკმუტუნით ძლივს გამოუსხლტებოდა თათებიდან და დასამალად გარბოდა. შემდეგ დაჯდებოდა მაიმუნი და დაღონებული შემოგვაცქერდებოდა. მეეტლეებმა ქვების სროლა დაუწყეს, მაგრამ ისე მარჯვედ ტრიალებდა, ერთიც ვერ მოახვედრეს. მზე უკვე ჩადიოდა, როცა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გზით, უატერისკენ გავწიეთ... ქვიშა, ქვების გროვა და ღრანტეები, — აი რა გველოდა თურმე გზაში. ფონით გვედით მდინარეზე. წუთით შევჩერდით რომელიღაც კარვის წინ. კარავში გამელელებისთვის პურს ჰყიდდნენ, მგონი, არაყსაც. ჩვენებმა აქ პატარა ნესვისოდენა სირაქლემას კვერცხები იყიდეს.

უსტერის შორიახლოს გარს შემოვუარეთ ერთ ბორცვს, რომელიც სადმე ბაღში ალბათ დიდ მთად გასაღებოდა; ის ქვების გროვა გახლდათ, ჩირგვნარით დაფარული, ამბობენ, შიგ ბევრი გველი ბუდობსო. ამიტომაც შლიანგენჰელი, ანუ გველის გორაკი შეურქმევიათ. საერთოდ, კოლონიაში გველი ბლომად შეგხვდებათ, მათ შორის ბევრი შხამიანი და ცნობილი კობრა-კაპელაც კი ურევია. სტელენბოში ფერსტფელდმა გვიამბო, ჩვენს ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე რვა წლის გოგონას ხელი ჩაუყვია სოროში, ხელიკისა ჰგონებია, იქიდან კი სწოთვლიანი გველი გამომხტარა და უკბენია. გოგო-

ნას ნახევარ საათში დაუღევია სული. კლეინბერგის ფერმაში თქვეს, ამ მიდამოებში დიდი, ყვითელი, სქელი გველი ბუდობს, ვისმე რომ ეცემა, თითქო კულზე დგება და უკან გადაიკლავნებაო.

კარგა შეღამებული იყო, უსტერს რომ მიეუახლოვდით. საშინელი გზა ყოფილა: ქვიშა, ქვები, გაუთავებელი ორმოები. ზოგჯერ ისე შეგვანჯღრევდა, ეკიპაჟს განზე გადააქანებდა ხოლმე. ირგვლივ ჯოჯოხეთური წყვილიანი იღგა, ვერც ვხედავდით, საით მივდიოდით. თვალწინ თითქოს კედელი ჩამოგვფარებოდა. ცხენები ოღნავ შესამჩნევი ჩორთით მოდიან. „აქ ხევში სადმე არ ჩავეარდეთო“, — ვიძახდით ჩვენ. „არ ჩავეარდებით, — გვეუბნებოდა ვანდიკი, — ქვებს იქნებ ბევრჯერ მივეხეთქოთ, ან ღრანტეში ბორბალი გაეჩხიროს, მაგრამ ხევში არ ჩავცვივდებით. ერთ-ერთი წინა ცხენი ორიოდე კვირის წინ უსტერში ვიყიდე: გზა იცის“. „აგერ. კიდევ შევედით, რაღაც შენობები მოჩანს!“ — თქვა ბ[არონმა]. მართლაც, რაღაც ბნელ საგნებს გავუსწორდით, რომელიც ბ[არონს] სახლებად მოეჩვენა და ხეები კი გამოდგა. ჩვენ ისევ ჯანჯღარით განვაგრძეთ სვლა, გზას ძლივს მივიკვლევდით. თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ზ[ელიონიმ] გამოაცხადა: „ახლა მართლაც მივსულვართ: შორიანლოს თეთრ კედელს ვხედავო“. — „ეგ უსტერია?“ — ვკითხეთ ვანდიკს. „არა, ფერმა გახლავთ, — გვითხრა მან, — აქედან ოთხი მილი იქნება უსტერამდე“. „ვაჰ, ეს რა ღვთის რისხვა ყოფილა!“ მდინარის გამშრალ კალაპოტში შიგადაშიგ რიყეზე მიგვაჯანჯღარებდა ეტლი. ბორბლებს ისეთი ჭრიალი გაქონდა ქვებზე, ლაპარაკი შეუძლებელი იყო. კიდევ რამდენჯერმე შევეცდით და ხან ბუჩქები, ხან მოახლოებული სერები სახლებად მივიღეთ. ბოლოს გზამაც და შეცდომებმაც თავი მოგვაბეზრა: მოწყენილები გარინდული ვისხედით და როცა მაგრად შეგვანჯღრევდა, გვერდებზე ვიტაცებდით ხოლმე ხელს. ბოლოს, ფერმიდან ერთი საათის მგზავრობის შემდეგ. ვანდიკმა ერთბაშად შეაჩერა ცხენები და ვილაცას რაღაც ჰკითხა პოლანდიურად. პასუხი ოციოდე ხმამ გასცა. „ეს რაა? სადა ვართ?“ — ვეკითხებით ვანდიკს. „ქალაქში, — გვეუბნება ის, — ოღონდ ქუჩებს ვერ ვხედავ, ოტელი საით არის, არ ვიცი“. თვალს ძალა დავატანე და ჩვენი ეკიპაჟის გვერდით სიბ-

ნელეში რამდენიმე მუქი სილუეტი გავარჩიე „ეგენი ვინ არიან?“ — „Black people!“, — მითხრა ვანდიკმა და ცხენები მიუშვა. უცბად შავკანიანებმა ერთხმად მოგვაყვირეს რაღაც, ცხენები დაფრთხნენ და მოჰკურცხლეს. „ჰაჰლ!“ დასჰყვივლა ვანდიკმა, მოტრიალდა და რაღაც დაუყვირა შავკანიანებს. აკიაფდა სინათლე, უკვე თავისუფლად მიეჭროდით განიერ, გაუთავებელ ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს დაბალი სახლები ჩამწკრივებულყო და ქალაქის ბოლოს, გაკაშკაშებული ოტელის წინ გავჩერდით „ოჰ, უჰ, აჰ, ოჰ!“ — ისმოდა ყოველი მხრიდან, როცა ჩვენები ეკიპაჟიდან გადმოდიოდნენ. ეს ოტელი ყველა აქამდე ნახულს ჯობდა. არც უსტერიისთანა დაბა თუ ქალაქი შეგვხვედრია სადმე ჩვენი მგზავრობის მანძილზე. სასტუმრო ოთახში პირდაპირ ბაქნიდან შევედით. იქ ისეთი სასუფთავე სუფევდა, როგორც რიგიანი კერძო პირის სახლში: ახალთახალი მშვენიერი ავეჯი, შეღებილი იატაკები, მრგვალი მაგიდა, ზედ ორი დიდი ბრინჯაოს შანდალი და ყვავილებიანი ლარნაკი.

მასპინძლები ინგლისელები უნდა ყოფილიყვნენ. მისტერ ბენი და ბარონი ვახშმის სათადარიგოდ გაეშურნენ. პ[ოსიეტი] ბენს არ სცილდებოდა, სულ თავს დასტრიალებდა მადლობის ნიშნად, გულისთვის ამ სიშორე გზაზე რომ წამოვიდა. მე აივანზე დავჯექი, ბნელი, თბილი ღამით ვტკბებოდი და ამ მშვიდი, სუფთა ჰაერით ველარ ვძლებოდი. შორს, ცის შავ ფონზე უფრო მუქად მოჩანდა მთები. გ[ომეკევიჩი] აივანზე გამოვიდა. დიდხანს განაბული იდგა, უცბად პარმალიდან თითქო ჩასრიალდა ამ უკუნ წყვილიადში და გაქრა. „სად მიდიხართ?“ — მივაძახე მე. „აქ ახლოს თხრილი უნდა იყოს, — მიპასუხა გომეკევიჩმა, — გესმით, როგორ ყიყინებენ ბაყაყები, თითქო რაღაცას უკაყუნებენო; ჩვენებურებს ალბათ არ ჰგვანან. მინდა ერთი მაინც დავიჭირო“. მართლაც, კუტკალიებსა და ბაყაყებს ისეთი ყოფა ჰქონდათ, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ.

ბენისა და ბარონის თავგამოდების წყალობით ვახშამი თუ მშვენიერი არა, უხვი მაინც გამოდგა, როსტბიფმა, ბიფშტექ-

¹ შავკანიანები (ინგლ.)

სმა, შაშხმა, ქათმებმა, იხვებმა, ცხვრის ხორცმა, შეკმაზულმა მდოგვით, წიწაკით, სოიით, პიკულით თუ სხვა საწამლავე სა-
ნელებლით, რომლებიც სალბუნად წასასმელადაც საშიშია,
ჩნდისელები კი სტომაქს ივსებენ, სულ აავსეს სუფრა, ასე
რომ ყურძენი, ლეღვი და ნუში ცალკე მაგიდაზე დააწყვეს.
დრო მშვენივრად გაეატარეთ. ბენმა ბევრი რამ გვიაშობო, ბა-
რონმა ბევრი მიირთვა, ჩვენ ბევრი მოვისმინეთ, ზელიონიმ კი
დესერტის შემდეგ ბევრჯერ წაათვლიმა სუფრაზე.

ვახშამზე კარგა ხანს ვიმასლაათეთ, მერე ჩვენ-ჩვენს ოთა-
ხებში გაგვიყვანეს. მე და ზელიონის ერთი ნომერი გვერგო,
ორსაწოლიანი, ბარონი და პოსიეტი იმავე შენობაში ცალკე
მოათავსეს, ბენი, გოშკევიჩი და ექიმი ფლიგელში გაემართნენ,
რომელიც ეზოს შიგნით იყო აგებული და კარი ბაღში გაუდიო-
და. იმათ ოთახებს ფანჯრები არ ჰქონდა, რადგან მზე ძალიან
შეაწუხებდა კაცს. ხოლო ვისაც სინათლე მოეგუნებებოდა,
შეეძლო კარი გამრელო. როგორც ხედავთ, ეს წმინდა აფრი-
კული ხასიათის ფრიად მარტივი, პირველყოფილი საშუალება
გახლავთ. ზ-ის მკვდარივით ეძინა, მსახურებმაც — ზანგმა და
მოახლე გოგომაც, როგორც იყო, მოათავეს კოვზებისა და
საინების ჩხარუნი და მიწყნარდნენ. სამარისებური სიჩუმე გა-
მეფდა. ბოლოს მეც დავაპირე დაწოლა, მაგრამ ჯერ რამდენიმე
წუთი ჩემი საწოლის გულდაგულ შესწავლას მოვანდომე. ვეე-
ბერთელა, ორსაწოლიანი ლოგინი იყო, როგორსაც ინგლისე-
ლების სამფლობელოებში თითქმის ყველგან შეხვდები, თუმ-
ცა ასეთი კი მაინც არ მენახა. მუქი შალის გავალაკი ეკიდა,
მასზეც მძიმე ჩაფრასტები და ფოჩები კონწიალობდა. საწოლის
უკანა ფიცარზე რაღაც ფარი იდგა; ზედ მგონი გვირგვინი და
ღერბი უნდა ყოფილიყო ამოკრილი. ჩაყამებული, მსხვილად
მიკეცილი ფარდები მკიდროდ ჩამოფარებოდნენ საწოლს. სამ-
ჯერ შემოვუარე ამ კატაფალკს. აღარ ვიცოდი, საიდან მივდგო-
მოდი ამ უქმურ სარეცელს; ცოტა არ იყოს, კრძალვამ ამიტანა.
თვალწინ დამიდგა ძველებური კოშკი და ჩაყამებული ოთახი,
რომელშიც დამე გაეთია სტუმრად წვეულ რომელიმე პლანტა-
გენტსა თუ სტიუარტს: მას შემდეგ წმინდათა წმინდად ითვ-
ლება ეს ოთახი, მაგრად გამოუქეტავთ და საწოლიც მაშინდე-
ლივით დაუტოვებიათ; ხელი არავის უხლია მისთვის და ახლა

მე უნდა დავწვი! მაგრამ რას ვიზამ, დაწოლის დროა უკვე. გადავწვი ფარდები და ბუმბულის ქვეშაგების მთელი მთა დამხვდა. რა თქმა უნდა, გრძელი, მრგვალი ბალიშიც არ დავიწყებოდათ. რამდენიმე საბანი ერთმანეთზე დაეწყით. საბნები ისე მძიმე იყო, რომ ძლივძლივობით ავწიე. აძრომა ვცადე და ვერ შევძელი: მაღალი გამოდგა. ორჯერ დავაპირე ლოგინის შუაგულამდე მიღწევა და ორჯერვე ჩამოვცურდი ქვევით. ასე რომ, ისევ კედელზე დავრჩი. ის იყო ძილში წავედი, რომ რაღაც ფაჩუნი მომესმა. რა უნდა იყოს? მეფის აჩრდილი ხომ არ მობრძანდება თავის ძველ ღამისსათევისაკენ? ფაჩუნმა იმატა; მალე გავალაქზე ერთი სირბილი და წრიალი შექმნეს თავებმა. ეს კიდევ არაფერი. ძილი დავაპირე, რომ უცბად გულში ექვმა გამკრა: ჩვენ ხომ აფრიკაში ვართ; აქ ხეები, პირუტყვი, ადამიანები და ბაყაყებიც კი სხვანაირია, ვინემ ჩვენში; ვაითუ თავგებიც სხვა ზნისა აღმოჩნდნენ. იქნებ, ისინი... ამ საკითხის გადაჭრისთვის აღარ დამიციდია, ისევ ძილს მივეცი თავი, რომ სირბილმა და წრუწუნმა კვლავ გამომათხიზლა; თვალს ვახელ და რას ვხედავ, ქუჩიდან ფანჯარას რაღაც ლანდი ადგება, შემოიხედავს და ისევ გაქრება. ისე როგორც ბავშვობაში მოგსგლია. ღუმელი სიბნელეში ცხედრად გეჩვენება, კუთხეში მიკიდული ტანსაცმელი — უჩვეულო მოვლენად, ნერვები არ გაგმაგრებია ჯერ და რას არ წარმოიდგენს ბავშვის გონება. იმ შედარებამ რომ გამიელვა თავში, მერე ვერც თავგების მარდმა სირბილმა, ვერც ფანჯარაში ლანდის დაყინებულმა ქვრეტამ ვეღარ დამიფრთხო ძილი, აღარ მიმტკრევეია თავი, აფრიკაში რა თავგები იცის ან ვინ იჭყიტება ფანჯარაში-მეთქი და გულიანად ჩამეძინა.

ღილაადრიან ყველანი უკვე ფეხზე იყვნენ, მე კი ისევ მეძინა. ბარონიც კი ამდგარიყო და ორჯერ მომაკითხა, breakfast¹ უკვე გაშლილიაო. პ[ოსიეტის] შემოვიდა, ჩქარა ადექითო, „წასვლის დროაო“. — „კი მაგრამ ამ უთენია სად წავილდეთ?“ — „ვიზიტით უნდა ვეწვიოთ“. — „ნეტავ უსტერში რა ვიზიტებია საჭირო ან ვისთან უნდა მივიდეთ?“ — „ვისთან და აქ მცხოვრებ რუსთან. მისტერ ბენი უკვე საუზმობს. ადექით: იმან

¹ საუზმე (ინგლ.)

უნდა წაგვიყვანოს, — მაჩქარებდა პოსიეტი, მერე როგორი ჩაიება იცის. — გუშინ აქაურმა magistrate-მაც (მოსამართლემ) ბენსკლიუფში (ბენის ხეობაში) რომ ვნახეთ, გეთხოვა, მეწვიეთო. შემდეგ მინერალურ წყლებზე წავალთ. — „კიდევ სად წავ-ლთ? — გავაწყვეტინე მე. — ეს სულ ერთ დღეში გინდათ მოასწროთ!“ მაგრამ პ-მა საჯდომი ცხენები შეუქვეთა და ჩვენი ეკიპაჟებიც შეაბმეღინა. ჩავიცვი და მინდორში გამოვედი. მხოლოდ ახლა დავინახე, რა მშვენიერი მთების პეიზაჟი იყო თურმე უსტერის ირგვლივ. ეს ვეებერთელა მთები ალაგ-ალაგ მწვანით იყო მოსილი, ალაგ-ალაგ გადათხრილი და უდაბური, ჭაღარა ლოდებით დახორცმეტებული, ჯგუფ-ჯგუფი ხეებით, ფერმებითა და ვენახებით დამშვენებული. მთების ირგვლივ ველი ნაწილობრივ ქვიშიანი მოჩანდა, ნაწილი კი მწვანედ ბინებდა და იქაც ფერმები გაეშენებინათ. კაშკაშა, თაკარა დღე დგებოდა. სანამ ჯერ კიდევ სიგრილე სუფევდა, სიმინდის ყანებსა და ვენახებში გავისეირნე. მერე აივანზე მოვბრუნდი, რომლის ირგვლივ ბალის ბუჩქები ხარობდნენ, ტვიისა თუ სხვა, უკვე დაყვავილებული ხეები იდგა. მალე თქარათქურის ხმაც გავიგონე: პოტენტოტი ერთ ცხენზე თვითონ შემჯდარიყო, ორი კი მარქათად მოჰყავდა, შემდეგ ჩვენი მეეტლეებიც გამოცხადდნენ.

ამხანაგების მოლოდინში ცოტა ქუჩაშიც გავიარე. ქალაქი ფრიალ სწორად იყო გაშენებული და პირდაპირ პედანტიზმამდე დასული სისუფთავე მეფობდა. ქუჩაში ზედმეტს თუ ძირს დაგდებულს ვერაფერს ნახავდი. ქუჩის ორივე მხარეს გაყვანილი თხრილები და ხიდეები ისეთი მოვლილი იყო, თავი სადნე პარკში გეგონებოდა. „მოსაწყენი ქალაქიაო!“ იძახდა აქ სისუფთავით გულგაწყალებული ზელიონი. ქალაქის აშენებისას სივრცე არ დაუნანებიათ: ისეთი განიერი, გრძელი ქუჩები გაუყვანიათ, საყურებლად მართლაც მოსაწყენია, როცა ქალაქი დიდი მოსახლეობა არა ჰყავს.

თუმცა დიდი ქალაქი მხოლოდ სახელად ეთქმის. მოდი და ნუ იქნება დიდი, როცა მის საზღვრებში მთელი მინდვრები შევა! მარტო მოედნებსა თუ სკვერებს აქ ოცდაოთხამდე დაითვლი; ბენმა გვითხრა, თითო მოედანი 11 აკრამდე იქნებაო. ქალაქში ჯერჯერობით, თუ მაზრასაც მივათვლით, 5000 მცხოვ-

რები ირიცხება. როგორც მთელი კოლონია, ისიც ჯერ კიდევ შოელის დასახლებას. როცა ამ ვრცელ მინდვრებზე მიემგზავრები და შეჰყურებ ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით გაფანტულ ფერმებს, უნებლიეთ გაიფიქრებ, რომ დროა უკვე ეს ფერმები და ყანები დაახლოვდნენ, როგორც ინგლისშია... მეზობლის ყანებს ერთმანეთისგან მხოლოდ თხრილი უნდა ამორებდეს და არა მინდვრები, რომ ერთი გოჯი მიწაც უქმად არ იკარგებოდეს. მაგრამ მოსახლეობა საიდან გაჩნდება? აქ ოქრო არ მოიპოვება და კალიფორნიასა თუ ავსტრალიასავით ზღვა ხალხი არ მოაწყდება. აქ ისეთი ხალხია საჭირო, რომლებსაც თავის განწირვა შეუძლიათ; ან არადა უნდა მოატყუო ჩამოსულები, მიწაში განძია ჩამარხულიო, როგორც მიწის მუშამ უქნა სიკვდილის წინ თავის შვილებს, და მთელი მიწა გადაათხრეინა. მაგრამ ამის მოხალისენი. ცოტა მოიძებნება. ინგლისის მთავრობამ ერთი პირობა გადაწყვიტა ამ გაჭირვებისათვის ეშველა და არამოხალისენით — გადასახლებულებით დატვირთული გემი გამოგზავნა; მაგრამ მთელი კაპშტატის მცხოვრებლები გამოვიდნენ ნავსადგურზე და ვინც გადმოაბიჯებდა, ყველას ჩაქოლვით ემუქრებოდა. შავკანიანები ჯერ კიდევ ბალობის ასაკიდან არ გამოსულან, ბალებივით კბენენ იმ ხელს, რომელიც მათზე ზრუნავს. უსტერში შერეული მოსახლეობაა. შავკანიანიც ბევრი ურევია. მათ თავიანთი ეკლესიაც აქვთ, ჯერჯერობით ორი; ორივე ეკლესია ინგლისურია. მცხოვრებლები თითქმის ყველა სახის მიწათმოქმედებას მისდევენ. აქამდე გასაღება ჭირდა, მთებში ძნელი იყო პროდუქტების გატანა. ხეობაში გზის გაყვანა უსტერსა და ბენკლიუფის ახლომანლო მიდამოებს წელში გამართავს. პურის გარდა ხილიც ბლომად მოდის აქ, განსაკუთრებით ვაშლებსა და მსხლებს აქებენ. რაც ვნახეთ, იმის ჭამა არ შეიძლება; მართალია, დიდრონებია, მაგრამ მაგარია და სამურაბედ ან კომპოტად თუ გამოდგება. სხვა ხილი უკვე მოლეულიყო.

ქალაქს ორი მდინარე ჩაუდის ახლოს: გექსი და ბრეედე. გექსის წყალი ხუთი მილის მანძილიდან ბელდარებით ქალაქში შემოდის და ამ სიამოვნებისათვის მცხოვრებლები მცირე ბაჟს იხდიან.

რუსის სანახავად წასული ჩემი ამხანაგები უკვე მობრუნე-

ბულიცენენ. იგი თურმე რუსი კი არა, გერმანელი გამოდგა, სახელად ვეინერტი. დიდხანს უცხოვრია მოსკოვში, მუსიკის თუ რაღაც ამის მსგავსის მასწავლებელი ყოფილა, ბოლოს ნამსახურობისათვის პენსია მიუღია და დასნეულებული ჯერ საღაჯო გერმანიაში გამგზავრებულა, მერე, რაკი ჰავა უხდებოდა, კეთილი იმედის კონცხზე დაბინავებულა. რუსული სულ დავიწყებია რამდენიმე სიტყვის გარდა, მაგრამ რუსები ძალზე ჰყვარებოდა და სტუმრების დანახვაზე უტირია. როგორც ვეინერტიდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა გადმომცეს, თურმე დამბლა ჰქონია დაცემული, თან მარტოხელა ყოფილა და თავის ღღესა და წუთისოფელს ასე გაუბედურებული ათავეზდა. ისიც მითხრეს, ამ საღამოს თავად გვესტუმრებაო.

ამასობაში ჩამოცხა; მინერალურ წყლებზე წასვლის დრო მოვიდა, მანამდე მოსამართლე ლესიურთან უნდა შეგვევლო ვიზიტით. ბარონი, პოსიეტი და გოშეკევიჩი ცხენებზე შესხდნენ, ჩვენ ეკიპაჟებით გავემგზავრეთ. ქუჩის ბოლოს დიდი ორსართულიანი, ძალიან ლამაზი სახლი იდგა, მაღალი პარმალე ჰქონდა და ფანჯრებზეც ქალუხები იყო ჩამოფარებული. კარზე მივაკაკუნეთ: ზანგის ქალმა გაგვიღო. ბნელ ოთახებში თითქმის ხელის ფათურით შევედით. ზანგმა ქალუხები გახსნა და დაკრიალებულ დიდ სასტუმროში შეგვიყვანა; ძველებურად, პოლანდიურ ყაიდაზე იყო მორთული, ისევე, როგორც ელზენბორგის ფერმაში. ერთი წუთის შემდეგ მასპინძელი გამოცხადდა შავი ფრაკით, თეთრი ქილეტითა და ჰალსტუხით. უხმოდ, დიდის ამბით ჩამოგვართვა ხელი და ინგლისურად გავიბა საუბარი ჩვენი ექსპედიციის შესახებ, გამოგვითხა ფრეგატის ამბები, რამდენი ხალხიაო ზედ და ა. შ. ფრანგული იერი ჯერ არ დაკარგოდა: სახის ნაკეთები და მოყვანილობა ნათლად მოწმობდა მის წარმოშობაზე, მაგრამ სიარულსა და მიხვრა-მოხვრაზე უკვე დატყობოდა არა ფლეგმა, არამედ რაღაც ნაძალადეობა. ფრანგული ერთი სიტყვაც აღარ იცოდა. მისი სიძეც შემოვიდა, მეტად თავაზიანი და ენაწყლიანი ახალგაზრდა ექიმი; ინგლისურად და გერმანულად ლაპარაკობდა. სხვა უცხოელებივით იმასაც გაუკვირდა, რუსებს რომ ყველა ენაზე შეგვეძლო ლაპარაკი. თუმცა ეს ამბავი უკვე ბევრისაგან გვსმენოდა. „თქვენ რუსი არა ხართ, მაგრამ ხომ იცით გერმანული,

ინგლისური და ჰოლანდიური, — მივუგეთ ჩვენ. — ალბათ რომელიმე აქაურ კილოზეც ლაპარაკობთ“.

მასპინძლებმა თავიანთ ბაღში წაგვიყვანეს: კაპშტატის ბოტანიკურის შემდეგ ასეთი მშვენიერი ბაღი სხვაგან არსად შემხედრია. ძველებურ, დაჩრდილულ ბაღში ვეებერთელა, დიდებული მუხები იდგა, უზარმაზარი მსხლები თუ სხვა ხეხილი, მათ შორის ატმები და ბროწეულებიც ხარობდა. იქვე დაინახავდი თუთის ხეებს, ბანანებსა და ვაზს. ერთმა ლელვის ხემ ხომ პირდაპირ გამაოცა. მის ძირში ასიოდე კაცი მაინც დაეტეოდა. ჩვენ რომ შევეფარეთ, მისმა ჩრდილმა ყველა დაგვიფარა მზისგან. „ნეტავ არაფრით გვიპირებენ გამასპინძლებას?“ — ჩურჩულებდა ზ[ელიონი] და ფოთლებიდან გამომზიარალ მსხვილ-მსხვილ ლელვებს, ბანანებსა და აქა-იქ შერჩენილ ყურძნის მტევნებს შესციციებდა. მასპინძლები თითქოს მიუხვდნენ გულისწადილს: შემოგვთავაზეს, ლელვი მიირთვიოთ, თან გაგვფრთხილეს, მკვახე არ იყოსო. გემო გავუსინჯეთ და ბუჩქებში გადავყარეთ, ზ[ელიონი] კი ერთ-ორს როდი დასჯერდა და გვისაყვედურებდა „მეტისმეტად აზიზები ყოფილხართო“.

მინერალური წყაროები უსტერიდან 4¹/₂ ინგლისურ მილზე იქნება მოშორებული. მთელი ეს სივრცე უზარმაზარ ყამირს უჭირავს, რომელიც ზამთრობით წყლით იფარება. ამ ყამირ მინდორსა და წყაროებს Brandt Valley¹ ჰქვია. ჩვენი კარეტა მდინარის ქვიშიან კალაპოტში მიდიოდა, სადაც ალაგ-ალაგ ბალახი ბიბინებდა. მალე მდინარესაც მივადექით, საკმაოდ განიერი და ღრმა იყო. მეეტლეებმა ფონი არ იცოდნენ, მაგრამ ამ ღროს მდინარეში ჰოტენტოტები გადიოდნენ ხარებით: იმათ კვალს ჩვენც მივყევით. ცხენებმა ძალზე გაგვაწვალა. ისევ ჰოტენტოტმა ბიჭმა შეიყვანა ისინი წყალში. ვანდიკი წამდაუწუმ „ჰაპლო!“ ჰყიოდა. საჯდომი ცხენებიც გამოჩნდნენ. ჩვენს მხედრებს მუხლებამდე სწვდებოდათ წყალი. რომ სცოდნოდათ, ასე იქნებოდა, იქნებ ცხენებით არც წამოსულიყვნენ. ერთი მათგანი, ნატურალისტი, შეეცადა ამ უბედურებისგან თავი ეხსნა, ფეხები ასწია და უნაგირზე ზევით-ზევით იმდენი იჩოჩა,

¹ ბრანდტის ველი (ინგლ.)

რომ ჩვენდა სასიხარულოდ ბოლოს წყალში მოადინა ტყაპანი. აუტანელი სიცხე იდგა; ქვიშნარში ცხენებს ჩქარი სიარული აღარ შეეძლოთ და მხედრებმა არ იცოდნენ, მზეს როგორ და-მალოდნენ. სახე დაუწითლდათ და კიდევ გაერუჯათ მზეზე. მე კალიასკაში ვიჯექი, ტილოს ჩარდახის ქვეშ შეყუყული, და ზეცას მადლობას ვწირავდი, რომ ცხენზე არ ვიყავ ამხედრე-ბული.

მაგრამ აი, მივედით კიდევ. ვხედავთ: ერთ ადგილას ბალახიდან ისეთი ოხშივარი ამოდის, თითქო წვნიანი ჯამი ჩაუდგამთო. ორთქლი მთელ ველს ეფინება წყაროს გასწვრივ. წყაროების გვერდით პატარა, ღარიბულ ფერმასთან ცხენები დავტოვეთ. ზედ წყაროებთან მშვენიერი ხეები ხარობდა: ჩინარები, მუხები, ნაძვები, კომშები, იქვე გვიმრის, ასკილის ბუჩქები გაბარდნილიყო და ხშირი, ნოყიერი ბალახიც ბიბინებდა. გაქირვებით გავალწიეთ ბუჩქებში და ბილიკმა ერთ მრგვალ მომცრო აუზთან მიგვიყვანა, რომელშიც ცხელი წყარო მიჩხრიალებდა. აუზში ხელები ჩავყავით. წყალი ცხელია, მაგრამ რამდენიმე წამს მაინც გაუძლებს კაცი. პირში ჩავიგუბეთ: არც გემო ჰქონდა, არც სუნი. ჩვენ კვერცხი ჩავაგდეთ შიგ, ზელიონიმ კომში. მაგრამ არც კვერცხი მოიხარშა და არც კომში. ლესიუერის ექიმმა სიძემ გვითხრა, წყალი ცხელი კია, ოღონდ არათუ ხარშავს რასმე, პირის გასაპარსადაც არ გამოდგება, წვერს არ ალბობსო. „ცივი წყარო სადღაა-მეთქი?“ — „აი, აგერ“, — მითხრა და ფეხებქვეშ მიმითითა. „სადა?“ — „აი, აქ“, — „ესა?“ — დავხედე, ახლომახლო გოვზაკიდან წყალი ხომ არავის გადმოუქცევია-მეთქი, თუმცა ისიც კი უფრო სწრაფად იდენდა. ცხელი წყაროდან ერთი საყენის მანძილზე ხის ძირას წყლის ძაფი მოწანწყარებდა და ბალახში იკარგებოდა — აი, ეს გახლდათ მინერალური წყარო! ეს წყლები ყველაზე უფრო რევმატიზმს შველის; მაგრამ მხოლოდ სამი სნეული ვნახეთ იქ; ისინი ორ-სამ ქოხში ბინადრობდნენ, წყაროების სათავედან კარგა მოშორებით. პ[ოსიეტმა], ბენმა და ექიმმა იქით გასწიეს, მე კი დავრჩი. რა გადამატარებდა ნაშუადღევის მზის სხივებზე გაფიცებულ იმ ცხელ, ტრიალ ველს.

ისევ ხეების ჩრდილში ვარჩიე დარჩენა და ჩვენს ნატურალისტს მწერების ჰერაში მივეშველე. ისეთი ბეცი იყო, მწე-

რები რომ დაენახა, ბალახებში უნდა ეხოხა. ვეებერთელა, წითელი კუტკალიები ბლომ-ბლომად ირეოდა. ჩვენებურები ხომ დახტიან, ისინი დაფრინავენ. მაგრამ მათი დაქერა იოლი გამოდგა: ცოტას გაიფრენდნენ თუ არა, მაშინვე დასხდებოდნენ. ნატურალისტმა ჯიბეები და ქუდი გაივსო ამ კუტკალიებით, ქალღმერთებშიც შეახვია, ერთი სიტყვით, ყველაფერი აივსო. მაგრამ ვაი რომ ცდამ ამოდ ჩაუარა. მეორე დღეს მის ოთახში შესვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა გველების, ხვლიკების და გამოშინებული ფრინველების წყალობით. „ეგ რა ჰყარს-მეთქი ასე?“ — „რადა ფერიკული კუტკალიები ამიყროლდა: ძალიან მსუქნები არიან და ვერაფერი მოვუხერხე: ისეთი ნაზებია, ვერც ბამბით დავტენე და ვერც სპირტში ჩავდეო“.

ჩვენი ამხანაგები, თავი რომ გადადეს წასასვლელად და ავადმყოფები მოინახულეს, ძლივძლივობით მოლასლასდნენ უკან. საკვირველია პირდაპირ, იმ სამმა ავადმყოფმაც როგორ მოახერხა რევმატიზმის შექენა ასეთ ჰაერზე, სადაც გაცივებაც ყოვლად მიუტევებელი ცოდვა გახლავთ! ეს წყლები რომ ევროპაში ყოფილიყო, მათ გარშემო მთელი დაბა გაშენდებოდა. აქ კი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან მხოლოდ ჰაერით სამკურნალოდ მოემგზავრებიან; უსტერის ახლომახლო კი რვა ადგილას გამოდის მინერალური წყარო. წამოვიდეთ ბოთლით ეს წყალი, რამდენიმე მხედარი ჩვენს კალიასკაში გადმოჟდა და დავემშვიდობეთ ამ წარმტაც ადგილს, გაბარდნილი მცენარეებით შემკულს.

უსტერში მაშინვე მოვუხხედით tiffing-ს, მეორე საუზმეს, მერე სასეირნოდ წავედით. ვინც სიცხეს ერიდებოდა, აივანზე, ხეების ჩრდილში მოისვენა. საათის ხუთზე, სიცხემ რომ იკლო, ქალაქში გავიარეთ და ლესიუერის ექიმ სიძეს შევხვდით. მან პასტორის მიერ შავკანიანებისათვის აშენებულ საყდარში წაგვიყვანა. მეორე ეკლესია დიდი ქუჩის მარჯვნივ, მოედანზე მოჩანდა, მაგრამ დაკეტილი იყო. „ეს უსტერი მოსაწყენი ქალაქია! — გაიძახოდა ჩვენთან მომავალი ზ[ელიონი], — ფრეგატზე მომენატრა დაბრუნება: ახლა იქ ვანტებს სჭიმავენ — რა მხიარულება ექნებათ!“ ამ რამდენიმე სიტყვაში გამოიხატა მეზღვაურის სული, რომელსაც თავისი საქმე უყვარდა. შავ-

კანიანების საყდარში შევედით. იმაზე უბრალოს და სადას ვერაფერს ნახავდით: საკმაოდ დიდი ფიცრული დარბაზი ჰქონდა, ყოველგვარ მორთულობას მოკლებული, დარბაზში ქანდარა იდგა. საკურთხევლის გასწვრივ გასასვლელამდე ორ რიგად ჩაემწკრივებინათ ტლანქად გამოჩორკნილი მერხები. წინ, საკურთხევლის ახლოს, საყდრის გარდიგარდმო, რამდენიმე მერხი იდგა, უფრო ფაქიზად ნახელავი. „ეს ვისთვისაა განკუთვნილი?“ — ვიკითხე მე. „იმ თეთრკანიანებისთვის, ვინც აქ შემოსვლას მოიგუნებებს.“ — „განა შეჭვერის საყდარს ასეთი გამორჩევა? — შევნიშნე მე. — ვინ იცის რას იფიქრებენ შავკანიანები თავიანთ მოძღვართა თვინიერებასა და თავმდაბლობაზე“. — „არა, ამის მიზეზი სულ სხვა გახლავთ, — მითხრა ექიმმა, — შავკანიანებთან ჯდომა არ შეიძლება: სუნი უღით. ტანზე ზეთს იცხებენ და მათ ოფლსაც რაღაც თავისებური სუნი აქვს“.

მართლაც, საპატიმროებში შავკანიანები რომ შემოგვესვოდნენ, ისეთი უსიამო სუნი დადგებოდა, რომ ბ[არონი] შორიახლოს გაჩერდებოდა და იქიდან უყურებდა. ასე რომ, ზ[ელიონის] საყვედურს „ფრიად აზიზები ბრძანდებითო“, ყველაზე მეტად ის იმსახურებდა.

ვესტუშრეთ ექიმსაც მის პატარა, მაგრამ მყუდრო, ფაქიზად მოვლილ სახლში, რომელიც სამი-ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. მასპინძელმა კაპის ღვინო და სიგარები მოგვართვა. ბუნებისმეტყველების ისტორიის საგნების პატარა კოლექციაც ჰქონოდა. სხვათა შორის, ჩვენს ექიმს განსაკუთრებული ჯიშის ალოეს ძირი აჩუქა, რომელსაც თურმე ნიადაგი არ სჭირდებოდა. ცარიელ ჭიქაში თუ ქილაში რომ ჩადო და ფანჯარაზე დადო, ან კედელზე დაკიდო და მერე აღარც მიხედო — მაინც გაიზრდება, არც დაჭკნება და არც გახმება. ექიმსაც ასე გაუხარებია კედელზე და ორ წელიწადში მთელი კედელი დაუფარავს.

ოტელში საათის შვიდზე დავბრუნდით. სასადილო უამრავი შანდლებით დაგვხვდა გაჩახჩახებული. სუფრა თითქო საბანკეტოდ გაეშალათ. გუშინდელივით იმპროვიზირებულ სადილს აღარ ჰგავდა, დილიდანვე ყოველივე მოეფიქრებინათ და მოემზადებიათ, წვნიანები, კარი, დაკეპილი ხორცი, ფრინველი, სო-

სისკები, მწვანელი. ჩვენი მოკრძალებული ექიმი პირდაპირ სახტად დარჩა, სასადილოში რომ შევიდა. თავისი ჩვევებით ეს ზომიერი და სადა კაცი ბ[არონის] ცოცხალ კონტრასტს წარმოადგენდა, რომელსაც პირის გემო უკიდურესად ჰქონდა განვითარებული. „განა არ ვისადილეთ, — შენიშნა ექიმმა, — აქი ოთხი თავი კერძი გიახელით“. — „ის tiffing-ი გახლდათ, მეორე საუზმე და არა სადილი, — მიუგო ბ[არონმა]. — ის არ გვეყოფა, გუშინ რომ უსადილოდ დავრჩით, დღეს ღმერთმა დაგვიფაროს!“

სადილმა შუალამემდე გასტანა. ბენმა აქაც გამოიჩინა თავი, ვითარც მშვენიერმა მოსაუბრემ. მღეროდა შოტლანდიურ და ინგლისურ სიმღერებს, მისი ფალცეტო, მგონი, მთელ უსტერში ისმოდა, რადგან ქალუზებიდან ამ ჩვენს ნადიმის მკვრეტელ ბევრ თვალს ვხედავდი. ჩვენც ვიმღერეთ გუნდურად და ცალ-ცალკეც, კუთხეში მდგარი ფორტეპიანოს აკომპანიმენტის ქვეშ. „Thank you, thank you“¹, იმეორებდა ბენი ყოველი რუსული სიმღერისა და ყოველ უმოწყალოდ დაჯიჯგნილ იტალიური მოტივის შემდეგ.

შუა სადილობაში სასადილოში ერთი ხნიერი კაცი შემოვიდა, ფეხები დადამბლავებული უნდა ჰქონოდა, რადგან ცალ ფეხს ცოტა კიდეც ითრევდა. „გამარჯობათ, პატონებო, — გვითხრა მან, — ქარგია, ქარგია“, — დასძინა მერე, ვერ გეტყვით რაზე. მივიწ-მოვიწიეთ და სუფრაზე ადგილი გავუთავისუფლეთ. ის quasi — რუსი, ვეინერტი იყო, ჩვენები რომ დილით გაეცვენენ. გულაჩუყებითა და სასოებით შემოგვცქეროდა ყველას, განურჩევლად იმისა, ვინც უკვე ენახა და ვინც არა, ოხრავდა, ნანობდა რუსეთიდან წამოსვლას, გვეხვეწებოდა, თან წამიყვანეთო. სადილის ბოლოს, რამდენიმე ჭიქა ღვინის შემდეგ, სულ მოეშვა, ტიროდა, რამდენიმე ენას ერთმანეთში ურევდა, მაგრამ ქ ა რ გ ი ა, ქ ა რ გ ი ა ს დამატება ყოველ სიტყვაზე არ ავიწყდებოდა. სწორედ ჩვენი ძველი პროვინციული ადათები მომაგონა: დილიდანვე რომ გეწვევა ვინმე სტუმარი, სალამომდე ფეხს არ მოიცვლის, აღარ იცი, როგორ იხსნა მისგან თავი. მარტოც დასტოვებ, კიდეც ჩაუკრავ, წასვლის

¹ მაღლობას მოგახსენებთ (ინგლ.)

დროაო, ჩურჩულსაც გააბამ, ის კი, ზის და ზის, მით უმეტეს თუ დალეულია. ჩვენ თითო-თითოდ დავიშალენით, ჩვენს ოთახებში წავედით, ის მასპინძლებთან გავიდა. კარგა ხანს გვესმოდა კიდეც მისი წუწუნნი, ოხვრა, ხოლო მასპინძლების სიცილი და ლაპარაკი. შუალამეს გადაცილებული იქნებოდა, ფანჯარიდან რომ დავინახე ფარნით ხელში სახლისკენ მიმავალი.

მეორე დილას უკან გამოვემგზავრეთ. გველის მთასთან მინდორში შორიდან რომელიღაც დიდი, თეთრი ფრინველი დავინახეთ, ყარყატს ჩამოგავდა და ბალახში მედიდურად დააბოტებდა. „მდივანბეგი, მდივანბეგიო!“ — მოგვაძახა სწავლულთა პარტიამ. ყველანი ეკიპაჟიდან გადმოვეცვივდით და ბუჩქებში შევევარდით ამ სახელის მქონე ფრინველის სანახავად, მოახლოებული ადამიანები რომ დაინახა, ფრინველმა მოუხშირა წრის დარტყმას ბალახში, თანდათან დააპატარავა კამარა და როცა იმდენად მივეუახლოვდით, რომ დათვალიერება შეგვეძლო, ფრთები აიქნია და თვალს მიეფარა. „მდივანბეგი“ გველების დაუძინარი მტერი ყოფილა. სქელი, ღონიერი ფეხები და ბასრი კლანჭები აქვს. ფეხის დარტყმით თავს უხეტქავს კობრა-კაპელას, ან კლანჭებში მოიგდებს, მალა აიჭრება და იქიდან ქვაზე დაანარცხებს ხოლმე.

ეკიპაჟში ჩაჯდომა რომ დავაპირე, მაშინლა შევამჩნიე, კიდევე ერთი ახალი ცხენი გაჩენილიყო. „ის სადლაა?“ — ვკითხე ვანდიკს. „აგერ!“ — და უკან მიმითითა. ეკიპაჟების უკან მართლაც მხედარი დავინახე: ჩვენი ჰოტენტოტი ბიჭი იჯდა ცხენზე. თურმე იმიტომაც წამოეყვანა ვანდიკს. „ამ ცხენს რაღას უზამთ?“ — ვკითხე. „პაარლში გადავცვლი, მინდორზე რომ ცხენი ვნახე“. — „იმას კაპშტატში წაიყვანთ?“ — „არა, სტენენბოშში რომ ვნახე, იმ პატარა თეთრ ცხენში გავცვლი“. — „მაშ ბიჭი მთელი გზა უკან გამოგყვება სულ ახალ-ახალი ცხენით?“ „yes“, — მიპასუხა ვანდიკმა და ჩაიცინა.

ის იყო გველის მთა გავიარეთ და ზ[ელიონიმ] ფანჯარას რომ არ სცილდები, ნეტავ რადა, ტურფა ქალოო წამოიწყო, რომ მისტერ ბენს თითქო რალაცამ უკბინა, ეტლი გააჩერებინა, სწრაფად გადმოხტა და ბუჩქებისკენ გამალებით მოუსვა. ზ-იმ ხარხარი ატეხა და კვიმატური

მოსაზრებები მიაყოლა. მაგრამ ბენის კვალდაკვალ დანარჩენი მგზავრებიც გადმოხტნენ. ხარხარმა და კვიმატურმა შენიშვნებმა იმატა. ვიფიქრე, „მდივანბეგი“ კიდევ ხომ არ გამოჩნდამეთქი? თურმე ნუ იტყვი, ამ ხეობაში უსტერამდე გზის გაყვანას აპირებდნენ და ბენს მინდვრის დათვალიერება უნდოდა. ჩვენც აღარ ჩამოვრჩით და უკან მივყევით. მაგრამ ისეთი ხშირი ბალახი იყო, ისეთი გაბარდნილი ბუჩქები, ხოლო გველის მთა ისე ახლოს და გველებზე მონაყოლი ისე ცოცხლად ჩაგვბეჭდოდა გულში, რომ ჩვენი ყმაწვილი თანამგზავრი, სხვა დროს უშიშარი გულის პატრონი, ფათერაკის შემთხვევაშიც რომ ხარხარით იკლებდა ყველაფერს, ახლა ისეთი ნახტომებით მიჰყვებოდა პირველ პარტიას ფეხდაფეხ, რომ მე და ბ[არონი] შეეჩერდით და ერთსულოვნად დავაყარეთ სიცილი. ის კი ბუჩქებში მიხტუნავდა, ბორძიკობდა, ისევე მიხტუნავდა, თითქოსდა, გველის მთის ყველა ბინადარი უკან დასდევნებიაო. მაგრამ ამ ხტუნვა-ხტუნვაში შიგადაშიგ ხარხართვე გვეხმაურებოდა.

მალე ისევ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ჩორთით მიგვაჩიქჩიქებდნენ ცხენები უხეირო გზაზე, ჩვენს უკან ჰოტენტოტი ბიჭი მოჩიქჩიქებდა, ზ-ი წკრიალით გასძახოდა: ნ ე ტ ა ვ ვ ი ს ე ლ ი? მ ი თ ხ ა რ ი, ვ ი ს ა? ჯ ა რ ი ს კ ა ც ი ა, შ ე ნ რ ო მ გ ი მ დ ე რ ი ს? მე და ბ[არონი] ყოველ ლამაზ ხევს, შეჯგუფულ ხეებს, დამშრალი მდინარის კალაპოტს სიამით შევეცქეროდით და უხმოდ ვტკბებოდით. მეორე კარტიდან გაცხოველებული მუსაიფი ისმოდა. ასე შევედით ხეობაში. თუ ბუნება უემური სახით, კუშტად დაგვხვდებოდა, ზ-ი ისევ კმუხნიდა სახეს და მკმუნვარედ გააბამდა: არ ს ც ე მ ს და ფ დ ა ფ ი მ წ უ ხ ა რ ე პ ო ლ კ შ ი ო. კლეინბერგის ფერმაში ბენის ვაჟი ცხენით შემოგვხვდა. იქიდან წამოვიღეთ ნაყიდი გველები, ვეფხვის ტყავი, გავაბრაზეთ მაიმუნიც და მეორე საპატიმროსკენ, ყმაწვილი ბენის სადგომისკენ გავემართეთ.

გზაში ყველგან შავკანიანი პატიძრები მუშაობდნენ, უქულოდ იყვნენ გამოსულები ამ შუაგულ მზეზე, ჩრდილში შეფარება ფიქრადაც არ ჰქონდათ. ჯარისკაცები თვალს არ აშორებდნენ მათ, დატენილი თოფები ჩახმანხზე შეეყენებინათ. ვრთადგილას ვილაც კაცები უფსკრულის ჰაობიან ფსკერზე და-

დიოდნენ და რაღაცას ეძებდნენ. ვანდიკი ჰოლანდიურ ენაზე გამოელაპარაკა მათ და გვითხრა, წინა დღეს აქ მთვრალი დამბრჩევალი, ახლა ეძებენ და ვერ უპოვიათო.

სადილობისას მივალწიეთ ყმაწვილი ბენის სახლს. აქ უნდა გვესადილა და ცხენებისთვისაც გვეჭმევიანა. ისეთივე მშვენიერი დარი იდგა, როგორც ამ სამი დღის წინათ ჩვენი აქ ყოფნის დროს. ოღონდ პირქუში კლდეების, მდინარის, ხეობებისა და ხიდის სურათი უამრავ ხალხს გაეცოცხლებინა. შავკანიანები ეზოში, კლდეებზე და უფრო მეტად ხიდზე შექუჩულიყვნენ, რომელიც ახლა შენდებოდა. „შეხეთ, ახლა აფეთქება იქნებაო“, — გვითხრა მისტერ ბენმა. ხიდგაღმა, ლოდების გროვასთან შექუჩულ ხალხს მივაპყართ მზერა. უცბად ხალხი მოწყდა ქვების გროვას, სხვადასხვა მხარეს გაიფანტა, ყველა შორიახლოს ჩაცუცქდა, ზოგი კუნძს, ზოგი ლოდს ამოეთვარა და იქიდან უცქერდნენ, რა მოხდებოდა. გაისმა აფეთქების ხმა, თითქოს ყრუდ დაიგრიალა ზარბაზანმაო. ლოდების ქვეშ ნიდაგი ცოტა ამოიწია, რამდენიმე ლოდი ამოვარდა, სხვები განზე გაგორდნენ. ჩვენსობას რამდენიმე ასეთივე აფეთქება მოახდინეს.

მისიონერების დახმარებით კვლავ გამოვეკითხეთ შავკანიანებს მათი სახელი, ტომი, დაბადების ადგილი. ბოლოს სურათები გადავუღეთ, ჯერ ცალ-ცალკე, მერე გროშევიჩმა ხეობის ამ ლამაზი კუთხის მთლიანი სურათის გადაღება მოიწადინა. შავკანიანები ჯგუფად დააყენეს ეზოში. მისტერ ბენი, მისი ვაჟი და მისიონერი გვერდით ამოუდგნენ. მე და ბ[არონი] იქვე ახლოს კლდეზე ავძვერით, რომელიც პირდაპირ ბენის ფლიგელს დაჰყურებდა, ასე რომ, სურათში ჩვენც მოვხვდებოდით. გვთხოვეს, ნუ გაინძრევეითო. მაგრამ ჩვენ ჩუმ-ჩუმად ვაბოლებდით სიგარებს, იმით დაარხეინებულნი, ბეცი გროშევიჩი მანც ვერ შეამჩნევდა.

თუმცა სხვების მსგავსად, არც ამ დიდებულ სურათიდან გამოვიდა რამე. ფოტოგრაფიული სურათებისათვის ქალაქის მომზადება, როგორც ცნობილია, დიდზე დიდ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს. ჯერ ერთი, სრულიად ბნელი ოთახია საჭირო, მერე სხვადასხვა შედგენილობის ხსნარის მომზადებას კარგა ხანი უნდა, თან ქალაქი რამდენიმე ხანს უნდა

გაჩერო და კიდეც სხვა მსგავსი პირობები დაიცვა. გ[ომ]კევი-
ჩის] თავდადების მიუხედავად ამ პირობების დაცვა არა და არ
ხერხდებოდა.

სადილის წინ შავკანიანებმა ჯერ კიდეც დილით მოკლული
რომელიღაც მეღამური გველი მოგვიტანეს. სიგრძით არშინზე
ცოტა ნაკლები იქნებოდა, მოშავო-მოთეთრო ფერის და მეტად
ლამაზი. გაგუდული გველი ზონრით მოეტანათ და კარის საკე-
ტის სახელურზე დაეკიდათ. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ
ეტყობოდა, თუმცა ბევრი ანძრიეს და ხელიც მოჰკიდეს. თვა-
ლები დახუჭვოდა, წვრილ-წვრილი, მიჯრილი კბილები გარეთ
გამოყროდა. უკვე ორი საათი იქნებოდა დაკიდებული. უცბად
თავში მოგვივიდა — ანთებული სიგარა კუღზე მიგვედო მის-
თვის. ერთბაშად გველი დაიკლაკნა, კუდი ხან შეკუმშა და ხან
გაშალა. მერე სპირტში ჩასვეს.

ნასადილევს გამოვეთხოვეთ ყმაწვილ ბენს და ველინგტონ-
ში გავწიეთ. გვიან ღამე იყო, რომ ჩავედით. ჩვენმა მობაკუნე
მასპინძელმა კვლავ ყირაზე დააყენა მთელი სახლი, კვლავ
ცხვრის ხორცი, შაშხი, ჩაი მოგვიმზადა და კვლავ უგემური აღ-
მოჩნდა ყველაფერი.

დილით, ველინგტონიდან გამგზავრების წინ, ბ. ბენს ვეწ-
ვიეთ ვიზიტით და გულთბილი ყურადღებისთვის მადლობა
გადავუხადეთ.

ბენმა თავისი ქალები, ოთხი მოწიფული „აფრიკელი დია-
ცი,“ ანუ აფრიკაში დაბადებული ასულები გაგვაცნო. ცოლი
პოლანდიელი ჰყოლოდა. ბენი ქვრივი გახლავთ. ქალწულებს
უამრავი ფინია დახვეოდა — სიყვარულსა და გათხოვებაზე
იმედდაკარგვის ნიშანი. ქალი რომ გადაბერდება და ოცნებას
თავს დაანებებს, სიყვარულის სურვილს კატებსა და ძაღლებზე
იკლავს ხოლმე. უფრო ნაზი სულის პატრონები ყვავილებზე
იყოლიებენ გულს. უფროსი ქალი უკვე შინაბერა იყო. მესამე,
მალალი, ტანწერწეტა ქალიშვილი სახითაც ღამაზი გახლდათ,
სხვებზე — არა უშავსო, ითქმოდა. ქალებმა ყავა და საუზმე
შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და მო-
ვიმიზეზეთ, მალე უნდა გავემგზავროთო. მისტერ ბენმა
თავისი ნამარხთა მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზა.
ქვეწარმავალთა რამდენიმე ჩონჩხი პეტერბურგის საბუნების-

მეტყველო ისტორიის მუზეუმისთვის გადასაცემად გამოგვიტანა.

დამშვიდობებისას გვითხრა, კოლონიის სრული ნიმუში ახლა უკვე ნახული გაქვთ. „აი, სულ ასეთი გახლავთ: ისეთივე ქვიშნარი, ალაგ-ალაგ ჭაობები, ჩირგვნარი და მაღალი ბალახები“.

უკვე ნაცნობ გზაზე ჩორთით გამოვწიეთ. პაარლში ჩავედით. ვანდიკმა სხვა გზით წამოგვიყვანა, რომელიც დაბის ქვედა ტერასებს უვლიდა. ვიფიქრე, ალბათ მთელი პაარლის ჩვენება უნდა-მეთქი. თურმე ის აინტერესებდა, აქ რომ პირველად გამოვიარეთ და უცნობი ცხენი ნახა, ახლაც მინდორზე თუ ბალახობსო. რაწამს ნაცნობ სასტუმროში მიგვიყვანა, მაშინვე ცხენები გამოხსნა და გაუჩინარდა. ამჯერად ოჯახის დედა შემოგვხვდა. მამაც შინ ყოფილიყო, ხმელ-ხმელი, სიტყვაძვირი ინგლისელი, მეტად წარმოსადეგი და ზრდილი. მგზავრებს თავს გვარიდებდა, არც საქმეებში ერეოდა და ისე ეპირა თავი, თითქოს მეფუნდუქეობას ნაჩვევი არ იყო. ვინ იცის, მის ხელობას იქნებ მართლაც არ წარმოადგენდა; იქნებ მდგომარეობამ აიძულა. ყველაფერი ხდება; მაგრამ ჩვენი მასპინძლობა დედამ და შუათანა ქალმა იკისრეს. უფროსი ავად ყოფილა და იწვა, როგორც მისმა დამ გვითხრა. ჩვენი სინანული გამოვთქვით და მოკითხვა შევეუთვალეთ.

პაარლიდან რომ წამოვედით, პოტენტოტი ბიჭი, რომელიც პაარლში ხელახლა გაცვლილ ცხენზე იჯდა, გზაში წამდაუწუმ გვეკარგებოდა ბუჩქებში და პატარა კუებს დასაქერად დასდევდა. ორი დაიჭირა: ერთი ჩვენ მოგვცა, მეორე სწავლულთა პარტიას, მაგრამ ჩვენიც იმათ გადავულოცეთ, მისი მეთვალყურეობის თავი სად გექონდა, სულ დაძვრებოდა, ეკიპაიდან გაძრომას ლამობდა და გზაზე ებერტყებოდა ხოლმე.

საღამოს სტელენბოში მივგვრიალდით. წინდაწინვე ვოცნებობდით, რა ხვავრიელი ვახშამი, ყურძენი, საზამთროები დაგვხვდებოდა, რა მშვიდად მოვისვენებდით და ჩავგოდრებულნი შავთვალა მულატი ქალიც რა კეკლუტურად დაგვინაბავდათვალებს. მაგრამ სახლი გაქედილი დაგვიხვდა: კაპშტატიდან ახლად ჯვარდაწერილები ჩამოსულიყვნენ, თავიანთ ფერმავი ბრუნდებოდნენ და ახლა ის ოთახი დაეჭირათ ღამის სათევად,

სადაც მე და ზ[ელიონის] გვეძინა. ერთი სიტყვით, გაგვიშალეს ვახშამი, მოგვართვეს ხილი, მულატმა ქალმაც ბევრი გვიტრიალა თვალეზი, ოღონდ ღამის სათვევი არ დაგვხვდა. სასტუმროს პატრონმა ქალმა მოპირდაპირე სახლში დაგვიქირავა ოთახები და ღიღის ხმაურით გავემართეთ ახალ თავშესაფარში, უზარმაზარ, რამდენიმე საწოლიან ოთახში. არ ვიცო, ვისი სახლი იყო, ან ვინ ცხოვრობდა შიგ. მხოლოდ ის დავინახეთ, რომ საღამოს აივანზე მთელი ოჯახი გამოლაგებულყო.

მეორე დღეს აღრიანად დავადექით გზას. ჰოტენტოტი ბიჭი უკან მოიქჩიქებდა უკვე სტელენბოშელ პატარა, თეთრ ცხენზე.

პაარლელი ჩვენს კარეტაში შეებათ, უსტერში გადაცვლილი კი სტელენბოშში დარჩა.

სადილობისას, საათის ხუთზე, დამტვერილები, მზემოკიდებულები და გაუპარსავნი Welch's Hotel-ის განიერ პარმალს მივადექით კაპშტატში. წინკარში ჩვენები შემოგვხვდნენ. კაროლინა უკვე თავის ჩარჩოში ბრძანდებოდა, შავი კაბა ეცვა, ასე რომ უხდებოდა, და თავზე თმის ბადე ეკეთა. ატყდა ერთი გამოკითხვა, ლაპარაკი, ვუამბეთ ერთმანეთს, ახალი რა მოხდა და რა ვნახეთ. სახლის პატრონმა ქალებმა ძველი მეგობრებით მიგვიღეს. რიჩარდს ჯერ სახე დაემანქა, მერე გახარებულმა გაიღრიჯა, წარმოუდგენლად მოღრ-ცა პირი და ცხვირი განზე გასწია, დააპირა შუბლიც იქითვე წაეღო, მაგრამ ვერ მოახერხა, ეტყობა, თავსაფარი მაგრად ჰქონდა წაქერილი: მხოლოდ ჰორიზონტალური ნაოქები შუბლზე ვერტიკალურად დაადგა. კაროლინა ჩვენ უფრო ტკბილად გვიღიმოდა, ვინემ კაპშტატიდან ახლადჩამოსულ ამხანაგებს. მსახურებმა თვალის დახამხამებაში გააქანეს ჩვენი ბარგი-ბარხანა ნომრებში. ერთი სიტყვით, ისე მკვიდრად მოვთავსდით ოტელში, თითქოს იქიდან ფეხიც არ მოგვეცვალა. ყმაწვილი მოახლე აღისა. კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა, როგორც ინგლისელ მოახლეებს სჩვევიათ, ჩიტივით დაფრინავდა კიბეებზე, იქ მსახურებს რაღაც განკარგულებას აძლევდა, აქ ვილაცას პასუხობდა, შიგადაშიგ ვისმე ღიმილს ესროდა. ან არადა დედამიწის ირგვლივ რომელიმე მოგზაურის მეტისმეტად დაჟინებულ არშიყობას ცქვიტად იგერიებდა.

სუფრას ბევრნი შემოვუსხედით ერთის ამბითა და ხმაურით. მარტო რუსებიდან თორმეტი კაცი ვიქნებოდით, რამდენიმე ინგლისური ოჯახიც შემოგვემატა. მე მხოლოდ ერთი ქერა, მსუქანი პასტორი შევამჩნიე, ცოლითა და ბავშვებით ჩამოსული. ან როგორ არ შევამჩნევდი: ერთი ყვირილი, ღრიანცელი იდგა. წინკარში, კიბის საფეხურებზე, ნომრებში, პარმალზე ყველგან ყმაწვილები ირეოდნენ — სულ პასტორის ნაშიერები. წმინდაწყლის აბრამი ის ყოფილა — ღვთაებრივი გამოცხადების შემდეგ!

ჩემს ოთახში რომ შევედი, პირველად ის გავსინჯე, შუშა ჩაედგათ თუ არა. არ ჩაუდგამთ. მაშინვე სახლის პატრონ ქალს ვეახლე საჩივრით: „შუშა რად არ ჩაგისვამთ-მეთქი?“ — მეგონა, დედაბერი იტყოდა: „უქმე იყო, ვერ მოვახერხეთო“, მაგრამ გამახსენდა, რომ პროტესტანტები თითქმის არ უქმობდნენ. „ნეტავ რას მეტყვის? — ფიქრობდი გულში, — ან დამავიწყდა, ან ფული დამენანა, ისედაც ქირავდებაო“. დედაბერი სდუმდა. გავუმეორე საჩივარი. „კაფრებთან ომია და ხელი შემიშალაო“, — მითხრა ასე. ამ მიზეზს კი სწორედ არ ველოდი: ჭეშმარიტად აქაურია! „ხელოსნები სულ დაკავებულნი არიან... ვერა და ვერ მოვძებნე. აი, ხეალ გამოვგზავნი“. მაგრამ შუშა არც ხვალისთვის იყო ჩასმული, არც ზეგ, არც კაპშტატში ჩემს მეორედ ჩამოსვლისას. დარწმუნებული ვარ, ალბათ ახლაც იმავე დღეშია, ქარი ლალად დანავარდობს შიგ და წვიმა ასსამს, კარგ ამინდში კი კოლოები დაფრინავენ. კიდევ რუს კაცზე იტყვიან: უდარდელია, დაუდევარი, მეხვალიეო; „კაფრების ომი“ ვითომ რითა სჯობია ჩვენს უქმეებს?

კვლავ ძველებურად წაეწყო ჩვენი დღეები. დილაადრიან ყველა თავის ოთახში საქმიანობდა: ერთს შეგროვილ მცენარეთა, ცხოველთა თუ მინერალთა კოლექცია მოჰყავდა წესრიგში, მეორე ნახულსა თუ გაგონილს იწერდა, სხვა კაპის კოლონიის აღწერას კითხულობდა. ტიფინგის შემდეგ ქალაქსა და მის მიდამოებში მივეშურებოდით, მერე სადილი მოსდევდა, მერე „სურათით“ ვტკბებოდით და ბოლოს დასაძინებლად ვიშლებოდით.

კაპშტატში დაბრუნების მეორე დღეს ლომა მთისაკენ გავისეირნეთ. აქაც ბენსკლიუფსავით გზა ლომა მთის ქედს მიჰ-

ყველა, ქალაქის ერთ ნაწილში იწყება და მეორეში თავდება. დილის თერთმეტი საათი იყო, რომ ორი ეტლით გავემგზავრეთ. ჯერ ზღვისპირს მივდევდით, აგარაკებისა და ფერმების გვერდით, სანამ მთა არ დაიწყო, მცენარეებით მეტად ღარიბული მიდამოები გვხვდებოდა. გადახრუქული ბალახი და წვრილ-წვრილი ჩირგვები აგარაკებს უბადრუკ იერს აძლევდა. ჟალუზები ყველგან ჩამოხურული იყო, თითქოს აგარაკები მზეს შეუწყუხებია და თვალები დაუხუჭავთო. თითო-ოროლა ხეები და ყვავილნარები, ბალის უხეირო პრეტენზია, უფრო მეტად აჩენდა აგარაკების სიტიტველეს. მარტოდენ ალოეს გოლიათურ, ორი კაცის სიმაღლე ბუჩქებს მზეზე უშიშრად გადაეშალათ ნოყიერი, ეკლიანი ფოთლები და აგარაკებს ღობეებივით შემორტყმოდნენ. მთის კალთებზე ბუნების სურათი იცვლება: მწვანე უხვადაა გაბარდნილი და ფერმები და აგარაკები მჭიდროდაა ჩარიგებული. ერთ აგარაკს Green Point¹ ჰქვია. ის ლომა მთის ამწვანებულ ფერდობზეა გაშენებული. აქ მოდიან ქალაქიდან, რომ ზღვისა და მთის ცქერით დასტკბნენ. ჩვენ მთას ავყევით. მშვენიერი გზატკეცილი იყო გაყვანილი, არც ისე აღმართი, ალაგ-ალაგ წაბლისა და მუხის ხშირი ხეივანი ჩრდილავდა. მთის კალთები ტყეებს დაუფარავს ზღვის ნაპირამდე. ტყეში საცხენოსნო გზები და ბილიკები მიემართება ყოველი მხრივ. რა სჯობია ამ გზაზე სიარულს, ქვემოთ თავქოჩორა, დაჩრდილული ტყე მოჩანს, ყურის მოსარკული ცისფერი ზედაპირი, ზემოთ შორეული მთები იხატება, მარცხნივ კი უზარმაზარი მწვანე კორდი დაგყურებს თავზე. ძირს ლოდებს გააფთრებით ეხეთქება დღენიადაგ ფურთუნი და ამ ლოდებშუა აქა-იქ, მოფარებულში, გამჭვირვალე წყალში თევზების გუნდი სხარტალებს, სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის.

მაგრამ ვაი რომ მეტისმეტად ცხელა; ცხენები შიგადაშიგ გვიჩერდებიან. ჩვენ რომ ლამაზი ადგილების სანახავად დამოვიდოდით, მეორე კალიასკის მეეტლე ზანგი ბიჭი ჩვენს მეეტლესთან, ბიჩუანების ტომის ზანგთან, წამდაუწუმ მორბოდა და რაღაცას ეტუტუნებოდა. როგორც კი მთის ყველაზე მაღალ წერტილზე ავედით, ცხენები სულაც გაჩერდნენ, თითქო გზის

¹ მწვანე ადგილი (ინგლ.)

გაგრძელება აღარ შეეძლოთ. მეეტლეებმა ვითომც დაუპირეს გარეკვა, მაგრამ ისინი ყალყზე დგებოდნენ და უფსკრულისკენ მიიწოდნენ. მეეტლეთა ტაქტიკა ნათელი გახლდათ. ზანგ ბიქს დავემუქრე, დაპირებულ ფულს მთლიანად არ მოგცემ-მეთქი. „T'is hot, very hot, sir (ძალიან ცხელია), — ბურტყუ-ნებდა ის, — ცხენებს სიარული აღარ შეუძლიათ“. ჩვენს ქვე-მთ, შუა მთაზე, რაღაც ფიცრული შენობა მოჩანდა ფანჩა-ტურივით, ხეების ტევრში ძლივს გამოარჩევდი. „ეგ რა სახ-ლია?“ — ვიკითხეთ ჩვენ. „როტონდა დუქანია, მგზავრები იქ შედიან დასასვენებლად და პირის გასასველებლად“, — გვითხრეს მეეტლეებმა. ბ[არონს] ყურში რომ ჩასწვდა „პირის გასველებო“, მაშინვე ტყის ტევრს შეერია და ქვემთიკენ და-ეშვა, ტოტებს ტროსტით იშორებდა გზიდან. ჩვენც უკან მიე-ყევით და დაქანცულებმა მალე მივალწიეთ დუქანს. დუქანს ღია, მრგვალი აივანი ევლო ირგვლივ და როტონდასაც იმიტომ ეძახდნენ.

აქ ისეთი სიგრილე სუფევდა, ისეთი სიო ქროდა, ისეთი დიდებული ხედი იშლებოდა ზღვის, ტყის, უფსკრუ-ლებისა და შორეულ ჰორიზონტზე მოტორტმანე ზომალდები-სა, რომ გახარებულებმა მეეტლეების შერისხვეს თავი ვანე-ბეთ და ღვინოც კი გამოვატანინეთ მათთვის მადლობის ნიშნად, რომ ასეთი ბედნიერი ფიქრი მოუვიდათ და აქ მოგვიყვანეს. პატარა ბალი მუხების, ნაძვებისა და კედარების გარდა ხეხილითა და ყვავილის ბუჩქებით იყო სავსე. ჩასუქე-ბულმა ჰოლანდიელმა ქალმა ღიმონათი და ღვინო მოგვართვა. გავაბოლეთ სიგარები და ჩვენს წინ გადაშლილ ამ სიცოცხლით სავსე, ნაირფერად მოელვარე, მგზნებარე სურათს მივაპყარით თვალი!

გამასპინძლების მიუხედავად მეეტლეებმა გადაჭრით გამო-გვიცხადეს, ძალზე ცხელი დღეა და მთელ მთას ირგვლივ ვე-ღარ შემოვუვლითო. რა უნდა გვექნა: გაგვეთათხა? — საქმეს მაინც ვერ უშველიდა. ათი შილინგის გამო დავა აგვეტეხა — ათ შილინგს კი მოვიგებდით, მაგრამ ღომა მთას მაინც ვერ შე-მოვუვლიდით. ჰოდა, ვუბრძანეთ, ისევ იმავე გზით შინისკენ წამოვეყვანეთ.

საჭირო იყო საიმონსტოუნში წასვლა და დაწვრილებით გა-

გება, როდის გავიდოდით ზღვაში. მე და ს[ავიჩმა] ვანდიკი წავიყვანეთ და საიმონსტოუნისკენ გავსწიეთ ისევ იმ კარეტით, კოლონია რომ შემოვიარეთ, ოღონდ ახლა წყვილი ცხენი ება შიგ. გზაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ოღონდ ს[ავიჩს] აქ ერთხელ უკვე ემგზავრა და დაწვრილებით მიამბობდა, სად რა მეჩეჩი. იყო, რომელი ყურე თუ ფერმა: რა თვალი და მეხსიერება ჰქონია! ჰოდა, კიდეც ვანდიკს თავისი ექვსი წლის ბიჭიც წამოეყვანა გასასეირნებლად. ბიჭი ეკიპაჟის ჩარღახიდან ჰაერის სამოძრაოდ გახვრეტილ ადგილებში ყველგან თავს ჰყოფდა. ერთხელაც ისე დაურიდებლად გაჰყო თავი, რომ გადაეარდა და პირდაპირ ცხვირით დაეცა. მთელი უდაბნო შესძრა შემზარავმა ღრიალმა. საბედნიეროდ, აფრიკის უდაბნოებში დღესდღეისობით თითქმის ყველგან შეგხვდება ღუქნები. იქ ამ ცულლუტს პირი მოზანეს, სველი საფენი დაადეს. ვანდიკმა კი პირველსავე შემხვედრ ეკიპაჟს, აქ ხომ ყველა მისი ნაცნობი იყო. უკანვე გააყოლა ვაჟი.

საიმონსტოუნში ჩვენებს დიდი საძვანისი ჰქონდათ, ინგლისელებს სადილსა და მეჯლისს უმართავდნენ მათი სადილის. მეჯლისისა და მეგობრული შეხვედრების საპასუხოდ. სადილისა და მეჯლისის გაგონებამ თავზარი დამცა! ამ ორ ამბავს არ გავუქეცი განა პეტერბურგიდან, რა არის სხვანაირად მეცხოვრა, ერთფეროვნება თავიდან ამეცილებინა, აქ კი ერთბაშად სადილსა და მეჯლისზე მელაპარაკებიან! მ[ამა] ა[ვამსა] თურმე გულში აშფოთებდა ეს ამბავი. ის კაპშტატში არ იყო ნამყოფი და იმედიც უკვე გადაეწყვიტა. ჰოდა, შევუჩნდი, გამომყოლოდა. ასე რომ ორი დღის შემდეგ ისევ ვანდიკს გამოვეყვით კაპშტატში, ის საიმონსტოუნიდან წამოსული არა ყოფილა.

მაგრამ მ. ა-ი, როგორც ფრანგები იტყვიან, *du guignon*¹ ყოფილა. საღამოს კარგა ძლიერი ნიავი ამოიქრა, მთებმა ღრუბლები შემოიხვია. მალე მთელი ცა ღრუბლებმა დაფარა. მე კი ვაპირებდი მისთვის სუფრა მთა მეჩვენებინა, ადგილიც კი შევარჩიე, საიდანაც უკეთესად მოჩანდა, მაგრამ ჩვენ წინ შავი ღრუბლების მთები კედელივით ამართულიყო და სუფრა

¹ უილბლო (ფრანგ.)

და ლომა მთები დაემალა. „არა უშავს, ხვალ ენახავ, — თქვა მან. — საჩქარო რა არის“. ქარმა თანდათან იმძლავრა და როცა საღამოს, შვიდ საათზე ოტელს მივადექით, წვიმაც გადმოუშვა.

დილით მ. ა-ს მივაკითხე: მისი ოთახის ფანჯარა პირდაპირ სუფრა მთას გასცქეროდა. „აბა, შეხედეთ ახლა, რა მთაა-მეთქი“, — ვუთხარი და დარაბები გავხსენი. მაგრამ მთა სად იყო: ჩაქუფრულ ჯანღს მთლიანად შეეებურა იგი. ქარი ქროდა, წვიმის შხეფებს ფანჯარაში ასხამდა. შუადღისთვის უნდა დაგვეცადა: ეგებ გამოედარა. ალისამ ჩაი შემოგვიტანა, მერე ისევ სასადილოში გავედით ჩაის დასალევად, რასაც კატლიტების, თევზეულის, ფრინველისა და ხილის აკომპანემენტი ახლდა. „It rains“, (წვიმს), — მითხრა m-rs Welch-მა. „ღიახ, — საყვედურით ვუპასუხე, — ჩემს ოთახშიც წვიმს“. კაროლინას ჯერ კიდევ ეძინა. მ. ა[ვაკუმი] ქალაქის დასათვალეიერებლად წავიყვანე. მოვიარეთ ატალახებული ქუჩები და სველი ტროტუარები, შევედით მაღაზიებში, გავიარეთ ბოტანიკურ ბაღშიც, მაგრამ ქალაქის მიდამოებს ვერ ვხედავდით: ორასი საყენის მანძილზე ყველაფერი ნისლს დაეთარა. მამა ა[ვაკუმი] წიგნის მაღაზიაში შევიდა და იქვე მოიკალათა. ერთი წიგნი მოეწონა, მეორეც აუცილებლად სჭირდებოდა; ისეთი გამოცემაც დაინახა, რომელიც არ ჰქონდა და იყიდა. ძლივძლივობით წამოვიყვანე შინ. ოტელში დიდი აურზაური დაგვხვდა: პასტორი ინგლისში მიემგზავრებოდა. წინკარში ჩემოდნების, ფუთების, ყუთების მთა იდგა; გაღიები და ყმაწვილები ირეოდნენ — მალე ყველანი გაქრნენ. თითქოს გათავისუფლდა აქაურობა, მაგრამ თურმე ცოტა ხნით, საუზმეზე ხუთნი ვისხედით: ექიმი და მისი მეუღლე, კიდევ ორი ყმაწვილი კაცი, ერთს კაპიტანს ეძახდნენ, კიდევ ერთი მაღალი ინგლისელიც, დიდი მყვირალა და მოლაყბე ვინმე. ის სულ წელში გაქიმულია, ძირს არასოდეს იყურება, ოთახში მუდამ ქუდით ზის. ერთი საათის შემდეგ ინდოეთიდან მოსული ხომალდიდან სხვა მგზავრები გადმოვიდნენ და ოტელს ჯგროდ მოაწყდნენ.

სასტუმრო მსოფლიოს გზაჯვარედინზე დგას. კეთილი იმედის კონცხი უკიდურესი წერტილია: ევროპა, ინდოეთ, ჩინეთ, ფილიპინის კუნძულებსა და ავსტრალიაში მიმავალი გზების გზაჯვარედინი. ამიტომაც ღღეს თუ ოცი კაცის საზოგადოება-

ში სადილობთ, ძალაუწებურად ეცნობით ვისმე, ხანდახან, რამდენიმე დღეში კიდევ შეუთვისდებით, ყოველდღე სუფრაზე მიგიხარიათ, ან საერთო სეირნობაში სიამოვნებით იღებთ მონაწილეობას, რა არის, მოულოდნელად აღმოჩენილ ახალ ნაცნობს შეხვდეთ, ერთ მშვენიერ დილას მოხვალთ და დიდი საზოგადოების ან ნაცნობების ნაცვლად რამდენიმე უცხო კაცის წრეში მოგიხდებათ სადილობა; მხიარული საუბრის მაგივრად დაღვრემილი, იძულებითი სიჩუმე სუფევს. „ისინი სადღა?“ თუ იკითხავთ, გაზეთს შოგარტმევენ: იქ დაბეჭდილია, რომ დღეს ინგლისში, ავსტრალიაში თუ ბატავიაში გემი გაემგზავრა, ამდენი და ამდენი სიმძლავრის მქონე, ასეთი და ასეთი ტვირთით და ამა და ამ მგზავრებითო.

ნასაუზმევს მამა ა[ვაკუმი] ქალაქსა და მის გარეუბნებში წავიყვანე. ტყუილად ვიხედებოდით სუფრა და ლომა მთებისკენ: თითქოს არც არასოდეს ყოფილან: იმათ ადგილზე მხოლოდ მურაფერის ღრუბელი ეკიდა და სხვა არაფერი. Green Point-ისაკენ წავიყვანეთ-მეთქი, ვუთხარი მეეტლეს. ზღვისპირზე ოთხი, ხუთი ვერსი გავიარეთ და გავჩერდით: გზის გაგრძელებას რა აზრი ჰქონდა, სულ ერთია, არაფერი ჩანდა. ქარი გლეჯდა ყველაფერს, ზღვა ბორგავდა. კალიასკა გზაზე დავტოვეთ და ბორცვიდან ნაპირზე დავეშვიეთ. ოდესღაც მთის მწვერვლებიდან ჩამოგორებული ლოდები წყალში ეყარა, ზოგი ნაპირზე ეგდო. იმათ გააფთრებით ეხეთქებოდა ფურთუნნი. ასეთი ფურთუნნი სხვაგან არსად მენახა. როგორც გოლიათ მხედართა რიგი, ზარბაზნისებური გრილით ასკდებოდა ლოდებს და ღრუბლად შლიდა ქაფს, მერე ზედ გადაახტებოდა, როგორც გაცოფებული ცხენები უფსკრულებსა თუ დაბრკოლებებს, და ბოლოს, ქანცმილეული, ბინძური, ყვითელი ქაფის ნაფლეთებად ცვიოდა სილაზე. დიდხანს ვერ მოვწყვიტეთ თვალი ამ მონოტონურ, მაგრამ გრანდიოზულ სურათს.

სადილზე ახლახან ჩამოსული დიდი საზოგადოება დაგვხვდა, ოსტ-ინდოეთში ნამსახური ბებერი პოლკოვნიკი მეუღლითურთ. პოლკოვნიკი ინგლისში ბრუნდებოდა თურმე, რაკ ინდოეთში სამსახურის ვადა გათავებოდა. მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცი იყო, ლურჯი ქურთუკი ეცვა და სავაჭრო ხომალდის შიპერს უფრო მიაგავდა. მისი ცოლიც მაღალი, ხმელი

ქალი იყო, ღია, ქერა თმის პატრონი. თხელი თმა ღერი ღერზე მიეკოწიწებინა. ჩემს გვერდით მეორე მოხუცი იჯდა, ისიც ინდოეთიდან ბრუნდებოდა. წარჩინებული მოხელე უნდა ყოფილიყო, შესახედად წარმოსადეგი, პირწმინდად გაქაღარავებული. რა კარგი ბიძია იქნებოდა ძველი რომანებიდან, უთვალავი სიმდიდრით ინდოეთიდან ჩასული, რომელიც სწორედ სულზე ჩაუსწრებს ხოლმე ძმისწულს და ღარიბი ქალის შერთვაში დაეხმარება, როგორც წინათ იწერებოდა! სუფთად, ასე გასინჯეთ, კოხტადაც კი იყო ჩაცმული, ხელზე დიდი ბეჭედი ეკეთა — ყველაფრით წმინდა წყლის ბიძა გახლდათ! რა ხანია ქვეშ-ქვეშ გამომცქეროდა და მეც არ ვაშორებდი თვალს. ვამჩნევდი, რა ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა რუსებს. გვრძნობდი, გამოლაპარაკება ეწადა, ეგებ რუსეთზე უნდოდა გამოეკითხა რამე. წინ პორტვეინი ედგა, მე — ხერესი. „ნებას მომცემთ, ღვინო შევსვა თქვენთან?“ — გამომელაპარაკა ბოლოს. „სიამოვნებით-მეთქი“. მან პორტვეინი დამისხა, რომელსაც პირს არ ვაკარებ, მე ხერესით ავუვსე სასმისი, რაც თურმე არ ჰყვარებოდა. ამის შემდეგ ისევ დუმილი ჩამოვარდა. საქმელს ვიღებებოდი. ვხედავ, ისევ შეკითხვას მიმიზნებს. „საიმონსტონიდან გზა როგორია?“ — მეკითხება ბოლოს. „ჩინებული-მეთქი“. ეს იყო და ეს, შემდეგ აღარაფერი უკითხავს. სუფრაზე კიდევ ერთი მეტისმეტად ფაშფაშა ქალბატონი იჯდა, ასე ორმოცდახუთი წლის, დიდრონი, მუქი თვალები ჰქონდა, იშვიათად ახამხამებდა. კაპიტანს წამდაუწუმ აშტერდებოდა. კორსეტი მეტისმეტად შემოკეროდა ტანზე. შემოსხლეტილი კაბა ეცვა და მრგვალი, ჩაფსკენილი ბეჭები, მკლავები თუ სხეულის სხვა ნაკვთები მოუჩანდა, რითაც ასე უხვად დაეჯილდოებინა ბუნებას. ძალიან ცოტას გიახლებოდათ, ხორცისა და მწვანელიულის პაწაწა ნაჭრებს ტუჩის ბოლოებს ძლივძლივობით შეახებდა ხოლმე პირში ჩადებისას. გუშინდელი ორი ყმაწვილი კაციც დავინახე სუფრაზე. „Yes, y-e-s!“ — წამდაუწუმ კვერს უკრავდა ხოლმე პოლკოვნიკის მეუღლე, როცა ვინმე გაელაპარაკებოდა. მამა ა[ვაკუმმა], რაკი სხვა საქმე არ ჰქონდა, ვიდრე ერთი კერძიდან მეორეზე გადავიდოდა, დაითვალა, რამდენჯერ იტყოდა ქალი yes-ს. „შვიდ წუთში ოცდაცამეტჯერ თქვაო“, — ჩამჩურჩულა მან.

ნასადილევს „სურათი“ კვლავ ჩარჩოში მზეთამზეობდა, ოღონდ კაროლინას ახლა ალისა, ანუ ელვისი მიმატებოდა, როგორც ჩვენები ეძახდნენ Alice-ს, ინგლისური გამოთქმის დასაცინად. მარტო მე მივაშურე მათ საარშიყოდ, თუმცა ამ არშიყობის მიზანი სადამოსთვის ცვილის სანთელის გამოტყუება გახლდათ. სამი დღე ვეხვეწებოდი ალისას, ფულიც კი მივეცი, რომ სანთელი ეყიდა, მაგრამ უშედეგოდ. დიასახლისებმა ფული უკან დამიბრუნეს, სანთელი კი არ გამოგზავნეს. როგორც იქნა, ქონის სანთლის გარდა სხვა მალერსეს. სანუკვარი სანთლის მიღების შემდეგ ჩემს ოთახში წავედი და ის იყო, მაგიდას მივუჯექი საწერად, რომ უცბად მამა ა[ვაკუმის] ხმა შემომესმა, რომელიც წმინდა რუსულით გაჰყვიროდა: „წყალი სად არის აქ, წყალი სად არის?“ თავდაპირველად ამ ყვირილისთვის ყური არ მითხოვებია, მაგრამ რომ მომაგონდა, ჩემსა და ნატურალისტის გარდა ქალაქში რუსებიდან სხვა არავინ იყო, მეტი ყურადღებით მივაყურადე. ხმა თანდათან მოახლოვდა და თანდათან მეტი შეშფოთება ისმოდა შიგ. „წყალი სად არის აქ? წყალი, ჩქარა წყალი!“ — ყვიროდა თითქმის სასოწარკვეთილი. გამოვვარდი ოთახიდან, ვხედავ, დერეფანში პირდაპირ ჩემი ოთახისაკენ მობრბის; ხელებში რაღაც უტკაცუნებს და უბრიალებს, მის ირგვლივ აყროლებული კვამლი დგება. შემეშინდა. „რა მოხდა-მეთქი“. — — წყალი აქ სადაა? ჩქარა წყალი!“ — გაიძახოდა ის. ათასლერიანი ასანთის კოლოფი, ხელში რომ ჰქოდა, თურმე ერთად აბრიალებოდა. საწყალი ისე დაბნეულიყო, რუსულ ენაზე თხოულობდა წყალს, წყლით სავსე ღოჭები კი თითქმის ყველგან იდგა, მათ შორის მის ოთახშიც. ასანთის ღერები კვლავ სისინით და ტკაცანით უგიზგიზებდა ხელებში. „აგერ წყალი! — ვაჩვენე მე პირსაბანზე, — თქვენც გიდგათ ოთახში“. — „ველარ მოვისაზრე!“ — მიპააუხა მან. მე ჯერ ალისას დავუძახე, ფეიერვერკის ნაშთები რომ გაეტანა, მერე კი ვიჯერე სიცილით გული. „ნუ დაუძახებთ, ნუ, — გამაწყვეტინა მან, — სირცხვილია“. — „სირცხვილი გაცხარ მოკლავს, — ვუთხარი მე, — ეს თქვენი კვამლი კი გულს შეუწუხებს“.

მეორე დღეს საუზმეზე ისევ ხუთი-ექვსი კაცი შეეკროვდით: პოლკოვნიკი, მისი ცოლი, როხროხა ინგლისელი და

ჩვენ. შინაურულად შევექვეცით საუზმეს. პოლკოვნიკის მეუღლემ ჩაი და ყავა დაგვისხა. ფრანგული სცოდნოდა და ფრიად ცოცხალი საუბარი გაემართეთ. თავდაპირველად მხოლოდ გუშინდელი ფეიერვერკზე იყო ლაპარაკი. როცა ბუფეტს ჩავუარე, ჯერ მაშინ მოვკარი ყური, როხროხა ინგლისელმა მსველჩის რომ ჰკითხა, ეს რა მყრალი სუნი დატრიალდა გუშინ ოტელშიო, მერე პოლკოვნიკის მეუღლესაც ჰკითხა, თქვენც იგრძენით თუ არა სუნისო. „Yes, o yes, yes!“ — მიაყარა ქალმა ათჯერ ზედიზედ. „რალაც საზიზღარი, აუტანელი რამ იყო“, — აგრძელებდა როხროხა. „Yes, yes, yes“, — ჩივილით იმეორებდა ქალი. „ერთი, ორი, სამი, ოთხი!“ — ითვლიდა მამა ა[ვაკუმბი] მის ნათქვამ yes-ს. „იცით კი, რას ნიშნავს ეს „yes“?!“ — ვკითხე მას. „რასა და დასტურს, ჩვენებურ „პო“-ს, — მიპასუხა. „პო, მაგრამ რაზე იძახის დასტურს? იმაზე, რომ გუშინ გოგირდის სუნით საშინლად ჰყარდაო...“ — „რას ამბობთ, აჰ!“ — შეერთა მამა ა[ვაკუმბი] და დარცხვენა რომ დაემალა, მთელი ვერბო-კვერცხი თავის საინზე დაითრია. „თქვენც იგრძენით ეს სუნი?“ — ჩააცივდა ახლა როხროხა პოლკოვნიკს და ცალი თვალით ჩვენსკენ იყურებოდა. „თითქოს სახლში ხანძარი გაჩნდაო, ასე არ იყო განა?“ — ისევ პოლკოვნიკის მეუღლეს მიუბრუნდა ის. „Yes, yes“, — ეუბნებოდა ქალიც. „ხუთი, ექვსი“, დაღვრებით ითვლიდა მ. ა-ი.

მაღე პოლკოვნიკის მეუღლე მე გამომელაპარაკა ფრეგატი-სა და ჩვენი მოგზაურობის ამბებზე. რომ შეიტყო, პორტსმუტშიც შეგვევლო, მსწრაფლ მკითხა, ნახეთ თუ არა წმინდა ევსტაფის ეკლესია Southsea¹-შიო. „როგორ არა, ვნახე-მეთქი“, — თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, რომელ ეკლესიაზე მეუბნებოდა; იქ ხომ ერთი და ორი არ იყო. — „მშვენიერი ეკლესიაა“, — დავუმატე მერე. „Yes... oui, oui“, — დასძინა ქალმაც. „შვიდი, — ითვლიდა საუბრის შეცვლით კმაყოფილი მ. ა-ი, — თან ამ oui²-საც დავთვლი ბარემ“, — მიჩურჩულებდა ყურში.

იმ დღეს უფრო მეტად მოიღრუბლა და მოიქუშა ცა. მამა

¹ სუატსი (ინგლ.)

² დიახ (ფრანგ.)

ა[ვაკუმბი] უკან უნდა გაბრუნებულიყო. გულმოკლული ჩაჯდა ვანდიკის კარეტაში და სუფრა მთის უნახავად გაემგზავრა „ღმერთმა ალბათ რაღაც ცოდვისათვის დამსაჯაო!“ — მითხრა წასვლისას. ერთი საათი, საათნახევარი არ იქნებოდა გასული, რომ ბოტანიკურ ბაღში ვიყავი და უცებ რას ვხედავ: სუფრა მთამ ნელინელ გადაიყარა ღრუბელი. ჯერ ერთი კუნჭული გამოჩნდა, მერე მწვერვალი, ბოლოს ძირიც. მის ამწვანებულ კალთებზე მზე აცივლივდა, ხუთ წუთში ყველაფერი გააშრო, ჩემ გარშემო ბუჩქებში აელურტულდნენ კოლიბრები. მთელი კაპშტატი და მისი მიდამოები მზის ოქროს სხივებით აცივალდა. გული მომიკვდა მამა ა[ვაკუმბის] ნაცვლად.

მე და ნატურალისტი მარტონი დავრჩით; მაგრამ ჩვენი გამგზავრების დროც მოვიდა. შემოგვითვალეს, ფრეგატზე სამუშაოები დამთავრებულია, სანოვაგეც მოტანილია და ორი დღის შემდეგ ღუზას ავხსნითო. ვანდიკს კაცი გაუგზავნეთ. ისიც ღიმილით შემოვიდა ჩვენს ოთახში, სამგლოვიარო ქუდი ეხურა, მათრახზე დაყრდნობილი მაშინდელივით აიტუზა კართან. სტელენბოშში გადაცვლილი ცხენით მოსულიყო, „უკანასკნელად წაგვიყვანე საიმონსტოუნში, — ვუთხარი ცოტა არ იყოს დაღვრემილმა, — ხვალ დილას შემოგვიარე“. — „Yes, sir, — მიპასუხა მან და დაუმატა, — იცით, კიდევ ერთი რუსული ხომალდი რომ ჩამოდგა?“ — „როდის, სად?“ — „წუხელ“. ის ჩვენი სატრანსპორტო „დვინა“ გამოდგა, რომელიც ინგლისში ვნახეთ.

გული გვწყდებოდა კაპის კოლონიის დატოვებაზე: იქ თავს ლაღად ვგრძნობდით, მივეჩვიეთ და მივეკედლეთ უკვე. ბევრს უთქვამს ჩემთვის, დიდხანს ზღვაში თუ დავყავი, ნაპირი მენატრება; ნაპირზე თუ გამოვალ, მალე ისევ ზღვა მომინდებაო. მე კი სულ სხვა ზნე მქირს. თუ სადმე თავი კარგად ვიგრძენ, ძირს გავიდვამ ხოლმე. თუ ბინა მოხერხებული და მყუდროა, თუ სავარძელი გემრიელი ჩასაჯდომია, თუ კარგი გადასახეღია და სიგრილე სუფევს — გული აღარ მიმიწევს სხვაგან. თავისკენ მიზიდავს მყუდრო, ბალიანი სახლი, აივანი, ერთ ადგილზე დამბამს ხოლმე კეთილი კაცი, ლამაზი სახე. რამდენი გრძნობა შეგეპარება გულში! რამდენი ძაფი, ჯერ თითქოს შეუგრძნობელი, გაიბმება იქიდან სხვადასხვა მხარეს! ცოტა

ხანს თუ კიდევ შერჩი — ძაფები გამაგრდება და უფრო მაგრად მიგაკავშირებს. დაგეანება ნაცნობი სახლის, ქუჩის, კეთილი ადამიანის, საყვარელი სასეირნო ადგილების დატოვება. ასევე გული მწყდებოდა მეც ჩემი მერვე ნომრის, პოტენტიური მოედნის, ბოტანიკური ბაღის, სუფრა მთის, ჩვენი მასპინძლების და სხვათა შორის, ებრაელი ექიმის დატოვებაზე.

ალბათ კარგა ხანს გადამექცევა სიზმრად განიერი წინკარი, მშვენიერი „სურათი“, ვაზით შემოხვეული პარმალი, გრძელი სუფრა და გარშემო შემომსხდარი მოსაუბრეები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რიჩარდის დამანჭული სახე; კარგა ხანს მექნება ისეთი გრძნობა, თითქო „yes“-ო ვილაც მეუბნება, თითქოს აღისა დარბის ზევით-ქვევით კიბეზე, როხროხებს როხროხა ინგლისელი, მომაგონდება ჩემი ფანჯარა, სადაც ასე მიყვარდა მუშაობა და საიდანაც სუფრა მთის და ეშმას მწვერვალის რუხი კლდეები და მწვანე კალთები მოჩანდა. მით უმეტეს, როცა წინ ზღვა, ზღვა და ზღვა გელის!

„Good bye!“ — თქო, ნაღელიანად ვეთხოვებოდით პარმალზე ბებერ ველჩს, კაროლინას. რიჩარდი, აღისა, ჯმუხა მსახური, მალაელი მზარეული — ყველანი გარეთ გამოშლილიყვნენ ჩვენს გასაცილებლად და მოგზაურთაგან ჩვეული ხარკის — რამდენიმე შილინგის მოსაკრეფად. გზაში ექიმი შემოგვხვდა. ისა და მისი ცოლი ცხენებით მოდიოდნენ, გვკითხა, სულ ხომ არ მიემგზავრებითო. „არა-მეთქი“, მოვატყუე, აღარ მინდოდა კიდევ ერთხელ მეთქვა good bye, რაიც ჩვენს „მშვიდობაზე“ მზიარულად არ ისმის.

ქალაქი მალე მივატოვეთ და მუხებისა და ნაძვების ნაცნობ ხეივანში გავგრიალდით, აგარაკებს შორის. მაგრამ ნეტავ რა მაწუხებს ასე გზაში? ზურგით ველარ მივყრდნობივარ უკან: რაღაც მიშლის, ფეხებშიც რაღაც მიდევს. „უკან ნუ მიაწეებით, გეთაყვა, — მეუბნება ნატურალისტი, — თორემ ფრინველს გამიკყულეტო!“ მე ჩემს მხარეზე გადავჩოჩდი და ეკიბაჟის გვერდს დავაპირე მიყრდნობა. „ვაი, ფრთხილად, გეთაყვა! — მყისვე გამაფრთხილა მან, — იქ გველი დევს ქილაში, არ გამიტეხოთ!“ მაშინ ფეხები გავკვიმე. „მოიცათ, მოიცათ! — საჩ-

1 მშვიდობით (ინგლ.)

ქაროდ მომადახა მან, — მანდ მწერებით სავსე შუშის კოლოფია, არაფერი გიშავთ, რომ დაიკავოთ, ხელში მაინც არა გიჭირავთ რა!“ ესლა მაკლდა სწორედ! რა ხათაბალა ყოფილა ნატურალისტთან მგზავრობა! თვითონ ხელში რაღაც კოლოფი უჭირავს, გარშემო სულ ფუთები, ქალაღში შესვეულები უწყვიია, კუთხეში ფოთლები და ტოტები აუჩაჩხავს. კოლონიაში რომ მივემგზავრებოდით, წარმოიდგინეთ, გველს დაათრევდა გზადაგზა, რომელიც კაცმა არ იცოდა, მკვდარი იყო თუ ჯერ კიდევ სული ეღა.

ვინბერგის დაბას რომ მივეუახლოვდით, შიგ შევეუხვიეთ და კაფრთა ერთ-ერთი წინამძღოლის სეიოლოს სანახავად გავემართეთ, რომელიც იქ იმყოფებოდა პატიმრად და გულდაგულ ყარაულობდნენ.

ვინბერგი ჩინებული ადგილია! ერთ დიდ პარკს წარმოადგენს და პატარ-პატარა აგარაკები მხიარულად იჭყიტებიან იქიდან. მიჰყვებით მუხების, წაბლების, ალვების ხეივანს. გაბარდნილ ბაღებსა და ყვავილნარებში თითქმის აღარც მოჩანს სახლები. ისინი ქალაქელების, მეტ წილად ინგლისელ ნეგოციანტთა საზაფხულო ბინებია. გზა მშვენიერია, პაერი შვების მომგვრელი. ხეებს შორის მთებისა და ფერმების პეიზაჟები გამოკრთის. განსაკუთრებით კონსტანის მთა გამოირჩევა, სულ ვენახებითაა დაფარული, მთის ძირას ფერმები და აგარაკებია შეფენილი. ცხენები სწრაფად მიგვაქროლებენ გზაზე.

ერთბაშად გამახსენდა, რომ სეიოლოსთვის რაიმე საჩუქარი უნდა წამელო, ყველას თამბაქო აჯობებდა, მაგრამ რომ არ მქონდა?! „სად შეიძლება ვაჯიღო-მეთქი, ვანდიც?“ ვანდიკმა უსიტყვოდ შეუხვია ერთ ვიწრო ხეივანში და რომელიღაც ქოხის წინ, ჰიშკართან გაგვაჩერა. „რგ რა არის?“ — „ღუქანია“. — „სადა?“ — „აი, აქ“. თუ ასეა, მაშ ეს ღუქანი ვაქრობისა და მალაზიის პირველყოფილი იდეის გამომხატველი იქნება, როცა კაცს ყიდვე-გაყიდვის მოთხოვნილება ბუნდოვნად წარმოუღდა და ამის იდეაც ახლახან დაებადა თავში. ბალახ reet-ის საჩიხის ქვეშ რამდენიმე ფიცარი იყო შეკრული და თაროების მაგივრობას სწევდა. თაროებზე თიხის ჰურქელი, სანთლები, საპონი, ყავა, კიდევ ფართო მოხმარების რაღაც საგნები და ბოლოს, თამბაქო და სიგარები ეღაგა. ყველაფერი ერთად იყო დახორ-

ხოლავებული, ცალ-ცალკე არც ერთი არ შეეხვიათ. „სიგარებს არ მომცემთ?“ — ვკითხე მაღალ-მაღალ, საკმაოდ სუფთად ჩაცმულ ინგლისელს. მან რამდენიმე დასტა მომაწოდა. „სხვა კიდეც არაფერი გაქვთ?“ — ვეუბნებოდი და თან დუქანს ვათვალიერებდი. „Are you of the country?“ (აქაური ხართ?) — მკითხა გამყიდველმა. „არა, რატომ მეუბნებით?“ — „იმიტომაც არ მინახავხართ არასდროს, ლაპარაკში გეტყობათ უცხოელობა. კიდეც რა გინდათ და ან რისთვის?“ — დასძინა თან. „სეიოლოს მინდა რამე ვაჩუქო“, — ვუთხარი და სიგარა გაეაბოლე. ნეტამც არ გამებოლებინა: ასეთი საძაგლობა დიდი ხანია არ მომეწია. „მამ მისთვის ყიდულობთ სიგარებს?“ — უცბად მკითხა მან. „დიახ“. ინგლისელმა ხმაამოუღებლივ წამართვა სიგარის დასტები და ისევ თაროზე შეაწყო. „ამ სიგარებს მისთვის როგორ გააფუჭებს კაცი: ამის ყადრი რა იცის მაგახ, — მერე დაუმატა, — სჯობს, აი, ეს აჩუქოთ“, და შავი ფოთლოვანი თამბაქო მომაწოდა, რომელიც დაპრესილი ფიცარივით იყო მოსაწევად და საღეჭად მომზადებული. „ამაზე უფრო მადლიერი დაგრჩებათ“, — მეუბნებოდა დუქანის პატრონი და ნაწილი მომიგლიჯა. „სულ წავიღებ, — ვუთხარი მე, — ესეც ცოტაა, კიდეც მომეცით“. — „იკმარებს, — გადაჭრით გამომიცხადა ინგლისელმა, — მეტს არ მოგცემთ“. თუ ასეთი ხერხით ივაჭრა, ნეტავ რა გზით ან როდის ფიქრობს ეს ვაჭარი გამდიდრებას.

დაბიდან ნახევარი ვერსის მანძილზე, ერთ შიშველ, კარგად დიდ მოსუფთავებულ მოედანზე პატარა თეთრი შენობა იდგა და გარშემო ქვის გალავანი ერტყა. კარებთან ყარაულები და კიდეც რამდენიმე ჯენტლმენი იდგა. „სეიოლოს ნახვა თუ შეიძლება?“ — ვიკითხეთ ჩვენ. ჯენტლმენებმა ზრდილობიანად დაგვიკრეს თავი და წინკარში შეგვიყვანეს. იქიდან პატარა ეზოში გავედით და რკინის გისოსს მივადექით. გაგვიღეს კარი და შიგ შეგვიპატიყეს. შევედით. პატარა, გალავნით შემორაგული ფართობი ყვითელი ქვიშით იყო მოყრილი. კუთხეში საჩიხე მოჩანდა. შიგ ლოგინები დავინახეთ. ქვიშაზე, შუაგულ მზეში ორი ლეიბი ეგდო, ერთმანეთის მოშორებით. ერთზე სეიოლო იწვა, მეორეზე მისი ცოლი. როცა მიეუახლოვდით და თავი დაეუქნიეთ, სეიოლო წამოიწია, ლეიბზე წამოჯდა და ხელი გა-

მოგვიწოდა. მისი ცოლი ნიდაყვს დაყრდნობოდა და ისე გვიყურებდა. იმანაც პირველმა გამოგვიწოდა ხელი. სეიოლოს თამბაქო და სიგარები მივეცი. მან ჩამომართვა, არც გაუსინჯაღს, რა იყო ქალაღდში შეხვეული, და გვერდით დაიწყო. მერე უსიტყვოდ შევაცქერდით ერთმანეთს. მე აღტაცებით შევეყურებდი მასა და მის ცოლს. ისინი, მგონი, სულაც არ დარჩენენ ჩვენით აღტაცებული. სეიოლო ოცდაათი წლის ვაჟკაცი იქნებოდა, მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ტანადი, მუქი ყავისფერი ჯაეტი და ლურჯი შარვალი ეცვა; ფეხშიშველი იყო და მკერდი მთლიანად მოედლა. ქალი ევროპულ ყაიდაზე გამოჰკრიღ ჩითის კაბაში გამოწყობიღყო, წინდები და ფეხსაცმელები ემოსა, თავსაფარი წაეკრა. ქმარზე უფოო ღია ფერის მოჩანდა. ცხრამეტი თუ ოცი წლისა იქნებოდა. მრგვალ, მოყვითალო-მოშავგვკრემანო სახეზე ღიდრონი, მუქი თაფლისფერი, სიკეთით საესე თვალები ანათებდა, ფეხიც პატარა, ლამაზი ჰქონდა. ისინი ცნობისმოყვარეობით აღევენებდნენ თვალს ჩვენს ყოველ მოძრაობას და ხანდახან ჩაიხითხითებდნენ. წამოდგომას არცა ფიქრობდნენ. გამოლაპარაკება გვინდოდა, მაგრამ თარჯიმანი შინ არ დაგვხვდა. ჩემს ამხანაგს სეიოლოს სურათი ჰქონდა, რომელიც რამდენიმე ღღის წინ გადაედო მისი ფოტოგრაფიდან. ორი სურათი გაუკეთებია, ერთი თავისთვის, ერთი კი ისე, ყოველი შემთხვევისათვის. გამოვართვი სურათი და ჯერ სეიოლოს ვაჩვენე: იმან დახედა და გაღიხარხარა. მერე ცოლს მივეცი. „სეიოლო, სეიოლო!“ — წამოიძახა მან და სიცილით გვიჩვენა ქმარზე, მერე ისევ დახედა და ისევ აკისკისდა. შემდეგ სურათი დამიბრუნა. სეიოლომ გამომართვა და დააშტერდა.

წასვლის ღრო მოვიდა. სეიოლომ ხელი ჩამოგვართვა და აღერსიანად დაგვიქნია თავი. მე სურათი გამოვართვი და მის ცოლს მივეცი, თან ვანიშნე, საჩუქრად გაძღვე-მეთქი. ეტყობა, ფრიად ნასიამოვნები დარჩა, ხელი გამომიწოდა და ღღილით დაგვიქნია თავი. სეიოლოსაც მოეწონა ეს ამბავი. კმაყოფილებით წამოდგა ზეზე და ახარხარდა. ჩვენ გამოვედით და ჯენტლმენებს მაღლობა გადავუხადეთ.

მომაგონდა, რომ ჩემი ამხანაგებიდან ზოგს უკვე ენახულე-ბინა სეიოლო და ამბობდნენ, უშნო ცოლი ჰყავს, როკაპი ვინმეაო, თუ სხვა ასეთები. გამიკვირდა, ქალის შეფასებაშიც რა

სხვადასხვა თვალი ყოფილა-მეთქი! „ნახეთ სეიოლო?“ — ღიმილით გეკითხა ვანდიკმა. „კი, ცოლიც ლამაზი ჰყოლია“, — ვუთხარი იმის გამოსარკვევად, თვითონ რა აზრისა იყო ქალზე. „აბა, რომელი? შვიდი ცოლი ჰყავს“. — „შვიდი? რას ამბობ?“ — „ღიახ, შვიდი; ადიუტანტმა ახლახან ჩამოუყვანა ერთი, მეორე კი წაიყვანა. რიგრიგობით ესტუმრებიან ხოლმე და სამ-ოთხ კვირას ატარებენ მასთან“. მე და ნატურალისტმა ერთმანეთს გადავხედეთ, გავიცინეთ და გზა განვაგრძეთ.

სეიოლო ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი ბელადია. ის ახლანდელ ომში ჩაიგდეს ტყვედ. საქმე ჩამოსახჩობად ჰქონდა, მაგრამ გუბერნატორმა განაჩენი შეუმსუბუქა და სიკვდილით დასჯა პატიმრობით შეუტვალა. მას აქეთ, რაც ინგლისელები კაფრებს ეომებიან, მაშასადამე 1835 წლიდან, ეს ველურები სრულიად ერთნაირად იქცევიან, ერთხელვე შემოდებული სისტემის მიხედვით. შემოიქრებიან ხოლმე კოლონიის საზღვრებში, გარეკავენ საქონელს, გადაბუგავენ ფერმებს, ახალმოშენეთა საცხოვრებლებს და შორს მთებში გაიხიზნებიან. იქ მერე მრავალი ტომი ერთიანდება და თავგანწირვით ომობენ. მაგრამ გაშლილ ადგილზე ჯართან შებმას ერიდებიან, მხოლოდ პატარ-პატარა რაზმებს ესხმიან თავს, ელეტენ, ტყვედ მიჰყაენ და ისევ იმალებიან. ბოლოს, როცა ინგლისელები მიუვალ თავ-შესაფრებშიც მიაგნებენ, მაშინ კი ქედს მოიღრეკენ, დანაშაულს აღიარებენ, ნაწილ იარაღს და საქონელს ჩააბარებენ და დროებით მიწყნარდებიან. გასაძარცვადაც იშვიათად გამოდიან, ისიც თუ შემთხვევა მიეცათ. ველურებს აიძულებენ მშვიდობიან ცხოვრებას მისდიონ, იშრომონ, ვაჭრობა აწარმოონ. ისინიც ყველაფრის პირობას იძლევიან, მერე კი, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, იარაღით მარაგდებიან და ისევ იგივეს სჩადიან. ალბათ კარგა ხანს არ მოელება ამ ამბავს ბოლო. ძალით იმათთან ვერაფერს გააწყობს კაცი. დროთა ვითარებაში, როცა მორთვა-მოკაზმვის, ღვინის სმის, ფუფუნებით ცხოვრების მადა გაეხსნებათ, მაშინ შეიძლება მოითოკონ. მათ თოფის წამალი კი არა, კომფორტი დაამარცხებს. ეს ომები, მე მგონი, ძალიან ჰგავს კავკასიაში წარმოებულ ჩვენს ომებს.

სეიოლოც თავს ესხმოდა რაზმებს, იტაცებდა საქონელს. ხო-

ცავდა დატყვევებულ ინგლისელებს. ხოლო როცა დაინახა, რომ მისი საქმე ცუდად იყო, რომ ადრე თუ გვიან მათ ხელში ჩავარდებოდა, თავისი სურვილით დანებდა ჯარის უფროსს, პოლკოვნიკ მეკლინს და სამხედრო სასამართლოში იქნა გადაცემული.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით საიმონსტოუნს, უფრო მეტად მიპყრობდა ნაღველი. ხოლო ჩვენი რეიდი და ჩვენი შეიარაღებული ფრეგატი რომ დავინახე, უკვე დაცლილი ბრამსტენგებით, გაქიმული ტაკელაჟით, ზღვაში გასასვლელად გამზადებული, უფრო მეტად მომეშხამა გუნება. გაქირვებით მიეჩანჩალეზდით ქვიშიან მარჩხობზე, ზღვის მოქცევა იყო და მარჩხობს ტალღები ეხეთქებოდა. ცოტა ღონიერი ზვირთი რომ მოასკდებოდა — ჩვენი ეკიპაჟის ბორბლებს ხმაურით ესხმოდა ქაფი, ცხენები აფრუტუნდებოდნენ და განზე გაიჭრებოდნენ. „ჰაპლ!“ — დასჭყივლებდა ვანდიკი და კვლავ ზღვისპირის ქვიშაზე დააბრუნებდა.

11 აპრილის საღამოს, მთვარის სინათლეზე, მე, უ[ნკოვსკი] და პ[ოსიეტი] ნავით გავეშურეთ ვ. ა. კ[ორსაკოვთან] ხომალდ რვოსტოკზე“, რომელიც ღუზის ახსნას აპირებდა.

არ მახსოვს, მოგწერეთ თუ არა, რომ ეს ორანძა ხომალდი აღმირალმა ინგლისში იყიდა, ჩვენს ფრეგატს უნდა გამოჰყოლოდა და კეთილი იმედის კონცხზე შემოგვეერთებოდა. ახლა აღმირალი მას წინ უშვებდა ზღვაში.

მთვარიანი ღამე იყო, ზღვა სარკესავით წყნარად კამკამებდა; ხომალდი ნელა მიარღვევდა ტალღებს. ფალსბეის გასასვლელთან კ[ორსაკოვს] დავემშვიდობეთ, რომელსაც კარგა ხანს ველარ ვნახავდით, და ნავზე გადავჯექით. წყალი ისე ფოსფორისებურად ელავდა, გეგონებოდა, ნიჩბები გამდნარ ვერცხლს მიარღვევენო. ჰაერში ზღვის სინესტის სუნი იდგა. ცა ღრუბლებს აქა-იქ დაეფარა, ვარსკვლავები მთვარის შუქს დაეჩრდილა და სუსტად კიაფობდნენ. ყურის ერთი ნახევარი მთვარეს გაეკაშკაშებინა, ნახევარი ჩრდილს დაემალა.

მეორე დღეს 12 აპრილს, ჩვენც გავედით ზღვაში. კარგი, წყნარი დარი იდგა, მაგრამ თურმე ცოტა ხნით.

1853 წ. მაისი.

ონდოეთის ოკეანე

კეთილი იმედის კონცხიდან კუნძულ იავაზე

ქარიშხალი. — წმინდა კვირა. — ოცდაათი დღე ინდოეთის ოკეანეში. — სიცხე. — გრივალი. — ანეერის რეიდი. — საღამო ძაგზე. — ჩინელები და მალაელები.

ნავარაუდები იყო, რომ კეთილი იმედის კონცხიდან დიდი წრის რკალით ვივლიდით: სამხრეთ განედის 38°-მდე ჩავიდოდით და მერე აღმოსავლეთ სიგრძედის 105°-მდე პარალელს გავყვებოდით; იქ კი სამხრეთ განედის 30°-ის გადაკვეთის წერტილამდე ავიდოდით. ფალსბეი 12 აპრილს დავტოვეთ.

ინდოეთის ოკეანემ უარესი პირი გვიჩვენა, ვინემ ატლანტისამ: იქ, მართალია, ძლიერი ქარი ქროდა, მაგრამ ზურგქარი მაინც იყო. აქ კი ძლიერიც გახლდათ, პირქარიც და ბოლოს შტორმადაც იქცა, რასაც ნაპირზე ქარიშხლად ნათლავენ ხოლმე.

კეთილი იმედის განთქმულ კონცხს თითქო რცხენია მოგზაურების წინაშე თვისი გატკბილებული სახელისა და მოვლედ რაცხს თავს ყოველ მათგანს დაუმტკიცოს, რომ ძველად სხვა, უფრო შესაფერი სახელი ერქვა. მართლაც, იშვიათია ისეთი ხომალდი, რომელიც ძველებურ ქარიშხლები ს კონცხთან შტორმში არ მოხედეს.

მე რა ვიცოდი, კონცხი რა მახეს გვიმზადებდა და ნასადილევს საერთო კაიუტაში არხეინად ვიჯექი ბიზან-ანძასთან

დივანზე, რამდენჯერმე კი დაუსტივინეს ყველას — ზემოთ რი-
 ფების ასაკრეფად, მაგრამ აღარ მიკითხავს, რას ნიშნავს-მეთქი.
 „ქარი ამოიქრაო!“ — იძახდა ზევიდან ჩამოსული ხან ერთი, ხან
 მეორე ოფიცერი. ზღვაზე ეს ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, რო-
 გორც ხმელეთზე თქვა: „წვიმს, მოღრუბლულია, თუ მოწმენ-
 დილიაო“. დაიწყო რწევა, საკმაოდ მაგარი — არც ეს ჩავთვა-
 ლე რამედ. ჩვენს მოხალისე ნატურალისტს ჩვეულებისამებრ
 ზღვის სენმა გაუხსენა და მიაშურა საწამებლად. მსახურები
 სკამებს, კიჩებს თუ სხვა საგნებს დასდევდნენ დასაქერად; კაი-
 უტებში ავეჯებს აბამდნენ. წვიმა დაიწყო და კაიუტებში ჩა-
 მოწვეთა. ჩემი ადგილი ყველაზე სამშვიდობო იყო და უკანას-
 კნელ წუთებამდე მას ვებლაუქებოდი. ქარის ღრიალი საერთო
 კაიუტაშიც აღწევდა, ხომალდს უფრო ძლიერად და ძლიერად
 აქანებდა. კლასიკური შტორმი იყო, მთელი თავისი გამონატუ-
 ლებით. საღამოს განმავლობაში ორჯერ ჩამომაკითხეს ზემო-
 დან, სანახავად წამოდიო. მიაშობდნენ, ერთ მხარეზე რომ
 ღრუბლებიდან გამოქრილი მთვარე ანათებს ზღვასა და ხო-
 ნალდს, მეორე მხარეზე თვალისმომჭრელად კაშკაშებს ელვაო.
 ეგონათ, ამ სურათის აღწერას მოვინდომებდი, მაგრამ რადგან
 ამ ჩემს მყუდრო, მშრალ ადგილზე დიდი ხანია უკვე სამი მო-
 ცილე მყავდა, ლამემდე არ ვაპირებდი აქედან ფეხის მოცვლას:
 თუმცა ვინ დამაცალა. საღამოს ათ საათზე . ხომალდი მაგრად
 შეირყა, მოასკდა ზვირთი, ყველა გემბანს დაუარა, რომლებიც
 ისედაც წვიმის წყლით იყო სავსე და ბანის ქვენებში ნიაღვრე-
 ბად ჩამოისხა, ღიად რომ იყო დატოვებული, კაიუტა-
 ში ჩანჩქერივით იქუხა წყალმა, დაესხა მაგიდას, სკამებს, ია-
 ტაკს, ხალხს, არც ჩემი მყუდრო ადგილი დაინდო და არც მე.
 ყველამ ფეხები აიკეცა, ან ვისაც სად შეეძლო გაიფანტა. ჩვენი
 უმცროსი და ყველაზე მხიარული თანამგზავრი ზ[ელიონი] სკამ-
 ზე შეხტა, რომელიდაც კუნჭულიდან კატა დაითრია და ჩვეუ-
 ლებისამებრ ახარხარებულმა ჩანჩქერში შეაგდო. პოლანდიელი
 ბიჭი მწარედ ატირდა, ეგონა, „აღსასრულის დღე მოვიდაო“.
 ბ[არონმა] თავისი კაიუტიდან გამოიხედა და მედლეურებს დაუ-
 ყვირა, წყალი ნეჭის ცოცხით ტრიუმფებში ჩაღვართო. ამ
 წყალში კოჭებამდე ვიდექ და არ ვიცოდი, სად გავექცეულიყავ,
 რა მექნა. ფეხსაცმელები მეცვა. ჩექმებზე ჯერ კიდევ ჩრდი-

ლოეთ ტროპიკებში ვთქვით უარი. მინდოდა ზემოთ ავსული-
ყავ, ჩემს ან კაპიტმის კაიუტაში და ველოდი, წყალი როდის
დაიკლებდა.

— აქ რას დგახართ? ზემოთ წამოდით, — მითხრა ნ. ნ.
ს[ავიჩმა], გვერდით რომ ჩამიარა, ხელი მტაცა და სირბილით
წამათრია.

კიბეებზე ისევ ნიაღვარი ჩამოდიოდა, მაგრამ მუხლამდე
წყალში ვიყავი და აღარ მედარდებოდა, მშრალზე ვადგამდი
ფეხს თუ სველზე. ზემოთ ავედით; საშინელი წყვდიადი იდგა,
ქარი კიდევ უფრო საზარლად ღმუოდა; ვერ ვხედავდი, სად
მივდიოდი. უცბად იელვა, გაანათა ზღვა, გემბანზე დამდგარი
ტბა, შექუჩული ხალხი, რომელიღაც გემსართავს რომ ეწეოდ-
ნენ, და რწევაში ხელისმოსაკიდებლად გაქიმული ლეერები.
მიეტოპავდი წყალში თოკებს შორის, გაეარღვიე ხალხი, ძლივ-
ძლივობით მივალწიე ჩემს კაიუტას, იქ კნებტს მოვექიდე, რომ
სადმე არ მივეხეთქებინე, უფრო მეტად ზარბაზანზე მიხეთქე-
ბის მეშინოდა და ნაქებ-ნადიდებ ქარიშხალს დავუწყე ცქერა.
ელვა ჩვეულებრივი იყო, ოღონდ გრუხუნნი არ ახლდა, ან იქნებ
ქარი ახშობდა ხმას. მთვარე არ ჩანდა.

— მთვარე სადაა? ჩქარა მთვარე გამიჩინეთ, — ვუთხარი
პაპას, რომელმაც ამას წინ ჩამომაკითხა, ზევით წამოდითო.

— უკვე ამერიკაში წაბრძანდა, — მითხრა მან. — ბარემ
ხვალამდე დარჩენილიყავით კაიუტაში!

სხვა რა გზა იყო, მარტო ელვა უნდა მეკმარა. ის კი წარა-
მარა სერავდა ცას, ლამის ანძებსა და იალქნებს შეხებოდა, იმ-
დენად ახლოს იყო ჩვენგან. ხუთი წუთი ვუცქირე ელვას,
წყვდიადსა და ტალღებს, რომლებიც თავგამოდებით მოძვრე-
ბოდნენ ქიმზე.

— რა სურათია, არა? — მკითხა კაპიტანმა. ეგონა, ალტა-
ცებისა და ქების სიტყვებს დამაფრქვევივინებდა.

— საძაგლობაა, უწესრიგობა! — მივუგე მე და თავიდან ფე-
ხამდე ამოლუმპულმა კაიუტას მივაშურე ფეხსაცმლისა და
საცვლების გამოსაცვლელად.

მაგრამ ამ რწევაში, ისიც ფადევეის დახმარების გარეშე,
ეს არც ისე იოლი გამოდგა. ფადევეი კი ალბათ სადმე ბრა-
სებზე იდგა, ან ზევით, ქანდარებზე იმყოფებოდა. სად რა

უწყო, მხოლოდ მან იცოდა. ხან ერთი უჯრა გამოვალე, ხან მეორე, უჯრები კი გარეთ მოძვრებოდნენ და მეჯახებოდნენ. სკამზე დაჯდომას დააპირებ — ხომალდი შეტორტმანდება და სულ სხვა ადგილას მოხვდება. ისევ დაეწევი და დავიძინე. ქარი ცოტა დაცხრა, ზურგქარი ამოიჭრა და ხომალდმაც სვლას მოუჩქარა.

მეორე დღეს ოდნავ იყუჩა ამინდმა, მაგრამ ხომალდს მაინც არწევდა, ასე რომ, ვნების კვირაში ჩვენს ეკლესიაში წირვა ველარ შედგა. ვნების კვირის დანარჩენმა დღეებმა და აღდგომის დილამ მშვიდობით ჩაიარა. საოცარია, რომ ამ დღეს პეტერბურგის მერიდიანზე აღმოვჩნდით.

— განა არ ეტყობა, — შენიშნა ვილაყამ, — წვიმა ჰეშმარიტად ჩვენებურად ასხამს.

მგონი, ეს პირველი მართლმადიდებელ ეკლესიის წირვა იყო სამხრეთ ნახევარსფეროში, ზღვაზე, ეს-ესაა ჩამდგარ ქარიშხლის შემდეგ. აღდგომის პირველ დღეს, როცა აღმირალთან ვისხედით სადილად, უცბად ტკაცანითა და ზრიალით გამოვარდა ნახევარპორტიკიდან ჩარჩო, ლუქმა-ლუქმად დაიმსხვრა შუშა, ნეპტუნივით ჰალარა, ქოჩორა ზვირთი კაიუტაში შემოიჭრა და იატაკს მოესხა. ბევრი მაგიდიდან წამოიჭრა, მარტო სამმა ვივაჟაკეთ და სუფრას შევრჩით. ერთ ხელში თეფში მეჭირა, მეორეში ღვინით სავსე ჭიქა. ფეხები ავიკეცეთ. მეზღვაურები შემოვიდნენ და დაუპატიჟებელი სტუმარი ნეჰის ცოცხებით უკანვე გააბრძანეს.

ოცდაათი დღე დაყავით ინდოეთის ოკეანეში. საკმაოდ ერთფეროვანი მოგზაურობა მოგვიხდა. მაისის დასაწყისი არც აქ ყოფილა უკეთესი: ცა ნიადაგ მოღრუბლულია; მზე იშვიათად გამოჩნდება. არც ცივა, არც თბილა. ზოგიერთებმა მაუდის პალტოები ჩაიცვეს და ჰკვიანურადაც მოიქცნენ. მე გავჯიუტდი, საზაფხულოდ გამოწყობილი დავდიოდი, სამაგიეროდ კბილებმა და საფეთქელმა არა ერთხელ მაწამა. ელოდნენ, ზუილ-ვესტის ქარები ამოიჭრება და დიდი ღელვა იქნებაო, ამ უზარმაზარ აუზში კი, პოლუსიდან მოყოლებული წინ რომ არაფერი ელობებოდა, ღელვა თავისუფლად გაშლიდა ფრთებს; მაგრამ ჩრდილოეთის ქარი ქროდა, ჩვენთვის დიახაც ხელის შემწყობი. საათში ჩვიდმეტ, ხანდახან ოც ვერსსაც გავ-

დიოდით. ამ ამბავმა იმდენად გაგვანებებინა, რაწამს ათსა ან თორმეტ ვერსამდე ჩამოვიდოდა სიჩქარე, უკვე ბუზღუნს შეეკნინდით ხოლმე. ღელვაც არც ისე ძლიერი იყო, რომ სიცოცხლე გაემწარებინა, მაგრამ ოკეანე მაინც საკმაოდ შფოთავდა და კითხვის გარდა სხვას ვერაფერს ვახერხებდით.

ახლოდან თუ შორიდან ბევრი ვეშაბი დავინახეთ, ფრინველების ბევრი გუნდი ვიხილეთ, რომლებიც რუკის ბრძანებით განედლოა თუ სიგრძედის ამა და ამ გრადუსზე უნდა მსხდარიყვნენ და მართლაც იქ ისხდნენ: სულ ალბატროსები, თოლიები თუ სხვა ზღვის ფრინველები იყვნენ, აღმოსავლეთ სიგრძედის 77°-ზე მდებარე ამსტერდამისა და წმინდა პავლეს უდაბურ, კლდოვან კუნძულებიდან. იმათ ღამით ჩავუარეთ გვერდი. ბოლოს ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ ავიწიეთ და სიგრძედის 105°-ისა და განედის 30°-ის გადაკვეთის წერტილს მივადწიეთ. 10 მაისს კი თხის რქის ტროპიკი გადავჭყერით. ეგონათ, პასატი ამოიჭრებოდა, მაგრამ სუფთა S ქროდა და მხოლოდ 18°-ზე გვიწია პასატმა.

ამ ტროპიკების დიდი იმედი მქონდა, მეგონა, ატლანტის ოკეანესავით აქაც ზომიერი სიცხე დაგვხვდებოდა, ქარიც თანაბრად, გამუდმებით იქროლებს, მუდმივი ზაფხულის ფანტასტიკური ღრუბლებით მოხატულ ღია ცის და ლურჯი ზღვის უშფოთველ სამეფოში მოვხვდებით-მეთქი. მსგავსი არაფერი ყოფილა: ქშუოდა ქარი, გვარწევდა ზღვა და ნახევარბორტიკები მუდამ დაკეტილი გვქონდა.

— ეს რაღაც სხვა ტროპიკებიაო! — მითხრა ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა, რომელიც უკრაინაში დიდხანს იყო ნაცხოვრები, ისიც ალბათ ჩემსავით ელოდა, მადერადან კეთილი იმედის კონცხამდე რომ ვიმოგზაურეთ, ახლაც ისეთი მოგზაურობა გვექნებოდა.

მართალია, ჩრდილოეთიდან მონაბერი ქარი ზოგჯერ სიცხესაც შემოგვაფრქვევდა, მაგრამ ის უფრო აბანოს სულის შემხუთველ ოხშივარს ჰგავდა, ვინემ ნერვებზე საამოდ მოლიტინესა და მოლამუნეს. წვიმა ზოგჯერ კოკისპირულად ასხამდა, მაგრამ ჰაერს სულაც არ აგრილებდა, მარტოოდენ ასველებდა და ნესტით ჟღინთავდა ყველაფერს.

13 მაისს შობის უდაბურ კუნძულს ჩავუარეთ, რამაც ცოტაოდენ ჩვენი გობლანდი მომაგონა.

აგერ უკვე მზემაც გამოაქყიტა, თუმცა კი სჯობდა, არ გამოსულიყო. თეთრი პალტოებისა და ქუდეების ყამი დაგვიდგა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ნაპირს, პაპანაქებამ მოუჭირა. გამოჩნდა იავას ნაპირი, დავაპირეთ, ზონდის სრუტეში შევსულიყავით, იავასა და ორი მილის სიგანე, წითელი ხის ტყით დაფარულ პრინცის კუნძულს შუა. ამ პატარა კუნძულზე ორისამი სოფელია მხოლოდ; მაგრამ დინებამ შორს წაგვიღო. ჰიმკრის ნაცვლად ისევ დიდი ალაყაფის კარით შევედით. სრუტეში შესვლისას მკვდარ ზონაში მოვხვდით. წყალი სარკესავით კამკამებს, ცა მშვიდად დასცქერის ზემოდან — ერთმანეთის ჰვრეტით ვერა ძღებთან: მთელი ბუნება გალურსულა, სუნთქვა შეუჭრავს. ნაპირი მშვანე არშიად ჩანს. ვითომ რაღა უნდა ინატროს კაცმა? ვეღირსეთ სიმშვიდესა და სითბოს; მაგრამ ასეთ სითბოში კაცი ქალაქგარეთ, აივანზე უნდა იჯდეს, დაბურულ ხეების ჩრდილში და არა იქ, ამ გაგანია სიცხეში, როცა ჩრდილში რეომიური 25°-ს აჩვენებს. არც ბანაობა გვშველის რასმე: წყლის ტემპერატურა 20—22°-ია, სულაც არ გავრილებს. სუნთქვა გიჭირს, დაწეები — თმა და სახე ოფლით გისველდება. „ეს რაღაც სხვააო“, — გაიძახის ჩემი უკრაინელი და სახეს იშმენდს.

დიდებული ღამეები იყო, თუმცა სიგრილე მაინც არ მოჰქონდა. ყოველდამ ცისკიდურის ყოველ კუთხეს ციაგი აკაშკაშებდა. ცა შეტისმეტი სიცხით ითანგებოდა. სადამოს რაღაც ატომები მტვრის კორიანტელივით დაქროდნენ ჰაერში, ვითარც თესლნი და ჩანასახნი მცხუნვარე, ნაყოფიერი ძალისა, რასაც ასე უხვად აღვრიდა ზღვასა და დედამიწას მზის სხივები და ცოტა არ იყოს კაშკაშა ციაგს ფერს უკარგავდა. ხშირად ვხვდავდით დასალიერზე გასრიალებულ მეტეორებს. ამ ჰაერში ბუნება თითქო ადამიანის ცხადლივ, დაუფარავად ეწევა შემოქმედებით პროცესს; აქ უცოდინარ თვალსაც შეუძლია დააკვირდეს, როგორ იქმნება, იზრდება და მწიფდება მისი სასწაულები; გაიგონოს, როგორ ამოდის ბალახი. მისი შემოქმედებითი ოცნებანი ესოდენ აშკარაა, ვითარც მხატვრის სახეზე ზეშთაგონებული ფიქრები. ვინძლო ჩვენც გავიგოთ, როგორ ამოდის — თუნდაც ტკბილი კარტოფილი თუ თამბა-

ქო. ღამღამობით რეომიური დღის ტემპერატურაზე მხოლოდ ერთი გრადუსით ნაკლებს აჩვენებს.

ერთხელ გასავათებული კაპიტნის კაიუტში დივანზე ჩამოგჯექი, უნებლიეთ ჩამძინებოდა. ყვირილმა გამომალეიქა — გნახე, გარეთ სინათლე იყო. რომელი საათია-მეთქი, ვიკითხე. ექვსიაო, მითხრეს. „ზარბაზანი ყუმბარით დასტენეთ!“ — გაჰყვირის მევახტე. „ნეტავ ვის უმიზნებენ-მეთქი?“ — გავიფიქრე. ამ დროს ვახტიდან ჩამოვიდნენ და თქვეს, რაღაც მოჩანს, ღმერთმა არ იცის, გემია თუ რაო. ავეარდი ზემოთ, ზარბაზანზე ავხტი, გავიხედე: ახლო, ნახევარ ვერსის მანძილზე, რაღაც მოჭრის ჩვენსკენ — მართლაც „ღმერთმა იცის, რაა“: შავი კვამლის დაკლაკნილი სვეტია, რომელიც, მგონი, გემსაც უნდა ჰგავდეს; მაგრამ ციდან, ღრუბლიდან, მისკენ რაღაც შავი ვიწრო ზოლია გამოწვდილი სახელოსავით; აი, თანდათან მოახლოვდა. „ზარბაზანი მზადაა?“ დაიყვირა მევახტემ. „მზადაა!“ — ასძახეს ქვემოდან. მაგრამ სვეტი ნელ-ნელა გაუფერულდა, დაიშალა და მალე ჩვენგან ას ორმოცდაათი საყენის მანძილზე უკვალოდ გაქრა. ცნობილია, რომ გრივალს ანუ წყლის სვეტს ხომალდებიდან ყუმბარებს ესკრიან და შლიან, თორემ ხომალდს რომ დაეჯახოს, შეიძლება ან რანგოუტი გატეხოს, ან იალქნები დაგლიჯოს. ყუმბარა კი მათ შლის და წვიმის ნიაღვრებად აქცევს. ამის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ წავაწყდით ამ მოვლენას, მაგრამ არ მოახლოვებულან.

ქარი არ ქროდა, ამიტომ ორი დღე თითქმის ერთ ადგილზე ვიდექით. ბოლოს, 17 მაისს, ჩვენი სტილით, პატარა ნიავი ამოიჭრა, ჩვენც მწვანეში ჩაკარგულ დაბლობ ნაპირს ჩავეუარეთ, ანუერის რეიდს მივადექით და ღუზა ჩავეუშვით. რამდენიმე საათის შემდეგ აქვე დადგა ესპანური სატრანსპორტო ხომალდი, რომელსაც ჯარის რაზმეული მანილაში გადაჰყავდა.

ძალიან მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ისეთ ნაპირს მივადექი, რომელსაც არავითარი წარსული და ისტორია არ გააჩნია. აღარ მჭირდება წიგნების ქექვა და ცნობების ძებნა, რა არის მერე თქვენ დიდის ამბით გაუწყოთ, რომ ქალაქი თუ სახელმწიფო ამა და ამ დროსაა დაარსებული, ამა და ამ საქმეს მისდევს და ა. შ. რას წარმოადგენს ანუერი? ერთი მალაური სოფელია, ეამთა ვითარებისაგან დაცული. მისი სახელი ჯერ კი-

დევ ტუნბერგს აქვს მოხსენიებული. მას შემდეგ აქ არაფერი შეცვლილა. ანეერის რეიდზე წყლის ასაღებად, მწვანილის მოსამარაგებლად დგებიან ხომალდები, რომლებსაც ბატავიაში წასვლა არა სურთ. იქ ხომ მომაკვდინებელი ციება მძვინვარებს, განსაკუთრებით უცხოელებისათვის საშიში. ბატავიამდე აქედან ერთი დღე-ღამის სავალი ყოფილა, ხმელეთის გზით. გულით გვეწადა იქ გამგზავრება. ერთი დღე დავრჩებოდით და უკან დავბრუნდებოდით. ვიფიქრეთ, ალბათ გზაც იქნება გაყვანილი და ეკიპაჟებიც მოხერხებული-თქო. თურმე მსგავსი არაფერი ყოფილა. ანეერიდან ბატავიაში ფოსტა ორ კვირაში ერთხელ დადის. ფოსტალიონი ცხენით მგზავრობს.

— ეკიპაჟის დაქირავება თუ შეიძლება? — ვიკითხეთ ჩვენ.

— დაქირავება არა და მუქთად კი შეიძლება იშოვოთ, — გვითხრეს მალაელებმა.

— რა გზა გვაქვს, თუნდაც მუქთად იყოს, ჩვენთვის სულ ერთია. ვის მივმართოთ?

— კომენდანტს კალიასკა აქვს, საბაჟო მოხელესაც: რომ სთხოვოთ, დაგიტმობენ.

— ახლავე წავალთ იმათთან.

— ისინი ახლა ანეერში არ იმყოფებიან: ქალაქში არიან წასულები, ბატავიის გზაზე, ანეერიდან სამი საათის სავალზე.

— როდის ჩამოვლენ?

— ხვალ ან ზეგ.

ასე რომ, იმედები ჩაგვეფუშა.

ამასობაში ბევრი მალაელი და ინდოელი შემოგვეხვია გარშემო. მოყავისფრო-მოწითალო ფერის ნახევრად შიშველ ადამიანებს ფრეგატთან მოეყენებინათ ნავები. ზოგი უქუდოდ იყო, ზოგს კონუსური ბამბუკისა თუ კუს ქუდები ეხურათ. ყველანი გაჰკიოდნენ. ერთი მაიმუნს გვიჩვენებდა, მეორე მარჯნითა და ნიჟარებით სავსე კალათას, მესამე ანანასებისა და ბანანების გროვას, მეოთხე ცოცხალ კუსა თუ თუთიყუშებს.

აუტანელი სიციხე დგას; გალურსულა ჰაერი, გაყუჩულა ზღვა. ჰაელიც კი არ არხევს ზღვას, სარკე თუ ვერცხლის წყალი გეგონება. სრუტე და ორივე ნაპირი დილის მზის ქვეშ საოცარი სანახავია. რა ნაზი, რა რბილი ფერები აქვს ცასა და ზღვას, რა სიამით უცქერის თვალი. რარიგ თვალისმომკრელად

ცივლიგებს მზის სხივები წყალში, რა ფერებად გადადის! ერთ ადგილას ზღვა ოქროსავით ბრწყვიალებს, თითქო გავარვარებულ ნაკვერჩხლებს გააქვს ბრიალიო; თვალს ვერ გაუსწორებ. მოშორებით ცისკიდურამდე გადაჭიმულა ლაევარდოვანი ზედაპირი. კამკამა წყალში კარგა სიღრმეზე იჭრება თვალი. მიწა სადაა, ბატონებო: სულ ტყეები და ბაღნარებია, ჯაგრისებოვით ხშირი და სქელი. ხეები ნაპირიდან წყალში ჩამოსულა და იქ ერთმანეთს ჩაპხუტებია. ბაღების გაღმა, შორს, მაღალნი მთანი ჩანან, მაგრამ აფრიკასავით კუშტი, გადახრაკული არ გეგონოთ, სულ ტყეებითაა შეფენილი. მარჯვნივ იავას ნაპირია, მარცხნივ, სრუტის შუა, მწვანე კუნძული, უკან კარგა მოშორებით ლურჯად ლივლივებს სუმატრა.

ჩვენები ნაპირისკენ გაექანენ. მე კაპიტანმა შემთავაზა წაყვანა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, როცა ხომალკზე საქმეს მოათავებდნენ. ბოლოს, საათის ორზე სამნი გავეშურეთ. ნაპირამდე ორი ვერსი იქნებოდა. ასიოდე საყენი რომ გავიარეთ, უცბად დავინახეთ, რომ ჩვენი მეზღვაურები წყლიდან ზვიგენს მოათრევენ და ზარბაზნებამდე ამოსწიეს უკვე. „ერთი წუთით მივბრუნდეთ და ვნახოთო“, — მითხრეს ამხანაგებმა. არ მინდოდა დაბრუნება: ნაპირი უფრო მიზიდავდა და უგუნებოდ წამოვედი უკან. მაგრამ ნავის მობრუნებაც ვერ მოვასწარი, რომ ზვიგენი მოწყდა და წყალში მოადინა ზღართან. ჯანდაბის გზაც კჭონია! გამიხარდა და გზა გავაგრძელე. მალე მღვრიე, ვიწრო მდინარეში შევედი, სადაც ქვის ნავმისადგომი იყო.

მარჯვნივ დიდი, დაბალი აგურის შენობა დავინახეთ, გარშემო მიწაყრილი ევლო და ზედ მცირე ყალიბის რამდენიმე ქვემეხი იდგა. შენობაზე ზანტად ეკიდა პოლანდიური დროშა. ალაყაფთან მძინარე ბუხებივით ძლივძლივობით დაღოდავდნენ პაპანაქებისგან ქანცგამძვრალა თოფიანი ყარაულები. ეს ციხე-სიმაგრე და კომენდანტის სადგომი გახლდათ. აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. შენობის მარცხნივ, მდინარის გაღმა ხეებში ქოხების რიგი მოჩანდა, ქოხების იქით თუ პირდაპირ ტყე იყო, ციხე-სიმაგრის მარჯვნივაც ტყეს დაინახავდი. ციხე-სიმაგრის ეზოში შევედი: მას ორმხრივ გასავალი კჭონია. იქიდან საკმაოდ განიერ გზაზე გამოვედი და გაუვალ ტროპიკულ ტყეში ამოვყავით თავი. ქოქოსის პალმების

ბრკვეიალა დეკორაცია ხან მწკრივად მისდევდა ერთმანეთს, ხან ჯგუფ-ჯგუფად იდგა ბუჩქებთან გადახლართული და თვალგაუტან მწვანე ტევრს ქმნიდა.

უცქერ ამ მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ დედამიწას და ვერ წარმოგიდგენია, ამაზე მეტი მოკაზმვა თუ კიდევ შეიძლება. ვინ დაიჯერებს ამ ტყეების ნახვისას, რომ შემთხვევას განულაგებია ხეები ასე. აქ პალმები და ბუჩქები თითქო წინასწარი გეგმის მიხედვით შენაცვლებია ერთმანეთს; იქაც თითქო განზრახ დაუტოვებიათ მდელი თუ პატარა ქაობი, მსხვილი, ყვითელი ბამბუკით დაფარული, რისგანაც ჩვენში ესოდენ ლამაზ ხელჯოხებს აკეთებენ. შეხედავ პალმებს, თითოეული რაღაც თავისებური სილამაზით გამოირჩევა! აგერ, ერთს კეკლუცად დაუხრია თავი; გრძელი ფოთლები სწორად დავარცხნილ თმსავით ჩამოჰყრია წელზე; ფოთლების ქვეშ უზარმაზარი კაკლების მძიმე მტევნები შეფარულა. ყოველივე თითქო ადამიანის მზრუნველ ხელს მოურთავს, ყოველი შტოს, ფოთლის, თუ სულ პატარა წვრილმანის შექმნაზე დიდი შრომა და სიყვარული დაუხარჯავს. სინამდვილეში კი ადამიანი თითქმის არც შეხებია მათ. საწყალ მალაელს მხოლოდ ახლა დაუწყია ახლების გაკაფვა და ნადირს ადგილ-საცხოვრებელს გლეჯს. ჩვენ ვნახეთ ტყის სიღრმეში მივარდნილი ახალი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ქოხები, პალმების ძირას, პალმის ხისაგან აშენებული და პალმის ფოთლებითვე დახურული. ქოხებისკენ ახლად გაკვალული ბილიკები მისდევდა. მივდიოდით ტყეში, ყოველ ჩქამს, მწერების ბზუილსა თუ უცნობ ფრინველთა ჭახხახს ვაყურადებდით და ერთმანეთს ვაფრთხოვდით.

„ვეფხვიო!“ იძახის ერთი. „გველი!“ — ამბობს მეორე. ყველა უნებურად მოვეტრიალდებით და მერე საკუთარ თავს დავცინით.

დავაპირე საყმაწვილო იგავი მომეგონებინა მატყუარას შესახებ, მაგრამ რაკ პირველმა მე ვიცრუე, ჰკუთის დარიგება აღარ შემფერებოდა. თან დროც იყო სოფელს დავბრუნებოდით. ერთი საათი ვიარეთ სულ პირდაპირი გზით, ხეების ჩრდილში. მსუბუქად, თავიდან ფეხამდე თეთრები გვეცვა, მაგრამ მაინც დავცხა. გამობრუნებისას რამდენიმე მალაელი ქა-

ლი და კაცი შემოგვხვდა. უცბად ნაცნობი. ხმები მოგვესმა. ტყეში მარჯვნივ ავიღეთ გეზი, საიდანაც ხმები მოდიოდა, და განიერ მინდორზე გამოვედით.

ჩვენები ყველანი იქ დაგვიხვდნენ. მაგრამ ნეტავ რას აკეთებენ? მინდორს ისევ ის მღვრიე მდინარე ჩაუდის, ნავით რომ შემოვედით, ამ ველზე რკალივით უხვევს და ხშირ ბალახებსა და ბუჩქებში იმალება. ირგვლივ აქა-იქ პალმის ხეები დგას. ჩვენს სამსა თუ ოთხ თანამგზავრს პალტოები და ყილეტები გაეხადათ, პალმის ქვეშ დამდგარიყვნენ და ქოქოსის კაკლების ჩამოყრაში იწაფავდნენ ხელს. ყველაზე მეტ სიბეჯითეს პ. ა. ზ[ელიონი] იჩენდა, ჩვენი თანამგზავრი კაპის კოლონიის დავალიერებაში. სხვები ირგვლივ შემოხვეოდნენ და კაკლების ჩამოცვენის მოლოდინში ხელში შესცქეროდნენ. მათი ყვირილი და ხარხარი მთელ ტყეს ეფინებოდა. იქიდან ორმოცდაათ ნაბიჯზე, ხშირი ბალახით დაფარულ ნაპირზე, მუხლებამდე შლამში ჩამდგარიყო ორი კამეჩი. თავდახრილები დაკვირვებით, გაუბედავად გამოსცქეროდნენ შექუჩულ ხალხს და ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. პოზასა და დაძაბულ ყურადღებაზეც ეტყობოდათ, რომ ამ ამბავმა მოულოდნელად შეისწრო. ახლა ხელსაყრელ დროს ყარაულობდნენ, რომ აქაურობას გასცლოდნენ. მაგრამ სად უნდა წასულიყვნენ: გინდ მარჯვნივ, გინდ მარცხნივ, სულ ერთია მაინც ხალხის შუა უნდა გაველოთ, ან არადა ისევ მდინარეში ჩაეტოპათ.

ბოლოს ერთი კაკალი ჩამოვარდა, მეორე, მესამე. დაგვინახეს თუ არა, ყველანი ჩვენსკენ გამოქანდნენ და ერთად აყაყანდნენ.

— ნიანგი ვნახეთ! — ყვიროდა ერთი. — აი. ამხელა! — იძახდა მეორე და ხელებს შლიდა.

— რა საზარელი იყო! რა კბილები ჰქონია!

— აბა სადაა? — ვკითხეთ. ჩვენ.

— აი, აი, აქ, — და პატარა ხიდისა და მდინარისკენ წაგვათრიეს.

— ხიდზე ავედით თუ არა... — დაიწყო ერთმა.

— არა, ჯერ აი იქ ვიყავით... — ამბობდა მეორე.

— არა, არა, ბატონებო, მე ყველაზე პირველმა დავეინახე;

თქვენ ჯერ იქ, სოფელში იყავით, მოიცათ, მე ყველაფერი ვნახე, ყველაფერზე დალაგებით გაიმბობთ.

— მაშ სადღა გაქრა?

— ბუჩქებში შეძვრა, აი აქ, — აყაყანდნენ ყველანი და ხიდის მახლობლად ბუჩქებზე მიგვითითეს, რომელსაც მთლად დაეფარა ნაპირი.

— ჯერ წყლის ზედაპირზე გამოჩნდა, მერე ხიდის ქვეშ გასრიალდა. ჩვენ ავყვირდით და გამოვეკიდეთ; შეშინდა და აქეთ გაიპარა. აი, აი, სწორედ ამ ადგილზე...

— ალბათ ხელიკი იქნებოდა! — შევნიშნე ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილმა, რომ ნიანგი ვერ ვნახე. პასუხის ღირსი არავინ გამხალა.

— წამოდით, ბუჩქებში მოვძებნოთ! — ვეპატყებოდი მე, თუმცა ადგილიდან ფეხს არ ვიცვლიდი. არც სხვები აპირებდნენ გამოყოლას. ბუჩქები ისე გადახლართვოდა ერთმანეთს და ისეთი საეჭვო იერი ჰქონდა, რომ სანაძლეოს დავდებდი, ნიანგი თუ არა, გველი უეჭველად იქნებოდა და ისიც ერთი კი არა: იავაზე უამრავი გველი ბუღობდა.

— აფსუს, ნიანგი რომ ვერ ნახეთ! — მითხრა ერთმა ჩვენმა ყმაწვილმა თანამგზავრმა, რომელსაც ძალზე უნდოდა ჩემთვის დაეცდინა, ნიანგი არ იქნებოდაო.

— მერე რა, პეტერბურგში რომ დავბრუნდები, ზამთან ვნახავ, — ვთქვი მე, — იქ პატარა ნიანგი ჰყავთ, მანამდე ალბათ წამოიზრდება.

სოფლისკენ წავედით. ქოხები ყველა ბამბუკისა იყო, პალმის ფოთლებით დახურული და გომურებს ძალიან მიაგავდა.

ქოხებს სარკმელი არ ჰქონდა, ან რა საჭირო იყო: კედლებიდანაც მშვენივრად მოჩანს, რა ამბავია გარეთ, სამაგიეროდ გარედანაც დაინახავ, შიგ რა ხდება. თუმცა შიგ დიდი არაფერი ამბავი ხდება: ან მალაელი იქნება ჭილოფზე გამხლართული, ან გოგო-ბიჭები გოჭებივით დაყრილი.

მალაელები თითქმის დედიშობილა გამოფენილან ქუჩაში; თითო-ოროლას თუ აცვია შარვალი. სხვებს ხამი ქსოვილის ნაჭერი მოუგდიათ მხრებზე ან წელზე შემოუხვევიათ და ამით დაკმაყოფილებულან. პირი ყველას თითქო გასისხლიანებული

უჩანს ბეტელის წყალობით, რომელსაც ღეკენ და რომელიც ნუნებს აღიზიანებს. გზად პატარა ბაზარს გადავეყარეთ. მდინარის პირას ტროპიკულ ხეებში ყველაზე დიდებული ბანიანი იდგა. ხის ტანს უამრავი მკიდროდ შეზრდილი ფესვები შეადგენს და თავზე სქელი, პრიალა ფოთლების მუქი მწვანე ქუდი ეხურა. ტოტებიდან ვერტიკალურად ეშვებოდა მცენარეული ძაფები, რომლებიც ნიადაგში კვლავ იდგამს ფესვებს და იქიდან ახალი ხეები იზრდება. ნება რომ მისცე, მთელი ნიადაგი მცენარეულ სამეფოს ამ გოლიათებით დაიფარებოდა და სხვას არას გააქაჟანებდა. ანეერის ბანიანის ტოტები მთელს ბაზარს გადახურვოდა თავზე. ორმოცდაათამდე კაცს ფეხი მოერთხა კილოფებზე, ჰყიდდნენ ბანიანის ფოთლებზე დაწყობილ გამზადებულ ბეტელს, რაღაც წყლის ნაყოფს, კაკლებს თუ რკოებს რომ ჰგავდა, თევზსა და თამბაქოს.

ბინდი სწრაფად გამეფდა. ცა დაფიონსა და ატომებს მიებნინდა; ღრუბლის ფიორიც არ ჩანდა ზედ. გავიარეთ სოფელში. პირველად ვნახეთ ჩინელები, ჯერ პატარა ბიჭები შეგვხვდნენ, ნახევრად გადანოტრილი თავით, მერე დედაბრებიც დავინახეთ. თმა ზვინად დაედგათ თავზე და ბრინჯაოს დიდი ქინძისთავით დაემაგრებინათ. ნავმისადგომზე ესპანელები შემოგვხვდნენ, სატრანსპორტო ხომალდიდან სასეირნოდ გადმოსულიყვნენ. მივესალმეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ (აქ ამინდზე არ ლაპარაკობენ), გამოვკითხეთ მოგზაურობის მიზანი და მერე დავშორდით. ჩვენ ღუქანში შევედით: დიახ, აქაც გახლავთ ღუქანი, რა თქმა უნდა, ჩინელებისა. წარმოიდგინეთ, რომელიმე ჩვენი სამაზრო ქალაქის ღუქანი, ანეერისეულიც ზუსტად ასეთია. აქაც სანთლებს, საპონს, ბანიანების კონას, როგორც ჩვენში ხახვის კონები იციან, ჩაის, შაქრის ლერწმს და ფხენილს, ყუთებს, კოლოფებს, სარკეებს თუ სხვა მისთანებს დაინახავ. შიგ ჭადარა ჩინელი ვაჭარი ზის, თავზე კიკინით, ცხვირზე სათვალით, ლურჯი ხალათითა და წაღებით, ორი ნოქარიც ტრიალებს, იმათ შავი გველებივით გრძელზე გრძელი კიკინები სცემთ ზურგზე. ჩამოგრძელებული, ფერმკრთალი, შავგვრემანი, ჩამომკვნარი სახეები აქვთ. თითებზე ბრჭყალებივით წამოზრდიან ფრჩხილები. ყველა ჩინურად, მალაურად და ინგლისურად ლაპარაკობს, ჰოლანდიურს ვერსად გაიგონებ. რა

ხანია, ინგლისელებს იავა ეკავათ. მერე რა ცოტა ხნით, მათი კვალი კი დღესაც არ წაშლილა აქ!

თითო ფინჯანი ჩაი მოგვართვეს. რომ გავიგეთ, ლიმონის სიროფიც ჰქონდათ, გაშმაგებით მივეტანეთ ლიმონათს. იშვიათი ნივთების მოტრფიალეებმა გრძელი ხელჯოხები, ნიჟარები თუ სხვა მსგავსი რამ იყიდეს. მერე პარტიებად დავიშალეთ და სოფელსა და მის მიდამოებს მოვედეთ. შუკებში ისეთივე ქოხები იდგა, მეტწილად ბოძებზე შეყენებული, სინესტისა და მწერებისგან თავდასაცავად. ქოხები ბანანების, ქოქოსის პალმებისა თუ არესის ხეებს შეჰყუყუვოდა. მალე ქოხები დამთავრდა, ერთ უზარმაზარ, ალბათ საქონლისთვის შემოღობილ მინდორზე გამოვედით და მერე ჭაობსა და ვეებერთელა, ტყიან ხევს მივადექით. უკვე სავსებით ჩამობნელდა; მხოლოდ ვარსკვლავების მკრთალი, თუმცა გამქვალავი ნათელი იღვრებოდა ზემოდან. რამდენიმე კაცი ამ სიბნელეში გაემართა ტყის პირისაკენ, სხვებმა, მათ შორის მეც — ჩინელთან ვამჯობინეთ დაბრუნება ჩაის დასალევად. რაც ტაბურეტები იყო, ყველა გარეთ გამოვიტანეთ ღუქნიდან და პატარა მაგიდებს შემოვუსხელით.

ვიშ, რა ღამეა, რა ჯადოქრული დიდებული წარმოდგენა. რა წარმტაცი ნადიმი, რომლის გასამართად თითქოს ხელოვნების არა დარგი არ დაუშურებიათ, თუმცა ხელოვნების კვალიც არ ეტყობა ზედ. რა ფერებით ელავს დაისისა და საღამოს ბინდის უკანასკნელი სხივები! ირგვლივ რაღაც იდუმალი ხმები ისმის; ტყეში სუნთქავს სიცოცხლე; ხან ჩურჩული ჩაგწვდება ყურში, ხან მის მცხოვრებთა უეცარი, ფრთხილი ფაჩუნი: იქნებ ნადირმა გაირბინა, იქნებ შეშინებული ჩიტო აფრთხილდა ტოტიდან ან გველი გასრიალდა გამხმარ ფიჩხებში? ვინ იცის. შორიახლოს, მდინარის პირას, ადამიანთა შავი ლანდები. დაბორილობს. წყალი ეტყლაშუნება ნაპირს. თბილა, რაღაც ცხარე სურნელი მოგდის.

„შეხეთ, — ვეუბნები ჩემს მეზობელს, — ხედავთ, ვარსკვლავი მიცურავს ბ ა ნ ი ა ნ ის ტევრში?“ — „ტოტები ირხევა და შიგ ვარსკვლავები ჩანს“, — მეუბნება ის... — აგერ მეორე, მესამე ვარსკვლავი. აი, ჩვენც ჩაგვიქროლა ერთმა, ორმა, სამმა“. — „არა, ეს ვარსკვლავები არ უნდა იყოს“. — „ვიტულ, —

დაუძახე გვერდით ჩავლილ მეზღვაურს, — ერთი ის ვარსკვლავი დამიჭირე!“ ვიტულმა ქუდი გადაახურა და მომიტანა, მერე მეორეს გაეკიდა, მესამეს და რამდენიმე მოგრძო, ფერადი ბუზი დამიჭირა. ქვემოთ, კუდის ბოლოში, იმათ პატარა მშვენიერი ვარსკვლავი უკაშკაშებს და ბენგალურ შუშხუნასავით მომწვანო ფერს ისვრის. ეს ვარსკვლავები სანთელზე უფრო მეტად ბრწყინალებს, მაგრამ ძალიან მცირე ხნით კი. ორისამი წუთის შემდეგ ბუზი სუსტდება და შუქი ნელ-ნელა ქრება.

ორი საათი ვტკბებოდით ამ ჯადოქრული საღამოს მშვენებით. მერე უხალისოდ, ტაატით, გავწიეთ ნაპირისკენ. სიბნელეში ძლივს მივიკვლევდით გზას. ზღვის მიქცევა იყო და ჩვენი ნავეები მარჩხობზე აღმოჩნდა. დიდხანს მივეყვებოდით საგუბარს, დიდხანს მივცურავდით რეიდზე და თვალს ვერ ვაცილებდით ამ წარმტაც ნაპირს, მენიჩბეები ძლივს მიარღვევდნენ მიძინებულ წყალს. წყალი იღვიძებდა და ოქროში ფერავდა ნიჩბებს. უეცრად აუტანელი დამპლის სუნი გვეცა. ვერ მივხვდით, საიდან იყო; მერე მოგვაგონდა, რომ მარჯნებსა და ნიუარებს სჩვეოდა ასეთი საზიზღარი სუნი. ალბათ, მარჯნის მეჩჩეზე მივცურავდით.

მეორე დღეს, დილით ისე გავემგზავრეთ, ანჯერში მცხოვრებ სამად სამ ევროპელიდან არც ერთი არ გვინახავს. მივცურავდით სრუტის სიღრმეში, იავასა და სუმატრას ნოტიო, აყვავებულ ნაპირებს შუა. ალაგ-ალაგ სრუტის გასარკულ ზედაპირზე მწვანის კალათებივით მოჩანდა პატარა-პატარა კუნძულები, რომლებიც მხოლოდ საზღვაო რუკებზე იყო აღნიშნული ო რ ი ძ მ ი ს ა და ს ა მ ი დ ი ს სახელით. აქ-იქ განცალკევებით ეყარა უსახელო ლოდები და ბალახი იმათაც სქლად მოსდებოდა.

ბუნება ნაზი სულის ხელოვანია აქ. დიდი სიყვარული დაუხარჯავს მსოფლიოს ამ იქნებ ყველაზე მდიდრულად მოკაზმულ კუთხეზე. ადგილ-ადგილ კიდევ გადაუქარბებია მორთვაში, მეტისმეტად გაუტკბილებია. ნაკლებ შეხვედები პოეტურად უღარდელ სურათებს, შემქმნელის მარჯვენას დაუდევრობა, დაღლა, წუთიერი დავიწყება არსად ემჩნევა, პირდაპირ გზისთვის არასოდეს გადაუხვევია, ამ გადახვევაში კი ხშირად უფრო მეტი სილამაზეა, ვინემ მთელი ქმნილების გეგმაში. მიდი-

ხარ თითქო საქვეყნოდ ცნობილი მდიდრის თვალუწედენელ
ბაღებსა და პარკებს შუა. მზის მგზნებარე, ცხელი სუნთქვა
ნიადაგ იფარავს ამ მხარეს სიცივისა და ავდრისგან, კვებავს
ნიადაგს, მოჰყავს ნაზი ნაყოფი... ხოლო ადამიანს... ადამიანს
ანაორთქლით ჰკლავს.

მშვიდობით, დიდებულო, ნესტიანო ნაპირებო: ღმერთმა
ნულარ დამაბრუნოს შენი ხეების ჩრდილში, შენი მცხუნვარე
მზის ქვეშ, შენი ჭაობის ოხშივარში! ერთხელ ნახვაც კმარა:
ცხელა და ვინძლო ციებასაც გადაეყარო!

1853 წლის 20 მაისი.

ანჟერის რეილი,

†

VI

სინგაკური

რეიდზე დადგომა.— მალაელები და ინდოელები. — ქალაქსა და მის მიდამოებში გასეირნება. — ევროპული, მალაური და ჩინური უბნები — ოპიუმით ვაჭრობა. — ანანასები, მანგუ და მანგუსტანები. — ქოქოსის კაკალი. — სინგაკურის მნიშვნელობა, — კერბოსალოცავნი — ვაჭარი ვამპოა და მისი ვილა.

1853 წლის 24 მაისიდან 2 ივნისამდე.

სადა ვარ, სად, მეგობრებო? სად გადამტყორცნა ბედმა მდედვარმა ჩვენი არყის ხეების და ნაძვების, თოვლისა და ყინულის, ავი ზამთრისა და უგერგილო ზაფხულის სამეფოდან? ეკვატორის ძირას ვიმყოფები, სადაც მზე სხივებს შვეულად აფრქვევს, სადაც ინდოეთისა და ჩინეთის მიჯნაა, სადაც მუდმივი შეუბრალებელი, მცხუნვარე ზაფხული გამეფებულა. ჭვავის თვალუწვდენელ ყანებს მიჩვეული თვალი შაქრისა და ბრინჯის პლანტაციებს ჰკრეტს; მარადმწვანე ფიჭვი ნიადაგ მწვანე ბანანსა და ქოქოსს შეუცვლია; შტოშმა და ყვითელმა ჟოლომ ადგილი დაუთმო ანანასებს და მანგუსს. მე მომწამლავ წიწაკების, ცხარე ძირების, სპილოების, ვეფხვების, გველების სამშობლოში ვარ, წვერგაპარსულ თუ წვერმოშვებულ ადამიანთა ქვეყანაში, რომელთა შორის ერთმა ნაწილმა ქუდი რა არის, არ იცის, მეორეს კი თავზე ქსოვილების კოშკი ადგია; ერთნი ღღენიადაგ შრომით იწყ-

ვეტენ წელს, ნიადაგ ურო, წერაქვი, ნემსი, საკრისი უკავიათ ხელში; მეორენი ერთი მუქა ბრინჯის შექმანეც ძლივს იწუხებენ თავს და მთელი დღე ადგილს არ მოიცილიან; მესამეთ მტრობა გამოუცხადებიათ ყოველგვარი წესრიგისა და შრომისათვის, მხატვ „პროაებით“ მამაცურად დაძრწიან ზღვებზე და ვაქარ ზღვაოსნებს ძალისძალად ართმევენ ხარკს.

თითქო საღდაც იღუმალი მტერი ჩაგვსაფრებიანო, დიდი სიფრთხილით, ნელა-ნელა ვუახლოვდებით სიბნელეში სინგაპურის რეიდს. ამ ზღვების სიღრმისა და ხასიათის გამომკვლევი, სახელგანთქმული გორსბურგის მითითებებითა და საძირავით ვხელმძღვანელობდით ყოველ წუთს. ბოლოს ჩაუშვეს ღუზაც და ფრეგატზე გამეფებული დაძაბული ყურადღება, ადგილმდებარეობის დაკვირვებული გამოკვლევა და ხალხის გაფაციცებული საქმიანობა მაშინვე შესცვალა უდარდელმა განწყობამ და დასვენების სურვილმა. ამ ბნელ, მაგრამ მშვენიერ, წყნარ ღამეში დადლილ მეზღვაურსაც შეუძლია არხეინად მისცეს თავი გულისძილს და ოფიცრებმაც ტკბილად ისაუბრონ ჩაისთვის გაწყობილ სუფრის გარშემო. ზემოთ საზეიმო ღუმელი გამეფებულა, მსუბუქი სიო არ არხევს ჰაერს, წყალზე ჰავლის ნატამალი არა ჩანს, და მაინც სამარის ღუმელს არაფერი მიუგავს. რაოდენი სიცოცხლე იგრძნობა ამ ნაზ, მოალერსე სითბოში, ნდობით, უშიშრად გადაუხსნი გულს, მოიღეღავ ყელს, როგორც პატიოსან კაცს გადაუშლი შენს სულს, თუკი ტკბილად შეგხვდა! რა წარმტაცი და მომხიბლავია ვარსკვლავების ეს გასაოცარი ბრჭყვიალი, დინების ძალით ხან წინ, ხან უკან მძიმე-მძიმედ ვაგორებული ზღვა, თუნდაც ამ კლდეთა შავი ლოდები და მათ მწვერვალებზე არშიად მოვლებული ტყეები!

სულ გგონია, რომ ამ გალურსულ სიჩუმეში ბუნება რაღაცას ფიქრობს, რაღაცას აპირებს. ცეცხლოვანი თვალები ზემოდან მრავლისმეტყველად, ჰკვიანურად დაგკამკამებენ, წყლის ანაზღვეული წყნარი შხაპუნი თითქო პასუხად ისმის ვიღაცის შეკითხვაზე; სულ გგონია, რომ ამ სიჩუმეს, თბილ, მა-

სულდგმულებელ წყვილიადს ხმა იღუმალი, ხმა. საზეიმო დაარღვევს. რაღაცას ელი, რაღაცაზე ფიქრობ, რაღაცას გრძნობ, მაგრამ რას, ვერ იტყვი და ვერც სახელს დაარქმევ. მხოლოდ შენ თვითონ არ იცი, რა მხურვალე გრძნობაა ასეთი, რომ გულს ვითრთოლებს და ნერვებს გიწეწეწავს! ამ ცის ქვეშ, ამ ჰაერში... ფანტასტიური ზმანებები დაქრის; ასეთ დამეებს მხოლოდ მწველი სიზმრები და ფრთაგაშლილი პოეტური ოცნებანი სჩვევია, ოცნება ბრამას ამქვეყნად მოკლინების, ოცნება მოკვდავთა მიმართ ღმერთების მხურვალე სიყვარულის, — აქაური ბუნების ზღაპრული ნაყოფიერების მგზნებარე წარმოდგენანი.

ზონდის სრუტიდან დაწყებული სულ ასეთი დამეებით ვნეტარებთ. ზეცა აქ წიგნია, რომლის წაკითხვა არ მოგწყინდება. ის აქ უფრო გადაშლილი და ნათელია, რამეთუ თვით ზეცა დედამიწას აქ თითქო მეტად დაახლოვებია. მე და ბ[არონი] ა[რიდნერი] დიდხნობით ვიდექით ხოლმე მევახტის სკამზე, ვედარ ვძღვებოდით ვარსკვლავების, მოკაშკაშე ციაცის და განსაკუთრებით მეტეორების ცქერით, რომლებიც ბენგალის შუშხუნასავით ბრწყვიალით სერავდა ხშირ-ხშირად ზეცას ყოველი მიმართულებით.

ერთხელ დამის სიჩუქე უცბად ფრეგატის გვერდით ნიჩბების ტყლაშუნმა დაარღვია. „რა ამბავია? ნავს რა უნდა გაშლილ ზღვაში-მეთქი?“ — და ნახევარ პორტიკს დაკვირვებით დავაკქერდი. ფადეევი ამ დროს ზარბაზანზე იდგა, ზღვიდან წყალი ამოქონდა და მე მასხამდა. იმანაც გადაიხედა. ნავში სამნი ისწდნენ, მაგრამ ვინ იყვნენ — სიბნელეში ვერ გავარჩიე. „ნეტავ ვინ უნდა იყოს-მეთქი?“ — ვიძახდი შეცბუნებული. „ისევ ფინელები იქნებიან, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!“ — მითხრა ფადეევმა გულგრილად. ფინელებში იავაზე ნახულ მაღაელებს გულისხმობდა. „ან ლიტველებიო“, — უფრო გულგრილად დაურთო მეორე მეზღვაურმა. მაღაელებს რამდენიმე ანანასი მოეტანათ. ლოცმანობაც შემოგვთავაზეს. ჩვენ მასხრობა დავიწყეთ: ალბათ მეკობრეები იქნებიან, გუნდმა გამოაგზავნა გამოსაძიებლად, რა ტიპის ხომალდი მოდის, რამდენი ხალხია და რა იარაღია ზედ, რომ მერე თავზე დაგვესხან-თქო. აქაურ მეკობრეებისათვის ეს ჩვეუ-

ლებრივი ხერხია. ერთხელ თურმე ასევე სამი-ოთხი კაცის რაოდენობით ეწვივნენ ჰოლანდიურ ხომალდს, მოშხამული ხალი აიტანეს, ეკიპაჟი მოწამლეს, მერე უკვე მთელი ხროვით დაესხნენ თავზე და ხომალდი ხელთ იგდეს. შემდეგ, როგორც მუდამ წესად აქვთ, ეკიპაჟი ზონდის ერთ-ერთ კუნძულზე წაიყვანეს ტყვედ, ხომალდი კი ჩაძირეს.

ერთი მალაელი გემბანზე ამოძვრა და ჩვენთან დარჩა ღამის ვასათევად, დანარჩენმა ორმა ღამე ნავში გაათია. ფრეგატს გავიპყველი ნავი მთელი ღამე უკან მოგვეყვებოდა. 24 მაისს, დღის თერთმეტ საათზე სინგაპურის სრუტეში შევედით. წვიმა დაიწყო, კრიგალიც ამოვარდა და ჰაერი გააგრილა. ჩვენც სული მოვითქვეთ, სიცხე აღარ გვაწუხებდა: რეომიური ჩრდილში 23 $\frac{1}{2}$ °-ს აჩვენებდა, მალაელი კი გაგვეთოშა. ჩითის ქვედაწელი ეცვა, მსრებზე პერანგივით მოეხურა რაღაც, ზემოდან წითელი ბამბის ქსოვილის ნაჭერი მოეგდო კიდეც; ჩვენი დედაკაცებივით თავზე თავსაფარი წაეკრა, უამისოდ აბა როგორ იქნებოდა, და ფეხშიშველი იყო. ეს მათი სრული მოკაზმულობა გაცხლავთ. დანარჩენები კი მეტწილად თითქმის ტიტლიკანები დადიან. მალაელი ჯერ იუტის გადმოხურულს ეფარებოდა, მერე ჩემი კაიუტის კარი რომ დაინახა ღიად, თავდაპირველად ერთი ფეხი შემოდგა, მერე მეორე, ზურგიც შემოაყოლა, თავი კი ჯერ გარეთ ჰქონდა. „ცივა?“ — ვკითხე მე. „Yes“, — მიპასუხა და კაიუტაში მთლიანად შემოაბიჯა. ნეტავ რამ შეაცოცხლა, სითბო ოც გრადუსზე მეტია-მეთქი, ამიტომ აღარ შემეცოდა და როცა სინათლეზე ჩამომეფარა, ხელი ავუქნიე, გარეთ გადიმეთქი. მის ნავში მყოფ ორ ამხანაგს სრულიადაც არ აწუხებდა, რომ გრიგალის დროს ნავის ხან ცხვირი ხან კიჩო წყალში იფარებოდა; ერთი ზანტად ასხამდა წყალს ნავიდან ჩამჩით, მეორე კი ზანტადვე უტკერდა ამ ამბავს.

სინგაპურს საღამოს მივუახლოვდით. საინტერესო იყო მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე შექუჩულ ნაირ-ნაირი ფერის კანიან და ნაირ-ნაირ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ნახვა. ამერიკელ ვილკსის გამოანგარიშებით, მარტო აზიელთა ტომები აქ ოცამდე დაითვლება.

25 მაისი. დილაა. მზე კაშკაშებს და ირგვლივ ყველაფერს კაშკაში გაუდის. ვიშ, რა სანახაობაა! რარიგ დულს სი-

ცოცხლე, რა ღრიანცელი და ფაციფუცია! ან რა სახეებია! რა ნაირ-ნაირი ენა გესმის! გარშემო კუნძულები მწვანეში ჩაფლულა; პირდაპირ, ანძების ტყეების მიღმა, მაღლობებზე ქალაქის შენობები ჩანს. ჯონკები, ნავეები, ჩინელები და ინდოელები ნაპირიდან ხომალდებისკენ თუ ხომალდებიდან ნაპირისაკენ მიდი-მოდიან და ერთმანეთს გზას უჭრიან. ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერს ველური იერი დაკრავს; ქოქოსების გაუშვალი ტყე ყურეს დაჰყურებს; უკან ზღვა მოჩანს.

დილით ადრე ი. ი. ბ[უტაკოვმა] მომიკაჟუნა კაიუტაში, ნახევრად ღია კარში ხელი შემოჰყო, რაღაც მუქი წითელი ხილი, ვაშლის სიდიდისა და მოყვანილობის, მომაწოდა „გასინჯეთო“. ნაყოფი გავეკერი: წითელი ხორცის შიგნით თეთრი, მომეავეომოტკბილო გული დამალულიყო, რამდენიმე ნაწილად დაყოფილი, და თითოეულში თესლის მსხვილი კაკალი იღო. მეტად გრილი, ქორფა, ფაქიზი და ტკბილი გამოდგა, ოღნავ მომეავო გემოთი. ეს მანგუსტანი ანუ, როგორც ინგლისელები გამოთქვამენ, „მანგუსტენი“ ყოფილა, იმათ ხომ არ შეიძლება სიტყვა არ დაამახინჯონ.

კაიუტა ლამის შემოამტერიეს ინდოელებმა, მალაელებმა, ჩინელებმა, სხვადასხვა ეროვნების ხომალდებიდან მიღებული ატესტატებით. ყველანი თერძები, მრეცხავეები, კომისიონერები იყვნენ. გემბანზე ნამდვილი ბაზარი გაემართათ: ნაირ-ნაირი ტომის სტუმრებს საქონელი გაეშალათ, ყველა თავის ენაზე გაჰკიოდა და ქსოვილებს, ნიჟარებს, მაიმუნებს, ფრინველებს, მარჯნებს გვთავაზობდა.

ქიმზე გადავიხედე: იქ ნავეების მთელი ფლოტილია დამხვდა, სულო და გულო, რით არ იყო გაქედნილი, მეტწილად ხილით. ანანასები ისე ეყარა, როგორც ჩვენში თალგამსა და კარტოფილს დაახვავებენ, მერე რა ანანასები იყო! არ მეგონა, თუ ამ სიდიდე და ასე ლამაზი იზრდებოდა. მაშინვე გავკერი და გაახელით: წვენი ხელებზე ჩამომდიოდა, თეფშზე, იატაკზე ეწვეთებოდა. მინდოდა თქვენთვის წერილი მომეწერა, მაგრამ გული გემბანზე მეწეოდა. ხან ნიჟარა ვიკაპრე, ხან რა, უფრო მეტად კი ამ ჩემთვის ახალ სახეებს ვაკვირდებოდი. რა ლამაზი ხალხია ინდოელები, რა ტანადები და თამამები. ლალი მიმოხვრა სჩვევიათ; მათ სიარულსა თუ სახის მოძრაობაში

რაღაც საზეიმო მედიდურება გამოსჰვივის, ზანტად დადიან, ნარნარი მოძრაობა აქვთ. ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებენ, თითქო ყელში ლაპარაკობენ. მათი სინარნარე ბუნებრივად მომდინარეა, ასე რომ არა, კაცს უთუოდ გააცინებდა მათი ნელი, ფრთხილი სიარული, თავის ამაყი დაქერა, ხელების ზომიერი ქნევა. კიდევ შვენით ეს ამბავი: აჩქარება დიახაც არ მოუხდებოდათ.

ინდოელებს ზედა ტანი სულ გაშიშვლებული აქვთ, მგონი, რაღაცას იცხებენ ზედ, თუ არ ვცდები, ქოქოსის ზეთს, თორემ რა კანი გაუძლებდა ამ მზეს. თეძოებზე ქალის ქვედაწელივით შემოუხვევიათ ბამბის წითელი თუ ლურჯი ქსოვილი. ყურებში უთუოდ საყურეები აქვთ გაყრილი, ზოგს თითო ყურზე, ზემოთ და ქვემოთ, ორ-ორი უკეთიათ. ერთს ყურში რაღაც ვერცხლის სარკი დავუნახეთ, მეორეს მარჯვენა ნესტოში ჰქონდა საყურე გაყრილი. ის ბებერი იყო უკვე, თეთრი ქვედაწელი ეცვა, ზედა ტანი წითელი მატერიით დაეფარა; თავზე ჩაღმა ეხვია. ზომალდზე ამოსულებს ამასობაში ერთ კუთხეში, შკაფუტზე მოუყარეს თავი, რათა ყველგან არ ებორიალათ; ბერიკაციც გულმოდგინედ შველოდათ ამ საქმეში, მაგრამ მეზღვაურებმა ყველა რომ გამორეკეს, ისიც იმავე კუთხეში შეაგდეს.

ჩინელებს ინდოელებზე უფრო დიაფერის კანი აქვთ. ინდოელები ყველანი მუქი შოკოლადისფერი არიან, ჩინელებზე კი მხოლოდ შავგვრემანი ითქმის; სხეული თითქმის ჩვენი ფერისა აქვთ, ოღონდ თვალები და თმა სრულიად შავი. ისინიც ნახევრად შიშვლები დადიან. სახე თითქო ერთნაირი ყალიბიდან ჩამოუხსნიათ.

ან რა სახეებს დაინახავ ნავებში! აგერ, მოხუცი ინდოელი, შავ სახეზე ჰაღარა ქილვაშები უჩანს, ტუჩების ქვემოთ ნიკაპის გარშემო ჰაღარა წვერი მოსდებია. აგერ, სპილენძის ფერი მალეელი ერთმანეთზე გადაბმულ ორ ნიჩაბს უბიძგებს და ისე მოჰყავს ნავი. ზოგი შუაგულ მზეზე გაშხლართულა, ზოგი ქუსლებზე ჩაცუტკულა, რასაც ევროპელი ვერაფრის დიდებით ვერ მოახერხებს. უკვე რამდენჯერმე მომიახლოვდა ერთი ფრანგულად მოლაპარაკე ინდოელი. „სადაური ხარ-მეთქი?“ მან რაღაც უცხო გაუგებარი სახელი მითხრა. „ხომ ინდოელი

ხარ?“ — „არა!“ — თავი გადააქნია ძლიერად. „მაშ მალაელი?“ მან უფრო დიდი უარი დამირტყა. „მაშ ვინ ხარ, რომელი ქვეყნიდან?“ — „ისლამი, მაჰმადიანი“. — „ეს ხომ შენი სჯულია; წარმოშობა?“ — „ისლამი, მაჰმადიანი“, — იძახდა ის. „აბა რომელი ქალაქიდან ხარ?“ — „პონდიშერიდან“. — „მაშ რად თქვი, ინდოელი არა ვარო?“ ის მაინც თავს აქნევდა. „აგერ ინდოელი! — მეუბნებოდა და ერთზე მითითებდა, რომელიც მისგან არათრით განირჩეოდა, — მე კი მაჰმადიანელი ვარ“. — „ჰო! ისინი ბრამინელები არიან“. — „ღიახ, ღიახ! ბრამა, ინდოელი!“ — იმეორებდა ის.

ნასადილევს ხომალდი ხელად დაცარიელდა: ყველანი გამგზავრნენ. კაპიტანმა შემომთავაზა, ერთად წავიდეთ, ოღონდ მომიცადეთ, ვიდრე ფრეგატზე თადარიგს არ დავიჭერო. ნავები ისევ გარშემო გვეხვეოდა, ხილს ასალებდა. ყველა კაიუტა ანანასებით იყო გაქედლილი; ქოქოსები პირდაპირ იატაკზე ეყარა; თათოეულ მუზღუჯურს დანა და ანანასი მოუმარჯვებია; ჩრდილოეთში თითო ანანასი ალბათ ხუთი თუ შვიდი მანეთი ეღირება ვერცხლით, აქ კი ორ პენსად იყიდება; შილინგად თორმეტ ცალს მოგცემენ, ესპანურ ტალერში ასობით გადმოგიტვლიან. მაგრამ ანანასმა ბევრს აუწვა ენა და პირი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). ბევრმა მანგუ უფრო ირჩია: მსხვილ, ყვითელ ქლიავს ჩამოგავს, მხოლოდ უფრო მაგარი კანი აქვს და კურკაც მოზრდილი უდევს გულში; ხორცი ნარინჯისფერი ბოქოებისაგან შედგება, გემრიელი წვენით გაჟღენთილი.

ხილის გარდა ინდოელებს ევროპული ტანსაცმელი, პერანგები, ჩექმები, ჩაისა თუ ხელსაქმისთვის განკუთვნილი პატარა ჩინური კოლოფები და სხვა ასეთები მოეტანათ გასაყიდად.

ნაპირზე გადასვლის მოლოდინში ბადეებს დავეყრდენი და ინდოელთა ნავებს, ნაირ-ნაირ ფერადკანიან სხეულთა ნაირ-ნაირ ჯგუფებს დავაქქერდი. საათის ხუთზე, მზის ჩასვლის წინ, მაჰმადიანები იქვე, ნავებში განბანვასა და ნამაზს მოჰყვნენ. ერთმა ყმაწვილმა მაჰმადიანმა განბანვა რომ მოათავა, რაღაც ძველი ქუქყიანი თავსათარი გაიშალა წინ, ქუსლებზე ჩაცუქდა, პირი დასავლეთით, მექასკენ მიიქცია და მეტანიას შეუდგა. ტუჩებს ოდნავ ამოძრავებდა, დროდადრო ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან უკან, ნელა მოაბრუნებდა

თავს. ფრეგატიდან მაყურებლებს ყურადღებას არც გვაქცევდა. ასე ილოცა ნახევარი საათი. იმან რომ მოათავა, მაშინვე მეორე წამოდგა დინჯად ზეზე და ასევე დინჯად გაიმეორა იგივე.

ექვსი საათი იყო, კაპიტანმა თავისი საქმე, რომ მოათავა. ნაპირს უკვე სიბნელეში მივადექით, რეიდზე სამი ვერსის გავლა დაგვიკირდა. ნაპირზე ფიაკრები დაგვხვდა (ერთი პატარა ცხენით შებმული მსუბუქი კარეტები, ასეთ ცხენებზე ჩვენში ბავშვებს შესვამენ ხოლმე). ფიაკრებით წასვლა არ მოვინდომეთ, ინდოელები კი მაინც უკან გამოგვეყვინენ. არ ვიცოდით, საით წავსულიყავით. ამ კუთხეში გაზს ჯერ არ მოედწია და ქუჩაში თითს ვერ მიიტანდი თვალში. მარცხნივ ავიღეთ გეზი: გზა მდინარემ და რომელიღაც პავილიონმა გადაგვიღობა; გაღმა ნაპირზე სინათლე კიაფობდა, როგორც ჩანს, დუქნებში ენთო, ვიცოდით, რომ ხიდები იყო გადასასვლელი, მაგრამ ამ ხიდებისათვის საით მიგვეგნო? ბედად ორი გერმანელი შეგვხვდა და London Hotel¹-ში მიგვაცილეს. ძალზე ბნელი ღამე იყო. რაღაც გულისამრევი, ტკბილი სუნი მეცა, მუშკის სუნს მიაგავდა, საკმაოდ უსიამო გახლდათ. მწერებს ისეთი კრიკინი გაქმონდათ ბალახში, ჩიტების კნახახს მოგაგონებდა. ოტელში სოლიანი წყალი და ჩაი მოვითხოვეთ და ზემოთ, აივანზე დავსხედით. ჩემმა ამხანაგებმა მაინც გადაწყვიტეს სასეირნოდ წასვლა; მეც თან გავყევი, მაგრამ სიბნელეში ბორძიკით სიარულმა გული გამიწყალა და ისევ აივანზე მოვბრუნდი ჩაის დასალევად. აივანზე რამდენიმე ინგლისელი და ამერიკელი შემოდიოდგა დიოდა. ეტყობა, ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ. სავარძლებში დასხდებოდნენ, ფეხებს მაგიდაზე აალაგებდნენ (ასე სჩვევიათ თურმე ჯდომა), ჩაის მოატანინებდნენ და მღუმარედ რსზდნენ. ჩაის მიქსტურასავით რაღაც სამკურნალო ბალახის სუნი და გემო დაჰკრავს.

დადგა ღამე და კვლავ გამიღიზიანა ძარღვები, კვლავ რაღაც გაურკვეველი შფოთი და წუთხილი აღმიძრა ამ ნარკოტიკული ოხშივარით გაქლენთილმა ჰაერმა, თბილმა წყვილიაღმა, რაღაც ზმანებები მომეჯარა, ბუნდოვანი ფიქრები დამეხვია. ვერა, დიდხანს ვერ გაუძლებს კაცი აქაურ ცხოვრებას, ვარდებს, შხა-

¹ სასტუმრო „ლონდონი“ (ინგლ.)

მებს, ბაიადერებს, პალმებს, მზის გაბოროტებით ნატყორცნ
შვეული ისრების ლაშქარს!

სხვა რა საქმე მქონდა და კედლებს დავუწყე თვალიერება.
რას ვხედავ: კარის თავზე რაღაც მიძვრება. ქერზე, ჩემს ზე-
მოთ კედლებზე, კუთხე-კუნძულში — ყველგან რაღაც დაცო-
ცავს. „რა არის-მეთქი?“ — ვკითხე პორტუგალიელ მსახურს.
რა მიპასუხა, ვერ გავარჩიე. ახლოს მივედი და დავინახე: ხე-
ლიკებია, სიგრძით გოჯანახევარი თუ ორი გოჯა. თურჯ- მწერებს
ანადგურებს და სახლებში სასარგებლო ყოფილა.

ბოლოს ჩემი ამხანაგები მობრუნდნენ. ბევრი ვისეძარნეთ,
თუმცა ვერაფერი დავინახეთ, მითხრეს. სასადილოში შევე-
დით და ისევ სოდიან წყალს შევექეცით. სიტყვებ რომ ძალუმ
შეაწუხათ, ჩინელ ბიჭს უბრძანეს, სასადილოს მთელი სიგრძის
გაყოლებაზე, ქერზე დაკიდებული უზარმაზარი მარაო დაერხია.
მარაო ტილოს ერთი განიერი ნაჭერია, მარამაის ფოჩებით,
იქიდან კარებზე ზონრებია გაკიმული, მსახური ამ ზონრებს
ჩამოქაჩავს და ოთახს აგრილებს. მაგრამ ამ სერის რომ შესცქე-
რი, შენდა უნებურად მაინც იმას ფიქრობ, რომ ეს ხელოვნუ-
რი, დროებითი სიგრილეა, რომ როგორც კი მსახური თავს და-
ნებებს ზონრის ქაჩვას, მაშინვე ისევ დაიხუთები, თითქო აბა-
ნოში ვიღაცამ ქურჭი მოგასხაო.

კიდევ ცოტა ხანს დავრჩით სასტუმროში და მერე კაპიტ-
ნის ნავისაკენ გავსწიეთ. უკან ინდოელების ჯგრო გამოგვეყვა,
ალბათ ეგონათ, მათ ნავს დავიჭირავედით. იმედი რომ გაუც-
რუვდათ, აღარ იცოდნენ, რით გაეწიათ სამსახური: ერთმა
პრაქი დაგვინთო, როცა ნავში ვსხდებოდით, მეორემ ხელი
მოგვაშველა თუ სხვა. სასტუმროში ხურდად მიღებული რამ-
დენიმე ცენტი (შავი ფული) მივეცი და გზას გავუდექით.

ფრეგატზე დაბრუნება ყველაზე სასიამოვნო გამოდგა ამ
ჩვენს სეირნობაში: გრილოდა, წყნარი ღამე იდგა; კრილა
პორიზონტზე მწვერვალებისა და ტყეების შავი ლანდები
მკვეთრად ირჩეოდა, კაშკაშებდა აქაური ზეცის ნიდაგ დამამ-
შვენებელი ციაგი. თავზე ვერცხლის ძაფებად გვეღვრებოდა
ვარსკვლავთა შუქი. მაგრამ ზღვის ნახვას მაინც არაფერ-
სჯობდა: ნიჩბების ყოველ მოქნევას წმინდა ვერცხლი ამოკ-

ყვებოდა. მერე ჩანჩქერებად იმსხვრეოდა და ნავის ირგვლივ
კარგა მანძილზე ნაპერწყლებად იფანტებოდა.

27 მაისი. ოთხმა კაცმა გადაწყვიტეთ კარგა საფუძე-
ლიანად გაგვესიონა და დილის თორმეტ საათზე გავემგზავ-
რეთ. მაგრამ ესეც თურმე გვიან ყოფილა. სიარული ვერ შეე-
ძელია. გზად, რეიდზევე. დავათვალიერეთ ჩინური ჯონკა. შო-
რიდან დიდი ცნობისწადილი აგვიძრა: კიჩო და ცხვირი წყლი-
დან არაბუნებრივად მალლა ამოსწოდა. ასე გგონია, ეს სამ-
ტრედესავით ხუხულა ნაგებობა, ჩხირებზე შეყენებული, ჰა და
ჰა, ჩამოიმხობაო. ჯონკა ცისტრად, წითლად და ყვითლად იყო
შეღებილი. ცხვირის ორივე მხარეს თევზის თვალი მიეხატათ:
ჩინელებს ეს ნაეჭურქელი რამდენადაც შეიძლება, თევზს
უნდათ მიამგვანონ. როცა მივუახლოვდით, ნაგებმა გზა დაგ-
ვითმო. ჩინელები ღიმილით შემოგვეგებნენ. ხუთნი იყვნენ;
ზოგი ნახევრად შიშველი, ზოგი ბინძურად ჩაცმული. შევე-
დით და პირდაპირ სამზარეულოს დუმელს ჩავუარეთ, სადაც
მზარეული ტრიალებდა. საკვამურიდან სულისშემხუთველი,
მყრალი სიმხურვალე გამოდიოდა. ჯონკა ნაირ-ნაირი, წითე-
ლი, სანდალის თუ სხვა ხე-ტყით იყო დატვირთული, ჩინეთში
მიჰქონდათ. სლიპ ფიცრებზე ფეხი გვისრიალებდა. კიბეს ავ-
ყევით და კიჩოზე ავედით. იქ, სიღრმეში, სალოცავი და კერ-
პები დავინახეთ, აქეთ-იქით ბინძური კაიუტები მიჰყვებოდა.
ერთი ჩინელი მეორეს კიკინას უვარცხნიდა, ალბათ, ჯონკის
პატრონი იყო. ისინი უხმოდ გვიცქეროდნენ და სიარულსა და
დათვალიერებას არ გვიშლიდნენ. ყველაფერი პატარა ფიც-
რებით, ლატნებით, ჭილოფებით შეუკოწიწებიათ. იალქნებიც
ჭილოფისა იყო, საჭე უხმოდ ნაჩორკნი. წამოვედით და ჩვენს
კატერზე ამოვისუნთქეთ შვებით. გვიკვირდა, ასეთი ნაეჭურ-
ქელით ნეტავ როგორ ბედავს ხალხი ზღვაში გამოსვლას, ისიც
ამ სიშორე მანძილზე-თქო. კანტონიდან ზომ 1800 საზღვაო
მილია აქამდე! მაგრამ, როცა ჩინეთის ზღვებში გასულთ ქა-
რიშხალი აქეთ-იქით გვაქანებდა, ან მუსონის ზურგქარი ნელა
მოგვასრიალებდა, მაშინ კი მივხვდით, ჯონკები ამ სიშორე
მანძილს როგორ გადიან. სამაგიეროდ, რამდენი ილუპება
გრიგალში!

ჩვენი კატერი პირდაპირ მდინარეში შევიდა, გვერდი ჩაუ-

არა ქვეყნის ჯონკებსა და პატარა ნაევებს, რომლებიც წინ და უკან დასრიალებდნენ ხან ტვირთით, ხან მგზავრებით სავსე, და სანაპიროს მიადგა, სადაც ქვის ღუქნები იყო ჩარიგებულნი. მათ მნახველს სწორედ ჩვენი ქარვასლები დაგიდგებოდა თვალწინ, ისეთივე თალები, გასასვლელი ღუქნები, ბელლები, დაზვინული ფუთები, კასრები თუ სხვ., ისეთივე გნისი და მოძრაობა. ვაჭრები მეტწილად ჩინელებია; საქონელს ბითუმად ჰყიდიან, ჩინეთიდან ევროპაში აგზავნიან, ან პირიქით, ევროპაში უკვეთენ ჩინეთში გამოსაგზავნად. ბოლოს, როგორც იქნა, მეწვრილმანეთა ღუქნებს მივალწიეთ. ღუქნებში ისევე ჩაცმული ჩინელები ისხდნენ, როგორც იავაზე ვნახეთ. თეთრი ბამბის ქსოვილის ზედაწელი, ქალის საღამური კოფთებივით, შავი, მეტწილად ლურჯი შარვლები მდიდრებს ატლასისა აცვიათ. შემდეგ წინიდან გადახოტრილი თავი, კოჭებში მობლანდალე ნაწნავი, ბუნებრივი თუ ხელოვნური, ქუდის მაგივრად მარაო — აი, მთელი მათი მორთულ-მოკაზმულობა. ჩინელს მარაო ხელში უჭირავს, მზეზე რომ გამოვა, თავზე დაიფარებს ხოლმე. თუმცა გარეთ მომუშავე მღაბიო ხალხს მჩატე ლერწმისგან დაწნული წოპწოპა ქუდები ჰხურავთ, განიერი ფარფლებით. იავაზე მალაელები ვნახე, რომლებსაც თავზე უბრალოდ კუს ბაკანი წამოეცვათ. ევროპელებს კი... იცით რა ხურავთ? რა და ტილოს მუზარადები, რომელიც დონ-კიხოტის მუზარადისაგან არაფრით განსხვავდება. ქილის ქუდებს რატომ არ ვხედავ არსად? მანილა აქვე, ყურის ძირში აქვთ, სადაც ესოდენ დიდებული ჩალა იცის. მაგრამ შემდეგში გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ჩალა აქაური მზისგან ვერაფერი შვილი დამცველია. ამ მუზარადებს ორმაგი ძირი აქვს, შუაში ცარიელი ადგილია დატოვებული და ჰაერის სამოძრაოდ ცოტაზე გამოუჭრიათ. ზოგიერთები, მეტწილად შვიპერები, ჩალის ქუდებს ატარებენ, ოღონდ ქუდის ცაა და ფარფლებზე ზემოდან თეთრ ქსოვილს იხვევენ ჩალმასავით.

გავიარეთ ქვის ღუქნების რიგი და ფიცრულ ღუქნებს მივადექით, რომლებიც ამავე დროს ჩინელების საცხოვრებლებს წარმოადგენს. ზემო სართულში ბინებია გამართული, ქვევით ღუქნები. აქ ყოველივე თვალისა და ყნოსვის შეურაცხყოფელია. ტიტლიკანა ჩინელები, ქვედაწელებისა ან შარვლების ამა-

რა. ზოგი მართო თეძობებზე შემოხვეული ნაკრები, დუქნებში ან გარეთ ზღურბლზე მოკალათებულნი, გრძელ ნაწნავებს უვარცხნიდნენ ერთმანეთს, თუ არადა თავსა და ნიკაპებს უპარსავდნენ. საათობით არიან ხოლმე ამ საქმით გართულნი; ეს მათი დროსტარება გახლავთ. ზოგიერთს თავი მაგიდაზე ჩამოედო და დალაქი ისე პარსავდა. გაპარსვას რომ მოათავებდა, მერე გულმოდგინედ აუბრაგუნებდა ზურგზე მუშტებს ამ სიბარიტებს. ეს ამბავი, მგონი, იმას ჰგავს, ჩვენს აბანოებში ტერფებზე რომ უდიტინებენ ან სახსრებს უთელენ ამ სიამოვნებათა მოტრფიალებს.

მაგრამ ამ ზომაზე მეტად გაპარსულ თავებისა და სახეების, ტიტველი, მოყვითალო-შავგვრემანი სხეულების, ამ ხან ბებრული, ხან ყმაწვილური, გადატკეცილი, რბილი, მზაკვარი სიფათების ჰკრეტა, ენერგიისა და ვაჟკაცურობის რომ არაფერი სცხიათ, და ბოლოს, მათი ცხოვრების წვრილმანები, ოჯახური თუ შინაური ყოფა, ქუჩაში გამომზეურებული, — ყოველივე ეს მეტად თავისებურია და... მეტად უსიამოვნო.

დუქნებში დაკიდებული და გამოლაგებული საქონელიც მეტ წილად თვალსა და ცხვირს განზე წაგაღებინებს. იქ დაინახავ უმ, შემწვარ თუ მზეზე გამხმარ ხორცს, თევზეულს, კიბოებს, ლოფორთქინებს და მისთანა საზიზღრობას. აქვეა მოძრავი დუქანი, მაყალით, ქვაბით, რაშიც ან ლაფშა ან კისელი, ან თავფეხი თუ სხვა ასეთი საჭმელია და რასაც არ გინდა მაინცდამაინც ჩააკვირდე. ან იქვე ახლო გვერდით სულ საწინააღმდეგოს, ხილის და მწვანეხილის დუქანს დაინახავ და მაშინვე გულიც იქით გაგიწევს: ანანასი, მანგუსტანი, საზამთრო, მანგუ, კიტრი, ბანანები თუ სხვა ბლომად დახვავებულა. შუაში ბებერი ჩინელი ზის, ჰალარა ნაწნავით, ტიტლიჯანა, თუმცა სათვალე კი უკეთია. ზის და ვაჭრობს. მეორე ადგილზე უცბად ნივრისა და კიდევ იმ უცილობელი მუშკის სუნი გეცემა, რასაც მგონი, სანდალისა თუ სხვა სურნელოვანი ხეები გამოსცემს. ამას კიდევ ქოქოსის ზეთის, თამბაქოსა და ოპიუმის სურნელი მიუმატეთ — ეს ყველაფერი თავსა და ტანს დაგაქარგვინებს. ეს ყოველივე ინდოეთის ცხელ ჰაერს შეზავებია და ყოველ კუთხეს ეფინება.

ძლივს გამოვალწიეთ ჩინურ ქალაქს, მაღალი, ფიცრული

ხიდი გადავიარეთ და ევროპულ ნაწილში გავედით. აქ სულ სხვას დაინახავს თვალი: გაშლილი სიერცე, სისუფთავე, ლამაზად ნაგები სახლები, რომლებსაც სუროსავით შემოხვევია ცისფერყვავილიანი პატარა მცენარე და კედლები სულ დაუფარავს; ორი ეკლესია, პროტესტანტული და კათოლიკური, დიდი ეზოებითაა შემორტყმული. შიგ ლედვის, ჯავზის თუ სხვა ხეები დგას, ქვეყნის ყვავილები ხარობს. ერთი ინდოელი აგვეყიდა, მეგზურად გამოგყვებითო, ჩაგვაცივდა. ვუბრძანეთ, ბექობზე წაგვიყვანე, გუბერნატორის სახლთან-თქო. გზა ჯავზის, თურინჯის და ვარდების დიდებულ ხეივანს მიჰყვება. *mimosa pudica*-ს (ხელუხლიას) ბალახს დაეფარა მიწა. ქოლგას რომ შეახებდი, მყისვე ფოთლებს მოქმუქნიდა.

ბოლომდე ვერ შევძელით ბექობზე ასვლა, სადაც გუბერნატორის სახლი იდგა: ცხლოდა, ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა სახეზე. შუა ბექობიდან რეიდსა და ქალაქს გადმოვზედეთ. ევროპელების სწორად განლაგებული უბანი ბექობის გვერდით მდებარეობდა. მერე ვუბრძანეთ, სასწრაფოდ ოტელში წაგვიყვანეთ-თქო, რა არის ჩრდილისათვის შეგვეფარებინათავი. ძლივს მივალწიეთ აივანს და საუზმე შევუკვეთეთ. მანამდე კი სოდიანი წყლით ლამის გავიქყვიპეთ და სული ძლივს მოვიბრუნეთ. ქოლგამ ვერაფერი გვიშველა. მზე უმოწყალოდ გვიწვავდა ფეხებს, ზურგს, მკერდს, რასაც კი მისი სხივი დაეცემოდა.

ევროპული საზოგადოება თითქმის ყველა ქვეყნის კონსულებისგან შედგება. მშვენიერი სახლები აქვთ ზღვის ნაპირის გასწვრივ, ესპლანდაზე მდგარი. ევროპელები აქ ოთხას კაცამდე იქნებიან, ჩინელები ორმოცი, ინდოელები, მალაელები თუ სხვა აზიური ტომები ოცი ათასამდე: ეს მთელ კუნძულზე. ქალაქში ბევრი ევროპული სახლი ვნახე უპატრონოდ მიგდებული. ზოგიერთს ქალაღი აქვს მიკრული და „ქირავდებაო“ აწერია. თვით ბირჟა ძველი შენობაა, ბათქაშჩამოცვნილი, რაც ჰონ-კონგი დაარსებულა, მას აქეთ აღარ შეუკეთებიათ. ამბობენ, ჰონ-კონგის წყალობით სინგაპურმა რამდენიმედ დაჰკარგა სავაჭრო მნიშვნელობაო. ზოგიერთმა ევროპელმა, განსაკუთრებით ინგლისელებმა, იქ გადაიტანა თავისი სამოქმედო ასპარეზი. ჩინელებმა, ცოტა არ იყოს, უკლეს

სინგაპურში სიარულს, რაკი საშუალება აქვთ თავიანთი საქონელი იქ, ჩინეთის კარიბჭესთან გაასაღონ.

თუმცა სინგაპური, როგორც ევროპის, აზიის, ავსტრალიის და ინდოეთის არქიპელაგის კუნძულებს შორის მდებარე საწყობი, არასოდეს მიყრუვდება. ისიც არ დაივიწყოთ, რომ მაღალი და ჩინელი მეკობრეების თავშესაფარს წარმოადგენს. ასინი კი აქაურ ზღვებში ჯერჯერობით ფრიად ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი არიან. ნაძარცვი საქონლის მეტ ნაწილს აქ ასაღებენ, მშვიდობიან ვაჭრებად გადაცმულები, ხოლო იარაღი თუ თავიანთი საქმიანობის სხვა მამხილებელი საგნები ამ დროს უდაბური კუნძულის რომელიმე ყურეში აქვთ დამალული. ბელჩერის თქმით, სინგაპურელი ჩინელები მხოლოდ მათთვის ამზადებენ იარაღებს. ამიტომ მეკობრეების მოსპობა თითქმის შეუძლებელი გამხდარა: ზოგიერთ კუნძულებზე ისე კარგად გამაგრებული ადგილები აქვთ, რომ ყოველ შეიარაღებულ ძალას წინააღმდეგობას გაუწევენ. დიდი სამხედრო ზომალდები როგორ მიუდგება ამ კუნძულებს, როცა იქაურ ყურეებში მხოლოდ ყაჩაღების მსუბუქ პროას შეუძლია გაძრომა? „ვინ იცის, ამათში ნახევარი მეკობრეებაა-მეთქი“, — ვფიქრობდი გულში, როცა რეიდზე მოფუსფუსე კილოფის იალქნებიან გრძელ ორჩხომელებს ვუყურებდი.

ბირჟაზე ჩინელი, სომეხი, სპარსელი და, რა თქმა უნდა, ინგლისელი ვაჭრები ირევნიან. მთელი მოსახლეობა დაუდგრომელ მოძრაობაშია. აგერ, თითქმის ჩამომათხოვრებული, ფეხშიშველი ჩინელი მარდად მირბის, ლერწმის ქუდი ჰხურავს, ძაფზე ჩამოუყიდნია რაღაც საძაგლობა სადილისთვის, ან თევზის ნაჭერი, ღვიძლი თუ შიგნეული; აგერ, მეორეს ხონჩაზე წყალი, ანანასები თუ სხვა ხილი დაულაგებია, მესამეს საპალნე დაუდვია ორი კუზიანი ხარისთვის; აგერ, თეთრი მარმაშის ხალათებში გამოწყობილი სპარსელები მოაბიჯებენ; აგერ, ფარსიელი მოდის შავგვრემანი, ფერმკრთალი სახით და ცბიერი თვალებით; შემდეგ სომეხსაც დაინახავ, ევროპული პალტო მოუსხამს; იქვე ინგლისელი მობრძანდება ცხენით.

ნასაუზმევს კარეტები მოვაყვანინეთ და ქალაქგარეთ გავსწიეთ. კარეტები და მეეტლეები ქალაქის ერთ-ერთ შესანიშნავობას წარმოადგენს და მაშინვე გეცემა თვალში. აქი მოგახსე-

ნეთ, რაწამს ნავიდან ხმელეთზე გადმოვებიჯეთ, რამდენიმე მეეტლე შემოგვეხვია-მეთქი თავისი კარეტებით. კარეტები რესორებიანი, მაგრამ აკვნებივით რბილად მივასრიალებს. კარეტაში მხოლოდ ორი ადგილია, მაგრამ თუ შევიწროვდებით, ოთხიც დაეტევა. ბალიშებსა და კედლებზე ქილოფია გადაკრული. ქალაქის ახლო ბოლომდე ნახევარ დოლარად წაგიყვანენ, უფრო მოშორებით წასვლა კი ერთი დოლარი ღირს. მთელ დღეს თუ დაიქირავებ, ამასაც დოლარად გიანგარიშებენ. მეეტლეს ადგილი არ რჩება: ის რაც ძალი და ღონე აქვს, გვერდით მოგდევთ აღვირით ხელში, მაშინ როცა ევროპელს ამ გაგანია სიცხეში კარეტაშიც უქირს ჯდომა. სინგაპურში ფილაქანი არაა დაგებული, სილამოყრილი და დატკეპნილი ხეივნებია, როგორსაც ელაგინის პარკში ნახავ ჩვენში. ნახევრად ტიტველი ინდოელი, წინსაფარაფარებული, თავგაპარსული, ჩალმიანი თუ თმაჩამოშვებული, იმის მიხედვით, რა სჯული-საა, თანაბარი ნაბიჯით, გრაციოზულად მორბის, ფეხებს უკან ისვრის კარგა სიგრძეზე, გილიმის და მშვენიერ კბილებს გიჩენს. დამით მეეტლეებს ფარნებით დაატარებენ, თორემ ამ წყევლიადში თვალში თითს ვერ მიიტან.

მეეტლეებმა ჯერ მალაელების, ინდოელებისა და ჩინელების გარეუბნებში გაგვაქროლეს. მალაელთა სადგომები უბრალოდ გამქოლი გალიებია, ბამბუკის ჯოხებისგან ნაგები, ქოქოსის ხმელი ფოთლებით დახურული. ბოძებზეა შემდგარი ნესტისა და მწერებისგან თავდასაცავად. ბელელი რომ უწოდო, ესეც დიდი პატივი იქნება. ჩინელები უფრო მდიდრულად მოწყობილან — მათი ორსართულიანი სახლები რიგ-რიგად მისდევს ერთმანეთს: ქვემოთ დუქნები და სახელოსნოებია, ზემოთ საცხოვრებელი, ქალიუზებით დახურული. ინდოელები ფაცხებში დაბინავებულან.

საითაც არ გაიხედავ, ყველგან არ ესადა თუ ქოქოსის პალმებს აუყრიათ ტანი; პურის ყანებს ნაკლებად ნახავ: ყვისა და შაქრის პლანტაციებიც კი ცოტაა: ადგილი არ ჰყოფნით; სულ კაობები და ხშირი ტყეებია. სამხრეთ აზიის მთავარი საკვები ბრინჯი სინგაპურში მალაისა და ინდოეთის ნახევარკუნძულებიდან ჩამოაქვთ. სამაგიეროდ რამდენი ხეებია! პურის, თუთის, ჯავზის, თურინჯის, ბანანისა თუ სხვ.

ჩვენ ქალაქში ჩამავალ ისევ იმ მდინარის ნაპირს მივყევ-
ბოდით, რომელსაც სინგაპური ეწოდება. კაცმა არ იცის, მისი
წყალობით მოინათლა ქალაქი თუ ის მოინათლა ქალაქის წყა-
ლობით. მდინარე მღვრიეა და მნახველს თვალს არ გაუხა-
რებს, თანაც ძალზე ვიწრო გახლავთ, თუმცა სიღრმე არ აკ-
ლია.

ნაპირზე ფაცხები და ქოხები იყო ჩამწყკრივებული. იქი-
დან ხან ინდოელი, ხან მალაელი იჭყიტებოდა. ერთ ადგილს,
კარგა მოზრდილ მინდორზე, კაცები, ქალები და ბავშვები
დავინახეთ, ჭყეტელა ფერის წითელი და ლურჯი ტანსაცმე-
ლი ეცვათ. ხეებზე რალაცას კრეფდნენ. აქ მდინარიდან კამეჩს
ამოუყვია თავი, იქ ღარიბ-ღატაკი, კარგა ხნის გაუპარსავი,
ოფლში გაღვრილი ჩინელი მოათრევს ტვირთს. თავზე მოწ-
ნული ქუდი ჰხურავს. აგერ რამდენიმე ჩინელი ჩაცუტქულა
მოძრავ დუქანთან თუ თავის მალაზიაში, წრე შეუკრავთ და
ორი ჩხირით მოხარშულ ბრინჯს მიირთმევენ, ჯამი ზედ პირ-
თან მიუტანიათ, დროდადრო კი იმავე ჩხირებით შავი სითხით
სავსე მეორე ჯამიდან საოცარი სიმარჯვით რალაც ნაჭრები
ამოაქვთ და ჰამენ. რამდენიმე პატარა ხიდი გადავიარეთ.
შორს, ბექობებზე, ევროპელთა აგარაკები მოჩანს კვიპარო-
სების, ბანანებისა და პალმების ქალებში. ბოლოს ისევ ჩინურ
უბანში შევედით და ისევ ნაირ-ნაირი სურნელი შემოგვეფრ-
ქვია.

დუქნების თავზე რამდენიმე ადგილას ინგლისური წარწე-
რა წავიკითხე: ოპიუმით ნებადართული ვაჭრობაო. გვინდოდა
დაგვენახა, ოპიუმს როგორ ეწევიან და დუქანში შევედით:
მაგრამ ოპიუმი იქ თურმე მარტო იყიდებოდა. ბევრი ასეთი
დუქანი მოგვატარეს შეეტლევებმა; ამ საზიზღარ, ბინძურ გალი-
ებში შიშველი ჩინელები საწამლავს გვთავაზობდნენ საყიდ-
ლად. ბოლოს კულიმ ერთი დუქნის ბნელ საკუჭნაოში გავვიყ-
ვანა: იქ, გამურტლულ ჭილობზე, ერთი მწვეელი იწვა; ჩხი-
რით წარამარა ამოქონდა ოპიუმი და მრგვალი, დიდი ჩიბუხის
პაწაწინა ნახვრეტში დებდა. მაგრამ მეზობლად მოთავსებულ
ჩინურ სამზარეულოდან ისეთი სულისშემხუთველი ჰაერი,
სიმყრალე და სიმხურვალე გამოდიოდა, რომ ოპიუმის მოქმე-
დებას აღარ დავუცადეთ, გარეთ გამოვცვივდით და ჩინურ

უბანს რომ გავშორდეთ, მაშინლა მოვითქვით სული.

ზოგიერთებს რამერუმეების ყაღვა უნდოდათ და ევროპულ მაღაზიისაკენ გავსწიეთ; თუმცა ევროპული მაღაზიები სადაა, ევროპელები ბიჯუმად ვაქრობას ეწევიან, ჩამოაქვთ და გააქვთ საქონელი, საცალო ვაქრობა მთლიანად ჩინელების ხელშია. დუქანი დიდი იყო, ორი ოთახი ეკავა; სულო და გულო, რას არ ნახავდი შიგ! ტილოს, აბრეშუმს, სიგარებს, სუნამოს, საპონს, პიმადას, ბოლოს ჩინურ ჩუქურთმიან ნივთებს, ჩაის და სხვ.

თვალი მოვკარით, რომ ტილოს ნაქერს რუსული ბეჭედი ესვა: ა. პერლოვის ფაბრიკაო. „საიდან? რა გზით?“ — ვკითხეთ ინგლისელ ნოქარს. „ეს ინგლისური საქონელია, — გვითხრა — ბეჭედი კი რუსულიაო.“ განგებ ავითრიე ფეხი დუქანში: მეეტლებმა დაისვენონ-მეთქი; მაგრამ იმათ, მგონი, სულაც არ აწუხებდათ ეს ამბავი. პირველად შემრცხვა კიდეც, ისინი რომ მიგვარბენინებდნენ, მაგრამ ნახევარ საათში მიმეჩვია თვალი. „საით წავიდეთ კიდეც? რა ვნახოთ?“ — ვიძახდით ჩვენ. „პო. ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, ინდოეთში ვართ: ალბათ სპილოებიც იქნება: უნდა ვნახოთ და გავისეირნოთ კიდეც-თქო“. — „სპილოები თუა აქ?“ — ვკითხეთ მეეტლეს. „კია“, — გვითხრა. „აბა სადაა? ბევრია?“ „მარტო ერთია“. — „ერთი! თუმცა ამ კუნძულს ერთიც ეყოფა! შეიძლება შევჯდეთ და გავისეირნოთ? „არა, შაქრის ქარხანაში ამუშავებენ“.

ცოტა ხანს კიდეც ვიტრიალეთ ქუჩებში, ესპლანადაზე გავიარეთ, ევროპულ შენობათა გვერდით გაშენებული ბალების ცქერით დავტკბით, ოთხი საათისთვის London Hotel-ში დავბრუნდით და მაშინვე მარაოს ქვეშ მოვიკალათეთ. სადილის ზარი დაირეკა. მართალია, ჯერ არ მოგვშივდებოდა, მაგრამ მე და ბ[არონი] კ[რიდნერი] სანახავად გავეშურეთ, „ვნახოთ, ერთი რას ჭამენო“, — ეს ბარონის სიტყვები გახლავთ, თუმცა არა ერთხელ მქონდა შემჩნეული, რომ ასეთ შემთხვევებში ჩემი თანამგზავრი „ნახვას“ მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. სასადილო განცალკევებით, ეზოში აშენებულ, ყოველ მხრივ ღია ფიცრულ გალერეაში მოეწყოთ, როგორც ჩვენში კეგლის სათამაშო სახლს აგებენ ხოლმე; ეზოში კიდეც იდგა მეორე ასეთივე გალერეა, საამისოდ გამიზ-

ნული. დარბაზის მთელ მორთულობას გრძელზე გრძელი მაგიდა, ჰერზე მთელი მაგიდის სიგრძეზე დაკიდებული მარაო და კუთხეში არცთუ დიდად რბილი, ორი უშნო დივანი შეადგენდა. იქ უკვე თხუთმეტიოდე ინგლისელი და ამერიკელა დაგვხვდა: თითქო ინგლისში იყვნენო, ხერესს, პორტუგალისა და ელს შეექცეოდნენ ნება-ნება.

ინგლისური ჩვეულების მიხედვით, სადილი მთლიანად გამოელაგებინათ სუფრაზე. ცხელი კერძი მოგვიტანეს. გავსინჯე — რაღაც ნაცნობი გემო ჰქონდა. „ეს ხომ უხაა“, — ვუთხარი ბ[არონს]. „თევზის წვნიანო“, — პედანტურად გამისწორა მან. შემდეგ თევზი მოგვიტანეს, რომელიც ძველი მომეჩვენა, და მშვენიერი მოხარული მწვანილიც მოაყოლეს. ვისაც რა უნდოდა, ის გადმოჰქონდა. არჩევანი დიდი იყო: ათიოდე კერძი იდგა სუფრაზე. ღორის ხორცი საოცრად თეთრი, გემრიელი და ქორთვა გამოდგა. აქაურ ღორებს კაცმა არ უნდა დაუქარგოს სიკეთე: შესახედად ჩვენ ღორებზე უშნო და დაბლებია, ჯაგრის ნაცვლად ღინღლივით ბეწვი ამოსვლიათ თხლად და იქიდან თუნთულა, ჩავარდნილი ზურგი უბზინავთ, მუცელი ლამის მიწაზე ეთრევთ. სიმსუქნისაგან ველარც დადიან, მაგრამ ძალზე ნაზი ხორცი კი აქვთ. სამაგიეროდ აქ მეტად ნაზადაც ეპყრობიან. ერთხელ ვნახე, კამეჩს ღორებით დატვირთული ურემი რომ მოჰყავდა: თითოეული ღორი ცალ-ცალკე მოეთავსებინათ ღორის სიმაღლეზე დაწულ გოდორში. ამიტომაც მათი გამკვლავი ჰყვირილი აღარ იღებდა ქუჩას, როგორსაც ჩვენში გაიგონებ ხანდახან. მეორედაც ორ ჩინელს ზურგზე შეედგათ ასეთი კალათა, შიგ არხეინად გაშხლართულიყო ღორი და დიდი სიფრთხილით, ასე გასინჯეთ, პატივისცემითაც მოაბრძანებდნენ.

სინგაპურისთანა ქალაქებს, ე. ი. სავაქრო და საწყობ ადგილებს, დიდი მოწონების თვალით, უფრო სწორად, ხალისით არასოდეს ვუცქერი. ყოველივეს აქ შემთხვევითობისა და გარემოებით გამოწვეული იძულების ბეჭედი ასვია. შეხვდები ევროპელს და ატყობ, რომ აქ სულ მოკლე ხნით ჩამოსულა, რაღაც დიდ საქმეს ჩამოუყვანია: თუნდაც აქ ათი წელი ცხოვრობდეს, სახეზე მაინც ეს აწერია: „მხოლოდ გარემოება მიიძულებს აქ ვიყურყუტო, პირველი შემთხვევისთანავე აქედან

მოვუსვამო“. სახლებიც თითქო ამას ღაღადებენ: „კონსული რომ არა, აქ ვინ დამდგამდა: რაწამს ის წავა, მაშინვე ან დავიწვები, ან დავინგრევიო“.

მე და ბარონი სუფრაზე მჯდარ, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან „ქონების მოსახვეჭად“ გადმოხვეწილ ხალხს ვაკვირდებოდით, და ჩუმ-ჩუმად ვუზიარებდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ერთმა ყმაწვილმა კაცმა ფრიალ გაგვაცოცა თავისი შეხედულებით. „ერთი შეხეთ, რა ლამაზი ვაჟკაციაო!“ — მითხრა ბარონმა იმ ინგლისელზე. „ასეთი სილამაზე ყოველად დაუშვებელია-მეთქი!“ ნაზი, ფერმკრთალი პირისკანი, ჩაფიქრებული, წყლიანი ცისფერი თვალები, აბრეშუმივით რბილი, ნაზ სახეზე ტალღებად ლამაზად ჩამოშლილი თმა, მშვიდი ხმა, მეტი რა უნდა ინატროს კაცმა. ნეტავ ეს რომელი სვებედნიერი გამოქცეულა ევროპიდან? აქ რამ ჩამოხვეწა? ნუთუ ოქროს ბრჭყვიალმა? ის თქვენთან უნდა ტრიალებდეს, ბანოვანებო; მაგრამ თქვენში მხოლოდ ინგლისელ ქალებს ძალუძთ სიტურფით გაუტოლდნენ. ეს ბრიტანული სილამაზე გახლავთ, ნაზი, მწყაზარი და ჭკვიანური, თუკი ასე შეიძლება გამოითქვას: არც ვარდი უყვავდა ღაწვებზე, არც შროშანი, არც მშვილდივით მორკალოდა წარბები; მთელ მშვენებას ნაკეთთა და ფერთა სიწმინდე და ჰარმონია შეადგენდა, ვითარცა დიდის გემოვნებით შერჩეულ თაიგულში.

ვუყურებდი ამ კალმით ნახატ ვაჟკაცს, ვაკვირდებოდი მის საუბარსა და მიმოხვრას: მინდოდა შემეტყო, გრძნობს კი რა ლამაზია, მოაქვს კი ამით თავი — ერთი სიტყვით, ფუქსავატია თუ არა. მაგრამ აქ ქალები არ ბრძანდებოდნენ, ამის შეტყობა კი მხოლოდ მათ წარეში შეიძლება. ვაი ასეთ ლამაზ ვაჟკაცს: თუკი მახინჯს ბევრი ღირსების გამოჩენა მართებს თავისი სიმახინჯის დასამალად, ლამაზ კაცს უფრო მეტი სჭირდება, რომ ასეთი სილამაზე შეუწდონ. ჯერ რამდენი ჭკუაა საჭირო, რომ დაივიწყო შენი სილამაზე! მაგრამ ვაი რომ ასე არ ხდება; ხელოვნურად უნდა მიაღწიო მის დავიწყების შეგნებას, ე. ი. ყოველ წამს უნდა გახსოვდეს, დავიწყებაა საჭირო.

სალამომდე ვისხედით ოტელში და ჰალარა ამერიკელ შვიპერს ვემუხაიფებოდით, რომელიც მოგვიჯდა და თავისი ამ-

ბები მოგვიყვია. ახალგაზრდა იყო, ზღვაში რომ გასულა და მას აქეთ დაეხეტება თურმე ზღვაზე. ახლა ინგლისში მიაქვს ტვირთი, იქიდან ექვსიოდე კვირის შემდეგ ნიუ-იორკში გაგზავნიან, მერე რიო-ჟანეიროში. ასე გაუტარებია ორმოცი წელი.

უკანდაბრუნებულებს გზაში კვლავ ვარსკვლავებით მოქედილი ცა დაგვკაშკაშებდა: ერთი მხრივ დიდი რვილი, მეორეს მხრივ სამხრეთის ჯვარი, შემდეგ კანოპუსი, ცენტავრები, ბოლოს ყარობი იუპიტერის სხივთა ნაკადი იღვრებოდა, მათ იქით კი ვარდისფერ დაფიონივით ცის იკანკლედი კამკამებდა. ცაზე გადავლილი შავი ღრუბლები უფრო ქუფრად ჩანდა და შიგადაშიგ ელვა დაიკლავებოდა სოლმე; ნიჩბები კვლავ მწყობრად მიარღვევდა ვერცხლის წყალს. უკან დუქნებთან დაკიდებული ფერად-ფერადი ფარნებით ჩინური უბანი ელვარებდა; რეიდზე ხომალდების შუქი კრთოდა. ჩავუარეთ ჯონკებს. მძიმე-მძიმედ ირხეოდა იმათი მახინჯი, დიდრონი ჩრდილები ვარსკვლავებით მოკენჭილ ცის ფონზე და წყალზე, ზემოდან ცხელი სუნთქვა გვეფრქვეოდა, ზღვა ოდნავ გვასხურებდა სიგრძილეს. წარმოიდგინეთ, მთელი წლის მანძილზე ასე გრძელდება! სულ ასეთ სურათებს ჰკვრეტს თვალი, ასეთ ცას, წყალს, ასე ცხელა ნიადაგ! რა საამოც არაა მზეთუნახავის ვნებიანი ღიმილის, მისი მიბნედილი თვალების, მწველი ბაგის, მღელვარე მკერდის ცქერა, მაინც დაგლის კაცს, თუ ან ფიქრმა, ან შეშფოთებამ, ან დარდმა არ შეუტყვალა სახე, თუ სიმორცხვის აღმა არ შეუფაკლა ლოყები.

სადილმა და ორმა ჰიქა შამპანურმა თავისი მიქნა. მარტოოდენ ინგლისელთა რკინის კუჭებს ძალუძთ ჰამასა და ჩვევებში ევროპულ რეჟიმს მისდიონ და არა დაუშავდეთ რა. სხვები. მეტ-ნაკლებად კლიმატს თავის ხარკს უხდიან. გარდა ამისა, აუტანელი სიცხე. სულს გიწუხებს დღისით თუ ღამით. კარს გააღებ, ოპირ ქარში დაჯდები — მაინც არაფერი გშველის. ღამის ჰაერი მეტისმეტად თავაზიანი სტუმარივით კართან ატუზულა და კაიუტაში არ შემოდის დახუთული ჰაერის გამოსაბრძანებლად. დღისით მზის თვალისმომკრელი ბრჭყვიალი წყალს გამდნარ ვერცხლივით ალაპლაპებს; სხივთა კონები შვეულად ეფრქვევა ყველაფერს — კლდეებს, პალმათა წვე-

როებს, ხომალდთა გემბანებს და არეკლილ ცეცხლის ჩანჩქერებად იღვრება ყოველმხრივ. თეთრი გემბანი სპილოს ძვალევიტ ელავს, სილა თოვლივით ქათქათებს კლდეებზე. ყოველი სულდგმული გაქცეულა თუ დამალულა; ევროპელები ან შინ სხედან, ან ნავით მიდიან, ტილოს შეფარებიან, ნაპირზე კარეტებით მიდი-მოდიან. მარტო ინდოელი გამზვართულა ნავში, ძილში ხან ერთ გვერდს მიუფიცხებს მზესა და ხან მეორეს. მის გამომწვარ კანს ლაპლაპი გაუდის, სხივები ზედ სხლტება, სხეულში არ ატანს. თუ არადა ნახევრად თავმოპარსული ჩინელები იქნევენ ნიჩბებს ან საჭეს ატრიალებენ რეიდზე მიმავალ ორჩხომელზე, ევროპული ხომალდების გვერდით აკაკუნებენ ჩაქუჩს, საპალნეებს მიათრევენ. „ოჰ, როდის მოვშორდებით აქაურობას!“ — ისმის აქეთ-იქიდან. გწყურია — მაგრამ წყალი თბილია, ჩაის გემო დაკარავს. ყინული, ყინული და თოვლი გენატრება: მამულის კვამლს კი არა, თოვლს და ყინულს თხოულობს სული!

ირგვლივ კი ყველაფერი გადაფურჩქნილა: ამაზე დიდებულ სურათს კაცი ვერ ინატრებს. დღის ცა ღამისას არ ჩამოუვარდება სიტურფეში. ღრუბელი ღრუბელს მისდევს და ნელა იძირება ბრჭყვიალა ცისკიდურში. დაფიონს ვარდისფერი, ფანტასტიკური ცეცხლი წაჰკიდებია. როგორც ატლანტის ოკეანეში, ღრუბლები აქაც საოცარ სურათებს ქმნიან.

ნაპირზე კი, ნაპირზე რას ხედავს თვალი? არესას პალმების მუქი მწვანე, თითქო ბოლოებშეჭრილი ფოთლები, რის გამოც მთელი ხე კოხტად გაკრეპილი გამოიყურება, ქოქოსების გრძელი, წაწვეტებული ფოთლები, პატარა, პრიალა ფოთლიანი ჯაეზის ხეები, შემდეგ თურინჯები, ბანიანები—აი, რა არშია გვარტყია ირგვლივ! უეცრივ დეკორაცია იცვლება: აღარაფერი ბრჭყვიალებს და კამკამებს. წვიმა მოდის. ღრუბელი საიდან გაჩნდა? ზეცას თითქო ზეწარი გადაეფარა და ნიაღვარი გადმოთქიშინებს: შედგმული კასრები ხუთ, ათ წუთში ივსება. მაგრამ გაფიქრებას ვერ მოასწრებ, რამდენ ხანს გაგრძელდებაო, რომ წვიმა შეწყდება უკვე. ისევ გაშრა ყველაფერი; აქ ტალახს რა უნდა; გინდ ბალახზე დაადგით ფეხი, გინდ მიწაზე, ფეხსაცმლის ძირი მშრალი რჩება.

ცხოვრობს ხალხი ამ კლიმატში და მერე რა იათად ცხოვ-

რობს! სამოსად ტილოსა თუ ბამბის ერთი პატარა ნაჭერი სჭირია, თეძოებზე შემოსახვევად, სხვა არაფერი; სხვა დანარჩენი სულ ტიტველია. არც ფეხსაცმელი, არც პერანგი აწუხებს — ევროპელებს ერთიც აცვიათ და მეორეც, მაგრამ რა სიამოვნებით გაიხდიან და, მგონი, მესამეს... შარვალსაც მიაცოლებენ! საკმელად — ერთი მუჭა ბრინჯი, დესერტი — კაპიკად ღირებული ანანასი, თუ კაპიკი არ გააჩნია და ამიტომ არც ანანასი აქვს, სხვისი ღობიდან გამომზირალი მუქით ანანასი აქვე არაა? თუ არც ესაა, მაშინ მიწაზე ჩამოვარდნილ ჯავზის კაკალსაც არა უშავს რა. დასალებად თუ მღვრიე წყალს არ ისურვებს, აგერ, ბატონო, ქოქოსის კაკალი, რომელიც არავის საკუთრებას არ წარმოადგენს და ამიტომ ყველას ეკუთვნის. ცხოვრება, ე. ი. ძილი სადაც უნდა და სწადია, სადაც დაწვება, ყველგან თბილა და სიმშრალეა.

რაკი ქოქოსი ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ მალე გაგვიარა მისმა ტრფიალმა. თუ ჯერ კიდევ მწვანეს მოსწყვეტ და მაშინვე დაღვე, წვენი გაგრილებს; მაგრამ თუ კაკალს რამდენიმე დღე გააჩერებ, ქოქოსის რძე თბება და დედდება. როგორც ჩვენებური უბრალო კაკლის ლებანი, მწიფე ქოქოსის რძეც ასევე მაგრდება ხოლმე. ქოქოსის ლებნიდან რძეს ვაკეთებდით; როგორც ნუშიდან; მსუყე და მეტისმეტად ტკბილი გამოდიოდა; ჩაისა და ყავას ნალებივით თუ მიატან, კარგია. თორემ ისე არ დაიღვეა.

მერე რა როლს ასრულებს ეს ქოქოსი აქ, ამ ტროპიკულ განედებში! ადამიანებიცა და ცხოველებიც ქოქოსის კაკალს სჭამენ, ქოქოსის წვენს სვამენ; ქოქოსის გულიდან ზეთს ხდიან, რაიც ჩინეთსა, სანდვიჩის კუნძულებსა თუ სხვა მრავალ ადგილებში ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენს. ქოქოსის ხიდან სახლებს აშენებენ, ქოქოსის ფოთლებით ხურავენ, ქოქოსის კაკლის ნაჭუჭიდან ჭურჭელს ამზადებენ.

ანანასებმაც ყველას მოგვაბეზრა თავი: მისი მოტრფილენი დილიდან საღამომდე შეექცევიან. ერთი გვარწმუნებდა, სამი ცალი ვჭამეო, რაც ტრაბახად ჩავუთვალეთ. ანანასს აქ გოჯზე მეტად გადაუჭრიან თავს და გადააგდებენ, უგემური არ გეგონოთ, უბრალოდ დანარჩენი უფრო გემრიელია. მერე

ზედმეტ ჩენჩოსა და ნახვრეტებს გამოაცლიან; წვენი დანაზე მოწურწურებს, ნაჭერი კი პირში გიდნება. კაიუტაში ყველას ანანასები ჩაუმწკრივებია კედელზე, მაგრამ ერთმა ჩვენმა ოფიცერმა (მეორე ხომალდიდან) გვითხრა, ჩემი თვალით დავინახე, ანანასების მწვანე ძირებიდან სამი პატარა მორიელი რომ გამოძვრაო. თავდაპირველად ობობები ეგონა თურმე. ამ აზრის შემდეგ იმავე ხომალდზე ერთ მეზღვაურს ფეხზე უკბინა მორიელმა, ალბათ ერთი იმათგანი იქნებოდა. ფეხი დაუსივდა, მაგრამ სიმსივნე მალე დაცხრა და საქმე ამით დამთავრდა.

რას წარმოადგენს მაინც სინგაპური? ამაზე ჯერ არაფერი მითქვამს. ეს რამდენიმე მილის სიგრძე პატარა კუნძულია: მალაის ნახევარკუნძულის ბოლოში, ჩრდილოეთ განედის $1^{\circ}30'$ -ზე მდებარე, მაშასადამე ზედ ეკვატორთან. ის მალაის ერთ-ერთმა სულთანმა 1819 წელს დაუთმო ინგლისელებს. რომლებმაც ზელი შეუწყვეს მას თავის სამფლობელოებში განმტკიცებულიყო. ისიც უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ამ ამბის წინ პოლანდიელებმა დიდის გაჭირვებით გამოსთხოვეს მეორე სულთანს, პირველის მეტოქეს, იმავე ადგილებში სავაჭრო დაბა, კერძოდ რიოს სრუტეში. ინგლისელებს კი ადათად სჩვევიათ, სადაც ვაჭრობის სუნს იკრავენ, თავისი საქონლით მყის იქ დაიბადონ. ჰოდა, აქაც ასე მოიქცნენ. პოლანდიელების ადათი კი ისეთია, სადაც თვითონ ვაჭრობენ, სხვა აღარავინ გააკარონ. ეს იყო მიზეზი, რომ სინგაპური აშენდა და გაიფურჩქნა, ხოლო პოლანდიელების დაბა დაეცა.

სტენ ბილი, დანიური კორვეტის „გალათეიას“ კომანდირი და მოგზაურობის ავტორი, ახლანდელ სინგაპურს ვაჭრობის მხრივ ძველ ვენეციას ადარებს. შედარება სუსტია, სინგაპურისთვის არც ისე სატრამბაზო. აბა სად იმდროინდელი ვენეციის რესპუბლიკის კაპიტალი და სად ბრიტანული? სად ვენეციის მდგომარეობა მაშინდელ აღმოსავლეთ-დასავლეთს შუა და სად სინგაპურის წონა ინდოეთის, ჩინეთის, მალაის ნახევარკუნძულის, ავსტრალიის, სიამის, კოჩინჩინისა და ბირმის იმპერიათა შორის, რომლებიც პროდუქტებს პროდუქტებზე აგზავნიან სინგაპურში და იქიდან ევროპაში? მერე რაღა არ იგზავნება აქ ევროპიდან? ბოლოს, სად დაედრება მაშინდელი

ფუფუნება ახლანდელ კომფორტს. ფუფუნება მანკიერება გახლავთ, სიმახინჯე, ადამიანის არაბუნებრივი ლტოლვა, ბუნებრივ მოთხოვნათა საზღვარს გადაცილებული, გარყვნილება. განა გარყვნილება და სიმახინჯე არაა ათასობით ოქროს მანეთი გადაიხადო ფრინველთა ტვინისა თუ ენისაგან შემზადებულ კერძში ან თევზის სუკში, არა იმიტომ, რომ ეს კერძები სხვა, უფრო იაფ კერძებზე გემრიელია, არამედ იმიტომ რომ ამდენი ჩიტისა თუ თევზის შოვნა ფრიად ძნელია? განა უგუნურება არაა, ისეთ სერვიზზე ისადილო, როგორსაც სხვას ვერვის უნახავ, თუნდაც ნახევარ მამულად დაგიჯდეს ის? განა სისულელე არაა ოქროთი და პათიოსანი ქვებით დაიმძიმო თავი და ვეღარ გაინძრე, ან ობობას ქსელივით სიფრიფანა მაქმანებში გაეხვიო და დაჯდომისა თუ დაყრდნობის გეშინოდეს?

ვენეციელი მოქალაქეები — (თუკი სიტყვა „მოქალაქე“ აქ დაცინვით არ ისმის) ყოველივე ამას სჩადიოდნენ; ისინი ხმელ, თუმცა ხავერდის სკამებზე ისხდნენ, უგემურ, თუმცა ფარჩის ქვეშაგებში ეძინათ, დიდებულ, თუმცა წყვედიადში ჩაფლულ მოედნებზე დადიოდნენ, და ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდათ ახლანდელ ცხოვრების გემოზე, ე. ი. ცხოვრება ყოველნაირად მოიხმარო, შენს სარგოდ და საამოდ გამოიყენო.

მედიდურობა და ნეტარება-განცხრომაში გადამლაშება — აი, ფუფუნების დამახასიათებელი ნიშნები. ამიტომაც ხანმოკლე დღე აქვს ფუფუნებას: ამიტომ გამწარებული ესწრაფება ეფემერულ სიცოცხლეს; არც ერთი კრეზი არ გადაქცეულა ჰერკულესის ბოძად; ფუფუნება რომ ყველაფერს მოიჭამს, ეცემა და ვაჭრობასაც თან წაიყოლებს. ფუფუნებას აჩრდილივით დასდევს მისი უხილავი მტერი — სილატაკე, ის დადარაჯებულა, როდის შეირყევა კვარცხლბეკზე ზიზილპიპილებიანი ქალღმერთი, რომ სწრაფად ძირს გადმოაგდოს დედოფალი, მის ტახტზე თვისი ცინიკური ძონძებით მოიკალათოს და მისი დიდებული ნასუფრალი დახრას.

გაიხსენეთ ვენეცია, გაიხსენეთ თუნდაც ესპანეთი: იმაზე მორთულ-მოკაზმულ ეპანჩას კაცი, მგონი, ვერ მოიგონებს, მერე კი რა დაგლეჯილ მანტიად გადაექცა! და განა მარტო ესპანეთი და ვენეცია?..

სადაც ფუფუნებაა, იქ ვაჭრობა არაა; ეს კონვენუსიური,

სასოწარკვეთილი დოდი გახლავთ, მრავალ გადასალახავ დაბრკოლებით, courses aux clochers: გადახტები, თასს ჩაიგდებ ხელში, ფეხებს კი მოიმტკრევ.

კომფორტი სულ სხვა ყაიდისაა: ფუფუნება თუ უგუნურება, ბუნებისა და გონებით ნაკარნახევ მოთხოვნილებათაგან მახინჯი, არაბუნებრივი გადახვევა, კომფორტი ამ მოთხოვნილებათა გონიერ დაკმაყოფილებას წარმოადგენს, რაიც მეტად მკაცრად, დახვეწილად შეუმუშავებიათ. ფუფუნებას სიმდიდრე სჭირია; კომფორტს ჩვეულებრივი სახსრებიც გასწვდება. მდიდარი თავის საწოლს ვალანსეს მაქმანებით მორთავს; კომფორტი წმინდა, გაქათქათებულ ტილოს იკმარებს. ფუფუნება ინკრუსტირებულ, მოოქრულ სავარძელში მოიკალათებს, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელზე მიირთმევს. კომფორტი მოოქრულის ნაცვლად რბილ, მყუდრო სავარძელს არჩევს, ძვირფას ხეს არ დაგიდევთ: მაგიდაზე ქაშანურის, დიდი-დიდი ფაიფურის ჭურჭელს დასჯერდეს. ფუფუნებას იშვიათი ფრინველის ხორცი უყვარს, ზამთარში მარწყვს მოითხოვს; კომფორტი ჩვეულებრივ კერძებს დაკმაყოფილდება, სამაგიეროდ, სადაც არ უნდა გალატყორცნოს ბედმა: აყრიკაში, სანდვიჩის კუნძულებზე თუ ნორდ-კაპში — ყველგან ქორფა სანოვაგე, საქონლის რბილი ხორცი, ვარიები, ძველი ღვინო უნდა დახვდეს. ყველგან უნდა ის მაუდი თუ აბრეშუმი ეცვას, რასაც პარიზში, ლონდონსა თუ პეტერბურგში ატარებს; ყველგან მეწაღე, თერძი და მრეცხავი უნდა ეახლოს. ფუფუნება ცდილობს, მე ისეთი რამ მქონდეს, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. კომფორტი, პირიქით, თხოულობს, თქვენთანაც ის დამხვდეს, რასაც ჩემს ქვეყანაში მიჩვეული ვარ.

მსოფლიო ვაჭრობის ამოცანასაც სწორედ ის წარმოადგენს, რომ ეს საგნები გააიადოს, ყველგან ხელმისაწვდომი გახადოს კეთილმოწყობის ის საშუალებანი, რასაც კაცი თავის ქვეყანაში მიჩვეულია. ეს გონიერული და სამართლიანია; სასაცილოა მის მომავალ წარმატებაში ეჭვის შეტანა. ვაჭრობამ ყველგან მოიკიდა თუ იკიდებს ფეხს, მსოფლიოს ყველა კუთხეში ცივილიზაციის ნაყოფი შეაქვს. ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინემ ერთი შეხედვით ჩანს. კომფორტი და ცივილიზაცია თითქმის სინონიმებია, უფრო სწორად, პირვე-

ლი მეორის გარდუვალი, გონივრული შედეგი გახლავთ. ამიტომაც არასოდეს დაეცემა ვაჭრობა, რადგან უმრავლესობის თუმცა დახვეწილ, მაგრამ გონიერ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და არა უმცირესთა დამთხვეულ ექნს. საქმე ნახევრად უკვე გაკეთებულია. სადაც ევროპელი ფეხს დაადგამს, იქ გულმშვიდად შეგიძლიათ გაემგზავროთ, არაფერი მოგაკლდებათ და ისეთივე გემრიელი ცხოვრება შეგექმნებათ, როგორც შინა ხარო მიხევეული, ცხადია, თუ ფეხს იქამდე გაქიმავე, სანამდის საბანი გაგწვდება.

სინგაპური ერთ-ერთი მსოფლიო ბაზართაგანია, სადაც ჯერჯერობით ყველაფერი იყრის თავს, რაც სასარგებლოა თუ სავნო ადამიანისათვის. აქ აუცილებლად საჭირო ქსოვილებ-ცაა და პურიც, საწამლაიცა და სამკურნალო ბალახებიც. გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, სომხები, სპარსელები, ინდოელები, ჩინელები — ყველა გასაყიდად თუ სავაჭროდ ჩამოსულა; სხვა სურვილი თუ მიზანი აქ არავის ამოძრავებს. ფუფუნებას ნაზ შხამ-სამსალასა და სანელებლისათვის გამოუგზავნია ხალხი, კომფორტი ტანისამოსს, საცვლებს, ტყავეულს, ღვინოს აგზავნის, გაჰყავს გზები, აშენებს სახლებს, კაფავს ახლებს და უდაბნო ადგილებში იჭრება...

რას წარმოადგენს ძველი ვენეცია და მისი მოოქრული გალერები ამ მახინჯ ჯონკებისა თუ ოსტ-ინდოეთის ხომალდების გვერდით, რომლებიც ნედლი თუ დამუშავებული ურიცხვი სიწმიდითაა სავსე?

ერთსაც კიდევ ვიტყვი: რაც უმცირესობისათვის მიუწვდომელ ფუფუნებას წარმოადგენდა, ცივილიზაციის წყალობით ბევრისთვის ხელმისაწვდომი გახდა: ჩრდილოეთში ანანასი ხუთი, ათი მანეთი ღირს, აქ — ერთი კაპიკი: ცივილიზაციის ამოცანაა — სწრაფად გადაიტანოს ის ჩრდილოეთში და შაურის საფასური გახადოს, რომ მე და თქვენც ჩავიტკბარუნოთ პირი.

პროგრესმა უკვე ბევრ გამარჯვებას მიაღწია. წაიკითხეთ ოთხმოცდაათი წლის წინანდელ მოგზაურობათა აღწერა. რა იყო ეს? — ტანჯვა და წამება! მოგზაურს რამდენი გაჭირვება უნდა მოეთმინა, მარილიანი ხორცი ეჭამა, წყლის დალევისას ცხვირზე უნდა მოექირა ხელი; ველურებთან ეომა. ახლა კი?

რაწამს ინდოელებს, ჩინელებს, ველურებს ნავსადგურში მიადგებით, მყის ნავები შემოგეხვევათ, როგორც ჩვენ აქ: ჩინელ თუ ინდოელ მრეცხავს მიაქვს თქვენი ტილოს საცვლები, ახამებს, რეცხავს, როგორც პეტერბურგში; გეახლებათ გრძელკიკინიანი თერძი კოფტასა და შარვალში გამოწყობილი, გიჩვენებთ მაუდის, ქსოვილის ნიმუშებს, აგიღებთ ზომას და ევროპულ ტანსაცმელს შეგიკერავთ; გადახვალთ ნაპირზე — მცხოვრებლები აქეთ-იქით კი არ გარბიან, ჯგროდ დაგეხვევიან, კარეტას, ტახტრევანს შემოგთავაზებენ, სასტუმროში მიგაცილებენ. იქ კი ისეთივე რბილი ბიფშტექსი, ისეთივე ლაფიტი, ხერესი და გაქათქათებული ლოგინი დაგხვდებათ, ვითარცა ევროპაში.

ორი ღღე არ გადავსულვარ ნაპირზე, უქეიფოდ ვიყავ, ბადეზე დაყრდნობილი ცას, ირგვლივ მდებარე კუნძულებს, ტყეებს, ნაპირზე მიმოფანტულ ფაცხებს, რეიდზე მოფუსფუსე ჯონკებს, ნავებს გავცქეროდი, ინდოელთა, ჩინელთა სახეებს ვაკვირდებოდი, მათ ლაპარაკს ვუგდებდი ყურს.

ყველაზე საინტერესო სანახაობა მაინც ის იყო, როცა ჩვენი მეზღვაურები აქაურებისაგან ხილს, სხვადასხვა ნივთებს. კოლოფებს, მარაოებს, უბრალო ქსოვილებს თუ სხვას ყიდულობდნენ. მერე რა ენა მოუგონიათ — თუმცა მშვენიერად კი აგებინებენ ერთმანეთს! მივცემ ფადეევს ფულს, ის ნავებზე ჩავა ანანასებისა თუ სხვა რამის საყიდლად: აი, ვილაცას ედავება, ბრაზობს; ბოლოს მოურიგდება და რაც საჭიროა, მომიტანს. „ამ ქაჯებს ვერაფერს გაუგებ! — იძახის ის. — გუშინ ნახევარი შილნიკი მომთხოვა, ახლა ერთი შილნიკი (შილინგი) მოისურვა“. — „შენ რა ენაზე ელაპარაკები მათ? — „ინგლისურზე“. — „როგორ ეკითხები?“ — „რაც მინდა, ხელში ავიღებ ხოლმე, ვკითხავ ო მ ა ჩ?“ (how much — რა ღირსო?)

ბოლოს, ცოტათი რომ მოვმჯობინდი, რამდენიმე ამხანაგთან ერთად სინგაპურში წავედი. აქ ბევრისგან გაიგონებ ვაჭარ ვამპოას სახელს. კანტონში ასე ეწოდება ბოლაზსა თუ ვერფს. იქიდანაა წარმოშობით სინგაპურელი ვაჭარი თუ არა, არ ვიცი, ოღონდ იმასაც ვამპოა ჰქვია. უკვე ოცი წელიწადია ჩინეთიდან ჩამოსახლებულა აქ. თავის ქვეყანაში ვერ დაბრუნდება თუ რომ... ქრთამი არ გადაიხადა. თუმცა ახლა აღარც

აქვს ალბათ ამის სურვილი. მდიდრული მალაზიების, სახლებისა და დიდებული აგარაკის პატრონია; ჩვენებმა მისგან იყიდეს და მოიმარაგეს ყველაფერი; სწორედ მისი დუქნისკენ გავეწიეთ ასლა.

შესასვლელში ერთი სქელზე სქელი ჩინელი იჯდა. სხვებივით მასაც მუშამბის კოფთა ეცვა, ლურჯი შარვალი, ნატის მეტისმეტად მაღალლანჩიანი ფესხაცმელი, რითაც სიარულიც კი გაუჭირდება კაცს, არათუ სირბილი. თავი რა თქმა უნდა წინიდან გადაეხატრა, ზურგზე კი კიკინა გადაეგდო. იქვე ტრიალებდნენ ინგლისელი ნოქარი და რამდენიმე ჩინელი. დუქნის პატრონი სწორედ ეს სქელი კაცი ყოფილა. დუქანი მთელი მსოფლიოს მალაზიებსა ჰგავდა, თუ კიდევ ჩინურ ნახელავს, გალაქულ კოლოფებს, მარაოებს, სპილოს ძვლის, წითელის ხისა თუ სხვათა ნაჩუქურთმევ პატარ-პატარა ნივთებს დავუმატებთ.

ამ ბაზარს რომ დავხედეთ, მერე კვლავ ქალაქში გავიარეთ — მალაურ, ინდურსა და ჩინურ უბნებში, და ცხვირზეც ხშირად გვექონდა ხელი მოკერილი. შემდეგ ბუდას კერპსამლოცველოს წინ გავაჩერებინეთ ეტლი. ქუჩაში გულდაგულ ჩარახული ალაყაფი გამოდიოდა, მეჩხერ მესრიდან ბოლოებანჯეილი სახურავი მოჩანდა. ყველაფერი წითელი, მწვანე და ყვითელი ფერებით შეეღებათ. ინდოელმა მსახურმა გავგილოჭრე. ფილაქნებით მოგებულ დიდ, სუფთა ეზოში შევედით. მარჯვნივ ჰა იყო, მერე ცარიელი კედელი და კუთხეში ოთხივ მხრივ დია სამზარეულო. იქ, ქურებზე და ტაფებზე ნაირ-ნაირი ხორავი შიშხინით იხრაკებოდა და იხარშებოდა. რამდენიმე ჩინელი დატრიალებდა თავზე. მარცხნივ, კედლის შუა, პატარა სამლოცველო იყო სამსხვერპლოთი, კერპებით, ანთებული საკმევლებითა და ცვილის სანთლებით. სამსხვერპლოს წინ ბონზა დაჩოქილიყო: პატარა, მრგვალ დოლს ჯოხს სცემდა და წამღერებით, ოდნავ ცხვირში კითხულობდა წიგნს. იქვე, სამლოცველოში, რამდენიმე ჩინელი შემოჯდომოდა მაგიდას. და რაღაცას კერავდა. ბერს ზედაც არ უყურებდნენ. მე სახეში ჩავხედე მას: გამხდარი, გაცრეცილი იყო, თვალები დაეხუჭა.

მთელ ეზოში, გალავნის გასწვრივ, ბანანის, პალმისა და

ჯავზის ბეები ჩაერკოთ. შუა ეზოში მთავარი კერპსამლოც-
ველო — საკმაოდ დიდი, ყოველ მხრივ ღია შენობა იდგა, მო-
ლოებაზნეკილ სამი ორე ოიხი სახურავით. რამდენი ოქროს
ვარაუი, ჩუქურთმიები, ზიზილ-პიპილეები, ყალბი თვლები დაე-
ხარჯათ მის შესამკობად და რაოდენი უგემოვნება ოგრძნობო-
და ამ აღმოსავლურ სიჭრელეში — ჩინელებს და ინდოელებს.
მგონი, ერთად ჩაუქსოვიათ თავიანთი გემოვნება ნაგებობასა
და მორთულობაში. ამიტომაც ქეების ეს ზეინი, ყალბი ოქრო,
გახუნებული ქსოვილები, ვერავითარ წარმოდგენას ვერ შევქ-
მნის შენობისა და მისი მორთულობის სტილზე. სამლოცველოს
შიგნით სამი წალო იყო კერპებით; ირგვლივ დახურული გა-
ლერეა მისდევდა. მოაჯირები თუ კედლები, ყველაფერი ამო-
ეჩუქურთმებინათ; სახურავის გრანიტის ბოძებიც, ცხოველებს
რომ წარმოადგენენ, ტლანქად იყო გამოთლილი. კერპებს შუა
ბუდა იდგა, თავისი ორი მსასურით, რომელიდაც ქალღმერთი
და კიდევ ორი სხვა კერპი — ყველა საზარლად მახინჯი სახე-
ებით. იქვე, სხვათა შორის, ერთი ქანდაკება ამართულიყო —
აწმყოს, წარსულისა და მომავლის ემბლემა. კერპების წინ
წვრილი გრძელი სანთლები ენთო. მინდოდა მენახა, რისგან
იყო ჩამოქნილი და ერთი ვითხოვე. ინდოელმა მაშინვე ამინთო
და მომაწოდა, მაგრამ შ[ამა] ა[ვაკუმმა] სასწრაფოდ მითხრა:
„მიაფურთხეთ, ხელი არ მოჰკიდოთ: უნდა, მაგათ კერპს სან-
თელი დაუნთოთო!“

ბუდას კერპთაძრიდან ინდოელთა ბომონში, ბრამას
თაყვანისმცემლებთან გავეშურეთ. საკმაოდ მალა, ტლანქად
გამოთლილ ლოდებისგან ნაგებ კოშკიდან განიერ, ხეებით შე-
მორაგულ ეზოში გადიხარ და ბოძებზე შემდგარი, დახურული
გალერეა ბომონში შეგიყვანს. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი როჰ
გადავდგით, შეგვაჩერა ერთმა ინდოელმა, რომელიც წამლე-
რებით კითხულობდა წიგნს, და უხმოდ გვანიშნა წაღებზე: ან
გაიხადეთ ან გაბრუნდითო. შევჩერდით და შორიდან შევაჯ-
ქერდით სამლოცველოს, მაგრამ იქ სანახავი არაფერი იყო:
ბუდისტებივით აქაც სამი წალო იდგა მოოქრული კერპე-
ბით, მაგრამ ზიზილ-პიპილების ნაცვლად მხოლოდ ცოცხალი
ყვავილებით შეემკოთ. სამლოცველოს გარეთ, გალერეაში ხის
ცხენი იდგა, ჩვენი ბალაგანების ცხენების მსგავსი, ოღონდ ნა-

ტურალური სიმაღლის, სულ მთლად მოხატული, ზედ ნაირ-ნაირი ნივთები და მორთულობანი ეკიდა. როგორც ინდოელმარის ვაი-ვაგლახით გაგვაგებინა, ცხენი საზეიმო პროცესიებისთვის ყოფილა განკუთვნილი.

ჩვენ რომ გამოვბრუნდით, ინდოელმა ისევ წიგნის ხმაბალი ლალადი განაგრძო, დანარჩენი ორი ქუსლებზე ჩაცუცქდა მოსასმენად; მეოთხემ წალოდან ვარდები გამოგვიტანა ლანგრით. მეზობლად მალაელთა მეჩეთი იდგა და იქაც შევიხედეთ. „ეგ ხომ ყაზანშიც მინახავსო“, — თქვა ერთმა ჩემმა ამხანაგმა, შიშველ კედლებს რომ შეხედა.

გამოვედით და ქუჩებს გავყევით, ლელისაკენ... უცბად რაღაც უცნაური მუსიკის ხმამ გავვაკვირვა.

ქუჩაში პროცესია მოემართებოდა. ჩინელთა ლულუღით ვერ გავარკვეით, რა პროცესია იყო, ოღონდ სამგლოვიარო კი უნდა ყოფილიყო. ჩვენს შეკითხვებზე ერთი სულ „sick“ (სნეულიო) გაიძახოდა, მაგრამ ჩინეთში ნამყოფმა ჩვენმა თანამგზავრმა აგვიხსნა, გარდაცვლილის მოსახსენებელიაო. თავით ფეხამდე მარამშის საბურში გახვეული ორი ქალი ხელით მოჰყავდათ. წინ ქურუმები მიდიოდნენ, მერე ვიღაც კრწკიკი-ელარუნები მოჰყვებოდნენ ძაძებში და გაჰკიოდნენ, მუსიკოსები გონგებით წინ გამოჰიმულიყვნენ. კარეტიდან გადმოვედით და პროცესიას შევერიეთ. ვერ ვიტყვი — მუსიკა მხოლოდ ბრახაბრუხი იყო, არა, მელოდიაც იგრძნობოდა, ოღონდ უბადრუკი და უცნაური. პროცესიამ ვიწრო შესახვევში შეუხვია, ჩვენ კი ოტელში გავსწიეთ, აივანზე საზარმაცოდ და სანებიეროდ.

მეორე დღეს ახალი ნაცსაყუდელის და ავსტრალიიდან მოსული გემის სანახავად კარპაჩით წავედით. მშვენიერი დარი იდგა-მეთქი, ვიტყვოდი, თუ რომ აქ სხვანაირი სცოდნოდა. სინგაპურსა და სხვა პატარა, ზურმუხტისფერი მწვანით დაფარულ კუნძულებს შუა მდებარე ვიწრო სრუტეში შევედით: მზე დამკოდველ სხივების ღვარს აფრქვევდა კლდეებს. ტანში ყრუანტელი დაგივლიდა, იქ, ამ ისრების ქვეშ ასვლა რომ წარმოგიდგებოდა, ჩინელები და მალაელები კი ტიტლიკანები დაცოცავდნენ ზედ, ზოგს ქუდიც არ ეხურა. იქაურმა სხივებმა ევროპელი თავშიშველი რომ შეგისწროს,

თავშესაფარს უფრო მეტი სიმკვირცხლით მიაშურებ, ვინემ
კოკისპირული წვიმის დროს.

ევროპელთა აგარაკები, სოფლები, ნაპირები — ყველაფერი
მწვანეში ჩაფლულა; სადაც არ გაიხედავ, ხშირი ბალახი და
პალმებია. ბოლოს ნავსადგურს მივადექით და გემზე ავედით.
მაგრამ მე გემი რაში მენადღებოდა? ავედი და მაშინვე გა-
მოვტრიალდი, ჩემი მეზღვაური ამხანაგები კი ყოველ ვინტსა-
და ქანჩს ჩაშტერებოდნენ. ნავსადგურზე წავედით. სათადარი-
გო პაკვაუზები ვეება კარებით ჩაეკეტათ, შიგ საქონელი ინა-
ხებოდა, ევროპაში, ჩინეთსა და ავსტრალიაში გასაგზავნად ხო-
მალდებს ელოდნენ. მართალია, ახლა მდუმარედ ჰყრია, მაგრამ
რაწამს სანუკვარი ალაში გაიფრიალებს, ეს კარები მილოინო-
ბით საქონელს გადმონახევენ ან ჩაყლაპავს. იქვე ნახშირის-
დიდი ფარდულები იყო აშენებული. ასზე მეტი ჩინელი ტრია-
ლებდა იქ, სამ-ოთხ ფუთიან ტომრებს მჩატედ, მარჯვედ
მოიგდებდნენ კისერზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გე-
მისკენ მივბოდნენ ამ შუაგულ მზეზე. შენ სუნთქვაც გიჭირს,
ასე გგონია, ცეცხლს ყლაპავ, ისინი კი აინუნშიც არ აგდებენ:
სხეული გაუტიტვლებიათ, თავი გადუშვლებიათ, რადგან ლერ-
წმის განიერი ქულები ტომრების კისერზე მოგდებას უშ-
ლით. ოლონდ კიკინები კი დიაცებივით აუწევიათ კეფაზე.
ბევრი მართლაც ქალივითაა ჩამრგვალებული; წვერ-ულვაში-
თითქმის არ ეზრდებათ, რაც კი ამოუვათ, იმასაც ძირშივე
იპარსავენ. ბევრი ჰკვიანური, უფრო სწორედ საზრიანი სახე
შეგხვდება, მაგრამ უფრო მეტად კი ცბიერულს ნახავ.

ჩავუარეთ ყველა ამ სავაჭრო შენობას, პაკვაუზებს, ავედით
კორდზე და ბუჩქებში პალმების ჩრდილს შევაფარეთ თავი.
„ოჰ, ნეტამც პირი გაგვასველებიაო.“ — ვიძახდით ჩვენ. მაგ-
რამ რით? ამ ნაპირზე არავინ ცხოვრობს, მის დამუშავებას ახ-
ლახან შედგომიან. საბედნიეროდ, მეზღვაურებს ანანასები
უყიდიათ და ჩვენც გვიწილადეს. შუაგული ისე ოსტატურად
ამოაპრეს სპირალურად, ჩინელებიც არ დაიწუნებდნენ.

რეიდი გადავჭერით და ქალაქისკენ ავიღეთ გეზი. გზაში
ერთ ინგლისურ იახტას გამოვეყიდეთ, რომელიც ხან მარჯვენა-
ხან მარცხენა გალსზე წვებოდა და ნარნარით არტყამდა წრე-
ებს. მაგრამ არც ჩვენი მეზღვაურები გახლდნენ ნაკლები ბი-

კები: თეთრი ხალათები ეცვათ, საყელოზე ლურჯი არშია ევლოთ, თეთრი ქუდები ეხურათ, მკერდი მოედელათ. „აბა, მიაწექ! მიდი, პა!“ ამის გაგონებაზე ექვსივე ერთად გასჭიმავდა დაკუნთულ მკლავებს, ექვსივე ერთად დააკვდებოდა ნიჩბებს და ლომებივით ბრდღენიდან წყალს ნიჩბებით.

მდინარეზე გადავედით და ნაცნობ დუქნებსა და ქუჩებში მოვყეთ ხეტიალს. უცქერ ამ ნაირ-ნაირ სახეებს, კრელ-კრელად ჩაცმულ ხალხს, ტიტველ, სხვადასხვა ფერის სხეულებს, ტანწერწეტ, მოხდენილ ინდოელებს, მოყვითალო ჩინელებს, ყავისფერ მალაელებს, რომელთაც ბეტელის უთავბოლო ღეჭვის წყალობით პირი თამბაქოთი ათი წლის ნაბოლებ ყალიონს დამგვანებიათ, დახროვილ საქონელს, ხილის მთებს, უხვად გაბარდნილ ხასხასა მწვანეს, უცქერ და მიუხედავად ამისა თუ ამის მიხედვით თვალი მაინც მალე გედლება, რაღაცას ეძებს და ვერ პოულობს: ამ ბრბოს აკლია მისი ყველაზე ცოცხალი ნაწილი, მისი მშვენება და გვირგვინი — ქალები.

წარმოიდგინეთ, რომ სამოცი ათასი მაცხოვრებლიდან მხოლოდ შვიდასამდე იქნება ქალი. ევროპელი ქალები, კონსულებისა თუ სხვა სავაჭრო პირების ცოლები და ასულები: ძალზე ცოტანი არიან და ისინიც ჩრდილში იმალებიან ჩრდილოეთის ყვავილებივით. ჩინელსა და ინდოელ ქალებს კი იმათზე ნაკლებ შეხვდები. გარეუბნებში რამდენიმე ჩინელი, სწორედ გულისამრევი ბებრუხუნა ვნახეთ, ახალგაზრდას თითქმის ერთსაც ვერ ნახავ. სამაგიეროდ რამდენიმე საკმაოდ ლამაზი ყმაწვილი, ინდოელი ქალი შეგვხვდა. მათი უზარმაზარი ოქროს საყურეები, ბეჭდები, ვერცხლის სამაჯურები ხელებზე და ფეხებზე მაშინვე თვალში გეცემოდა.

ევროპელ ქალებს ან სახლში ნახავთ, ან ხუთი საათიდან შვიდამდე ესპალანდაზე მოსეირნეს იხილავთ, კოხტა ეკიპაჟის ელასტიურ ბალიშებზე ნებივრად გადაწოლილთ, აქაური პანჯრივით მსუბუქი, სიფრიფანა კაბები აცვიათ და პეპელასავით ქუდები ჰხურავთ. ის ქალბატონები ზანტად მიგრიალებენ მშვენიერ გზაზე, დიდებულ ბანიანების, პალმების ჩრდილში, სადაც წყლის მწვანე ზვირთები ბორბლებთან ფოჩებად იმსხვრევა. მხოლოდ ერთი ვერ გამიგია: ეს ქედმაღალი ინგლისელი ბანოვანები, რომელთა საწოლ ოთახში ღვიძლი მხაც ვერ

შევა უნებართვოდ, რომლებთან სიტყვა „შარვლის“ ხსენება არ შეიძლება, ამდენ უშარვლო ხალხში ნეტავ როგორ სძლებენ? იქნებ ყოველი მათზე დაბლა მდგომისადმი არისტოკრატიული ზიზღი შევლით, როგორც რომაელ მატრონებს არ რცხვენოდათ თავიანთი მონების, მათ წინ იბანებოდნენ და ვერც ამჩნევდნენ მათ?.. ვინ იცის: ეტყობა, კლიმატი ზნე-ჩვეულებასაც შეაცვლევინებს კაცს.

ბოლოს სინგაპურის ერთ ამბავს გიამბობთ კიდევ, უფრო სწორად, ვამბოას აგარაკის ამბავს. ამ ვაჭარმა თავისთან მიგვიწვია, ოღონდ არ უთქვამს, ვინ წავესულიყავით ან რამდენი, მარტო ის თქვა, ოთხზე გელით, ღუქანში შემომიარეთ და ერთად წავიდეთო. ხუთი კაცი მივადექით ღუქანში. ბუდასავით მედიდურად და უძრავად წამობრძანებულებით ერთ ადგილზე. ორი თავის კალიასკაში მიიწვია და როგორც თავის ღუქანში არ იჯდა, იმავე კოფითთ ეკიპაჟში ჩაჯდა უქულოდ. სხვები დაქირავებულ კარეტებში მოთავსდნენ. აგარაკამდე სამი მილი იქნებოდა, დაახლოებით ოთხი ვერსი. მეეტლეებისთვის კარგი მოციონი იყო ამ გაგანია სიცხეში სირბილი.

სწორ გზას ორივე მხარეს თხრილი მისდევდა. პლანტაციებს, ხეხილის ხეებსა თუ ქაობიან დაბლობ მინდვრებს მიეყვებოდით. გზიდან უკვე ჩანდა გაუვალი ტყეები, სადაც ფოცხვერები, უფრო მეტად კი ვეფხვები ბუდობდნენ. ვიდრე სინგაპურის კუნძული უდაბური იყო, ვეფხვები აქ არ ყოფილან. მაგრამ რაწამს ეს ადგილი დასახლებულა, მალაის ნახევარკუნძულიდან გადმოსულან და ხალხსა და შინაურ ცხოველებს სიცოცხლეს უმწარებენ. მათ გასაწყვეტად სპორტსმენები ჯერ არ გამოჩენილა, ასე რომ ჯერჯერობით ვეფხვები სპობენ ადამიანებს. სინგაპური თავის ნიმკროდებს ჯერაც ისევ მოელის. ამბობენ, აქაური ვეფხვი ისეთივე დიდი და ღონიერია, როგორც ინდოეთის ნახევარკუნძულზეო: ერთი ჯიში ჰქონიათ. რომ დავემრგვალო, ორ დღეში თურმე ერთი ადამიანი მოდის ვეფხვების შექმული; ყველაზე მეტად ჩინელები იღუპებიან, ალბათ იმიტომ რომ ორმოც ათასამდე იქნებიან, სხვები კი ოცი ათასია მხოლოდ. მაგრამ ჩვენსობას უბედური შემთხვევა არ მომხდარა; ოღონდ ერთ ჩინელს, რომელიც ტყეში საკმაოდ შორს შესულა, ვეფხვმა ძალი მოსტაცა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჩვენმა მეეტლებმა უცბად ერთ ადგილას გზიდან გადაუხვიეს და ცხენები და ეკიპაჟები ბუჩქებში შეათრიეს. „საით? ვეფხვი ხომ არ დაინახეს?“ — „არა, ეს ვამპოას აგარაკისაკენ მიმავალი ხეივანიაო“.

ეს რა არის? მართალია, ვიცოდი, რაღაც ორიგინალურს რომ ვნახავდი, ბევრი გამეგონა, ვამპოა მდიდარია და კარგად ცხოვრობსო, მაგრამ რაც ვნახე, იმას კი სწორედ არ მოველოდი. ვამპოამ მაშინვე ჩაგვიყვანა ბაღში, სახლს რომ ირგვლივ შემორტყმოდა. ჩინურ ბაღებზე კარგიც ბევრი მსმენია და ავიც. ერთნი იძახდნენ, ჩინელებს სულ არა აქვთ ფაქიზი გემოვნება, ბუნებას ძალას ატანენ, თავიანთ ბაღებში მინიატურულ მთებს, ტბებს, კლდეებს აწყობენ, რაც დიდი ხანია სასაცილოდ და მახინჯადაა ჩათვლილიო; ერთ ჩვენს თანამგზავრს ათი წელი ეცხოვრა პეკინში და ის გვეუბნებოდა, ჩინელებს, პირიქით, ყველაზე უკეთ ესმის მებაღეობის ოსტატობა, გაჭრიან ხოლმე კლდეებს, ნაკადულებს ბუნებრივ ძვინარებას უქმნიან, რასაც ამბობენ, ყველაფერს ისე აწყობენ, ოღონდ გრანდიოზული სიდიდისა და არა უბადრუქსო. ბოგდინანის ბაღები პეკინში შეუდარებელ მაგალითს წარმოადგენს სამი-სოდო. ვის უნდა დაუჯეროს კაცმა? იმათაც და ამათაც: რომ ბოგდინანის ბაღები სხვებზე გრანდიოზულია და დიდი — ეს გასაგებია; რომ კერძო პირებს უფრო მოკვეცილი, უფრო დაქუცმაცებული აქვთ — ესეც გასაგებია. ვნახოთ, ვამპოას ბაღი როგორია.

სახლიდან მეტწილად ვიწრო-ვიწრო, ზოგან დიდრონი ხეებით, ზოგან ბუჩქებითა თუ მხოლოდ ყვავილებით დაბურული ხეივნები იშლებოდა ყოველი მხრივ. ჩვენი მასპინძელი არა მარტო ამ საქმის მოყვარული, დიდი მცოდნეც ყოფილა. დაწვრილებით აგვიხსნა თანამიმდევრობით დარგული ყოველი მცენარის ზნე. ყველაფერს ვერ ჩამოგივლით, კიდევ რომ მოვინდომო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამავიწყდა, მეორეც ინგლისური დასახელებიდან ნახევარი ვერ გავარჩიე, თუმცა ვამპოა ოცი წელია, რაც სინგაპურში ცხოვრობს და ინგლისელივით წმინდად ლაპარაკობს. „აგერ მიხაკის, აგერ პილპილის ხე, — გვეუბნებოდა მასპინძელი და სათითაოდ ყოველ ბუჩქთან მივყავდით, — აი, საგის პალმა, ეკლიანი ვაშლი, ბამბის

ბუჩქი, პურის ხე“ და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ინდოეთში ხარობს.

ყვავილებში ყველაზე მეტად წყლის მცენარეებმა, უზარმაზარმა შროშანებმა და ლოტოსმა მოგვხიბლა: ისინი წყლით სავსე თხრილში ამოსულიყვნენ. შესანიშნავი გახლდათ აგრეთვე წყლით სავსე ვეება ლარნაკში ჩინეთიდან ჩამოტანილი გაბარდნილი ბუჩქიც, სუროს რომ მიაგავდა. მისი ფესვების ირგვლივ პატარა ოქროს თევზები დატურავდა ლარნაკში. მასპინძლის თქმით ეს ბუჩქი ისე იზრდება თურმე, თავის ნებაზე რომ მიუშვა, ორი წლის შემდეგ მთელ ბაღს დაფარავს. წყლის გარდა კი სხვა ნიადაგი არ სჭირდება. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი. იქვე დავინახეთ ერთი ლამაზი მცენარე. თავდაპირველად თურმე მუქი წითელი ფითლები გამოსდის, კუთხოვანი მოყვანილობის, მერე კი, სიმწიფეში შევლისას, ფოთლები თანდათან მწვანდება და პრიალა, მოჯრძო ხდება. ბამბუკი და ბანანები ბაღში მწკრივად ჩაურიგებიათ ღობეებივით. ყვავილები უზღვავი იყო და ყველა ერთიმეორეზე უკეთესი. იქვე ანანასების რამდენიმე კვალიც დავინახეთ. მე მეოცედსაც ვერ ჩამოგივლით, რაც ჩვენ იქ ვნახეთ: ვითარცა უბრალო მოყვარულს და საქმის არამცოდნეს, ბაღის საერთო იერი უფრო მაინტერესებდა. დიახ, ეს ინდოეთი და ჩინედი გახლდათ ერთად. აი, ტროპიკულ სხივთა პირმშო, მზის ნებიერი, ბუნების არისტოკრატი მცენარეები, ყველაფერი დიდებულად მორთულა, აყვავებულა, ნაზ სურნელს აფრქვევს; ყოველივეს ბუნების ნაზი მადლი მიხიჭებია; მარტივ, ტლანქ საჭიროებისათვის არც ერთი არაა გაჩენილი. აქ შეშად არაფერი გამოდგება, კუქის გამოსაძლომს და ამოსავსებს ვერაფერს ნახავ, სახლს ვერ ააშენებ, ხომალდს ვერ ააგებ: უცქერ ბუნების ამ ნაზ ნაოსტატარს და ტკბები ისე, როგორც დაგატკბობს ხელოვნების ქმნილება. ყოველ ხესა და ბუჩქს ისეთი თავისებური, თავბრუდამხვევი სილამაზე ახასიათებს, რომ გვერდს შეუშინებლად ვერ ჩაუვლი, ერთმანეთში ვერ აურევ ვამპოასაც დიდი ოსტატობით, კუთითა და სიყვარულით სურათების გალერეასავით განულაგებია მცენარეები თავის ბაღში.

მცენარეების გარდა ბაღში სხვადასხვა ცხოველების სად-

გომები მოეწყობოთ. რამდენიმე პატარა კოშკიც აეშენებინათ გისოსიანი ჩარდახებით მტრედებისათვის, რომლებიც ჩვენებურზე პატარა, მაგრამ კრელები და ლამაზები იყვნენ. ხობები თუ სხვა ფრინველები ბუჩქებს შუა ჩადგმულ მავთულის ვეება გალიაში ბუდობდნენ. შიგ რომ შევედით, შეშინებული ფარშავანგების, ყანჩებისა და კიდევ რაღაც უცნაური თეთრი იხვების გუნდები, მთვრალი კაცივით წითელი ხორცმეტები რომ გამოზრდოდათ ცხირსა და თვალებთან, სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. გავედით ხიდზე, წყლის მცენარეების გვერდით და საჩიხეს მივადექით, სადაც გარეული თხები და შვლები ჩვენს დანახვაზე კვლავ კუნძულებში მიიმაღნენ. იქვე მავთულის კარის შიგნით განცალკევებით იჯდა კაზუარი — მაღალი, ღონიერი ფრინველი, რომელსაც სქელი ფეხები და ტერფების ნაცვლად ფლოქვები აქვს. მასპინძელმა გვითხრა, კაზუარმა ცხენივით ღონიერი წიხლი იცისო. თუმცა ჩვენთან კი მეტად სასაცილოდ მოიქცა. როცა მის გალიას მიუვახლოვდით, სასწრაფოდ გაგვეცალა და ოთხივე კუთხეს ისე გამწარებით მიაწყდა, თითქო მებუთე კუნძულს ეძებს, რომ შიგ დაიმალოსო; მაგრამ რომ წამოვედით, კარისკენ გამოიქცა, გაწიწმატებულმა ერთი ყეფა ატეხა, ფეხები ააბაკუნა, ფრთები და ნისკარტი კარს დაურთო, ერთი სიტყვით, თვისი ზნით კრილოვის იგავ-არაკებში მოსახვედრად ზედგამოჰრილი იყო.

უკანასკნელად მასპინძელმა ყველაზე დიდებული რამ — შესანიშნავი არაბული ცხენი გვაჩვენა. სულ თეთრი იყო და ტანი ვერცხლივით უბზიალებდა. ზედ ეტყობოდა, თვალის ჩინივით რომ უვლიდა: პატრონივით ისიც ჩათქვირებული და ჩამრგვალებული გახლდათ.

შემდეგ სახლში შევედით. ის ბაღზე შესანიშნავი აღმოჩნდა.

განიერ შესასვლელს მოჩუქურთმებული კარი ჰქონდა, ჭილოფებით მოგებული ხის კიბე ზემოთ, ყალუზებით ჩამობნელებულ ოთახებში აღიოდა, ოთახსა და ოთახს შუა მრგვალი კარები დაეტანებინათ. კედლები თუ ავეჯი სულ ჩუქურთმებით შეემკობოთ, ყველგან მოოქრული თეჯირები, გრძელი, დახურული გალერეები მოჩანდა. დიდი გემოვნებითა და ფუ-

ფუნებით მორთული; ყველგან ბრინჯაოს, ფაიფურს დაინახავდი, კედლებზე ქანდაკებებს, არაბესკებს.

ევროპულ კომფორტსა და აღმოსავლურ ფუფუნებას აქ ხელი მიეცათ ერთმანეთისთვის. ეს უხილავი ფერიის, ინდოელ პერისა თუ თვით საკუნტალას სასახლე გახლდათ. აგერ, მისი პატარა ფეხების ნატერფალი, სიფრიფანა მარმარილოთ შებურღული საწოლი, დაკიდებული ლამპები და ფერადი ჩინური ფანები, მდიდრული ევროპული დივანი და მის გვერდით გრძელი, განიერი ბამბუკის სავარძელი. მოოქრული, ჩუქურთმიანი სვეტები კარბჭედ ედგა წალოს, სადაც დღის მცხუნვარე საათებში ალბათ განცხრომით ისვენებს ქალღმერთი და დაკიდებული მარაო ნაზად უნიავეებს.

მაგრამ ქალღმერთი არა ჩანს: ჩვენ თითქო თვით ინდოეთის კერპი, სიუზვისა და ნაყოფიერების ემბლემა — ვამპოა დაგვეყვება. ნუთუ ის ნეტარებს ამ მარმარილოთ შებურღულ წალოში, მას უნიავეებს მარაო, მას მალავს ქალუზები და მოოქრული ჩუქურთმიანი თეჯირები სიცხისგან? ვითომ ასეა? მაშ სახლში სამი თუ ოთხი საწოლი ოთახი რად არის? აგერ, ის პაწაწაინტელა ქოშები, საწოლქვე? რომ შემალულა, ვისია? ვისია ეს პაწაწა ნივთები, კალათები? ვინ ჯდება ამ მრგვალ მაგიდაზე, სადაც აბრეშუმის ნაჭრები, ძაფები თუ ხელსაქმის სხვა ნაკვალევი მოჩანს?

ყველა ოთახი ვილატის იდუმალ არსებობას გაუსულდგმულებია: ყვავილები, ჩინური ბიბლიოთეკა, ლარნაკები, პატარა კოლოფები. ჩვენმა სტუმრობამ თითქო ვილატ დააფრთხო. მაგრამ სახლში არც ფაჩუნი, არც შრიალი ისმის. აგერ, ორი-სამი ტუალეტი: ექვი არაა, ვამპოას ერთი ან იქნებ ორი-სამი ცოლიც ჰყავს. სად არიან ისინი? უიმათოდ რა ფასი აქვს ამ ვილას, ამ ოქროს ვარაყს, უზარმაზარ სარკეებს, ნაჩუქურთმევ კარადებს და ჩინური ბუნებისა თუ ხელოვნების სხვა სასწაულებს, თვით მასპინძლის ჩათვლით?

მასპინძელმა სასტუმროში მიგვიწვია. იქ დიდ მრგვალ მაგიდაზე უამრავი თეფშები და ლანგრები იდგა, ქორთა ხილითა და მურაბებით სავსე. შემდეგ მსახურებმა ხერესის, პორტვინის გრაფინები და ელის ბოთლები შემოიტანეს. გავსინჯეთ ეს უქანასკნელი და სიამოვნებისგან გონს ველარ მოვე-

დით: ლუდი ყინულივით ცივი იყო, ისე რომ, კბილიც ამტკივდა. წყალიც ძალზე ცივი მოგვართვეს. მასპინძელმა აგვიხსნა: მიწაში ღრმა სარდაფები მაქვსო; გარდა ამისა ლუდი და წყალი კიდევ გაეცივებინათ გვარჯილით მისი ბრძანებით მსახურებს.

წამოსვლის წინ ერთხელ კიდევ შემოვიარეთ ოთახები, გაღერებები, სახლს რომ ირგვლივ ევლო: რა სანახაობა იშლებოდა! რას გიზგიზებდა დაისი! რა ცეცხლი წაჰკიდებოდა ცისკიდურს! რა ფერებში შემოსილიყვნენ ეს ხეები და ყვავილები! რა მხურვალე სურნელი ასდიოდათ! ნუთუ ეს ის მზეა, ჩვენთან რომ ანათებს? გამახსენდა არყის ხეებსა და ფიჭვებზე აღმაცერად, მკრთალად მოციმციმე სხივები, უკანასკნელ სხივებთან ერთად გაციებული ყანები, თვლემამორეულ მინდორთა ნოტიო ოხშივარი, დაისის მკრთალი ნაკვალევი ცაზე, ბინდბუნდში დაღლილი კაცის თვლემასთან ჭიდილი და ღამით მკვდარივით ძილი — გამახსენდა და უეცრად იქ, იმ საამო ქვეყანაში მომინდა ყოფნა, იქ, სადაც... სადაც ესოდენ ცივა.

წამოვდით. დაისის მეწამულ დაფიონს ქვეშ უკვე მკრთალად ციმციმებდნენ ვარსკვლავები და მზის ჩასვლას უცდიდნენ, რომ უეცრივ აკაშქაშებულიყვნენ. მალე ძოწისფერი ბრჭყვიალი ცაზე ნაზმა ფერებმა შესცვალა. ქალაქამდე არ ვიქნებოდით მისული, რომ ცა, ტყე — სულ სხვანაირი გახდა.

ქალაქში უკვე სინათლე ჩახჩახებდა; განსაკუთრებით ჩინური ღუქნების მწკრივი გაეჩალებინა ფერადი ქალაქის ფარნებს. ესპალანდაზე, ბანიანის ძირს, მუსიკა გრიალებდა. იქ გავჩერდით და შუალამემდე დავყავით. სიბნელეში ვილაც ფრანგს შევეჩხებე და ბევრი ვილაპარაკეთ ქალაქის, მოსახლეობის და ქვეყნის გარშემო. სხვათა შორის, ისიც ვკითხე, ოთხასი ევროპელი ნეტავ ასე მშვიდად როგორ შეგუებია სხვადასხვა ჯურის, სჯულის, შეხედულებისა თუ ცივილიზაციის მქონე სამოცი ათას მოსახლეობას-მეთქი? მითხრა, პოლიციელები ბევრი გვყავს, ისინი მეტწილად სიპაები, ე. ი. ინგლისის ჯარში მომსახურე ინდოელები არიან, და არც სიფხიზლე აკლიათ, ამასთან ყველა ყვარაღკანიან ტომს თეთრების დიდი პატივისცემა აქვთო.

ივლისის დასაწყისში დაეტოვეთ სინგაპური. ერთი კვირა

ბევრიც გამოდგა ამ ადგილის შესასწავლად. კიდევ ერთი დღე რომ დავრჩენილიყავით, სიცხე და მოწყენილობა მოგვეკლავდა. არა, ინდოეთი საჩვენოდ არ გამოდგება! ინგლისელებიც კი გაურბიან პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევისას ამ კლიმატსა და კეთილი იმედის კონცხს, ჯაკსონის ნავსადგურს აფარებენ თავს — გარბიან ეკვატორიდან შორს, სადაც ასეთი მწველი დღეები იცის, ასეთი დახუთული ღამეებია, სადაც ისე ვერ სვამს და ჭამს კაცი, როგორც ინგლისელებს სჩვევიათ, რომ მერე არ ამოშხამდეს.

მიხაროდა, რომ სინგაპურში ვიყავ, მაგრამ წასვლისას გული არ დამწყვეტია: და თუ ოდესმე იქ დავბრუნდი, ალბათ ჩემი სურვილით არ მოხდება და არც ნასიამოვნები ვიქნები ამით.

ნახვამდის.

ჩინეთის ზღვი.

1853 წლის ივლისი.

VII

ჰონ-კონგი

რეიდისა და ქალაქის ხელი. — სასახლეთა ქუჩა და ჩინური უბანი. — ჩინელი ქალები და კაცები. — კლუბი და ყაზარმები—ეპისკოპოსი და გენერალ-გუბერნატორი სტუმრად ფრეგატზე. — ჯერდინისა და მატისონის დაწესებულება.

წერილი აღარ გამომიგზავნია თქვენთვის ჰონ-კონგიდან! (ჩინურად ჰონკონი წარმოითქმება): ისე ცხელოდა, წერის თავი არ მქონდა. ვერ გამიგია, როგორ ძლებს ეს ხალხი კანტონებში — როგორ წერენ, ანგარიშობენ, ყურნალებს აქვეყნებენ! ჩვენ რომ იქ ვიყავით, მზე ზენიტზე იდგა, სხივებს პირდაპირ სტყორცნიდა — მოდი და აკეთე საქმე! ახლა ზღვაში ვარ და იქიდან გწერთ. არ ვიცი, როდის და საიდან გამოგიგზავნით წერილს; ვინძლო ჩინეთიდან; მაგრამ ჩინეთშია იაპონიიდან შევივლით ალბათ. სულ ერთია: მხოლოდ რამდენიმე სიტყვას გეტყვით ჰონ-კონგზე, ისიც იმიტომ, რომ შეგპირდით, სადაც არ მივალ, იმ ადგილის ირგვლივ მოგწეროთ, თორემ ჰონ-კონგზე სალაპარაკო ბევრი არაფერია. ხოლო თუ იტყვი რასმე წესიერად, სავაკრო ან პოლიტიკური ტრაქტატი გამოგივა; ეს კი ჩემი საქმე არ არის: ხომ გახსოვთ ჩვენი პირობა, რაზე უნდა მომეწერა!

როგორც კი ჰონ-კონგის რეიდზე დადგები, იფიქრებ, კარგ ადგილზე მოვსულვარო. საითაც არ გაიხედავ, სულ მწვანე კორდებია, ხეები არა ჩანს, ეკვატორისა და ტროპიკების მოშორებით ზღვისპირა ადგილებში მცენარეულობას თითქმის

ვერ ნახავ. ხეები სადმე შორს უნდა წარმოიდგინო და არც იმე-
დი იქონიო, რომ ფეხითა თუ კარეტით მიაღწევ იქამდე. უცქე-
რი ჰონ-კონგის კუნძულის მიდამოს და თვალი ყველგან მოწი-
თალო-მოყვითალო, შიგადაშიგ ბალახით ამწვანებულ მთას
ებჯინება. მთის ძირას, ნაპირზე სახლები მისჯრია ერთმა-
ნეთს, მათ შორის, თითქო თვალის მოსატყუებლად აქა-იქ მზის-
გან გაყვითლებული ბანანის ფოთლების კონა მოჩანს, ხანდახან
ღობიდან კიდევ გაშლილი ცოცხივით მზით გახრუკული ხის
წვერო ამოჩაჩხულა.

სამაგიეროდ ქვიშა და ქვები, სულო და გულო, რამდენიც
გნებავთ. ინგლისელებმა ეს მასალაც გამოიყენეს. მთის მალ-
ლობებზე, სხვადასხვა ადგილას, ხან ეულად მდგარ ქვის სახლს
დაინახავ, ხან ასაშენებლად მოსუფთაებულ ადგილს: შრომა
და ხელოვნება უკვე კლდეებსაც მისდგომია. სანაპიროზე დი-
დებულ სახლებს რომ დაინახავ, გონებაში ძალაუნებურად
წარმოგიდგება, შემდეგში მთა რა სახეს მიიღებს. როცა 1842
წელს ნანკინის ტრაქტატით ჩინელებმა ეს უნაყოფო კლდე
ინგლისელებს აყვავებული ჩუსანის კუნძულის ნაცვლად
დაუთმეს, განა იფიქრებდნენ, წითურა ბარბაროსები ამ კლდეს
რად გადააქცევდნენ. ან განა იმას წარმოიდგენდნენ, რომ თვი-
თონ მათ, ჩინელებს მოუხდებოდათ თავისი მარჯვენით და
კისრით ამ ლოდების გათლა, კედლებად, ბრუსტვერებად აგე-
ბა, ზარბაზნების დადგმა...

ყოველივე ეს გაკეთდა უკვე ქალაქი ვიქტორია, მართალია,
ერთი ქუჩისაგან შედგება, მაგრამ იქ თითქმის ერთ სახლს ვერ
დაინახავ; ზემოთ შეცდომით მოგახსენეთ, სახლები დგას-
მეთქი: სახლები კი არა, სასახლეები წამოკიმულა და ტალღე-
ბი მათ საძირკველს ეტყლაშუნება. ამ სასახლეთა აივნები
ზღვას გადასცქერის, ჩრდილს ის გამჟვნარი ბანანები და პალ-
მები ჰფენს, რომლებიც რეიდიდან ჩანს და დაღონებულ სახე-
ზე ცალყბა ღიმილს მოგაგონებთ.

სამი დღე არ გადავსულვარ ნაპირზე: უქეიფოდ ვიყავ და
არც სიგრილე და გაშლილი ადგილები მიტყუილებდა იქ. ბო-
ლოს, მეოთხე დღეს, მე და პ[ოსიეტი] ნავით გავემართეთ კუნ-
ძულზე. თავდაპირველად ჩინურ უბანს ჩავეუარეთ, რომლის
მოსახლეობა ორად იყოფა: ერთი ნაწილი ნავებზე ცხოვრობს,

მეორე — ნაპირზე მიკოწიწებულ თუ წყალში ბოძებზე აჩახულ პატარა სახლებში შეყუყულა. ნაევბში ოჯახობით ცხოვრობენ, ხან ერთ ადგილზე დგანან, ხან რეიდზე დასრიალებენ, თევზს იჭერენ, ვაჭრობენ, ხან ხალხი გადაჰყავთ ხომალდებიდან ნაპირზე ან პირიქით. ყველა ნაღვი ჩარდახებითაა გაფარებული კაიუტების მსგავსად. ყველგან საოჯახო სცენებს დაინახავ: აქ სადილობენ, იქ ხელსაქმობენ, ან დედა ძუძუს აწოვებს ჩვილს.

ევროპულ უბანს ბევრი ნავმისადგომი ჰქონია. ჩვენ ერთ-ერთს მრვადქით, რომელიღაც ვაჭრის სახლი გავიარეთ, ჩინელების, ნოქრებისა და მეზარგეების (ყულის რომ ეძახიან) ბრბო გავარდეთ, ყველანაირი სურნელი ვიგემეთ და ქუჩაში რომ გავალწიეთ, გვეგონა, ახლა კი მოვითქვამთ სულსო. მაგრამ რომ ჩავისუნთქეთ, თითქო ცხელი ორთქლი გვეცა პირში. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კი თავშესაფრის ძებნა მოგვიხდა, რომ სადმე კეშმარიტ, გრილ ჩეროს შეეფარებოდით და არა იმ დიდებული ქუჩის ერთ მხარეს დაფენილ ჩრდილს. მზე ჩრდილშიც კი იკბინება. რომელიღაც მაღაზიასთან მივირბინეთ. იქ ნაირ-ნაირი საქონლის ფუთები დაეხვავებინათ, თაროებზე კი სხვათა შორის სააფთიაქო მასალასაც დაინახავდი. იქვე იყიდებოდა რატომღაც სოდიანი წყალი, limonade gazeuse, ინგლისელები ლიმონათს აქაც brandy-ის, ე. ი. კონიაკს ურევენ და ისე სვამენ, ვითომდა შიდა და გარე ტემპერატურის გასათანაბრებლად.

წინათაც მსმენოდა ტემპერატურათა გათანაბრების ამ ხერხზე, მაგრამ გამოგიტყდებით და მუდამ ეშმაკობა მეგონა: ჩვენშიც ბევრჯერ მინახავს, ზოგიერთებს რომ რცხვენიათ აშკარად გადაყლურწონ არაყი, განსაკუთრებით, მეორე, მესამე ჭიქა და ნიდაყვსა თუ მკლავს მოიფარებენ: მგონი, ესეც იგივე უნდა იყოს. ზოგიერთები თავის ამ ცბიერობას იმ საკმაზითაც მოგართმევენ, რომსა და კონიაკს ცხელი კლიმატი ამ გათანაბრებისთვის განზრახ წარმოშობსო... არ გირჩევთ ამ ხერხს მისდით: კუქსაც გაიღიზიანებთ და გაიფუჭებთ, სიცხეც ოთხჯერ მეტად შეგაწუხებთ და დაგაოსებთ. ერთხელ მეც დავიჯერე ორი ტემპერატურის გათანაბრება. ვსინჯე და მთელი

დღე აუტანლად ვეწამე. სად წავსულიყავ, რით გამეგრილებინა გამომშრალი პირი და კუჭი, აღარ ვიცოდი.

პირიქით, ხორცსა თუ სხვა შიშვე საქმელს, სანელებლებს, (მერე რა, რომ ისინიც ამ ცხელი კლიმატის ნაყოფია) ყველაზე მეტად კი ღვინოს თუ მოერიდები, სიცხეს იოლად აიტან; გული, თავი და ფილტვები — ნორმალურად გექნება; პაპანაქება მხოლოდ გარედან „შეგბრაწავს“. დარწმუნებული ვარ, საქმელად მარტო ბრინჯი, მწვანილი, ცოტაოდენი თევზი და ფრინველი რომ იკმარო, სიცხეს აქაც ისევე აღვილად გაუძლებ, როგორც რუსეთში. მაგრამ... მაგრამ პ. ა. ტ[ინშენევი] ინდოეთსა და ჩინეთშიც არ გვაბოგინებს ჩვენს ნებაზე. თუ სადილზე ცხვრისა და ღორის ხორცზე, ცხრაფურცელა ღვეძელზე უარი თქვი, ისეთი ექვის თვალთ გიყურებს, გგონია, ახლა იფეთქებს და გკითხავს: „ცხვრის ხორცია უხვირო თუ ღვეძელი ძველი და მაგარიო?“ ან არადა პათეტიურად მიმართავს ყველას: „შეხეთ, ბატონებო, ჩვენს სუფრას იწუნებს! თუ თადარიგი არ შემიძლია, თუ არ ვარგივარ, ფხას ვერ ვიჩენ, მაშ სხვა აირჩიეთო...“ არა, ისევე სიცხემ მომკლას, მირჩვენია!

ღავისვენეთ და კვლავ ქუჩას გავყევით. ვუცქერდით სასახლეებს, დიდებულ სადარბაზოებს, გრილ შესასვლელებს, გაშლილ გალერეებს, ყრუდ აკეტილ ფანჯრებს. სახლებში სიცოცხლის ნიშან-წყალი არ იგრძნობა, თუმცა კი ყოველ წამს შერბიან თუ გამორბიან იქიდან კულები, მოათრევენ საქონელს, წერილებს, შედიან და გამოდიან ინგლისელები, უზარმაზარი ქოლგები გაუშლიათ, ჩალისა თუ ტილოს ქუდები ჰხურავთ, ყველას უკლებლივ ჩვენსავე თეთრი ქურთუკები აცვია, უეილეტოდ და ყელსახვევივით რაღაც წაუყლონ-ქავს. კანტორებში კარი მოუღიავებიათ. იქ ჩინელები ინგლისელების მეთვალყურეობით ხსნიან თუ ჰკრავენ საქონლის ფუთებს, ერთმანეთზე აწყობენ და ნავებში მიაქვთ, ნავები კი ხომალდებისკენ მიჰყავთ. მარტო ჩინელები ირევიან უშიშრად ქუჩაში, ჯგრო-ჯგროდ სხედან სადარბაზოებთან სამუშაოს მოლოდინში, ევროპელებს ტახტრევანით დააბრძანებენ. ყველგან იმათ ტიტველ ბეჭებს, ზურგს, ფეხებს და თავს ხედავ, რასაც მხოლოდ ორად შემოხვეული კიკინა უფარავთ.

ევროპულ უბანს მაშინვე ებმება ჩინელთა უბანი. აქაც დუქ-

ნების გრძელი მწკრივი მისდევს როგორც სინგაპურში, აქაც ზემოსართული საცხოვრებლად აქვთ. ღუქნები პატარაა, ქსოვილები, ჭურჭლეული, ჩაი და ხილი იყიდება. იქვე მოწყობილან ხელოსნები, თერძები, მეწაღეები, მკედლები თუ სხვანი და სხვანი. კარზე აბრები — ქალაღდის ვიწრო ნაქრები ჰკიღია იატაკამღე, ჩინური წარწერით. ტიტლიკანა ნოქრებს დახლებზე მოურთხამთ ფეხი.

ხილის ღუქანში შევეღით. ხილი ზვინად ეყარა. ანანასებისა და პატარა ფორთოხლების გარდა, მანდარინებს რომ ეძახიან, სხვა დანარჩენი ჩვენთვის უცნობი გამოღდა. ანანასები უხვად აფრქვევდა თავის სურნელს, ნოქარი ნივრით ჰყარდა, გვერღით, სანოვაგის ღუქნიდან თითქმის მძორის სუნი მოღიღდა, მზეზე გაკიღებულ ხორცის, ერთმანეთზე დაყრილ თევზის, შიგნეულისა თუ სხვა საგნების წყალობით.

გულკეთიღმა კ. ნ. [პოსიეტმა] ჩემი თხოვნით ყველა ხილი გასინჯა და თითოეუღის გემო სწორად მამცნო. „ეს ტბიღია, სასიამოვნო სიმეავე დაჰკრავს, ეს მომჰკნარია, უგემური; ამას კი, — რომელიღაც პატარა ნაყოფზე მიმიღითა, წითელი კანი რომ ჰქონდა და კენკრას უფრო ჩამოგავდა, — მოხრაყული ხახვის გემო აქვს...“ და სხვ.

გაცყევით ჩინურ უბანს, ზღვაზე გამოვეღით, საღაც წყალში დაბინადრებულიყო მოსახლეობა, მერე მალღობზე ავეღაო და შესახვევში შევეუხვიეთ — ისიც ჩინური უბნის გაგრძელებას წარმოადგენდა. აქაც ისეთივე ღუქნები და ისეთივე სიბინძური დაგვხვდა. აქ, ამ ღრიანცელში, სივიწროვეში, ნაირნაირ სურნელთა სამეფოში, გაღიებსა თუ დახერგიღ ხარახურებში ჩინელები უფრო ღაღად, უფრო მხიარულად გამოიყურებიან: აქ შეუქმნიღთ თავიანთი პატარა ჩინეთი — და თავს ფრიად ბედნიერად გრძნობენ! ევროპეღების გაშლიღი, გაკრიღლებული, მღიდრული უბანი ცოტა არ იყოს აფრთხოობთ; იქ ჰუჰყიან, ჰაობიან მღინარის თევზებს ჰგვანან, ანკარა წყღით სავსე ფაიფურის ბასეინში რომ გაღმოიყვანეს: ვერსად დაღმალეღი, თავს ვერსად შეაფარებ, ვერავის წაგღეჯ, მოატყუებ, ვერ ამოღითთხნეღი და ვერც სხვას ამოღითთხნი.

სწრაფად შემოვიარეთ მთელი უბანი და მთას მივაღექით,

რომელიც ამ ადგილას ხელოვნურად ჩამოეჭრათ და სწორ, ფრიალო კედელს წარმოადგენდა; აქ ვარაუდობდნენ ახალი ქუჩის გაყვანას. აქ ირეოდა მუშების მთელი პოლკი; თხრიდნენ მიწას, თლიდნენ ქვებს, გააქონდათ ნაგავი. ყველა ისინი პორტუგალიის კოლონია მაკაოდან ჩამოსახლებულები იყვნენ. როგორც კი ინგლისელებმა ამ ადგილის დასახლება გადასწყვეტეს და მუშახელს უხმეს, მაკაო თითქმის დაცარიელდა. სამუშაომ, მაშასადამე ლუკმაპურმა და ფულმა, აქ ოცდაათ ათასამდე ჩინელი ჩამოიტყუილა. მაკაოში მათხოვრულ ყოფას აქ მუდმივი შრომა და დაუშრეტელი გასამრჯელო არჩიეს. არ შეაშინათ ციებ-ცხელების ეპიდემიამაც, რაიც აქ დასაწყისში, მძვინვარებდა. ინგლისელების ხელმძღვანელობით ნიადაგის გაწმენდასა და ამოშრობას მიჰყვეს ხელი: ეპიდემიამ იკლო და: გადმოსახლებამაც იმატა.

მალღობიდან ჩამოვედით, ისევ ჩინურ უბანში შევედით და სხვათა შორის, ერთ სახლს ჩაეუარეთ, რომლის ფანჯარასთან ტიტლიკანა ყმაწვილი ჩინელი კაცი გიტარის მსგავს საკრავზე უბადრუკ, მონოტონურ ჰანგს უკრავდა. ყმაწვილის ზურგს უკან რამდენიმე ქალი იხედებოდა. არ გეგონოთ, ყველა ჩინელი ტიტველი ჯადიოდეს ქალაქში. ასე მხოლოდ მებარგეებს, შავ მუშებს და დუქნებში მჯდომარეებს ნახავ. უფრო მაღალი წოდების ხალხი რიგიანად გახლავთ ჩაცმული; ფრანტებიც კი გამოერევათ ხოლმე, ქათქათა კოფთებში, ატლასის შარვლებში, სქელძირა ფეხსაცმელებში გამოწყვიპილნი, შავი, სქელი, ბზილა კიკინა კოქებამდე სცემთ, მდიდრული მარაოც უჭირავთ და მზეში თავზე იფარებენ. მდაბიო ქალები ქალაქში თვითონ დადიან, უფრო მდიდრებსა და წარჩინებულებს ხელმკლავით დაატარებენ. ფეხები ყველას მეტნაკლებად დამახინჯებული აქვთ. ვისაც „მშობლების გაუზრდელობისა თუ დაუდევრობის“ წყალობით ბუნებრივი ტერფი შერჩენია, ისინიც ნამდვილი ტერფის ქვეშ ისე პატარა ხელოვნურ ფეხს იკეთებენ, რომ ნაბიჯის გადადგმა არაფრის დიდებით არ შეუძლიათ და ამიტომ მოახლეები დაატარებენ. თუმცა ჩინელ ქალებს გრძელი კაბები აცვიათ და თავით ფეხამდე შესუდრულნი არიან, ერთხელ ქარმა დაუბერა და ეს ეშმაკობა პოსი წყალობით შევამჩნიე. შავგვრემანი, მოყვი-

თალო ფერისა და ოდნავ წვრილი, შავი თვალების პატრონი ქალები მეტწილად თაღბ ტანსაცმელს ატარებენ. ეს ბანოვანები, à la chinoise¹ დაეარცხნილი, ზვინად დადებულ შავი თმებით, რაშიც ოქროსი თუ ვერცხლის დიდი ქინძისთავი გაუზნევიათ კეფაზე, არცთუ უსიამო შესახედავნი არიან.

ძლივს მივალწიეთ ევროპულ უბანს და ოტელში შევედით, რომელიც პოლონელს გაეხსნა. მან გვითხრა, თოთხმეტი წლის რომ ვიყავ, ორი წელი მოსკოვში ვცხოვრობდიო. ახლა ორმოცს გადაცილებული იქნებოდა. დავაპირე რუსულად გამოლაპარაკება, მაგრამ ერთი სიტყვაც აღარ ახსოვდა. სიცხის გამო ჩამობნელებულ ოთახში საუზმეზე, სადილიც ის იყო, გემრიელი, ნაზი თევზი და მაგარი შაშხი მოგვართვეს, თუმცა შაშხისთვის ხელი არ გვიხლია. შემდეგ პ[ოსიეტი] პალანკინში ჩაჯდა და ვილაც ბანკირთან გაემგზავრა, მე კი ქუჩას მივყევი ოთხკუთხედად ნაგებ დიდებულ ყაზარმებისკენ. გავიარე გაფშეკილი, უბადრუკი ხეების ბულვარი და ზღვის ნაპირს დავადექი. სანაპიროზე უამრავი დიდრონი წითელი მწერები დაფრინავდნენ ადგილიდან ადგილზე: მინდოდა რამდენიმე დამეჭირა და გ[ომეკევიჩისთვის] მიმიეტანა. იმათ დევნაში შეუგრძნობლად ყაზარმის ალაყაფის კარში შევიჭერი და უზარმაზარ ეზოში გავჩნდი, რომელიც პოლკის საწვრთნელი მოედანი ყოფილიყო.

აივნიდან ინგლისელმა ოფიცრებმა მომკრეს თვალი, ჩამოვიდნენ და თავისთან, to drink a glass of wine-ზე (ჭიქა ღვინოზე) მიმიწვიეს. ოთახში, სადაც მე შემიყვანეს, ავეჯი თუ ჭურჭელი — ყველაფერი ოფიცრების გაფუფუნებულ ცხოვრებაზე დაყრილ ხმას ადასტურებდა. ვერცხლეული და გაქათქათებული სუფრები — მათი საუზმისა და სასადილო სუფრის ჩვეულებრივი მორთულობაა. ოფიცრები ერთად სადილობენ და ამ ოფიციალურ-საოჯახო ცხოვრების ყაიდას ისე მკაცრად იცავენ, რომ იშვიათად ვინმე სადილად არ დაესწროს. მთელ შენობას განიერი ქვის აივანი, ანუ ვერანდა უვლის ირგვლივ, სადაც ბამბუკის სავარძლებში ზანტად

¹ ჩინურ ყიიდაზე (ფრანგ.).

სთვლემენ ყაზარმის პატრონები სიესტას საათებში. ღვინოზე უარი ვთქვი და ლიმონათით გამიმასპინძლდნენ.

კარგა შეღამებულში, როცა მგზნებარე, მოკაშკაშე და მომხიბვლელი ღამე მკვიდრდებოდა, მოვბრუნდი ნავშიადაგომზე. პ[ოსიეტი] იქ დამხვდა, ნავს ელოდებოდა. იქვე ჩინური ნავი იდგა; მთვარის შუქზე შიგ ორი ქალი დავინახეთ. „ნავი რად გვინდა?! — აგერ ესენი გადაგვიყვანენ-მეთქი“, — ვთქვი და ჩავჯექით კიდეც. ქალებმა საკეზე მიმაგრებულ ერთადერთ ნიჩაბს ჩასკიდეს ხელი და მარცხნივ და მარჯვნივ მკვირცხლად აატრიალეს. მთვარე პირდაპირ სახეზე დანათობდათ: ერთი ბებრუხანა იყო, მეორე თხუთმეტიოდე წლის გოგონა იქნებოდა. ფერმკრთალ სახეზე ვიწრო, მაგრამ შავი მშვენიერი თვალები უბრწყინავდა; თმა კეფაზე ვერცხლის ქინძისთავით დაემაგრებინა. „რუსულ ფრეგატზე წაგვიყვანეთქო“ — ვუთხარით ჩვენ. „Two shillings!“ (ორი შილინგი) გამოგვიცხადა ყმაწვილმა ქალმა. „ასეთ ტურფას ასი გირვანქაც ეკუთვნის!“ — თქვა ჩემმა ამხანაგმა. „ძვირია!“ — შევნიშნე მე. „Two shillings!“ — გაიმეორა ქალმა მონოტონურად. „ალბათ აქაური არ იქნები, შენისთანა თეთრს აქ რა უნდა? საიდანა ხარ? რა გქვია?“ — ჩვენებას ართმევდა პ[ოსიეტი] და ახლოს მიჩოჩებას ლამობდა. „მაკაოდან ვარ. ეტოლა მქვია“, — უპასუხა ქალმა ინგლისურად, ჩინელების ჩვეულებისამებრ ზოგიერთი მარცვალი ჩაყლაპა. „Two shillings!“ — დააყოლა მერე ღუმილის შემდეგ. „რა ლამაზი ყოფილხარ! — განაგრძობდა ჩემი ამხანაგი, — ხელი მაჩვენე, მითხარ, რამდენი წლისა ხარ? ვინ უფრო მოგწონს: ჩვენ, ინგლისელები თუ ჩინელები?“ — „Two shillings!“ — პასუხად ჰქონდა ქალს. ფრეგატს მივადექით; ჩემმა თანამგზავრმა ხელი გამოართვა, მე უკვე ტრაპზე ავდიოდი. „რამე მაინც მითხარი, ეტოლა?“ — ეუბნებოდა პ[ოსიეტი] და ხელს არ უშვებდა. გოგონა ღუმდა. „ჰო, თქვი, რას ღუმხარ...“ „Two shillings“, — გაიმეორა ქალმა. მე გამეცინა, ჩემმა ამხანაგმა ამოიოხრა, ფული მივეცი და ჩვენ-ჩვენს კაიუტებში წავედით.

როგორც ინგლისსა და კაპშტატში, აქაც თავისუფლად შეგვიშვეს კლუბში. კლუბი თავისებურად სანიმუშო სასახლეს წარმოადგენს: დამაარსებლები ხარჯს ირ შეშინებიან და

ისე მდიდრულად მოუერთავთ, როგორც ლონდონის კლუბებს სჩვევია. რამდენიმე დიდი დარბაზი ფანჯრებით ზღვის ყურეს გადაჰყურებს. ვერანდა, ბუხრები, ფანჯრები მარმარილოთი მოუპირკეთებიათ. ყველგან ბრინჯაო და ბროლი მოჩანს; მშვენიერი სარკეები, კოხტა ავეჯი — ინგლისიდან ჩამოტანილი. მაგრამ ვაი რომ დარბაზები ცარიელია; რის ვაი-ვაგლახით გააგონებ მძინარე ჩინელ მსახურს, სადილს შეუკვეთ და იმაზე სამჯერ მეტს გადაიხდი, რამდენიც იქვე გვერდით, ღუქანში დაგიჯდება. კლუბი გაკოტრების პირზეა მისული. ევროპელები დღისით მეტწილად თავიანთ სახლებში სხედან, საღამოობით ოჯახურ შეკრებებს აჰჯობინებენ — და კლუბის საქმეც ნელ-ნელა უკან მიდის. მაგრამ რა ნეტარებაა ამ განიერ ვერანდაზე საღამოთი არხეინად მოკალათება, როცა პაპანაქებას ღამის სიგრილე ცვლის!

საღამოს ექვს საათზე მთელი მოსახლეობა ქუჩაში, სანაპიროზე, ბულვარზეა გამოფენილი. ოფიცრები ან ფეხით ან ცხენით მობრძანდებიან; ნეგოციანტები და ქალბატონები დასეირნობენ. გუბერნატორის სახლის გვერდით მინდორზე მუსიკა უკრავს. შორიახლოს, მდლობზე ქვის სახლში გენერალი ცხოვრობს, აქაური ჯარის უფროსი. იქვე, ახლოს მონასტრით შენობა იტალიელ ეპისკოპოსს და მის რამდენიმე ბერს უქირავთ.

ჩვენები კანტონში გაემგზავრნენ, მე კი ამ დროს ციებიანი ვიწექი და ბურანში მესმოდა, კატარღა რომ ჩაუშვეს. მეხის გრგვინვამ გამაღვიძა; სწორედ ჩვენების წასვლისას გაავდრდა. რომ მოვიკეთე, ყოველღე გადავდიოდი ნაპირზე, სანაპიროზე დავსეირნობდი და მოუთმენლად ველოდი გამგზავრების დღეს. ფრეგატზე ყოველღე მოდიოდნენ ნაპირიდან სტუმრები და მათ უნდა დავხვედროდი. სხვათა შორის, ერთხელ ორი ბერი გვეწვია, ეპისკოპოსის სახელით და გვაუწყეს, მონსიონერიც ფეხდაფეხ მოგვდეკსო. მაგრამ რაკი ფრეგატზე აღმირალი და კაპიტანი არ იყვნენ, დრო იხელთეს და კაიუტებში გემბანების ჩურთვას შეუდგნენ. ძენძები ხროვად ეყარა; ყოველი ნახვრეტი ფისით ამოვესოთ და ჯერ არ გამშრალიყო. ბერები დავარწმუნე, აღმირალის დაბრუნებამდე ეპისკოპოსისთვის სტუმრობა გადაეთქმევიინებინათ.

ადმირალის ჩამოსვლის შემდეგ ეპისკოპოსი ვიზიტით ეწვია მას. ეპისკოპოსს ოთხი მისიონერი ახლდა, ორი ესპანელი ბერი იყო, ერთი ფრანგი და ერთიც ჩინელი, რომელსაც რომის სახელგანთქმული პროპაგანდის სასწავლებელი დაემთავრებინა. ჩინური ტანსაცმელი შეენარჩუნებინა, რა არის ჩინეთში თავისუფლად ევლო იქაურ ქრისტიანებთან კავშირის დასაქვრად და ახლების მოსაქცევად. ყველამ ჩვენთან ისაუბრა, იტალიელ ეპისკოპოსს ფრანგულად ველაპარაკებოდი, ჩინელს კი [მამა] ა[ვაკუმ] ლათინურად ებაასებოდა.

მათ შემდეგ ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი (governor of the strait — სრუტის, ე. ი. ჰონ-კონგის გუბერნატორი) გვეწვია, ინგლისის წარმომადგენელიც ჩინეთში ის ყოფილა. სახელად სერ ბონემი (sir Bonham) ერქვა. მასაც ისეთივე პატივით დაუხვდნენ, როგორც ჩვენს ადმირალს ნაპირზე: უკრავდა მუსიკა, ჰქუხდა ზარბაზნები.

ხშირად გადავდიოდი ნაპირზე, ვათვალიერებდი დუქნებს, ვაკვირდებოდი ჩინელთა ვაჭრობას, რაც ბევრ რამეში ჩვენს ქარვასლებსა და ბაზრობებს მაჯონებდა, ვყიდულობდი სხვადასხვა წვრილმანებს, სხვათა შორის ჩაის — ისე, საცდელად. კარგი ჩაი, რაც ჩვენში ხუთი მანეთი ფასობს, აქ (მესამე თუ მეოთხე ხელიდან) ოცდაათი კაპიკი ღირს ვერცხლით, ყველაზე საუკეთესო კი სამოცი კაპიკია. სიგარები აქ მანილისაა, ყველაზე დაბალი ხარისხის, ჩირუტები რომ ჰქვია, მაკაოდანაც ჩამოაქვთ; ეს უკანასკნელი კაპიკად არ ვარგა.

ერთხელ ბევრი წვრილმანი ვიყიდე და კულის მივეცი, რომელმაც ჩემი ნაყიდები კალათაში ჩააწყო და უკან გამომყვა. ფადევეიც თან მახლდა, ეს რომ დაინახა, გულმა არ მოუთმინა, კალათა გამოგლიჯა და თვითონ წამოიღო. ვერა და ვერ ავუშალე საღერღელი უცხოელისა და ბატონის რილი ეთამაშა. ნავმისადგომამდე ფადევეი და კული კალათის თაობაზე გაუთავებლივ ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს. ნავი დავიჭირავე და ფადევეი შიგ ჩავსვი. მაგრამ კულიც ფეხდაფეხ მიჰყვა და იქაც ერთი დავიდარაბა შექნა. ჩინელებმა სხვა ნაგებიდან ყვირილი ატეხეს; კული არა და არ ეშვებოდა ფადევეს, ის კი მანდარინივით წამოსკუპულიყო ნავში და ორავე ხელით კალათს ჩასჭიდებოდა. მენავე ადგილიდან არ

იმროდა საქმის გამორკვევამდე. ფადევემა ისევ ნაპირზე დააპირა გამოსვლა, მაგრამ არ გამოუშვეს. „მოიცათ, თქვენო მ[აღალკეთილშობილებავ], მე მაგათ ვაჩვენებ სეირსო“, — მითხრა მან, ცალი ხელი კალათას ჩასჭიდა, მეორეთი კი ჩინელებს ენერგიულად დაერია და ნაპირზე გამოაღწია. ვიფიქრე, როგორც გინდა, ისე მოიშორე ეგენი-მეთქი, და ჩემს გზაზე წავედი. შორიდან კი დავინახე, როგორც დათვი იბერტყავს ხოლმე ძაღლების ზროვას, ისიც ისევე იგერიებდა ჩინელებს და წაპოტინებულ ხელებზე ურტყამდა. მერე დავინახე, უკვე ჩვენს ნავში იჯდა ამაყად, ნაყიდებით ხელში, კალათა კი აღარ ეკავა, რომელიც კულის ეკუთვნოდა და ჩვენი მიუხვედრელობით თურმე მთელ დავიდარების მიზეზი ყოფილა.

ჰონ-კონგის განიერ რეიდის ერთ კუთხეში ჯერდინისა და მატისონის სავაჭრო საწარმო იყო მოთავსებული თავისი ვერფით. ოთხნი გავემართეთ ინგლისელთა დაუცხრომელი ენერგიის, სიხარბისა და თავგზიანობის ამ ნიმუშის დასათვალისწინებლად. დანიური კორვეტის „გალათეას“ კომანდირის სტენ ბილის აზრით, ინგლისელებმა ჰონ-კონგში ბევრი შრომა და ფული ჩაჰყარეს და რომ ამას ვერ გაინაღდებენ. ამ კუნძულის დაკავებისთანავე კალკუტელი თუ სინგაპურელი ვაჭრები აქეთ გამოქანდნენ, ზოგმა მთელი თავისი კაპიტალი აქ დააბანდა და ჩინეთის ბაზრის სიახლოვისა და ოპიუმის გასაღების იმედით. მაგრამ იმედი აქამდე არ გამართლებიათ. იქნებ ვინმე ჯერდინის ვაჭრულ შორსგაუმკვრეტელობაზე ექვი მართალი იყოს, სამაგიეროდ ჰონ-კონგის მფლობელობამ, ზარბაზნებმა, თვით რეიდმა — ისიც ჩინეთის ზღურბლზე, ინგლისელებს სამუდამოდ უზრუნველყო ჩინეთთან ვაჭრობა და ეს პატარა კუნძული ალბათ ჩინეთის მთავრობას მუდამ ეკალივით შეესობა თვალში.

ჯერდინის საწარმოში სასახლეა წამოკიმული, გვერდით ბალი და პარკი გაუშენებიათ; სხვა შენობები ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენსობას აუარება მუშები მიწაზე ფილაქნებს აგებდნენ; ნაპირთან რამდენიმე ხომალდი იდგა. შუადღე არ იყო წამოსული, რომ ნავმისადგომზე ავედით და საჩქაროდ შევაფარეთ თავი ახალგაზრდა ბალის სუსტ ჩრდილს. მწერებს ისეთი კრიკინი გაჰქონდათ შუადღის მოახლოებისას, დიდ ორ-

კესტრს შეეცილებოდა. დაქანცულები ვისხვიან სკამზე და სასახლის შუშის კარებისაკენ ცალი თვალით გვეყურებოდნენ. ვინძლო სტუმართმოყვარე მასპინძელი გმობიდა, მასპინძლის დარბაზებში შეგვიპატიუოს და ერთი ჭიჭა დაგვართავს გული მოგვანათლინოს-თქო... მაგრამ კარი დავეცილო იყო და არავინ ჩანდა. ჩვენი ექიმი დაუღალავად დასდევდა მუხტებს განსაკუთრებით დიდრონ, თითქო შავი ხაველით შეგვსულ პეპლებს. ნავმისადგომზე რომ მოვბრუნდით, შეგვჩვენო ჰანჯოლებში ერთი ქალი დავინახეთ, რომელსაც შინველი ბავშვი ხელში დაეჭირა, თითებს ინერწყვავდა და ზურგზე უზრუნველად სჩქმეტდა ხერხემლის გაყოლებაზე. ბავშვი დახრიალდა და და გამწარებული ქყვიროდა. დასჯა იყო ეს თუ გეტყვითა?

წერა აღარ შემიძლია: ხომალდი ძალუმ ტოტტანებდა „მეოთხე რიფი აიღეთო“, მესმის ბრძანება. კეთილი იმედის კონცხის შემდეგ ასეთი ქარიშხალი არ შეგვხვედრია. წავალ, ვნახავ, რა ამბავია.

ჩინეთის ზღვა
8 ივნისი.

VIII

ბონინ-სიმის კუნძულები

ჩინეთის ზღვა. — ქარიშხლები. — წყნარი ოკეანის გასაველი. — გრიგალი. — შტილი და სიცხე. — პილის კუნძული, პორტი ლო-აღი. — კორვეტი „ოლეუცა“ და ამერიკული კომპანიის სატრანსპორტო ხომალდი „თავადი მენშიკოვი“. — რუსეთის კურიერები. — ახალმოშენენი. — გასეირნება, სადილი და შეღამება ნაპირზე.

1853 წლ. 26 ივნისიდან 4 აგვისტომდე



რა თქმა უნდა, ყოველ თქვენგანს შეხვედრია ის ამბავი, რომ შემოდგომის საღამოს შინ, საიმედო კერქვეშ, ჩაის სუფრასთან ან ბუხართან მჯდომს ერთბაშად ქარის გამჟვალავი ზუილი ჩასწვდომია ყურთ, მოხეტქებია ქარი ორმაგ ჩარჩოებს, მოუჯახუნებია დარაბა, ზოგჯერ ჩამოუგდია კიდეც, ნადირივით ბორბტად ჩამოუღრიალია საკვამურში, ბუხრის თავები აურახუნებია. შეკრთება ვინმე, ფერიფური წაუვა, სხვებს უსიტყვოდ გადახედავს ან იტყვის: „ახლა რა ამბავი იქნება მინდვრად? ღმერთმა, დაიფაროს, ვისმე ავდარმა მოუსწროს იქო!“

წარმოიდგინეთ ქარის ეს ღმუილი, ოღონდ ათჯერ, ოცჯერ გაძლიერებული, ისიც მინდვრად კი არა, ზღვაში — ჰოდ:, ოდნავ მაინც დაგიდგებათ თვალწინ, რა ყოფაში ვიყავით 9 ივლისის წინა ღამეს და 9 ივლისის მთელ ღღეს, ჩინეთის ზღვიდან წყნარ ოკეანეში გასვლისას.

ჰონ-კონგიდან ბონინ-სიმის კუნძულებამდე, საითაც გზა გვედო, 1600 მილი იქნება. დედამიწის ირგვლივ შემოვლისას ეს არცთუ ისე დიდი მანძილია, რომელსაც ზურგქარის დროს შეიძლება, რვა დღე დასჭირდებოდა. ჰონ-კონგიდან 26 ივნისს გამოვედით და 5 ივლისამდე მხოლოდ 300 მილი გავიარეთ, ე. ი. იმდენი, რამდენსაც ერთი დღე-ღამე და ცოტა მეტი მოუნდებოდა ხომალდი. აი, როგორ დაგვაბრკოლა აღმოსავლეთის პირქარმა. მოგვეწყინდა ლავირება, დღეღამეში რვიდან ოც ვერსამდე ჩანჩალი და ცოტა სამხრეთით დავეშვიეთ, იმ იმედით, რომ იქ სხვა ქარი დაგვხვდებოდა და თანაც ფორმოზას სამხრეთით მდებარე ბაშის პატარა კუნძულებზეც შევივლიდით, ვნახავდით, რას წარმოადგენდა, მწვანეხალს, ხილსა თუ სხვა რასმე მოვიმარაგებდით. იქო, ამბობდნენ, ინდოელთა სოფლებში ესპანელი ალკადი და რამდენიმე ბერი ცხოვრობსო.

შვიდ რიცხვში, საღამოს, ერთ-ერთ მთავარ კუნძულს ბატანს მივაღებეთ, ბელჩერის ცნობით იქ ღუზის ჩასაშვები ადგილი იყო. მაგრამ კუნძულს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხრიდან რომ შემოვუარეთ, მხოლოდ უზარმაზარი კლდე და ნაპირზე მიხეთქებული ფურთუნის თეთრი არშია ვიხილეთ. სხვა დასახლებულ ადგილებივით ერთი ნავიც კი არ წამოსულა ჩვენს შესახვედრად; ნაპირზე კაციშვილი არ ჰქავანებდა; მხოლოდ ნაპირზე, თითქო თეთრ ფურთუნში ორ ადგილზე გამოკრთა შუქი და გაქრა. სად უნდა წავსულიყავით, ამ დამეში ნავმისადგომის ძებნა არ შეიძლებოდა, არც დიღამდე იალქნებით დგომა ღირდა.

ჰოდა, ცოტა ხანს ვუცქირეთ პირქუშ, პიტალო კლდეს, რომელიც კუნძულის ჩრდილოეთ ნაპირს წარმოადგენდა, გზა გავაგრძელებთ და წყნარ ოკეანეში გავედით. წყნარიო! რამდენჯერ დაუმტკიცა მან საცოდავ ზღვაოსნებს, მათ შორის ჩვენც, სულ საწინააღმდეგო, თითქო ჩვენ მოგვეგონოს მისთვის ეს სახელი!

უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ ჰონ-კონგში ჩინელები და ევროპელები გვეუბნებოდნენ, წელს გრიგალია მოსალოდნელიო. აგერ ოთხი წელი გრიგალი თურმე არა ყოფილა. გრიგალს ჩვეულებრივ ასე განსაზღვრავენ: ეს ბორბალა ქარია, რუმბიდან რუმბზე გარდამავალი. მისი განსაზღვრა ასეც

შეიძლება: ეს ისეთი ქარია, რომელიც დიდ სამხედრო თუ სავაჭრო ხომალდებს, გემებს, ჯონკებს, ნავებს, ერთი სიტყვით, რაც ზღვაში მოხვდება, ხანდახან თვით ზღვასაც ნაპირზე ისვრის, ხოლო სახლის კედლებს, სახურავებს, ხეებს, ადამიანებს, მაშასადამე, რაც ნაპირზე მოხვდება, ზოგჯერ თვით ნაპირსაც, ზღვაში გასტყორცნის. ჩვენ მსგავსი არაფერი შეგვმთხვევია, იქნებ იმიტომ, ახლომახლო ნაპირი არსად იყო. იმიტომაც ქარი მხოლოდ ზღვაში გვაპროწიალებდა, კატა რომ თავს ათამაშებს, ისე გვათამაშებდა; დაეძგერებოდა ხომალდს, ტალღებს გაათრებოდა დაახეთქებდა, გვერდზე გადააგდებდა. აი, საცაა ფსკერზე უნდა წავიდე, რომ ახლა მეორე გვერდზე გადააყირავებს, ასწევს და წუთით პირდაპირ დადგამს, მერე ზევიდან დაასკდება და ხომალდს წყალში ჩააყურყუმელავებს. ზვირთები რომ ზევით ამოაგდებენ, ქარი დაიღმუვლებს, ირგვლავ დაუვლის, დაიგმინებს, დაიზუზუნებს, ხომალდს წყლის შხეფების ღრუბელს დაანთხევს და გადაახამს, იალქანს მოგლეჯს და გამარჯვებული თვალუწვდენელ მოქურუხებულ სივრცეში გაქანდება, წყალს მტვერივით გაირეკავს წინ. მაგრამ ბევრი ვერაფერი დაგვაკლო. ჩინელები გრიგალს „ტიფუნს“, ძლიერ ქარს ეძახიან, ჩვენი კი ეს სახელი ტიფონად გადავუკეთეთ.

— მაშ, ყველაფერს სჯობია ზღვაში გასვლა? — ვუთხარი ერთ გერმანელ ნეგოციანტს, რომელიც გრიგალით გვაშინებდა.

— ღმერთმა უწყის, სად სჯობია! — მიპასუხა მან. — უკანასკნელი გრიგალის დროს ზღვაში ოთხმოცამდე გემი დაიღუპა, ნაპირზე მთელი სახლი წამოაქცია და ხუთი კაცი გასრისა; ჰონ-კონგის ნავსადგურში კი, ვინ მოსთვლის, რამდენი ნავი იმსხვერპლა და ასამდე კაცი შეიწირა.

ამ ლაპარაკიდან რამდენიმე დღის შემდეგ ზღვაში გავედით. მაგრამ ჰონ-კონგში ყოფნის უკანასკნელ დღეებშიც ამინდი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩრდილოეთის მძაფრი ქარი ამოიქრა და საღამოობით განსაკუთრებით მძვინვარებდა. გარშემო მთებიდან ხშირად შავი ღრუბლები წამოვიდოდა და რეიდზე წვიმას თქიშინით ასხამდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აღმოსავლეთის პირქარმა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა, ქარიშხლები განუწყვეტლივ რომ ახლდა, ერთი

ადგილზე მიგვაბა. ყოველ წამს ასეთი ბრძანება გვესმოდა: „მარსოფალებზე დადექ! აუშვით სარსოფალები!“ მერე ზუზუნით გაიშლებოდა იალქანი, ხომალდი ძლიერ გადაქანდებოდა, ამ დროს რაღაცას უნდა მოეპილო, წაძოვიდოდა წვიმა და მზიანი, საზეიმო დღე წამში ჩვეულებრივ დღედ გადაიქცეოდა; ცას ყომრალის ფერი დადებია; ოფიცრებს ტყავის პალტოები აცვიათ; მეზღვაურები წვიმას საწოლების შალითებში ემალებიან... ამ დღეში ვიყავით მთელი ათი დღე!

მაგრამ აგერ დიდ ოკეანეში გავყდით, ჩრდილოეთ განედის 21°-ზე: სულის შემხუთველი სიცხე დგას. დღისით მუშაობა შეუძლებელია. სიცხით გათანგული ნასადილევს თვალს მოხუჭავ, რომ ღამით მეტი დრო დაგრჩეს. ასე მოვიქეცი რვა რიცხვში და დიდხანს, სამი საათი მაინც მეძინა, თითქო ტანმა მიგრძნო, რა შფოთის ღამეც დაგვიდგებოდა. კაპიტანი დამცინოდა, თვალს რომ გავახელდი, ნამძინარევი აქეთ-იქით მივიხედავდი და მეორე დივანზე გადავგორდებოდი გასაგრილებლად. „ხან მარცხენა, ხან მარჯვენა გალსზე წვებითო!“ — იძახდა ის.

საღამოს კარგა ღონივრად დაუბერა. საწერს ამაოდ ჩაუჯექი, მელანსა და სანთელს ერთ ადგილზე არ სურდათ გაჩერება, ქაღალდი ხელიდან მიმირბოდა. რამდენიმე სიტყვას დასწერ და მაშინვე ხელს უკან გადასწევ — კედელს უნდა მიებრჯინო, თუ გადაყირავება არ გინდა. მივანებე ყველაფერს თავი და უკანა გემბანზე მოვეყევი ბოლთას; მაგრამ გაგიგონია, ვერც ეს შევძელი უმარცხოდ, თუმცა საზღვაო ფეხები უკვე გამომება.

ხანდახან ისე გადააქანებდა ხომალდი, ან ზარბაზანს უნდა მოსჭიდებოდი, ან ხელში მოხვედრილ პირველსავე თოქს. ამასობაში ქარმა თანდათან უმატა ზუზუნს. კარი ნახევრად მოღებული მქონდა და ხომალდზე ყოველი ჩოჩქოლი და მოძრაობა მესმოდა: საათის ორზე მევახტეების შემცვლელი გამოიძახეს რიფების ასაკრეფად, ჯერ ორი აიღეს, მერე სამი, ბრამრეი დაუშვეს, ქარი კი უფრო და უფრო შლიდა ფრთებს. საათის სამზე უკანასკნელი რიფი აიღეს და ბრამ-სტენგები დაუშვეს. ხომალდს უკვე ძლიერად დაუწყო აქეთ-იქით ქანობა. ჩემს პატარა კაიუტაში გაჩერება არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით საწოლში: სასთუმალისკენ რომ გაგაქანებდა,

ტვინში სისხლი აგასხამდა, უკან დაგქაჩავდა — ბალიშებიანად კედლისკენ გაცურდებოდი. რაც თაროებზე ელაგა, რაც კედლებზე ეკიდა თუ კომოდებში ეწყო — ყველაფერი ჩვეულებრისავე აცეკვდა და ამოძრავდა. წიგნები იატაკზე და საწოლზე ცვიოდა: ჯაგრისები, ქულები პანტაპუნტით მოდიოდა ზემოდან; კიქები და შუშის ბოთლები წკრიალ-წკრიალით იმსხვრეოდა. ამასობაში გათენდა. ავდექი და გემბანზე გავედი. ყველას იქ მოეყარა თავი. ტალღები ბადეებს სწვდებოდა და სულიერივით იქყიტებოდა გემბანზე, აქაოდა რა ხდებოდა. ხომალდმა ტორტმანსა და ქანაობას უმატა. „ნეტავ სადამდე მიადწევს ბოლოს და ბოლოს?“ — გაიფიქრებ ქარის თანდათან გაძლიერებული ქროლის შემყურე.

აგერ, მ[ამა] ა[ვაკუმი] გამოვიდა, უძილობით გაცრეცილ-გასავათებული და კუთხეში, ბაგირების გროვაზე დაჯდა; აგერ მეორე, მესამეც გამოჩნდა, ყველას უძილო, გაწამებული სახე აქვს. ორივე ხელებით უნდა იყო რამეზე მოქიდებული, თუ გაჩერება გინდა. ბოლოს მომბეზრდა ეს ამბავი და ჩემს საყვარელ თავშესაფარს, კაპიტნის კაიუტას მივაშურე.

ქარი ღრიალებდა, ზვირთებს ქეჩოს აგლეჯდა და თითქო ცრისო, ოკეანეზე აბნევდა: ზვირთებს წყლის მტვერი ღრუბლებად ადგა თავზე. ჩემი წინანდელი შედარება მომაგონდა და სწორად ჩავთვალე: დიახ, ეს მტაცებელ ნადირთა ბროვას, ერთმანეთს გაათრებით რომ დარევიან. აგერ, თითქო ისკუბა რამდენიმე ლომმა და ვეფხვმა, ყალყზე შედგნენ ერთმანეთის დასაბღღენელად და ცას მიაწყდნენ, მაგრამ რაღაცით დამფრთხალნი ისევ ძირს დაებერტყნენ, — იმ ადგილზე მხოლოდ სვეტებად აიშართა წყლის მტვერი, ხომალდიც იმათ მიჰყვა კვლდაკვალ უფსკრულისკენ, მაგრამ რაღაც ძალამ ისევ ზემოთ ამოაგდო და ისევ გვერდზე გადააყირავა. აგერ, ნავი აჭრიანლდა ბოკანცებზე; ორი თუ სამი კაცი, მათ შორის, მგონი, მეც ერთი კუთხიდან მეორეში გავქანდი. აგერ უზარმაზარი ზვირთი ერთბაშად ბადეს მიეხალა, ქიმზე გადმოხტა და გემბანი წალეკა, მეზღვაურებს ფეხებში მიესხა. ჰორიზონტი რუხ მტვერს დაუფარავს. სწორი ღელვა თითქმის არაა: წყალი მღელარესავით თუხთუხებს; ტალღებს მოხაზულობა დაეკარგათ.

წამდაუწუმ ბარომეტრთან მიზიან გამოსარკვევად. „ისევ ეცემა?“ 30 და 15. კვლავ — 29 და 75, მერე 29 და 45, მერე 29 და 30—29 და 15 — ბოლოს 28/42. ის სწრაფად ეცემოდა, ოღონდ თანმიმდევრულად, დღელამის განმავლობაში 30/75-დან 28/42-მდე დავარდა. როცა ამ წერტილზე გაჩერდა, ქარმა გაშმაგების უკანასკნელ საზღვარს მიაღწია.

ქვემეხები სამთა ტალღებით დაამაგრეს, გარდა ამისა კაბელტიც შემოახვიეს, ასე რომ ამ მხრივ გულარხეინად შეიძლებოდა ყოფნა. ხომალდი საზარლად ტორტმანებდა. კედლებსა თუ იატაკზე გულდაგულ დამაგრებული საგნები ადგილს წყდებოდა და საწინააღმდეგო მხარეს მიექანებოდა, იქიდან უკან მოსრიალებდა. ასე მოწყდა სამი ვეება სავარძელი კაპიტნის კაიუტაში, თავპირის მტვრევით მოკურცხლეს და შუაგულამდე მიაღწიეს, ამ დროს ისე მაგრად გადაფერდდა ხომალდი, რომ სავარძლები ჰაერში შეხტნენ, დივნის წინ მდგარი მაგიდა გადააყირავეს, დაამსხვრიეს, თვითონაც დაიღწნენ და რახრახით დაცვივდნენ დივანზე. კაიუტაში მეზღვაურები შემოვარდნენ. ის იყო ნამსხვრევების შეგროვებას შეუდგნენ, რომ ამ დროს მთელი ეს გროვა ადამიანებიანად უკან, პირდაპირ ჩემი კუთხისკენ გამოქანდა: ძლივს მოვასწარი ფეხების აკეცვა. ჭიქები, თეფშები, ფინჯნები, ბოთლები ბუფეტებში წკრიალ-წკრიალით და ხტუნვით მოცვიოდნენ ადგილებიდან.

სურათები კედლებზე აქეთ-იქით ქანაობდა და თითქოს 45°-იან რკალს არტყამდა. ფადევემა ჩაი მომიტანა, მაგრამ წონასწორობის დაცვის დიდი უნარის მიუხედავად, ჩაცუცქული უკან-უკან გაქანდა ჩემგან და შაქრის ნატეხები, პურის ნაჭრები, ლამბაქის ნამსხვრევები მოაფინა გზაზე. მე ნაბიჯის გადადგმა ვერ მომეხერხებინა და სადილად არ წავსულვარ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი უსმელ-უჰმელი, სულ ერთ ადგილას მიმჯდარი და მაგრად ჩაბლაუქებული, რა არის ჩემს კუთხეს არ მოვმწყდარიყავ კაიუტის სარკმელები მოლიავებული იყო და იქიდან გავეშებულ ზღვას ვხედავდი. მარტო ამ სარკმლებამდე, ანუ როგორც ზღვაოსნები ეძახიან — პორტებამდე არ აღწევდა წყალი, იმდენად მაღალზე იყო; სხვაგან ყველგან მაგრად დაეგმანათ ფიცრებით, თორემ შუშებს ყველგან ჩაღწდა და გადაფერდების დროს ზვირთი ზვირთზე

შემოიჭრებოდა ხომალდში. კაიუტ-კამპანიაში, საბატარეო გემბანზე წყლის ნიაღვრები მოჩხრიალებდა და ტრიუმში ძლივს ასწრებდა ჩადენას. ყველაფერი გალუმპულიყო, არსად შეიხედებოდა და ვერც სადმე შეაფარებდი თავს ამ ზემო კაიუტის გარდა. მაგრამ ბოლოს აქაც საჭირო გახდა სარკმლის დაკეტვა: ქარი ზვირთების ქეჩოებს ავეჯს, იატაკს, კედლებს ასხამდა. სალამოს ისე გამძვინვარდა ქარიშხალი, ვერ გაიგებდი, ქარი გრიალებდა თუ მეხი გრგვინავდა. უცბად რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, გამალებით გაიძახოდნენ ბრძანების სიტყვებს, ლეიტენანტი სსავიჩი] რუპორს ჩასძახოდა ქარიშხლის ღრიალში.

— რა ამბავია? — ვკითხე ვილაცას.

— ფოკი გაგლიჯა, — მითხრეს.

ნახევარი საათის შემდეგ ტრისელი ამოაგდო. ბოლოს ფორ-მარსელიც შუაზე გახლიჩა. საქმე სახუმარო აღარ იყო: მაგრამ უარესი გველოდა თურმე. იალქნები ჰაიჰარად შეცვალეს. სალამოს შვიდი საათისათვის მეთაურთა სახეს შეშფოთება დაეტყო — შესაშფოთებელიც ჰქონდათ. ვანტები მოფამფალდა, ბენზელები ამოძრავდა და გროტ-ანძაც შეტორტმანდა წასაქცევად.

იციტ კი, რა არის გროტ-ანძა და რა მოჰყვება მის წაქცევას? გროტ-ანძა ასი ფუტი სიგრძისა და 800 ფუტი სიმაღლის მორია, რომლის წვერო სქელი, გაფისული ბაგირებით ანუ ვანტებით ბადებზეა მიმაგრებული და ეს აჩერებს ადგილზე. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე კოშკის ძირას ცხოვრობთ და ის კოშკი ჩამონგრევას აპირებს; ისიც დავუშვათ, რომ იციტ, რომელ მხარეს გადმოიმზობა და ცხადია, ერთ ვერსზე გადიკარგებით, მაგრამ ამ ხომალდზე სად წახვალ!.. ლოდინმა გული გადაგვილია და გაგვიწურა. რა თქმა უნდა, თითოეულს თვალწინ ედგა სურათი, როგორ ჩამოიმზობა ანძა, როგორ გადააფერდებს ხომალდს გვერდზე, გადაგლეჯს ბადეებს (ე. ი. ხომალდის კიდეს), როგორ გადმოხეთქავს ტალღები გემბანზე: მოასწრებენ კი საქარე ვანტების გადაჭრას, რომ ხომალდი უცბად გაათავისუფლონ ერთ მხარეზე სიმაღლის დაწოლისაგან? თორემ გვერდზე რომ ღრმად ჩაყურყუმელავდეს წყალში, იქნებ ველარც წამოდგეს...

ყველას, რა თქმა უნდა, ეს ფიქრები უტრიალებდა თავში, მაგრამ არავის დაუძრავს ამაზე კრინტი და არცა ჰქონდათ დრო: უნდა ემოქმედათ და მოქმედებდნენ კიდევ. რა ენერგია, მოსაზრება და სიმბნევე გამოიჩინა აქ ბევრმა! ს[აივის] თითქო დღესასწაული გათენებოდა: ამოთითხნილი, ჩამოგლეჯილი, თვალგაბრწყინებული დაქროდა ყველგან, სადაც ქარს სამახსოვროდ ნგრევა-ლეწვის კვალი დაეტოვებინა.

გადაწყვიტეს, ანძისთვის ჩამომხობა არ დაეცლიათ და მოშვებულ ვანტებს გასამაგრებლად „სეიტალები“ (ბლოკიანი თოკები) მიაშველეს. გაჩაღდა მუშაობა, თუმცა უკვე ღამე იდგა. ვიდრე არ მოათავეს, არავინ მოეშვა. მეორე დღეს თვით ვანტები გასქიმეს. საბედნიეროდ, ქარი ცოტა ჩადგა და საშუალება მიეცათ შეძლებისდაგვარად კარგად გაეკიმათ. დღეს ანძა თითქმის ურყევად დგას; მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის ერთი-ორი ვანტი მიაშველეს ზედმეტად, რომ თუ ხელახლა ამოიჭრებოდა ძლიერი ქარი, მზად დახვედროდნენ.

დავისვენეთ, მაგრამ კარგად მაინც ვერა. ისეთივე ქარიშხალი რომ კიდევ დაგვეძგეროს — კაცმა არ იცის, რა მოხდება. ყველას ანძისა და ვანტებისაკენ უჭირავს თვალი. მეზღვაურები ბუზებივით შესევნიან ვანტებს, სკიმავენ და გრეხავენ თოკებს, ხის ჩაქუჩებს უბაგუნებენ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე ვერ კეთდება, როგორც ღუზის ჩაშვების დროს იქნებოდა. ქარიშხლის შემდეგ ძლიერი ფურთუნი მოდის და ხომალდსაც ატორტმანებს, თუმცა წინანდელივით არა. ამიტომ დამშვიდებული საქმიანობა შეუძლებელია. ნაპირამდე კიდევ 500 მილი, ანუ 875 ვერსია. უძილობამ, დაუზოგავმა მუშაობამ ბევრი ჩამოახმო და ისე დალასლასებენ, თითქო ღამით თავაწყვეტილი ნადიმი ჰქონდეთ. ახლაც რომ მომაგონდება, როგორ დაფერდდა ერთხელ ფრეგატი, გულში ნემსივით გამკრავს, თითქო რაღაც შეურაცხყოფა გამახსენდაო. ასეთ წუთებს გული ღვარძლიანად ჩაიხვევს ხოლმე!

16 ივლისი. აკი მოგწერეთ, 9 რიცხვში ბონინ-სიმამდე 500 მილი დაგვრჩა-მეთქი: დღეს თექვსმეტია და ისევ ხუთასი, სულ ცოტა 420 მილი დაგვრჩა... მაშასადამე მთელი კვირის მანძილზე სამოცდაათ მილზე მეტი არ გაგვივლია. დიახ, მეტი არა. ქარიშხლის შემდეგ შტილი დაგვიდგა... ეს რა დავიდარა-

ბაში გავებით! წყნარი ოკეანე პირდაპირ მასხარად გვიგდებს: ახლა მოეპრიანა დაგვიმტყიცოს, მართლა წყნარი ვარო. წყლის უკიდევანო სივრცე ერთიანად ირხევა: ცისკიდურს ხან გამოგვიჩენს, ხან დაგვიმალავს, სვლას კი არ გვიჩქარებს. ცხელა, ჰაერი არ ირხევა, თუმცა ხანდახან ყომრალი ღრუბლები უცბად რისხვით წამოვა. ხომალდზე ამინდის შეცვლისთვის მოემზადებიან, იალქნებს აკეცენ: მაგრამ ღრუბლებიდან პატარა წვიმა გადმოშხმფლავს და შტილს არაფერი შევლის. ცურვის გეგმაზე ფიქრის გარდა, სხვა ვერაფრისთვის დაგვედო გული, ერთმანეთს თითქმის აღარ ველაპარაკებოდით. ავდგებით დილით: „რაო, რამდენს მიდის?“ — „ერთნახევარ კვანძს“, — მეტყვიან. „რუმბზე?“ — „არა, ზუილზე ჩაგვიყვანაო“ და ისევ მოგედღუშება სახე. ერთი თავის ვარაუდს გამოაქვამს: „ნელა, ნელა, მერე კი ალბათ ისევ აიწყვეტსო!“ ამ დროს თოფის სროლაში ამეცადინებენ: ისეთი კაკაკუკია, ყურები გისკდება. ცხელა, მოწყენაც გიპყრობს, მაგრამ... თვალთმაქცობა რა საჭიროა: ტორტმანს, გალუმპვას, მსხვრევენგრევას ეს შირჩევნია. ნახვამდის.

21 ივლისი. გამარჯობათ! დიდად შორს არ წავსულვართ: კიდევ სამას მილამდე დაგვრჩენია. სამარისებური სიწყნარეა, აუტანელი სიციხე; ყველას გული უწუხს, ცოტაოდენ სიგრილეს ეძებენ, სული რომ მოითქვან; — მაგრამ სადაა. კაიუტები ჩახუთულია, გემბანზე პაპანაქება დაგწევას. თითქმის ყველა ავად გახდა: თითქმის ყველას გამოაყარა სიცხისაგან ან ძირმაგრებმა დაამშვენა. მე ციება მაწუხებს და ფეხზე წითელი ქარი გამიჩნდა. ლოგინად ჩავვარდი; სისუსტეს ვგრძნობ, განსაკუთრებით ხელ-ფეხში, იმდენს ვატანდი ძალას ქარიშხლის დროს არ წავექცეულიყავ და რასმე ჩავბლაუჭებოდი. მაგრამ სულ მშია, ჰამა ხომ მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო. რამდენი რამ დაილეწა, დაიმსხვრა და დასველდა! გუშინ გემბანზე გასაშრობად გამოფინეს, რაც დასველებულიყო: რა სანახაობა იყო! პირდაპირ საშინელება! აქ ტანსაცმელი და საცვლებია გაკიდებული, იქ ხალიჩები, წიგნები, მეზღვაურთა ამუნიცია, დასველებული ორცხობილები — ყველაფერი გამოფენილია, დალაქული, გატალახიანებული, ისეთი ნესტის

სუნი დგას, როგორც დამპალ სარდაფში; იუტზე დაგლეჯილ იალქნებს კემსავენ.

ბედნიერები ვართ, გრიგალის ზოლს ასე მალე რომ გამო-
ვუსსლტით და იოლად გადავრჩით. ყოველ მოვლენას თვალს
ადევნებდნენ და მერე აღწერასთან ადარებდნენ: ქარაშოტი
W-დან მოიჭრა, მერე SW-ზე გადავიდა; ჩვენ O-სკენ ავიღეთ
გეზი და რკალი გადავკერით. ამ მაგიური წრის შუაგულში
მყოფი, რაიც რამდენიმე ასეულ მილზე გადაჭიმულა, ამ დაწყ-
ნარებულ ზღვასა და მოწმენდილ ცას რომ უყურებ, ექვიც არ
გებადება, რა ყოვლის შემძლე მტრის კლანკებში ხარ მონ-
ვედრილი. ამას მხოლოდ მაშინ შეიტყობ, როცა პირისპირ
მოგვევლინება, როცა თავზარდამცემ ზუზუნსა და გუგუნს
გაიგონებ, ლეწვა-მსხვრევა შეიქნება, როცა ხომალდი აკრუ-
სუნდება და აქეთ-იქით მიაწყდება...

ნახვამდის. წავალ დავიძინებ, ჯანზე ჯერ სულ კარგად
ვერა ვარ.

შტილი! ნეტამც იცოდეთ, ეს რა სასჯელია! ცხადია, სას-
ტიკ რწევას კი სჯობია, მაგრამ მაინც აუტანელია! გუშინ
ორას ოცდახუთი მილი დაგვრჩენოდა; დღესაც იმდენივე გვიკ-
ლია და ხვალაც ალბათ იგივე იქნება! ნიავმა რომ დაბეროს, ამ
მანძილს ერთი დღე-ღამეც არ დასჭირდება. მუშაობა თითქო
კი შეიძლება; მაგრამ არა, ერთფეროვნება და ეს უმოძრაო
სიმშვიდე საქმის ხალისს გიკარგავს, თანაც ცხელა, ჰაერი
ჩაიხუთა, ქორფა სანოვაგე გამოილია. უცბად ვიღაც იტყვის:
„მგონი დაუბერაო!“ — ყველა გამოცოცხლდება, სიხარული
შეუდგებათ! ტყუილად გავგინხარდა: უბრალოდ მოეჩვენა და
სხვა არაფერი. მეორე, მოცილობისაგან, წინასწარმეტყვე-
ლებას მოჰყვება: „ხვალ ამინდი შეიცვლება, ქარი ამოიჭრება:
ჰორიზონტზე ღრუბლებიაო“. ყველას ისე მონატრებია გზის
გაგრძელება, იჯერებენ და ელიან, მაგრამ საშველი მაინც არ
დგება. ერთხელ, უეცრივ გული გავგინათლდა: ფრეგატი რვა
კვანძის სიჩქარით წავიდა, ე. ი. საათში თოთხმეტი ვერსი;
კაიუტაში გავიგონე ეს და გვერდით ჩავლილ პ[ოსიეტს]
ვკითხე:

— რვა კვანძით მივდივართ, ხომ?

— არა, სამით, ფრეგატმა მხოლოდ თხუთმეტი წუთით იარა ჩქარა: ახლა ისევ ჩადგა.

ბოლოს, ასნახევარი მილი რომ გვაკლდა, უეცრივ დაგვიქროლა და მეორე დღეს ჩვეულებრივი ხმაური და ჩოჩქოლა ვავიგონე. ბაგირს იღებდნენ. ყველა ზემოთ შექუჩებულყოფი ახალი ნაპირის შესაგებებლად. ჩემი ავადმყოფობის დროს კაიუტა ჩვეულებრივ მნახველებით იყო სავსე: სამი კაცი ძლივ ეტეოდა, შვიდი კი მომადგებოდა ხოლმე; ამ დილას არავინ შემოსულა: ყველა ზემოთ იყო თვალის საცეცებლად. მარტი ბ[არონ] კ[რიდნერმა] შემოირბინა ერთი წუთით.

— ვიწროში გავდივართო! — მითხრა და გაქრა.

პორტ ლოდში ჩასვლა ყველას გვეშურებოდა, ამიტომაც გული აგვიჩქროლა ამ ახალი ნაპირის მიახლოებამ, თუმცა კი უდაბური გახლდათ. იქ კამჩატკიდან წამოსული კორვეტი, სიტხიდან მომავალი სატრანსპორტო ღომალდი და რუსეთიდან ჩამოსული კურიერები უნდა დაგვხვედროდნენ, და, რა თქმა უნდა, წერილებსაც ჩამოგვითანდნენ. ყველას გული უფანცქალებდა ამ იმედით.

მეორე დღეს გემბანზე გამოვედი, კოჭლობ-კოჭლობით, ფეხი ისევ მტკიოდა, და იუტზე ავძვერი, ვნახო, სადა ვართ-მეთქი. ყურეს სადაც ჩვენ ვიდექით, ნალის მოყვანილობა ჰქონდა, გარშემო მაღალი, დიღონი ბალახმოდებული კლდეები შემოდგომოდა. ორ უზარმაზარ ლოდს ორ კოშკით ამოეყო წყლიდან თავი. ჩემს კაიუტაში წუხელვე შევნიშნე, ფრეგატზე რომ ყოველი ხმაური მიწყდა და მხოლოდ წყლის წისქვილივით ჩხრიალებდა რაღაც. როგორც ახლა დავინახე, ეს თურმე ცოფმორეული ფურთუნი ეხეთქება ნაპირს; ვიწროც რა იყო ვნახო: ერთი ფრიალო კლდის გვერდით ისე უნდა ჩაგვევლო, რომ წყლის ზედაპირზე ამოყრილი ქვების მწყრივს არ დავჯახებოდით. ეს ქვები ოკეანის ტალღებს შესასვლელში გადაპლობებია. ყველგან ფურთუნი და კლდეები მოჩანს: მხოლოდ აქა-იქ თეთრად ქათქათებს სილა და ფლატეები.

„საცხოვრებელი სადაა-მეთქი?“ — ვიკითხე და თვალით დავუწყე ძებნა ქოხებს, სახურავებს, ადამიანსა თუ თუნდაც ცხოველს. არაფერი არ ჰკანებდა; ჩვენები უკვე ნაპირზე გა-

დასულიყვნენ. აგერ იქ, პატარა ბოლაზში ერთი ქოხი მოჩანს. აქ, მგონი, ორია, მთის გაღმა კი რამდენიმე ქოხი ყოფილა.

ხომალდებიც უკვე აქ დაგვხვდა, კურთხეებიც, და ცხადია წერილებიც. შეიქნა ერთი გამოკითხვები, ახალი ამბების მოყოლა! ყველას წერილები უკავია ხელში, მე ერთი დასტა მაინც მექნება.

მოზრდილ კუნძულს პილი ეწოდება, ნავსადგურს კი, როგორც მოგახსენეთ, ლოიდი... ბონინ-სიმას კუნძულები 1829 წლიდან გახდა ცნობილი. მოგზაურებიდან აქ ბიჩი, ჩვენებიდან კაპიტანი ლიტკე და მგონი, ახლახან ვონლიარლიარსკი ყოფილა. მათ გარდა ვინ იცის მსოფლიოსთვის უცნობ რამდენ ინგლისელს და ამერიკელს შემოუვლია ალბათ. ახლა აქ წარამარა მოადგებიან ხოლმე სხვადასხვა ეროვნების ვეშაპსაჰე-რი ხომალდები, ყველაზე მეტად ამერიკულები. ბონინ-სიმა ჩინურად თუ იაპონურად „უკაცურ კუნძულებს“ ნიშნავს.

მეგონა, ძლივს ამიხდებოდა ოცნება და უდაბურ კუნძულს ენახავდი; თურმე ტყუილად მიოცნებია: აქაც ცხოვრობენ ადამიანები, ასე ოცდაათიოდე კაცამდე. რობინზონებივით აქ შეუფარებიათ თავი გაქეულ მეზღვაურებს და გადამდგარ მეკობრეებს. ერთ მეკობრეს აქამდე შერჩენია ხელზე თოფისწამლით ამომწვარი თავის ძველი დიდების რაღაც ნიშნები. მათ ტკბილი კარტოფილი, ტარო, ანანასები, საზამთროები მოჰყავთ. ღორები, ქათმები და იხვებიც გაუმრავლებიათ. ძროხები და ხარები მეორე კუნძულზე გადაუყვანიათ, საქონელმა პილის კუნძულზე ხეები არ დააზიანოსო.

წერილფება ფრინველების გარდა აქ დასახლებულებს ცოლებიც გაუჩენიათ, კანაკელი თუ სანდვიჩელი დიაცები. თუმცა გადმოსახლებულებში კანაკელი კაცებიც ურევია, კიდევ ლონდონელი, სან-ფრანცისკოელი ლტოლვილები — ერთი სიტყვით, რა ჯურის ხალხი არ გინდა, არ იყოს. ერთი უკვე ოცდაორი წელია აქ ცხოვრობს, ბრუტიანი, ორმოცდაათი წლის კანაკელი დედაკაცი ჰყავს ცოლად. ყველას შორიშორს აუგია სადგომები, რადგან ყველას უნდა პატარა ყანა, ბოსტანი, შაქრის ლერწმის პლანტაცია ჰქონდეს. იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ლერწმისაგან მცხოვრებლები რომს ხდიან და კარგა მაგრადაც ლოთობენ.

უცნაური კუნძულია: ველებსა და ვაკეებს აქ ვერსად ნახავ. მხოლოდ და მხოლოდ მთებია ამართული. გადმოხვალ თუ არა ნაპირზე, თხუთმეტ წუთს კი ივლი ქვიშაზე და მაშინვე მთას უნდა აუყვე, გაუვალ ტყეში გაიკვლიოთ გზა. მცხოვრებლებს ზღვაოსნებთან ბოსტნეულით, კუებით თუ მსგავსი რამ საგნებით ვაჭრობა აქვთ გამართული, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ ივაჭრონ. ზღვაოსნებს კი თავის მსრივ ყველაფრის მუქთად ჩაგდება უნდათ ხელში, როგორც „Nautical Magazine“¹ წერს და რაც თვით სევრიმ, ანუ სევრემ, აქაურმა მკვიდრმა, დაგვიმოწმა. ოთხი წლის წინათ ორი ვეშაპსაჭერი ხომალდი მოადგა თურმე ამ კუნძულს, რამდენიმე ხანი დაჰყო და როგორც წესიერ ადამიანებსა და ხომალდებს სჩვევია, ისევ გაემგზავრა. მაგრამ ერთ ხომალდს ყურიდან გასვლისას რაღაც დაზიანებია და დაბრუნებულა. მცხოვრებლებიც, რაც შეეძლოთ, დაეხმარნენ: ხომალდის ეკიპაჟი კი იმდენად მაღლიერი დარჩენილა, გამოთხოვების წინ ნაპირზე გადმოსულა, ახალმოშენენი მიუბრიგავს და გაუძარცვია. ერთს რაც ქათმები და იხვები ჰყავდა, სულ წაგლიჯეს და თოთხმეტი წლის გოგო წაართვეს, მეორეს ღორები და ცოლი მოტაცეს, მოხუც სევრის კიდევ ორი ათასი დოლარი აართვეს და წავიდნენ. მაგრამ მის კვალდაკვალ ჩამოსულ ინგლისელთა სამხედრო ხომალდს ეს ამბავი სანდვიჩის კუნძულებსა და სანფრანცისკოში უცნობებია და ბოროტმოქმედნი ხომალდიანად სადღაც ახალ ზელანდიასთან დააკავეს. ახლა აღმოსავლეთ ოკეანეშიც ვერ გაექცევა კაცი პოლიციას!

მტკივანი ფეხის მიუხედავად მაინც გავბედე ნაპირზე გადასვლა. ჩემი ამხანაგები ნაჯახებით შეიარაღდნენ, მე კი მორზე დაბრძანებული (არ დაგავიწყდეთ, წითელი ხის მორი გახლდათ) გულხელდაკრეფილი ვიყურებოდი, მთაზე როგორ იკაფავდნენ გზას. ტყეში ქოლგასა თუ მარაოსებური პალმები, თითოეული ტოტი რომ მარაოსავით გაშლია, კომპოსტოს პალმები — გული რომ გემოთი კომპოსტოს მოგავონებს, თუმცა უფრო ნაზი და რბილია, კიდევ კარდამოწებისა და ტომანის, როგორც აქაური მცხოვრებლები ეძახიან, ხეები ხარობდა.

¹ „საზღვაო ჟურნალი“ (ინგლ.).

ტომანი — ჩინებულ წითელ ხეს წარმოადგენს. იქვე ვნახეთ პატარა მტკნარი ტბა, სიგრძე-სიგანე სამი-ოთხი საყენი ექნებოდა და სიღრმე მკერდამდე მოგწვდებოდა. მეზღვაურები უმოწყალოდ ქყუშპალაობდნენ შიგ. მოჩეხილ ხეებიდან ხვლიკები გამოხტოდნენ. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ტოტი რომ დაარტყა, კუდი მოწყდა და ერთ მხარეს გაცოცდა, ხვლიკი კი მეორე მხარეს გაძვრა. ჯერ მეგონა, სილაზე ობობები და მრავალფეხები დარბის-მეთქი, კიბორჩხალები კი აღმოჩნდა, ნაირ-ნაირი ფერის, მოყვანილობისა და სიდიდის. ობობას-ოდენაც იყო და ჩვეულებრივი ზომისაც: ვარდისფერებიც იყო, იისფერებიც და ლურჯებიც — ზოგს ნიჟარა ჰქონდა თავსაფარად, ზოგს არა; ამ მრგვალი, გრძელი თუ ნაირ-ნაირი ჯურის კიბოების ლაშქარი ზღვის ნაპირზე წინ და უკან დაფუსფუსებდა.

ორი დღის შემდეგ ბ[არონ] კ[რიდნერთან] და პ[ოსიეტთან] ერთად მეორე ბოლაზში გავემართე, რომელიც მთლიანად მოფარებოდა კლდეს. ორი თუ სამი კლდის ძირას რომ გავიარეთ, ქვიშიან დაღმართს მივადექით. იქ ერთი ბრგე, ლამაზი ვაჟკაცი იდგა და ხელით გვანიშნებდა, სად უკეთესად მიადგებოდა ნავი. მშვენიერი პროფილი ჰქონდა, არწივივით ცხვირი, თამამი მზერა, მედიდური სიარული. ჭალარა, ხვეული თმა მხრებამდე სწვდებოდა, თუმცა ერთი შეხედვით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. სწორედ მას ჰქონდა ხელებზე სამაჯურებივით რაღაც ნიშნები ამომწვარი. საყვედურით შეგვხვდა, ჩემთან მოსვლას რატომ არ აპირებდითო, და ქოხისკენ წაგვიძღვა. ქოხი ოთხ ბოძზე იდგა (ყველა წითელი ხისა იყო), სახურავი და კედლები პალმის ხმელი ფოთლებისა ჰქონდა. ეს საძინებელს წარმოადგენდა. იქვე დაგვხვდა მისი კანაკელი ცოლი. თმაგათეთრებული და შავგვრემანი ქალი. ლურჯი ბამბის კაბა ეცვა, თავი ჩვენი დედაბერივით წაექრა. ცალკე იდგა მეორე ქოხი, სადაც ეს წყვილი სადილობდა. ყოველ შემთხვევაში, შიგ რომ შევიკვირებთ, მაგიდა და სხვადასხვა ჭურჭლეული დავინახე. შემოგვეგება ორი ძაღლიც, ორივეს კულები დაეშვათ და თავი ჩაექინდრათ.

საითაც არ გაიხედავდი, კლდეები, მთები, ციცაბო ფლატეები, ლამაზი ხეები დაგყურებდა ზემოდან. ყველგან ტყე-

ები და მხოლოდ ტყეები მოჩანდა. კ[რიდნერმა] ნაჯახი დაკრა კუნძს, რაზეც ჩვენ ვისხედით ქოხის წინ; ზემოდან რუხი ფერისა იყო; მაგრამ რაწამს ნაჯახმა ქერქი ჩამოათალა, სისხლივით წითელი ხე ალაპლაპდა. ქოხს ნაკადული ჩაუდიოდა გვერდზე და შიგ წითელნიკარტა იხეები დაბორიალობდნენ. ნაკადულს თავისუფლად გადააბიჯებ, წყალიც წვრილად მოწანწკარებს, ხელსაც ვერ დაიბან შიგ.

ავყევით გორაკს. კ[რიდნერმა] კომბოსტოს ხე მოჩეხა და მისი გულით ხუთმა ჩავიტებარუნეთ პირი. იმას იქით ციცაბო ასასვლელი იწყებოდა და აღარ წავედი: ფეხი მთლიანად არ მომრჩენოდა. ჩამოვჯექი გადაჭრილ ხეზე, ბანანებისა და ტაროების შუა, რომელიც თალგამივითა თუ სტაფილოსავით ამოდის მიწაში. წაკითხული მქონდა, რომ სანდვიჩელები მისგან „poï-poï“-ს ამზადებენო და კანაკელ ქალს ვკითხე, რა არის-მეთქი. მან მაშინვე თავის სასადილოში წამიყვანა და რაღაც თეთრი ფაფით სავსე ქოთანი მაჩვენა. გახეხილ კარტოფილს მოგავდა. ხელით ამოაქვთ და ისე სკამენ თურმე. ქმარმა გამაფრთხილა, საკმელი დიდი ხნის მომზადებულია და ნუ სკამთო.

მან რამდენიმე საზამთრო გამოგვიტანა და სიამოვნებით შევექეცით ყველა.

წყნარი, მშვენიერი ამინდი იდგა. მოსაღამურდა: ტყე ყოველ წამს იცვლიდა ფერს და ბოლოს ჩაბნელდა; ყურეში ლანდებივით ირხეოდა ტყიანი კლდეების ანარეკლი. ამ დროს ნავიც მოგვადგა წასაყვანად. ჩვენი ხომალდები კლდეების ბნელ ფონზე აღარ მოჩანდა. როცა სულ ახლოს მივადექით, მაშინდა დავინახეთ მთვარის შუქით განათებული ანძები.

2 აგვისტო. დილიდანვე ჩოჩქოლი და მზადება შეიქნა ფრეგატზე: ნაპირზე მთელი შემადგენლობის გადაყვანას აპირებენ. ოფიცრებმაც გადაწყვიტეს, მთელი დღე იქ გაატარონ, იქ ისადილონ და ჩაი დალიონ. „ნეტავ სად ისადილებენ-მეთქი? — ვფიქრობდი გულში, — იქ ხომ არც სკამებიცა და არც მაგიდები“. ვერ გადამეწყვიტა, წავყოლოდი თუ არა. მაგრამ ფრეგატზე მარტო რა გამაჩერებდა. ს[ავიჩმა] შემომაკითხა და მითხრა, უკანასკნელი ნავი მიდის ნაპირზე და იჩქარეთო.

— სადღა ვისადილებთ? — ვკითხე მე.

— იქ ხომ აბანო მოვაწყვეთ, — მიპასუხა მან. — ახლა ყველაფერი აიღეს და სასადილოდ გადააქციეს.

— სკამები, მაგიდები?

— ეგენი არაა: იალქნებზე ვისადილებთ.

„იალქნებზეო!“ — ვფიქრობდი გულში. ბალახზე სადილობა თუ მინდვრად ჩაის დალევა მუდამ ჭირივით მძულდა, მით უმეტეს *impromptu*¹, ხან კოვზი დაგეკარგება, ხან სილაში ამოგეთხვრება პური, ხან მწერები ჩაგიცვივა ჩაიში. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და წავედი; პაპანაქება სიცხე აჭერდა.

რაკი სიცხე ვახსენე, ერთ ამბავსაც გიამბობთ: ერთ დილას ვნახოთ, ფადეევის მაგივრად სხვამ შემომიიტანა ჩაი.

— ფადეევი სად არის? — ვკითხე.

— ზურგზე ტყავი გადაძვრა, — ლაკონიურად მომიპრა მეზღვაურმა.

— როგორ გადაძვრა: რა მიზეზით?

— ისე: ორმოცი კაცი გვყავს ამ დღეში, მზემ უქნათ. ნაპირზე ტიტლიკანა დადიოდნენ: მზემ დაწვა და ახლა პერანგსაც ვერ იცვამენ.

ფადეევის სანახავად წავედი. ღმერთო, რა სურათი დამხვდა! ქვემო გემბანზე მართლაც ორმოც კაცამდე იჯდა: ზოგი თავით ფეხამდე ზეწარში გახვეულიყო, სხვებს არც ეს ეფარა. განსაკუთრებით ერთი ხნიერი მეზღვაური შემეცოდა. ტიტველი იჯდა, თავითა და ხელებით კასრს მაგიდასავით დაყრდნობოდა და იმანჭებოდა.

— ეგ რა დაგმართია? — ვკითხე მას.

— ღმერთმა იცის, თ[ქვენო] მ[ალალკეთილშობილებავ], რა არის! აგერ ზურგი რა დღეში მაქვს! — მითხრა და ზურგი ოდნავ მოატრიალა საჩვენებლად.

ზურგზე მართლაც არ დაიხედებოდა; ისე დაწითლებოდა და დაფუფქოდა, თითქო მღულარე გადასხმოდა.

— აბა მზეზე რამ გაგაჩერა, ისიც ტიტველი? — ვუსაყვედურე მე.

— ტამბოვში, თ[ქვენო] მ[ალალკეთილშობილებავ], მთელი დღე მზეზე ვიჯექი ხოლმე, თავსაც შევუშვერდი — არაფერი

¹ იმპროვიზირებული (ფრანგ.).

მიშავდებოდა; ბალახზე რომ გულალმა დაწევი და მუცელს გაითბობ, — ამას რა სჯობია. აქ კი ღმერთმა იცის რა არის! მზე სალბუნით გეკრობა! — მითხრა ნაწყენმა.

მზეზე დამწვრებს ერთი კვნესა და ოხვრა გაჰქონდათ, ყველას სახე ემანჭებოდა. სასაცილონიც იყვნენ და შესაბრალონიც. ფადევი ხომ სულ დამახინჯებული იყო. ისიც სხვებით კრუსუნებდა. კარგა ლაზათიანად შემომელანძღა.

— თავი დამანებეთ, თ. მ.! — მითხრა გულისღვევით.

ნაპირზე გადავედი თუ არა, მაშინვე კარავს შევეფარე. შუადღე ახლოვდებოდა და მწველ სხივებს ვერსად დაემალე-ბოდი. ნაპირზე დიდი ფუსფუსი იყო: სადილს ამზადებდნენ. ბრუტიანი კანაკელი ქალი თევზებს იჭერდა. კარავში სული შემეხუთა და ტყეში შევედი. ბ[არონი] კ[რიდნერი] ჭალიდან შემეხმინა, მოლით, ლამაზ ნაკადულს გაჩვენებთ, რომელიც ჯერ არ გინახავთო. ბუჩქების, ტომანების, კარდამონების და პალმების ტვერი გაჭირვებით გავარღვიე და ბ[არონისკენ] წავედი ნაკადულის გასწვრივ. მართლაც ლამაზი იყო. ნაკადული სიგანით არშინი იქნებოდა, ალაგ-ალაგ ამაზე ვიწროც, კლდიდან ქვებზე მოჩხრიალებდა და ტბაში ჩადიოდა. ქვებში აუარება პაწაწკინტელა, ობობასხელა კიბორჩხალები და მწერები დაძვრებოდნენ. ხელს შეახებდი თუ არა, წარმოუდგენელი სისწრაფით იმალებოდნენ ქვებში. ექიმი და ო. ა. გ[ომეკვიჩი] დიდი ხანია აქ იყვნენ თურმე და ხელით იჭერდნენ. ს[ავიჩი] კარგა შორს წასულიყო და დათვივით მიამტკრევდა ხეებს; იქიდან სულ ლაწალუწი ისმოდა. ჩემს წინ ბ[არონი] კ[რიდნერი] მიდიოდა, წვრილ ფეხებზე ძლივს მილასლასებდა. უკან მე მივყვებოდი რის გაჭირვებით. ფეხი გვისხლტებოდა და ვბორძიკობდით. ერთ ადგილას ნაკადულზე გადასვლა მოვინდომე, ბუჩქს ჩავეჭიდე, იმან მიღალატა და ჩემი ამხანაგების გულის გასახარებლად ბურღლუნით ჩავტოპე წყალში.

ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ტურფა და წარმტაცი სანახავი იყო: ზემოთ მარაო პალმებისა და ტომანების ჩრდილი გვეფინებოდა, ნაპირები ბალახსა და ტყეებს დაეფარა. მზე ხანდახან ტოტებში გამოძვრებოდა, იქიდან ასანთ მინასავით მწველ სხივებს აფრქვევდა, ლოდების ჯგუფს აკაშკაშებდა და წყალში ათასფრად ბრჭყვიალებდა. ერთ წუთში ყველას ოფ-

ლში გაგვწურავდა, მერე კი ისევ ჩრდილი და სიგრილე გვეფინებოდა. ეს ბუნებრივი ხეივანი, სიჩუმე, ათასნაირად მოხასხასე მწვანე — ყველაფერი ლამაზი იყო, მაგრამ ცოტა არ იყოს, პირქუში. ყვავილებს ვერ ნახავდი, ფრინველები ცოტა იყო, კუტკალიების კრიკინიც არ ისმოდა. ტომანებს ტლანქი, მოგრძო ფოთლები ჰქონდათ და რუხი ტანი, პალმებს კი ღია მწვანე, ისეთი მაგარი ფოთლები, გაგლეჯა გაგიჭირდება. ნაპირი თიხიანია, მაგარი და ხმელი. ალაგ-ალაგ ბანანები იზრდება, ის ახალმოშენეთა მთელ დოვლათს — ცხელი ქვეყნების პურს წარმოადგენს. მოგრძო, მწვანე ლიმონებიც დავინახეთ, მათ რაღაც შმორის გემო დაჰკრავთ. ზედ ეტყობა, უცხო ნიადაგზე დამყნული რომ არის. რამდენადაც ცხელ ჰავაში ბუნებრივი ნაყოფი ყველა დიდებულია, იმდენად დამყნული უხეირო გამოდის. ინდოეთში ვაზის გაშენება სცადეს — არ იხეირა. თუ გაიხარა და ნაყოფი დაისხა — პირს ვერ დააკარებ. არც ვაშლები და ჩაი ვარგა. იგივე ითქმის პირუტყვზეც: ინგლისური, არაბული ცხენებისა და სხვა ცხოველების მოშენება რომ სცადეს, ყოვლად უსუსური ჯიში გამოვიდა. მაგრამ რაც ამ ქვეყნის ნაყოფია, დიდებულად და უხვად მოდის.

ერთ მიწაყრილამდე რომ მივედით, უკანვე გაყვეით ნაპირიდან ტბისკენ გათელილ ბილიკს. იქ ჩვენები ბანაობდნენ, ხეების ტოტები საბანაოს სახურავივით გადმოხუროდათ. ნაპირზე მუშაობა გაეჩაღებინათ: ქვაბებში საქმელი იხარშებოდა, კარავში სუფრა იშლებოდა პირდაპირ... მიწაზე, მაგიდები რაკი არ იყო, მოსაუბრენი მიწოლილიყვნენ თუ მიმსხდარიყვნენ. მე მეორე კარავში წავედი, რომელიც მაგნიტურ დაკვირვებებისთვის დაედგათ და იქ ტახტზე წამოვწექი ჩრდილში დასასვენებლად. მთელ კუნძულზე ეს ერთადე თი ტახტი გახლდათ. გრილი სიო ხანდახან შემოიჭრებოდა ტენტის ქვეშ და სიგრილეს მაფრქვევდა.

სადილზე გვიხმეს. ერთი სუფრა ცალკე გაეშალათ, რადგან იატაკზე ყველანი ვერ დაეტეოდნენ; სულ ოცამდე კაცი ვიქნებოდით. მასპინძელმა, ე. ი. სადილის რიგის მიმცემმა თავისი ადგილი მე დამითმო. სხვა დროს თავპატიუს გავიდებდი. მაგრამ კარვიდან კარავში გადასვლისას ისე დამცხა, რსე დავიქანცე. დათმობილ ადგილზე დავჯექი, — დავჯექი ჯა

იმწუთსვე წამოვხტი: არათუ ცხელი გამოდგა: ლამის დამ-
თუოქა. ჩემი დასაჯდომი აბანოს ბუხრის ოციოდე აგური-
საგან შედგებოდა, რომელიც თურმე მზეზე ეწყო და გავარ-
ვარებულოყო.

სადილზე, სხვათა შორის, კუს წვნიანს გეახელით; მაგრამ
ლონდონში მირთმეული წვნიანის შემდეგ მას ველარ გავეკა-
რე. იქ მომზადება სცოდნიათ, აქ კი ჩვენმა კარპოვმა რატომ-
ღაც ისე ვერ დაქრა. ხორცს არ დაატალა გაცივება და ამიტო-
მაც მაგარი, უხეში საჭმელი გამოვიდა. სამაგიეროდ ყვირი-
ლი, ხმაური, მხიარულება, რამდენიც გენებოთ! მე სიცხემ
მომსპო და გამათავა. ჩემი ამხანაგები კი სადილზე ხერგეს,
პორტვინს ყლურწავდნენ, თითქო პეტერბურგში გახლდნენ!
მარტო სიქაბუკეში შეუძლია კაცს ასეთ აბანოში სვას და
არ წამწარდეს. სადილის დამთავრებისთვის აღარ მომიცდია,
საჩქაროდ მეორე კარავში გავეშურე, ადგილი არ წამართვან-
მეთქი და გულიანად დავიძინე.

მზე დასალიერზე იდგა, როცა გამოვიღვიძე და გამოვედი.
ჩვენები ტყეში დახეტილობდნენ, ნაწილი იწვა, ნაწილი ჯგუ-
ფად მიმსხდარიყო; ზოგი ბადეს ამზადებდა, სხვები ბანაობ-
დნენ. წყნარ ბონინ-სიმას ალბათ არასოდეს უნახავს თავის
უდაბურ ნაპირებზე ასეთი ქრამული და არეულობა.

ბიჩი სწერს, რომ მის დროს აქ იმდენი კუ იყო, სილაში
კვერცხების დასადებად რომ გადმოვიდოდნენ, მთელი ნაპირი
იფარებოდა. გამოჩეკილი ნორჩი კუები ზღვაში ეშურებოდ-
ნენ ჩასვლას, მაგრამ გზაში აუარება მტერი ხვდებოდა: ნა-
პირზე ფრინველები კორტნიდნენ, ზღვაში ზვიგენები ყლა-
პავდნენ ბლომ-ბლომად. სამაგიეროდ, გაზრდილებსა და ბა-
კანში გამაგრებულებს აღარაფრისა ეშინიათ. „ზვიგენები აქ
კუზე მეტი იყო, — წერს ბიჩი, — ნიჩბებს ხოლმე კბილე-
ბით ეჭიდებოდნენო“. სად გაქრა ყოველივე ეს? ადამიანები
რომ ჩამოსახლდნენ, კუ იშვიათი სტუმარი გახდა: მცხოვრებ-
ლები იჭერენ და ოჩხში ინახავენ, რომ მერე ჩამოსულებს
მიჰყიდონ. ჩვენც ოთხ დოლარად ვიყიდეთ კუ, მაგრამ რა კუ!
ექვსმა კაცმა ძლივს მოათრია. აქ ახალმოსახლენი ნაპირზე
ძაღლებით იჭერენ მათ. ძაღლი პირს სტაცებს და ლასტით
მოათრევს ნაპირზე, ზღვის კუს თათების ნაცვლად საცურავი

ლასტები აქვს. აჭაური კუ წვნიანის გარდა აოათერში გამოდგება. სავარცხლებად შავი კუს ბაკანს იყენებენ მხოლოდ. ზვიგენებიც ცოტაა, ასე რომ ოცი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა ზვიგენმა ვეშაპსაჭერი ხომალდის მეზღვაურს თავი მოაკვნიტა. ჩვენებმა ერთი პატარა ზვიგენი დაიჭირეს. პირი დავუთვალე: კბილები ოთხმწკრივად მისდევს, წვრილ-წვრილებია, მაგრამ ხერხივით მჭრელი. იცოცხლე, ქამა შეუძლია, თუ საკბილო იშოვია.

სალამოს ხეების ქვეშ ცეცხლი დაანთეს; მეზღვაურებ-ჯგუფად ეხვეოდნენ გარშემო; კარავში ჩაის შეექცეოდნენ. სიმღერა და ყვირილი ისმოდა. ქვიშიან ნაპირს გაშმაგებით აწყდებოდა ფურთუნი: ხანდახან ახლოს მიხვალ, ლაპარაკში გაერთობი, ზვირთი კი ფეხებში მოგეშხაპუნება და სილაზე ფოჩებად გაიშლება. შორს ოკეანე მთვარის შუქზე ვერცხლის წყალივით ლაპლაპებდა, ყურეში. კლდეებ შუა, წყვილი-ადი ჩაწოლილიყო.

ბალახზე, სუფრის გარშემო მოკალათებულ ჩვენების პატარა ჯგუფს მივუახლოვდი. სუფრაზე ჩაით სავსე ფინჯნები. ეს-ესაა დაჭერილი ცოცხალი, საზამთროები და ანანასები ეწყო. თუ ქამას აპირებდი, მუცელზე უნდა დაწოლილიყავი. კიდეც ბედი, რომ აქ ქვეწარმავლები, გველები და შხამიან-მწერები არ სცოდნია. ჩემი ზოგიერთი ამხანაგი ამ ფაქტით იმ თეორიას ადასტურებდა, თითქოსდა მცენარეული თესვები თუ ქარტლი ქარს დიდ მანძილზე გადააქვს, ჰოდა, ბონინ-სიმისთანა პატარა, თანაც ვულკანური წარმოშობის კუნძულებზე, რომლებსაც პირველყოფილი მცენარეულობა არ გააჩნდათ, ამის შედეგად გაბარდნილა მწვანეო. ხოლო გველებს თუ სხვა ქვეწარმავლებს ქარი ვერ გადმოიტანდა და ამიტომაც აქ არ გვხვდებიანო.

აქედან გამგზავრება ღამით იყო გადაწყვეტილი, მაგრამ პირქარი ქროდა. მეორე დღესაც იგივე ამბავი იყო. ბოლოს 4 აგვისტოს, დილის ოთხ საათზე გამოღვიძებულს ხმაური, ყვირილი, სტვენა ჩამესმა და ისევე ჩავიძინე. შვიდ საათზე კი ჩემს კაიუტაში ცბიერულად შემოიჭყიტა პაპამ.

— გამარჯობათ! მომილოცნია...

— რას მილოცავთ?

— ზღვაში ვართ.

— შორს?

— აგერ ნაგასაკი არაა, რომ ჩანს?

„აჰ, შე ბებერო... მართალს ვინ გაგიგებს!“ -- გემბანზე გამოვედი.

წინ ლურჯი ზღვაა გადაშლილი. ზემოდან ლურჯი ცა დავცქერის, მზე ნაკვერჩხალივით გვწვავს სახეს, უკან შექუჩული მთები ერთმანეთს მხარდამხარ ჩახუტებიან, თითქოს ჩვენ გვაცილებენ, გზას გვილოცავენ. ეს ბონინ-სიმას ნაპირები გახლავთ: მშვიდობით, ბონინ-სიმავე!

4 აგვისტო. ნელი სიო ქრის, ექვს კვანძს ვაკეთებთ საათში. გარეთ ცხელა, სულში სიცივე დასადგურებულა; ირგვლივ სულ ზღვაა და ზღვაა...

შ ი ნ ა ა რ ს ი

I

კრონშტადტიდან ლიზარდის კონცხამდე

სამზადისი, დამშვიდობება და კრონშტადტის გამგზავრება. — ფრეგატა „პალადა“ — ზღვა და მეზღვაურები. — კაიუტ-კომპანია. — ფინეთის ყურე. — ბორიო. — ზღვის ავადმყოფობა. — გოტლანდი. — ხოლერა ფრეგატზე. — კაცი ზღვაში გადავარდა. — ზუნდი. — კატეგატი და სკაგერაკი. — გერმანიის ზღვა. — დოგერის მეჩეჩი და პალოპერის შუქურა. — მიტოვებული ხომალდი. — მეთევზეები. — ბრიტანეთის არხი და სპიდგედის რეიდი. — ლონდონი. — ველინგტონის დასაფლავება. — შენიშვნები ინგლისელ ქალებსა და კაცებზე. — პორტსმუტში დაბრუნება. — „კემპერდოუნზე“ ყოფნა. პორტსმუტში, საუტსიში, პორტსიში და ჰოსპორტში სეირნობა. — სპიტგედის რეიდზე ველით ზურგის ქარს. — შობის წინა ღამე. — ინგლისელი-სა და რუსის სილუეტები. — გამგზავრება. 5

II

ატლანტის ოკეანე და მადერის კუნძულო

ოკეანეში გასვლა. — ძლიერი ქარი. — მადერა. — ქალაქი ფუნჩალი. — მთაზე გასეირნება. — კონსულთან სადილი. — გამგზავრება 83

III

ატლანტის ტროპიკებში

ნორდ-ოსტის პასატი. — მწვანე კონცხის კუნძულები. — ს.-იაგო და პორტო-პრაია. — ჩრდილოეთის ტროპიკი. — ტროპიკულა ზამთარი. — შტილის ზოლი. — ეკვატორი. — სამხრეთ ტროპიკი და ზუილ-ოსტის პასატი. — მფრინავი თევზები და ზვიგენები. — ისეე და ისეე. შტილი. — ყველაერი. — რასა ეიქმთ ფრეგატზე. — ბანაობა. — ზღვა და ცა. 122

კეთილი იმედის კონცხზე

Falsebay-ში ჩასვლა. — საიმონსბეი და საიმონსტოუნი. — კამპატი. — Welch's hotel. — სუფრა მთა, ლომა მთა და ეშმას მწვერვალი. — ბოტანიკური ბაღი. — კლუბი. — ინგლისელები, ჰოლანდიელები, მალაელები, ჰოტენტოტები და ზანგები. — კოლონიებში გამგზავრება. — სომერსეტი. — სტელენბოში. — ელზენბორგის ფერმა. — პაარლი. — ველინგტონი. — მისტერ ბენი. — საპატიმროები და პატიმრები. — გზები. ხეობა. — უსტერი. — მინერალური წყაროები. — უკან გამობრუნება. — გველის სერი. — მდივან-ჩიტი. — ვინბერგი. — კაფრთა ბელადი სეიოლო. — ხომალდის გამგზავრება 153

V

კეთილი იმედის კონცხიდან იავას კუნძულამდე

ქარიშხალი. — წმინდა კვირა. — ოცდაათი დღე ინდოეთის ოკეანეში. — სიცხე. — გრივალი. — ანეერის რეიდი. — სალამო იავაზე. — ჩინელები და მალაელები 271

VI

სინგაპური

რეიდზე დადგომა. — მალაელები და ინდოელები. — ქალაქსა და მის მიდამოებში გასეირნება. — ევროპული, მალაური და ჩინური უბნები. — ოპიუმით ვაჭრობა. — ანანასები, მანგუ და მანგუსტანები. — ქოქოსის კაკალი. — სინგაპურის მნიშვნელობა. — კერპოსალოცავნი. — ვაჭარი ვამპოა და მისი ვილა 287

VII

ბონ-კონგი

რეიდისა და ქალაქის ხედი. — სასახლეების ქუჩა და ჩინური უბანი. — ჩინელი ქალები და კაცები. — კლუბი და ყაზარმები. — ეპისკოპოსი და გენერალ-გუბერნატორი სტუმრად ფრეგატზე. — ჯერდინისა და მატისონის დაწესებულება 326

ბონინ-სიმას კუნძულები

ჩინეთის ზღვა. — ქარიშხლები. — წყნარი ოკეანის გასავალი. — გრივალი. — შტილი და სიციხე. — პილის კუნძული, ლოდის ნავსადგური. — კორვეტი „ოლივეუცა“ და ამერიკელი კომპანიის სატრანსპორტო ხომალდი „თავადი მენშიკოვი“. — რუსეთის კურიერები. — ახალმოშენენი. — გასეირნება, სადილი და შეღამება ნაპირზე. 339

რექტორი კ. გარდაფხაძე
გამომც. რექტორი რ. ინანიშვილი
მხატვარი გ. გორდეღაძე
მხატვ. რექტორი ჯ. ქავლაშვილი
ტიპოგრაფი ი. კაკნაძე
კორექტორი თ. შინდაგორიძე

.

ხელმოწერილია დასაბუქდაც 20/V-63
ანაწყობის ზომა 5.5x9
ქაღალდის ზომა 81x108
ნაბეჭდი თაბახი 22.7
სააღრიცხვო-საგამომცემლო თ. ხაზი 17.31
პირადი 20,000: შეჯ. 16 1259
ფასი 1 მან. 25 კპ.

Гончаров Иван Александрович

Фрегат «Паллада»

Книга первая

(На грузинском языке)

Художник Г. Горделадзе
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»

Тбилиси

1963

· ხაქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეკდვითი სიტყვის-
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили 5.